

1979/2

ಪ್ರವಾಹ



1979

ಪ್ರವಾಹ ಪತ್ರಿಕೆ
ಬೆಂಗಳೂರು

3

7

ISSN 0181-8848





ნადია კუჩუბა. „სტოვლის დედა“ — შვედეთისათვის.

სურნაუ



ქართული
წიგლიწოდება

3

(30)

მაისი
ივნისი

1979

საქართველოს მწერალთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური
ალმანახი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ
ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო
კოლეგია

17591

შინაარსი

პრისტინა პინო. ვარსკვლავი გალიაში. ზღაპარი.	
ფრანგულიდან თარგმნა შაია ნათაძემ	8
ნიური გონდარავი. შამილი. მინიატურები.	
თარგმნა ციალა ჩხეიძემ	8
მეგანი ვებუშენკო. რუსეთი. ლექსი.	
თარგმნა ოთარ კილაძემ	19
ფრანკუაზ საგანი. ბიუვარტი ბრამსი? რომანი.	
ფრანგულიდან თარგმნა ნუნუ ქაღვიშვილმა.	20
ფრანკული კოეზიბი. ფრანგულიდან	
თარგმნა გიორგი ლოლაძემ	82
რადიარდ კიკლინი. ბირტრანი და ბიმი. მოთხრობა.	
ინგლისურიდან თარგმნა ზურდან გემაჯაშვილმა.	84
ბრიგორე ვიერუ. ლექსები.	
თარგმნა აეთანდილ გურგენიძემ	95
ბიბე კალასი. ნელკინების სიმბარულში. მოთხრობა	
ესტონურიდან თარგმნა ამირან კალაძემ	97
ბრიგორე კოსინკა. პოლიტიკა. მოთხრობა.	
უკრაინულიდან თარგმნა ნათელა ვავაშვილმა	115
მიხეილ ლერმონტოვი. ლექსები.	
თარგმნა ანზორ აბუანდაძემ	123
გოეთე. ახალი პბრისი (ზღაპარი ბიჭებისათვის).	
გერმანულიდან თარგმნა ვლადიმერ ზარიძემ	125
შოლტ უიტმენი. ლექსები.	
თარგმნა სილოვან ნარიშანიძემ	135
კამილო ხოსე სელა. კასტელ დუარტეს ოჯახი.	
რომანი. დასასრული. თარგმნა ლამარა თურმანიძემ	140
მიხეილ კუზმინი. ლექსები.	
თარგმნა მურმან ჭგუბურიამ	152
ბანდილია ზუმაშვილი. ლექსები.	
თარგმნა ლადო ხუთაბერიძემ	154
მიკოლა გაშანი. ლექსები. თარგმნეს:	

ჭანსულ ჩარკვიანმა, ნია აბესაძემ, შოთა ნიშნიანიძემ	157
ველინა გომინსკა ქაბუნაურთა შთაშოგავლის	
✓ შუბრისძიება. რომანი. პოლონურიდან თარგმნეს	
ვიქტორ კახიაშვილმა და სტანისლავ რავიჩმა	168
მოზე იან ეზრა. სულთა რონინი უდაბნოებში. ლექსები	
ქველგბრაულიდან თარგმნა ჭებელ აჭიაშვილმა	
ვერნერ ჰაინეხბერი. ბუნების გოეთესეული სატი და	
ტექნიკურ-მეცნიერული საშუალო. გერმანულიდან	
თარგმნა ლამარა ნაროუშვილმა	228
ჯარჯი უსოველი. განხილული განდებელი	228



მთავარი რედაქტორი
შოთა ნიშნიანიძე
 პ. მ. მდივანი
ნანა ღარჩია
 სარედაქციო კომპლექსი:
 მზია ბაქრაძე
 ბარბანა ბრეგვაძე
 ვურაჰ გომიანურილი
 მამალი თოდუა
 ნოდარ კაკაბაძე
 შინაილ კვანცელავა
 ზურაბ კიკნაძე
 ვახუშტი კორტიკიშვილი
 როზან შიშინოვილი
 ოთარ ნოდია
 ნიკო შიანაშვილი
 თაბაჯ ჩხანკელი
 დავით ვერაძიანი

«САУНДЖЕ»
 литературно-художественный альманах на грузинском языке № 3 1979
 Главная редакционная коллегия художественного перевода и литературных взаимосвязей
 Тбилиси улица Шалвы Дадвани, 2

კავლო კიკნასო, მხატვრის ვაჟიშვილის კორტატი კიმროს კოსტიუში
 მხატვრული რედაქტორი ლ. ცუსკირიძე. მხატვარი ა. ვართაგავა. ტექნიკური რ. იმნაიშვილი
 გადაცემა წარმოებას 15/III-79 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/VI-79 წ. ქალაქის ზომა 70x108¹/₁₆. სააღრ.-სავაჭომ. თაბახა 19.25. ნაბეჭდი თაბახი 21. ტირაჟი 10.000. შეცვ. № 319.

ფასი 1 მან.

საქართველოს სსრ გამსახკომის საგამომცემლო-პოლიგრაფიული გაერთიანება «განათლებლ.-კომბინატი, მარჯანიშვილის ქ. № 5.
 Комбинат издательско-полиграфического объединения «Ганатлеба» Госкомиздаты Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

ქრისტიან პინო

ვარსკვლავი ბალიაში



ქართული
ლიტერატურის
საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

ზღაპარი

ფრანგულიდან თარგმნა მანია ნათაძემ

პინოს ზღაპარი

საფრანგეთის ფინანსთა და სავაჭრო საქმეთა ყოფილი მინისტრის (1945—1958) ქრისტიან პინოს ზღაპრები ჩვენი დროის ფრანგული ლიტერატურული მოზაიკის ერთ-ერთი ექსპრესიული მონაკვეთია.

პინოს ზღაპარი არ ჰგავს ხალხურს არც მორალით, არც აგებულებით, არც სტილით. სულსკვეთებით ეს ზღაპარი მე-20 საუკუნის ევროპელი პუმანისტი ინტელიგენტის ქმნილებაა; გვაგონებს ოსკარ უაილდის, ანტუან დე სენტ-ექზიუპერის ზღაპარს, რეი ბრუდ-ბერის ფანტასტიკას; მისთვისაც, ექზიუპერის სიტყვით რომ ვთქვათ, ერთადერთი „ფუფუნება“ ადამიანურ განცდათა და ურთიერთობათა ფუფუნებაა.

ფორმით პინოს ზღაპარი თანამედროვე ფრანგული ლირიულ-ფილოსოფიური ან ფსიქო-ლოგიური ნოველაა—ავტორი-მთხრობელის მკვეთრად გამოხატული პოზიციის და განმარტოვებული რემარკების შემცველი, ფსიქოლოგიურად შეკრული ელემენტური კომპოზიციის მქონე, არ მიჰყვება ხალხური ზღაპრის სტაბილურ სტრუქტურულ ფორმულას—არ შეიცავს ტიპიურ ორწევრიან კოლიზიას და პერსონაჟთა ჯგუფებს, არ იმეორებს ტრადიციულ კომპოზიციურ ხერხებს და სიუჟეტურ სულებს.

„არაზღაპრულია“ პინოს ხელწერაც; იგი წერს დახვეწილი ლიტერატურული ენით, არ მიმართავს ხალხური თხრობის დამახასიათებელ არც ერთ სტილისტურ ხერხს—ჰიპერბო-ლურობას, სტაბილურ სიტყვიერ ფორმულებს, ხალხურ გამოთქმებს, დიალექტიზმებს, ფარ-გონს, თხრობა მიმდინარეობს აფექტაციის და პათოსის გარეშე, კინემატოგრაფიული სიცხა-დით, მეტწილად იუმორის ტონში.

იუმორის შექმნის ერთ-ერთი საშუალება პინოსთვის არის პერსონაჟის, სიტუაციის, განწყობილების შეუფერებელი სტილით ხატვა, ლირიულისა და დრამატიულის—ხაზგასმით საქმიანით, ხან მშრალითა და ოფიციალურით; კომიკურისა—ლირიულით ან პათეტურით, სადასი და ჩვეულებრივის—მეცნიერულ-ინტელექტუალური, ზოგჯერ ამაღლებული სტილით...

იუმორით ეკადება პინო თვით ზღაპარს, როგორც ჩანს, მსოფლიოს ყველა სხვა მწიგნობრისაგან განსხვავებით.

მთარგმნელი

ეს ვარსკვლავი მოწყდა, გაიელვა, ნაპერწკლები გაიყოლა და ლამეში შთაინთქა.

მარკი ჯერ არ იყო იმ ხნის, როცა მოწყვეტილი ვარსკვლავის დანახვაზე გული ავიძვრებდა, რაღაცას ჩაუთქვამ, მერე მთელი ლამე ფხიზლობ და ისევ იმ ოცნებას დასტრიალებ. ვარსკვლავთცვენა უყვარდა, როგორც ზოგს შუშბუნები უყვარს იმისთვის, რომ ლამაზად ანათებენ ცას.

ქ. ვარსკის საბ. საბ.
სა... აბ. ლეფიფო
რ. ს. გლ. უკი
ბიბ. ირს...



— რა ახლოს ჩავვიარა! — უთხრა მარკმა გილენას, რომელიც ამ დროს სულ სხვა ოცნებას გაეტაცა.

— არა, — თქვა გოგონამ, — ისე მაღლაა, ვერასოდეს შესწვლავი.

— ვერც აეროსტატით?

— ვერა!

— არც არასოდეს მოუხდება მიწასთან მოსვლა?

— არა, ვარსკვლავებს არაფერი უნდათ.

— შენ რა იცი? — წაიბურტყუნა ეჭვით მარკმა და მხრები აიჩემა. იფიქრა, ჩემს დას ფანტაზია აკლიათ.

ამ დროს კიდევ ერთმა ვარსკვლავმა გაიელვა და ცის კიდეს მიეფარა.

— სულ პატარაა! — თქვა ბიჭმა.

გილენამ არ უპასუხა. ცდილობდა ჩაეთქვა თავისი ნატვრა, სანამ ვარსკვლავი ჩაქრებოდა. მარკის ნაბიჯების შარიშურმა ხრეშიან ბილიკზე გილენა სინამდვილეს დაუბრუნა.

— მე მგონი, შენი ძილის დროა, შეახსენა ძმას.

— მოიცა, რა! კიდევ ერთს შევხედო, მხოლოდ ერთს!

სწორედ ამ დროს პაწაწინა ვარსკვლავმა მორკალა ცა და თითქოს წამით შეუკოვნდა და-ძმის თავზე.

— გვემშვიდობება! — აღტაცებით შესძახა მარკმა.

მეორე საღამოს გილენას სხვა თანამგზავრი გამოუჩნდა და მარკი მარტო სეირნობდა ბაღში. ხელში პეპლის საჭერი ეჭირა.

— ამ ღამეში პეპლებს რა უნდათ! — უთხრა დედამ, — ჯობს დილით სდიო.

მარკს კი სულ სხვა რამე ჰქონდა გულში! შშობლებს ვერაფერს გაუმხელდა; აქოდა, ბევრი წიგნი წაგვიკითხავსო, ჰგონიათ, ყველაფერი იციან, მაგრამ წიგნებიდან აბა რას ისწავლის კაცი!

აგვისტოს ღამეში ღამე იყო, ახალი მოვარე საღამო უდარდელად მისდევდა მზეს. სურხელთვანი პელიოტრობებით და პეტუნიებით შემკული ხეივნების განათება კი უთვალავი ვარსკვლავისათვის მიენდო.

მარკი ვერ ამჩნევდა ვერც ყვავილებს, ვერც ბუჩქებს, ვერც ატმით, ნუშით, ქლიავით დახუნძლული ხეებს სილუეტებს. ხედავდა მხოლოდ მოკრიალე-ბულ უღრუბლო ცას, ირმის ნახტომით გადასერილს. გილენამ ასწავლა, როგორ იცნოს ჩრდილოეთის ვარსკვლავი დიდი დათვის კუდის გაყოლებაზე, სხვა ვარსკვლავებს კი მაინცდამაინც ვერ არჩევდა.

„აგერ კიდევ ერთი!“ მარკმა მოიმარჯვა პეპლის საჭერი, მაგრამ ვარსკვლავი მეტისმეტად შორს იყო! ეგებ სერზე თუ ავა?...

ბიჭი გავიდა ბაღიდან. გადაჭრა გზა, გადაირბინა პატარა ხიდი და ღელეს გადაღმა ფერდობს შეუყვია. თხილის ბუჩქებს ბილიკის თავზე თალი შეეკრათ და ვარსკვლავებს ფარადხენს. ჰხელში გარემო შეცვლილი ეჩვენა. შიში შეეპარა, თუმცა ამ ბილიკით ბევრჯერ ევლო. ძლივს მიიკვლევდა თღობილოდ გზას — ბორძიკობდა, ფეხებს ჭინჭარი უსუსხავდა, მაგრამ პეპლის საჭერი საიმედო იარაღად ეჩვენებოდა, რომელიც ყველა განსაცდელისგან დაიხსნიდა.

მოულოდნელად თხილნარი უკან დარჩა და გახარებულმა მარკმა თავისი მეგობარი ვარსკვლავები ისევ დაინახა. ერთი რამ ვერაფრით ვერ გაეგო —

როგორ მოხდა, ამ სიმაღლეზე ამოვიდა, ვარსკვლავები კი ისევ ისე შორს ციმციმებდნენ? ბავშვის წარმოდგენა ვერ სწვდებოდა სამყაროს უსაზღვრობას.

მალიდან საოცარი სანახაობა გადაეშალა — ცის კამარა უხვად იფრქვევდა თავის მშვენიერებას. ვარსკვლავები წამდაუწუმ წყდებოდნენ ცას, კვეთდნენ ერთმანეთის კვალს და ნაპერწკლებს ყრიდნენ.

— ციციხათელებს დასდევ, არა? — ჩამოსძახა ვაშლის ხის ხმელი ტოტიდან ბებერმა ბუმ.

ხომ გაგიგონიათ, ბუ ბეცია — ვარსკვლავებს ციციხათელებისაგან ვერ ანსხვავებს. მარკმა მხრები აიჩეჩა.

— ღურგალი ადემარი დამპირდა, შენს პეპლის საჭერს ისეთ გრძელ ტარს გავუკეთებ, ცას მისწვდებაო.

— მოიცა, ხელებს ნუ იქნევ, თვალს ამომთხრი! — გაუჯავრდა ბუ, მაგრამ მარკი კიდევ უფრო აფორიაქდა.

— აგერ, აგერ, ის არის, ის! — პატარა ვარსკვლავი დაინახა, წუხელ ასე ნახად რომ დაემშვიდობა. ნამდვილად იცნო! სწორედ ისაა! ჰო, სულ ახლოა, ციმციმა და ერთი ბეწო!

პატარა ვარსკვლავმა მოკალა ცა, მაგრამ დიდ მნათობებში კი არ მიიმალა, უცებ გზი იცვალა და ნელა დაიწყო დაშვება სერისაკენ. ჯერ ერთხელ გადაუფრინა მარკს თავზე და ნაპერწკლები შემოაყარა, თითქოს თვალს უკრავსო, მერე მეორედ, მესამედ, ბოლოს სულ ახლოს ჩაუფრინა და ბიჭმა იგრძნო — რალაცამ დაუძძიმა ცისკენ აწვდილი ხელი. პეპლის საჭერში მოწყვეტილი ვარსკვლავი იდო.

მარკი გულაძგერებული დაეშვა ფერდობზე. თხილის ბნელ ხეივანს ახლა მჭრქალი შუქი ეფინა, რომელსაც ცისფერ ბადეში გახვეული ვარსკვლავი ასხივებდა. ვარსკვლავი უშფოთველად, მშვიდად იწვა, თითქოს ცის შორეულ გზებზე დადლილი ახლა სიამოვნებით ისვენებდესო.

სად გადავმალო? როგორ მოვახერხო, სულ ჩემთან იყოს? — ეკითხებოდა თავის თავს პატარა ბიჭი.

უკვე ღელავდა, როგორც ღელავს ყველა, ვინც განძი იპოვა და ცდილობს სხვისი ხარბი თვალისაგან დაიფაროს. თუ საჭირო გახდა, მარკი თავგამოდებით დაიცავს თავის საუნჯეს!

ბაღში რომ შევიდა, გზის პირებზე ჩამწკრივებულმა პეტუნებმა ფურცლები გაშალეს — ეგონათ, უკვე ირიჟრაჟათ. პელიოტრობები საცეცხლურივით გადაქანდ-გადმოქანდნენ და ტკბილი სურნელება დააფრქვიეს.

საბედნიეროდ, მარკის დაბრუნება არავის შეუნიშნავს და მშვიდობით აიტანა თავის ოთახში ვარსკვლავიანი პეპლის საჭერი.

ოთახი გაკაშკაშდა, თითქოს ელექტრონის ნათურა აანთესო.

რა ქნას? როგორ გააჩეროს ვარსკვლავი თავისთან, თუ გაფრენა მოინდომა? ან რანაირად დაუმალოს უფროსებს, როცა ოთახში შემოვლენ, დახედავენ, როგორ სძინავს ბავშვს, კარგად თუ ჰხურავს საბანი, ღია ხომ არ დარჩენია დარბები?

უცებ მარკმა ცარიელ გალიას მოკრა თვალი. აქედან გაჩაფხულზე თავისუფლებისმოყვარე კოლიბრი გაუფრინდა. ბიჭმა ფრთხილად ჩასვა გალიაში

თავისი ტყვე. ვარსკვლავი ისეთი ცხელი იყო, ღამის თითები დასწვა. გალიას მუქი ნაჭერი გადააფარა. ამ ნაჭრით ჩიტს ხელოვნურ ღამეს უქმნა და ხოლმე და სიმღერას უხშობდა.

— ღამე მშვიდობისა, პატარა ვარსკვლავო, — ნაზად დასაძინებლად მოემზადა.

იმ ღამით არც დედას, არც გილენას არაფერი გაუგიათ.

ღარაბები უხმოდ გაიღო და ოთახში ვარსკვლავების კაშკაშა შუქი შემოიჭრა. ცაში დადი მღვლეარება იგრძნობოდა, თუმცა უცხო თვალი ვერაფერს შეამჩნევდა. მნათობთა გზა და ადგილი ცის ტატნობზე ხომ ისე მკაცრად არის განსაზღვრული, მისი ოდნავი შეცვლაც არ შეიძლება. მაგრამ ცისკრის ვარსკვლავი მაინც უჩვეულოდ ვარდისფრად კრთოდა, მარსი ისე ელაგდა, თითქოს საცაა საომარ ბილიქს დაადგებოთ, დიდი დათვი თავისი ლურჯი ეტლით იღუმალ ლეგიონებს მიაქროლებდა. ვარსკვლავთცვენაც გახშირდა. მღუმარედ წყდებოდნენ ვარსკვლავები ირმის ნახტომს და შავ სივრცეში იკარგებოდნენ.

ნაშ რა იქნებოდა! ყველაზე პატარა ვარსკვლავი ხომ ტყვედ ჰყავდათ, ჩიტის გალიაში გამომწყვდეული.

ღია ფანჯარას ცეცხლის ბურთმა ჩაუქროლა, მერე მეორემ... ოთახში თითქოს მცხუნვარე შუადღე შემოიჭრა.

ჩაბნელებულ გალიაში მოკალათებულ პატარა ვარსკვლავს ტკბილად ეძინა. მარკს მისი ნაზი ფშვინვაც კი ესმოდა.

რიერაეზე ცა დამშვიდდა, ვარსკვლავები დაშოშმინდნენ, ღარაბები ისევ თავისით მიიხურა.

დიდ ცაცხვზე სახლის წინ ჩიტები აჭიკჭიკდნენ.

მარკს უთენია გაელვიძა, გალიასთან მიიბრინა და მუქი ნაჭერი გადააძრო. ვარსკვლავი ისევ იქ იყო, მაგრამ წუხანდელივით აღარ ბრწყინავდა. „არაფერია, დღისით აბა რომელი ვარსკვლავი ანათებს?! — თავი დამშვიდა ბიჭმა, — ღამე ისევ აკაშკაშდება, ოღონდ არავინ მიაგნოს!“ გალია სათამაშოების ყუთში ჩადგა. აქ ისეთი არეულობა იყო ხოლმე, რომ უფროსებს ჩხრეკვის ხალისს უკარგავდა. მერე სანაარეულოში გაიქცა სასაუზმოდ.

— ხელები რამ შეგიღება? თითქოს ოქროში ამოგველოს? — ჰკითხა გილენამ და ფინჯნით ყავა მიაწოდა.

მაღე მთელი ოჯახი მარკის ხელებს დასცქეროდა. ბავშვმა მშვენივრად იცოდა, რამ გაუჩინა ოქროს ლაქები, მაგრამ მთელი ქვეყნის სათამაშოებს არ ანაცვალებდა ამ საიდუმლოს.

ნაკადულის ქვიშაში თუ მომეცხო რამე, — უხალისოდ წაიბურტყუნა მარკმა.

— როდის?

— წუხელ, სანამ ჩემს ოთახში ავიდოდი.

— აკი ვითხარი, მზის ჩასვლის შემდეგ წყალს არ გაეკარო-მეთქი!

მარკი ღუმდა. მამას, საბედნიეროდ, საკითხი სხვა კუთხით წარმოუდგა.

— თუ ღელეში ოქროა, გავმდიდრებულვართ! — უთხრა ცოლს.

— წავიდეთ, ახლავე ვნახოთ! — შესთავაზა გილენამ.

მაღე ყველანი, ფეხშიშველნი, ნაკადულში იდგნენ, წყალს ამღვრევდნენ და კალმახებს აფრთხობდნენ.

მარკი შეუმჩნევლად აიპარა ოთახში და სათამაშოების უწყურობა შეაფასა. ძლივსღა იცნო თავისი ვარსკვლავი. რა დამართნია! ბნელ საბუდეში სხივს სოკოს ვავდა.

ეს დღე დღევით იყო სავსე. ბიჭი შეკითხვებით გააწამეს, ის კი თავისას არ იშლიდა, ხელები ქვაშამ შემიღებო.

როგორც იქნა, დაღაძდა. მარკს ერთი სული ჰქონდა — როდის დარჩება მარტო, რომ გალია ამოიღოს და თავის ვარსკვლავს სუფთა პაერი ასუნთქოს! ვარსკვლავი წელანდელზე უფრო ანათებდა, მაგრამ მაინც ძველებურად აღარ ბრწყინავდა. ჩაკეტილში ყოფნამ სხივი ჩაუჭრო.

შუალამეს ქარმა დაბერა. დარაბები ისევ თავისით გაიღო და ოთახში ცის მნათობთა მღელვარება შემოიჭრა.

ფანჯარას ცეცხლის ბურთმა ჩაუჭროლა, მერე მეორემ, მერე პირველი ბურთი დაბრუნდა და რაფასთან გაჩერდა, თან აუტანელი მცხუნვარება მოიტანა.

— ბიჭო, — თქვა ცეცხლის ბურთმა, — ჩვენი პატარა შვილი დაგიჭერია და ტყვეობაში კლავ. ვარსკვლავს აუცილებლად სჭირდება ღამე და სიურცე.

— პატარა ბიჭო! — უთხრა მეორე ცეცხლის ბურთმა, — ნუთუ შენც იმ დიდებს მიბაძავ, გალიაში რომ ამწყვდევენ ყველაფერს, რაც უყვართ — ჩიტებს, ვარსკვლავებს, ოცნებებს? ნეტა რა სიხარულს მოგიტანს პატარა ვარსკვლავის ტანჯვა?

— ბიჭიკო! — ისევ დაიწყო პირველმა ბურთმა, — გააღე გალია, საინამ გვიანი არ არის. განა არ უშველიდი თევზს, ნაპირზე უწყლოდ რომ კვდება? გულქვა თამაშს ნუ ეჩვევი!

მარკს გაეღვიძა. ცეცხლის ბურთები გამქრალიყვნენ. ვარსკვლავები კი ისევ ხედიზედ წყდებოდნენ ირმის ნახტომს, ფანტასტიურ წრეებს ხაზავდნენ ცაში და ნაპერწყმებს ყრიდნენ. მარკს არასოდეს ენახა ასეთი კაშკაში ვარსკვლავები!

გადასაფარებელი ასწია. პატარა ვარსკვლავი ძლივსღა ბეუტავდა გალიის ძირზე.

მარკმა ამოიყვანა ვარსკვლავი გალიიდან, ნაზად მიეფერა და ფანჯრის რაფაზე დასვა. ვარსკვლავი დაჭრილი ფრინველივით შეფრთხილდა, მერე გაფრინდა. ბიჭმა თვალი გააყოლა მის კვალს. დიდხანს იდგა და გაჰყურებდა ცას, საიდანაც ვარსკვლავები თავის იდუმალ ენაზე მადლობას უთვლიდნენ.

ღელედან ხმაური მოისმოდა. აღამიანება წელში მოხრილიყვნენ და ნაკადულში ოქროს ეძებდნენ.



მინიატურები

რუსულიდან თარგმნა ცხალა ჩხეიძემ

გავფობის ვარსკვლავიანი საათები

რამ შემიქმნა ეს განწყობა, საიდან, რატომ? „დასავლეთით, თივის ზვინებში ისე მოჩანდა მთვარე, როგორც გამჭვირვალე ყინუარშაქარი. დიდი დათვის თანავარსკვლავედის გრძელი კუდი მიმცხრალი აღმოსავლეთისაკენ დაშვებულიყო. არეშარე ნამს დაეცვარა, თბილოდა და ნესტიც იგრძნობოდა. მდინარის ნაპირებთან ნეტარებით კუთავდნენ ბაყაყები...“

როდის ვნახე და ვიგრძენი ყოველივე ეს? თვალწინ დამიდგა ჩემი სოფლის სანახები, ზაფხულის ღამეული ხმები და ამ ღამეში მდინარის პირას — ჩემი თავი ფეხშიშველა, გამოუძინებელი, მაგრამ ბედნიერა, რაკი სათევზაოდ მივდიოდი. მხარზე მისხლტოდა სველი ნიჩაბი (იგი მთელი ღამე ბალახში ეგდო), მეორე ნიჩაბი ჩემს ძმას მოჰქონდა და ვეშვებოდი მდინარისაკენ, სადაც ფლატის ძირას, ხეთა ჯერ ისევ ბინდით მოცულ მყუდროში, ნელა ირწეოდა ნავეები და მოლამუნე ტალღა რბილად უტყლაშუნებდა მათ გაფისულ ფსკერს. ფეხშიშველა მივაბიჯებდი ნოტიო ქვიშაზე და ვხედავდი, იქვე უღლიანთან როგორ ციმციმებდა წყალი განთიადის ვარდისფერ შუქზე.

და ეს ადრიაანი ზაფხულის დილა დღემდე მაგონებს სხვა სიხარულს, თითქოსდა მომადლებულს ამ მდინარის, რიჟრაჟის, ხეებისა და გრილი ქვიშის წყალობით: წითელფარფლები, ლონიერი, ნახევარი მეტრის სიგრძე იდა თევზები, მდინარის სიღრმეთა ეს მრგვალოვალება, თქროსფერი ჯავშნით შემოსილი ღამაში რაინდები აწყვეტას ღამობდნენ წინა ღამეს დაგებული ანკესებიდან, გვებრძოდნენ, ხელიდან გვისხლტებოდნენ. მერე იწვნენ ნავის ფსკერზე, მაგრად ატყლაშუნებდნენ კუდეებს, და რაღაცნაირი წმიდათაწმიდა ალტაცება მიპყრობდა ამ ტყვედქმნილი სილაამაზის მაცქერალს, ვისუნთქავდი შლამის პირველქმნილ სუნს, მორევის წყვდიადით განზანული კუნძების სუნს, სადაც სულ ახლახან მეფობდნენ ეს სქელზურგა და თავდაჯერებული წყლის მბრძანებლები.

მონადირის ნეტარი გრძნობა არაერთხელ განმიცდია ბავშვობაში და ყოველთვის აღუესია ჩემი გული გამარჯვების ზეიმით. ვინ იცის, რა დროს უძველეს წინაპართა გზნება პფეთქდა ჩემს სისხლში და მახსენებდა ვაჟკაცურად დროს, როდესაც თვით არსებობა კაცთა მოდგმისა და მოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენად გაუმართლებდა ნადირობა საარსებო საზრდოს მოსაპოვებლად.

მაგრამ მე მაინც მაშინ ნეტარებას მგვირდა არა მოპოვება საზრდოსი, არამედ ამ ცივი და მკვრივი წითელფარფლებს თევზების სილამაზე, და ეს არ იყო ჩემს ბავშვურ შეგნებაში ისეთი რაღაც, რასაც საჭმლის გემო და სუნის პქონდა და ადამიანის სიცოცხლის გასაგრძელებლად იყო საჭირო. ვიყავ მართოდენ აღტაცებული და განცვიფრებული ამ ცოცხალი ოქროს ზოდებით — მდინარის მიუწვდომელი იდუბალების ამ ზღაპრული ნიშნებითა და მთელი იმ ზაფხულის დილის მშვენიებით...

რად ჩამრვართვი ხელი?

დილით, წვერს რომ ვიპარსავდი სარკის წინ, მოულოდნელად შევამჩნიე, რარიგ ჩამკრთობია ფერი, რამდენი ნაოჭი გამჩენია თვალებთან, რა სიყვარულით უღიმიან თითქოს ვიღაცას ჩემი თვალები და უსიამოდ დავიღრიჯე-გამახსენდა, როგორ შევეფეთე გუშინ ლაბორატორიის კარებში ერთ ახალგაზრდა იბღლიან პროფესორს, რომელმაც ისე სწრაფად მოიხევეჭა მეცნიერის სახელი, მართლა გასაკვირი და აუხსნელი იყო. დიდი ჰკუა-გონებით არასოდეს გამოირჩეოდა, მაგრამ საკანდიდატო დაიცვა, სადოქტოროც თითქმის მზად პქონდა და თავის კბილა თანამშრომლებს ანცვიფრებდა, რა სწრაფად დაწინაურდა და უფროსების გულის მოგების რა ნიჭი პქონიაო.

ერთმანეთი არ გვიყვარდა, უგემურად ვესალმებოდით შორიდან, არც იმ წუთში გაგვხარებია ერთიმეორის ნახვა, როდესაც კარებში შევეფეთეთ. მაგრამ დამინახა თუ არა, პირისახეზე ბედნიერი ღიმილი მოეფინა, მყის გადაიბადრა სიხარულითა და აღტაცებით ამ მოულოდნელი შეხვედრის გამო, ხელი მაგრად მომიჭირა და მითხრა:

ძალიან, ძალიან მიხარია თქვენი ნახვა. სწორედ ამ დღეებში გადავიკითხე თქვენი დიდებული სტატია ანტარქტიკაზე და გული დამწყდა, მე და თქვენ ერთად რომ არ ვმუშაობთ ამ საკითხებზე!

ვიყოდი, რომ ტყუოდა, ვინაიდან სულ არაფერი ესაქმებოდა ჩემს ნაშრომთან. მინდოდა ცივად გადამესადა მადლობა, როგორც ზრდილობის წესი მოითხოვს, მაგრამ მეც გადამეფინა სიხარულის ღიმილი და ისე დიდხანს ვართმევდი ხელს, რომ მომეჩვენა, თითქოს მისმა დამფრთხალმა თითებმა წამით სკადეს კიდევაც ჩემი თითებიდან გასხლტომა. მე კი მაინც არ ვეშვებოდი და სულმთლად გაბედნიერებული ვეუბნებოდი:

— გავიგე, სადოქტორო დაგიწყიათ? დიდებულია, დრო არ გაუშვათ, ფრიად მომწონს თქვენი შეუპოვრობა. პროფესორო!

არ ვიცი, რა იყო ჩემს თავს, რად ვამბობდი ამ ღირფ სიტყვებს, თითქოს

ვიდაცის ნაკარნახევს იმ წუთს, და ვგრძნობდი, პირისახეზე მეც დაშოქრული ღიმილი გადაშთენოდა.

და ის შეგრძნება, თუ რა ფინისაკით შევციცინებდი, რარიც გაუთავებელიც ვართმევდი ხელს, არ მშორდებოდა მთელი დღე, ყურში მედგურებდა ჩემი პოდა, ვიჭმუხნებოდი, კბილებს ვალრჭიალებდი, ყოველნაირად ვცდილობდი და ვწყევლიდი იმ სულ სხვა ადამიანს ჩემს არსებაში, ვის წინაშეც ასე უძლური იყო ზოგჯერ ჩემი გონება და ნებისყოფა.

რა იყო ეს? თავდაცვა? კეთილგონიერება? ქვეშეცნეული მონური გრძნობა? განა ეს ახალგაზრდა პროფესორი ჩემზე ნიჭიერი და ჭკვიანი იყო? არადა, ჩემი ლაბორატორიის გამოკვლევების გარეშე იგი ხომ ვერაფერს გახდებოდა. მაშ რატომ ვართმევდი ხელს ასეთი ავხორცული ნეტარებით იმ კარიერისტს და რად ვეუბნებოდი იმ ღირფ სიტყვებს?

დილით, წვერის პარსვისას, ჩემს პირისახეს რომ დავაკვირდი, უცებ გამაცოფა სარკეში დანახულმა ამ ახლობელმა და საძულველმა კაცმა, ვისაც ასე ემარჯვებოდა თვალთმაქცობა, პირფერობა და სულმოკლეობა, თითქოსდა იმედი ჰქონდა, რომ ორ სიცოცხლეს განვლიდა და თვითველ გასასვლელ კართან ამქვეყნიური სიცოცხლის ყველა ვადას დაიბეგებდა.

ქ ვ რ ი ვ ი

საბანკეტო დარბაზში ისმებოდა სადღეგრძელოები, იცლებოდა ღვინის ჭიქები, ლაბლაპი გაუდიოდა ოფლიან, აღზნებულ სახეებს, ხმაური თანდათან მატულობდა, თითქმის ახშობდა ბრტყელ-ბრტყელ მისასალმებელ სიტყვებს. ახლა აღარ ისმოდა, რას ამბობდნენ და ვისზე ამბობდნენ, ვინაიდან, როგორც ყველა საიუბილეო ბანკეტზე ხდება, დადგა ის წუთი, როდესაც ზეიმის გმირი უკვე აღარაა საყოველთაო ყურადღების საგანი.

წამოსასვლელი ვიყავი და გაბოლილი დარბაზიდან შეუმჩნეველად გამოვედი დაცარიელებულ დერეფანში. დახუთული დარბაზის მერე აქ გრილობდა და სიჩუმე იყო. უცბად მარმარილოს ფართო კიბესთან დავინახე ხმელ-ხმელი, ძაძვებში მოსილი ქალი, მკლავებსაც კი გამხდარ იდაყვებამდე შავი ხელთათმანი უფარავდა. მეტადრე უცნაურად მოგხვდებოდა თვალში შავი ფართოფარფლიანი შლაპა, ოციან წლებში რომ იხურავდნენ; თითქმის არ უჩანდა ხმელ-ხმელი, ფერმიხდილი პირისახე და უსიციოცხლო თვალები... მე არ დავუნახივარ, ნელა მიაყოლებდა მარმარილოს მოაჯირს სუსტი ხელის მტევანს და კიბის სარკეებში ისე ისახებოდა, ვით რისხვის ნიშანი ამ მარმარილოს დარბაზში, სადაც კიბეებზე ხალიჩები ეფინა, ბროლის ჭაღები ეკიდა, ხოლო ზემოდან მზიარული ყრუ ხმები ჩამოდიოდა.

მივესალმე, მაგრამ ქალმა ვერც ახლა შემამჩნია, მისმა გაყინულმა თვალებმა ვერაფერი აღიქვეს. უთუოდ ნასვანი იყო, რადგან ქვემოთ უცებ წაბარბაცდა და წამით შეჩერდა მოაჯირთან. თავდახრილს შლაპის ფარფლებმა სულ დაუფარა პირისახე. ასე იდგა რამდენიმე წუთს, იდაყვით მიეკრა ფერდზე მძივით ამოქარგული პაწია ჩანთა. ეს ქალი იყო ქვრივი დიდი მეცნიერისა, ჩვენი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ყოფილი დამაარსებლისა და დირექტორის, ვისი ადგილიც ამ სამი წლის წინათ დაიკავა მეორე მეცნიერმა,

მასზე ნაკლებ ცნობილმა, მაგრამ უფრო იღბლიანმა, მარჯვემ და თამაშმა. სწორედ მისი ორმოცდაათი წლის იუბილეს სემობდა დღეს ინსტიტუტი.

შე არ დამინახავს ეს ქალი მაღლა, სადაც სიტყვებს წარმოთქვამდნენ, სვამდნენ, იცინოდნენ, ჰკოცნიდნენ ზრდილ, თავაზიან, თანადად დახვეწილი იერის მქონე იუბილარს, სადაც ერთხელაც კი, თუნდაც გაკვირვით, არავის უხსენებია ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი, ვისმა ქედმოუხრელმა შრომამ და შეუპოვრობამ მთელ ევროპაში სახელი და წონა მოუპოვა ინსტიტუტს. და წარმოვიდგინე, თუ რა გულისტკენა განიცადა საბახკეტო დარბაზში ამ ქალმა, რომელიც ალბათ ვიღაცამ მოიწვია, თუმცა უკვე ყველასთვის შედმეტი იყო, მისი ქმარივით აღარავის ახსოვდა, და რომელიც, კიბეზე ბორძიკით ჩამავალი, ახლა ისევ თავის სიმარტოვეს უბრუნდებოდა, უნუგეშოსა და გამოუსწორებელს.

მერე წარმოვიდგინე, როგორ შევა გამოცარიელებულ ბინაში ეს საცოდავი, ატირებული ქალი, შევა ქმრის კაბინეტში, სიჩუმის, მოგონებათა და უმწეობის ამ საუფლოში, სადაც გაბატონებულა „სამარადისო არყოფნა“ მისი ხმისა, მისი თვალებისა, მისი თბილი სხეულისა, და დაობლებულ წიგნის თაროებს თვალს რომ მოავლებს, დაემხომა დივანზე და ტკნობაშეპარული ტუჩებით ამ გულქვა, ამ სასტიკი ცხოვრების საყვედურს დაიჩურჩულეს.

მ ა ც ნ ა

ბანკეტის მერე შეზარხოშებული გავრბოდი ბინძური, პროვინციული ქალაქის ქუჩაზე, გავრბოდი ქოშინ-ქოშინით, გამალებით. სასოწარკვეთილი ვგრძნობდი, რომ ვიგვიანებ მატარებელზე, რამდენიმე წუთიღა აკლდა მის გასვლას, ნე კი ჩვენსადანში ჩასალაგებელი მქონდა რაღაცები (რა უნდა ჩამელაგებინა ან რატომ?) და კიდევ ვიღაცისთვის უნდა გამოსერთმია ჩემთვის უკვე ნაყიდი ბილეთი...

ალაყაფის კარიდან კი ქუჩაში უხმაუროდ გამოდიოდა ჭილობგადაფარებული, ტალახით გაზინზლული ურმები; ხოლო უახლოესი ალაყაფის თაღქვეშ, ჩემკენ ზურგშექცევით იდგა კაცი, ვისი გასაოცრად სრული მუჭი წამოსასხამი მხრებზე დაკეცილ ფრთებს მაგონებდა, და ხელების ქნევით აძლევდა განკარგულებას კვიმატოვალეზა შეურმე გლეხებს.

უზომოდ გამახარა ამ ფართოზურგიანმა კაცის დანახვამ, — აკი მას უნდა ჰქონოდა ჩემი მატარებლის ბილეთი, აკი ადრე ამ კაცს კარგად ვიცნობდი: ოდესღაც ჩვენ ერთად ვიმოგზაურეთ ძალზე შორს, საზღვარგარეთ... შუა ქუჩაში შევჩერდი სულის მოსათქმელად. იგი მაშინვე მოტრიალდა. თურმე გარკვეული სახე არა ჰქონია, მაგრამ ჰქონდა რაღაც ისეთი, რამაც მიმანიშნა, მართლაც მასა აქვს ბილეთი, მანვე იცის ვაგონის ნომერი და ჩემი ადგილი მატარებელში.

მაგრამ ვინ იყო?

როცა ვერაფრით გავიხსენე საყოველთაოდ ცნობილი მისი სახელი, დაუძახე, ბარგის მოსატანად ქალაქის მეორე ბოლოში გავრბივარ, მატარებელზე მაგვიანდება-მეთქი. მას არაფერი უპასუხნია. შევეხვეწე, ჩემი ბილეთი მოეცა, შევემუდარე, ვაგონისა და ადგილის ნომერი მაინც მითხარი-

მეთქი (პასუხი არც ახლა გამცა). მერე, მისი ამ სახარელი სიმუნჯით გაოგ-
 ხებული, კვლავ გავიქეცი აღმართზე, გავიქეცი შემოდგომის ტალახში აწუნ-
 წუხებულ ქუჩაზე.

არ ვიცი, სად ვალაგებდი ჩემოდანს — სასტუმროს ნომერში თუ ქვრძო
 ბინაში, დახსოვს მხოლოდ, რომ მაგიდასა და იატაკზე დაყრილ ქაღალდებს დაჭ-
 მუქნულ ქაღალდებში ვაგროვებდი ჩემს ნივთებს, ფაცაფუცით ვსურთავდი
 ისედაც დატენილ ჩემოდანში. და მაინც სულ რაღაცა მავიწყდებოდა, ოთახ-
 ში მიმოფანტულ ქაღალდის ნაგლეჯებში ისევ და ისევ ვეძებდი დაეიწყებულ
 წვრილმანებს, უკვე მერაბდებოდ ვალეები უმსაგვსოდ გაბერებულ ჩემოდანს,
 თან მთვრალი კაცის შიშით ვფიქრობდი, მორჩა, ახლა კი მართლა დამაგვი-
 ანდა — მატარებლის გასვლას წამებიდა აკლია-მეთქი. მაგრამ რაღაც ძალა
 მაიძულებდა გაფაციცებით შეძებნა, ქათურის სიჯიუტით მეფათურებიან ხელი
 გროვა-გროვად დაყრილ ქაღალდებში, გამეხსნა ჩემოდანი, კვლავ დამეხურა,
 რათა მერე ისევ გამეხსნა.

რა მავიწყდებოდა? რა ნივთები? ვერაფრით ვერ გამიხსენებია. გონებაში
 მხოლოდ ეს ჩამჩნა: როდესაც ტყვიასავით მძიმე და თან თითქოს უწონო ჩე-
 მოდნით ხელში, საბოლოოდ განაწამებმა, გახეითქულმა, აქოშინებულმა, სად-
 გურზე მივირბინე, ბაქანი ცარიელი იყო. ირგვლივ სულიერი არ ტაჭანებდა.
 მატარებელი უკვე მიდიოდა და ვაგონების ყველა კარი მაგრად იყო დაკეტილი.
 დაბნეულმა მხოლოდ ერთადერთი ადამიანი დავინახე, წითელი ქუდი რომ
 ეხურა და წამოსასხამის შავი კალთები ფრთებივით გაეშალა. იგი ბაქნიდან
 ჩახტა განთავისუფლებულ ლიანდაგზე, სადაც ეს წუთია მატარებელმა გაიარა.
 იმ კაცმა გადააბიჯა რკინიგზის ისარს, მერე მოტრიალდა და სრულიად გულ-
 გრილად დააქნია დახვეული ალამი — არ ვიცი, მე დამიქნია თუ ჩემ უკან
 მდგარ ვიღაცას, ვისაც მე ვერ ვხედავდი — იმის ნიშნად, მატარებელი უკვე
 წაგიდაო.

აი, მაშინ ამ გაუკაცრიელებულ ბაქაზე, სადგურის მდუმარებით გაოგნე-
 ბულს, გამახსენდა გვარი და ხელობა ამ ცნობილი კაცისა, ვისთან ერთადაც
 ოდესღაც საზღვარგარეთ ვიყავი. ნუთუ სწორედ ის იდგა წელან ჰიშკრის თალ-
 ქვეშ ზურგშექცეული, ნუთუ მას ჰქონდა ჩემი ბილეთი და მას ეკისრა მატა-
 რებლის გამგზავრების თადარიგი, ახლა კი დაცარიელებული ლიანდაგიდან
 იძლეოდა ნიშანს ეს დროის მაცნე?

ამ კაცს სიცოცხლეში ვიცნობდი, იგი ათი წლის წინ გარდაიცვალა.
 და როცა დილით ჩემს თავს შევეკითხე, ნეტა რად გამომეცხადა-მეთქი
 ეს კაცი სიზმრად, როცა თანმიმდევრულად გავიხსენე, რა დუნედ და ზანტად
 ვმოძრაობდი იმ სულელური და აუხსნელი ფაცაფუცის დროს, ანაზღად ერთ-
 მა აზრმა გამიელვა თავში და ცივმა ოფლმა დამასხა.

ნუთუ ეს ნიშნავს, რომ ჩემი ყამი ჯერ არ დამდგარა და ვაგონისა თუ
 ადგილის ნომერი ჯერ არ იციან იმ უკანასკნელ სადგურზე?..

ს ა ლ ა რ ო ს თ ა ნ

გრძელ რიგში ვდგავარ და რკინიგზის სალაროს ვუახლოვდები, უკანიდან
 ხალხი მაწვება, ლამის ზედ მასხდებიან, კისერში მასუნთქავენ. მერე მინის
 მიღმა ელექტრონათურასთან გამოჩნდა თეთრი, წაგრძელებული პირისახე

თხასავით წვერით. იგი რალაცას მეუბნება, მე კი ვერ ვარჩევ ვერც ერთ სიტყვას, რადგან დავერუვედი (უთოდ გამიხსენა ჩემმა სიყრუემ, თმის შებღვრ რომ ვარგა ხანს გამყვა არტილერიაში ნაშსახურს). უკანიდან მოწოლილი ხალხის გაშთ ერთიანად მოგრეხილი, ზედ ვეკვრი სალაროს სარკმლის, მაგრამ კვლავ ვერაფერს ვიგებ.

უძლურად ვყვირი, ვილანძღები, აღშფოთებას გამოვთქვამ, მაგრამ არც მას ესმის ჩენი და არც მე შიამი. მერე ფერდში ლონიერად წამკრეს შუჯლუგუნნი და რიგიდან გამომაგდეს. ტლანქი ზურგები აწრილდნენ, შექანდნენ, შემქიდროვდნენ, კედლად აეფარნენ მოლარესა და სარკმლის შუქს.

ეს სიზმარი თითქოს გაგრძელება იყო პირველი სიზმრის, ორი დღის მერე დამესიზმრა და დილით კვლავ იმედიანად გავიფიქრე რადგან მატარებლის ბილეთი არ მომცეს, ალბათ ჯერ აღრეა-მეთქი ჩემი წასვლა...

მ დ ე ვ ა რ ი

ჩვენ ჩაბნელებულ შარავჩან მიფუყვებოდით შემოდგომის დადუმებულ მინდვრებში. ღამე იყო. ჩემი ცოლი ხელჩაკიდებული მომსდევდა, სიბნელეში ვერ ვხედავდი, მაგრამ ვგრძნობდი, რა მსუბუქად მოაბიჯებდა ფეხშიშველა ამ ფაფუკ მტვერში.

როდესაც უკნიდან ძრავის ხმა მომესმა, მივიხედე და ძალიან შორს, წყვდიადით მოცულ ველზე დავინახე ფარების შუქი — ეული სატვირთო მანქანა მოჰქროდა შარავჩაზე, გიჟური სისწრაფით გვეწვოდა. წამიც და, ფარების ყვეთელი შუქი დანის პირივით მოგვაბჭინა ზურგში. წინ გასტყორცნა ჩვენი უზარმაზარი დამაბინჯებელი ჩრდილები და ჩვენც ძლივს მოვასწარიო განზე გახტომა. ვეებერთელა მიძიმე შევმა მანქანამ გრუხუნით ჩაგვიქროლა, რკინის გააფთრებულ ურჩხულსა ჰგავდა. დარეტიანებულმა გავაყოლეო თვალი, სულს ძლივს ვითქვამდით, ვერ გაგვეგო, საიდან ან საით მიჰქროდა ასე გადარეულივით, საით მიიჩქაროდა. და უცებ მომეჩვენა: მანქანის შავმა სხეულმა ჩვენგან ას ორმოცდაათიოდე მეტრის მოშორებით სისწრაფე შეანელა, ფარების გრძელმა საცეცებმა სწრაფად მოაფათურა მინდორი, მანქანამ მარცხნივ გადაუხვია და, ჩემდა გასაოცრად, ისევ უკანვე გამობრუნდა. რატომ? ან საით?

იგი ვრიალ-ვრიალით გამოქანდა, ფარები ლახვარივით მომანათა თვლებში. თითქმის დავბრმავდი. თავზარი დამცა იმ აშმაგმაც, რომ ცუდად ვხედავ, იმანაც, რომ მანქანამ გზიდან გადაუხვია და მოჰქრის მინდორზე პირდაპირ ჩვენკენ, რათა ზედ შეგვდგეს, გაგვსრისოს, მოგვეკლას; მოჰქრის ისე, რომ გვერდს ვერ აუქცევ...

შიშისაგან ზარდაცემულები, დაბნეულები, თხრილში ჩაეცვივდით. მანქანა-მველეღმა ისევ ახლოს ჩაგვიქროლა ბორბლების გამაყრუებელი ღრჭი-ალით, ცხელი ქარბორბალა დაატრიალა. ვინ იჯდა შიგ? ჰკუაზე შეშლილი მძღოლი? ან იქნებ სულაც არავინ?

— გავიქცეთ! ჩქარა! ოღონდაც ჩქარა! — დავუყვირე ცოლს. უმაღ ვიან-რე, რომ მოვასწრებთ გაქცევას და ბნელ მინდორზე მიმალვს, ვიდრე მანქანა არ მობრუნებულა, ვიდრე ისევ არ ვუბოვივართ, არ გავუნათებთ ვართ თხრილში დამალულნი.

ხელი დავტაცე ცოლს, ამოვათრიე თხრილიდან და გავიქეცილ. ფეხი გვივარდებოდა ორმოებში, გეცემოდით ნაწვერალში და მაინც გავრბოდით, მაინც ვცდილობდით თავი შეგვეყარებინა ამ უსასრულო ღამის წვდიადისთვის.

უეცრივ ნაწვერალი გათავდა. ახლა უკვე სველ ბალახში გვეფლოქმოდუ, გვებლანდებოდა ფეხები, ბალახი წელამდე გვწვდებოდა. უკვე ძალიან გვიჭირდა სირბილი, სული გვეხუთებოდა, მთლად გასავათებული ცოლი გასხლტომას ღამობდა ჩემგან, მე კი ისე გამწარებით ვუჭერდი ხელს, რომ საბრალოდ დროდადრო ტკივილისაგან შეჰკივლებოდა.

ჩვენ გავრბოდით შემოდგომის ღამის ამ ჯოჯოხეთურ უდაბნოში, უკიდვგანო ბნელ უფსკრულად რომ ქცეულიყო და ჩვენ გვიფარავდა. და ანახლად ვიგრძენი, რომ ხსნა არ არის. კეფაში თითქოს სასიკვდილო ცხელი ნესტარი ჩამესო, მიხდოდა შუქმა გაანათა, აწრიალდა ჩვენი წავრძელებული ჩრდილები, ძრავის ძლიერი ღრიალი სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდა, გვეწეოდა, გვაყრუებდა. უკვე მოახლოებული მანქანა ხტუნვა-ხტუნვით მოგორავდა, ქშინავდა, გვასუნთქავდა გავარვარებული რკინის ოფლის სუნს.

უკან მოვიხედე და მივხვდი, რომ ეს აღსასრულია. მომეჩვენა, რომ სატვირთო მანქანის დამიხნებული ფარები გააფებული თვალეხია, ნკვლელობის ეინით ანთებული და ამღვრეული, სხვათა ტანჯვასა და ადამიანის სისხლს მოწყურებული. „სად მინახავს ეს? ან რა არის? — გამიელვა თავზარდაცემულს. — მანქანა? მძღოლი-მკვლელი? თუ სხვა პლანეტიდან მოსული სისხლისსმელი?“ მანქანა კი მოჰქროდა ჩვენკენ, ფარების ჯოჯოხეთური შუქი ცეცხლივით წვავდა ყველაფერს, მიწა გუგუნებდა ირგვლივ.

ბოლო წუთს გავიგონე, რა საწყალობლად შეჰკივლა ჩემ უკან ცოლმა, როგორ წაიქცა; ერთბაშად შემძრა სინაზისა და შიშის გრძნობამ, ტალღასავით დამიარა მისი დაცვის სურვილმა, ხელი ჩავავლე და, უმწეოდ ასლუკუნებული, ისეთი ძალით, ისე ღონიერად წავათრიე გასლიბულ ბალახზე, რათა იმ მონაკვდინებულ შუქს, იმ საშინელ თვალეხს ამეცვლინა, რომ თვითონაც თითქმის გონმიხდილი წავიქეცი. მაგრამ იმავ წამს თავზე თმა ამეშალა, პირისახე აღრქიალებულმა ქარაშოტმა დამიწვა, როცა ლოყასთან სულ ათიოდე სანტიმეტრზე უზარმაზარმა ბორბლებმა ჩამიქროლა, შეემა სხეულმა წამით თითქოს გაჰკვეთა ღამის წყვდიადი. „ახლა კი მორჩა, — გავიფიქრე. სულს ძლივს ვითქვამდი, ძლივსღა ვსაზრობდი. — ახლა მას სჯერა, რომ გავგვსრისა, როგორმე უნდა შევეცადოთ გაუნძრევლად ვიწვეთ ბალახში, სიცოცხლის ნიშან-წყალი არ დაგვეტყოს და მორჩა — გადარჩენილი ვიქნებით...“

არ გიცო, სად ვპოვე ძალა, რომ ცოლისთვის გამეღიმა, დამემშვიდებინა, მეთქვა, ეს რა უბედურ ამბავში გავებო-მეთქი, მაგრამ მყისვე დავდუმდი, გავიტრუნე, სიკვდილმისჯილივით ერთიანად ოფლმა დამასხა — კვლავ ჩამწვედა ყურში გავარვარებული ძრავის ღრიალი. სასოწარკვეთილებით შეპყრობილმა ამოვიხედე ბალახიდან და რაც დავინახე, იმან მამცნო — აჰა, შენი აღსასრულიც დადგაო. მანქანა გააფთრებული ტახივით მობრუნდა მიხდორში, შუქის ეშვები ირგვლივ ჩაარჭო და გიჟური სისწრაფით, გაბოროტებით, გამხეცვებით გამოქანდა ჩვენკენ, თითქოს გრძნობდა და იცოდა, რომ ჯერ კიდევ ცოცხლები ვიყავით.

ძალ-ღონე მოვიკრიბე, ჩავაფრინდი ჩემი ცოლის სუსტ მაჯას და გავცოცდი, ვაყრუებული საშინელი ღრქიალით, გრუხუნით, ბრდღვინვით. მივ-

ცოცხადი, ვითვლიდი წამებს და თავს ვიწყევლიდი, რა უდარდელობა გამოვიჩინე, რა საცოდავი და უმწეო ვარ-მეთქი — მომცა ახლა ჩემი სიყვარული ტანკსაწინააღმდეგო ქვენები, მომცა თუნდაც ერთი ხელყუმბარა! უიარაღობას მით უფრო მწვავედ განვიცდიდი, რომ ხელთ მეპყრა გარტყლილი ხელისგული ჩემი ცოლისა, იმ ერთადერთი ქალის, ვინც მე გაგიჟებით მიყვარდა.

ასევე ჩამრჩა ხსოვნაში ის სიზმარი: შემზარავი უზარმაზარი სატვირთო მანქანა, ზემოდგომის ღამე და მე და ჩემი ცოლი, ხან რომ მივცოცავთ, ხან გავრბივართ ცხოვრების ველზე და ვცდილობთ გადავურჩეთ რომელიღაც მძვინვარე, შურისმგებელ ბოროტ ძალას, სადაცაა რომ დაგვეწევა.

განა ყოველი კაცი არ გაუწამებია ამნაირ სიზმარს?

ს ა რ კ ე

მან არ იცოდა, მე რომ თეჯირს იქით მეძინა. გამომადვიდა მსუბუქმა ნახიჯებმა და გაბმით, აღერსით წარმოთქმულმა სიტყვებმა:

— ძვირფასო... —

იგი დედიშობილა იდგა დიდი სარკის წინ, დილის მზით განათებული, ხან ღიმილით, ხან ფიქრიანად აკვირდებოდა საკუთარ თვალებს, ტუჩებს, ნოკლებზე შეკრეპილ ქერა თმას, გუდივით ყელზე, პატარა მკერდზე იავამდა თითის წვერებს, გარინდებით თვალს ადევნებდა ამ მისთვის თითქოსდა უცხო თითების მოძრაობას. მერე კვლავ ღიმილით ამოიკვნესა — „ძვირფასო“, აიწოდინა ტანი, ხელისგულები კეფაზე შემოიკვდო — და მე დავინახე მისი აზიდული მკერდი და იღლიებქვეშ შავად მზბინავი პაწია კუნძულები...

ჩემთვის გაუგებარი, რაღაც არაამქვეყნიური სიყვარულითა და ტკივილით დახუჭა თვალები, ნელა მიუახლოვდა სარკეს, ბაგე გააპო საკოცნელად გამზადებულ სხვა, გაბობილ ბაგეთა შესახვედრად. სარკის კრიალა ზედაპირი დააორთქლა მისმა სუნთქვამ, მას კი სულ ახლოს და ახლოს მიჰქონდა ბაგე და მიღულული წამწამებიდან აკვირდებოდა სარკეში ამ მოძრაობას. მერე მომესმა მისი ჩურჩული.

— მაშ ასეა? მაშ ასე ხდება?... როგორ მეშინია...

იგი ეკითხებოდა თავის თავს, არა, თავის თავს კი არა, იმ ვიღაც სხვას, სარკეში რომ ასახულიყო, მთელი არსებით ეკვროდა იმ სხვას, დარწმუნებული, რომ არავინ უცქერდა ასე ურცხვად გაშიშვლებულს, ქალღმერთივით ნორჩსა და მშვენიერს, უმანკოსა და დაბნეულს ამ თავისი ქალური სრულყოფილებით, დაბნეულს კიდევ იმ რაღაც ახალით, გარდაუვალით, იმ ორეულთან ერთად რომ უმზერდა სარკიდან.

და მაშინ პატარა, გამოუცდელი ბიჭი პირველად შემძრა ჩემ წინ გაცხადებულმა საიდუმლომ ქალის უმწეობისა, საიდუმლომ იმ სატრფიალო თამაშისა, ჯერ რომ არ განეცადა, მაგრამ მოელოდა კია. ამ უმანკო თამაშით მას უნდოდა დაენახა, უნდოდა წარმოედგინა თავისი თავი, მე კი, ამის შემხედვარე, სიბრცხვილით დავიწვი და თავზე ისე წავიფარე საბანი, ლამის გავიგუდე, თან არ ვიცი, რატომ და მტრული გრძნობით ავივსე მისი ლამაზი ორეულის მიმართ, თავზარი დამცა მისმა სიშიშვლემ და ამ სიშიშვლის შემზარავმა თეატრალურობამ.

გამომავლობისა განცვიფრებულმა ჩურჩულმა:

— შენ არა გძინავს? შენ არა გძინავს?

და როცა ერთბაშად გადამაძრო საბანი, ლამის დამაბრმავა მისი მკერდის სითეთრემ, ბრაზით მოქცეულმა პირისახემ, დიდრონმა, ელფერეკეკელებმა. მივხვდი, რომ გაეგონა ჩემი მოძრაობა, და, ენაჩავარდნილმა, ტყუილად ვეფიქრე, რადგან ამ სირცხვილს მერჩივნა მიწა გამსკდომოდა და შიგ ჩავეტანე.

— მაშ, შენ არ გძინებია, საძაგელო ბიჭო? მიყურებდი, არა? — მკითხა და ბრაზით ჩამუქებული თვალები შიგ გუგებში ჩამაშტერა. მე კი მესმოდა მისი ხმა, მაგონდებოდა სარკესთან მისი ურცხვი კოცნა, მომდიოდა ახალი თივის ნაზი სურნელი მისი ოქროსფერი თმისაგან და ვგრძობდი, რომ გული საცაა წამივიდოდა. — სარკეში დამინახე ხომ, მე საზიზღარო? — გამიმეორა ბრაზიანი ჩურჩულით და თვალები მოწკურა, წამწამები აუთრთოლდა. — მაშ, ყური მიგდევ, არაძხადავ: შენ ყველაფერი დაგესიზმრა, ყველაფერი დაგესიზმრა! პო, ყველაფერი დაგესიზმრა!..

მერე მწარედ ამიწია ყური, ტუჩზე იკბინა, რომ ტირილი არ წასკდომოდა, და ნეტრე ოთახში გავარდა, მე კი შეურაცხყოფისაგან კრიჭაშეკრულმა მაშინ პირველად ეინიშნე და დავიმახსოვრე, რარიგ საშიშია თურმე იყო შემთხვევითი მოწმე სხვისი საიდუმლოსი, რომელსაც სარკის გარდა ვერავის ვაანდობს კაცი.

ეს უზარმაზარი ძველებური სარკე ორი ფანჯრის შუა იდგა და ისე ვერცხლისფრად კამკამებდა, ისე სუფთად და წმინდად ირეკლავდა ყველაფერს, თითქოსდა შუქს ჩვენს ეზოში მდგარი უზარმაზარი ცაცხვების მწვანე ფოთლებიდან გამოტანებული გრილი პაერი ჰტენდა. მე იგი ყოველთვის მიზიდავდა და იმავ დროს მიშსაც მგვრიდა. ბავშვობაში ამ სარკემ რამდენჯერმე გამხადა მოწმე სხვისი საიდუმლოსი და რაღაც მისტიკური ძალით მაიძულებდა ავუოლოდი ქვეშეცნეულ ცნობისმოყვარეობას. ყველა ნაცნობ-მეგობარი, ვინც კი ჩვენს პატარა ბინაში იაკიმანკაზე მამაჩემთან ჩამოდიოდა, მაშინვე სარკეს აქცევდა ყურადღებას და კარგა ხანსაც იდგნენ მის წინ. მაგრამ მას მერე, რაც სარკის წინ შემთხვევით დავინახე ჩემი შორეული ნათესავი ქალი, იმხანად ჩვენსას რომ ცხოვრობდა, უკვე არც ის მსიამოვნებდა, როცა დედაჩემსაც დავინახავდი, დილაობით სარკის წინ თმას რომ ივარცხნიდა. თითქოს ჩემთვის ასე ახლობელი, ასე საყვარელი სახეც შეიძლებოდა შეცვლილიყო სარკეში და უჩვეულო, არადედური, მისთვის დამამცირებელი რამ გაემხილა ჩემთვის.

მაგრამ ძველი სარკე უფრო მეტად მაშინ შენიძულდა, როდესაც ერთხელ სვერდლოვსკიდან მამაჩემის ძველი მეგობარი გვესტუმრა. — ახალგაზრდობაში ისინი ერთად იბრძოდნენ ურალში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. მამაჩემის მეგობარი ქარხნის მშენებლობაზე მუშაობდა. ჩვენსას მოულოდნელად ჩამოვიდა, გვიან საღამოს, არც წერილით, არც დეპეშით არ გავუფრობილებივართ. მის ტყავის ქუდს, ჩექმებსა და წამოსასხამს ხალხით გატენილი ვაგონებისა და მივარდნილი სადგურების სუნი ასდიოდა. ამ უსიამო სუნთან ერთად მან ჩვენს ბინაში შემოფოთებაც დაასადგურა, რაიც მამაჩემის მოლუშულ წარბებსა და დედაჩემს ავრმიხდილ პირისახეზე ამოვიკითხე.

მათ მიიხურეს მეზობელი ოთახის კარი და მთელი ღამე ლაპარაკობდნენ, არაყს სუამდნენ, კამათობდნენ, ოღონდ ხმაშაღლა კი არა, ჩურჩულით, როგორც მეჩვენა, მამაჩემის მეგობარი ხმაჩახლეჩით, უშნოდ, ყრუდ და საზარლად

ტიროდა, თითქოს შეველას ითხოვდა, წარამარა მამაჩემის სახელს იმეორებდა: „მიტია, მიტია, ვამიგე...“ კარგად მახსოვს მამაჩემის მშვიდი წამოძახილი მცირე ხნით ჩამოვარდნილ სიჩუმეში: „არა, სტეპან, შენ ვერაფერი გაგვიძარტლებს...“

უკვე ირრეკრეკა, როცა ჩემს ოთახში დადლილი დედა შემოვიდა და სტუმარს ნელა გაუშალა დივანზე ლოგინი, თან წარამარა დაბნეულად იცქირებოდა კარისაკენ, საიდანაც ის ყრუ ხმები მოისმოდა.

მე გასუსული ვიწექი, განძრევისა მეშინოდა. ვერ დაეძინე, რალაც ბურანში ვიყავ წასული, გული მიწუხდა და მუკუმშებოდა, არ ვიცოდი კი, რატომ. ვგრძნობდი, მეზობელ ოთახში რალაც ცუდი ამბავი ხდებოდა, სახიფათო ჩვენი ოჯახისათვის და ეს სახიფათო, დამლუპველი ამბავი, ნაგვიანევი გაფრთხილებასავით, დღეს სტუმარმა, მამაჩემის ამ ძველმა ამხანაგმა ჩამოიტანა, რომელიც ახლა ყრუდ და მოგუდული ხმით ტიროდა კარს უკან.

ძილი მალე მოშერია. გამონღეღვიდა უკვე კარგა გათენებულზე. თეჯირს იქით ვილაც დადიოდა, კვნესოდა, შემზარავად აღრჭიალებდა კბილებს, ხმუოდა, თითქოს აწამებენო. ეს მამაჩემის მეგობარი იყო, საცვლების ამარა, ფეხშიშველა, კამეჩივით დააბოტებდა კუთხიდან კუთხეში, აწყდებოდა სკამებს, ორივე ხელით ისრესდა მსხვილ, ტლანქ, ნალოთარ პირისახეს: და მეჩვენებოდა, რომ უნდოდა დაეყვირა, აქვითინებულყო, მაგრამ მარტოოდენ ჩახლეჩილი ცხოველური ბგერები ამოსდიოდა ყელიდან. მერე სულმოუთქმელად გააბა გაურკვეველი, ძლივს გასაგონი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი დუდუნნი შელოცვასავით, და მე შემზარა ამ გონგადასული სასოწარკვეთილების ცქერამ.

— ღმე-ერთო-ო!... — წამოიძახა უცებ ისე გაშმაგებით და მკაფიოდ, რომ შემაერთო კიდევ ამ მუდარით სავსე წამოყვირებამ. — ღმერთო! — გაიმეორა მან, სარკის წინ შედგა და თავის ტლანქ, ვედრებით დაპრანჭულ, ცრემლებით დასველებულ პირისახეს მიაჩერდა. — დამნაშავე არა ვარ... მე არ მინდოდა, მიტია... არა!..

იდგა ასე სარკესთან, ხელები ლოყებზე შემოედო, ირწეოდა, როგორც სოფლელმა დედაკაცებმა იციან ხოლმე მწუხარებისას, აფახულებდა თვალებს და ისეთი სიბრაღულით და ზიზღით ტიროდა, თითქოს თავისი თავის წინაშე თამაშობსო უნუგეშო მწუხარებას; უცნაური სანახავი იყო ეს გულწრთელი სასოწარკვეთილება და ცდა იმისა, რომ სარკეში დაენახა თავისივე სასოწარკვეთილება! რა იყო ეს? საკუთარი თავის სიბრაღული? თუ საზღვარგადასული სინანულით ტკობა? თუმცა ბოლომდე ვინ გაუგებს ადამიანს? იგი ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ ატრიალებდა თავს, იბრიცებოდა, აკრიჭებოდა, კვნესით, ზღუქუნით იდგნდა თვალთაგან ცრემლებს, სულშეხუთული სიძულვილით რალაცას ეჩურჩულებოდა სარკეს.

მერე დავიანახე, როგორ დაეპერტყა მუხლებზე, როგორ დაუძრგვალდა შეშლილი თვალები, როგორ დააქნია ავხორცული მონანიებით სახე, თითქოს თავისი თავი თვითონვე შეაჩვენაო, როგორ მიაშტერდა სარკეში გამბახურად ასახულ თავის ორეულს, და ჩახლეჩილი მუდარით წარმოთქვა:

— ღმე-ერთო, მომიტევე!.. მიტია, მომიტევე; მომიტევე... ან მომკალი!.. არამზადა ვარ, არამზადა, არამზადა!..

და უხმო ქვითინით მიფორთხდა დივანთან, პირქვე დაეშხო, დიდხანს ჩაპბუტბუტებდა ბალიშს გულმხურვალედ და გაურკვეველად რალაცას, მერე

2. „საუნჯე“ № 3
ქ. არქსის საბ. სამ.
სა... ან... დეფიფო
რ... კლ... უბო
ვიბლი...



ერთბაშად მიყუჩდა, აქსიტინდა და მალე მძიმე ხვრინვა გააბა, ფართო მკერ-
დი სტვენით აუღ-ჩაუდიოდა.

მე არ მინახავს, დილით როგორ გაემგზავრა. ამიტომაც არ ვიცი, გამო-
ეთხოვა მას მამაჩემი თუ სტუმარი დაუმშვიდობებლად გაიპარა, რა არის
წასვლის წინ არავინ ენახა და ის სიტყვები არ ეთქვა, რაც ღამით უთქმელი
დარჩა.

ბავშვური ალლოთი ვრგძნობდი, რომ იმ მოულოდნელმა სტუმარმა
ულალატა მამაჩემის ძველ მეგობრობას, თან ჩამოიტანა შიშის იდუმალი,
მსუსხავი გრძნობა და ამ შიშის გრძნობამ შესამჩნევად შესცვალა ჩვენი ოჯა-
ხის ცხოვრება. მამაჩემი მდუმარე და გულჩახვეული შეიქნა, ვახშობისას
ცალი ყური საღარბაზოს კარისკენ ეჭირა, ხომ არავინ აკაკუნებსო. ღამით
ხშირად გამოუღვიძებდებოდა ხმადაბალ ლაპარაკს მეორე ოთახში: ღია კარიდან
ვხედავდი, როგორ იდგნენ თეთრი ლანდებივით მამაჩემი და დედაჩემი ფან-
ჯარასთან, გადაწეული ფარდიდან აკვირდებოდნენ ზაფხულის ლურჯ ბინდ-
ბუნდში ჩაფლულ ეზოს. ეზოდან კი თითქოს მესმოდა ნაბიჯების ხმა დაცა-
რიელებულ ასფალტზე, ავტომობილის კარის ჯახუნი, მერე ღამის მდუმარე-
ბაში ყულად ათუხთუხდებოდა ძრავა, მისი ხმა თანდათან შორსა და შორს
ისმოდა და ბოლოს მიწყდებოდა. მაშინ მამა აჩქარებით გაპარავდა ასანთს,
პაპიროსს გააბოლებდა, ხოლო დედა შვევით ოხრავდა, ეხვეოდა და ნიკაშზე
ჰკოცნიდა მანას. იატაკზე დაფენილი მთვარის რძისფერი შუქი, ფაჩუნი მე-
ორე ოთახში, დედაჩემის ალერსიანი, დამამშვიდებელი ჩურჩული არაჩვე-
ულებრივად ნათლად დამამახსოვრდა.

მე მძულდა ეს სარკე, ამდენი რომ იცოდა და ამდენს რომ ინახავდა
გულში, ასე უცნაურად რომ ამიშველებდა ადამიანის სულს, მის შინაგან სამ-
ყაროს, მის მეორე, იდუმალ ცხოვრებას. ეს სარკე იყო, სიჭაბუკის წლებში
რომ მაფრთხობდა თავისი დაუნდობლობით, რადგან იქ მე ვხედავდი მხოლოდ
დამუწუქებულ შუბლს, უინტორა კისერს, გაუბედავ, შიმკრთალ ღიმილს და
არა იმ გმირს, როგორიც მინდოდა ვყოფილიყავ...

ეს იყო ჩემი ორეული, სივრცეში წარმოქმნილი, ეს იყო სახე სიმართლი-
სა, შეუღობაჩებელი, ბუნებრივზე ბუნებრივი, — და იმედგაცრუებულ ბიჭს
შეცნობა საკუთარი სხეულისა მტანჯავდა და სრულყოფილი სილამაზის გა-
უსაძლისი ნატვრით მავსებდა. სად ვიყავ მე და სად არა? ვინ მათვალისწინებ-
და სარკის სიღრმიდან ისე ჩატივებით?

მე აქამდეც მგონია, რომ სარკემ ვაცილებით მეტი იცის ჩვენზე, ვიდრე
ჩვენ მასზე, რომ მას აქვს იდუმალი, სასტიკი ძალა სიმართლისა — დაუნ-
დობლად შეგვახსენებს, ყველა გზას დასასრული აქვსო.

როდესაც დილაობით ამჩნევთ, რომ თქვენს ორეული დალოილი და ფერ-
მიხდილია, სახეზე მწარე გამოცდილების მქრქალი ღიმილი აკვრია, თვალების
ირგვლივ ახალი ნაოქები გასჩენია, ნუთუ არ გგონიათ, რომ სულ უფრო გაბ-
მით, სულ უფრო დაყინებით და მწუხარედ რეკავენ შორეული ზარები?

ვერსინი ვებუშენკო

რუსეთი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმანი ითარ ჭილაძე

მოფრინავს თეთრი თოვლი,
ედება გზებს და ფიქრებს,
უჩინარ ძაფზე ასხმულს —
მოაფარფატებს ფიფქებს.

და გინდა — იყო, იყო.
სულ, უსასრულოდ, მუდამ...
მაგრამ სიკვდილსაც შია,
სიკვდილსაც ჭამა უნდა.

მოფრინავს თეთრი თოვლი
და მეც მომიწევს წასვლა,
რადგან უკუდავი არ ვარ
ამ თეთრი თოვლის შავაჯსად.

აბე სასწაულის მჯერა,
რადგან უარსკვლავის დარად
არ შემიძლია ბრწყინვა
მარად, მარად და მარად.

და მეც სხვებივით ვფიქრობ —
ვინ ვიყავ, ვინ ვარ, ნეტავ,
ან რა მიყვარდა ცოდვილს,
თვით სიცოცხლეზე მეტად?

რა და, სამშობლო ჩემი,
ჩემი ჯვარი და სვეტი —
ყოველი ძვლით და კუნთით,
სისხლის ყოველი წვეთით

მიყვარდა მისი სული,
ფიჭუნართა ბინადარი,

მისი პუშკინი... სტენკა...

•• მისი წვიმა და ქარი.

მიყვარდა მისი სივრცე,

მისი თავი და ბოლო...

როგორც ვცხოვრობდი დღემდე,

მისთვის ვცხოვრობდი მხოლოდ.

და ჩემს გაუმხელ იმედს

კვლავ წამლად ვიფენ გულზე —

იქნებ იოტის ხელა

რამე შევმატო რუსეთს.

დე ნურც გაიგებს იგი,

რასაც მე გულში ვმალავ,

ოღონდ ცოცხლობდეს თვითონ

მარად, მარად და მარად.

მოფრინავს თეთრი თოვლი:

ნაზი, ფაფუკი, თითო...

ასე ათთუდა პუშკინს,

ჩემს მერეც ასე მოთოვს.

მოფრინავს თეთრი თოვლი,

მარადისობის ღირსი,

და იფარება ნელა

კვალი ჩემი თუ სხვისი.

რათა უკუდავყო თავი

არ შემწევს ალბათ ძალა,

მაგრამ რუსეთთან ერთად

მეც ვიარსებებ მარად.

ფრანსუაჲ სკაპანი

ბიჲვართ ბრამსნი?



რეზანი

ფრანგულიდან თარგმნა ნუნუ ვალაშვილმა

თავი I

პოლი გულდასმით აკვირდებოდა სარკეში, ამ ცხრაშეტი წლის მანძილზე დროს როგორ შეემუსრა მისი სახე. ოღონდ არც სასოწარკვეთას გრძნობდა, არც გაბოროტებას, ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივ რომ ეუფლებათ ხოლმე ქალებს; პირიქით, რაღაც უნდილ სიმშვიდეს აეტანა: ნათქვამი რომ მკვეთრად დაძინებოდა, თრი თითით ოდნავ სჭიმავდა კანს, თითქოს ეს ცოცხალი კანი სულ სხვა ვინმესი ყოფილიყო, სულ სხვა პოლის, ასე თავდავიწყებით რომ ზრუნავდა მუდამ თავის სილამაზეზე, ასე რომ უჭირდა ყმაწვილქალობიდან კარგად შენახულ, ჯერაც ახალგაზრდული იერის ქალთა მარაქაში გადასვლა. ასეთ პოლს იგი თითქმის არ იცნობდა. გაეღიმა, რადგან სარკესთან დროის მოსაკლავად შეჩერებულმა ერთბაშად აღმოაჩინა — სწორედ ეს დრო სწვავდა მას ნელ ცეცხლზე ასე შეუმჩნევლად, ეს დრო მუსრავდა მის გარეგნობას, ასე ძალიან რომ მოსწონდა ყველას.

როჲე ცხრა საათზე უნდა მოსულიყო. ახლა შვიდი საათია; ასე რომ პოლს საკმაოდ დრო რჩება იმისათვის, საწოლზე გაიშოტოს, თვალები დახუჭოს, დაძაგრული სხეული მოადუნოს, სული მოითქვას, არაფერზე იფიქროს. თუმცა რა ისეთი ფიქრები აქვს, რომ მათგან დასვენება სჭირდებოდეს საღამოს? პოლისთვის უცხო არ იყო ეს მოუსვენარი უხალისობა, რომლის წყალობით ხშირად უწრიალია ოთახებში, ხან ერთ ფანჯარას მისდგომია, ხან მეორეს. ასე სჩვეოდა ბავშვობაშიც, წვიმიან დღეებში.

სააბაზანოში შევიდა, დაიხარა და ხელი წყალში ჩაჲყო. ამან მაშინვე მოაგონა ერთი შემთხვევა... ეს მოხდა თხუთმეტი წლის წინ. მაშინ მარკთან იყო, შვეებულებას მეორედ ატარებდნენ ერთად მარკის აფრიან ნავზე, მაგრამ პოლი უკვე გრძნობდა, მათი ერთად ცხოვრება დიდხანს არ გასტანდა. ქარი ქროდა და აფრა მოუსვენარი გულივით ფართხალებდა. პოლი ოცდახუთი

წლისა იყო. ერთბაშად ისე ბედნიერად იგრძნო თავი, მთელი სამყარო, მთელი თავისი ცხოვრება დიდებული ეჩვენა, თითქოს ანაზღად თვალი დახსნილი ყოფილიყო. ყველაფერი კარგად აეწყობო. გაბრწყინებული სახე რომ დასწავლა, გადაიხარა და წყლის სწრაფ ჭავლს თითები გააყოლა; აფრიანი ნავი გვერდზე გადაქანდა; მარკმა, როგორც სჩვეოდა, გულგრილად გადახედა და პოლსაც მაშინვე ბედნიერი იერის ნაცვლად დამცინავი ლიმილი აღებეჭდა სახეზე. პოლი მერეც ყოფილა ბედნიერი სხვებთან თუ სხვების წყალობით, მაგრამ ესოდენ საღსე, ესოდენ სრულყოფილი ბედნიერება არასოდეს უგრძნია. მერე და მერე ეს მოგონება ისე აღარ ახარებდა — დანაპირების, სიტყვის გატეხას აგონებდა...

* *

საცაა როყე მოვა, პოლი ყველაფერს აუხსნის, შეეცდება აუხსნას. როყე ეტყვის: „პო, რა თქმა უნდა!“ ეტყვის ისეთი კნაყოფილებით, როგორც იმ წუთებში, როცა ცხოვრებას რაიმე სიმახინჯეში გამოიჭერს და მერე ლამის ზეინით მოპყვება მსჯელობას, რა უნებროა არსებობა და მაინც რა ჯიუტად ეცდილობთ აღამიანები მის გახანგრძლივებასო. ეს კია, როყეს მსჯელობაში ბუდამ იგრძნობა, რაოდენ უყვარს სიცოცხლე, რა უძლები მადით ეწაფება ამ სიცოცხლეს, სულის სიღრმეში კიდევ უხარია, რომ არსებობს ამ ქვეყანაზე და რომ ამ გრძნობას მხოლოდ ძილში ეთხოვება. თავს მიღებს თუ არა ბალიშიზე, მაშინვე იძინებს: ხელს მკერდზე დაიდებს და ძილშიც ისევე უფლებს ყურს საკუთარი სიცოცხლის ფეთქვას, როგორც სიფხიზლეში. არა, პოლი ვერ შეაგნებინებს, რომ მას უკვე მოყირჭდა ის თავისუფლება, მათ ურთიერთობაში კანონად რომ ქცეულიყო; ამ თავისუფლებით ხომ მხოლოდ როყე სარგებლობს, ხოლო პოლის წილ მარტობადა რჩება! ხომ ვერ ეტყვის, ზოგჯერ თავს ერთ-ერთ იმ უძლებ მესაკუთრე დედაკაცად ვგრძნობ, შენ რომ ასე ძალიან გეჯავრებაო!.. ერთბაშად ეს ცარიელი ბინაც ამაზრზენი და უმაქნისი ეჩვენა.

ცხრა საათზე როყემ დარეკა. როცა პოლმა კარი გააღო და მისი მომლიმარე სახე, ჩასკვნილი ტანი დაინახა, ერთხელ კიდევ გაიფიქრა მორჩილად. აი ესაა ჩემი ხვედრიო, ერთხელ კიდევ დარწმუნდა, ნამდვილად უყვარდა ეს კაცი.

— რა კობტად გამოწყობილხარ... რომ იცოდე, როგორ მომენატრე! მარტო ხარ?

— პო, შემოდი!

„მარტო ხარ?“ ნეტა რას იზამდა, რომ ეთქვა, მარტო არა ვარო? მაგრამ ამ ექვსი წლის მანძილზე ერთხელაც არ უთქვამს ასეთი რამ. და მაინც როყე ყოველთვის ეკითხება ამას, ებოდინება კიდევ, ხომ არ შეგაწუხებო. თავის გულში პოლი დალატზე მეტად სწორედ ამ ეშმაკობას საყვედურობს როყეს (როყეს ვერ წარმოედგინა, რომ პოლის მარტობის მიზეზი თვითონ იყო, რომ პოლი უბედურად გრძნობდა თავს). პოლმა გაუღიმა. როყემ ბოთლი გახსნა, ორი ჭიქა შეავსო და დაჯდა.

— პოდი ჩემთან, პოლ. სად ვისადილოთ?

პოლი გვერდით დაუჯდა. როჯესაც დაღლილი სახე ჰქონდა. ქალს ხელი დაუჭირა.

— რომ იცოდე, რამდენი თავსამტვრევი საქმე გაშიხნდა, ყველაფერი აირ-დაირია, ირგვლივ ბრიყვები და დოყლაპიები მახვევია! ნეტა-ეროთ ქალაქ-გარეთ მაცხოვრა...

პოლს გაეცინა:

— იმ შენი კე-დე ბერსის, შენი საწყობებისა და საბარგო მანქანების გარეშე როგორღა გასძლებ? პარიზში ვინღამ ინტერიალოს დამლაშობით?

როჯეს გაეღიმა, გაიხსმორა, დაქანცული, დივანზე გადაწვა. პოლს არ შეუხედავს, საკუთარ ხელს დაჰყურებდა, როჯეს ხელისგულზე დადებულს. მისთვის ნაცნობი იყო როჯეს ყოველი ნაკვთი, გრუზა თმა, თუნავ წამოზიდული ლურჯი თვალები, ბაგეებთან გაჩენილი ნაკეცი.

— ჰო, მართლა, დამლაშობით ხეტიალზე გამახსენდა, იმ დღეს პოლიციელებმა პატარა ბიჭივით გამომიჭირეს. ერთი ტიპი მაგრად მიგიტყაბე... ორმოცი წლის კაცი და პოლიცია! ხომ წარმოგიდგებია, რა დღეში ვიქნებოდით...

— რატომ ცემე?

— აღარ მახსოვს... მაგრად კი მოხვდა!

თითქოს ამ მუშტი-კრივის მოგონებამ გამოაცოცხლათ, როჯე ერთბაშად წამოხტა:

— ვიცი, სადაც უნდა წავიდეთ! — თქვა მან — „პიემონტიაში“! ხოლო თუ წყალობას მიიღებ და აღიარებ, ცეკვა შეგიძლიათ, იქიდან საცეკვაოდ წავიყვან.

— შენ კი არ ცეკვავ, დადიხარ! — უთხრა პოლმა.

— ყველა შენსავით არ ფიქრობს.

— თუ იმ უბედურ ქალებს გულისხმობ, შენზე რომ ლოცულობენ, მაშინ რა შეთქმის.

საცილი აუტყდათ. როჯეს სასაყვარულო თავგადასავლები მუდამ ართობდა ორივეს. სანამ კიბის მოაჯირს ხელს წაავლებდა, პოლი წამით კედელს მიყურდნო, ერთბაშად ძალა წაერთვა.

როჯეს მანქანაში მან უგულისყუროდ ჩართო რადიო. რადიომიმღების ფარის სუსტ შუქზე საკუთარ ხელს დააკვირდა, წაგრძელებულ, მოვლილ ხელს. ძარღვები თითებისკენ მიცოცავდა და აბურღული ნახაზივით ინასკვებოდა კანქვეშ. „ჩემი ცხოვრების მსგავსად“, — გაიფიქრა პოლმა, მაგრამ ერთბაშად მოისაზრა, რომ შედარება ყალბი გამოუვიდა. მას ხომ უყვარდა თავისი ხელობა, ხომ არ ნანობდა წარსულს, ხომ ჰყავდა კარგი მეგობრები და ხომ იყო ადამიანი, ვინც უყვარდა და ვისაც უყვარდა!

— თუ იცი, რამდენჯერ ჩამირთავს რადიო ამ მანქანაში, აი ასე, შენთან ერთად სასადილოდ რომ მივდიოდი? — მიუბრუნდა იგი როჯეს.

— აბა რა ვიცი!

როჯემ ცალი თვალით გადახედა. თუმცა ამდენი წელია ერთად არიან, თუმცა ღრმად სწამდა, პოლს მართლა ვუყვარვარო, როჯე საოცარი სიტუაციით ეკიდებოდა პოლის გუნება-განწყობას, მუდამ ისევე ფხიზლად იყო, როგორც პირველ დღეებში. პოლმა კინალამ წამოიწყო: „გახსოვს?“, მაგრამ მაშინვე გადაწყვიტა, ამ საღამოს ზედმეტ მგრძნობიარობას მოვერიდებო.

— უკვე გაცვეთილ ამბად მიგაჩნია, ხომ?

— არა, ოღონდ ზოგჯერ მგონია, თავად გამეცვითა გრძნობები.

როქემ ხელი გაუწოდა და პოლმაც ხელისგულებში მოიმწყვდია მისი მარჯვენა, როქეს სწრაფად მიჰყავდა მანქანა, ხაცნობი ქუჩები ელვებს სისწრაფით ქრებოდა; შემოდგომის წვიმა თვალისმომჭრელად ალაბუბუბებდა ქუჩებს. როქეს გაეცინა:

— ნეტა ვიცოდე, ასე სწრაფად რად დამყავს მანქანა? ალბათ იმიტომ, რომ ქაბუკად ვაჩვენო თავი.

პოლს ხმა არ გაუღია. რაც როქეს იცნობდა, იგი მიუდამ ცდილობდა ქაბუკით მოქცეულიყო. როქე მართლაც „ქაბუკი“ იყო. სულ ახლახან თვითონვე თქვა ეს და მისმა სიტყვებმა კიდევ შეაშინა პოლი. ქალს უკვე აფრთხობდა მესაიდუმლის როლი, რომელსაც ნელ-ნელა შეეგუა ურთიერთგაგებისა და როქეს სიყვარულის გამო. ამ ცხოვრებაში მისი ერთადერთი მიზანი როქე იყო, თუმცა როქეს ეს ხშირად ავიწყლებოდა პოლის ზედმეტად მოკრძალებული სასიათის წყალობით.

ისადილეს მშვიდად, ისაუბრეს იმ დაბრკოლებებზე, რასაც იმხანად როქეს სამსახურისთანა სატრანსპორტო სააგენტოები განიცდიდნენ. შემდეგ პოლმა ორი თუ სამი სასაცილო ამბავი მოჰყვა იმ მაღაზიებზე, სადაც დეკორატორად მუშაობდა. ფატისგან გამოგზავნილ ერთ ქალს გადაჭრით მოუთხოვია, მაინცდამაინც პოლმა მომიწყოსო ბინა. ამერიკელი ყოფილა, თანაც საკმაოდ მდიდარი.

— ვან დენ ბეში? — იკითხა როქემ, — მოიცა, რაღაც მაგონდება... ჰო, ჰო!

პოლმა გაოცებით აზიდა წარბები. როქე უღარდელად იცქირებოდა. ასე იცოდა ხოლმე სამიჯნურო ამბების მოგონებისას.

— ჰო, ოდესღაც ვიცნობდი. თუ არ ვცდები, ომამდე. სულ ერთთავად კაფე „ფლორანსში“ იჯდა.

— იმის შემდეგ გათხოვდა, გაეყარა და სხვა ბევრი რამეც მოასწრო...

— ჰო, ჰო... — თქვა ფიქრებში წასულმა როქემ, — მოიცა, რა ჰქვია? ჰმ...

პოლი გაბრაზდა, ძლივს შეიკავა თავი, როქესთვის ჩანგალი არ გაერქო ხელისგულში.

— სულაც არ მაინტერესებს, რა ჰქვია, — თქვა მან, — მთავარია, ფული თავსაყრელად აქვს, ხოლო გემოვნების ნატამალი არ გააჩნია. მე კი სწორედ ეს მჭირდება საარსებოდ.

— ახლა რამდენი წლის იქნება?

— დაახლოებით სამოცის, — გულგრილად მიუგო პოლმა, მაგრამ როქეს რომ შეხედა, გაეცინა. როქე მაგიდიდან ვადმოიხარა, თვალი თვალში გაუყარა და უთხრა:

— იცი, რა საძაგელი ქალი ხარ? ოღონდაც კი დამამცირო და რას არ იტყვი! სულ ერთია, მაინც მიყვარხარ, თუმცა ამის ღირსი არ ბრძანდები.

როქეს მიუდამ უყვარდა მსხვერპლად წარმოეჩინა თავი. პოლმა ამოიოხრა:

— ანუ თუ ისე, ხვალ მასთან უნდა მივიღე კლებერის გამზირზე. ფული ძალიან მჭირდება, უკვე აღარ ვიცოდი, რა მექნა. შენც ჩემს დღეში ხარ! — დასძინა მან, როცა როქემ ხელი ასწია და რაღაცის თქმა დააპირა.

— სხვა რამეზე ვილაპარაკოთ! — შესთავაზა როჟემ. — მოდი, საცეკვაოდ წავიდეთ.

ლამის რესტორანში პატარა მაგიდას მიუსხდნენ საცეკვაო მოედნის მოშორებით და უსიტყვოდ მიიჩერდნენ მოცეკვავე ქალ-ვაჟებს. პოლს რაღაც ხელზე დაედო ხელი, მის გვერდით თავს მშვიდად გრძობდა, ისე შეეჩვია... ძალა აღბათ აღარც ეყოფა, სხვას ასე დაუახლოვდეს. ამის შეგრძნება თან აღონებდა და თან ბედნიერებას ანიჭებდა. მერე მათაც იცეკვეს. როჟემ მაგრად მოხვია წელზე მკლავი და, საკუთარი თავით კმაყოფილმა, ურიტმოდ დაატრიალა საცეკვაო მოედანზე. პოლი ბედნიერი იყო.

შინ მანქანით დაბრუნდნენ. როჟე გადმოვიდა, სადარბაზომდე მიაცილა და მოეხვია:

— ახლა წადი, მშვიდად დაიძინე. ხვალანდგე, საყვარელო!

სწრაფად აკოცა და წავიდა. პოლმა ხელი დაუქნია. ამ ბოლო დროს როჟე სულ უფრო ხშირად სტოვებდა მარტოდ, მშვიდად დაიძინებო. პოლი ცარიელ ბინაში შევიდა და სანამ საწოლზე ჩამოჯდებოდა, გაიხადა და გულდასმით დააღაგა ტანსაცმელი. ამ საღამოსაც მარტო დარჩა. ასე ეგონა, მომავალში მარტოდ გატარებული გრძელი ღამეები ელოდა მხოლოდ, გატკინებულ ზეწრებსა და უღიმღამო სიმშვიდეში გატარებული ღამეები, როგორც ლოგინზე მიჯაჭვულ სნეულს. საწოლში რომ ჩაწვა, უნებლიეთ მკლავი გადასწია, თითქოს თბილ სხეულს ეძებო, სუნთქვა შეიკრა, თითქოს ეშინია, ვიღაცას ძილი არ დაუფრთხო, სულ ერთია ვის, გინდ მამაკაცსა და გინდა ბავშვს, ოღონდ ვინმეს დასჭარდეს მისი სიტუხილვე, ოღონდაც ვინმეს დაეხმაროს მისი სიტბო, დააძინოს თუ გამოაღვიძოს ვინმე! მაგრამ, ვაი, რომ არავის სჭირდებოდა მისი ზრუნვა! იქნებ როჟეს? თუმცა მასაც მხოლოდ დროდადრო... ეს სიყვარული კი არა, ფიზიოლოგია იყო მხოლოდ. პოლი ამას კარგად გრძობდა და სიმწარენარევი სიტუაციებით ეძლეოდა მარტობას.

* *

როჟემ მანქანა სახლთან გააჩერა და გადაწყვიტა ფეხით გაეგლო. ლამის გრილ ჰაერს ღრმად ისუნთქავდა. ნაბიჯს ნელ-ნელა აუჩქარა, თავს კარგად გრძობდა. პოლთან შეხვედრის შემდეგ თავს მუდამ კარგად გრძობდა. პოლის გარდა არავინ უყვარდა. მაგრამ როცა ამ საღამოს გამოემშვიდობა, სევდა შეატყო, თქმით კი ეგერაფერი უთბრა. პოლი თითქოს რაღაცას სთხოვდა, სთხოვდა ისეთ რამეს, რისი მიცემაც როჟეს არ შეეძლო, არც არავისთვის მიუცია ოდესნე. აღბათ პოლთან უნდა დარჩენილიყო, ეს ღამეც ალერსში გაეტარებინა. ქალის დასამშვიდებლად ამაზე უკეთესი საშუალება არ არსებობს. მაგრამ რა ქნას, თუკი სიარული სწყურია, ქუჩაში ხეტიალი, ქვაფენილზე საკუთარი ნაბიჯების ხმის გაგონება; სწყურია ისევ და ისევ იგრძნოს ამ კარგად ნაცნობი ქალაქის სუნთქვა. ან იქნებ წინასწარ ნეტარებას ჰგვრის ის ამბავი, ვის ან რას გადაეყრება ამაღამ? როჟე სანაპიროს გაუყვია; სადღაც შორს შუქი ციმციმებდა.

თავი II



პოლს ჩვეულებრივზე გვიან გამოეღვიძა. მოთენთილი იყო, მაგრამ მაინც გავიდა სახლიდან. კანტორაში მისვლამდე ამერიკელ ქალთან უნდა შეეველო. ათ საათზე უკვე კლებერის გამზირზე იყო, თითქმის ცარიელ სასტუმრო ოთახში. რაკი სახლის დიასახლისი არ იყო ამდგარი, სარკეს მიუახლოვდა და მშვიდად გაიბუდრა სახე. სიმონს სწორედ ამ სარკეში მოჰკრა თვალი: განიერი დილის ხალათი ეცვა, თმა აწეწოდა და მართლაც ძალიან ლამაზი ჩანდა. „ჩემი გემოვნების ყმაწვილი არაა“, — გაიფიქრა პოლმა, მისკენ არც მიბრუნებულა, საკუთარ თავს გაუღიმა სარკეში. სიმონი მეტისმეტად გამხდარი, მეტისმეტად შავგვრემანი, ნათელთვალება და მეტისმეტად დახვეწილი ყმაწვილი იყო.

სიმონმა ვერც შეამჩნია პოლი და სტვენა-სტვენით გაემართა ფანჯრისკენ. პოლმა ჩაახველა. სიმონი ისე სწრაფად შემოტრიალდა, თითქოს დანამაულზე წაასწრესო. პოლმა გაიფიქრა, ქალბატონ ვან დენ ბეშის უკანასკნელი ხუშტური იქნებოდა.

— მაპატიეთ, — თქვა სიმონმა, — ვერ დაგინახეთ. სიმონ ვან დენ ბეში გახლავართ.

— დედათქვენიმა მთხოვა ამ დილით შემომეველო და ბინის მოწყობის თაობაზე მოვლაპარაკებოდი. მგონი, მთელი სახლი გავალვიძე.

— სულ ერთი არაა! ადრე თუ გვიან მაინც უნდა გავველვიძა, — ნაღვლიანად წაილაპარაკა სიმონმა.

პოლმა უხალისოდ გაიფიქრა, ამ ყმაწვილს წუწუნის ჰყვარებიაო.

— დაბრძანდით! — უთხრა სიმონმა, დილის ხალათი მჭიდროდ შემოიკრა და დინჯად ჩამოჯდა პოლის პირდაპირ.

სიმონს მორცხვი ბიჭის იერი უფრო ჰქონდა. პოლს ერთბაშად მოეწონა: ყოველ შემთხვევაში, ისეთ კაცს არა ჰგავდა, სილამაზით რომ მოაქვს თავი, ეს კი უკვე ბევრს ნიშნავდა.

— თუ არ ვცდები, გარეთ ისევ წვიმს?

პოლს გაეცინა. წარმოიდგინა, რა მოუვიდოდა როყეს, პოლი რომ ენახა აქ, დილის ათ საათზე საქმიანად მჯდარი ვიღაც საშინაო ხალათში გამოწყობილი, შეცბუნებული ლამაზი ყმაწვილის პირისპირ.

— დიახ, დიახ, წვიმს, — მხიარულად მიუგო პოლმა.

სიმონმა შეხედა.

— აბა, სხვა რა გითხრათ? მე ხომ არ გიცნობთ! ნაცნობები რომ ვყოფილიყავით, გეტყოდით, ბედნიერი ვარ-მეთქი, კვლავ რომ გიხილეთ.

პოლი შეეცბა, სიმონს გადახედა.

— რატომ?

— აბა რა ვიცი.

სიმონმა თავი მიაბრუნა. პოლს უფრო და უფრო მეტად უცნაური ეჩვენა იგი.

— თქვენს ბინას მართლა სჭირდება მოწყობა, — თქვა მან, — ჩვეულებრივ სად სხდებით ხოლმე, როცა სამზე მეტი კაცი მოიყრით თავს?

— ვერაფერს მოგახსენებთ, — მიუგო სიმონმა. — მე აქ იშვიათად ვარ. მთელი დღე ვმუშაობ, დაღლილი ვბრუნდები და მაშინვე ვწვეები.

პოლი საბოლოოდ დარწმუნდა, ამ ყმაწვილის შეფასებაში მართლა შეეცდით. თურმე თავისი გარეგნობით სულაც არ ყოყმანობს, პირიქით, დღე-ღამე შრომობს. კინალამ ჰკითხა, რას აკეთებთო, მაგრამ თავი შეიკავა: საერთოდ არ სჩვეოდა ამგვარი ცნობისმოყვარეობა.

— მე სტაჟიორად ვმუშაობ ერთ ვექილთან, — წამოიწყო სიმონმა, — ბევრი საქმე მაქვს, შუალამისას ვწვეები და გარიჟრაჟზე უკვე ფეხზე ვარ...

— ახლა ათი საათია! — შენიშნა პოლმა.

— ჩემს ერთ კლიენტს თავი მოჰკვეთეს ამ დღით! — წაილაპარაკა სიმონმა.

პოლი შეკრთა, სიმონი თავდახრილი იჯდა.

— ღმერთო ჩემო, მოკვდა? — ჰკითხა პოლმა.

ორივეს სიცილი წასკდა. სიმონი წამოდგა და ბუხრის თაროდან სიგარეტი აიღო.

— არც ესე თავგამოდებით ვმუშაობ, როგორც საჭიროა. სამაგიეროდ, თქვენ დილის ათ საათზე უკვე ზეზე ხართ და მზად ბრძანდებით ეს ჩვენი საძაგელი სასტუმრო მოაწყოთ. თქვენ მართლაც პატივისცემის ღირსი ხართ. სიმონმა აღელვებით გაიარ-გამოიარა ოთახში.

— დამშვიდდით! — ურჩია პოლმა.

ქალი ერთბაშად კარგ გუნებაზე დადგა, გამხიარულდა. სიმონის საქციელი ართობდა, უკვე ნატრობდა, ნეტავ დედამისი არ შემოვიდესო.

— წავალ, ჩავიცვამ! — თქვა სიმონმა, — ამ წამში მზად ვიქნები, დამიცადეთ!

* *

პოლმა ერთი საათი დაჰყო ქალბატონ ვან დენ ბეშთან, რომელიც დილიდანვე უგუნებოდ გამოიყურებოდა; ქალებმა სახლის მოწყობის რთული გეგმა შეადგინეს. პოლი აღფრთოვანებული ჩაბოდა კიბეზე, გახარებული ფიქრობდა თავის გასამრჯელოზე და სიმონი არც მოჰგონებია. გარეთ წვიმდა. პოლმა ხელი აუწია ტაქსს, მაგრამ ამ დროს პატარა, დაბალი მანქანა შეჩერდა მის წინ. სიმონმა მანქანის კარი გამოაღო.

— არ წამობრძანდებით? სწორედ მეც კანტორაში მივდივარ.

ეტყობა, მთელი საათი ელოდა პოლს. მისმა იდუმალმა იერმა გული მოუღებო ქალს. ორად მოკაკვული ძლივს ჩაჯდა სიმონის მანქანაში და გაეღიმა.

— პატივით გაშვირზე უნდა მიმიყვანოთ.

— დედაჩემთან თუ მოავარეთ საქმე?

— მერედა როგორ! სულ მაღე რბილ საფარძლებზე მოსვენებით თქვენს დამაშვრალ სხეულს. ძალიან ხომ არ დაგავიანებთ სამუშაოზე? უკვე თორმეტი დაიწყო. ამასობაში ერთს კი არადა, მგონი, ყველა თქვენს კლიენტს წააცლიდნენ თავს.

— დრო თავსაყრელად მაქვს, — კუშტად წაილაპარაკა სიმონმა.

— არ იფიქროთ, თითქოს დაგცინოდეთ, — დაუყვავა პოლმა. — უბრა-

ლოდ, კარგ გუნებაზე ვარ, ფული მიჭირდა, დედათქვენის წყალობით კი ყვე-
ლაფერი კარგად მოგვარდა.

— ფული წინასწარ გამოართვით! — ურჩია სიმონმა, — დიდი ძუნწი
ვინმეა.

— მშობლებზე ასე ლაპარაკი არ გეკადრებათ.

— თორმეტი წლისა კი არა ვარ!

— აბა, რამდენის?

— ოცდახუთის, თქვენ?

— ოცდაცხრამეტის.

სიმონმა ისე მოურიდებლად დაუსტვინა, პოლი ჯერ კინაღამ გაბრაზდა,
მერე სიცილი აუტყდა.

— რა გაცინებთ?

— ისეთი აღფრთოვანებით დაუსტვინეთ...

— წარმოიდგინეთ, მე უფრო მეტად ვარ აღფრთოვანებული, ვიდრე
თქვენ გგონიათ! — თქვა სიმონმა და ისე ნაზად გადახედა, პოლი შეიშმუშნა.

მინის საწმენდი რიტმულად სრიალებდა მინაზე, კოკისპირულ წვიმას ვერ
შემკლავდებოდა. პოლს კიდევ უკვირდა, სიმონს როგორ მიჰყავს მანქანაო.
დაჯდომისას წინდა გაეხა, მაგრამ მაინც კარგ გუნებაზე დააყენა ამ პატარა
მანქანამ, ამ ბიჭმა, მისით აშკარად მოხიბლულმა, და ამ წვიმამაც, კაპოტიდან
რომ წვეთაედა და ღია ფერის პალტოს უსველებდა. პოლი თავისთვის ღიღინებ-
და: ჯერ სახლის ქირას გადაიხდის, მერე დედას გადაუგზავნის ყოველთვი-
ურად განკუთვნილ ფულს, მალაზიის ვალსაც გაისტუმრებს და საკმაოდ დარ-
ჩება სხვა ხარჯებისთვის... თუმცა ანგარიშის თავი იღარ ჰქონდა. თანაც სი-
მონს ისე ჩქარა მიჰყავდა მანქანა, როგე, წუხანდელი ლამე გაახსენდა და გუ-
ნება შეეცვალა.

— ხომ არ ისაუზმებდით ჩემთან ერთად... ერთ მშვენიერ დღეს? — ჰკი-
თხა სიმონმა ერთი ამოსუნთქვით და პოლისთვის არ შეუხედავს. პოლს ძა-
ლიან შეეშინდა. ერთმანეთს ხეირიანად არ იცნობენ, ძალაუნებურად საუბარი
უნდა გაუბას, რაღაც ჰკითხოს, უცხო ადამიანის სამყაროში შეიჭრას... არა,
ამის სურვილი სულაც არა აქვს.

— ამ დღეებში არ მეცლება, ბევრი სამუშაო მაქვს.

— ჰოო? რა გაეწყობა! — წაილაპარაკა სიმონმა და აღარ ჩასციებია.
პოლმა მალულად გადახედა. სიმონს ახლა ნელა, თითქოს ნალვლიანად მიჰყავ-
და მანქანა. პოლმა სიგარეტი ამოიღო, სიმონმა სახთია მიაწოდა. მისი გამზდა-
რი მაჯა სასაცილოდ მოჩანდა სქელი ტვიდის პიჯაკის სახელოდან. „ასეთი გა-
რეგნობის ახალგაზრდას ჩრდილო-ამერიკელი მონადირესავეთ არ უნდა ეც-
ვას“, — გაიფიქრა პოლმა და უცებ მოუნდა სიმონის ჩაცმაზე თვითონ ეზრუნა.
ამ ყაიდის ბიჭები მუდამ დედობრივ გრძნობას უღვიძებენ ხოლმე პოლის
ასაკის ქალებს.

— მე უკვე მოვედი! — თქვა მან.

სიმონი უსიტყვოდ გადმოვიდა, მანქანის კარი გამოაღო, გაბუტული და
თან დაღონებული ჩანდა.

— გმადლობთ! — უთხრა პოლმა.

— მადლობად არ ღირს!

პოლმა სამი ნაბიჯი გადადგა და მოიხედა. სიმონი იდგა და უყურებდა.



სიმონი თხუთმეტი წუთი ეძებდა მანქანის დასადგომ ადგილს; ბუღოს კანტორიდან ნახევარი კილომეტრის დაშორებით გააჩერა. დედამისის მეგობართან შეშაობდა. ეს ცნობილი ვეჟილი, მაგრამ საძაგელი კაცი, მოთმინებით იტანდა სიმონის ყოველ უსაქციელობას, თუმცა რა იყო ამის მიზეზი, სიმონს ამაზე ფიქრიც არ სურდა. ზოგჯერ მოუნდებოდა გაემწარებინა, მოთმინებიდან გამოეყვანა ვეჟილი, მაგრამ აქაც სიზარმაცე უშლიდა ხელს. მანქანიდან გადმოსვლისას ფეხი იტყინა და ბედს შერიგებული კაცის იერით კოჭლობით განაგრძო გზა. თითქმის ყველა ქალი უკან უხედავდა. სიმონმა იცოდა, რას ფიქრობდნენ ისინი: „აფსუსს, რა ლამაზი ყმაწვილი დაკოჭლებულა!“ მართალია, თავის გარეგნობას არაფრად აგდებდა, მაგრამ ბევრჯერ შგვებით უფიქრია: „არა, ნამდვილად გამიჭირდებოდა, უშნო რომ ვყოფილიყავი!“ და მყის ხან განდევნილად მცხოვრები ბედკრული მხატვარი, ხანაც ლანდელი მწყემსი წარმოუდგებოდა თავალწინ.

კანტორაში კოჭლობით შევიდა. მოსუცმა მდივანმა, მადმუაზელ ალისამ თან აღერსით და თან დაცინვით შეავლო თვალი. კარგად იცოდა სიმონის ოცნებები, მაგრამ მაინც ღმობიერად ეტყეოდა, სწუხდა, მეტი სიდინჯე რომ გამოიჩინოს, ასეთი ლამაზი და გონებაამახვილი ბიჭი ნამდვილად სახელგანთქმული ვეჟილი დადგებოდაო.

სიმონი გადაჭარბებული თავაზით მიესალმა ქალს და სამუშაო მაგიდას მიუჯდა.

— რატომ კოჭლობთ?

— ისე, საშიში არაფერია. აბა, წუხელ ვინ ვისი მსხვერპლი გახდა? ნეტა ვიცოდე, როდის ჩამივარდება ხელში გამოსაძიებლად მართლაცდა საშინელი ბოროტმოქმედება?!

— ამ დილით სამჯერ გიკითხეს. უკვე თორმეტის ნახევარია.

მაშასადამე, თვითონ ვეჟილმა ფლერმა იკითხა. სიმონმა კარისკენ გაიხედა.

— გვიან გამეღვიძა. მერე კი ისეთი მშვენიერება ვიხილე...

— ქალი?

— დიახ. ძალზე ლამაზი, ნაზი, ოდნავ მოტეხილი სახე... ნუ იტყვით, ისეთი მიხრა-მოხრა... რაღაც აწუხებს, თუმცა რა, ვერ გაუგებ...

— გირჩევნიათ გიოს დოსიეს გადახედოთ!

— კეთილი და პატროსანი!

— გათხოვილია?

სიმონი ფიქრებიდან გამოერკვა.

— არ ვიცი... თუ გათხოვილია, ალბათ უხვირო ქმარი ჰყავს. ფული უქირს, მაგრამ როცა ეს საკითხი მოაგვარა, მაშინვე კარგ გუნებაზე დადგამიყვარს, ქალს რომ ფული გაახალისებს.

ალისამ მხრები აიჩეჩა.

— მაშასადამე, ყველა ქალი გყვარებით.

— თითქმის ყველა, გარდა მეტისმეტად ნორჩებისა...

სიმონმა გიოს დოსიე გადახსნა. ამ დროს კარი ფართოდ გაიღო და ვეჟილი ფლერი გამოჩნდა.

— ბატონო ვან დენ ბეშ... ერთი წუთით!

სიმონმა მდივან ქალს გადახედა, მერე წამოდგა და კაბინეტში შევიდა. ინგლისურ სტილზე მორთული კაბინეტი თავისი უზადო წესრიგით მუდამ ზიზღს ჰგვრიდა ყმაწვილ კაცს.

— იცით, რომელი საათია?

ვექილმა ხოტბა შეასხა საერთოდ სიზუსტეს, შრომისმოყვარეობას, ილაპარაკა კარგა დიდხანს და ბოლოს საკუთარი და ქალბატონ ვან დენ ბეშის მოთმინებაც შეაქო. სიმონი ფანჯარაში იყურებოდა. ასე ეგონა, ოდესღაც, დიდი ხნის წინ ერთხელ უკვე იყო მოწმე ასეთი სცენისა, ასე ეგონა, მთელი სიცოცხლე ამ ინგლისურ კაბინეტში გაატარა და სულ ამ სიტყვებს ისმენდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს რაღაც უხილავი ძალა მარწმუნებს უჭერდა, აზრობდა და სიკვდილით ემუქრებოდა. „ნეტა რას ვაკეთებდი მთელი ოცდახუთი წელიწადი? — გაიფიქრა ერთბაშად, — ერთი მასწავლებლიდან მეორის ხელში გადავდიოდი, ყველა მე მტუქსავდა და რატომღაც მიაჩნდათ, ძალზე მაღლიერი უნდა ვყოფილიყავი“. პირველად თავის სიცოცხლეში ეს კითხვა ისეთი სიმძაფრით წამოეჭრა, უნებურად ხმამაღლა იკითხა:

— მაინც რა გავაკეთე?

— რა? უბედურებაც ისაა, ჩემო კარგო, რომ არაფერი გავაკეთებიათ!

— მე მგონი, არც არავინ მყვარებია არასოდეს! — განაგრძო სიმონმა.

— სულაც არა გთხოვთ, მე ან მოხუცი ალისა შეგვიყვაროთ, — აღშფოთდა ფლერი, — მხოლოდ იმას გთხოვთ, იმუშავეთ! ჩემს მოთმინებასაც საზღვარი აქვს.

— საზღვარი ყველაფერს აქვს! — წაილაპარაკა ფიქრებში წასულმა სიმონმა. ასე ეგონა, უაზრო ოცნებები ქაობივით იხრევდა, თითქოს ათი დღის უძინარი, მშვიერ-მწყურვალ იყო.

— დამცინით? — იყვირა ვექილმა.

— არა. მაპატიეთ, ამიერიდან ყურადღებით ვიმუშავებ.

უკან-უკან დაიხია და ისე გავიდა კაბინეტიდან. მერე სამუშაო მაგიდას მიუჯდა და თავი ხელებში ჩარგო.

მადმუაზელ ალისა გაკვირვებული შესცქეროდა. „კი მაგრამ, რა მომივიდა? — ფიქრობდა სიმონი, — რა ამბავია ჩემს თავს?“ გონება დაძაბა და გაიხსენა თავისი ცხოვრება: ინგლისში გატარებული ბავშვობა, სტუდენტობის წლები, სიყვარულობანა... ჰო, თხუთმეტი წლის ასაკში დედამისის მეგობარი ქალი მოსწონდა, იმ ქალმა ერთი კვირის თავზე ყველაფერში გაანათლა. მერე უღარდელი დროსტარება, მხიარული მეგობრები, გოგოები, მზიანი გზები... ყველაფერი ერთმანეთში ისე აირია, ვერც ერთზე ვერ შეაჩერა ყურადღება. იქნებ არც არაფერი გადახდენია. უბრალოდ, ოცდახუთი წლისა იყო.

— ასე ახლოს ნუ მიიტანთ გულთან! — დაუყვავა მადმუაზელ ალისამ. — ხომ იცით, მალე გადაუვლის ხოლმე.

სიმონმა არაფერი უპასუხა, ფანქრით რაღაცას უაზროდ ჩატავდა ბიუვარზე.

— სჯობს თქვენს მეგობარ ქალზე იფიქროთ! — განაგრძო შეწუხებულმა ალისამ, — უფრო აჯობებდა, ვიოს დოსიეს გასცნობოდით.

— მე მეგობარი ქალი არა მყავს.

— კი მაგრამ, ამ დილას ვის შეხვდით? რა ჰქვია მაინც?

— არ ვიცი.

სიმონმა მართლა არ იცოდა პოლის სახელი. პარიზში ვინმეს შეხვედრე და მისი არაფერი იცოდე, თავისთავად უკვე მოულოდნელი სიხარულია! ვინაიდან შეგიძლია მთელი დღე მასზე იფიქრო და რაც გინდა, ის წარმოგიტყუოს!

* *

როგე დივანზე გაწოლილიყო სასტუმრო ოთახში და მოღლილ-მოქანცული სიგარეტს ეწეოდა. მთელი დღე დებარკადერზე ვაატარა, საბარგო მანქანების დაბრუნებას ადევნებდა თვალს. იმ თავსხმაში სულ მთლად გაიწუწა, მერე სასაუზმოდ დააპირა წასვლა, რომ სასწრაფოდ ლილში მოუხდა გამგზავრება: კატასტროფა მომხდარიყო, რამაც ასი ათასი ფრანკის ხარალი მიაყენა როგეს სააგენტოს.

პოლი სუფრას ალაგებდა.

— ტერეზა რასა იქმს? — იკითხა როგემ.

— ვინ ტერეზა?

— ქალბატონი ვან დენ ბეში. ღმერთმა უწყის, ამ დილით რატომ გამახსენდა მისი სახელი.

— საქმე მოგეარდა, — თქვა პოლმა, — ბინის მორთვა მე მომანდო. აქამდე განგებ არაფერი მოგიყევი, შენ თვითონ იმდენი უსიამოვნება შეგხვედრია...

— მაშ, შენ გგონია, მეწყინება, საქმე თუ კარგად წაგივა?

— არა, ოღონდ მეგონა...

— ნუთუ ასეთი თავკერძა გგონივარ, პოლ?

როგე წამოიჭრა და ლურჯი თვალები პოლს კუშტად მიაბყრო; მაშ, ისევე პოლმა უნდა დაამშვიდოს, უნდა დაარწმუნოს, რომ იგი ყველაზე უკეთესია (ერთი მხრივ, ეს მართალიცაა) და პოლი უზომოდ გააბედნიერა. პოლი გვერდით დაუჯდა.

— თავკერძა არა, უბრალოდ, საკუთარი საქმეებით ხარ დაკავებული... ამიტომ ბუნებრივია, მუდამ საკუთარ უსიამოვნებებზე ილაპარაკო...

— არა, მე გეკითხები, მართლა ასეთი თავკერძა ვარ შენ მიმართ?

ანაზღად როგე მიხვდა, რომ მთელი დღე თურმე ამაზე ფიქრობდა. ალბათ იმ წუთიდან, როცა წუხელ პოლის სასოწარკვეთილი მზერა დაიჭირა. პოლი შეეყოყმანდა: ასეთი რამ მისთვის არასოდეს უკითხავს როგეს. იქნებ ახლა სჯობს გულახდილად უთხრას ყველაფერი. მაგრამ დღეს ისე სჯეროდა საკუთარი თავისა, ისეთ კარგ გუნებაზე იყო, როგეს კი ისეთი დაღლილი სახე ჰქონდა... ვეღარ ვაბედა.

— არა, როგე, მართალია, სოგჯერ... მარტობას კი ვგრძნობ, თითქოს ასაკიც მახსენებს თავს და შენი აყოლა მიჭირს, მაგრამ მაინც ბედნიერი ვარ.

— ბედნიერი ხარ?

— ჰო.

როგე ხელახლა გაწვა დივანზე. პოლმა თქვა, ბედნიერი ვარო, და თავის-

თავად გაქრა ის ამათორიაქებელი ფიქრი, მთელი დღე რომ არ ასვენებდა. პოლა, ძალიანაც კარგი, მასაც ეს უნდა!

— მისწინე, ის შემთხვევითი ამბები... ერთი სიტყვით, შენც კარგად იცი მათი ფასი.

— ვიცი, ვიცი.

პოლმა როყეს შეხედა, თვალდახუჭული იწვა; მაინც რა ბავშვია ამოდენა კაცი... წევს თავისთვის დივანზე და გულუბრყვილოდ ეკითხება: „ბედნიერი ხარ?“ როყემ ხელი გაუწოდა, პოლმა აიღო და ახლოს მიუჯდა. როყეს თვალები არ გაუხელია.

— პოლ... პოლ... ხომ იცი, უშენოდ... პოლ... — წაიჩურჩულა ბოლოს.

— პო, ვიცი.

პოლი დაიხარა, ლოყაზე აკოცა. როყეს უკვე ეძინა. ანგარიშმიუცემლად გამოაცალა ხელი ქალს და გულზე დაიდო. პოლმა წიგნი გადახსნა.

როყეს ერთი საათის შემდეგ გამოეღვიძა, მკვირცხლად დახედა საათს და გამოაცხადა, აბა, საცეკვაოდ წავიდეთ და დავლიოთ. იქნებ ეს წყეული საბარგო მანქანები გადამაფიწყდესო. პოლს ეძინებოდა, მაგრამ როყემ თუ რაიმე აიჩემა, მორჩა, ველარ გადააფიქრებინებ.

როყემ უცნობ რესტორანში წაიყვანა, სენ-ჟერმენის ბულვარზე. სარდაფი პატარა ბადის ლამაზ კუთხეს წააგავდა, კედლებზე ლანდები დალიცლიცებდა. ბრანდილიურ ჰანგებს ლამის გაეყრუებინა კაცი.

— ყოველ საღამოს რესტორნებში წანწალს ნამდვილად ვერ გავუძლებ! — წაილაპარაკა პოლმა, მაგიდას რომ მიუსხდნენ, — ხვალ ასი წლის დედაბერს ვემგვანები. დღესაც ძლივს წამოვდექი ლოგინიდან.

ერთბაშიდ სიმონი მოაგონდა. მისი არსებობა აღარც ახსოვდა.

წარმოიდგინე, ამ დილით... — მიუბრუნდა როყეს და მაშინვე ჩაჩუმდა. მის წინ სიმონი იდგა.

— საღამო შშვიდობისა! — უთხრა მან.

— ბატონი ფერტე! ბატონი ვან დენ ბეში! — ერთმანეთს გააცნო პოლმა.

— გეძებდით და კიდევ გიბოვეთ! — უთხრა სიმონმა, — ეს კარგი ნიშანია. მოპატიეებას არ დაუცადა, ისე ჩამოჯდა სკამზე. როყე გაბრაზდა, წელში გასწორდა, უკმაყოფილება დაეტყუ.

— ყველგან გეძებდით, — განაგრძო სიმონმა, — ბოლოს ვიფიქრე, ალბათ სიწმარში ვნახე-მეთქი.

ანთებული თვალებით შეჰყურებდა პოლს და მკლავზე უჭერდა ხელს. გაოგნებულ ქალს ხმა ვერ ამოედო.

— ეტყობა, მაგიდა შეგეშალათ! — უთხრა როყემ.

— გათხოვილი ხართ? — ჰკითხა სიმონმა პოლს, — ვერ დავიჯერებ...

— გაწყალდა გული — წამოიძახა როყემ. — ახლაცე მოვაწორებ აქა-ურობას.

სიმონმა შეხედა, შემდეგ ორივე იდაყვით მაგიდას დაეყრდნო და თავი ხელებში ჩარგო.

— მართალს ბრძანებთ, ბატონო, მაპატიეთ! ჩანს, მეტი მომივიდა და-ღევა. მაგრამ ამ დილით აღმოვაჩინე, მთელი ცხოვრება თურმე არაფერი მი-

კეთებია. სულ არაფერი!

— ახლა მაინც გაისარჯეთ და მოწყდით აქედან!

— თავი დაანებე! — ხმადაბლა სთხოვა პოლმა, — უბედური ბიჭია. ვინ არ დამთვრალა ერთხელ მაინც ზომაზე მეტად... ეს შენი... ტყვეობა... ტყვეობა... რეზას ვაჟია.

— ვაჟი? — გაუკვირდა როჟეს, — ესლა შაკლდა!

როჟე წინ გადაისარა. სიმონს უღონოდ დაედო თავი მკლავზე.

— გაიღვიძეთ! უთხრა როჟემ. — მოდი, თითო ჭიქაც დავლიოთ. ამასობაში თქვენს ღარდებსაც გაგვიზიარებთ. წავალ, მე თვითონ მოვიტან ჭიქებს, თორემ შუალამებზე მოგვიწევს ლოდინი.

პოლი გამხიარულდა, როჟესა და ამ დამთხვეული ყმაწვილის საუბარი რომ წარმოიდგინა. სიმონმა თავი ასწია და თვალი გააყოლა როჟეს, რომელიც მაგიდებს შორის გზას ძლივს მიიკაფავდა.

— აი, მამაკაციც ამას ჰქვია! — თქვა მან. — ნამდვილი ვაჟკაცი! თუმცა ვგეთი ჯანმადარი, ვაჟკაცური, საღად მოაზროვნე ტიპები ჭირივით მეჩაერება... მე...

— ადამიანის ბუნება არც ისე მარტივია, როგორც გგონიათ! — მკვახედ მიუგო პოლმა.

— გიყვართ?

— თქვენი საქმე არ არის.

სიმონს თმა თვალებზე ჩამოყროდა, სანთლების შუქი უფრო მკვეთრად აჩენდა მის ლამაზ ნაკვთებს. დიდებული სანახავი იყო. მეზობელ მაგიდიდან ორი ქალი აღტაცებით შესცქეროდა.

— მამაკაცით, — თქვა სიმონმა. — რა საოცარი ამბავია: დილიდან მოყოლებული ყველას ბოდიშს ვუხდი. იცით, მე მგონი, არარაობა ვარ!

როჟემ სამი ჭიქა მოიტანა; სიმონის ბოლო სიტყვების გაგონებაზე წაიბურტყუნა, ადრე თუ გვიან ყველა ამ დისკვნამდე მიდისო. სიმონმა უცბად გამოსცალა თავისი ჭიქა და გაჩუმდა. ასე მღუმარედ, გაუნძრევლად იჯდა მაგიდასთან და უყურებდა, როგორ ცეკვავენ ისინი, უსმენდა, რას ლაპარაკობდნენ, მაგრამ თითქოს არაფერი ესმოდა, ვერაფერს ხედავდა. როჟესა და პოლს მალე დაავიწყდათ მისი არსებობა. ხანდახან პოლი თუ გადახედავდა და სიცილს ძლივს იკავებდა: ისეთი დამჯერი, ჭკვიანი ბიჭივით გატრუნულიყო სიმონი.

როცა წასასვლელად მოემზადნენ, სიმონიც წამოდგა, მაგრამ მუბღები მოეკეტა და სკამზე დავარდა. გადაწყვიტეს შინ მიეყვანათ. სიმონს როჟეს მანქანაში ჩაეძინა. თავი პოლის მხარზე ექინდრებოდა. აბრეშუმივით ნაზი თმა ჰქონდა, მშვიდად ფშვინავდა. პოლს შეეშინდა, მინას არ მიართყვას თავით, და მუბღზე დაადო ხელი. კლებერის გამხიარზე როჟე გადმოვიდა, მანქანას შემოუთარა და გარი გაალო.

— ფრთხილად! — ხმადაბლა უთხრა პოლმა.

როჟემ შეამჩნია, რა თვალები ჰქონდა პოლს, გაუკვირდა, მაგრამ არაფერი თქვა და სიმონი მანქანიდან გადმოათრია. იმ საღამოს პოლთან დარჩა და დიდხანს, ძილშიც ისე მაგრად ჰყავდა გულში ჩაკრული, რომ ქალმა ვერ დაიძინა.



ქართული

მეორე დღეს შუადღისას პოლი ვიტრინაში ჩამუხლულიყფა—ღაქმუნდაზის პატრონს არწმუნებდა, თაბაშირის ბიუსტზე ქუდის ჩამოდება ვერაფერი ორიგინალური იდეაა რეკლამისთვისო. სწორედ ამ დროს გამოჩნდა სიმონი. ხუთი წუთის წინ გაზეთების ჯახურს მოფარებული გულისფანცქალით უთვალთვალეზდა პოლს. ნეტა ასე ძალუზად რად უცემს გული? პოლი რომ დაინახა, თუ იმიტომ, ასე სულელურად რომ იმალება? დამალვა მუდამ უყვარდა სიმონს. მარცხენა ხელს ვიჟივით აქნევდა, თითქოს კრუნჩხვები აწუხებდსო, მარჯვენა კი ჯიბეში ისე ედო, იტყოდით, რევოლვერი უდევს შიგ ან ხელზე ეგზემა აქვსო; მისმა საქციელმა მალაზიში მყოფი ხალხი დააფრთხო. სიმონი ფსიქოანალიტიკოსისათვის მართლაც მისწრება იყო, ყოველ შემთხვევაში, დედამისს ასე მიაჩნდა.

როცა პოლი ვიტრინაში ჩაჩოქილი დაინახა, სიმონმა გაიფიქრა, ნეტა სულაც არ გაეცნო ეს ქალი და არც მინიდან ეჭვრიტა ახლა მისთვის. მაშინ დღესაც არ ეტყოდა უარს. ნეტა გუშინ რაები მოჩმახა? ჩერჩეტი ბიჭივით სადაგლად გამოთვრა, ან რა საკადრისი იყო, იმდენი სისულელე რომ ილაქლაქა სულიერ ტანჯვაზე... სიმონი კვლავ ამოეფარა ჯახურს, წასვლაც კი დააპირა, მაგრამ ერთხელ კიდევ რომ გახედა პოლს, ერთბაშად მოუნდა ქუჩა გადაერბინა, ხელიდან გამოეგლიჯა ქინძისთავეებით დაცხრილული ქუდი, აეშორებინა მისთვის ეს სამუშაო, ეს ცხოვრება, რომ აღარ ამდგარიყო დილაადრიან, აღარ დაჩოქილიყო გამვლელების თვალწინ ვიტრინაში; აგერ ხალხი წამდაუწუმ ჩერდება, ცნობისმოყვარეობით უჭვრეტენ, ზოგ კაცს, ვინ იცის, სურვილიც კი აღუძრა ამ ჩამუხლულმა, მანეკენისკენ მკლავებგაწვდილმა ქალმა. სიმონსაც მისკენ გაუწია გულმა და ქუჩა გადასერა.

სიმონს ეგონა, უცხოთა ქვრეტით გაღიზიანებული პოლი სიხარულით შეეგებებოდა, მაგრამ შეცდა, პოლმა გულგრილი დიმილილა გაიმეტა მისთვის.

— ქუდი ხომ არ გინდათ შეურჩილთ თქვენს რომელიმე ტურფას?

სიმონმა რაღაც ჩაიბუტბუტა, მაგრამ მალაზიის პატრონმა კეკლუცად წაქრა ფერდში ხელი:

— პოლს ელოდებით, ბატონო? კეთილი და პატიოსანი. ოღონდ დაბრძანდით და დაგვიცადეთ... ჯერ საქმეს უნდა მოფრჩეთ.

— საიდან მოიგონეთ, რომ მე მელოდება? — თქვა პოლმა და შანდალი გადადგა.

— მაგ შანდალს მე მარცხნივ დავდგამდი, — უთხრა სიმონმა, — ოღნავ უკან, ასე უფრო თვალში მოსახვედრია.

პოლმა გაბრაზებით შეხედა. სიმონი იღიმებოდა. ახლა მას დიდი გემოვნების ყმაწვილივით ეჭირა თავი, თავისი შეყვარებულისათვის რომ გამოევილო და რჩევას აძლევდა. ხოლო პონოსექსუალისტ მალაზიის პატრონის აღფრთოვანება (სიმონს ეს ამბები არ აღელვებდა), რა თქმა უნდა, ხუმრობის საგნად იქცეოდა ორივესათვის.

— მართალი ბრძანდებით! — მოუწონა მალაზიის პატრონმა, — ასე უფრო თვალში მოსახვედრია.



— ვითომ რატომ? — მკვახედ იკითხა პოლმა.

მამაკაცებში შეხედეს.

— აბა, რა ვიცი.

სიმონმა ისე გულიანად გადაიხარხარა, პოლმა სახე მალაჩისა შეეშინდა, თვითონაც არ გაცინებოდა. ნაწყენი ძალაზიის პატრონი განზე გადგა. პოლმა რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია, რათა შორიდან შეეხედა ვიტრინისათვის და უნებურად მხარით შეეხო სიმონს, რომელიც შეუმჩნევლად მიახლოვებოდა.

— შეხედეთ! — მეოცნებე ხმით უთხრა სიმონმა, — მზე!

ჯერ კიდევ სველი მინიდან მზე სახეში უჭყეტდათ. შემოდგომის ამ დღეებში ეს უეცარი სითბო დაგვიანებულ სინანულს ჰგავდა. პოლი თითქოს ამ მზის სხივებში ბანაობდა.

— პო, — თქვა მან, — მზე!

ერთხანს უძრავად იდგნენ — პოლი სიმონისკენ ხურგშექცეული, ოღონდ მაინც მის მხარს მიყრდნობილი. მერე განზე გადგა.

— სჯობდა დასაძინებლად წასულიყავით.

— მშია, — თქვა სიმონმა.

— პოდა, წადით და ესაუზმეთ!

— თქვენ არ წამოშყვებით?

პოლი შეეყოყმანდა. როცემ დაურეკა, ალბათ დამაგვიანდება ან სულაც ვერ მოვალთ. ამიტომ პოლს გადაეწყვიტა, სანამ ძალაზიაში საყიდლებზე წავიდოდა, ბარში შესულიყო და სენდვიჩები ეჭამა. მაგრამ მზის ამ მოულოდნელმა გამოჭყეტამ კაფეებისა და უნივერსალების დარბაზები ერთბაშად შეაზიხლა. ბალახის ნახვა, თუნდაც შემოდგომაზე გადაყვითლებული ბალახის ნახვა მოუხნდა.

— ბალახი მომენატრა! — თქვა მან.

— წავიდეთ! ჩემი ჯაბახანა აქვე დგას. არც სოფელია შორს...

პოლი დაიძაბა. ამ უცნობ ჭაბუკთან ერთად ქალაქგარეთ გასვირნება და მთელი ორი საათი პირისპირ ყოფნა ალბათ ძალზე მოსაწყენი იქნება!..

— ან არადა, ბულონის ტყეში წავიდეთ, — სწრაფად შესთავაზა სიმონმა. — თუ მოგწყინდებათ, ტაქსს გამოვიძახებთ ტელეფონით.

— რა წინდახედული ბრძანდებით!

— გამოგიტყდებით, დღეს დილით რომ გამოვიღვიძე, სირცხვილით დავიწვი. ბოდიშის მოსახდელად შემოგიარეთ.

— არა უშავს, ვის არ მოსვლია! — გულითბილად უთხრა პოლმა და პალტო მოისხა. იგი მუდამ გემოვნებით, მოხდენილად იცვამდა. სიმონმა მანქანის კარი გაუღო და პოლიც ისე ჩაჯდა, ვერ მოიგონა, როდის დაეთანხმა ამ სულელურ საუზმეზე წაყოლოდა. მანქანაში რაღაცას წამოსდო წინდა და სასოწარკვეთით ამოიკვნესა.

— თქვენს მეგობარ ქალებს, ეტყობა, შარვლები აცვიათ.

— მე აღარა მყავს მეგობრები.

— აღარ გყავთ მეგობარი ქალები?

— აღარ მყავს.

— როგორ მოხდა?

— არ ვიცი.

პოლი დაცინვის გუნებაზე დადგა. ფრთად გაართო ამ ბიჭმა, ერთსა და

იმავე დროს მორცხვმა და გამბედავმა, ენაკვიმატმა და დინჯმა, შიგადაშიგ კი დააცინავემა. სიმონმა ისე იდუმალად, ისე ხმადაბლა თქვა, არ ვიციო, პოლმა თავი გადააქნია.

— ეცადეთ მოიგონოთ... როდის შემოგეპარათ ასეთი გულგრილობა?

— ყველაფერი ჩემი ბრალია. ერთი კარგი, მაგრამ მეტისმეტად რომანტიკული გოგო მყავდა. ასეთი გოგოები ორმოცი წლის ასაკის კაცებს მოსწონთ. პოლს გულზე მოხვდა ეს სიტყვები.

— მაინც როგორი გოგოები მოსწონთ ორმოცი წლის კაცებს?

— როგორი და... ერთი სიტყვით, დიდი დამთხვეული ვილაც იყო, პირმოკუმული, გიჟივით მიაქროლებდა მანქანას, თვალს გაახელდა თუ არა დილით, მაშინვე სივარეტს გამოირჭობდა პირში... მე კი მეუბნებოდა, სიყვარული ორი ეპიდერმის კონტაქტია და მეტი არაფერია.

პოლს გაეცინა.

— მერე რა მოხდა?

— როცა დავშორდი, მაინც იტირა. ოღონდ ტრაბახში არ ჩამომართვათ, — სწრაფად დაუმატა სიმონმა. — ტრაბახი არ მიყვარს.

ბულონის ტყეში სველი ბალახის სუნი იდგა, ხავსმოდებულნი ხისა და შემოდგომის ბილიკების სუნი. სიმონმა პატარა რესტორნის წინ გააჩერა მანქანა, გადმოვიდა, სირბილით შემოუარა და კარი გაუღო პოლს, რომელსაც მთელი სხეულის დაძაბვა დასჭირდა, მანქანიდან რომ მოხდენილად გადმოსულიყო. რაკილა ასე დაუფიქრებლად წამოაპყვა, კიდევ ბოლომდე უნდა გაძლოს.

სიმონმა მისვლისთანავე კოკტილი შეუკვეთა. პოლმა მკაცრად გადახედა:

— წუხანდელის შემდეგ წყლის გარდა არაფერი არ უნდა დალიოთ.

— ჯერ ერთი, შესანიშნავად ვგრძნობ თავს! მეორეც, გამხნევება მჭირდება. არ მინდა მოიწყინოთ, ამიტომაც ძალას ვიჭრებ.

რესტორანი თითქმის ცარიელი იყო, ოფიციალტიც წარბშეყრილი შეხვდათ. სიმონმა საუზმე დაუკვეთა და მერე გაიტრუნა. პოლს არც უფიქრია მოეწყინა, გრძნობდა, სიმონი ყასიდად გაყუჩებულყო; ალბათ გეგმა უკვე შედგენილი ჰქონდა, რაზე ესაუბრა. ჩანს, კატასავით მალავდა თავის ზრახვებს.

— ასე უფრო თვალში მოსახვედრია! — ერთბაშად წაიკნავლა სიმონმა მალაჩის პატრონივით და მოულოდნელობისაგან პოლს სიცილი აუტყდა.

— მუდამ ასე კარგად ბაძავთ ხალხს?

— არცთუ ცუდად, სამწუხაროდ, საერთო ნაცნობები ცოტა გეყავს, თორემ გაგართობდით. დედაჩემს რომ მივბაძო, მეტყველად, უდიერი ხარო. თუმცა მაინც გავბედავ: „როგორ გვინათ, აქ ატლასი არ აჯობებდა? ოღონდ მარჯვნივ, უფრო მეტ სიმყუდროვეს არ შესძენდა, უფრო მეტ სითბოს არ მოჰყენდა ოთახს?“

— უდიერი კი ხართ, მაგრამ მაინც კარგად აჯავრებთ.

— აი, თქვენს გუშინდელ მეგობარს კი ხეირიანად ვერ დაეკვირდი. თუმცა მგონია, გამიჭირდებოდა მისი მიბაძვა.

სიჩუმე ჩამოვარდა. პოლს გაეღიმა.

— მართლაც ასეა.

— მე კი ერთ-ერთი იმ მეტისმეტად განებევრებული ახალგაზრდების უფერული ასლი გახლავართ, მშობლების წყალობით რომ იოლი ხელობა

აურჩევიათ და საკუთარი თავის გართობის გარდა სხვა არაფერი აწუხებთ. ასე რომ, თქვენ წაგებული დარჩებით: მე ვგულისხმობ დღევანდელ საუზნეს. მისი გამომწვევა კილო პოლს არ მოეწონა.

— როყეს არ ეცალა, თორემ ახლა აქ არ ვიქნებოდით. — თქვენ მან.

— ვიცი, — ისე სევდიანად მიუგო სიმონმა, პოლს ~~სხვა~~ წაუხდა. შემდეგ დიდხანს ისაუბრეს თავიანთ საქმიანობაზე; სიმონმა ერთ-ერთი სასამართლო პროცესი ძალიან სასაცილოდ წარმოადგინა: საქმე ეხებოდა ექვიანობის ნიადაგზე ჩადენილ მკვლელობას. სამსჯავრო სხდომის გათამაშებისას ერთბაშად წელში გაიმართა, თითი პოლისკენ გაიშვირა, გულიანად რომ იცინოდა, და წამოიძახა:

— თქვენ კი ბრალსა გდებთ იმაში, რომ მოქალაქეობრივი ვალი არ შეასრულეთ და ჰუმანურობა არ გამოიჩინეთ. ამ ნიცვალეზულის წინაშე ბრალსა გდებთ იმაში, რომ სიყვარულს ხელი ჰკარით, არად ჩააგდეთ თითოეული ადამიანის მოვალეობა, გეცხოვრათ ისე, ბედნიერი ყოფილიყავით, თქვენ კი თავი აარიდეთ ამას... და ბედს დამორჩილდით. თქვენ სიკვდილით დასჯის ღირსი ხართ: თქვენ მოგესჯებათ მარტოობა!

სიმონი შეჩერდა, ჭიქას დაავლო ხელი და გადაჰკრა. პოლი არ განძრეულა.

— საშინელი განაჩენია! — ჩაილაპარაკა მან.

— ამაზე საშინელი განაჩენი არც შეიძლება, პირადად მე ისე არაფერი მაშინებს, როგორც მარტოობა; ალბათ ყველა ასეა. ოღონდ არავის უნდა აღიაროს. მე კი ზოგჯერ ლამის ვიბღავლო: მეშინია! მეშინია! შემიყვარეთ!

— მეც ასე მომდის, — უნებურად წამოსცდა პოლს.

წამით თვალწინ დაუდგა თავისი ოთახი, კედლის კუთხე საწოლის პირდაპირ, ჩამოშვებული ფარდები, ძველებური სურათი, პატარა კომოდი ოთახის მარცხენა კუთხეში, ყველაფერი, რასაც ყოველ დილას, ყოველ საღამოს და ალბათ ერთი ათი წელი უყურებს. მომავალში კიდევ უფრო მარტო იქნება. როყე? როყე რაღას აკეთებს? არა, როყეს უფლება არა აქვს მარტოხელა სიბერე მიუსაჯოს; ამის უფლება არავის არა აქვს, თვით როყესაც კი...

— დღეს უფრო სასაცილო და წუწუნა გეჩვენებით ალბათ, ვიდრე გუშინ, — ხმაღაბლა თქვა სიმონმა, — ან იქნებ გგონიათ, თქვენი გულის მოსაგებად გავითამაშე კომედია?

სიმონი პოლის პირდაპირ იჯდა; ნათელ თვალებში დროდადრო შემფოთება გაუკრთებოდა, სახე კი ისეთი კრიალა, ისეთი გულლია ჰქონდა, პოლმა კინაღამ ხელი მოუთათუნა.

— არა, არა, მე მეგონა... მე ვფიქრობ, საამისოდ ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხართ და ბევრსაც უყვარხართ.

— სიყვარული ორმხრივი უნდა იყოს, — წაილაპარაკა სიმონმა. — წამოდი, გავისეირნოთ, გარეთ კარგი დარია.

რესტორნიდან გამოვიდნენ. სიმონმა მკლავი გაუყარა. ერთხანს უსიტყვოდ მიაბიჯებდნენ. შემოდგომის სითბო ნელ-ნელა ეუფლებოდა პოლის გულს. გადაწითლებული, გათელილი და ერთმანეთს მიწებებული სველი ფოთლები მიწას ეკვროდა. პოლი უცნაური სინაზით გაიმსჭვალა ამ ყმაწვილისაღმი, გვერდით რომ მდუმარედ მოსდევდა. ეს უცხო ბიჭი რამდენიმე წამით მის

ამხანაგად, მის თანამგზავრად იქცა, ვისთან ერთადაც განძარცულ ხეივანში მიაბიჯებდა გვიანი შემოდგომით. პოლი ბუდამ ასეთი სინაზით იმსჯელებოდა თავისი თანამგზავრებისადმი გინდ სვირნობისას და გინდ ცხოვრებაში. ბუდამ მადლიერი იყო მათი, ასე მაღალნი რომ იყვნენ მასზე, ანუ არ ჰგავდნენ მას და ამავე დროს ასე ახლობლები იყვნენ. გაახსენდა თავისი ქმარი შარკი, რომელიც შიატოვა და მასთან ერთად უზრუნველ ცხოვრებასაც დაემშვიდობა, გაახსენდა მეორე მამაკაცი, პოლი რომ გაგიყებით უყვარდა, ბოლოს თვალწინ დაუდგა როყე, ერთადერთი კაცი, მეხსიერებამ ასე ცოცხლად, თუმცა სულ სხვადასხვანაირად რომ დაახაზა. სამი თანამგზავრი, სამი კარგი თანამგზავრი ერთი ქალის ცხოვრებაში განა უდიდესი გამარჯვება არაა?

— მოიწყინეთ? — ჰკითხა სიმონმა.

პოლმა მოიხედა და გაუღიმა. გზა განაგრძეს.

— მინდა ვირწმუნო... — ჩაწყვეტილი ხმით წამოიწყო სიმონმა, — მინდა ვირწმუნო... მართალია, არ გიცნობთ, მაგრამ მაინც მინდა ვირწმუნო, რომ ბედნიერი ხართ... მე... ჰმ... მე აღფრთოვანებული ვარ თქვენით!

პოლი ყურს არ უგდებდა. გვიანი იყო. ვინ იცის, როყემ დაურეკა, ყავის დასალევად რომ წასულიყვნენ, ისეც შინ არ დახვდა! გუშინ ხომ უთხრა, შაბათს ქალაქგარეთ გავიდეთ და დავისვენოთო. მოახერხებს კი პოლი სამსახურიდან გათავისუფლებას? ვინ იცის, როყემ კიდევ გადაიფიქრა? იქნებ ეს დაპირება სხვა მრავალ დაპირებასავით აღერსით სავსე ღამის წყალობა იყო, რაცა როყეს პოლის გარეშე ვერ წარმოედგინა ცხოვრება და მათი სიყვარული ისეთ ცხად ჭეშმარიტებად ეჩვენა იმ წუთს, თავს ვედარ მოერიო? მაგრამ როგორც კი პოლის სახლის კარს გასცდებოდა როყე, როგორც კი დამოუკიდებლობის მძაფრ სურნელს შეიგრძნობს ქუჩაში, პოლი მას ხელახლა ჰკარგავს.

უკან დაბრუნებისას პოლს თითქმის არ ამოუღია ხმა. მეორე სიმონს მადლობა გადაუხადა საუზნისათვის და უთხრა, ნოხარული ვიქნები, თუკი როდესმე დამირეკავთო. სიმონი გაოგნებული მიჩერებოდა მიმავალ პოლს. საოცარი დაღლა იგრძნო და თავისი თავი ძალზე მოუქნელი ეჩვენა.

თ ა ვ ი V

ასეთ სიამოვნებას მართლაც არ მოელოდა! როყემ ხელი გადასწია და საწოლთან მდგარ პატარა მაგიდიდან სიგარეტი აიღო. ახალგაზრდა ქალმა, გვერდით რომ ეწვა, ჩაიხითხითა:

— არ შეიძლება მამაკაცმა ამის შემდეგ არ გააბოლოს!

ვერაფერი ორიგინალური შენიშვნა იყო! როყემ სიგარეტი ქალსაც გაუწოდა, მაგრამ მან უარის ნიშნად თავი გადააქნია.

— მეზი, შეიძლება ერთი რამ გკითხოთ? ნეტა ამ საღამოს რა მოგეჩვენათ? აგერ, უკვე ორი თვეა ერთმანეთს ვიცნობთ და ბატონ შერელს გვერდიდან არ მოსცილებიხართ...

— ბატონი შერელი ჩემი საქმეებისათვის მჭირდება, დღეს კი თავშექცევა მომიხდა, მიხვდი?

როქემ გაიფიქრა, მეზი იმ ქალთა მოდგმას ეკუთვნის, გვერდით რომ მოგწვევა, მაშინვე „შენობით“ დაგიწყებს ლაპარაკსო. სიცილი წასკდა.

— კი მაგრამ, რატომ მაინცდამაინც შე ამარჩიეთ? კოკტეილზე იმდენი მოხდენილი ახალგაზრდა იყო!

— იცი რა, ახალგაზრდები ლაქლაქს უნდებიან... შენ კი უნდა შენაქმე ნამდვილად გიყვარს. მერწმუნე, ასეთი მამაკაცი ახლა იშვიათია. ქალის თვალს არ გამოეპარება. ახლა არ მითხრა, ქალი მაშინვე არ მნებდებო...
 — ასე სწრაფად მაინც არა! — გაეცინა როქეს.

ქალი მართლა ლამაზი იყო. ამ პატარა ვიწრო შუბლის მიღმა, ეინ იცის, რა წვრილმანი აზრები ტრიალებს ცხოვრებაზე, მამაკაცებზე, ქალებზე. როქე რომ ჩასციებოდა, იქნებ კიდევ ეთქვა, რა იყო მისი ცხოვრების მიზანი, საინტერესოც იქნებოდა მისი მოსმენა. როგორც ყოველთვის, ახლაც გული აუჩუყდა როქეს, მაგრამ ამასთან თითქოს შიშსაც ჰგვრიდა იმის გაფიქრება, ამ ნაირ-ნაირ ლამაზ სხეულებს მისი ძიების შედეგად საგანს ქუჩაში თუ ცხოვრებაში — ჩიტის პატარა ჭკუა განაგებსო. როქემ თმაზე ხელი გადაუსვა ქალს.

— ეტყობა, ბუნებით ალერსიანი ხარ! — უთხრა ქალმა. — შენისთანა ზორბა ოყლაყები მუდამ ასე ნაზები არიან.

— მაშ, მაშ! — უგულისყუროდ წაილაპარაკა როქემ.

— შენთან დაშორება აღარ მინდა. რომ იცოდე, რა აბეზარია ეს შერელი...

— ალბათ ვერც ვერასოდეს გავიგებ!

— როქე, მოდი ორი დღით სადმე წავიდეთ ამ შაბათ-კვირას, არ გინდა? ქალაქგარეთ... საწოლი ოთახიდან ფეხს არ მოვიცვლიდით...

როქემ გადახედა. მეზი ცალ იდაყვს დაყრდნობოდა. როქე დააკვირდა კისერზე ატოკებულ ლურჯ ძარღვს. იმ დღესაც კოკტეილზე ასეთი გამომეტყველება ჰქონდაო, გაიფიქრა და გაელიმა.

— თქვი, ჰო-თქო! გესმის? ახლავე თქვი!

— ახლავე! — გაიშეორა როქემ და ქალი თავისკენ მიიზიდა.

მეზიმ მხარზე უკბინა და აკრუსუნდა. „სიყვარულობია თურმე სულელურადაც შეიძლება“, გაიფიქრა როქემ.

* *

— ძალიან მწყინს, მაგრამ რას იზამ! აბა, კარგად იმუშავე. მანქანა სწრაფად არ ატარო! გკოცნი, — თქვა პოლმა და ყურმილი დაკიდა. ესეც შენი ქალაქგარეთ დასვენება! როქე თურმე ლილში უნდა წავიდეს შაბათს, იქაურ კომპანიონთან ჰქონია საქმე. იქნებ მართლაც ასე იყოს! პოლი მუდამ ცდილობდა როქეს ნათქვამი ერწმუნა. ცოცხლად წარმოიდგინა პატარა სასტუმრო, სადაც მუდამ ჩერდებოდნენ, აგუზგუზებული ბუხარი, მყუდრო ოთახი; იგრძნო კიდევ ნაფტალინის სუსტი სუნის; წარმოიდგინა, რა კარგად გაატარებდნენ იმ ორ დღეს, როგორ გაისვირნებდნენ, ისაუბრებდნენ, დილით როქეს გვერდით გაიღვიძებდა, მერე მთელი ის დღე, თბილი და მშვიდი დღე იქნებოდნენ ერთად. ტელეფონს გადახედა. იქნებ რომელიმე მეგობარ ქალს დაურეკოს, ერთად ვისაუბროთ ან ბრიჯი ვითამაშოთო?.. მაგრამ გული არსად მიუწევდა. არადა,

ორი დღე მარტო დარჩენისაც ეშინოდა. სძაგდა მარტოხელა ქალების კვირა დღეები: გვიანობამდე ლოგინში კითხვა, ხალხით გაჭედული კინო-თეატრები, კოქტეილზე ან სადილად ვინმესთან წასვლა და ბოლოს შინ დაბრუნება, სადაც დახედება აშლილი საწოლი და ისეთი გრძნობა დაეუფლებოდა, თითქოს დიდიდან არც ერთი წუთი არ უცხოვრია. როჟე დაპირდა, ზეგ დაგირეკავო. იგი ჩვეულებისამებრ ტკბილად ელაპარაკა. პოლი დაუცდის როჟეს ზარს, მანამ კი შინ იჯდება. ასეა თუ ისე, აჯობებს ბინა მიილაგოს, ჩვეულებრივი ოჯახური საქმეებით გაურთოს, დედაც ხომ მუდამ დაბეჯითებით ურჩევდა ამას! მაგრამ პოლს ვულში ეს საქმიანობა ძალიან სძაგდა. დრო ხომ მოლუსკი არაა, შენა ნებაზე გაწელო! ახლა კი პოლი თითქმის ნანობდა; ასეთ საქმეებს რომ ვულს ვერ უდებდა. იქნებ მართლაც არის წუთები, როდესაც ცხოვრებაზე კი არ უნდა გაილაშქრო, პირიქით, მისგან დაიცვა თავი, როგორც მეტისმეტად აბუნარი ნეგობარი ქალისგან? იქნებ პოლისთვისაც დადგა უკვე ასეთი წუთი? უკნიდან თითქოს კიდევ მოესმა მრავალხმიანი გუნდის ოხვრით მოძახილი: „კი, დადგა“.

გადაწყვიტა შაბათს, დღის ორ საათზე ქალბატონ ვან დენ ბეშისთვის დაერეკა. თუკი ღმერთმა ჰქნა და დოვილში არ დახვდა წასული, ნაშუადღევს მასთან წაიმუშავებს. ახლა მხოლოდ ეს იზიდავდა პოლს. „კაცებმა იციან ასე, თლონდაც შინ არ დარჩენენ და კვირაობითაც კანტორაში დადიან!“ — გაიფიქრა მან. ქალბატონ ვან დენ ბეშს თურმე ღვიძლის შეტევა ჰქონია, მოწყენილი იყო და პოლის წინადადებას აღტაცებით შეხვდა. პოლმა წაიღო ნიმუშები და კლებერის გამზირზე წავიდა. ქალბატონი ვან დენ ბეში ჭრელ ხალათში დახვდა, „ვეიანის“ მინერალური წყლით სავსე ჭიქა ეჭირა, სახე წითლად აფორაჯებოდა. პოლმა გაიფიქრა, ალბათ სიმონის მამა იყო ძალიან ლამაზი, თორემ დედა მეტად უფერული ჰყავსო.

— თქვენი ვაჟი როგორ ბრძანდება? იცით, ერთ საღამოს ერთმანეთს შევხედით.

ის აღარ უთხრა, წინადღით ერთად რომ ისაუბმეს. თავისი გულჩახვეულობისა თვითონვე გაუკვირდა. მის თანამოსაუბრეს მაშინვე წამებული გამომეტყველება აღებეჭდა სახეზე:

— საიდან უნდა ვიცოდე? თითქმის არაფერს მიამბობს, მხოლოდ მაშინ გავახსენდები, როცა ფული შემოაკლდება. თანაც ბევრს სვამს. მამამისიც სვამდა.

— ლოთს სულაც არ ჰგავს! — გაელიმა პოლს და ერთბაშად თვალწინ დაუდგა სიმონის გადატკეცილი სახე, კარგად ნაპატიები ინგლისელივით, მისი ნაზი ფერ-ხორცი.

— ხომ ლამაზი ბიჭია?

ქალბატონი ვან დენ ბეში გამოცოცხლდა და სიმონის ბავშვობის სურათებით სავსე ალბომები გადმოიღო: აი, ჩვილი სიმონი, აი, პონზე შემჯდარი, გრძელკუთულებიანი სიმონი, აი, შემცბარი სიმონი — კოლეჯის მოსწავლე და სხვა. სურათები ბლონად შემოენახათ. პოლს ესიამოვნა, სიმონი რომ არც პომოსექსუალისტი გამხდარიყო და არც სალახანა.

— თუმცა შვილი ადრე თუ გვიან თანდათან შორდება მშობლებს! — ნალვლიანად ამოიოხრა დედამ.

წამით იგი კვლავ იქცა იმ ქარაფშუტა ქალად, როგორც ოდესღაც იყო — უნდა გამოგიტყდეთ, მოსვენებას აღარ აძლევენ...

— ექვციც არ მეპარება! — ზრდილობიანად დაუკრა კვერფე პოლმა, — უნდა, თუ შეიძლება, ამ ქსოვილებს დახედეთ, ქალბატონო, აქ... გინგ...
სიბ...
სიბ...

— გეხვეწებით, ტერეზა დამიძახეთ!

იგი მეგობრულად ელაპარაკებოდა პოლს, კითხვას კითხვაზე აყრიდა, მერე მსახურს ჩაი შემოატანინა; პოლი კი იმაზე ფიქრობდა, ოცი წლის წინ როგორ ამ ქალთან ცხოვრობდაო, და მის შეშუპებულ სახეზე ამაოდ ეძებდა წარსული სილამაზის კვალს. რამდენჯერაც არ სცადა თავის საქმეზე წამოეწყო საუბარი, არაფერი გამოუვიდა. ტერეზა თავისას არ იშლიდა და გულითადი აღსარებისკენ ილტვოდა. ასე ხდებოდა მუდამ. პოლის ამაყი და მშვიდი იერა, მისდა სამწუხაროდ, მოსაუბრეს ლაპარაკის საღერღელს უშლიდა.

— შესაძლებელია, თქვენ ჩემზე ახალგაზრდა იყოთ, — თქვა ქალბატონმა ვან დენ ბეშმა და პოლს გაეღიმა ამ სიტყვებზე, — მაგრამ ალბათ მოგეხსენებათ, რა დიდი გავლენა აქვს გარემოსა და წრეს...

პოლი აღარ უგდებდა ყურს. ეს ქალი ვიღაცას აგონებდა. ბოლოს მიხვდა, იმ ტერეზას წააგავდა, წინააღმდეგობით სიმონმა ასე კარგად რომ გამოაჯაგრა. სიმონს უთუოდ აქვს მიბაძვის ნიჭი და უთუოდ დაუნდობელიც არის, მაგრამ მორცხვია და ვერ ამჟღავნებს. აქი გუშინ უთხრა: „მე ბრალს ვდებთ იმაში, რომ სიყვარულს ზელი პკარით... ბედს დამორჩილდით... ამიტომ თქვენ მოგესჯებათ მარტობა!“ პოლს ხომ არ გულისხმობდა? ნუთუ მიხვდა ყველაფერს? განგებ ხომ არ უთხრა ასე? ამის გაფიქრებაზე პოლი ერთბაშად გაბრაზდა.

ქალბატონ ვან დენ ბეშის ყბედობას ყურს არ უგდებდა და როდესაც სიმონი მოულოდნელად შემოვიდა, შეკრთა. პოლის დანახვაზე სიმონი გაშეშდა. სინარულის ღიმილი რომ დაეფარა, ისე სასაცილოდ დამანჭა სახე, პოლს გული მოუღება.

— თურმე დროზე მოვსულვარ, მოგეხმარებით!

— სამწუხაროდ, ჩემი წასვლის დროა.

პოლმა გადაწყვიტა სასწრაფოდ გაეცალოს იქაურობას, გაექცეს დედაშვილის შემოხედვას, შინ წავიდეს და წიგნი იკითხოს. წესით ახლა როგორც მანქანაში უნდა იჯდეს, რადიო ჩართოს ან გამორთოს, როგორც თან ერთად იცინოს ან შიშით გული გადაეღიოს, როცა ავტომობილისტის ბრმა, გაცოფებულ თინს აყოლილი როგორ გაყვივით გააქროლებს მანქანას და ორივეს სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის. პოლი ნელა წამოდგა.

— გაგაცილებთ! — უთხრა სიმონმა.

კარში გასვლისას პოლმა მოიხედა; სიმონის შემოსვლის შემდეგ ახლა პირველად შეხედა სახეში და მაშინვე უთხრა, რა ცუდად გამოიყურებითო.

— ამიხდის ბრალია! — თქვა სიმონმა, — ნება მომეცით საღარბაჩომდე მაინც მიგაცილოთ.

პოლმა მხრები აიჩეჩა და კიბეს ჩაუყვა. სიმონი უხმოდ მისდევდა. ქვემო სართულზე შეჩერდა. მისი ფეხის ხმა რომ აღარ მოესმა, პოლი მისდა უნებურად მოტრიალდა. სიმონი მოაჯირს დაყრდნობოდა.

— უკანვე ახვალთ?

ერთბაშად სინათლე ჩაქრა. ამ განიერ კიბეს ფანჯრიდან შემოსული შუქი-ლა ანათებდა. პოლმა მიიხედ-მოიხედა, ამომრთველი მოიძია თვალით.

— ამომრთველი თქვენს უკანაა, — უთხრა სიმონმა.

მერე ბოლო საფეხურიდან ჩამოვიდა და პოლს მიუახლოვდა. „ახლა შეცე-
მა ალბათ!“ — უსიამოდ გაიფიქრა პოლმა. სიმონმა მარცხენა ხელი ამომრთვე-
ლისკენ წაიღო, კინაღამ თმაზე შეეხო პოლს, შუქი აანთო და მებრუნებულმა
მკლავიც რომ გასწია, პოლი მის მკლავებში მოექცა.

— გამიშვით! — შშვიდად უთხრა მან.

სიმონი უხმოდ დაიხარა და თავი ფრთხილად ჩამოადო მხარზე; პოლს გარ-
კვევით მოესმა მისი აჩქარებული გულსცემის და უცბად აფორიაქდა.

— გამიშვით, სიმონ... ასეთი რამ არ მსიამოვნებს!

სიმონი არ განძრეულა, ოღონდ ორჯერ ჩუმიად გაიმეორა მისი სახელი:
„პოლ! პოლ!“ სიმონის უკან ვეებერთელა განიერი კიბე თითქოს კუმტად, მე-
დიდურად გაყუჩებულიყო.

— სიმონ, ჩემო პატარა სიმონ, — ასევე ჩუმიად ჩაილაპარაკა მან, — გამა-
ტარეთ! — სიმონი მაშინვე განზე გადაგა. გასვლამდე პოლი შემობრუნდა და
წყნარად გაუღიმა.

ფ ა ვ ი VI

კვირა დილას პოლს ბარათი დახვდა კართან. ასეთ ბარათებს ადრე პოეტუ-
რა სახელი „ცისფერი პნეემატიკი“ ერქვა. იგი მართლაც პოეტური მოერ-
ვენა პოლს, იქნებ იმიტომ, რომ ნოემბრის მოწმენდილ ცაზე კვლავ აკაშკაშე-
ბულ მზეს ჩრდილებითა და თბილი ათინათით აეესო ოთახის „ექვს საათზე
დიდებული კონცერტია პლეილის დარბაზში, — იწერებოდა სიმონი. — გიყ-
ვართ ბრამსი? გუშინდელ ჩემს საქციელზე ბოდიშს ვიხდი“. პოლს გაეღიმა ამ
სიტყვებზე: „გიყვართ ბრამსი?“ ზუსტად ასე ეკითხებოდნენ ბიჭები, როცა
ჩვიდმეტი წლისა იყო. ასევე ეკითხებოდნენ შენდევაც, ოღონდ პასუხს ყურს
არ უგდებდნენ. ამ ასაკში განა ვინ უსმენდა ერთმანეთს მათ წრეში? პო, მარ-
თლა, უყვარს კი ბრამსი?

პოლმა ფირსაკრავი ჩართო და სწორედ ის ფირფიტა შეარჩია, რომლის
ერთ მხარეზე ვაგნერის უვერტიურა იყო ჩაწერილი, მეორეზე — ბრამსის კონ-
ცერტი. პოლს ბრამსი ერთხელაც არ მოუსმენია; როცესაც ვაგნერი უყვარდა,
ამბობდა, პო, პო, რა ბრახაბრუხია, ნამდვილი მუსიკააო. პოლმა ფირფიტა დაატ-
რიალა. შესავალი ნაწილი რომანტიკული ყოფილაო, გულში გაივლო და ფიქრს
მისცა თავი, ბოლომდე აღარც მოუსმენია. ფირფიტა რომ ჩათავდა, მხოლოდ
მაშინდა მოაგონდა ბრამსის კონცერტი და თავის თავზე გაბრაზდა. ამ ბოლო
ხანებში ერთი წიგნის წაკითხვას ექვს დღეს ანდომებს, ავიწყდება, სად შე-
ჩერდა, მგლოდინებსაც ვერ იხსენებს. მთელი გულსყური ქსოვილების ნიმუ-
შებსა და იმ მამაკაცზე გადაიტანა, რომელიც მის გვერდით არასოდეს იყო.
პოლი კარგაედა საკუთარ „მეს“, საკუთარ გზას და ალბათ ვერც ვერასოდეს
იპოვიდა. „გიყვართ ბრამსი?“ — ამ პატარა წინადადებას გაახსენა ყველაფერი,
რაც მივიწყებული ჰქონდა, ყველა ის კითხვა, შეგნებულად რომ თავს არიდებ-
და, „გიყვართ ბრამსი?“ უყვარს კი ვინმე საკუთარი თავისა და საკუთარი სი-
ცოცხლის გარდა? რომ გეკითხათ, იტყვოდა, სტენდალი მიყვარსო, იცოდა,
მართლაც უყვარდა, თუმცა საქმეც ეს იყო, რომ იცოდა! იქნებ ისიც იცოდა
რომ როცე უყვარს? იქნებ ეს ყველაფერი ათვისებული კვამარიტებები იყო

მხოლოდ, გზის სანიშნოდ გამოსადეგი! პოლს ერთბაშად მოუხდა ვერძეს გამო-
ლაპარაკებოდა, აი, ისე, როგორც ოცი წლისას ულაპარაკია.

სიმონს დაურეკა, თუმცა წინასწარ არ იცოდა, რას ეტყოდა, ალბათ ამას:
„არ ვიცი, მიყვარს თუ არა ბრამსი. არა მგონია!“ არც ის იცოდა, რა უნდა ეთქვა თუ
არა კონცერტზე, გააჩნია, როგორ დაელაპარაკებოდა სიმონს, რას იტყოდა.
პოლი ყოყმანობდა და ეს ყოყმანი სიამოვნებდა. თურმე სიმონი ქალაქგარეთ
წასულიყო სასაუზმოდ და შინ ხუთ საათზე დაბრუნდებოდა ტანსაცმლის გა-
მოსაცვლელად. პოლმა ყურმილი დაკიდა. ამასობაში უკვე გადაწყვიტა კონ-
ცერტზე წასვლა. „სიმონთან შეხვედრა სულაც არ მინდა, მუსიკას მოვის-
მენ, — ფიქრობდა იგი. — ვინ იცის, იქნებ სულ მალე დღის კონცერტებზე და-
ვიწყო სიარული, თუ მეტისმეტად მოსაწყენი არ იქნა. სწორედ რომ მისწრე-
ბაა მარტოხელა ქალისთვის!“ ძალიან ნანობდა, დღეს რომ კვირა იყო და მა-
ღაზიაში ვერ იყიდდა მოცარტის ფირფიტებს, თან ბრამსის რამდენიმე ფირფი-
ტასაც მოაყოლებდა. მხოლოდ ის აშინებდა, კონცერტზე სიმონს მკლავზე არ
წაეგლო ხელი, მით უფრო, რომ წინასწარ გრძნობდა, ასე იქნებოდა. როცა
პოლა მოლოდინი უმართლდებოდა, ნუდამ სევდა მოიცავდა ხოლმე. როცა
ამიტომ უყვარდა. მას არასოდეს გაუმართლებია პოლის მოლოდინი, სხეები-
ვით თავის დღეში არ მოქცეულა.

ექვს საათზე პლეილის საკონცერტო დარბაზში პოლი ხალხის ტალღას შეკ-
ყვა, კინალამ. არ ასცდა სიმონს. ყმაწვილმა კაცმა უსიტყვოდ გაუწოდა ბილეთი,
სწრაფად აირბინეს კიბე, სადაც კონტროლიორი ქალები დაფუსფუსებდნენ.
უზარმაზარი დარბაზი ჩაბნელებული დახვდათ. ისმოდა ორკესტრის შეუწყო-
ბელი ხმები, თითქოსდა ეს შესავალი ხალხს უნდა დახმარებოდა უფრო მეტად
შეეგრძნოთ მუსიკალური პარმონიის სასწაული.

— თურმე არ ვიცოდი, მიყვარდა თუ არა ბრამსი! — მიუბრუნდა პოლი
სიმონს.

— მე კი არ ვიცოდი, თუ მოხვიდოდით! — მიუგო სიმონმა. — ხოლო გიყ-
ვართ თუ არა ბრამსი, ჩემთვის სულ ერთია.

— ქალაქგარეთ წასვლით კმაყოფილი დარჩით?

სიმონმა გაკვირვებით შეხედა.

— მე დაგირეკეთ, — გამოუტყდა პოლი. — მინდოდა შეთქვა, წამოეალ-
მეთქი.

— მე კი ისე შენეშინდა, დამირეკავს და უარს მეტყვის, ან საერთოდ
არ დამირეკავს-მეთქი, რომ ქალაქიდან გავვარდი.

— მოგეწონათ იქაურობა? სად იყავით?

პოლმა ნალველნარევი ნეტარებით წარმოიდგინა ულანის ბორცვი მზის ჩა-
შავალ სხივებზე; გულით უნდოდა სიმონს ამაზე მოეთხრო რამე. როცა რომ
წაეყვანა სეტეილში, ახლა ალბათ იმ გზაზე ისეირნებდნენ გადაწითლებულ
ხეივანში.

— თვითონაც არ ვიცი, სად ვიყავი; ისე მივაქროლებდი მანქანას, წარწე-
რებს აღარ ვუყურებდი. აი, უკვე დაიწყო.

გაისმა ტაში. ღირიყორი ხალხს მიესალმა, ჯოხი ასწია და ორი ათას მსმე-
ნელთან ერთად პოლი და სიმონიც სავარძლებს გაეკრნენ. სიმონი კარგად იც-
ნობდა ამ პათეტიკურ, ადგილ-ადგილ მეტისმეტად პათეტიკურ კონცერტს.
მკლავზე პოლის იდაყვი ეხებოდა. ორკესტრი რომ აიწყვეტდა, მუსიკის აღ-

მაჟრენა თითქოს მასაც აიტაცებდა, შენელებოდა და სიმონიც ხელავდა, რა ხლებოდა მის გარშემო: ესმოდა, როგორ ახველებდნენ აქა-იქ, ხელავდა ორი რიგით წინ ვიღაც მანაკაცის უცნაურ თავს. რაც მთავარია, ძალიან ბრახობდა. ქალაქგარეთ უღანის მახლობლად როყეს შეხვდა სასტუმროში ^{მისი} ~~მისი~~ ^{ქალთან} ერთად! როყე წამოდგა, მიესალმა, ოღონდ ქალი არ გააცნო.

— ასე მგონია, წარამარა ვხვდებით ერთმანეთს. განა არა?

გაოცებულმა სიმონმა არაფერი უპასუხა. როყე ნუქარის თვალით უყურებდა, თითქმის უბრძანებდა, ამ შეხვედრაზე კრინტი არ დასძრათ. კიდევ კარგი, ისე არ შეხვდა, როგორც ერთი მუსუსი შეხვდავს მეორეს, ნამუსი შემინახეო. პირიქით, როყე განრისხებული ჩანდა. სიმონს არაფერი უთქვამს. განა იმიტომ, როყესი ეშინოდა, უბრალოდ, პოლს არ ტყენოდა გული. დაფიცებული ჰქონდა, მისი მიზეზით არაფერი სწყენოდა პოლს. პირველად თავის სიცოცხლეში გულით ეწადა ვიღაც დაეცვა, ვიღაცისთვის აეცდინა მწუხარება. სიმონს სწრაფად ბეზრდებოდა საყვარლები, მუდამ ეშინოდა მათი აღსარებისა, საიდუმლოებებისა, მათი ჩიუტი სურვილისა — ძალიად გაეზადათ სიმონი თავიანთ მფარველად. ამიტომაც დიდხანს არ იცდიდა არავისთან. ახლა კი ერთბაშად მოუხდა დაცლა. თუმიცა რას დაუცადოს? იმას, რომ ეს ქალი თავად მიხვდეს, ყოვლად ჩვეულებრივი ხეპრე მყვარებიაო? ასეთ რამეს ხომ ყველაზე გვიან ხვდებიან! როგორ დარდობს ალბათ, როგორ სწონის და სჯის როყეს საქციელს, იქნებ უკვე შეამჩნია პირველი ბზარიც... ორკესტრს ვიოლინოს ხმა გამოეყო, სასოწარკვეთილებით ათრთოლდა და აქლერდა, მერე მელოდიას შეერია, ჩაწყდა, სხვა საკრავები აიყოლია. სიმონი კინალამ შემობრუნდა, კინალამ მკლავი მოხვია პოლს და აკოცა. დიახ, კინალამ აკოცა... ცხადად წარმოიდგინა, როგორ დაიხრება მისკენ... როგორ შეეხება ქალის ბაგეს, როგორ შემოხვევს მკლავებს... თვალები დახუჭა. პოლმა შეხვდა და იფიქრა, ნამდვილი მელომანი ყოფილაო. სწორედ ამ დროს სიმონის აკანკალებული ხელი მის მკლავს შეეხო. განაწყენებული პოლი გვერდზე გაიწია.

კონცერტის შემდეგ კოკტეილის დასალევად წაიყვანა სიმონმა. უკეთ, პოლმა ფორთოხლის წვენი, ხოლო სიმონმა ორი ჭიქა ჯინი დალია. სიმონი ხელებს იქნევდა და გატაცებით, თვალანთებული ლაპარაკობდა მუსიკაზე, მაგრამ პოლი უგულისყუროდ უსმენდა: ეინ იცის, იქნებ როყემ ისე მოაგვარა საქმე, დილიდან ადრე წამოვიდა და სადილობისას ჩამოვიდა! თანაც ხალხი უკვე მათ უყურებდა. ან რა იყო გასაკვირი: მეტისმეტად ლამაზ, უფრო სწორად, ნეტისმეტად ახალგაზრდა სიმონს პოლის ასაკის ქალი არ შეეფერებოდა.

— ყურს არ მიგდებთ?

— როგორ არა. მაგრამ წასელის დროა. მე უნდა დამირეკონ. თანაც ყველა ჩვენ გვიყურებს!

— ნუთუ დღემდე ვერ შეეჩვიეთ ამას? — აღტაცებით უთხრა სიმონმა, რომელიც გრძნობდა, მუსიკისა და ვისკის წყალობით უსაშველოდ იყო შეყვარებული.

პოლს გაეცინა: ეს ბიჭი დროდადრო მართლაც გულს აუჩუყებდა ადამიანს!

— სიმონ, ანგარიში მოითხოვეთ!

სიმონმა ისე უხალისოდ აასრულა მისი მოთხოვნა, რომ პოლმა ამ საღამოს პირველად შეხვდა დაკვირვებით: სიმონს მართლა ხომ არ შეეუყვარდით, ან ეს უწყინარი არშეყობა ჩემს წინააღმდეგ ხომ არ შეტრიალდაო! პოლი დარწ-

მუნებული იყო, რომ სიმონს მოყირკებული ჰყავდა ქალები. მაგრამ ვაითუ სიმონი უფრო მგრძობიარე და ნაკლებ პატივმოყვარე ბიჭია, ვიდრე პოლს ჰგონია? საოცარია, მაგრამ სწორედ მისი სილამაზე ვნებდა სიმონს პოლის თვალში. ასეთი ლამაზი ყმაწვილი არ შეიძლება გულწრფელი იყოს! თუ ასეა, პოლი შეცდა, რომ შეხვდა, უარი უნდა ეთქვა. სიმონმა გასიონი მოიხმო და ჰიქა უაზროდ შეატრიალა ხელში. მერე ერთბაშად ჩაჩუმდა. პოლმა მკლავზე დაადო ხელი.

— ნუ გეწყინებათ, სიმონ, მეჩქარება, როჟე ალბათ უკვე მელოდება.

იმ პირველ საღამოს რესტორანში სიმონმა ჰკითხა: „გიყვართ კი როჟე?“ ნეტა რა უპასუხა მაშინ? პოლს აღარ ახსოვს. მაგრამ სიმონმა სიმართლე უნდა იცოდეს.

— პოლ... როჟე! აი ნამდვილი მამაკაცის დიდებული მამაკაცი!

— მე როჟე მიყვარს, — შეაწყვეტინა პოლმა და გაწითლდა. ისე ეჩვენა, მეტისმეტად თეატრალურად გამომივიდა ნათქვამიო.

— მას?

— მასაც.

— თუმცა რა საკითხავია! ამ ჩინებულ სამყაროში ყველაფერი ჩინებულია.

— სკეპტიკოსის როლს ნუ თამაშობთ! — ალერსით უთხრა პოლმა. — ადრეა თქვენთვის. ჯერჯერობით ყველაფრისა უნდა გჯეროდეთ...

სიმონმა უცბად მხრებზე წაავლო ხელი და შეანჯღრია.

— ნუ დაშინით! შეწყვეტეთ ასეთი კილოთი ჩემთან ლაპარაკი!

„მაგიწყდება, რომ მაინც მამაკაცია! — გაიფიქრა პოლმა და სცადა სიმონის ხელები მოეშორებინა მხრებიდან. — ამ წუთში მას ნამდვილი მამაკაცის, დამცირებული მამაკაცის სახე აქვს. თხუთმეტი წლის ხომ არ არის მართლა, ოცდახუთი წლისა!“

— თქვენ კი არა, თქვენს საქციელს დავცინი! — წყნარად უთხრა პოლმა, — იმიტომ, რომ თამაშობთ...

სიმონმა ხელი მოაცილა, ერთბაშად მოეშვა.

— მართალია, ვთამაშობ! თქვენ წინაშე ახალგაზრდა, ბრწყინვალე ვექილის, შმაგი მიჯნურის, განუბივრებელი ბავშვისა და, ღმერთმა უწყის, კიდევ ვის როლს არ ვთამაშობ! რაც გაგიცანით, მას აქეთ მხოლოდ თქვენ წინაშე ვთამაშობ. როგორ გგონიათ, ამას სიყვარული ხომ არ ჰქვია?

— ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ კარგად განსაზღვრეთ სიყვარული! — გაიღიმა პოლმა.

ერთხანს ჩაჩუმდნენ, საუბარი ვერ აეწყო.

— მერჩიენა გაგიყებელი საყვარლის როლი მეთამაშა! — წაილაპარაკა სიმონმა.

— აკი გითხარით, როჟე მიყვარს-მეთქი.

— შე კი დედაჩემი, მოხუცი ძიძა, ჩემი მანქანა მიყვარს...

— ვერ გამიგია, ეს რა მოსატანია აქ?.. — შეაწყვეტინა პოლმა და უცბად წასვლა მოუხდა.

ეს მეტისმეტად ახალგაზრდა მტაცებელი განა გაიგებს მის ამბავს, მისა და როჟეს ამბავს, ხუთი წლის სიხარულსა და ტანჯვას, სიამოვნებასა და ეჭვებს?! არავის ძალუძს დააშოროს იგი როჟეს. ამ რწმენამ ისეთი სიყვარულით და მაღლიერებით აავსო პოლი, უნებურად მაგიდის კიდეს წაავლო ხელი.

— როჟე ვიყვართ, მაგრამ მართო კი ხართ! — უთხრა სიმონმა. — მართო ხართ კვირა დღეს, სადილობთ მართო და ალბათ... ალბათ ხშირად მართოსაც ვხინავთ. მე კი მუდამ თქვენ გვერდით დავიძინებდი, გულში ჩავიკრავდით და მძინარეს ჩუმად დაგკოცნიდით. მე ჯერ კიდევ შემიძლია სიყვარულზე, მას კი აღარ... ეს თქვენც კარგად იცით...

— ეინ მოგცათ უფლება... — პოლი წამოდგა.

— მე მაქვს ამის თქმის უფლება. მე უფლება მაქვს მიყვარდეთ და თუ შევძლებ, იმის უფლებაც, თქვენი თავი წავართვა.

მაგრამ პოლი უკვე გარეთ იყო. სიმონი წამოდგა, ისევ დაჯდა და თავი ხელებში ჩარგო... „ჩემი უნდა იყოს... ჩემი უნდა იყოს... არადა, მთელი სიცოცხლე ტანჯვად მექცევა!“ — ფიქრობდა იგი.

თ ა ვ ი VII

შაბათ-კვირა სასიამოვნოდ გაატარეს. მეზის — იგი როჟეს მანჭვით გამოუტყდა, მარსელი მქვია, მაგრამ ასეთი სახელი მომავალი კინო-ვარსკვლავისთვის შეუფერებელიაო. — სიტყვა არ გაუტეხავს. როგორც კი დაწვა, ლოგინიდან არც ამდგარა. როჟეს სხვა ნაცნობი ქალები ასე როდი იქცეოდნენ. ისინი კოკტეილისთვის, საუზმისა, სადილისა თუ ჩაისთვისაც პოულობდნენ დროს და შემთხვევას არ უშვებდნენ ნაირ-ნაირი ტანსაცმელი გამოეფინათ. როჟე და მეზი ორი დღე ოთახიდან არ გასულან, თუ არ ჩავთვლით იმ ერთ შემთხვევას, როცა როჟე ძვირფასი ტერეზას ლამაზ ვაჟიშვილს შეეფეტა. როჟეს ვერც წარმოედგინა, ეს ყმაწვილი თუ პოლს ნახავდა, მაგრამ გაურკვეველი წუხილი მაინც არ ასვენებდა. მართალია, ლილში გამგზავრება მოიმიზეზა და ცოტა არ იყოს ტლანქადაც იცრუა, მაგრამ ამ ღალატითა და სიცრუით თუ პოლს შეურაცხყოფდა, ამას ვერ ხვდებოდა. უბრალოდ, არ სურდა მისი ღალატი დროითა და სივრცით ყოფილიყო აღნუსხული: „კვირას უღანში ვისაუზმე და თქვენი მეგობარი ვნახე, იმ საღამოს რესტორანში რომ განაცანით“. როჟემ იცოდა, პოლი ისე მოისმენდა ამ ფრაზას, კრინტს არ დასძრავდა, ოღონდ წამით განზე გაიხედავდა. ეს იყო და ეს. მაგრამ ტანჯული პოლი... ეს ახალი ამბავი არ იყო როჟესთვის. იმდენჯერ მოუშორებია ამაზე ფიქრი, რომ კიდევ რცხვენოდა. როჟეს იმ ფიქრისაც შერცხვა, თავში რომ გაჰკრა: როგორც კი მეზის შინ მივიყვან, მაშინვე პოლთან გავეშურებო, შერცხვა და გაეხარდა კიდევ. არა, პოლი ვერასოდეს ვერაფერს გაიგებს! ალბათ თვითონაც კარგად დაისვენა ეს ორი დღე! ისინი ხომ საღამოობით ხშირად არიან ერთად! პოლი ალბათ მეგობრებთან წაეიდოდა ბრიჯის სათამაშოდ, ბინას დააღაგებდა, ახალ წიგნს წაიკითხავდა... ანაზღად თვითონვე გაუკვირდა, ასე ჯიუტად რატომ ცდილობს პოლის კვირა დღე შეავსოს.

— რა მარჯვედ მიგყავს მანქანა! — შემოესმა ხმა და შეკრთა. მეზის გადახედა.

— ვითომ?

— თუმცა შენ ყველაფერში მარჯვე ხარ! — განაგრძო ქალმა და სკამზე გადაწვა.

როჟეს ერთი სული ჰქონდა ეთქვა, წამით მაინც დაივიწყე შენი ჩამოსხმული სხეული, შენი დაკმაყოფილებული ვნებაო. ქალი მიბნედილი კისკისებდა, ყოველ შემთხვევაში, ეგონა, მიბნედილად ვიცინიო. მერე როჟეს სული მუხლზე დაიდო. მუხლი მკვრივი და თბილი ჰქონდა. როჟეს გაეღიმა. მეზი ერთი უშკუო, ყბედი, თვალთმაქცი ქალი გამოდგა, მისი სიყვარულზე სხეულ-ლური და ტლანჭი იყო, ხოლო როჟეს სინაზესა და მეგობრულ ქცევას რომ არაფრად აგდებდა, უფრო მეტად აღიზიანებდა ამით. „უსულო, ურცხვი, კინი, ტლანჭი და მეტიჩარა გოგოა, მაგრამ მისი აღერსი მაინც მსიაშოვნებს“, — გაიფიქრა როჟემ და ხმამაღლა გაიცინა. ქალს სიცილის მიზეზი არ უკითხავს, რადიომიმღებისკენ გასწია ხელი. როჟემ თვალი გააყოლა... რა თქვა იმ დღეს პოლმა? რადიოსა და ერთად გატარებულ საღამოებზე?.. კარგად აღარც ახსოვს. რადიოში კონცერტს გადმოსცემდნენ. ქალმა სხვა ტალღაზე გადაართო, მაგრამ რაკი უკეთესს ვერაფერს წააწყდა, ისევ კონცერტი ამჯობინა. „თქვენ მოისმინეთ ბრამსის კონცერტი!“ — ჩაიკიკინა დიქტორმა და ტაშიც აგრიალდა.

— რვა წლისას დირიჟორობა მინდოდა! — თქვა როჟემ. — შენ?

— მე მაშინაც კინო-მსახიობობაზე ვოცნებობდი და კიდევ ავისრულებოცნებას!

როჟემ გაიფიქრა, ალბათ ასეც იქნებაო. მანქანა ქალის სახლის წინ გაჩერა. მეზი სახელოზე ჩააფრინდა.

— ხვალ იმ საძაგელ შერელთან უნდა ვისადილო. მაგრამ რაც შეიძლება მალე უნდა ვნახო ჩემი პატარა როჟე. როგორც კი დროს მოვიხელთებ, მაშინვე დაგირეკავ.

როჟეს გაეღიმა, ეამა ახალგაზრდა, მალული საყვარლის როლი. მეტადრე რომ მეტოქე მისი ტოლი იყო!

ხომ შესძლებ? მითხრეს, თავისუფალი არააო..

— მე თავისუფალი კაცი ვარ! — როჟეს სახე დაედრიჯა. ესღა აკლია, ამ ქალთან პოლი ახსენოს!

მეზი მანქანიდან გადმოცქრიალდა, ხელი დაუქნია და ქიშკარში შევარდა. როჟემ მანქანა დასძრა. ბოლო ფრაზამ — „მე თავისუფალი კაცი ვარ“, აათორიაჭა. მისი ნათქვამი ნიშნავდა: „ყოველგვარი მოვალეობის გრძობისგან თავისუფალი ვარ!“ ვეღარ ითმენდა, ისე ეჩქარებოდა პოლის ნახვა. მხოლოდ მას შეეძლო მისი დამშვიდება. და კიდევ დაამშვიდებდა.

* *

ერთობა, პოლმა ერთი ფეხით მიასწრო შინ მისვლა, პალტო ჭერაც არ გაეხადა. სახეზე ფერი არ ედო და როცა როჟე შემოვიდა, მიიბინა, თავი მხარზე მიადო და გაინაბა. როჟემ მკლავი მოხვია, ლოყა თავზე დაადო, უცდიდა, როდის ამოიღებდა ხმას. რა კარგად მოიქცა, პოლისკენ რომ გამოეშურა, პოლს იგი სჭირდება, ჩანს, რაღაცა მოხდა. ასეთმა, გულთამხედაობამ პოლის სიყვარული გაუათქეცა. როჟე არავის დააჩაგვრინებს პოლს! რა თქმა უნდა, პოლი თვითონაც ძლიერია, დამოუკიდებელი, ჭკვიანი, მაგრამ ყველა მის ნაცნობ ქალთან შედარებით მაინც უმწეო. ამიტომაც როჟე აუცილებელი მისთვის. პოლმა ხელა ჩამოიშორა როჟეს მკლავები.

— კარგად იმგზავრე? ლილში როგორი ამინდი იყო?

როქემ სწრაფად შეხედა. არა, რა თქმა უნდა, პოლს ეშვიც არ გუფელია გულში, მახის დაგება არასოდეს სჩვეოდა. როქემ წარბები აზიდა.

— ისე რა! შენ? შენ რა მოგივიდა?

— არაფერი.

მარქენუნი
ბიზუნიუსი

პოლმა თავი მიაბრუნა. როქე აღარ ჩასციებია, სულ ერთია, პოლი მერე თვითონვე უამბობს ყველაფერს.

— რას აკეთებდი?

— გუშინ ვიმუშავე. დღეს კი კონცერტზე ვიყავი პლეილის საკონცერტო დარბაზში.

— შენ რა, ბრამსი გიყვარს? — ღიმილით ჰკითხა როქემ.

პოლი ზურგშექცეული იდგა და ისე სწრაფად შემობრუნდა, როქემ უკან დაინხა.

რატომ მეკითხები?

— რომ ვბრუნდებოდი, კონცერტის ბოლო ნაწილი რადიოთი მოვისმინე.

— პო, მართლა, კონცერტს რადიოთი გადასცემდნენ... უბრალოდ გამიკვირდა, როდის აქეთ შეგიყვარდა მუსიკა...

— მეც იგივე მინდა ვითხრა... რამ წაგიყვანა?... მე კი მეგონა, დარესთან ზის და ბრიჯს თამაშობს-მეთქი, ან...

პოლმა შუქი აანთო სასტუმრო ოთახში. მერე ზანტად გაიხადა მანტო.

— ახალგაზრდა ვან დენ ბეშია დამბატოვა კონცერტზე. საქმე არ მქონდა და არც მახსოვდა, ბრამსი თუ მიყვარდა... წარმოგიდგენია! ველარ მოვიგონე. მიყვარდა თუ არა ბრამსი!

პოლს ჯერ ჩუმად ჩაეცინა, მერე თანდათან უმატა სიცილს. როქეს ათასნაირი ფიქრი მოეძალა. სიმონ ვან დენ ბეში? ნუთუ უამბო, უდანში რომ შეხვდა როქეს?... თუ ასეა, რაღად იცინის?

— პოლ, დამშვიდდი. ჯერ ის მითხარი, რას აკეთებდი იმ ლაწირაკთან?

— ბრამსს ვუსმენდი. — სიცილით უთხრა პოლმა.

— გეყოფა, ბრამსს თავი დაანებე...

— რას ამბობ, ბრამსია მთავარი...

როქემ მხრებში წაავლო ხელი. სიცილისგან პოლს ცრემლიც კი მოადგა თვალებზე.

— პოლ, ჩემო პოლ... რა ვითხრა იმ ტიპმა? ან საერთოდ რა უნდა შენგან? როქე გაცოფებული იყო: გრძნობდა, დაასწრეს, გააბრიყვეს. — პო, რას იზამ, იგი ოცდახუთი წლისაა! ჩაილაპარაკა ბოლოს.

— ჩემთვის ამაზე დიდი ნაკლი არ არსებობს, — წყნარად მიუგო პოლმა. როქემ ისევ მოხვია მკლავები.

— პოლ, მე ისე გენდობი! ისე გენდობი! ჰკუთხე შევიშლები, ვიდაც თავქარიანი ლაწირაკი რომ მოგეწონოს.

როქემ ქალი გულში ჩაიკრა; ერთბაშად წარმოიდგინა, როგორ უწვდიდა პოლი სხვას მკლავებს, როგორ კოცნიდა, რა ნაზად, ყურადღებით ექცეოდა იმ სხვას. როქე იტანჯებოდა. „რა შეუგნებლები არიან მამაკაცები!“ — მშვიდად

ფიქრობდა პოლი, — ისე გენდობი... ისე გენდობი, შემძლია გილალატო, მარტო დაგტოვო, მაგრამ შენც რომ ასე მოიქცე, გადავირევი!.. რა დიდებულაია!“
 — სიმონი კეთილი ბიჭია, მაგრამ უფერული! — თქვა მან ხმაძალდა. — ესაა და ეს. სად ვისადილოთ?

მარტო
 შიშა...

თ ა ვ ი VIII

„ბოდიშს ვიხდი, — იწერებოდა სიმონი, — მართლაც არ მქონდა უფლება იმის თქმისა, რაც ვითხარით. ყველაფერი ეჭვიანობის ბრალია. ეჭვიანობის უფლება კი, ვფიქრობ, ადამიანს მხოლოდ მაშინ აქვს, როცა რაიმეს ფლობს. ერთი რამ ცხადია, თავი მოგაბეზრეთ. მალე გათავისუფლდებით ჩემგან... პროვინციაში მივყვები ჩემს პატივცემულ ვეჭილს, პროცესის მასალებს უნდა გავეცნოთ. ხის ძველ სახლში დავიდებთ ბინას; სახლი მის მეგობარს ეკუთვნის. წინასწარ ვიცი, ზეწრებს ვერვენის სუნი ექნება, ყოველ ოთახში ცეცხლს ავაგუზგუზებთ, ყოველ დილით ჩემს ფანჯარასთან ჩიტები იფლურტულენ; მაგრამ ისიც კარგად ვიცი, ამჯერად მართლა ვერ მოვახერხებ სოფლის მწყემსის როლი გავითამაშო. ღამით თქვენ მეყოლებით გვერდით, სულ ახლოს, ცეცხლის ალით განათებული; შევეცდები, რაც შეიძლება დიდხანს დავრჩე იქ. არ დაიჯეროთ, — თუნდაც ჩემი ნახვა არასოდეს მოისურვოთ, — არ დაიჯეროთ, რომ არ მიყვარხართ!

თქვენი სიმონი“.

პოლს ხელი აუკანკალდა. ბარათი ჯერ საბანზე დაეცა, მერე ხალიჩაზე. თავი ბალიშს მიაყრდნო, თვალები დახუჭა. რა თქმა უნდა, სიმონს უყვარს იგი... ამ დილით მოქანცული იყო. ცუდად ეძინა. ყველაფერი კი სულ იმ რამდენიმე სიტყვის ბრალია, წინა ღამით როყეს რომ წამოსცდა. პოლი ლილიდან დაბრუნების ამბავს ეკითხებოდა. იმ სიტყვებს ჯერ ყურადღება არ მიაქცია, მაგრამ მერე დაუფიქრდა... როყეს ამ ფრაზის თქმაზე ენა დაება, ხმა ჩაუწყდა, მერე წაილულლულა:

— რასაკვირველია, კვირა დღეს მანქანით სიარული მუდამ ძალიან ჭირს... თუმცა... მანქანებით გაქედნილ საავტომობილო გზაზე დიდი სიჩქარით სვლა მაინც შეიძლება...

როყეს რომ კილო არ შეცვლოდა, პოლი მართლაც ვერაფერს შეამჩნევდა. შეუცნობელი რეფლექსის, თავდაცვის ამ საშინელი რეფლექსის წყალობით, რაც პოლს ასე გამახვილებული ჰქონდა ბოლო ორი წლის მანძილზე, მაშინვე თვალწინ დაუდგა ლილის ახალი საავტომობილო გზა. როყეს სიტყვა გაუწყდა, პოლს მისთვის არ შეუხედავს, თხუთმეტი წამის მერე კი თვითონვე განაახლა საუბარი. სადილზედაც წყნარად მუსაიფობდნენ, თუმცა პოლს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ეჭვიანობა ან ცნობისმოყვარეობა კი არა, ეს დაღლა და გულგატეხილობა არ გაუვლიდა არასდროს. უცქერდა ამ ნაცნობ, საყვარელ სახეს, რომელზეც მხოლოდ ეს წუხალი ეწერა — მიხედა თუ არაო, თვალებიც ჯალათის სიჯიუტით აკვირდებოდნენ და ტანჯვის კვალს ეძებდნენ მის სახეზე. პოლმა ისიც კი გაიფიქრა: „ტანჯვით ზომ მტანჯავს, მევე მაიძულებს დავამშვიდო და ვუთხრა, ჩემს ტანჯვას ნურაფრად აგდებ-მეთქი“. ასე ეგონა, სკამიდან ტანს ვერ აიტანდა, რესტორნის დარბაზს ისეთი ნარნარი რხევით

ვერ გაივლიდა, როყეს რომ ასე უყვარდა, და ვერც თავის სახლის კართან ეტყოდა, „ღამე მშვიდობის“. რასაკვირველია, სჯობდა გაელანძლა, ჭიჭა თავში ესროლა, მაგრამ რა ექნა, ხომ არ შეეძლო ერთბაშად განდგომილი თავის თავს, დაეთმო ყველაფერი, რაც ასე კეთილშობილსა და ღირსეულს უნდოდა, დაეთმო ყველაფერი, რითაც განსხვავდებოდა როყეს საყვარლებისაგან?! როყემ ბევრჯერ უთხრა, ეს ქალები არარას წარმოადგენენ ჩემთვის, მაგრამ რა ვქნა, ასეთი ვარ და არც არაფრის დამალვა არ მინდაო. დიახ, როყე თავისებურად პატიოსანი იყო. მაგრამ განა ამ ჩვენს არეულ ცხოვრებაში ერთადერთი პატიოსნება ის არ არის, მთელი გულით გიყვარდეს ვიღაც და ბედნიერება მიანიჭო, თუნდაც ამისთვის შენს სანუკვარ თეორიებზე ხელი აიღო?!

სიმონის ბარათი ისევ ხალიჩაზე ეგდო. პოლი ლოგინიდან წამოდგა, ფეხი დაადგა წერილს, მერე კვლავ დასწვდა, გადაიკითხა, მაგიდის უჯრა გამოსწია, ქაღალდი და მუდმივი კალამი ამოიღო და პასუხი მისწერა.



სიმონი მარტო დარჩა სასტუმრო ოთახში, არ უნდოდა გარეულიყო იმ ხალხში, ცნობილ ვეჭილს რომ ირგვლივ შემოხვეოდნენ და სასამართლო პროცესის დამთავრებას ულოცავდნენ... სახლი ჩაყამებული და ცივი იყო. წინაღამით ყინავდა და ფანჯრიდან გათოშილი სოფელი, ფოთლებშემოძარცული ორი ხე და გადაყვითლებული მდელო მოჩანდა; დაუდევარ მებაღეს უპატრონოდ მიეგდო ორი დაწნული სავარძელი და შემოდგომის ამ წვიმაში ლბებოდნენ. სიმონი ინგლისურ რომანს კითხულობდა მელაღქცეულ ერთ ქალზე და დროდადრო ხმამაღლა იცინოდა; იგი მოხერხებულად ვერა და ვერ დამჯდარიყო: ფეხებს ხან გადააჯვარედინებდა, ხან ისევ გაშლიდა. ამან ისე მოაბეზრა თავი, წამოდგა, წიგნი მაგიდაზე მიაგდო და გარეთ გავიდა.

სიმონი ბაღის ბოლოს, პატარა გუბურასთან დადგა, ღრმად შეისუნთქა საღამოს ცივი ჰაერი და კვამლის სუნი: ღობის გადაღმა გამხმარ ფოთლებს სწვავდნენ. სიმონს ძალიან უყვარდა ცეცხლის სუნი და ერთხანს თვალდახუჭული იდგა. დროდადრო რომელიღაც ფრთოსანი ჩხაოდა. ნალველით შეზავებული ეს გარემო თითქოს საკუთარ დარდს უმსუბუქებდა. სიმონი მდორე წყლისკენ დაიხარა, ხელი ჩაპყო, საკუთარ გამხდარ თითებს დააკვირდა. წყალში ისე მოჩანდა, თითქოს ისინი შვეულად ერჭო ხელისგულში. იდგა გაუნძრევლად და მუშტს ისე ნელა კუმშავდა, იტყოდით, უხილავი თევზის დაჭერას ლამობსო. უკვე შვიდი დღეა, თითქმის შვიდ-ნახევარიც, პოლი არ უნახავს. მისი წერილი ალბათ მიიღო, მხრები აიჩეჩა, მერე გადამალა, როყემ არ ნახოს და სიმონს არ დასცინოს. სიმონმა კარგად იცოდა, პოლი კეთილი ქალი იყო. კეთილი, გულთბილი და უბედური ქალი. პოლის გარეშე სიმონს ცხოვრება არ შეუძლია. მაგრამ როგორ დააჯეროს? ერთ საღამოს ამ ჩაყამებულ სახლში სულ პოლზე ფიქრობდა დაეინებით, იქნებ ჩემმა ფიქრებმა პარიზში მიაღწიოსო! მერე ლოგინიდან წამოხტა, პიეტამისამარა ბიბლიოთეკაში ჩავიდა და დიდხანს ეძება ტელეპატიასზე რაიმე წიგნი. რა თქმა უნდა, ამაოდ, იცოდა, ბავშვურად იქცეოდა, მაგრამ ჩიხიდან თავის დასაღწევად მუდამ ან ბავშვურად მოქმედებდა ან ალაღბედზე. ისიც კარგად იცოდა, რომ პოლისნაირი ქალის სიყვარუ-

ლი თავად უნდა დაემსახურებინა. მარტო კარგი გარეგნობით ვერ მოიგებდა პოლის გულს. პირიქით, პოლს ნაკლად მიაჩნდა მამაკაცის სილამაზე. ამას კარგად გრძნობდა. „პარიკმახერის შეგირდს ვგაეარ!“ ხმადაბლა დაიკვნესა მან და წამით ჩიტმაც შეწყვიტა გამაბეზრებელი ჭახჭახი.

სიმონი ნელი ნაბიჯით გაუყვა გზას სახლისკენ. ოთახში შევიდა, ჩეცქიხაზე გაწვა და ბუხარში კუნძი შეაგდო. საცაა ბატონი ფლერი დაბრუნდება, გამარჯვებით ვითომ დამორცხვებული, მაგრამ თავის თავში კიდევ უფრო დარწმუნებული. პარიზულ პეწსე შემლილი პროვინციელი ქალების წინაშე ალბათ მოპყვება ისევ თავისი საყოველთაოდ ცნობილი სასამართლო საქმეების ამბავს: ოდნავ მოქანცული, დესერტზე შესმული ღვინით გაბრუნებული ქალები კი მზერას გააპარებენ ახალგაზრდა, ზრდილ და სიტყვაძუნწ სტაჟიორისკენ. „აი, იმ ქალს ნამდვილად მოეწონეთ, ჩემო კარგო სიმონ!“ — ჩურჩულით ეტყვის ბატონი ვეჭილი და ალბათ ყველაზე ხანშიშესულ მანდილოსანზე მიანიშნებს. წინათაც უმოგზაურიათ ერთად, მაგრამ სახელოვანი ვეჭილის აბეზარი ნართაულები სიმონს ყურში არასოდეს შეუშვია.

სიმონს აუხდა წინათგრძნობა. ოღონდ ასე მხიარულად არასოდეს ყოფილა სადილზე: ენად გაიკრიფა, სახელოვან ვეჭილს ლაპარაკს არ აცლიდა, მანდილოსნები ყველა მოხიბლა. საქმე ის იყო, რომ სადილობამდე ბატონმა ფლერმა ბარათი გადასცა: კლებერის გამზირიდან რუანში გადმოეგზავნათ. პოლის წერილი იყო. სიმონს ხელი ჯიბეში ედო, ბარათს ატრიალებდა და ბედნიერი ილიმებოდა. იგი ხმამაღლა ლაპარაკობდა და თან ცდილობდა წერილი სიტყვა-სიტყვით გაეხსენებინა:

„ჩემო პატარა სიმონ, — პოლი მუდამ ასე მიმართავდა — რა სევდიანი წერილი მომწერეთ! არ ღირს ჩემზე ასე იღარდოთ. მე უკვე მომენატრეთ. თვითონაც არ ვიცი, რა ხდება ჩემს თავს!“ — პოლს ხელმეორედ დაეწერა მისი სახელი „სიმონ“ და შემდეგ ორი დიდებული სიტყვა დაემატებინა: „მალე ჩამოდით!“

ახლავე, ნასადილევს დაბრუნდება იგი პარიზში. მანქანას მთელი სიჩქარით გააქროლებს. პოლის სახლს ჩაუვლის, იქნებ სადმე თვალი მოჰკრას.

ორ საათზე მის სახლთან შეაყენა მანქანა. ნახევარი საათი იდგა და ელოდა, უცებ სახლთან მანქანა გაჩერდა და პოლი მარტო გადმოვიდა. სიმონი არ განძრეულა, თვალი გააყოლა მარტო მიმავალ პოლს, რომელმაც თავი მოაბრუნა დაძრულ მანქანისკენ და ხელი დაუქნია ვიდაცას. სიმონი მიგაჭვულივით იჯდა. აი, ის ქალი, ვინც ასე ძალიან უყვარს, ვისთვისაც სიყვარულით უძგერს გული. სიმონი გაუნძრევლად იჯდა, შეშინებული, გულნატკენი და შინაგანად დაცარიელებული.

თ ა ვ ი IX

ბულონის ტყეში გაყინულ ტბას უღიმღამო მზე დანათობდა: ერთადერთი სპორტსმენი-ნიჩბოსანი თავგადაკლული ლამობდა ზაფხული უკან შემოებრუნებინა. იგი იმ უცნაურ სპორტსმენთა რიცხვს ეკუთვნოდა, ფორმის შესანარჩუნებლად ყოველ ცისმარე დღეს რომ ვარჯიშობენ, თუმცა უფერული გარეგნობის გამო ამ სიბეჯითეს არავინ უფასებთ. მისი ნიჩაბი ციმციმა, ვერცხლის-

ფერ შხეფებს მალღა ისროდა, მაგრამ რაკი სიცივით დათრთვილული ხეებდან უკვე ნადვლიანი ზამთარი იმზირებოდა, შხეფები ამიტომაც გუხამუშებოდა. პოლი უცქერდა შუბლშეკრულ სპორტსმენს. იგი ალბათ კუნძულს შემოთვლის, მერე კი დაქანცული და თავის თავით კმაყოფილი უკან დაბრუნდება. ეს ყოველდღიური ჯიუტი შემოვლა პოლს რაღაც სიმბოლური ეჩვენა. გვერდით სიმონი ეჯდა მდუმარედ. პოლი შემობრუნდა და გაუღიმა. სიმონმა დიმილი არ შეაგება. ქალი, ვისი გულისთვისაც წინაღამეს მან მთელი დეპარტამენტი გადასერა, ვინც მის წარმოდგენაში გაშიშვლებული, წუხანდელ გზასავით მორჩილი, თავის თავს სთავაზობდა, სულაც არ ჰგავდა იმ ქალს, ვინც ახლა მის გვერდით რკინის სკამზე მშვიდად იჯდა, მასთან შეხვედრით არცთუ ძალიან გახარებული და ამ მოსაბეზრებელი სურათის შემყურე ლამის თვლემდა. იმედგაცრუებული ვაჟი განგებ სხვა მიზეზს აწერდა თავის გულგატეხილობას და თავს არწმუნებდა, პოლი აღარ მიყვარსო. სოფლის იმ ჩაქამებულ სახლში გატარებული ერთი კვირა იმის ნათელ მაგალითს წარმოადგენდა, რა სისულელედ მიჰყავდა ზოგჯერ იგი ოცნებებს. და მაინც საოცარი სურვილი ჰქონდა, თავბრუდამხვევა, მწარე სურვილი — ხელები მაგრად შემთავდოს, თავი ისე აუწიოს პოლს, ტკივილი მიაყენოს და დაეკონოს მის მსხვილ, მშვიდ ტუჩებს, რომლებიც მთელი ორი საათი მხოლოდ ზრდილობიან, დამამშვიდებელ სიტყვებს წარმოთქვამდნენ. დამშვიდება სულაც არ სჭირდებოდა სიმონს. აკი მოსწერა პოლმა, „მალე ჩამოდიო“? სიმონი თავბედს იწყევლიდა, განა იმიტომ, რაღაც უჩვეულოს მოელოდა ამ სიტყვების შემდეგ, არამედ იმიტომ, რომ ცას ეწია სინარულით, სულელური ნდობით აღივსო. თურმე სჯობს დიდნა მიზეზმა გაგაუბედუროს, ვიდრე პატარამ გაგაბედნიეროს! ასეც უთხროს პოლს. ქალმა თვალი მოაშორა ნიჩბოსანს და გაკვირვებულმა შეხედა სიმონს.

— ჩემო პატარა სიმონ, ყველა ასეა ახლა. ისე რომ თქვენი სურვილი ზუნებრივია!

პოლს სიცილი აუტყდა. ამ დილით სიმონი გიყნობით მოვარდა მატინიონის გამზირზე და ქალმაც მაშინვე აგრძნობინა, ეს წერილი დიდს არაფერს ნიშნავსო.

— ეი მაგრამ, თქვენ ხომ ის ქალი არა ხართ. პირველივე შემხვედრს რომ მისწეროთ, მალე ჩამოდიო?

— მარტო ვიყოფი. — გამოტყდა პოლი, თანაც უცნაურ გუნებაზე. მარალი ხართ, არ უნდა მომეწერა, მალე დაბრუნდით-მეთქი.

თუმცა გულში ასე არ ფიქრობდა. სიმონი გვერდით ჰყავდა და ამით ბედნიერი იყო, იგი ხომ სულ მარტოა! როყეს თურმე ახალი საყვარელი გაუჩენია, კინოზე გაგიჟებული ვიღაც ახალგაზრდა ქალი (უკვე აცნობეს კეთილისმსურველებმა): ეტყობა, როყეს კიდევ რცხვენია თავისი ახალი გატაცებისა, თუმცა კრინტი არ დაუძრავს. ჩვეულებრივ, როცა სატრფიალო თავგადასავლებით ტრაბახობდა. თავის მართლება და მიკიბ-მოკიბვა არ იცოდა ხოლმე. ამ კვირაში ორჯერ ისადილეს ერთად, მხოლოდ ორჯერ! სიმონი, მისი საყვარულით გატანჯული ეს ყმაწვილი გვერდით რომ არ ჰყოლოდა, პოლი ძალიან უბედური იქნებოდა.

— წავიდეთ, — თქვა სიმონმა, — თქვენ უკვე მოგბეზრდათ აქაურობა.

პოლი არ შეკამათებია, ისე წაშოდგა: ძალიან მოუნდა წონასწორობიდან გამოეყვანა სიმონი, თუმცა თავადვე ბრაზობდა თავის სისასტიკეზე. ეს სისასტიკე თითქოს მისი ნაღველის მეორე მხარე იყო, სულელური სურვილი, შური ეძია იმაზე, ვინც შურისძიებას სულაც არ იმსახურებდა. მისი მამის პატარა მანქანაში ჩასხდნენ. ყმაწვილს მწარედ გაეღიმა, სულს სხვებგვარად ჰქონდა წარმოდგენილი დღევანდელი დღე: აი, მარცხენა ხელით საჭეს მართავს, მარჯვენაში პოლის ხელი უჭირავს, მისი ლამაზი თავი სიმონისკენაა მობრუნებული! პოლისთვის არც შეუხედავს, ისე გასწია მისკენ ხელი, ქალმა ხელისგულეებში მოიქცია სიმონის ხელი და გაიფიქრა: „რა იქნება, ერთხელ მეც ჩავიდინო სისულელე?“ სიმონმა მანქანა გააჩერა: პოლს არაფერი უთქვამს. სიმონი დაჰყურებდა საკუთარ ხელს, ალბათ ერთი სული აქვს პოლს, ვინემ მის ხელს მოიშორებდეს. ერთბაშად საშინელი დაღლილობა იგრძნო ყმაწვილმა. თავი უკან გადააგდო, თითქოს შეურიგდა კიდევ ამ გარდაუვალ განშორებას. იმ წუთში უცბად მოტყდა, ოცდაათი წლით დაბერდა, ქალმა თითქოს მხოლოდ ახლა დაინახა სიმონის ნამდვილი სახე.

პირველად იგრძნო, სიმონი მას, არა, მათ ორთავეს ჰგავდა (როგესა და პოლს), განა იმიტომ, რომ ადვილად ატკენდი გულს, ეს თვისება მან ადრევე შეამჩნია სიმონს. ამ თვისების გარეშე ვერც წარმოედგინა ადამიანი. არამედ იმიტომ, რომ მის წინაშე იყო ყოველივე იმისგან განძარცული, გათავისუფლებული ჭაბუკი, რასაც ახალგაზრდობა, სილამაზე და გამოუცდელიობა ანიჭებს ადამიანს. მის თვალში სიმონი მუდამ ტყვე იყო საკუთარი ფუქსავატობის, საკუთარი ზერელე ცხოვრებისა. სწორედ ამიტომ ვერ იტანდა სიმონს. ახლა კი, როცა პოლს კი არა, ხეებს უყურებს ცოცხალ-მკვდარი, ბრძოლის უნარწართმეული, პოლს უეცრივ გაახსენდა ის სიმონი, პირველად საშინაო ხალათში რომ ნახა, მხიარული, უღარდელი, მისი ხილვით განცვიფრებული, და საოცრად მოუნდა კვლავ დაბრუნებოდა სიმონს ძველი სილიღე, კვლავ ეპოვა თავისი თავი, ჩამოშორებოდა პოლს, სცოდნოდა მხოლოდ წუთიერი დარდი და სცნობოდა მხოლოდ ის სულელი გოგოები, მრავლად რომ გაუჩნდებოდა მომავალში. დრო პოლზე უკეთ და თანდათან გაანათლებდა მას. სიმონის ხელი უძრავად ედო ხელის გულზე, გრძნობდა მის მაჯისცემას და ერთბაშად თვალცრემლიანმა — თვითონაც არ იცოდა, ეს ცრემლი ამ მეტიხმეტად მგრძნობიარე ყმაწვილმა მოჰგვარა თუ საკუთარმა ნაღველიანმა ცხოვრებამ — ბაგესთან მიიტანა სიმონის ხელი და აკოცა.

სიმონმა უსიტყვოდ დასძრა მანქანა. მიხვდა, მათ შორის პირველად მოხდა რაღაც. და იმ წუთში გუშინდელზე უფრო ბედნიერი იყო. როგორც იქნა, პოლმა „დაინახა“ სიმონი, ხოლო თუ სიმონი ისე ბრწყვი იყო, რომ იფიქრა, პირველი შემთხვევა პირველი სამიჯნურო ღამით დამთავრდებოდა, ყველაფერი საკუთარ თავს დააბრალოს! მას ჯერ კიდევ დიდი მოთმინება, დიდი სინაზე და, რა თქმა უნდა, დიდი დრო დასჭირდება. მაგრამ სიმონი გრძნობდა, სინაზეც ჰქონდა, მოთმინებაც და მთელი ცხოვრებაც წინ ედო! ისიც კი გაიფიქრა, თუკი ოდესმე დადგებოდა სიყვარულის ღამე, ეს იქნებოდა მხოლოდ ერთი ეტაპი და არა ჩვეულებრივი დაბოლოება, სხვა დროს რომ წინასწარვე წარმოიდგენდა. მათ ალბათ ბევრი უსასრულო დღე და ღამე ექნებათ. და მაინც პოლთან სიახლოვის მძაფრი სურვილი მოსვენებას არ აძლევდა.

თ ა ვ ი X



ქალბატონი

ქალბატონი ვან დენ ბეში ბერდებოდა. ფიზიკური მონაცემების წყალობით, რასაც შეიძლება „მოწოდება“ დავარქვათ (ყოველ შემთხვევაში, ვერომ ვან დენ ბეშთან მოულოდნელ კორწინებამდე), უფრო მეტად მამაკაცებთან მეგობრობდა, ვიდრე ქალებთან. ჭკნობის პირველივე ნიშნის შემჩნევისთანვე მიხვდა, მარტო ვრჩებიო და, დაბნეული, ყოველ ახლადგაცნობილ მამაკაცს თუ ქალს ებლაუჭებოდა. პოლი მისთვის იდეალური მოსაუბრე გამოდგა, თუმცა მათ მასლაათს საქმიანი ხასიათი ჰქონდა. კლებერის გამზირზე მისი ბინა თავდაყირა იდგა: პოლს ყოველდღე ან თითქმის ყოველდღე უხდებოდა მისვლა და ქალბატონი ვან დენ ბეშიც ათას საბაბს იგონებდა პოლი მეტ ხანს გაეჩერებინა. არც ის გამოპარვია ქალბატონ ვან დენ ბეშს, რომ პოლი ძალიან შეგობრულად ექცეოდა სიმონს; თუმცა სიახლოვის ნიშნებს ვერ იტყობდა, თავს მაინც ვერ იკავებდა, წარამარა თვალს უკრავდა პოლს, ნართაულად ელაპარაკებოდა, პოლი კი აინუნშიც არ ავდებდა მის ნართაულებს; სამაგიეროდ, სიმონი ცოფდებოდა. ერთ საღამოს გაფითრებული, გარბიანებული მივარდა დედას — დიახ, დიახ, დედას! — და დაემუქრა: „იცოდე, კარგი დღე არ დაგადგება, თუ საქმეს ჩამოშლი!“

— რა უნდა ჩაგიშალო? ხელი გამიშვი! გამაგებინე, შენი საყვარელია თუ არა?

— აკი ვითხარი, არა-მეთქი!

— მაშინ რა ვინდა ჩემგან? რაკი თვითონ ამაზე არ ფიქრობს, მე ვაიძულებ, იფიქროს! შენივე სასიკეთოდ. თორმეტი წლის გოგო კი არაა! როგორ გგონია, კონცერტებზე, გამოფენებზე რომ დაგყავს, ეს მოხიბლავს მარტო? ბრყვო, ნუთუ არ გესმის...

სიმონმა ბოლომდე აღარ მოუსმინა და სახლიდან გავარდა. რუსნიდან დაბრუნების შემდეგ ეს სამი კვირა მხოლოდ პოლით, მხოლოდ პოლისათვის ცოცხლობდა, იმ რამდენიხე საათის იმედით, რასაც პოლი მისთვის გამოიმეტებდა. სიმონი ცდილობდა გაეჭიანურებინა პაემანი, რამდენიხე წაშით კიდევ სჭეროდა მისი ხელი იმ რომანტიული ვიბრაციით, წინათ რომ თვითონვე დასცინოდა. სწორედ ამიტომ შეშფოთდა ერთ დღეს, როცა სასტუმრო ოთახის მორთვა დაამთავრეს და დედამისმა გადაწყვიტა, სადილზე პოლს მოვიწვევ და მის მეგობარ როგესაც მოვიპატიოებთ ათიოდე სტუმართან ერთად.

როგე მოწვევაზე დათანხმდა, უნდოდა ახლოს გაეცნო ეს ახალგაზრდა კონტაპრუწა, პოლს რომ კუდში დასდევდა და პოლიც ასე გულთბილად ახსენებდა. ეს კი როგესთვის დიახაც ხელსაყრელი იყო, ვიდრე თავშეკავებული დეჟილი. თანაც სიხდისი ქენჯნიდა; თითქმის მთელი თვე მიტოვებული ჰყავდა პოლი. მთლად მოაჯადოვა მეზიმ, მოაჯადოვა თავისი ცეტობით, სხეულით, ექვიანობით, ურცხვობითა და ვნებით. როგეს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს თურქულ აბანოში მოხვედრილიყო: გულის სიდრეში ფიქრობდა, რომ თავის სიცოცხლეში უკვე ველარავის აღუგზნებდა ასეთ მხურვალე ვნებას და ამიტომაც ნებდებოდა, ამიტომაც აუქმებდა პოლთან დანიშნულ პაემანს ასე ხშირად. პოლი მშვიდად ეუბნებოდა: „კეთილი, ჩემო კარგო, აბა, ხვალამდე...“ და როგეც მირბოდა იმ აუტანელ ბუდუარში, სადაც თვალცრემლიანი

მეზი ეფიცებოდა, თუკი მოისურვებ, ჩემს კარიერას მსხვერპლად შემიტოვო. როცა უცნაური ცნობისმოყვარეობით უკვირდებოდა საკუთარ თავს, აინტერესებდა, სანამ გაუძლებდა ამ სულელურ კავშირს, მერე მკლავებს მოხვევდა ბრიყვულად და ურცხვად აჭიკჭიკებულ ქალს და აქამდე უცხოებს ეხებიან ექსტაზს ეძლეოდა. ასე რომ სიმონი, პოლის მოკრძალებული თანამგზავრი, სწორედაც ხელს აძლევდა როცეს. როცა მეზის ჩამოიცილებს, ყველას თავის ადგილს მიუჩენს და, რაც მთავარია, პოლს ცოლად შეირთავს, და თუმცა როცა არაფერში არ იყო დარწმუნებული, საკუთარ თავშიაც კი, ერთი რამ მაინც ღრმად სწამდა: პოლი მისი ერთგული იყო და მისაც მხოლოდ პოლი უყვარდა ამ ბოლო წლებში.

როცა დაგვიანებით მოვიდა, როგორც კი თვალი გადაავლო იქაურობას, მიხვდა, მოსაწყენი წვეულება იქნებოდა. პოლი ხშირად საყვედურობდა, გულღია არა ხარ, ხალხს გაურბიო და მართლაც, სამუშაოს გარეთ არავის ხვდებოდა, თუ რაღაც გარკვეული მიზანი არ ჰქონდა. სასაუბროდ კი პოლთან ან თავის ერთადერთ ძველ მეგობართან მიდიოდა. როცა განმარტოებით ცხოვრობდა, არ უყვარდა პარიზული თავყრილობები, მაშინვე სურვილი უჩნდებოდა ან უხეშად მოქცეულიყო ან სულაც გაცლოდა იქაურობას. ქალბატონ ვან დენ ბეშთან რამდენიმე რჩეული პიროვნება დახვდა, იმ წრეში კარგად ცნობილი ან გახეთქებში მოხსენიებული ფრიად თავაზიანი ხალხი, ვისთანაც სადილობისას უნდა ესაუბრა თეატრსა თუ კინოზე, ანდა სიყვარულზე, რაც კიდევ უფრო აუტანელი იქნებოდა; ამაზე საუბრისა ყველაზე მეტად ეშინოდა, გრძნობდა, სიყვარულისა არაფერი გაეგებოდა ან, ყოველ შემთხვევაში, ზუსტად არ შეეძლო გადმოეცა თავისი მოსაზრება.

როცა მედიდურად მიესალმა ყველას, როდესაც მისი ზორბა, ოდნავ დაძაბული ტანი კარებში გამოჩნდა, როგორც ყოველთვის, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს მოულოდნელად ორპირი ქარი მოაწყო ოთახშიო. ეს შთაბეჭდილება არც ისე მცდარი იყო: როცეს გამოჩენა ხალხში ოდნავ ჩოჩქოლს იწვევდა, იბდენად მოუთვინიერებელი ჩანდა, ამიტომაც მოსწონდათ ალბათ ქალებს. პოლს შავი გულმოხდილი კაბა ჩაეცვა: როცეს ძალიან მოსწონდა ეს კაბა. პოლა, დაიხარა და ისე გაუღიმა, თითქოსდა მადლობას უხდისო, პოლი რომ ასეთი იყო და მას ეკუთვნოდა. მხოლოდ პოლს სცნობდა იგი ამ უცხო ხალხში. პოლმა წამით მინაბა თვალები, გულით მოუხდა როცე მოხვეოდა. როცე გვერდით მიუჯდა და მაშინლა შეამჩნია იქვე უძრავად მდგარი სიმონი. „ალბათ როგორ იტანჯება, აქ რომ მხედავს!“ — გაიფიქრა როცემ და უნებურად ჩამოიღო პოლის სკამზე გადადებული მკლავი. საერთო ყრიამულში უცებ სამთა დაძაბული დუმილი შეიჭრა, რომელიც სიმონმა დაარღვია: იგი დაიხარა და პოლს ანთებული სანთებელა გაუწოდა. როცე შესცქეროდა ორივეს, აკვირდებოდა სიმონის მაღალ ტანს, მის ნაშვიდ, მეტისმეტად დახვეწილ პროფილს, პოლის ნაზ, გოროზ სახეს და ძლივს შეიკავა სურვილი ხმამაღლა გადაეხარხარა, ორივენი მეტისმეტად თავშეკავებულნი, მგძნობიარენი, ზრდილნი ჩანდნენ: სიმონი ცეცხლს სთავაზობდა, პოლი უარს ეუბნებოდა, თანაც დიდი თავაზით და ბოდიშით: „გმადლობთ! ნუ წუხდებით!“ როცე კი სულ სხვა ყაიდის კაცი იყო, მას ელოდებოდა ერთი პატარა კახპა, იაფი თავშეკცევა. მერე პარიზის ღამე და სხვა ათასგვარი თავგადასავლები, ხოლო ალიონზე მძიმე, თითქმის ფიზიკური შრომა მასაჯით დაღლილ-დაქანცულ ხალხთან ერ-

თად, რომელთა ხელობა მისი ხელობაც იყო ოდესღაც. იმავ წუთს პოლს ხმა შემოესმა, სიმონს მშვიდად უხდიდა მადლობას. როქემ თავი ვერ შეიკავა, ხელი მოჰკიდა პოლს, თავი შეახსენა. როქეს იგი უყვარდა. ამ ყმაწვილის შეუძლია კონცერტებზე თუ მუზეუმებში ატაროს პოლი, სულ ერთია, ხელს მაინც ვერ ახლებს. როქე წამოდგა, ლანგრიდან ვისკიანი ჭიქა აიღო, გადაჰკრა და მაშინვე გულზე მოეშვა.

როქეს წინათგომობა გამართლდა: სადილმა მოსაწყენად ჩაიარა. როქე შეეცადა საუბარში ჩარეულიყო, რამდენიმე ფრაზა წაილულლულა და მხოლოდ სადილის ბოლოს გამოერკვა ფიქრებიდან, როცა ქალბატონმა ვან დენ ბეშმა ჰკითხა, ხომ არ იცით ბატონი X-ის საყვარელი ვინ არისო; აშკარა იყო, ქალს თვითონ სურდა ეს ამბავი როქესთვის ემცნო. როქემ მიუგო, ეს ამბავი სულაც არ მაინტერესებს, ვინ ვისი საყვარელია, მე არ მეკითხება, ისევე როგორც არ მეკითხება, ვინ რას მიირთმევს სადილად, თუმცა სჯობს ხალხი მეზობლის სუფრით დაინტერესდეს და სხვისი საწოლის ამბებზე ნაკლებად იფიქროს, ნაკლები უსიამოვნება შეხვდებათო. პოლს გაეცინა, რადგან როქემ ერთბაშად ჩაუშალა სტუმრებს სასაუბრო თემა; სიმონმაც თავი ვერ შეიკავა და გაიცინა. როქემ ზომაზე მეტი ღაღია, ადგომისას ოდნავ წაბარბაცდა და დროზე ვერ შეამჩნია. ქალბატონი ვან დენ ბეში, რომელიც კეკლუცად უხმობდა.

— დედაჩემი გთხოვთ! — უთხრა სიმონმა.

ისინი ერთმანეთის პირისპირ იდგნენ. როქე დააკვირდა სიმონის სახეს, იქნებ ნაკლი აღმოვუჩინოო, თუნდაც დუნე ნიკაპი და ტუჩ-პიროო, მაგრამ ამოდ. იმედის გაცრუებამ ცუდ გუნებაზე დააყენა.

— თქვენ კი პოლი გეძებთ, არა?

— ახლავე მივალ! — უთხრა სიმონმა და ზურგი აქცია.

როქემ იდაყვში სტაცა ხელი. ერთბაშად გაცეცხლდა. სიმონმა გაკვირვებით შეხედა.

— დაიცათ... — წაილულლულა როქემ, — რაღაც მინდა გითხრათ.

ერთმანეთს ჯიქურ ათვალდებოდნენ. ორივეს კარგად ესმოდა, ჯერჯერობით არაფერი ჰქონდათ სათქმელი; როქეს თვითონვე გაუკვირდა თავისი საქციელი, სიმონი კი ამაყად გაიმართა წელში და ღიმილი ვერ შეიკავა. როქე მიხვდა, დაემარცხდიო, და ხელი უშვა.

— სიგარა მინდოდა მეტხოვა.

— ახლავე მოგართმევთ.

როქემ თვალი გააყოლა. შემდეგ პოლთან მივიდა. პოლი სტუმრებს ესაუბრებოდა. როქემ მკლავში წაავლო ხელი, ხალხს გაარბდა.

— რა უთხარი სიმონს? — მაშინვე ჰკითხა პოლმა.

— სიგარა ვთხოვე. რამ შეგაშინა?

— თვითონაც არ ვიცი, — შვებით ამოისუნთქა ქალმა, — ისეთი გაცეცხლებული სახე გქონდა...

— რას უნდა გავეცეცხლებინე? ხომ არ გგონია, ამ თორმეტი წლის ბიჭზე ვეჭვიანობ?

— არა, — თქვა პოლმა და თვალები დახარა.

— თუ ეჭვიანობაა, მარცხნივ რომ კაცი გეჭდა, იმაზე ვიეჭვიანებდი. მამაკაცი მაინცაა.

პოლი ერთბაშად ვერ მიხვდა, ვის გულისხმობდა, მერე მოსაზრა და გაელიმა. აქამდე არც შეუმჩნევია ის კაცი. მთელი საღამო მისთვის სიმონის თვალების შუქით იყო განათებული, წარამარა პოლისკენ რომ იყურებოდა, იქნებ მისი მხერა დავიჭიროთ. ზოგჯერ პოლი მართლაც შეეცდებოდა მხერას და სიმონიც ისე ნაზად, ისე ნაღვლიანად გაუღიმებდა, პოლს ძალა არ შესწევდა უარი ეთქვა ამ წყალობაზე. სიმონი უფრო ლამაზი იყო, უფრო სიცოცხლით სავსე, ვიდრე მარცხნივ მჯდომი მისი მეზობელი. ამიტომაც გაიფიქრა, ამ ამბებისა როყეს არაფერი გაეგებო. სწორედ ამ დროს მიუახლოვდა სიმონი და სიგარების კოლოფი გაუწოდა როყეს.

— გმადლობთ, — უთხრა როყემ (კოლოფიდან გულდასმით შეარჩია ერთი ცალი), — თქვენ ჯერ არ იცით კარგი სიგარის ფასი. ეს სიამოვნება მხოლოდ ჩემი ასაკის ადამიანს შეუძლია იგრძნოს.

— სულ დაიტოვეთ. არ მიყვარს სიგარა.

— პოლ, კვამლი ხომ არ შეგაწუხებს? — ჰკითხა როყემ, მერე სიმონს მიუბრუნდა, — ჩვენ მალე უნდა წავიდეთ, ხვალ დილით აღრე ვარ ასადგომი.

სიმონს ყურადღება არ მიუქცევია სიტყვისთვის „ჩვენ“. იგი ფიქრობდა: „პოლს ალბათ სახლამდე წიაცილებს, თვითონ იმ დედაკაცთან წავა, მე კი სიამოვნებას მაკლებს, ცოტა ხნით კიდევ ვიყო პოლთან!“ მერე პოლს გადახედა, იგივე აზრი წაიკითხა მის სახეზე და ხმადაბლა თქვა:

— პოლი თუ ძალიან არ დააღალა... მე მივაცვილებ მოგვიანებით... როყე და სიმონი ერთდროულად შეტრიალდნენ პოლისკენ. მან სიმონს გაუღიმა და უთხრა, არა, სჯობს მეც წავიდე, უკვე გვიან არისო.

მანქანაში სიტყვა არ უთქვამთ ერთმანეთისათვის. პოლი იცდიდა. როყემ ძალით წამოიყვანა წვეულებიდან, არადა, პოლი ლალად გრძნობდა თავს სადილზე, როყემ მოაკლო ეს სიამოვნება. ახლა კეთილი ინებოს და აუხსნას, რად მოიქცა ასე, ან ბოდიში მაინც მოუხადოს. როყემ სახლთან გააჩერა მანქანა, მაგრამ ძრავა არ გამორთო... პოლი მაშინვე მიხვდა, როყე არც არაფერს აუხსნიდა, არც შინ აპყვებოდა: მისი საქციელი წინდახედული მესაკუთრის საქციელი იყო და მეტი არაფერი. პოლი მანქანიდან გადმოვიდა, ღამე მშვიდობისათ, წაილაპარაკა და ქუჩა გადასერა. როყემ მაშინვე დასძრა მანქანა, იმ წუთს საკუთარი თავი სძაგდა.

მაგრამ სახლის წინ პოლმა სიმონის მანქანა დაინახა. მანქანიდან სიმონმა დაუძახა. გაოცებული პოლი მაშინვე მივიდა.

— აქ როგორ გაჩნდიო? ალბათ გიყვივით მოაქროლებდით მანქანას. კი მაგრამ, დედათქვენის სტუმრები მიატოვეთ?

ცოტა ხნით დაჯექით! — შეევედრა სიმონი.

სიბნელეში ისე ჩურჩულებდნენ, თითქოს ვიღაცას შეიძლებოდა მოესმინა მათი საუბარი. პოლი ისე მარჯვედ შეძვრა დაბალ მანქანაში, კიდევ გაიფიქრა, უკვე მივეჩვიე ამ პატარა მანქანასო. ასევე მიხვეოდა მისკენ აღობათ შემობრუნებულ სახესაც, ცალ მხარეზე ფარნის შუქი რომ სცემდა.

— ძალიან მოსაწყენი საღამო იყო, არა? — ჰკითხა სიმონმა.

— ოჰ, არა... მე...

რა ძალიან ახლოს ზის სიმონი, მეტისმეტად ახლოს. თანაც უკვე გვიანაა, რა დროს მუსაიფია, ან რატომ გამოეკიდა უკან, ვინ იცის, როყემ კიდევ დაინახა! რა გიჟური საქციელია... პოლმა აკოცა სიმონს.

ზამთრის სუსხიანმა ქარმა დაუბერა, მანქანაშიც შეიჭრა და თმა გაუჩეჩა ორივეს, ერთმანეთში გადაუხლართა; სიმონმა მთელი სახე დაუკოცნა პოლს; ალერსით თავბრუდახვეული პოლი ისუნთქავდა მისი ჭაბუკური სხეულის სურნელსა და ღამის სიგრილეს. მერე უსიტყვოდ მიატოვა და საღარბაშოში შევიდა.

განთიადზე გამოელვოდა. ძილ-ღვიძილში თვალწინ დაუდგა ღამით ამოვარდნილი ქარი, აწეწილი თმა, სიმონის შავი კულულები, აბრეშუმის რიდესავით რომ წამოფარებოდა სახეზე, ხელახლა იგრძნო მისი ცხელი ტუჩები, გაიღიმა და ისევ ძილს მისცა თავი.

თ ა ვ ი XI

იმ მღელვარე, იმ ტკბილი საღამოს შემდეგ სიმონს მთელი ათი დღე აღარ უნახავს პოლი. მეორე დილითვე მიიღო პოლის ბარათი, ჩემს ნახვას არ ეცადო, „არ მინდა გული გატკინოთ, რადგან ძალზე თბილი გრძნობით ვარ თქვენდამი“ სიმონი ვერ მიმზღდარაყო, რომ პოლს საკუთარი თავისა უფრო ეშინოდა, ვიდრე მისი; დარწმუნდა, მხოლოდ ეებრალეობი, და არც გაბრაზებულა, ცდილობდა ისეთი გზა მოენახა, პოლის გარეშე ცხოვრება შესძლებოდა. ის კი ვერ მოისაზრა, რომ ამგვარი თქმა: „არ მინდა გული გატკინოთ...“ იმედს არამც და არამც არ წარუკვეთს არავის, იგი შეტწილად ფრჩხილებში ჩაისმის უშუალოდ რომანის წინ ან რომანის შემდეგ... არც პოლმა იცოდა ეს. ქალს ეშინოდა და თან უხებლიეთ ელოდა, სიმონი მოვიდოდა და აიძულებდა გაეზიარებინა მისი სიყვარული. პოლს უკვე ვეღარ აეტანა ზამთრის ერთფეროვანი საღამოები, ერთი და იგივე გზა სახლიდან სამსახურამდე, მარტოობა და ეს ვერაგი ტელეფონი — სულ სანახებლად პქონდა, რატომ ავიღე ყურმილიო, ისე უცხოოდ, დარცხვენით მოისმოდა როყეს ხმა. იმ განუწყობებელ წარსულ დღეებზე ნაღველმა ხომ სულ მოულო ბოლო! ყოველივე ამან ისეთ ცუდ გუნებაზე დააყენა, ისე მოადუნა, რომ არ შეიძლებოდა „რალაც არ მომზდარიყო“.

სიმონი კი დადიოდა სამსახურში, უფრო პუნქტუალური, ბეჯითი და სიტყვაძვირი გახდა. დროდადრო თავს ასწევდა, უაზროდ მიაშტერდებოდა მადმუაზელ ალისას და თითს გაუბედავად ჩამოისვამდა ტუჩზე... პოლი... უკანასკნელი საღამო... რა მოულოდნელად, თითქმის მბრძანებლურად აკოცა ტუჩებში... როგორ გადააგდო თავი უკან... რა ნაზად მიიზიდა სიმონის სახე... ქარი... სიმონის გამოხედვით შეცბუნებული მადმუაზელ ალისა დროდადრო ფრთხილად ჩაახველებდა და სიმონიც უგულისყუროდ უღიმოდა. რა თქმა უნდა, ფაქრობდა სიმონი, პოლი ნაწყენი იყო და ამიტომ მოიქცა ასე! იმის შემდეგ სიმონი არც ცდილა მის ნახვას. სწორად იქცევა კია? ათჯერ, ოცჯერ მაინც გაიხსენა დაწვრილებით წარსული ამბები: მანქანით გასეირნება, მოსაწყენი გამოფენის დათვალიერება, საიდანაც ორივე გამოიპარა, დედამისის წვეულება... ყოველი წვრილმანის, ყოველი სურათის წარმოდგენა უღმობლად უფლეთდა გულს. ამასობაში დღეები გადიოდა. მისი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს მხოლოდ დრო გადაწყვეტდა, მაგრამ ავად თუ კარგად, ეს არ იცოდა.

ერთ საღამოს მეგობართან ერთად უცნობ პატარა რესტორნის კიბეს ჩაუყვავა. უკვე საკმაოდ შეზარხოშებულნი იყვნენ, მაგრამ მაინც მოითხოვეს სასმე-

ლი, შესვეს ბევრი და მოიწყინეს. მერე შავკანიანი ქალი გამოჩნდა ესტრადაზე, სიმღერა წამოიწყო. ქალს უშველებელი ვარდისფერი პირი ჰქონდა; მისი სიმღერა სევდისმომგვრელი იყო და უიმედო ცეცხლს უკიდებდა ორივე მეგობარს.

— ორი წლის სიცოცხლეს არ დავიშურებ, თლონდაც ვინმე მინუყვარებოდა! — თქვა სიმონის მეგობარმა.

— მე უკვე მიყვარს! — წაილაპარაკა სიმონმა, — მაგრამ მან არ იცის და ვერც ვერასოდეს გაიგებს, რომ მიყვარს!

ახსნა-განმარტებას კი აღარ მოჰყოლია. ასე ეგონა, ჯერ კიდევ არაა ყველაფერი დაკარგული, ასე რომ იყოს, უაზრო იქნება ცხოვრებაო. ნუთუ მთელი ეს მღელვარება ამოდ ჩაივლის?! მეგობრებმა სუფრასთან მოიპატიჟეს მომღერალი ქალი; იგი პიგალის მოედნიდან იყო, მაგრამ ისე კი მღეროდა, გეგონებოდა, ახალი ორლენიდანაა ჩამოსულიო. გაბრუნებულ სიმონს მოცისტრო ბურუსი ეზმანებოდა, სადაც ნაზი ნაკვთები და გაწვდილი ხელები ერთმანეთს გადახლართოდა. სიმონი გვიანობამდე დარჩა რესტორანში, მარტო უსმენდა მომღერალს და შინ მხოლოდ გათენებისას დაბრუნდა გამოფხიზლებული.

* *

მეორე დღეს საღამოს ექვს საათზე სიმონი მაღაზიასთან ელოდა პოლს. წვიმდა. სიმონმა ხელების კანკალი ვერ შეაჩერა და გაბრაზებულმა ჯიბეში ჩაპყო. უცნაურ სიცარიელესა და გულგრილობას გრძნობდა. „ღმერთო ჩემო, იქნებ მხოლოდ იმისთვის ვარგივარ, რომ მასთან ვიყო და ვიტანჯო“, — გაიფიქრა და სახე ზიზლით დაებრიცა.

შვიდის ნახევარზე პოლი გამოვიდა. თალხი კოსტიუმი ეცვა, თავისივე თვალების ფერი მუქი ცისფერი ყელსახვევი ეკეთა. დაღლილი სახე ჰქონდა. სიმონი მისკენ გაემართა, პოლმა გაუღიმა და ერთბაშად გრძნობის ისეთმა მოზღვაფებამ, ისეთმა სიმშვიდემ შეიბყრო ბიჭი, თვალები დახუჭა. მას პოლი უყვარს. დაე, რაც უნდა მოუვიდეს ამ ქალის გამო, ამაზე უარესი რა მოუვა! პოლმა შეამჩნია მისი ჩინდაკარგული თვალები, გაწვდილი ხელები და შეჩერდა. ეს ათი დღე მასაც აკლდა სიმონი თვალში. უკვე მიჩვეოდა მასთან ყოფნას, მის აღფრთოვანებას, სიჯიუტეს და ახლა რაღაზედ უნდა გადაჩვეოდა!? მაგრამ როცა მისკენ მობრუნებული სახე დაინახა, მიხვდა, რომ ეს მარტო მიჩვევა არ იყო ოცდაცხრამეტი წლის ქალისთვის. ეს სულ სხვა რაღაც იყო. რუსი ქვაფენილი, გამვლელები, მანქანები ერთბაშად რაღაც სტილიზებულ, გაქვავებულ, დროის მიღმა მყოფ დეკორაციად ეჩვენა. ორიოდ მეტრი აშორებდათ ერთმანეთს. და ვინემ ქუჩის კუშტი, გამაყრუებელი სინამდვილე შთანთქავდა პოლს, ვინემ ჯერ კიდევ ფხიზლად იდგა საკუთარი ცნობიერების ზღურბლზე, სიმონმა ნაბიჯი გადადგა მისკენ და მოეხვია.

მოეხვია, მაგრამ გულში არ ჩაუკრავს, ეს კია, სუნთქვა შეეგუბა და რაღაც უსაზღვრო სიმშვიდემ მოიცვა. მერე ლოყით შეეხო მის თმას და ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მაღაზიის აბრას მიაშტერდა: „ეპოქის განძი“... „ნეტა რა უფრო მეტია ამ წიგნის მაღაზიაში, განძი თუ ხარახურა?“ — გაიფიქრა და თან გაუკვირდა, ამ სანუკვარ წუთებში საიდან მომივიდა თავში ეს უაზრო კითხვაო.

სიმონს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს, როგორც იქნა, უძნელესი ამოცანა გადაეწყვიტოს.

— სიმონ, დიდი ხანია აქა ხართ? — ჰკითხა პოლმა. — სულ გაწულწულხარო.

პოლი ისუნთქავდა სიმონის პიჯაკის, მისი კანის სუნს და განძრევა აღარ უნდოდა. სიმონის დაბრუნებამ მოულოდნელი შეება მოჰგვარა, თითქოსდა რაღაც უბედურებას დააღწია თავი.

— არა, უთქვენოდ სიცოცხლე მართლა არ შემიძლია, — უთხრა სიმონმა, — ასე შეგონა, სიცარიელეში ვიყავი. მოწყენილობა კი არ მკლავდა, უბრალოდ არ ვარსებობდი. თქვენ?

— მე? — გაიმეორა პოლმა, — თქვენც კარგად იცით, წლის ამ დროს პარიზი თითქმის ჩამკვდარია (პოლი ცდილობდა ბუნებრივად ელაპარაკა). ახალ კოლექციას ვათვალისწინებდი, ერთი სიტყვით, ნამდვილი საქმიანი ქალივით ვიქცეოდით: ორ ამერიკელ ქალს შევხვდი. შესაძლოა ნიუ-იორკში მომიხდეს გამგზავრება...

პოლი გრძნობდა, ჰკუადაკარგული შეყვარებულივით წვიმაში ღვომა ამ ჰაბუკის მკლავებში და ასე საუბარი უაზრობა იყო, მაგრამ განძრევა არ შეეძლო. სიმონი ისე ნაზად ჰკოცნიდა საფეთქლებზე, თმაზე, ლოყაზე, იტყოდით, პოლის ყოველ ფრაზას წერტილს უსვამსო. პოლი გაჩუმდა და უფრო მაგრად მიაყრდნო თავი მხარზე.

— გინდათ კი ნიუ-იორკში წასვლა? — ზემოდან მოესმა სიმონის ხმა.

სიმონი რომ ლაპარაკობდა, პოლი საფეთქელზე გრძნობდა მისი ყბის მოძრაობას და კინაღამ მოწაფესავით გადაიკისკისა.

— შეერთებული შტატები მართლაც საინტერესო უნდა იყოს. თქვენ რას იტყოდით? მე იქ არასოდეს ვყოფილვარ.

— არც მე, — თქვა სიმონმა, — დედაჩემი აღშფოთებულია, თუმცა არც თვითონ უყვარს მგზავრობა.

სიმონს შეეძლო ასე მდგარიყო და დაუსრულებლად ესაუბრა პოლთან დედაზე, მოგზაურობაზე, ამერიკასა და რუსეთზე, ელაპარაკა ათასნაირ თემაზე მშვიდად, ძალდაუტანებლად. აღარ აპირებდა არც მის გაკვირვებას, არც მის მოხიბვლას. თავს კარგად გრძნობდა. საკუთარ თავში დარწმუნებულიც იყო და თან უსუსურიც. სჯობდა შინ წაეყვანა პოლი და თავისუფლად მოფერებოდა, მაგრამ ხელის გაშვებაც ვერ გაებედა.

— არ ვიცი, უნდა მოვიფიქრო! — თქვა პოლმა.

თვითონაც ვერ მიმხვდარიყო, რას გულისხმობდა, სიმონთან ურთიერთობას თუ ამერიკაში გამგზავრებას. ზევით ახედვისა და მისკენ დახრილი ჰაბუკის სახის დანახვისა კი ეშინოდა: ვაითუ კვლავ ალაპარაკებულყო ის მეორე, ჰკვიანი, მტკიცე ნებისყოფის პოლი და გაეკიცხა თავისივე საქციელი.

— სიმონ! — წაიჩურჩულა მან.

სიმონი დაიხარა, ნაზად აკოცა ტუჩებში. არც ერთს აღარ დაუხრია თვალი. ორივე ხედავდა დიდ, მოციმციმე ლაქას — უჩვეულოდ გაფართოებულ, დანისლულ და თითქოსდა შეშინებულ გუგებს.

ორი დღის შემდეგ ერთად ისადილეს. პოლის რამდენიმე ფრაზით სიმონი მიხვდა, რა გადაეტანა ქალს ამ ათ დღეში: მარტობა, როყეს გულგრილობა, სიმონის გამუდმებული კილვა. ალბათ პოლს იმედი ჰქონდა ამ ათ დღეში როყეს როგორმე დაიბრუნებდა, ყოველ შემთხვევაში, უნდოდა უფრო ხშირად

შეხვედროდა, ძველებურად გაეგოთ ერთმანეთის, მაგრამ როჟე ბავშვივით გაჯიუტებულყო. პოლის ეს მონდომება კი ნამდვილად გულს აუჩუყებდა/კაცს თავისი სიმარტივით: როჟეს საყვარელი სადილი, იმ კაბების ჩაცმა, როჟეს რომ მოსწონდა, იმ საგნებზე საუბარი როჟეს რომ მარტოვე უნებდა; ერთი სიტყვით, ყველა ხერხს მიმართავდა, რასაც ქალთა ურჩევლები ურჩევდნენ მკითხველებს; მაგრამ ამ სასაცილო, მდარე რეცეპტებმა, ჰკვიანი ქალი რომ მართლაც საოცარ იარაღად გადააქცევდა, პოლს ვერ უშველა. ქალს დამამცირებლად სულაც არ მიაჩნდა მიჰყოლოდა ამ რჩევებს, არც იმას უკადრისობდა, როჟესთვის მყუდროდ, ოსტატურად განათებული ოთახი ან გემრიელი კერძი დაეხვედრებინა, ნაცვლად იმისა, რომ ეთქვა: „როჟე, შენი მიზნით უბედური ვარ! როჟე, ჩვენს ურთიერთობაში რაღაც უნდა შეიცვალოს!“ პოლის ასეთი საქციელი არც ოდითგანვე ძვალ-რბილში გამჭდარი ჰქვეშეცნეული ქალური გუმანით აიხსნებოდა, არც ბედის მწარე მორჩილებით. არა, ეს უფრო ერთგვარი საღიზმი იყო როგორც საკუთარი თავის, ისე როჟეს მიმართ. თითქოსდა როჟე ან პოლი ერთბაშად უნდა წამომდგარიყო და ეთქვა: „კმარა!“ პოლა, იცდიდა, როდის გაუჩნდებოდა ეს გრძნობა, თუმცა ამ გრძნობას თავია მხრიდანაც ისეთივე ძრწოლით ელოდა, როგორც როჟესგან. მაგრამ ამაოდ. ეტყობოდა, რაღაც უკვე ჩამკვდარიყო. ასეთ ფიქრებსა და ფუჭ იმედებში გაატარა ეს ათი დღე, ამიტომაც აღარ შეეძლო არ დამორჩილებოდა სიმონის სიტყვებს: „მე ბედნიერი ვარ, მე თქვენ მიყვარხართ“. უხამსობას ვერ დასწამებდა იმ სიმონს, ტელეფონით რომ მუდამ ჩურჩულით ელაპარაკებოდა, იმ სიმონს, რაღაცით რომ უვსებდა ცხოვრებას, ყოველ შემთხვევაში, ნახევრად მაინც! მაგრამ იგი უკვე დაღალა მუდამ მოთავედ და მაიხც მუდამ მართოდ ყოფნამ. „შენ რომ გიყვარდეს, ეს კიდევ ყველაფერი არაა, — ამბობდა სიმონი, — მთავარია, შენც უყვარდე!“ პოლის აზრით, ეს სიტყვები უშუალოდ მას შეეხებოდა; მართალია, ერთი ნაბიჯი უკვე გადადგა საამისოდ, მაინც უკვირდა, რომ არც ტკბილ მღელვარებას განიცდიდა და არც ლტოლვას, როგორც როჟესთან დაახლოების წინ: მხოლოდ უსაზღვრო, საამო მოქანცულობას გრძნობდა და ეს სიბრულზეც ეტყობოდა. ნაცნობები ურჩევდნენ, გარემო შეიცვალეო, მაგრამ თვითონ დაღონებული ფიქრობდა, საყვარელს შევიცვლი ალბათ და ეს იქნებაო: ეს ნაკლებ თავსატეხი ხერხი იყო, პარიზისთვის უფრო ჩვეული... პოლი საკუთარ თავს თვალს არიდებდა სარკეში ან სახეზე სქლად ისვამდა კრემს. მაგრამ როცა იმ საღამოს სიმონმა ხარი დარეკა მის კარზე, როცა პოლმა მისი მუჭი ჰალსტუხი, დაძაბული მხერა დაინახა, მისი აღტაცებული და თან შემცბარი იერი, ცხოვრებაში მეტისმეტად განებივრებულ ადამიანს რომ გამოეხატება სახეზე, როცა ბედი კიდევ ერთ მემკვიდრეობას არგუნებს, პოლსაც მოუნდა გაეზიარებინა ის ბედნიერება, რაც მან სიმონს მიანიჭა! „აი, ჩემი სხეული, ჩემი სიტბო, ჩემი საყვარული! მე იღარაფერი მჭირდება, მაგრამ შენთან იქნებ კვლავაც ვიგრძნო, რა სიტკბოებას ანიჭებს სხვას ეს ყველაფერი!“ იმ ღამეს სიმონს მის მხარზე ედო თავი.

პოლს თითქოს ცხადად ესმოდა, რა კილოთი იტყოდნენ მისი ნაცნობ-მეგობრები: „გაიგეთ? პოლი თურმე“... მაგრამ არც მითქმა-მოთქმა, არც ის ამბავი, რომ ყველაზე მეტად ასაკობრივი განსხვავებისთვის გაჭორავდნენ, ისე არ აწუხებდა, როგორც სირცხვილი იმის გაფიქრებაზე, რომ ეს ჭორიკნებოცას ეწვეიან სიხარულით, კაცმა არ იცის რამდენ სისულელეს მიაწერენ, ლალი

ცხოვრებისა და ჭაბუკების ტრფიალს დასწამებენ და ჩირქს მოსცხებენ. ის კი არ იცოდა, რომ პოლს ცხოვრებისაგან მოღლილ ბებრუხანად ჰგონია თავი და ერთადერთი, რაც სწადია, მხარდაჭერაა! ზიზღს ჰგვრიდა ის ფიქრი, რომ მის საქციელს, ისევე როგორც სხვებისას — ამის მოწმე თვითონ ბევრჯერ უღიფილა — ხალხი კიდევ დაგნობს და კიდევ მოიწონებს. მასზე ამბობდნენ: „საცოდავი პოლი!“ — როცა კი როეე დალატობდა; ან: „დამოუკიდებლობა მოუნდა იმ ქერქეტას!“ — როცა მან ახალგაზრდა, ლამაზი, მაგრამ ძალზე მოსაწყენი ქმარი ნიატოვა. ზოგს ებრალებოდა, ზოგიც ჰკიცხავდა, მაგრამ ისეთი შური და ზიზღი, რასაც მისი ახლანდელი საქციელი გამოიწვევს ხალხში, მას ალბათ არასოდეს რგებია წილად.

თ ა ე ი XII

პოლს ვარაუდი არ გაუმატლდა. იმ პირველ დამეს სიმონს თვალი არ მოუხუჭავს. იწვა გაუნძრევლად, ხელი პოლის წელზე ედო და ცდილობდა საკუთარი სუნთქვა მისი მშვიდი სუნთქვისთვის აეყოლებინა. „თავი რომ მოიმძინარო, ან მეტისმეტად შეყვარებული უნდა იყო ან მეტისმეტად გულმოყირჭებული!“ — ფიქრობდა სიმონი. რაკი აქამდე მეორე გრძნობას უფრო იყო შეჩვეული, ახლა ისეთივე სიამაყითა და პასუხისმგებლობით დარაჯობდა პოლის მშვიდ ძილს, როგორც ქურუმები — წმინდა ცეცხლს. ასე გაატარეს მთელი დამე, დაძაბული და გულაჩვილებული უფროთხილდებოდნენ ერთმანეთის მოჩვენებით ძილს და განძრევას ვერ ბედავდნენ.

სიმონი ბედნიერი იყო. თავისზე თხუთმეტი წლით უფროსი ქალი მართლაც უფრო მეტ პასუხისმგებლობას უღვიძებდა, ვიდრე თექვსმეტი წლის გოგონა. კვლავაც აღტაცებული ფიქრობდა პოლის სიკეთეზე და პირველად თავის სიცოცხლეში ალერსი წყალობად ჩათვალა... ამიტომაც თავი მოვალედ მიაჩნდა. თვალი არ მოეხუჭა, თითქოს წინასწარ იცოდა, რა მწარე ტკივილს მიაცუნებდა ოდესმე ამ ქალს და წინასწარ უფროთხილდებოდა; იმედი ჰქონდა, საკუთარ სილაჩრეს, წარსულ კომედიებს, შიშს, უმიზეზო სასოწარკვეთასა და უსუსურობას ააშორებდა პოლს, მასაც გააბედნიერებდა და თვითონაც ბედნიერი იქნებოდა; თან უკვირდა კიდევ თავისი თავის, ყველაზე დიდი გამარჯვების მოპოვებისასაც კი ასეთი ფიცი არასოდეს დამიდევსო.

დილით ორივემ გაითამაშა, ვითომ ეს წუთია გაიღვიძეს: ამოქნარებდნენ, მშვიდად იზმორებოდნენ, ოღონდ სხვადასხვა დროს. როცა სიმონი მისკენ გადმობრუნდებოდა ან იდაყვს დაეყრდნობოდა, პოლი უნებლიეთ თავზე წაიხურავდა საბანს, ეშინოდა, სიმონს არ შეეხედა, იცოდა, პირველი შემოხედვა ყველაზე გადამწყვეტი იყო პირველი სიახლოვის შემდეგ. ხოლო როცა პოლი გაინძრეოდა, სიმონი სუნთქვას იკრავდა და შიშით თვალს ხუჭავდა, იმლამინდელი ბედნიერება სიზმარით არ გაქრესო. ბოლოს ისევე პოლმა შეასწრო თვალი. სიმონი თვალმოკუტული უყურებდა. პოლი გაიტრუნა, იცოდა, ჩამოშვებული ფარდებიდან შემოჭრილ შუქზე დაბერებული და უშნო იქნებოდა, ამიტომაც თვალი თვალში გაუყარა, რათა სიმონი კარგად დაკვირვებოდა, რათა აღარ ეგრძნო ის უხერხულობა, გამოღვიძებისას რომ გრძნობ ხოლმე მუდამ. სიმონმა გაუღიმა, ჩურჩულით წარმოთქვა მისი სახელი და მისკენ მიიწია. „სიმონ!“ — თქვა პოლმაც და გაინაბა. იმედი ჰქონდა, იქნებ ჯერ კიდევ შეიძლებოდა ამ

ღამის გადაქცევა წუთიერ ჟინად. სიმონმა მკერდზე მიადო თავი, ნახად დაუკოცნა მკლავები, მხარი, ლოყები, მერე გულში ჩაიხუტა. „სიზმარში გხახე, — უთხრა მან, — ამიერიდან მხოლოდ შენ გხახავ სიზმარში“. პოლმა მკლავები მოხვია.

სიმონმა უთხრა, სამსახურში მე წავიყვანო და თუ გერადებო, ქუჩის კუთხეში გადმოვსვამ მანქანიდანო. პოლმა ნაღვლიანად უპასუხა, ჩემს საქციელზე ანგარიშს არავის ვაბარებო. ერთხანს გაჩუმდნენ. სიჩუმე ისევ სიმონმა დაარღვია:

— ექვს საათამდე არ დაბრუნდები? იქნებ ერთად გვესაუზმა?

— ალბათ ვერ მოვიცლი. იქვე შევჭამ სენდვიჩს.

— მე რაღა გავაკეთო ექვს საათამდე? — აწუწუნდა სიმონი.

პოლმა შეხედა, შეშფოთდა: ხომ ვერ ეტყოდა, სულაც არ არის აუცილებელი ექვს საათამდე ერთმანეთს შეეხვდეთო! მეორე მხრივ, სიმონი რომ ყოველ საღამოს თავისი პატარა მანქანით მოუთმენლად დაელოდებოდა მაღაზიის კართან, ეს ფიქრი მართლა ბედნიერებას ანიჭებდა... როცა ვინმე ყოველდღე გელოდება, თანაც ისეთი ვინმე, რომელიც რვა საათზე არ გირეკავს და დაბნეული არ გელაპარაკება ტელეფონში ანდა როცა მოესურვება მაშინ გირეკავს... პოლს გაეღიმა.

— კი მაგრამ, ვინ გითხრა, რომ დღეს მარტო ვისადილებ?

სიმონი მაჯის საკინძვს აწვალებდა, ვერა და ვერ შეიკრა, მაგრამ ამ სიტყვებზე თავი ასწია და მშვიდად ჩაილაპარაკა: „მართლაც არავის უთქვამს!“ ცხადია, სიმონი როყეს გულისხმობდა. იგი ხომ სულ როყესე ფიქრობდა, სულ ეშინოდა, პოლი არ წამართვასო. სამაგიეროდ, პოლმა იცოდა, როყეს მისთვის არ ეცალა. ერთბაშად ყველაფერი შეზიზღდა. არა, თვითონ მაინც იქნება დიდსულოვანი.

— დღეს არავისთან ვსადილობ, უთხრა სიმონს, მოდი აქ, მე შეგიკრავ!

პოლი ხაწოლზე იჯდა, სიმონმა მის წინ დაიჩოქა და ხელები ბორკილდადებულვით გაუწოდა. სიმონს ბავშვურმა მაჯები პქონდა, ნახი და გამხდარი. საკინძვის შეკვრისას პოლს რატომღაც მოეჩვენა, თდესლაც უკვე ვითამაშეო ხუტად ასეთი სცენა... „მეტისმეტად თეატრალურია!“ — დაასკვნა პოლს, მაგრამ ლოყა მაინც მიადო შუბლზე, თავი ვერ შეიკავა და ბედნიერი სიცილი წასკდა.

— კი მაგრამ, ექვს საათამდე რა ვაკეთო? — ჯიუტად გაიმეორა სიმონმა.

— აბა რა ვიცი... იმუშავე!

— არ შემიძლია... მეტისმეტად ბედნიერი ვარ!

— ეს ხელს არ უშლის მუშაობას.

— მე მიშლის, თუმცა ვიცი, რასაც გავაკეთებ: ქუჩებში ვიხეტილებ და შენზე ვიფიქრებ, მერე მარტო ვისაუზნებ და შენზე ვიფიქრებ, შემდეგ ექვს საათს დაველოდები. შენც კარგად იცი, საქმიანი ახალგაზრდა კაცისა არაფერი მცხია.

— შენი ვეჭილი რაღას იტყვის?

— ეგ არ მაღარდებს. რატომ გინდა მომავალზე ფიქრით დრო ტყუილად დამაკარგვინო... ჩემთვის მხოლოდ აწმყო არსებობს... ის მივსებს ყველაფერს, — სიმონმა ქალს მდაბლად დაუკრა თავი.

პოლმა მხრები აიჩიოა. არც იმ დღეს და არც მომდევნო დღეებში სიმონს

თავისი გეგმისთვის არ უღალატნია: მთელ პარიზს შემოუარა მანქანით, გამვლელებს უღიმოდა, პოლის ძალაზიას ათჯერ მაინც ჩაუარა საათში ათი კილომეტრის სიჩქარით, სადაც მოესურვებოდა, იქ აჩერებდა მანქანას და წიგნს კითხულობდა, ზოგჯერ ისვენებდა, თავს საზურგეზე გადაადგმობდა და უფლებებს დახუჭავდა. მთვარეულს ჰგავდა ბედნიერებით გაბრუნებულ მანქანასაქციელი გულს უჩუყებდა პოლს, უფრო მეტად აყვარებდა სიმონს: თვითონაც უკვირდა, რად არ ენანებოდა სიმონისთვის არაფერი, და რად გახდა მისთვის ეს წყალობანი აუცილებელი

* *

როჟეს მთელი ათი დღე საძაგელ ამინდში მოუხდა მგზავრობა. საქმიანი შეხვედრები ერთმანეთს ენაცვლებოდა. ხორის დეპარტამენტიდან შეხსიერებაში დარჩა მხოლოდ ტალახიანი, დაუსრულებელი გზა და მოსაწყენი რესტორნები. დროდადრო პარიზში რეკავდა, ერთდროულად ორ ნომერს დაუკვეთდა, ჯერ მეზი-მარსელას წუწუნს მოისმენდა, რომ მერე თვითონ დაეჩივლა პოლთან, ეს რა უბედურ დღეში ვარო, ანდა პირიქით. როჟე იმედგაცრუებული იყო, ასე ეგონა, არაფრის მაქნისი აღარაა; მასი ცხოვრებაც ამ პროვინციას წააგავდა. პოლის ხმა უფრო და უფრო შემფოთებული და შორეული ხდებოდა. როჟეს ძალიან ენატრებოდა. მუდამ ასე იყო: პოლის გარეშე ორი კვირა ვერ გაეძლო. კარგად იცოდა, პარიზში ყოფნისას მუდამ შეეძლო პოლის ნახვა, ამიტომაც არ უძნელდებოდა გადაედო დანიშნული პაემანი, მაგრამ ლილში ისევე ენატრებოდა, როგორც მათი დაახლოების პირველ დღეებში, როცა პოლთან შეხვედრა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი იყო მისთვის... მაშინ ისევე ეშინოდა მისი დასაკუთრებისა, როგორც ახლა მისი დაკარგვის. ლილში ყოფნის უკანასკნელ დღეს პოლს აცნობა, ებრუნდებოდა პოლი გაჩუმდა, მერე ერთბაშად მტკიცედ უთხრა: „აუცილებლად უნდა მოგელაპარაკო!“ როჟეს არაფერი უკითხავს და მესამე დღისთვის დაუნიშნა პაემანი.

პარიზში ღამით დაბრუნდა და ორ საათზე უკვე პოლის სახლთან გააჩერა მანქანა. პირველი შემთხვევა იყო, როცა შეეყოყმანდა, ავიდგ თუ არაო. დარწმუნებული არ იყო, ექნებოდა თუ არა პოლს ბედნიერი სახე, წინანდებურად ნაძალადევი სიმშვიდე მისი მოულოდნელი გამოცხადებისას. ახლა როჟეს ეშინოდა. ათი წუთი დაიცადა, თავისი მერყეობით დარცხვენილმა საკუთარ საქციელს ათასი უაზრო გამართლება მოუძებნა: „სძინავს, ბევრს მუშაობს და სხვა“. შემდეგ დაბრუნდა. უკვე შინ იყო მისული, როცა ისევე შეეყოყმანდა, ერთბაშად გადაწყვიტა მეზისტან წასულიყო. ქალს ეძინა; ძილისგან შეშუბებული სახე საკოცხელად მიუშვირა: „გვიანობამდე დავყავი იმ საძაგელ პროდიუსერებთან... რომ იცოდე, რა ბედნიერი ვარ... სხვათა შორის, ეს-ეს არის სიზმარში ვნახე...“ — ბუტბუტებდა მეზი. როჟემ სასწრაფოდ გაიხადა და მიუხედავად მეზის ბუზღუნისა, მაშინვე დაიძინა. პირველად იყო, ამ ქალისადმი ლტოლვა რომ არ იგრძნო. გათენებისას უგულისყურად მიუალერსა, მეზის ნაამბობს სიცოცხლით მოუსმინა და ერთბაშად გადაწყვიტა, სანერვიულო არაფერია, ყველაფერი რიგზეაო. მთელი დღეა მეზისტან დარჩა და პოლთან შეხვედრამდე ათი წუთით ადრე გავიდა მისი სახლიდან.



— უნდა დავრეკო, ნასაუზმევს გვიან იქნება, — თქვა პოლმა და სუფრიდან წამოდგა. როყე მაშინვე ფეხზე წამოიჭრა და პოლმაც დამნაშავეს საჭურჭელი-
მა; ასეთი ღიმილი მისდა უნებურად აღებეჭდებოდა ხოლმე სახეზე, როცა
ზრდილობისა თუ გრძნობის კარნახით როყე მისთვის თავს იწუხებდა. პოლი
რესტორანის ნესტიან კიბეს ჩაუყვია და ტელეფონის ჯიხურისკენ მიმავალი ბრა-
ზით ფიჭრობდა როყეს ამ ნაძალადევ ზრდილობაზე. სიმონი სულ სხვაგვარი
იყო; იგი ისეთ ყურადღებას, ისეთ კმაყოფილებას ამჟღავნებდა, ისე ცდილობდა
მისი გულის მოგებას, გაიჭტეოდა კარის გასაღებად, მიაწვდიდა სანთებელას,
გუმანით ხვდებოდა მის ყოველ სურვილს და წამსვე უსრულებდა. ეს ყოველი-
ვე კი ყურადღების ნიშანი იყო და არ მოვალეობის მოხდა. დილით სიმონი ნა-
ხევრად მძინარე დატოვა ლოგინში, ორივე ხელით ჩაებლუჯა ბალიში, რომელ-
ზეც მისი შავი კულულები ეყარა. მაგიდაზე ბართი დაუტოვა: „შუადლისას
დავირეკავ!“, მაგრამ შუადლისას როყეს შეხვდა და ახლა თვითონაც უკვირდა,
მარტო რომ დატოვა და თავის ჭაბუკ, ზარმაც საყვარელთან დასარეკად წავი-
და. ნეტა როყე ხომ არაფერს მიხვდა? შეწუხებული როყე კი ამ დროს ისე
იჭმუხნიდა წარბებს, როგორც იმ დღეებში, როცა საქმე უკულმართად წაუვი-
დოდა. იგი თითქოს დაბერებულიყო.

სიმონმა მაშინვე აიღო ყურმილი. როგორც კი პოლის ხმა გაიგონა, სიცი-
ლი აუტყდა.

— გაიღვიძე? — გაეცინა პოლსაც.

— თერთმეტი საათიდან მღვიძაფს. უკვე პირველი საათია. სადგურში
დარეკვაც მოვასწარი, ტელეფონის ხაზი ხომ არაა-მეთქი გაფუჭებული!

— რატომ?

— აკი თორმეტ საათზე უნდა დავრეკო! სად ხარ?

— ლუიჯისთან, ვსაუზმობ.

— პოო?... კარგია.

სიჩუმე ჩამოვარდა. ბოლოს პოლმა ცივად უთხრა:

— როყესთან ერთად ვსაუზმობ.

— პოო?... კარგია.

— ამის მეტს ვერაფერს იტყვი?... „პოო“... „კარგია, კარგია!“ — გამოაჯაფრა
პოლმა. — მაღაზიაში სამის ნახევარზე ვიქნები. შენ რას აპირებ?

— დედაჩემთან წავალ, კოსტიუმებს წამოვიღებ, — სწრაფად უთხრა სი-
მონმა, — შენს კარადაში უნდა ჩამოგვიდო. მერე დენოსთან შევივლი და იმ
აკვარელს ვიყიდი. შენ რომ მოგეწონა.

პოლმა ძლივს შეიკავა სიცილი; სიმონის მთელი ბუნება ამ ნათქვამში ჩან-
და: წინადადების ასე გადაბმა მხოლოდ მას შეეძლო!

— რა საჭიროა? გინდა მთელი შენი ტანსაცმელი ჩემთან გადმოიტანო?

თუმცა საწინააღმდეგო მაინც ვერაფერი უთხრა. სიმონი უკვე ნაბიჯითაც
არ სცილდებოდა და აქამდე არც პოლს უსაყვედურებია ამის გამო...

— პო, — მიუგო სიმონმა. — ირგვლივ ძალზე ბევრი ხალხი გახვევია, მე
კი დარაჯ ძალღად მინდა დაგიდგე, ამიტომ სუფთად უნდა ვიყო ჩაღმული.

— ამაზე მერე ვილაპარაკოთ! — უთხრა პოლმა.

ასე ეგონა, მთელი საათი ემუსაიფებოდა სიმონს. ამასობაში როყე მარტო იჯდა ზევით; ალბათ გამოკითხავს და პირისპირ რომ აღმოჩნდება, პოლს გულდარ მოიშორებს დამნაშავეის გრძნობას.

— მიყვარხარ! — უთხრა სიმონმა და ყურმილი დაკიდა.

პოლი ჭიხურიდან გამოვიდა, გასახდელ ოთახში სარკის წინ შეჩერდა, სხვა ვარცხელი ამოიღო და ანგარიშიშუცემლად თმაზე გადაისვა. სარკიდან იმ ქალის სახე უმზერდა, რომელსაც ეს-ეს არის უთხრეს, მიყვარხარო.

როყე კოკტიელს წრუპავდა. პოლს გაუკვირდა. იცოდა, საღამომდე ჩვეულებრივ არაფერს სვამდა ხოლმე.

— რაიმე უსიამოვნება ხომ არ შეგხვდა?

— რატომ შეკითხები? პოო, კოკტიელის გამო?.. არა, ცოტა დავილაღე, მეტი არაფერი.

— რამდენი ხანია არ მინახიხარ! — თქვა პოლმა და, რაკი როყე ოდნავ დაბნეული დაეთახნმა, ცრემლი ძლივს შეიკავა. ალბათ დადგება დრო, როცა იტყვიან: „რამდენი თვეა ერთმანეთი არ გვინახავს, ორი თუ სამი?“ და მშვიდად განოთვლიან, რამდენი დრო გავიდა მათი უკანასკნელი შეხვედრიდან. მიუხედავად ძლიერი და თითქმის სასტიკი იერისა, როყეს ისევ ასეთი ახირებული მიმოხრა, დაღლილი სახე და ბავშვური ხასიათი ექნება ალბათ... პოლმა თავი მიაბრუნა. როყეს ისევ ის ძველი ნაცრისფერი პიჯაკი ეცვა. ვინ იცის, რამდენჯერ ეკიდა ეს სულ ახალთახალი კოსტიუმი მათი სიხალისის პირველ დღეებში პოლის საწოლ ოთახში სკამზე. იმ ხანებში როყეს განსაკუთრებით მოსწონდა თავი ამ კოსტიუმით, ის ხომ იშვიათად ზრუნავდა საკუთარ სიკობტავეზე! თანაც ისეთი მოუქნელი იყო, ვერასოდეს იფიქრებდით, მოხდენილადაა ჩაცმულიო.

— თხუთმეტი დღეა! მშვიდად თქვა პოლმა. — ხომ კარგადა ხარ?

— კი. საერთოდ არა მიშავს.

როყე გაჩუმდა, ალბათ პოლის შეკითხვას ელოდა: „როგორ მიდის შენი საქმეები?“, მაგრამ პოლს არაფერი უკითხავს. ჯერ სიმონზე უნდა ელაპარაკოს. მერე როყესაც შეუძლია ისე გაანდოს თავისი ამბები, საკუთარი გულახდილობა სანანებლად არ დაურჩეს შემდეგში.

— ცოტათი მაინც გაერთე? — ჰკითხა როყემ.

პოლი ერთხანს დუმდა. საფეთქლები უცემდა, მერე იგრძნო. საცაა გული განიჩერდებაო, ბოლოს საკუთარი ხმა მოესმა:

— პო, სიმონს ვხედებოდა... ხშირად...

— ოპო, — აღმოხდა როყეს, — იმ ლამაზ ბიჭს? ისევ ისე გაგიყვებით უყვარხარ?

პოლმა ხელა დაუქნია თავი, მაგრამ შეხედვა ვერ გაბედა.

— ისევ გართობს ეს აიბავი? — ჰკითხა როყემ.

პოლმა თავი აიღო, ამჯერად როყემ აარიდა თვალი: მთელი გულსყური გრეიპფრუტზე გადაიტანა. — მიხვდა, — გაიფიქრა პოლმა.

— პო, — თქვა მან.

— გართობს თუ გართობაზე ცოტა მეტია?

ახლა კი თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთს. როყემ კოვზი თევზზე დადო. პოლი რაღაც სასოწარკვეთილი სინაზით უკვირდებოდა მისი ბავის ირგვლივ გაჩენილ ორ ღრმა ნაოჭს, გაქვავებულ სახეს და ამოღამებულ ლურჯ თვალებს.

— ჰო, მეტია! — მიუგო მან.

როჟემ კოვზი მოძებნა და ხელში აიღო. პოლს თავში გაუელვა, გრძობფრუტის წესიერად ჭამა არასოდეს შეეძლო როჯეს. დროს თითქმის შეეწყვიტა ჭობრაობა, თუ პირიქით, ისე სწრაფად მიჭროდა, მის წივილს გრძობდა ყურებში.

— ვფიქრობ, სათქმელი აღარაფერი მაქვს! — თქვა როჯემ. ამ სიტყვებზე პოლი მიხვდა, როჟე უბედური იყო. ბედნიერი რომ ყოფილიყო, ასე ადვილად არ დაუთმობდა. ახლა კი, თითქოს ჩაქოლილს, უკანასკნელი ქვა პოლმა ესროლა.

— სათქმელი ბევრი გქონდა.

— შენ თვითონ გადაგაქვს წარსულში ყველაფერი.

— მხოლოდ იმიტომ, რომ შენ დაგინდო, როჟე. რომ მეთქვა, უოველივე შენზეა დამოკიდებული-მეთქი, რას იტყობდი?

როჟე დუმდა, სუფრას ჩაწერებოდა.

— ალბათ მეტყობდი, თავისუფლება ძვირად მიღირსო, — განაგრძო პოლმა, — მეტყობდი, არ მინდა დავკარგო... და იმიტომაც აღარ ცდილობ... ჩემს დაბრუნებას.

— აკი გეუბნები, თვითონ არაფერი ვიცი-მეთქი! — მკვახედ მოუჭრა როჯემ. — რა თქმა უნდა, მზარავს იმის გაფიქრებაც, რომ... ვარგა კი მაინც რამედ?

— რა მნიშვნელობა აქვს, ვარგა თუ არა. მე მას ვუყვარვარ.

პოლმა შეამჩნია, როგორ გაუნათდა დაძაბული სახე როჯეს და წამით შეძულდა ეს კაცი. როჟე უკვე დამწვიდებულიყო: მხოლოდ წუთიერ აფეთქებად მიიჩნია ყველაფერი და მეტი არაფერი. მისი ნამდვილი სიყვარული, ნამდვილი მამაკაცი კი როჟე იყო.

— თუმცა იმას ვერ ვიტყვი, არ მალეღვებს-მეთქი! — დაუმატა პოლმა.

„პირველად შეგნებულად ვატყინავ გული!“ — გაიფიქრა თავგზააბნეულმა.

— გამოგიტყდები და საუზმეზე რომ დაგპატიე, არ მეგონა შენი და იმ ბიჭის თავშექცევის ამბებს თუ მოვისმენდი, — თქვა როჯემ.

— ალბათ თვითონ აპირებდი იმ ახალგაზრდა ქალთან შენი თავშექცევის ამბის მოყოლას, არა? — მაშინვე შეესიტყვა პოლი.

— ეს უფრო ბუნებრივი იქნებოდა! — კბილებში გამოსცრა როჯემ.

პოლი შეკრთა, მაგიდიდან ჩანთა აიღო და წამოდგა.

— ვატყობ, ახლა ჩემს ასაკს შემახსენებ.

— პოლ...

როჟე წამოდგა და თვალი გააყოლა რესტორნის კარში გასულ პოლს; თვალები ცრემლმა დაუნისლა. იმ დროს დაეწია, როცა პოლი მანქანაში ჩდებოდა. ვერა და ვერ აამუშავა ძრავა. როჯემ ფანჯარაში გაპყო ხელი და კონტაქტი ჩართო, რაც პოლს სულ გადავიწყებოდა. როჯეს ხელი... მერე გაწამებული სახე როჯესკენ მიაბრუნა.

— პოლ... თვითონაც კარგად იცი... საზიზღრად მოვიქეცი. მაპატიე.. ხომ იცი, მე ასე არ ვფიქრობ...

— ვიცი, არც მე მოგეჭეცი კარგად. სჯობს ერთხანს ნულარ შევხვდებით ერთმანეთს.

როჟე დაბნეული, გაქვავებული იდგა. პოლმა გაუღიმა:

— ნახვამდის, საყვარელო!

როჟე მანქანის ფანჯარასთან დაიხარა.

— პოლ, უშენოდ არ შეძიძლია...

პოლმა უცებ დასძრა მანქანა, არ უნდოდა თვალებზე მოწოლილი ცრემლი როჟეს დაენახა. მექანიკურად ჩართო მინის საწმენდი და მწარედ გაეცინა. დრო საკმაო ჰქონდა, შინ დაბრუნებამდე დამშვიდებასაც მოეწონებდა და სახეზე კრემის წასმასაც. თან იმედი ჰქონდა და თან ეშინოდა, სიმონი შინ არ დამხვდებო. სადარბაზოსთან შეეჩვენნენ ერთმანეთს.

— პოლ, რა დაგემართათ?

სიმონს ისე შეეშინდა, კვლავ თქვენივით მიმართა. „შემამჩნია, ნამტირალევი რომ ვარ, და შევეცოდე!“ — გაიფიქრა პოლმა და ცრემლი დაბალუბით წამოცვივდა. არაფერი უბასუხა. ლიფტში სიმონმა მკერდზე მიიკრა, ცრემლები კოცნით შეუშრო, ევედრებოდა, ნუღარ ტირიო, და ისე უცნაურად შეფიცა, იმ ტიპს შე მოვკლავო, პოლს უნებურად გაეცინა.

— რა საშინელი სანახავი ვარ ალბათ! — თქვა და ასე ეგონა, თითქოს ეს ფრაზა ათასჯერ ჰქონდა წიგნებში ამოკითხული თუ კინოში მოსმენილი. მერე დივანზე ჩამოჯდა სიმონის გვერდით, მისი ხელი აიღო და სთხოვა:

— ნუ მკითხავ ნურაფერს.

— დღეს არ გკითხავ, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერს გათქმევინებ. თანაც სულ მალე. ვერ ავიტან, ვიღაცის გულისთვის იტირო, განსაკუთრებით კი ის რომ აქ მოვიდეს! — გაშმაგებით წამოიყვირა მან, — ნეტავ ჩემთვის, ჩემი გულისთვის თუ იტირებ როდესმე?

პოლმა შეხედა: „ყველა მამაკაცი ნამდვილად მხეცია!“

— ნუთუ ასე ძალიან გინდა მატრო?

— არა, მირჩევნია თვითონ ვეწამო! — მიუგო სიმონმა და მხარზე მიადო თავი.

სადამოს შინ რომ დაბრუნდა, პოლმა მაშინვე შეამჩნია, სიმონს თითქმის მთელი ბოთლი ვისკი დაეცალა და სახლიდან არც გასულიყო. მან მედიდურად განუცხადა პოლს, პირადი უსიამოვნებები მაქვსო, შეეცადა საკუთარი მოსაზრება გამოეთქვა ცხოვრების სიძნელეზე და სანამ გულაჩვილებული თუ შეშინებული პოლი ივენსაცმელს გახდიდა, ჩაცმულს იქვე ჩაეძინა.

* *

როჟე ფანჯარასთან იდგა, დღე-ღამის გაყრას უყურებდა. ფერმა-სასტუმროში იყო. ილ დე ფრანსში ბუნება საოცრად შეესაბამება ქალაქური ცხოვრებით დაქანცული ხალხის წარმოდგენას სოფელზე: მშვიდი ბეჭობები, ნაყოფიერი ყანები, გზების გაყოლებით ჩარიგებული სარეკლამო პანოები... მაგრამ ახლა, განთიადის წინ წვიმის მძიმე, ცივი სურნელი შეეფრქვა და მისი ბავშვობის დროინდელი ნამდვილი სოფელი გაახსენა. შემდეგ ოთახისკენ შემობრუნდა და დაცინვით წაილაპარაკა: „დიდებული ამინდია დასასვენებლად!“ გულში კი გაივლო: „მართლაც რომ დიდებულია! მიყვარს ბურუსი. მარტო რომ ვიყო...“

მეზიმ გვერდი იცვალა თბილ ლოგინში.

— ფანჯარა დახურე, ცივა! — თქვა და საბანი მუბლამდე წაიფარა. მიუხე-

დაეად მთელ ტანში სასიამოვნო მოთენთილობისა, ლამის ეკივლა იმის გაფიქრებაზე, რომ ეს დღე მღუმარე, ფიქრებში წასულ როქესთან უნდა გვეტარებინა ამ უცნობ ადგილას. თან ეს მინდვრები... ეს თვალუწვდენელი მინდვრები... მეზის კინალამ კვნესა აღმოხდა.

— აკი გთხოვე, ფანჯარა დახურე-მეთქი, — მკვახედ გაუშროლა როქეს.

როქემ პირველ სიგარეტს მოუკიდა და მაშინვე მძაფრი, თითქმის უსიამოვნო, მაგრამ მაინც დიდებული სიმწარე შეიგრძნო. იგი უკვე მოწყვითეს დილის ოცნებებს. გაბრაზებული, ზურგითაც კი გრძნობდა მეზის მტრულ განწყობას. „იხუბოს რამდენიც უნდა! თუნდაც ადგეს, ავტობუსში ჩაჯდეს და პარიზში წაბრძანდეს! მე კი საღამომდე მინდვრებში ვიხეტივალე, ერთ უპატრონო ძაღლს როგორ ვერ ვიპოვი, რომ გავიყოლო!“ როქე მარტობას ვერ იტანდა.

მაგრამ მეორედ შეხსენების შემდეგ მეზი შეეყოყმანდა: არაფრად ჩააგდოს ღია ფანჯარა, ხელახლა დაიძინოს თუ იხუბი ატეხოს? ძილისგან ჯერაც გაბრუნებული, გონებაში უკვე აწყობდა ასეთ ფრაზებს: „მე ქალი ვარ, მცივა. ის მაძაკაცია, მოვალეა ფანჯარა დახუროს!“ და მაინც, ქალურმა ალლომ დროზე უკარნახა, ახლა როქეს გაგულისება არ ღირსო. ამიტომაც შერიგება ირჩია.

— იქნებ ფანჯარა დაგეხურა და საუზმე შეგეკვეთა, საყვარელო!

როქემ სახე შექმუხნა, შემობრუნდა და მიახალა:

— საყვარელო? რას ნიშნავს ეს შენი „საყვარელო“?

მეზის სიტყვილი აუტყდა. როქე აღარ მოეშვა:

— ტყუილა იცინი. იცი კი, რას ნიშნავს საყვარელო? განა მე შენ გიყვარვარ? სიტყვა „სიყვარული“ მხოლოდ ყურმოკვრით გაგიგია!

„ეტყობა, მოთმინება ამევსო! — გაიფიქრა როქემ და თავისი საქციელისა თვითონვე გაუკვირდა. — როცა ქალის ლექსიკონი დაგაინტერესებს, წასულია საქმე!“

— რა მოგივიდა? — ჰკითხა მეზიმ და თავი გამოჰყო საბხიდან. ისეთი შეშინებული ჩანდა, როქეს კინალამ სიტყვილი აუტყდა. მისმა შიშველმა მკერდმა არც აადგეღვა. ურცხვი! მართლაც რომ ურცხვია!..

— სიყვარული შენ ხუმრობა ნუ გგონია! — თქვა როქემ. — მე შენთვის წამიერი ხუმტური ვარ, ხელს რომ გაძლევს, ისეთი ხუმტური, ასე რომ საყვარელოს ნუ მეძახი, მით უმეტეს, დილით... ღამით კიდევ არა უშავს...

— კი მაგრამ, როქე, — ხელები გაასავსავა შეშფოთებულმა მეზიმ. — მე ხომ შენ მიყვარხარ!

— ოო, როგორ გეკადრება! რაც ენაზე მოგადგება, ყველაფერი კი არ უნდა თქვა! — წამოიყვირა როქემ და თვითონვე შერცხვა, — მაინც პატიოსანი კაცი იყო — თუმცა შევბაც იგრძნო, რადგან ამ სიტყვებმა მათი დამოკიდებულება საყვარლის უადგილო ენებიანობით თავნობეზრებული მამაკაცის დრამად აქცია, კლასიკურ დრამად.

როქემ სვიტრი ჩამოიცივა, მაგრამ შარვალში აღარ ჩაუტანებია ისე გავიდა ოთახიდან. მერე ინანი, ტვიდის მიჯაკი რომ ოთახში დატოვა; მიჯაკი საწოლის თავთან ეკიდა და მის ასაღებად იქ რომ მისულიყო, იქნებ ვეღარც გამოედწია ოთახიდან. გარეთ ერთბაშად შეისუნთქა სუსხიანი ჰაერი და თავბრუ დაეხვა. პარიზში უნდა დაბრუნდეს, მაგრამ პოლს რომ ვერ ნახავს?! გზა სველია და მანქანა ალბათ დაუცურდება, ოტეილის კარიბჭესთან ყავას დალევს კვირა დღეობით დაცარიელებულ პარიზში. როქე სასტუმროში შემობრუნდა, ფული

გადაიხადა და ქურდულად გაიპარა. მის პიჯაკს მეზი წამოიღებს, როცა მდი-
ვანი ქალის ხელით თაიგულს გაუგზავნის და პიჯაკსაც დაიბრუნებს. „მანც
ვერ ვისწავლე ჰკუა!“ — ნაღვლიანად გაიფიქრა როცემ.

ერთხანს წარბშეკრული მიაქროლებდა მანქანას. მერე რაღონშიმსკესსკენ
გაიწოდა ხელი და მოაგონდა: „საყვარელო! სიყვარული შე და პოლმა ვიცო-
დით!“ არაფრის ხალისი აღარ ჰქონდა. მიხვდა, პოლი დაკარგა.

თ ა ვ ი XIV

გავიდა ერთი კვირა. როცა პოლი თავის ბინაში შევიდა, თამბაქოს კვამლია
კინალამ გაგუდა. სასტუმრო ოთახში სასწრაფოდ გააღო ფანჯარა. „სიმონ!“
დაიძახა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. თან შეეშინდა და თან გაუკვირდა. მერე
საწოლ ოთახში გავიდა. სიმონი ლოგინზე გაშხლართულიყო, პერანგის საყელო
გახსნოდა. დაუძახა მეორედ, სიმონი არ განძრეულა. პოლი სასტუმრო ოთახში
შებრუნდა, კედლის განჯინა გამოაღო, ვისკის ბოთლი შეამოწმა და ზიზლით
ადგილზევე დადო. ჭიქა ვერსად იპოვა, სველი ჭიქა სამზარეულოში დახვდა
ბაკანზე. ერთხანს გაქვავებული იდგმ, მერე ნელა გაიხადა პალტო, სააბაზანო
ოთახში სახეზე კრემი გადაისვა და თმაც გულდასმით დაივარცხნა. მერე ერთ-
ბაშიად გული მოუვიდა, ეს კეკლუცობა სისუსტის ნიშნად ჩათვალია და თმის
ჯაგრისი თაროზე მიაგდო. სწორედ კარგი დრო შეარჩია სიმონის მოსახიბ-
ლაგად!

პოლი საწოლ ოთახში დაბრუნდა, სიმონი შეანჯღრია და სასთუმალთან ნა-
თურა აანთო. სიმონი გაიზმორა, პოლის სახელი წაიბუტბუტა და კედლისკენ
ინაცვლა გვერდი.

— სიმონ! — მკვახედ შეუძახა პოლმა.

სიმონი შემობრუნდა. პოლმა თვალი მოჰკრა თავის ყელსახვევს, სიმონი
რომ დაწოლისას მუდამ სახეზე იფარებდა და პოლი მუდამ დასცინოდა ამაზე.
ახლა კი აღარ იყო ხუმრობის გუნებაზე, ისე აიტანა ბრაზმა. სიმონს მივარდა
და ძალით შემოაბრუნა სინათლისკენ. სიმონმა თვალები გაახილა, გაიღიმა, მაგ-
რამ ღიმილი მაშინვე შეეყინა პირზე.

— რა მოხდა?

— უნდა მოგელაპარაკო!

— ასეც ვიცოდი! — თქვა სიმონმა და საწოლზე ჩამოჯდა.

პოლმა დროზე შეიკავა თავი, თვალებზე ჩამოცვენილი კულულები კინდ-
ლამ არ გადაუწია. სწრაფად წამოდგა და ფანჯრის რაფას დაეყრდნო.

— სიმონ, ასე არ შეიძლება. ამას უკანასკნელად გეუბნები. უნდა იმუშაო.
უკვე ჩუმ-ჩუმადაც დაიწყე სმა.

— ჭიქა აკი გავრეცხე! ხომ ვიცო, არეულობა გძაგს!

— შე ყოველგვარი უწესრიგობა მძაგს, მძაგს ტყუილი, მძაგს უნებისყოფო
ადამიანები! — გაბრაზებით მოუჭრა პოლმა, — უკვე შენც მეზიზღები.

სიმონი წამოდგა. პოლი გრძნობდა, სიმონს სახე რომ დამანჭოდა და გან-
გებ არ შემობრუნდა.

— დიდი ხანია ვგრძნობ, ველარ მიტან, — თქვა სიმონმა. — აკი ამპობენ,
სიყვარულსა და სიძულვილს შორის ერთი ნაბიჯიაო. ასე არაა?

— გრძნობები აქ არაფერ შუაშია, სიმონ. საქმე ისაა, რომ სვამ, უხატვე-
რობ, გამოყეყევიდი. რამდენჯერ გითხარი, იმუშავე-მეთქი? ახლი უკანასკნელად
გაფრთხილებ.

ქრისტეშვილი
ბიბლიოთეკა

— შერე რა იქნება?

— შერე ის იქნება, რომ დასანახად შემძულდები.

— ნუთუ შეგიძლია ასე ხელალებით მიმატოვო? — დაფიქრებით ჰკითხა
სიმონმა.

— შემიძლია.

პოლი შემობრუნდა და დაუმატა:

— ყური მიგდე, სიმონ...

სიმონი საწოლზე ჩამომჯდარიყო და უცნაური გამომეტყველებით დაშტე-
რებოდა საკუთარ ხელებს, შერე ხელები ასწია და პირზე მიიფარა. პოლი გაოგ-
ნებული იდგა. სიმონი არ ტიროდა, არ ინძრეოდა. პოლს თავის სიცოცხლეში
არ უნახავს ესოდენ სასოწარკვეთილი ადამიანი. შერე ხმადაბლა დაუძახა, ის-
ეთმა გრძნობამ აიტანა, თითქოს სიმონს რაღაც ემუქრებოდა, და მიუახლოვ-
და. სიმონი ახლა მთელი ტანით ირწეოდა. პოლს ჯერ ეგონა, მთვრალიაო, და
ხელი მოჰკიდა, რომ ეს უაზრო რწევა შეეწყვეტილებინა, შერე შეეცადა ხელე-
ბი ჩამოეშორებინა მისთვის სახიდან. სიმონი გაძალიანდა: მაშინ პოლი მუხ-
ლებზე დაეცა და მაჯებზე წაავლო ხელი.

— სიმონ, შემომხედე... სიმონ, შეწყვიტე ეს პამპულობა!

როგორც იქნა, ხელები ჩამოაშორებინა სახიდან. სიმონმა შეხედა. გაქვავე-
ბული სახე ჰქონდა, როგორც ქანდაკებას და ისეთივე უჩინო მზერა. მისდა
უნებურად პოლმა ხელის გული ააფარა თვალებზე.

— რა მოგივიდა, სიმონ?... მითხარი, რა მოგივიდა?..

სიმონი გადმოიხარა, თავი მხარზე ჩამოადო და საოცრად მოქანცული ადა-
მიანივით ღრმად ამოიოხრა.

— ის მომივიდა, რომ აღარ გიყვარვარ, — წყნარად თქვა მან, — ბევრი ვე-
ცადე, მაგრამ ვერაფერს გავხდი... კიდევ ის მომივიდა, რომ თავიდანვე ვიცო-
დი, გამაგდებდი. ის მომივიდა, რომ ვიცდიდი, წელში მოდრეკილი ვიცდიდი...
ზოგჯერ მაინც მომეცემოდა იმედი... სწორედ ესაა საშინელი, ზოგჯერ რომ მო-
გვეცემა იმედი, ისიც მხოლოდ ღამით, — ხმადაბლა დაუმატა მან და პოლმა
იგრძნო, როგორ გაწითლდა, — პოლა, დღეს მოსახდენი მოხდა! მთელი ერთი
კვირა ამას ველოდი! ჩემი დამშვიდება ქვეყნად არაფერს შეუძლია, ვისკისაც
კი... ვგრძნობდი, დღითი დღე როგორ გემატებოდა სიძულვილი. და აჰა...
პოლ! პოლ!

თვალცრემლიანმა პოლმა მკლავები მოხვია, ჩაიხუტა, თვითონვე ესმოდა
საკუთარი ჩურჩული: „სიმონ, გაგიყდი?... ნამდვილი ბავშვი ყოფილხარ!.. ჩე-
მო პატარა, ჩემო საბრალო, ჩემო საყვარელო...“ შუბლზე, ლოყებზე ჰკოცნი-
და სიმონს. ერთბაშად მწარე ფიქრმა გაჰკრა თავში, უკვე დედობრივი სიყვა-
რულის ხანი დამიდგაო. და მაინც გულის კუნჭულში რაღაც ეწინააღმდეგებო-
და ჯიუტად, მაინც კმაყოფილებას ვგრძნობდა, სიმონის დამშვიდებით თითქოს
ორივეს ტკივილს აყუჩებდა.

— უბრალოდ, დაილაღე, — ხმადაბლა განაგრძო პოლმა, — მიტოვებული
კაცის როლი გაითამაშე და საკუთარი მონაგონის მსხვერპლი გახდი. შენ არც
გესმის, რა ძვირფასი ხარ ჩემთვის, ვერც წარმოიდგენ, რა ძვირფასი ბოლო

დროს ყურადღება მოგაკელი, მაგრამ ეს ჩემი სამუშაოს ბრალია, სხვა არაფრის.

— სხვა არაფრის? მაშ, არ გინდა წავიდე?

— ყოველ შემთხვევაში, დღეს არა! — დიმილით უთხრა მან, მაგრამ მინდა კი იმუშაო.

სიხარულით

— რასაც მოისურვებ, ყველაფერს გავაკეთებ. მოდი, გვერდით მომიწევი. პოლ, რომ იცოდე, როგორ შემაშინე! შენ არც იცი, ისე მჭირდები... მომეხვიე, არ გაინძრე! როგორ მეჯავრება, კაბებს ამდენი რამ რომ აკერია... პოლ!

შემდეგ პოლი გაუნძრევლად იწვა. სიმონი დუმდა, ოდნავ ესმოდა მისი სუნთქვა მხართან. როცა პოლმა კეფაზე დაადო ხელი, საკუთრების ისეთმა მტკივნეულმა, ისეთმა გამჭვალავმა გრძნობამ მოიცვა, ერთბაშად დარწმუნდა, სიმონი მართლა მიყვარსო.

მეორე დღეს სიმონი სამუშაოზე წავიდა. ძლივს შემოირიგა თავისი ვეჭი-ლი, რამდენიმე საქმეს გადახედა, ექვსჯერ მაინც დაურეკა პოლს, დედასთან მივიდა, ფული ესესხა, — ქალბატონი ვან დენ ბეში ცას ეწია სიხარულით, — და ცხრის ნახევარზე მუშაობით დამაშვრალი კაცივით გამოეცხადა პოლს. ბო-ლო ორი საათი ბარში გაატარა, 421 ითამაშა ერთადერთი მიზნით — შინ ღირ-სეულად დაბრუნებულიყო. გულში კი ფიქრობდა, რა მოსაწყენი ყოფილა დროის ამგვარად მოკვლა და რა ტანჯვით მოუხლება უსაქმოდ გატარებული საათების შევსება.

თ ა ვ ი X V

თებერვალში როჟე და პოლი ჩვეულებრივ ერთი კვირით მთებში მიდიოდ-ნენ. შეთანხმებული იყვნენ, სამიჯნურო საქმეების მიუხედავად (იმ ხანებში მხოლოდ როჟეს სამიჯნურო საქმენი იგულისხმებოდა) ყოველ ზამთარს რო-გორმე გამოენახათ რამდენიმე დღე დასასვენებლად. ერთ დღიას როჟემ კან-ტორაში დაურეკა პოლს; შეატყობინა, ათი დღის შემდეგ ვაპირებ წასვლას და ბილეთი აგილო თუ არაო. პოლი შიშით ეკითხებოდა თავის თავს, ამ დაპატივე-ბის მიზეზი სინდისის ქენჯნა იყო თუ, უბრალოდ, მისი და სიმონის დაშორების სურვილი. პოლის გადაწყვეტილებას კი პირველი მიზეზი თუ შეარყევდა. თუმ-ცა ისიც კარგად იცოდა, როჟეს რაც არ უნდა ეთქვა, მთებში ერთად ყოფნა ორივესთვის ტანჯვად იქცეოდა. ხოლო როდესაც გაიხსენა, რა მხიარული იყო როჟე მთებში, რა სისწრაფით ეშვებოდა მთას კალთებზე და შეშინებულ პოლს როგორ შიათრევდა, იგრძნო, დარდით გული ლამის დაფლეთოდა.

— რას იტყვი?

— არა მგონია, როჟე, რომ შევძლოთ. თავს მოვიტყუებთ, თითქოს... ერთი სიტყვით, ისე მოვაჩვენებთ ერთმანეთს თავს, თითქოს მთების გარდა სხვა არა-ფერზე ვფიქრობდეთ!

— სწორედ ამიტომაც მივდივარ, სხვა არაფერზე ვიფიქრო. გარწმუნებ, შევძლებ კიდევ ამას.

— იმ შემთხვევაში წამოგყვებით, თუ... (კინალამ უთხრა, ჩემსე ან ჩვენ-ზე თუ შეძლებდი ფიქრსო, მაგრამ გაჩუმდა) თუ აუცილებლად გჭირდები. მაგ-რამ შენ უჩემოდაც მშვენივრად იქნები მარტო ან... სხვა ვინმესთან ერთად.

— კეთილი. თუ სწორად გავიგე, ჯერჯერობით არ გინდა პარიზიდან წასვ-

ლა. „სიმონს გულისხმობს! — გაიფიქრა პოლმა. — რატომ ხდება ასე? რატომ არავის ძალუძს გარეგნულის მიღმა სინამდვილე დაინახოს!“ თუმცა ისიც იგრძნო, ეს ერთი თვე სიმონს ძალზე მიჩვეოდა, მასთან ცხოვრება ყოველდღიურ ყოფად ქცეულიყო. ალბათ სწორედ სიმონის გამო უთხრა პოლმა:

— თუ გნებავს, ასეცაა...

სიჩუმე ჩამოვარდა.

— შენ ცუდად გამოიყურები, პოლ. ძალიან დაღლილი სახე გაქვს. ჩემთან თუ არ გინდა წამოსვლა, სულ ერთია, სხვასთან ერთად წადი. შენთვის ეს აუცილებელია.

როჟე ნაღვლიანად და ალერსით ელაპარაკებოდა. პოლს თვალებზე ცრემლი მოადგა. პო, როჟე უთუოდ მასთან უნდა იყოს, თღონდ ათდღიან მოწყალებას კი არ სთავაზობდეს, არამედ მისი სამუდამო მფარველი გახდეს. ეს უნდა იცოდეს როჟემ; ყველაფერს საზღვარი აქვს, მამაკაცის თავგერძობებასაც კი.

— აუცილებლად წავალ! — უთხრა პოლმა, — და ერთმანეთს ღია ბარათებსაც გავეუგზავნით ერთი მწვერვალიდან მეორეზე.

როჟემ ყურმილი ჩამოკიდა. ვინ იცის იქნებ დახმარებას სთხოვდა პოლს, მან კი უარი უთხრა?! ნუთუ ესაა პოლის სიყვარული! და მაინც პოლი ბუნდოვნად გრძნობდა, რომ მართალია და რომ უფლება აქვს და მოვალეც არის იყოს მომთხოვნი, თუნდაც ამის გამო დაიტანჯოს. ბოლოს და ბოლოს იგი ქალია, რომელიც გაგიყვებით უყვართ!

ჩვეულებრივ, პოლი და სიმონი ახლომახლო, თითქმის ცარიელ რესტორნებში დადიოდნენ. მაგრამ ამ საღამოს შინდაბრუნებულ პოლს სიმონი კარის ზღურბლზე დახვდა. მუქი კოსტუმი ეცვა, თმა გულდასმით დაევარცხნა, ერთი სიტყვით, საზეიმო იერი ჰქონდა. პოლს ერთხელ კიდევ მოხვდა თვალში სიმონის სილამაზე, მისი უჩვეულო ჭრილის თვალები, სწორედ ისეთი, კატას რომ აქვს, ლამაზად მოყვანილი ბაგე და ლაღად გაიფიქრა, ამ ყმაწვილს, დღენიადაგ რომ ჩემს კაბებში აქვს თავი ჩარგული და ბთელ დღეებს ჩემს ლოდინში ატარებს, რაინდისა და ქალების გულთა მპყრობელის გარეგნობა აქვსო.

— ღმერთო, რა დიდებული სანახაფი ხარ! რა მოხდა? — ჰკითხა მან.

— გასართობად უნდა წაგიყვანო! — მიუგო სიმონმა, — სადმე ბრწყინვალე რესტორანში ვისადილებთ, მერე კი ვიცეკვებთ! მე შინაც სიამოვნებით დავრჩებოდი და ერბო-კვერცხსაც გემრიელად შევჭამდი, მაგრამ მინდა დიდ საზოგადოებაში გაგიყვანო!

სიმონმა პალტო გახადა. პოლმა ორდეკოლონის სუნი იგრძნო. საწოლ ოთახში მისი გულმოდგინდი საღამოს კაბა ლოგინზე ეფინა. ორჯერ თუ ექნებოდა ეს კაბა ჩაცმული.

— ყველაზე უფრო ეს კაბა მომეწონა! — უთხრა სიმონმა, — კოკტეილი მოგიმზადო?

სწორედ ისეთი კოკტეილი მოუმზადა, პოლს რომ უყვარდა. პოლი საწოლზე ჩამოჯდა, დაბნეული იყო. განა მთებს იმიტომ მოწყდა, რომ დიდ საზოგადოებაში მოხვედრილიყო! პოლმა სიმონს გაუღიმა.

— კმაყოფილი ხარ? ძალიან ხომ არ დაიდალე? თუ გინდა ახლავე გამოვიცვლი კოსტიუმს და შინ დავრჩები.

სიმონმა მუხლი საწოლზე ჩამოსდო და პიჯაკის გახდა დააპირა. პოლმა

მკერდზე მიადო თავი, ხელი პერანგის ქვეშ შეუცურა და მისი სხეულის სითბო იგრძნო, ცოცხალი სითბო!

— კარგი აზრი მოგსვლია თავში! — თქვა ბოლოს, — მაშასადამე გინდა ეს კაბა ჩაიცვა? მე კი მგონია, ამ კაბაში, ცოტა არ იყოს, კარგად გასწავლს ვგავარ.

— მე შენი სიშიშვლე მომწონს, ეს კაბა კი სხვასთან შედარებით უფრო გულმომხდელია. მთელი კარადა გადაგიქეჩე.

პოლმა ჭიქა აიღო, გამოსცალა. სიმონი რომ არა, იგი ალბათ მარტოკა დაბრუნდებოდა შინ, ლოგინში ჩაწვებოდა, წიგნს აიღებდა და მოიწყენდა. სიმონის გამოჩენამდე ხომ ხშირად იყო ასე! სამაგიეროდ, ახლა გვერდით ჰყავს სიმონი, იგი იცინის, ბედნიერია, თვითონაც მასთან ერთად იცინის. სიმონმა სთხოვა, ფოქსტროტი მასწავლეო, ის კი არ იცოდა, რომ ამ თხოვნით ოცი წლით აბურებდა პოლს. ისიც ასწავლიდა, ხალიჩაზე ბორძიკობდა და, აქოშინებული, მკლავებში უვარდებოდა სიმონს. პოლი გულიანად კისკისებდა, როცა გადააფიწყდა, თოვლიც და გულსტკივილიც. იგი გაახალგაზრდავებული, გალაბარებული იყო. მერე სიმონი ოთახიდან გააგდო, სახეზე კრემი წაისვა და ეს გულმომხდელი კაბა ჩაიცვა. სიმონი მოუთმენლად უბრაბუნებდა კარზე. როცა პოლი გამოვიდა, სიმონმა აღტაცებისაგან თვალეები დახუჭა, მერე შიშველი მხრები დაუკოცნა და მეორე ჭიქა კოკტეილი ძალით შეასვა, თუმცა პოლს სასმელი არ უყვარდა. პოლი ბედნიერი იყო, ზღაპრულად ბედნიერი!

ღამის კაბარეში მეზობელ მაგიდასთან ორი მანდილოსანი იჯდა, ორივე პოლზე ხნიერი; ოდესღაც პოლი ამ ქალებს ხვდებოდა, ერთადაც უმუშავიათ. ქალები გაკვირვებული ღიმილით მიესალმნენ, ხოლო როცა სიმონი წამოდგა და პოლი საცეკვაოდ გაიწვია, პოლმა ქალების ნათქვამი გაიგონა:

— რამდენი წლის იქნება ახლა?

პოლი მიიმედ დაეყრდნო სიმონს მკლავზე. მთელი სიამოვნება ჩაუშხამდა. კაბა შეუფერებელი აცვია, სიმონის გარეგნობაც ყველას თვალში ხვდება. პოლი მართლა უაზროდ ცხოვრობს. შინ წამიყვანეო, სთხოვა სიმონს. სიმონი არ გასძალებია, პოლი მიხვდა, ქალების ნათქვამი იმანაც გაიგონა.

შინ მისვლისთანავე კაბა სასწრაფოდ გაიხადა. სიმონი ორკესტრს აქებდა, პოლს კი უნდოდა სიმონი შინ წასულიყო. ვინემ სიმონი გაიხდიდა, პოლი სიბნელეში იწვა, სინათლე არ აანთებინა. შეცდა, ორი ჭიქა კოკტეილი და მერე შამპანური რომ დალია, კარგი შესახედავი იქნება ხვალ, სახემოტეხილი! საშინელი დარდი შემოაწვა გულზე. სიმონი ოთახში შემოვიდა, საწოლის კიდეზე ჩამოჯდა და შუბლზე დაადო ხელი.

— არა, სიმონ, დღეს დაღლილი ვარ, — უთხრა პოლმა.

სიმონს ხმა არ ამოუღია, არც განძრეულა. სააბაზანო ოთახიდან შემოჭრილ შუქზე პოლმა დაინახა, სიმონს თავი დაეხარა და დაფიქრებულიყო.

— პოლ, — თქვა მან ბოლოს, — უნდა მოგელაპარაკო!

— გვიანაა. მეძინება. ხვალ ვილაპარაკოთ.

— არა, ახლავე უნდა გელაპარაკო. და შენც მომისმენ!

გაოცებულმა პოლმა თვალეები გაახილა: სიმონი პირველად ელაპარაკებოდა ასეთი გადამწყვეტი კილოთი.

— შენი არ იყოს, მეც გავიგონე იმ ორი ბებერი როკაპის ნათქვამი, არ

მინდა განიცადო ეს ამბავი. არ გეკადრება ასეთი ლაჩრობა, ჩემთვის ეს შეუ-
რაცხმყოფელია.

— სიმონ, ტრაგედიას ნუ ჰქმნი... ისიც არაფრისგან...

ტრაგედიას მე არა ვქმნი, პირიქით, მინდა შენ არ ქმნიდე. ცნობილია, ეც-
დები ყველაფერი ღამიშალო, მაგრამ ვერ მოახერხებ. პატარა მძივას ვაძლავარ,
პოლ! მე შემიძლია გაგიგო და იქნებ დაგეხმარო კიდევაც. ძალიან, ძალიან
ბედნიერი ვარ შენთან, შენც კარგად იცი, მაგრამ ეს არ გამოა, მე მინდა შენც
ბედნიერი იყო ჩემთან. ჯერჯერობით ბედნიერი ვერ იქნები, რადგან როყე ისევ
გიყვარს. დროა მიხედვე, რომ ჩვენი ამბავი მარტო ბედნიერი შემთხვევა არაა,
სერიოზული ამბავია და შენ უნდა დამეხმარო, რომ იგი განმტკიცდეს! აი, ამის
თქმა მინდოდა.

სიმონი დარწმუნებით, მაგრამ მაინც დაძაბულად ლაპარაკობდა. პოლი გაკ-
ვირვებითა და ერთგვარი იმედითაც უსმენდა. თურმე სულაც არ ყოფილა სი-
მონი მიუხვედრელი, როგორც მას ეგონა, მას სჯერა, რომ პოლს ხელახლა
შეუძლია ყველაფერი თავიდან დაიწყოს. იქნებ მართლაც მოახერხოს ეს!..

— არც ისეთი უგზური ვარ, ეს შენც იცი. უკვე ოცდახუთი წლისა ვარ,
შენს გაცნობამდე ადამიანურად არ მიცხოვრია და თუ დაგცილდი, ვერც მერე
ვიცხოვრებ. შენ ის ქალი ხარ და, რაც მთავარია, ის ადამიანი, მე რომ მჭირ-
დება. ეს მე კარგად ვიცი. თუ გინდა, ხვალვე შეგიერთავ ცოლად.

— მე ოცდაცხრამეტი წლისა ვარ, სიმონ! — შეახსენა პოლმა.

— ცხოვრება ქალების დღიური როდია, არც ძველი გამოცდილების გაგ-
რძელებაა. შენ თოთხმეტი წლით უფროსი ხარ ჩემზე, მე კი შენ მიყვარხარ და
ძალიან დიდხანსაც მიყვარები. აი, ესაა მთავარი! ამიტომაც მიმძივს, როცა იმ
ბებერ თხუნულებს ყურადღებას აქცევ ან საზოგადოებრივ აზრს ანგარიშს
უწევ. შენთვის, ჩვენთვის მთავარი როყეა. სხვა ჩვენთვის არ არსებობს.

— სიმონ, მაპატიე... მე მეგონა...

— შენ გეგონა, ფიქრი არ შეშეძლო! ახლა კი ცოტა მიიწი!

სიმონი გვერდით დაუწვა პოლს, მოეხვია, მიუალერსა. პოლს აღარ მოუმი-
ზეზებია დაღლილობა... მერე სიმონი ოფლით დაცვარულ შუბლზე მოეფერა,
მხართან მიიღო მისი თავი, თუმცა ჩვეულებრივ თვითონ იძინებდა პოლის მხა-
რზე, საბანი შესოუკვეცა ორივე მხრიდან და წასჩურჩულა:

— ახლა დაიძინე, მე ვიზრუნებ ყველაფერზე.

პოლს ნაზად გაეღიმა სიბნელეში და მხარზე აკოცა. სიმონმაც მზრძანებლის
თლიმბიური სინწვიდით მიიღო ეს ამბორი და, საკუთარი სიმტკიცით კიდევ
შეცბუნებულსა და კიდევ გაამაყებულს, დიდხანს არ მოუხუჭავს თვალი.

თ ა გ ი XVI

აღდგომა ახლოვდებოდა და სიმონიც მთელი დღეები ვეჭილ ფლერის კანტო-
რაში თუ პოლის სასტუმრო ოთახში ხალიჩაზე გეთვრაფიულ რუკებს ჩაკირ-
კიტებდა. ამგვარად შეადგინა მან ორი მარშრუტი იტალიაში გასამგზავრე-
ბლად, სამი—ესპანეთისთვის და ახლა საბერძნეთისკენ გაუწია გულმა. პოლი
უსიტყვოდ უგდებდა ყურს; დიდი-დიდი, ათი დღის შვებულებას თუ მოახერ-
ხებდა, თან ისეთი დაღლილი იყო, მოგზაურობაზე ფიქრიც კი აშინებდა. დი-

დი სიამოვნებით დაისვენებდა საღმე სოფელში, სადაც დღეები ერთმანეთს ემგვანებოდა. ერთი სიტყვით, ისე როგორც ბავშვობაში არდადეგებზე. მაგრამ სიმონის გაწბილებაც არ შეეძლო. მას უკვე თავი გამოცდილი მუშაკი ეგონა, ვაგონიდან ჩამოხტომისას პოლს რომ ხელს შეაშველებდა. ყოველთვის რე შეკვეთილ მანქანისკენ გააქანებდა, ქალაქის საუკეთესო სასტუმროში დააბინავებდა და ყვაფილებით მორთულ ოთახში შეიყვანდა (ყვაფილებსაც წინასწარ დაუკვეთდა დებეშით); ის კი ავიწყდებოდა, რომ დროზე წერილსაც ვერ წერდა და ბილეთსაც ბაქანზევე ჰკარგავდა. სიმონი ოცნებობდა, მის ოცნებებს ბოლო არ უჩანდა და ყველა ეს ოცნება ისევ მიისწრაფოდა პოლისკენ, როგორც აბობოქრებული მდინარე მშვიდი ზღვისკენ. სიმონს არასოდეს ისე ლაღად არ უგვრძნია თავი, როგორც ამ ბოლო თვეებში; ყოველდღე ერთსა და იმავე კანტორაში იჯდა, ყოველ საღამოს ერთსა და იმავე ქალთან ატარებდა, ერთადერთი სურვილით, ერთადერთი საზრუნავითა და ერთადერთი სატანჯველით შეპყრობილი, რადგან პოლი დროდადრო თითქოს ხელიდან უსხლტებოდა, თვალს არიდებდა, სიმონის აღტყინებულ სიტყვებს მკრთალ დიმილსლა აგებებდა, როყეს ხსენებაზე ჯიუტად დუმდა. სიმონი ხშირად გრძნობდა, რა უაზროდ და უშედეგოდ იბრძოდა, დრო კი არაფერს შეელოდა. იგი როყესე მოგონებებს კი არ უნდა შებრძოლებოდა, არამედ ძირშივე მოეძირკვა ის, რაც პოლის სულში მტკიცეული ფესვივით ჩაბუდებულიყო. ზოგჯერ კიდევ ფიქრობდა, იქნებ სწორედ ამ სიჯიუტემ, ამ ტანჯვამ შეაყვარა პოლი და მის სიყვარულსაც ეს ასაზრდოებდა?! მაგრამ როგორც კი გაახსენდებოდა, პოლი შეელოდებოდა, ერთ საათში გულში ჩაეკრავო, როყეს არსებობა მაშინვე ავიწყდებოდა. სჯეროდა, პოლს იგი უყვარდა, ყველაფერი ბედნიერების შუქით იყო განათებული. პოლსაც სწორედ ასეთი წუთები უყვარდა ყველაზე მეტად, რადგან სიმონი ამ წუთებში აიძულებდა მათი სიახლოვე სინამდვილედ ეცნო და ანგარიში გაეწია მისთვის. ეტყობა, ბოლოს და ბოლოს თავშეკავებაც გბეზრდება ადამიანს. მაგრამ როგორც კი მარტოდ დარჩებოდა, როგორც კი გაიფიქრებდა, როყე უიმისოდ ცხოვრობდა, მომხდარი ამბავი დიდ შეცდომად მიაჩნდა და თავის თავს ეკითხებოდა, ასეთი რამ ჩვენ როგორ მოგვივიდაო. „ჩვენ“ მუდამ როყეს და პოლს გულისხმობდა. სიმონი კი „ის“ იყო. მაგრამ როყემ ხომ არაფერი იცოდა ამაზე. როცა ცხოვრება დაიღის, მოვა პოლთან, ბედზე შესჩივლებს და ალბათ შეეცდება პოლი დაიბრუნოს! ვინ იცის, იქნებ მართლაც დაიბრუნოს! სიმონი საბოლოოდ დამცირდება, პოლი კი მარტოდმარტო დარჩება ტელეფონის გაურკვეველი ზარისა და სავსებით გარკვეულ წვრილმან წყენათა მოლოდინში. და პოლსაც ერთბაშად აღაშფოთებდა საკუთარი ფატალიზმი, იმის შეგრძნება, რომ ეს ამბავი აუცდენელი იყო. აუცდენელი მის ცხოვრებაში მხოლოდ როყე იყო.

და მაინც, ეს ხელს არ უშლიდა ყოფილიყო სიმონთან, მის მკლავებში მომწყვდეულს ნეტარების კენესა აღმოხდენოდა, - ზოგჯერ თვითონაც ჩახუტებოდა, ისე მოხვეოდა, როგორც მხოლოდ ბავშვს ან შმაგ საყვარელს ეხვევა ხოლმე ქალი, მოხვეოდა იმ მესაკუთრესავით, რომელსაც თვითონვე არ სჯერა, რომ ეს ბედნიერება მუდმივად გასტანს. ასეთ წუთებში პოლი გრძნობდა, რომ აღარ იყო ახალგაზრდა, რომ იგი აიტაცა სიყვარულს იმ დიდებულმა სურვილმა, რაიც მხოლოდ და მხოლოდ სიბერემ იცის. პოლა, ბრაზობდა საკუთარ თავზე, ბრაზობდა როყესე, რომელიც მის გვერდით არ იყო, რომელიც არც ცდილა

სიმონი ჩამოეშორებინა მისთვის. როცესთან პოლს გაორების გრძნობა არ აწვალვებდა, იცოდა, რომ როცე მისი მბრძანებელი იყო, თვისად კი — როცეს საკუთრება. როცე ოდნავ თუ იყო მასზე ხნიერი, მათი სიახლევე იმ ხნებში რიგ თუ ესთეტიკური ნორმების შესაბამისი იყო, რასაც მისდევდა უფროსი ვნგარიშს უწევდა თურმე. რაც შეეხება სიმონს, მას არასოდეს უგრძნებია თავი პოლის მბრძანებლად, ქვეშეცნეულად მუდამ პატარა ბავშვის როლს თამაშობდა, ის კი არ ესმოდა, რომ სწორედ ეს ღუპავდა; უსუსური ბავშვივით იძინებდა მეგობარი ქალის მხარზე, თითქოს მფარველობას სთხოვსო, ალიონზე წამოხტებოდა საუხმის მოსაზრადებლად, ყოველ ნაბიჯზე რჩევას ეკითხებოდა. ყოველივე ეს თან გულს უჩუყებდა პოლს, თან ეჩოთირებოდა. ასე ეგონა, რაღაც არაბუნებრივს სჩადიოდა. სიმონი პატარასაც სცემდა პოლს: იგი უკვე მუშაობდა; ერთხელ ვერსალშიც კი წაიყვანა სასამართლო პროცესზე, სადაც პოლის გულის მოსაგებად ბრწყინვალე ახალგაზრდა ვექილის როლი გაითამაშა, ხელს ართმევდა ვილაცებს, უღიმოდა ყურნალისტებს და მაინც მთელი ყურადღება პოლისკენ ჰქონდა, თითქოს ის ყოფილიყოს მთელი მისი შთაგონების ღერძი. ერთბაშად სიტყვას შეწყვეტდა, პოლს გადახედავდა, თუ მიუყურებდნო. არა, სიმონი გულგრილი კაცის როლს არ თამაშობდა პოლის წინაშე. პოლიც თვალს არ აშორებდა, აღტაცებული, სინადაქციული შესცქეროდა. მაგრამ როგორც კი სიმონი მიბრუნდებოდა, მაშინვე შეეცვლებოდა მზერა, სინაზე და სიამაყე ჩაუდგებოდა თვალებში. ქალებიც თვალს ვერ სწყვეტდნენ სიმონს. პოლს სიამოვნებდა, რომ არსებობდა ადამიანი, ვინც მისთვის ცოცხლობდა. უკვე აღარ აწუხებდა ასაკობრივი განსხვავება, აღარ ეკითხებოდა თავის თავს, ათი წლის შემდეგ ვეყვარები თუ არაო? რაღაც შინაგანი ხმა ჯიუტად უმტკიცებდა, ათი წლის შემდეგ ან მარტო იქნები, ან როცესთანო. იგი ამოდ ებრძოდა თავის გაორებულ გრძნობას და მეტი სინაზით ევსებოდა გული სიმონისადმი: „ჩემი მსხვერპლი, ჩემი საყვარელი მსხვერპლი, ჩემი პატარა სიმონი!“ პირველად თავის სიცოცხლეში ტკებოდა იმ შემზარავი სინარულით — გიყვარდეს ადამიანი, რომელსაც სულ მალე უცილობლად დასტანჯავ!

ეს „უცილობლობა“ და მისი შედეგები შიშს ჰგვრიდა პოლს: ერთ მშვენიერ დღეს ხომ ჰკითხავდა სიმონი — დაჩაგრულს ჰქონდა ამის უფლება — „რატომ მარჩიე როცე? რითი მაჯობა მაგ გულგრილმა ხებრემ, განა მე ყოველდღე არ გთავაზობდი ჩემს დიდ სიყვარულს?“ როგორ აეხსნა სიმონისათვის, რას ნიშნავდა მისთვის როცე; პოლი ვერ იტყოდა როცეზე „ის“, როცე „ჩვენ“ იყო ყოველთვის, თავისი და როცეს ცხოვრების გათიშვა შეუძლებლად მიაჩნდა. რატომ? თვითონაც არ იცოდა. იქნებ იმიტომ, რომ მათი სიყვარულის შესანარჩუნებლად ამ ექვს წელიწადში იმდენი ტანჯვა გადაიტანა, იმდენი ძალა დახარჯა, რომ ბოლოს და ბოლოს ბედნიერებაზე ძვირფასი გახდა მისთვის?! ან იქნებ იმიტომ, რომ პოლი ამაყი იყო და ვერ შერიგებოდა იმ აზრს, ეს ტანჯვა ამოდ იყოო. და რაკი ამდენი ტკივილი გადაიტანა, რაკი როცე აირჩია ამ ტანჯვაწამებაში საწვრთნელად, ყოველივე ამან სიამაყე გაუათკეცა?! ასე იყო თუ ისე, როცე მუდამ ხელიდან უსხლტებოდა და მასთან ჭიდილი პოლის ცხოვრების აზრი გამხდარიყო.

მაგრამ პოლი არ იყო ბრძოლისთვის გაჩენილი, ამას ზოგჯერ კიდევ ახსენებდა საკუთარ თავს, როცა სიმონს აბრეშუმით თმაზე ეფერებოდა. მასაც ისევე სრიალ-სრიალით შეეძლო გაეგლო ეს ცხოვრება, როგორც მისი ხელი

დასრიალებდა სიმონის კულულებზე. ამასვე ეჩურჩულებოდა სიმონს. სანამ დაიძინებდნენ, ორივე დიდხანს იწვა სიბნელეში, ხელიხელჩაკიდებულნი, და ჩურჩულებდნენ. ზოგჯერ პოლს სულელური შეგრძნება იპყრობდა, ასე ეგონა, გვერდით სკოლის შეგობარი გოგო მიწევს, ორივენი თოთხმეტი წლისა ვართ და ზმანებებით სავსე ჩაბნელებულ საძინებელში ეჩურჩულებთ. სიმონი უცეცებაში მოჰყავდა ამ იღუმალ აღსარებებს და თვითონაც ხმადაბლა ელაპარაკებოდა.

— პო, როგორ შოიქცეოდი?

— მარკთან, ჩემს ქმართან დავრჩებოდი. ბოლოს და ბოლოს იგი ძალიან სასიამოვნო და უაქიზი ბუნების კაცი იყო... ძალიან მდიდარიც... მე კი მინდოდა მეცადა...

პოლს უნდოდა სიმონისათვის აეხსნა, როგორ მოხდა, რომ იმ დღიდან, რა დღიდანაც გადაწყვიტა იმ მძინე, დამამცირებელ სამყაროში ამოეყო თავი, ქალის სამსახური რომ ჰქვია, სადაც გამუდმებული ფუსფუსი, ფულზე ზრუნვა გჭირდება, სადაც ხან დიმილი და ხან ღუმილი გმართებს, მისი ცხოვრება სულ სხვა კალაპოტით წარედინა. სიმონი უსმენდა და ამ მოგონებებში მხოლოდ ის აინტერესებდა, რასაც მათ სიყვარულთან ჰქონდა საერთო.

— მერე?

— მერე... ცოტა ხნის შემდეგ, გგონია, მარკს ვულალატებდი, თუმცა არ ვიცო... ყოველ შემთხვევაში, ბავშვი შეყოლებოდა. ამისთვის კი ღირდა...

პოლი გაჩუმდა. სიმონი მოეხვია. მასაც უნდოდა პოლისგან შვილი, მას ყველაფერი უნდოდა. პოლს გაეცინა, ნახად აკოცა თვალებზე და განაგრძო:

— ოცი წლისას სულ სხვაგვარად მეჩვენებოდა ყველაფერი. კარგად მახსოვს, როგორ გადაწყვიტე, რადაც უნდა დაშიჯდეს, ბედნიერი ვიყო-მეთქი!

ღიახ, ეს კარგად ახსოვდა. ოცნებით შეპყრობილი დაეხეტებოდა ქუჩებში, პლაჟზე; დადიოდა და დადიოდა, ვილაცას ან რაღაცას რომ გადაყროდა. ბედნიერებისაკენ ლტოლვა მასაც ისევე ფრთას ასხამდა, როგორც წინა სამ თაობას. დაბრკოლებებიც საკმაო შეხვდა, მაგრამ მაინც ეცოტავებოდა. ახლა კი უკვე აღარ ცდილობს რაიმე დაიპყროს, ახლა ცდილობს მხოლოდ შეინარჩუნოს, მრავალი წლით შეინარჩუნოს ის ხელობა, რომელიც აქვს, ის ძამაკაცი, რომელიც ჰყავს, თუმცა ოცდაცხრამეტი წლის ქალს დიდი რწმენა არც ერთისა და არც მეორისა არ გააჩნდა!

სიმონი თვლემდა, პოლი კი ისევ ჩურჩულებდა: „გძინავს, ძვირფასო?“ ეს ორი სიტყვა მაშინვე აფხიზლებდა სიმონს, ეუბნებოდა, არაო, მაგრად ეხუტებოდა სიბნელეში, საერთო სურნელით, საერთო სითბოთი გაღაღებული და ჭრეველოდ ბედნიერი.

თ ა ვ ი XVII

ოცდამეათე სიგარეტი ნამწვავებით სავსე საფერფლეში ჩააჭრო. პირში უსიამოვნო გემო დარჩა, შეაყრყოლა და, ვინ იცის, უკვე მერამდენედ, სასთუმალთან ლამბა აანთო. ღამის სამი საათია და აქამდე თვალი ვერ მოხუჭა. ფანჯარას სწრაფად ჰკრა ხელი და გააღო. ყინულივით ჰაერი ისე მძაფრად მოხვდა სახეში და მკერდზე, ფანჯარა მაშინვე მიხურა; შუბლი მინას მიაღო, თითქოსდა

სიცივის „დანახვა“ სურსო. მაგრამ უკაცრიელი ქუჩის ცქერა მოსწყინდა. სარკეში საკუთარი თავი შეათვალიერა და მაშინვე თვალი მოარიდა. ცუდად გამოიყურებოდა. მაგიდიდან ისევ აიღო „გოლუაზის“ კოლოფი, სიგარეტები ანგა-რიშშიუცემლად ჩაიღო პირში, მაგრამ იმწამსვე მაგიდაზე მიაგდო. აღარ მოსწონდა ეს უნებური მოძრაობები, მის თვალში რომ ოდესღაც ცხატვრებს მძულე ეშხს წარმოადგენდა, აღარც მარტოხელა მამაკაცის ჩვევები ზრისწონდა. მარტოც თამბაქოს გემო; უნდა უმკურნალოს თავს, სულ მთლად მოეშვა. მართალია, პოლთან დაშორებას ნანობდა, მაგრამ განა ამან გახადა ავად? პოლს ახლა აღბათ სძინავს იმ განებივრებული ბიჭის მკლავებში და ყველაფერი გადაივიწყა. როჟესაც შეუძლია სახლიდან გავიდეს, ვინმე დედაკაცს გადაეყაროს და გამოთვრეს! პოლს ხომ სწორედ ასეთ ადამიანად მიაჩნდა! არა, პოლი სინამდვილეში პატივს არასოდეს სცემდა როჟეს, გაუთლელ, უხეშ მამაკაცად თვლიდა, თუმცა რაც კი სიკეთე ჰქონდა, როჟემ ყველაფერი პოლს მიუძღვნა; ყველა ქალი ერთნაირია: ყველაფერს შენგან წაიღებს, ყველაფერს თავისას მოგცემს, შეუმჩნეველად სრულ ნდობას ჩაგინერგავს, მერე კი რაღაც სისულელეს მოიმიზეზებს და მიგატოვებს. განა სისულელე არაა პოლისა და სიმონის დაახლოება, სხვა რა უნდა დაერქვას! ასეა თუ ისე, ის ბიჭი ახლა პოლს ეხვევა, მის უკან გადაგდებულ თავს დაჰყურებს, მის ნაზ, ალერსს დამყოლ სხეულს დაჰყურებს... როჟე ერთბაშად შებრუნდა ოთახში, სიგარეტს მოუკიდა და ხარბად მოქაჩა; მერე ნამწვავები ბუხარში ჩაჰყარა; ცეცხლი უნდა დაანთოს! როდესაც პოლი მასთან მოდიოდა, შემოსვლისთანავე ბუხარს მიაშურებდა, ჩაცუცქდებოდა, მარჯვედ აწყობდა ნაფოტებს და ვინემ ცეცხლი არ აბრღვეილდებოდა, არ ადგებოდა. მერე უკან დაიხევდა სიბნელეში და ოთახიც გამოცოცხლდებოდა, ვარდისფერი შუქით აივსებოდა, ჩრდილები ალიცილიცდებოდა. ამ წუთში როჟესთვის ვანსაკუთრებით სასურველი იყო პოლი და არც მალავდა. რამდენი ხანია პოლი არ მოსულა? აღბათ ორი თუ სამი წელი იქნება. ჩვეულებრივ როჟე დადიოდა მასთან: ასე უფრო ხელსაყრელი იყო მისთვის, იცოდა, პოლი მუდამ ელოდა.

საფერფლე ისევ ხელში ეჭირა. მერე დაუვარდა, იატაკზე გაგორდა, მაგრამ არ გატყდა. როჟეს კი რატომღაც უნდოდა გატეხილიყო, ხელში აღარ სჭეროდა ეს უსულგულო საგანი, უნდოდა ოთახი ნატეხებით, ნაშხვრევეებით ავსებულყო! მაგრამ საფერფლე არ გატყდა; საფერფლე მხოლოდ რომანებსა და კინოში ტყდება. აი, ძვირფასი ბროლი რომ ყოფილიყო, როგორიც პოლს ბლომად აქვს ბინაში, სხვა ამბავია. ამ ჩვეულებრივ, უნივერსალურ ძალაშიაში ნაყიდ საფერფლეს კი რა გატეხდა! რამდენი ლამაზი ნივთი გაუტეხა პოლს, მაგრამ მას ერთხელაც არ დასცდენია საყვედური, პირიქით, მუდამ გულიანად იცინოდა; უკანასკნელად ულაშაზესი ბროლის ჭიქა დაუმსხვრია, შიგ ჩასხმული ვისკი უჩვეულს ოქროსფრად ლივლივებდა. სხვათა შორის, ყველაფერი ლამაზად გამოიყურებოდა იმ ბინაში, სადაც როჟე მასპინძლად და ბატონ-პატრონად გრძნობდა თავს. იქ ყველაფერი პარმონიული, ფაქიზი და დამამშვიდებელი იყო. ასე ეგონა, მუდამ ძნელად შორდებოდა იქაურობას, მაშინაც კი, როცა პოლის სახლიდან სახეტილოდ მიდიოდა ღამით. ახლა კი ზის მარტო შინ და ამოდ ბრაზობს საფერფლეზე, რად არ დაიმსხვრაო. როჟე დაწვა, სინათლე ჩააქრო, ცალი ხელი მკერდზე დაიდო და სანამ ჩაეძინებოდა, საკუთარ თავს გამოუტყდა უბედური ვარო.

თ ა ვ ი XVIII



ერთ საღამოს რესტორნის კარებში შეეჩხენენ ერთმანეთს: სამივემ ერთდროულად გაითამაშა პარიზული ბალეტისთვის ჩვეული ესოდენ კლასიკური და უაზრო სცენა: ქალი თავის დაკვრით მიესალმა მამაკაცს, ვის მკერდზეც არაერთხელ აღმოხდენია ოხვრა და კვნესა და არაერთხელ ჩასძინებია! მამაკაცი დაბნევით მიესალმა, ხოლო სიმონმა წამით თვალი თვალში გაუყარა და, დიდი სურვილის მიუხედავად, არ გაურტყამს. ისინი ერთმანეთის მოშორებით შემოუსხდნენ მაგიდებს. პოლმა ისე შეუკვეთა სადილი, თავი არ აუღია. რესტორნის პატრონისა და პოლის ზოგიერთი ნაცნობისთვის ეს გახლდათ ჩვეულებრივი სცენა. სიმონმა მტკიცედ მოითხოვა სასბელი. მეორე მაგიდასთან როყე თავის თანამესუფრე ქალს ეკითხებოდა, რომელი კოკტეილი გირჩევნიათო. პოლმა, როგორც იქნა, თავი აიღო, სიმონს გაუღიმა და როყესკენ გააპარა თვალი: მას კვლავაც უყვარს ეს კაცი! როგორც კი როყე შესასვლელში დაინახა, მისთვის ჩვეული გაბლენძილი იერით მომავალი, უმაღლეს გაიფიქრა და ამ ფიქრმა მწარედ უჩხვლიტა გულში. იგი თითქოს ხანგრძლივი ძილისგან გამოთხიზლდა. როყემაც გახედა პოლს, შეეცადა გაეღიმა, მაგრამ წამსვე პირზე შეაცივდა ღიმილი.

— რას დალევთ? — ჰკითხა სიმონმა პოლს, — თეთრ ღვინოს?

— სიამოვნებით.

პოლი დაყურებდა საკუთარ ხელებს, ლამაზად გაშლილ სუფრას, სიმონის სახელოს თავის შიშველ მკლავთან. მან ერთბაშად გადაჰკრა ღვინო. სიმონი მისთვის ჩვეული გატაცებით ვეღარ ლაპარაკობდა, თითქოს რაღაცას ელოდა პოლისა და როყესგან. მაინც რას? ნუთუ პოლს შეეძლო ამდგარიყო, სიმონისთვის პატიება ეთხოვა, მერე დარბაზი გადაესერა, როყესთან მისულიყო და ეთქვა: „გეყოფა, შინ წავიდეთ!“ არა, ასე არ ხდება. თუმცა მათ ასაქმი გონივრული და რომანტიკული განა რა ხდება!

სადილის შემდეგ საცეკვაოდ წამოდგნენ. სიმონთან ცეკვისას პოლი თვალს არ აშორებდა როყეს, რომელსაც წელზე ხელი მოეხვია სანდომიანი შავგვრემანი ქალისთვის, ამგვრად მართლაც სანდომიანი ქალისთვის და აცეკვებდა. როგორც ყოველთვის, ახლაც მოუქნელად დააბოტებდა როყე. სიმონი კარგად ცეკვავდა, თვალმილულული, მოქნილი და წერწეტა, თან ღიღიხებდა და პოლიც სიამოვნებით აყოლებდა ფეხს. სწორედ ამ დროს მისი შიშველი მკლავი როყეს ხელს შეეხო. პოლმა თვალები გაახილა, ერთმანეთს შეხედეს. „როყე!“, „პოლ!“ — გაიფიქრა თითოეულმა, თავიანთ მეწყვილეთა მხრებს ამოფარებულებმა. ორკესტრი ნელა უკრავდა თითქმის ურიტმო მელოდიას. ათიოდე სანტიმეტრის დაშორებით უყურებდნენ ერთმანეთს, არც გაუღიმიათ, არც გამომეტყველება შეცვლიათ, თითქოსდა არც იცნობდნენ ერთმანეთს. მერე ერთბაშად როყემ ხელი მოაშორა შავგვრემანი ქალის წელს, პოლის მკლავს მიუახლოვა, ფრთხილად მოეფერა თითებზე და ისეთი ვედრება აღებეჭდა სახეზე, პოლმა თვალები დახუჭა. სიმონი შემოტრიალდა და მათაც ერთმანეთი თვალთავან დაჰკარგეს.

იმ ღამით სიმონი არ გაიკარა, დაღლილობა მოიმიზეზა. არა, დაღლილი არ იყო. ლოგინში დიდხანს იწვა თვალღია, უკვე იცოდა, რაც მოხდებოდა, იცოდა,

სხვა გამოსავალი არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. იწვა სიბნელეში ბედს მორჩილი და ყელში რაღაც უჭერდა. შუალამისას წამოდგა, სახტუმრო ოთახში გავიდა, სადაც სიმონს დივანზე ეძინა. საწოლი ოთახიდან ორიბად შემოჭრილ შუქზე პოლი დასცქეროდა ჭაბუკს, უსმენდა მის სუნთქვას, ხედავდა სიმონის კისერზე გაჩენილ საყვარელ ფოსოს. დივანზე მის საკუთარ სახალგაზრდობას ეძინა. როგორც კი სიმონმა სინათლისკენ მოაბრუნა თავი და დაიკვხესა, პოლი მაშინვე გაერიდა, ვერ გაბედა დალაპარაკებოდა.

მეორე დღით როჟეს დებეშა დახვდა კანტორაში: „უნდა გნახო. ასე აღარ შეიძლება გაგრძელდეს. დამირეკე!“ პოლმა დაურეკა. შეთანხმდნენ, სალამოს ექვს საათზე შეხვედროდნენ ერთმანეთს. მაგრამ ათი წუთის შემდეგ როჟე უკვე მასთან იყო. ეს ვეებერთელა კაცი დაბნეული იდგა ამ ქალთა სამფლობელოში. პოლი მიუახლოვდა, მერე სალონში გაიყვანა, სადაც დაწნული, ოქროცურვილი სკამები იდგა: კონსმარული ინტერიერი! მხოლოდ აქ შეათვალიერა როჟე. პო, ნამდვილად როჟე იყო. როჟემ ნაბიჯი გადადგა მისკენ, ორივე ხელი ძხრებზე დაადო, ჩაახველა—მაშასადამე, ძალიან ღელავდა — და წაიღულღულა:

— შენ არ იცი, რა უბედური ვიყავი!

— მეც! — პოლს საკუთარი ნათქვამი მოესმა, როჟეს მკერდს აეკრა და ატირდა. ამ ერთი სიტყვის გამო გულში პატიება შესთხოვა სიმონს.

როჟე ლოყით შეეხო მის თმას:

— სუ! სუ! ნუ ტირი, — უაჩროდ იმეორებდა იგი.

— მე ვეცადე... — მობოდიშებით წამოიწყო პოლმა, — მე მართლა ვეცადე...

მერე მიხვდა, როჟესთვის კი არა, სიმონისთვის უნდა ეთქვა ეს სიტყვები, და სულ დაიბნა. თურმე მუდამ ფხიზლად უნდა იყო, თურმე არ შეიძლება ერთსა და იმავე ადამიანს უთხრა ყველაფერი. სახეგაქცევებულს ისევ ჩამოსდიოდა ცრემლები. როჟე დუმდა.

— თქვი რამე! — ხმადაბლა შეევედრა პოლი.

— მე ისე მარტო ვიყავი! ბევრი ვიშორე. დაჯექი, აპა, ჩემი ცხვირსახოცი. ახლავე ყველაფერს აგიხსნი!

და აუხსნა კიდევ. უთხრა, რომ ქალი არ შეიძლება მარტო დატოვო, რომ იგი დაუდევრად მოიქცა და რაც მოხდა, ყველაფერი მისი ბრალია. იგი არ ბრაზობს პოლის დაუფიქრებელ საქციელზე. ამაზე ლაპარაკი აღარ ღირს. პოლი ეთანხმებოდა, „პო, პო, როჟე!“ უხდოდა მთელი ხმით ეტირა და თან სიცილსაც ვერ იკავებდა. ივნოსავდა ესოდენ ნაცნობ სუნს, თამბაქოს სუნს და გრძნობდა, გადარჩა. გადარჩა და... დაიღუპა.

* * *

ათი დღის შემდეგ სიმონი უკანასკნელად იყო პოლის ბინაში.

— აი, ეს გავიწყდება! — უთხრა პოლმა.

და ორი პალსტუხი ისე გაუწოდა, არ შეუხედავს. გრძნობდა, ძალია თანდათან ეცლებოდა. მთელი ორი საათი ეხმარებოდა ბარგის ჩალაგებაში ამ შეყვარებულ, მოუწესრიგებელ ბიჭს. ყოველ კუთხეში სიმონის სანთებელა, სიმონის წიგნები, სიმონის ფეხსაცმელი ეყარა. სიმონს არაფერი უთქვამს. ვაჟკაცურად ეტირა თავი, ამაჲს თვითონვე გრძნობდა და ლამის სული ეხუთებოდა.

— კმარა! — თქვა ბოლოს, — დანარჩენი შეკარე ქალს ჩაუტანეთ.

პოლმა არაფერი უპასუხა. სიმონმა თვალი მოავლო იქაურობას. „უკანასკნელად! უკანასკნელად!“ — შთააგონებდა თავის თავს, მაგრამ ~~ფერხტენზი~~ გვეწყო, მთელი ტანი უცახცახებდა.

— მე არასოდეს დამავიწყდება... — თქვა პოლმა და ახედა.

— არც მე, მაგრამ საქმე ეს არ არის, ეს არ არის...

დააპირა მწუხარებისგან დაღრეჯილი სახე ქალისკენ მიებრუნებინა, მაგრამ წაბარბაცდა. პოლმა ორივე ხელი შეაშველა, კვლავაც მხარში ამოუდგა მწუხარებაში, ისევე როგორც ბედნიერებისას ედგა გვერდით. პოლს ლამის შეშურდა ასეთი მძაფრი, ასეთი ლამაზი მწუხარება, ასეთი დიდებული ტკივილი, რასაც თვითონ ველარასოდეს განიცდიდა. სიმონი ერთბაშად მოწყდა პოლს და ისე გავარდა ოთახიდან. ბარგის წაღება არ გახსენებია. პოლი გამოეკიდა, მოაჯირზე გადაიხარა და ჩასძახა:

— სიმონ! სიმონ! — და თვითონაც არ იცოდა, რატომ დაუმატა: — სიმონ, მე უკვე დავბერდი... დავბერდი...

სიმონს არ გაუგონია. თვალებში ცრემლჩამდგარი ჩარბოდა კიბეზე. ჩარბოდა, როგორც ბედნიერი ადამიანი: იგი ოცდახუთი წლისა იყო. პოლმა წყნარად მიხურა კარი და ზურგით მიეყრდნო.

რვა საათზე ტელეფონის ზარი გაისმა. სანამ ყურმილს აიღებდა, უკვე იცოდა, რასაც გაიგონებდა.

— მაპატიე, — ეუბნებოდა როჟე, — საქმიან სადილზე მეჩქარება, გვიან მოვალ, თუკი, რა თქმა უნდა...



ფრანგული კოეზია



ფრანგულიდან თარგმნა ბიორბი ლოლაკაშვილი

რამონ კენო

კოეზიის ხელოვნება

ბურჯად აიღეთ სიტყვა
კერაზე შედგით იგი
გონება ერთი ბეწო
სიწრფის ნამსხვრევი დიდი
რალაც თრიოდ ვარსკვლავი
ცოტა წიწაკა თუნდაც

და ოსტატობის ქურაში
აწრთეთ ძალიან დიდხანს

ახლა კი წერეთ
ოღონდ
ჯერ დაიბადეთ მგოსნად



რენე შარი

კოეტები

ბოთლთა წყვილიადში
უწიგნურთა მოწყენილობა
და მეუტლეთა
მჭკუნვარება შეუცნობელი
და ღრმა ღარნაკში
ჩაყრილი ფული
ვრდემლის პატარა ნაფხე
ცხოვრობს
პოეტი მწიარი
მარხილი ამა წუთისოფლისა





ჟან კოკტო

* *

და იგალობე ღამით
ნუ გაექცევი მეტად
სიმართლათაში ნაშობთ
მონღვინებებს და აჩრდილთ
და რომ შესაძლო იყოს

ჭვრეტა საკუთარ თავის
ისე ვით სხვები გვხედავს
ვადამდის ამ მხრებს შუა
ჩვენ განგვგმირავდა ელდა

* *

და ზოგჯერ ღამით
უსიურ ტყეში
გზასაცდენილი თვალს
ჭკიდებს მგზავრი

მხიარულ შუქს და
გამხნელებული
ეშმას სახლისკენ
შიიწევს ჯიქურ

□

ანდრე ფრენო

უსიყვარულოდ

არ ეშინია სიყვარულს ჩემი,
როცა სიცოცხლის მისხალს და მისხალს
მეტყვის — შივართმევე უტყვად.
ოდონდ მყოვარჩამ შევსთხოვ
მქონდეს წყალობა მისი.

წარსული

წისქვილი,
თავთა, მარცვალთა
მივიწყებული საფარი.

თბილისი,
21 მარტი, 1954

ა ლ თ ე შ ა



დააბინავეთ თქვენ მჭვირ თვალებში
მჭრქალად მბრწყინავი ეს საიდუმლო.
ფრიად შავია გვემა,
ხოლო ცა ღხენის ცრუმლებით სავსე
მარად თქვენს შუბლქვეშ ფხიზლობს.

კ ვ ა მ ლ ი

ვით საკვამურთან კვამლი
ისე შეერწყა ცხოვრებას ყოველი წამი.
ვით მზე გადუვლის ვგლებს,
ვითარცა ჩორთით მავალი ცხენი
ისე გაგვირბის ცხოვრება ჩვენი.

ო, უბედობაჲ ჩემო, ო, უბედობაჲ ტკბილო,
ოი, ცხოვრებაჲ ჩემო, მიფრთხილდებოდი ძლიერ,
უნდა მოგტაცო დილის თქროდდაფერილ ლაქვარდს,
ისე ვით ნამსა ცისას ჩვენ გამოვძალავთ ზენარს,
ბედნიერია სუნთქვა,
მურცხალთა ფრთონა ცაში.

REQUIESCAT

სიცოცხლის აღსასრული, სიკვდილი არის სიკვდილის.
უკანასკნელი ნაბიჯი და შორჩა ყოველი.
არაარსობის ბაგეთა შორის
ის იდუმალი ძახილი ინთქება სწრაფად.



მაქს შაკობი

ფ რ თ ე ბ ი ს პ ი ს ი

აჰა, ჩამოცურდა დილაკი ჩემი მკერდიდან და ვერ შევნიშნე.
ისე ვით კლდეთა შუა მდგომარე, მუზღვაურებით სავსე გემი
დაიძვრება და ეს ვერ ააზვირთებს ზღვას, და ვერ შეიგრძნობს
დედამიწა ამ ახალს თავგადასავალს.
აჰა, ესერა გადმოცურდა ჩემი კიბელას მკერდიდან ახალი
პოემა და ვერ შევნიშნე.

ჟეშმარიტი დალუპვა



ახალგაზრდობას, მეგონა კეთილი სულები და ფერიები მფარველობდნენ, მწყალობდნენ. შეურაცხყოფდა ვიეთნიმე, მეგონა ჩემდა საკეთილდღეოდ კარნახობდა მას ჩემივე მფარველი სული. სინამდვილემ და ვაებამ ამ მოედნის მომღერლად მაქციეს და თვალნი ამიხილნეს — მიტოვებული ვყოფილვარ ღმერთებისაგან.

ო, სულნო კეთილნო და ფერიებო! უკუ მიბრუნეთ ზმანებანი ჩემი!

რომანი

სხვა რამ არად მიმაჩნდა, უბრალო პირველი სართულის გარდა: კუმპეში, აივანზე გადმოშფერილი ორი დაბალი ფანჯარა. კოლეჯიდან დაბრუნების ჟამს თვალს ვაცეცებდით ფანჯარებისაკენ. ერთხელ, ოინისათვის დაგვესაჯეს, მელანი გადმომასხეს პალტოზე. რა ბოროტებაა — იისფერი მარცვლები! მაჯაში წავავლე დამნაშავეს და გადმოვათრიე თქმითი პენუარში გამოწყობილი ქალი. ის ქალი შემდგომ ჩემი მეუღლე უნდა გამხდარიყო.

ჩვენი პროვინციის მოხსამული ცხოვრება

- გადაიშალა საათი შენი, საშლელით.
- გადაიშალა ოცნება შენი, საშლელით.
- გადაიშალა მარეკთ ბილიკი, საშლელით.
- გადაიშალა ნაოჭი შენი, საშლელით.
- გაშიშვლებულა ჰა, ნილაბი ჩვენი ტანჯვისა.



შპპ პრეპერი

* *

უარვეყოფ რაც ვიცი იმასაც
და ვიცი რომ ისიც არ ვიცი
უცილოდ უარვეყოფ რასაც

ან რარიგ ვირწმუნო სიკვდილი
თუკი მოკვდები ოდეს

* *



ქართული
ბიბლიოთეკა

როს გამოცხადდა ომი შაშინვე
ჩემს სიზამაცეს დავავლე
ხელი
და დაფკალ ასე

თ ა ი გ უ ლ ი

თქვი რას უკეთებ პატარა ქალო
ამ ახალმოჭრილ ყვავილებს ნეტავ
შენ რას უკეთებ ყმაწვილო ქალო
ამ ყულგამომშრალ ყვავილებს ნეტავ
შენ რას უკეთებ ღამაზო ქალო
ამ ყვავილნარებს რომლებიც ჭკნება
შენ ვითარ წყალობ ჭადარა ქალო
ყვავილთ რომლებიც უღმერთოდ კვდება

მოფული მძლეველს

* *

კაცი და ქალი
შეპყურებენ ერთურთს
მღუმარედ
თუმც არც ერთი და არც

მეორე
არ არის ჩუმად
მაინც არ ესმით არაფერი
ერთმანეთისა



როგარ ღუნოსი

1936

მიუკაკუნე
არ პასუხობენ
მიუკაკუნე
არვინ არ აღებს
მაშ შეამტვრიე
და დაინახავ
გზა რომ ხსნილია

ცარიელია აგერ ეს სახლი
და შესაძლოა
უჭირველად მასში შეღწევა
ასევე ხდება სიყვარულშიაც და
ცხოვრებაშიც...
განა ყოველთვის

ტრისტან ტცარა



შეგვიანებით ამოწვერილო
და ნაჩქარევად ჩასულო
მზეო მთრთოლვარევ
ბოტირელიზე შელაპარაკე

VII

მე ვამბობ ისე ვითარცა ვხედავ
მე ვჭვრეტ ხმასავით
მე ვიღებ ისე ვითარცა ვაძლევ
ო ასეთია ცხოვრება ჩემი

ქვეყნად არავის მოვალე არ ვარ
მაგრამ სუყველას მოვალედ ვრჩები

XI

დასაბამითგან აღსასრულამდე
მივიწვევთ მარად
და ფურცელ-ფურცელ
იცვლებიან პეიზაჟები
და აი შეხეთ ახლო ვართ უკვე
აპა მოვედით



ფილიპ სუპო

სუთი ძმა

როცა სბილოებს საბუჭური ექნებათ მხრებზე
და მაგისტრატებს ესურებათ თავზე ქუდები,
ლოკოკინები იქცევიან ზანტ აქლემებად,
და ლიქიორი მატლებს ექნებათ,
საწყალ ხელოსანს — ავტომობილი,
ჩვენ მაშინ ვეტყვით მადლობას უფალს!



ბილვიკი



ის რთდი იყო
ფრთა ფრინველისა

ეს ფრიალებდა
ფოთოლი ქარზე

თუმც იმ დღეს ქარი
სულაც არ ქროდა

. . .

გმადლობ თ ზღვათ
ჩვენ რომ არ გვგავხარ
ჩვენ მეთცნებეთ
შეუძლებელზე

სიმშვიდუმე

. . .

ჩიტის ჩიჩასვში
ერთგულება ჩაბუდებულა
იმ მომავალი გაზაფხულისა

. . .

ზოგჯერ შეცნია
შაშვსაც
ისიც სულდგმული გახლავთ
რომელიც სითბოს ელის
და დაყიალობს ცაში
ასე ბედკრული დასტურ

რადგან გალობის მიღმა
უნდობელია
სივრცე

რადიარე კიკლინი

ბერტრანი და ბიმი



მოდხრობა

ინგლისურიდან თარგმნა ზურაბან გეგაზაშვილმა

ეს ამბავი რკინის ვეებერთელა ყაფაზში დამწყვედულმა ორანგუტანგმა გაახსენა ჩემს თანამგზავრს. აუტანელი სიცხით გათანგული, სულის შემსუთავი ღამე იდგა. მე და ჰანს ბრეიტმანმა, აყლაყულდა გერმანელმა, ჩვეხი ლოგინები წამოვიკიდეთ და გემის კიჩოზე გადავბარგდით, იმ იმედით, რომ პირქარი ოდნავ მაინც გაგვაგრილებდა.

გალიას როცა ჩავუარეთ, ორანგუტანგი სწორედ მაშინ წამოდგა ფეხზე და ბრდღვინვა დაიწყო. იგი მაღლის არქიპელაგზე გაებათ მახეში და ახლა ინგლისში მიყავდათ, რათა თითო შილინგად ფრეენებინათ ხალხისათვის. ოთხი დღე ბობოქრობდა, ღმუოდა, აჯანჯლარებდა რკინის გალიის მსხვილ ძელებს და კინალამ ლასკარი¹ შემოაკვდა, რომელიც მის საბყრობილეს დაუდევრად მიახლოებოდა. — შენ, ეი, ლამაზო, ცოტა სპილინი² რომ შეგყროდა, ურიგო არ იქნებოდა. — თქვა ჰანს ბრეიტმანმა და გალიასთან შეჩერდა. — შენს არსებაში უზარმაზარი, დაუოკებელი და მოუმთავრებელი ველური სული ბობოქრობს...

ორანგუტანგმა რკინის გისოსებს შორის გამოყო ხელი. ვინ იფიქრებდა, რომ იგი მოულოდნელად, პიტონივით აძგერებდა ბრეიტმანს თავის ბანჯგვლიან თათს გულზე და თხელი აბრეშუმის პერანგის გულისპირს ჩამოახევდა. ჰანსს წარბიც არ შესტოკებია ისე დაიხია უკან, მაშველ ნავთან ჩამოკიდებულ ბანანების კონას მისწვდა, ერთი ცალი მოაწყვიტა და ვითომც აქ არაფერიაო, მის გაფცქვნას მიპყო ხელი.

— ...ველური სტიქია, ქაოსი, — განაგრძო მან, ბანანი გაფცქვნა და გალი-

¹ ინდოელი მეზღვაური ინდურ გემზე.

² ზღვის ავადმყოფობა.

ამი გამომწყვდეულ ქაჯს გაუწოდა, რომელიც პერანგის ნახევს ნაკუნ-ნაკუნ გლეჯდა.

ლოგინები ჭერახებივით მიყრილ მძინარე ლასკარებს შორის გავიშალეთ და დავწექით.

ირგვლივ მაზუთივით შავად ალაპლაპებული ოკეანე გადამსრული ტყვის ცხვირთან ტალღები ცეცხლის ენებივით ეხვეოდნენ ერთმანეთს, ტრიალ-ბზრიალით მისრიალებდნენ უკან და წყვდიადში ინთქმებოდნენ. რამოდენიმე მილის იქით ავდარი იდგა. ჩაშავებულ ზეცის ფონზე ელვა გაიკლავნა. სიცხითა და მაიმუნის სუნით შეღონებული გემის ძროხა დროდადრო შეშფოთებით ზმუოდა. კაპიტნის ბოგურიდან მევახტეც, ყოველ საათში ერთხელ, თითქმის ისეთივე ზმუილით იძლეოდა კურსის ნიშანს. გემის ძრავების გუგუნი გარკვევით ისმოდა, ხოლო ზღვაში გადამყრელი ამწეს უღრიალი ქაოტურად იჭრებოდა გაბმულ, დაგუდულ ხმაურში. ჰანსმა სიგარას მოუკიდა. ამას, ბუნებრივია საუბარი მოჰყვა. ჰანსს რბილი, ზღვის მოქცევასავით დამამშვიდებელი ხმა ჰქონდა. იგი ერთობ განსწავლული, ცხოვრებაში გამოცდილი კაცი იყო, რადგან მთელი სიცოცხლე მოგზაურობასა და ნადირობაში გაეტარებინა. ხან ეთნოლოგიურ ნიმუშებს აგროვებდა, ხან გუგულის კაბას ეძებდა გერმანელი თუ ამერიკელი კოლექციონერებისათვის. თვალს ვადევნებდი მისი სიგარის დანაკლებულ ბოლოს, რომელიც ხან გაღვივდებოდა, ხოლო ხან ისევ მიილეოდა, იმისდა მიხედვით, თუ როდის წამოიწყებდა ჰანსი ლაპარაკს და როდის დაამთავრებდა სათქმელს. ასე ვუყურებდი, სანამ ძილმა არ წამართვა თავი.

ორანგუტანგის ღმუილმა გამომაფხიზლა. ალბათ გუნგლების ლალი ცხოვრების ბუნდოვანმა სიზმარმა თუ აუმღვრია გუნება, რადგან ისე დაუწყოა გალიის ძელებს ჯანჯლარი და ისე აღრიალდა, როგორც მხოლოდ სულებს თუ ძალუძთ სალხინებელში.

— ახლა ეგ გარეთ რომ გამოუშვა და ისეთ ანდერძს აგვიგებს, რომ ბევრი აღარაფერი დარჩება ჩვენგან. — ხანტად წარმოსთქვა ჰანსმა. — ისე კი ურიგოდ არა ხავის. მთლად დააფრინა ოფოფები! აბა, მიყურეთ როგორ ჩავაკმენდინო ხმა...

ჰანსმა ისე ოსტატურად წაუსისინა გველივით, რომ დაფეთებული კინალამ ფეხზე წამოვეარდი. ეს მომაკვდინებელი ხმა ჩხრიალა გველივით გასრიალდა გემბანზე. ძელების ჯანჯლარი შეწყდა. ელდანაკრავმა ორანგუტანგმა ღრიალი შეწყვიტა და შიშისაგან აცახცახდა.

— თავხარი დაეცა, — თქვა ჰანსმა. — ეს ხრიკი მოგან-ტანჯონში ვისწავლე, როცა ბერლინელების დაკვეთით პატარა მაიმუნებზე ვნადირობდი. გველის გარდა მაიმუნებისა ყველა ცხოველს ეშინია და ერიდება. პოდა, მონადირეები გველივით უსისინებენ. ჰიპნოზის მსგავსი რამ ემართებათ და მაშინვე თვინიერდებიან. ასეთია საერთოდ მაიმუნთა მოდგმის ფსიქიკის თავისებურება. ხომ არ დაგეძინათ? ერთ ისეთ ამბავს მოგიყვებით, რომ იქნებ არც კი დაიჯეროთ.

— ქვეყანაზე არ არსებობს ისეთი ამბავი, რომლის დაჯერებაც არ შემეძლოს.

— ეგ კარგია, როცა ადამიანებისა გჯერათ. მაშ ასე, სამოცდაცხრამეტ თუ ოთხმოციან წლებში, არქიპელაგის კუნძულებზე, პატარა მაიმუნებზე ვნადირობდი. აი, იქით, — ჰანსმა სადღაც ახალი გვინეის მხარეს, სამხრეთით ჩა-

მოწოლილ წყვედიადისაგან ჭაიშვირა ხელი. — ცოცხალი წითელი ეშმაკების დაჭერა მერჩივნა იმ პატარა მაიმუნების ბადეში გაბმას. დაიჭერ და ან თითებს დაგაკვნეტავენ, ან ნოსტალგიისაგან დაიხოცებიან. იმიტომ, რომ თითქოს ადამიანის მოუმთავრებელი სული აქვთ განვითარების შუა სტადიაზე. შუჩერებული და უამრავი ველური ინსტინქტი...

იქ დაახლოებით ერთ წლამდე დავყავი. ამ ხნის განმავლობაში ერთი შესანიშნავი ყმაწვილკაცი გავიცანი. ერთვებით ფრანგი იყო, გვარად ბერტრანი, და რაც მთავარია, ძვალ-რბილში გამჯდარი ნატურალისტი გახლდათ. ბორბტი გნები ამბობდნენ, კატორღიდანაა გამოქცეულიო, მაგრამ ამას ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა. ჩემთვის ისიც კმაროდა, რომ იგი ნატურალისტი იყო. ყველა ტყიურს ბაძავდა, — რომელ მხეცსაც გნებაეთ, იმას მოუხმობდა და ისინიც გამოდიოდნენ მის ძახილზე. ვეუბნებოდი ხოლმე, რომ ფრანცისკ ასირიელი ხარ-მეთქი სამყაროს ახალ გარდაქმნაში, ის კი სიცილით მპასუხობდა, — ჯერ თევზებისთვის არ მიქადაგიაო.

პოდა, აი, ამ კაცს, მხეცების მომთვინირებელთა მეფეს, შინ სწორედ ისეთივე ალქაჯი ჰყავდა, როგორიც იმ გალიაშია გამომწყვდეული — ვეებერთელა ორანგუტანგი, რომელსაც ყველა სიკეთესთან ერთად, თავი ადამიანად წარმოედგინა. ბერტრანს იგი სულ პატარა ეპოვა ტყეში და მას შემდეგ ის იყო მისი ბავშვიც, ძმაც და ყველა უსჯამოვნების სათავეც. ბერტრანს იგი დიდ პატივში ჰყავდა: მას საკუთარი ოთახი ჰქონდა, გალია კი არა, ოთახი! ზეწარგადაფარებული საწოლიც გააჩნდა, რაზედაც ბატონკაცურად იძინებდა ან ნებერობდა ხოლმე. დილაობით აბრძანდებოდა, სიგარას გააბოლებდა და ბერტრანთან ერთად ისაუზმებდა. შუადღისას მასთანვე ისადილებდა, სალამოთი კი ხელკავს გამოსდებდა და სასეირნოდ დაბრძანდებოდა. დალაზვროს ეშმაკმა, ის კი არადა, თუ ბერტრანი წამეხუმრებოდა, ორანგუტანგი სავარძელში ჩაეფლობოდა და გულიანად ახითხითდებოდა ხოლმე. ეს პირდაპირ ამაზრზენი სანახაობა იყო! გარწმუნებთ, ის მხეცი კი არა, ადამიანი იყო, რომელიც ბერტრანს თავისებურად ელაპარაკებოდა და ბერტრანსაც გაეგებოდა მისი. ასეთი რამ სხვას რომ მოეყოლა ჩემთვის, არ დავუჯერებდი, მაგრამ რასაც ახლა ვეუბნებით, ყველაფერი ჩემი თვალთა მაქვს ნანახი და ჩემი ყურით მოსმენილი. მე ყოველთვის თავაზიანად მექცეოდა, მაგრამ თუ ბერტრანს დიდი ხნით გავუბამდი საუბარს და მას უყურადღებოდ დავტოვებდი, მაშინ ეს ვეებერთელა, შავი სატანა ჩვილივით ამიტატებდა თავისი უზარმაზარი, ბანჯგელიანი თათებით და სხვაგან გადამსვამდა. არა, ის მხეცი კი არა, ნამდვილად ადამიანი იყო. მე ეს ადრევე ვიგრძენი, ბერტრანიც შესანიშნავად ხვდებოდა ყველაფერს. ბიმის კი, — ასე ერქვა ორანგუტანგს, — ძალღურ ეშვებში სიგარაგაჩრილ და ლურჯღრძილებიან ბიმის, ძალიან კარგად გაეგებოდა ყველაფერი.

არქიპელაგის კუნძულებზე ერთ წელს დავყავი. ხან მაიმუნებს დავდევი, ხან პეპლებს ვიჭერდი, ხან კი გუგულის კაბას ვეძებდი. ერთხელ ბერტრანმა როგორღაც მითხრა, — ცოლს ვირთავო. კარგი გოგონა გაეცნო და მკითხა, შენ რას მირჩევო? რა უნდა მეთქვა, მე ხომ არ მომყავდა ქალი; მოკლედ, ბერტრანმა მოუხშირა თავის საცოლესთან სიარულს. იგი ნახევრად ფრანგი იყო და ძალიან კობტა ქალიშვილი გახლდათ... ასანთი ვაქვთ? სიგარა ჩამიქრა. ნამდვილად ისეთი ლამაზი იყო, თვალს ვერ მოსწყვეტდა კაცი. ბერტრანს ერთი კი ვუთხარი:

— ბიძის რას უპირებ? მე რომ ასეთ დღეს მაყრის, კატის კნუტივით გადამათრევს ხოლმე სხვაგან, თუ სიტყვა გამიგრძელდა, შენ ცოლს რაღას უზამს?.. სულ ნაკუნ-ნაკუნ დაგლეჯს! იცოდე, მერე გვიან არ იყოს თითზე კბენანი. შენს ადგილას, ბერტრან, ქორწილში ცოლს ბიძის ფიტულს მივართმევდი (ამ დროისათვის მაიმუნთა ზნე-ჩვეულებებსა თუ ხასიათს — შესახებ უკვე ცოტაოდენი რამ გამეგებოდა).

— მოკვლა? — მკითხა ბერტრანმა.

— ჩემი რომ ყოფილიყო, დიდი ხანია სულს გავაფრთხოებინებდი, — ვუბასუხებ მე.

უცებ კეფაზე ვიდაცამ თითები მომითათუნა. ეს ბიძი იყო. გელაპარაკებით, თითებით იგი მეტყველებდა. ეს ყრუ-მუნჯთა სრული ანბანი იყო. მან ბანჯგვლიანი თათი ყელზე მომხვია, ნიკაპი ამიწია და პირდაპირ თვალებში ჩამხედა, რათა დარწმუნებულიყო, ისევე კარგად თუ მესმოდა მისი, როგორც მან გაიგო ჩემი ნათქვამი. ბიძი კარგად მიხვდა, რასაც ვურჩევდი ბერტრანს.

— უუ, უმადურო ტევტონო! — წამოიძახა ბერტრანმა. — ხედავ როგორ გეფერება, ლამის სულში ჩაგიძვრეს და შენ კი მაგის მოკვლას მიჩინებ!

„მოფერება“ მოფერებად დარჩეს, მაგრამ მე მაშინვე მივხვდი, რომ ბიძი სამუდამო მტრად გადავიკიდე. მისმა თითებმა, ჩემს კეფაზე, სიკვდილი მიწინასწარმეტყველეს. ბიძის მეორედ რომ შევხვდი, ქამარზე რევოლვერი მეკიდა. მან თათით მოსინჯა იარაღი, მე ბუდე გავუხსენი, რათა შეჩვენებინა, რომ გატენილი იყო. ბიძის ნანახი ჰქონდა, როგორ კლავდნენ მაიმუნებს ტყეში და ყველაფერს მიმიხვდა.

ერთი სიტყვით, ბერტრანმა მოიყვანა ცოლი და შარშანდელი თოვლივით მიივიწყა ბიძი. ეულად დარჩენილი, სანახევროდ კაცის სულშთაბერილი მხეცი კი გიჟივით დაჰქროდა ზღვის სანაპიროზე. ერთხელ თვალი მოგვარი, ხეზე ახტა, ვეებერთელა ტოტი მოტეხა და იმდენ ხანს ურტყა ქვიშას, სანამ სამარესავეით ორმომ ფართედ არ დაალო პირი.

— ახლავე მოკალი ბიძი! ეუთხარი ბერტრანს. — ეჭვიანობისაგან მთლად გაცოფდა!

— არავინ არ გაცოფებულა. შენ არხეინად ბრძანდებოდე. მაგას ჩემი ცოლი უყვარს და ყველაფერს უჯერებს კიდევ. უნდა გაყურებინა, როგორ მიართმევს ხოლმე ქოშებს! — ბერტრანმა ჩაიციხა და მეორე ოთახში თავის ცოლს გახედა. იგი მართლაც ძალიან კოხტა ქალი იყო.

— მაშ შენ გგონია, რომ მაიმუნთა სულს იცნობ? — არ ვიშლიდი ჩემსას. — კერძოდ, აი, იმ სატანისას, ქვიშაზე ცოფებს რომ ყრის, იმიტომ რომ მას ვითომდა ელაპარაკები? მე შენ გეუბნები: დაბრუნდება თუ არა შინ, მაშინვე მოკალი! თვალებში კარგი არაფრის მომასწავებელი, ავი ალი უკრთის, რაც მხოლოდ ერთ რამეს გვიქადის, — სიკვდილს, ბერტრან, სიკვდილს! იცოდე, მერე გვიანლა იქნება თავში ხელის ცემა!

ბიძი დაბრუნდა, მაგრამ ის ბოროტი ალი აღარ უკრთოდა თვალებში. ვერაგულად, ო, რა ვერაგულად ჰქონდა მიჩქმალული. იმ თავმოკატუნებულმა ჯოჯოხეთის მაშხალამ ქოშებიც კი მიუტანა ქალს. ისე ეფოლორცებოდა, რომ სულ ხელში უკვდებოდა.

— ჰანს, ხუთუ ბიმი შენ ამ სამ თვეში უკეთ გაიცანი, ვიდრე მე თორმეტ წელიწადში? — მომიბრუნდა ბერტრანი. — განა შეილი მამას დანას ჩასცემს? მერედა, მე შეილივით არ გამოვხარდე იგი? ძალიან გთხოვ, ყველაფერს დაგეგმე და ნურც მე გამაგონებ და ნურც ჩემს ცოლს.

მეორე დღეს ბერტრანმა სახლში გამომიარა, კოლექციების ყუთებს ვკრავდი და ხელი წამახმარა. ცოლი ბიმისთან ერთად ბაღში დაეტოვებინა. გულმა რეჩხი მიყო, ყუთებს თავი დავანებე და ბერტრანს ვუთხარი:

— წავიდეთ თქვენთან, დავლიოთ რამე.

— წავიდეთ, მაგრამ შენ რომ სასმელს პირს არ აკარებ? — სიცილით მიპასუხა ბერტრანმა.

ცოლი ბაღში აღარ დაგვხვდა. ბერტრანმა ჯერ ბიმის დაუძახა, შემდეგ ცოლს შეეხმანა, მაგრამ არაფერ არ გაგვცა პასუხი. მოკლედ, იმ არემარეზე ჩამი-ჩუმიც არ ისმოდა. მერე ბერტრანმა ცოლის საწოლი ოთახის კარზე დააკაუნა. კარი შიგნაღან იყო ჩაკეტილი. ბერტრანმა შემომხედა და სახეზე მკვდრის ფერი დაედო. კარი მხრით შევამტვრიე. ჩამოშლილ ჩაღის სახურავში დადი ხვრელი ჩანდა, საიდანაც მზე იატაკზე აფრქვევდა სხივებს. ხომ გინახავთ დახუული ქაღალდის მიყრილ-მოყრილი ნაფლეთები, ან მაგიდაზე უთავბოლოდ გაბნეული ბანქო ვისტის თამაშის დროს? აი, ისე იყო ოთახში ყველაფერი არეულ-დარეული. ბერტრანის ცოლი არსად ჩანდა, და საერთოდ იმ ოთახში არაფერს ვტყობოდა ქაღალდის სედი. იატაკი რაღაც ფაფისებური მასით იყო მოთხვრილი. ეს სისხლში შერეულ ტვიმს წააგავდა. ამის დანახვაზე ძალიან ცუდად ვიგრძენი თავი. ბერტრანმა დიდხანს უცქირა გათხუპნულ იატაკს, კედლებს, ქერში ჩამონგრეულ ხვრელს და შემდეგ სიცილი დაიწყო. იგი წყნარად ქირქილებდა და მივხვდი, რომ იგი, მაღლობა ღმერთს, ჭკუიდან შესცდა. ბერტრანი არც ტიროდა და არც ლოცულობდა. იგი უსიტყვოდ იდგა კარებში და ჩუმად იცინოდა. ბოლოს მობრეცილი ღიმილით თქვა:

— ჩემი ცოლი ამ ოთახში ჩაიკეტა. ბიმიმ კი სახურავი ჩამოანგრია. ამას არ უნდა ლარი და ხაზი. ეს ასეა. ახლა ჩვენ ქერი შევაკეთოთ და ბიმის დაველოდოთ. ალბათ გამოჩნდება.

სრული ათი დღე მოვუნდით, სანამ ის აყრილ-დაყრილი ოთახი ისევ საცხოვრებელს დავამსგავსეთ. ერთი-ორჯერ თვალი მოვკარით, ბიმი სულ ერთი წამით გამოვარდა ტყიდან. მას მოახლოებისა ეშინოდა, კარგად იცოდა, რომ დანაშაული ჩაიდინა და არ მოესკლებოდა. მეათე დღეს, როცა ბიმი ტყიდან გამოვიდა, ბერტრანმა მას დაუძახა. იგი ტყვიანაყრავივით, კივილით გავარდა ზღვის სანაპიროზე. ხელში გრძელი, შავი თმები ეჭირა. ბერტრანმა მწარედ ჩაიციინა და თქვა:

— ეს ასეა!

ბოლოს, როგორც იქნა, ბიმი მოგვიახლოვდა. ბერტრანი დათაფლული ხმით ეძახდა, თან თავისთვის ქირქილებდა. სამი დღე ელოლიავა ბიმის, იმიტომ რომ იგი ხელის მიკარებასაც არ ანებებდა. ბოლოს და ბოლოს ბიმი ჩვენთან ერთად დაჯდა სადილად. ქაღალდის თმები ხელებზე სულ შეხმობოდა და შეწებებოდა, ბერტრანი სენგარით¹ უმასპინძლდებოდა. იმდენი დააღვევინა, სანამ მთლად არ დაათრო და გამოალენჩა. მაშინ...

¹ შაქრით, წყლითა და სანელებლებით შეზავებული წითელი ღვინოა.



ქართული
ლიტერატურა

ჰანსი გაჩუმდა და სიგარა გააბოლა.
 — რა მაშინ? — ველარ მოვითმინე მე.
 — მაშინ ბერტრანმა თავისი ხელით მოკლა იგი. მე კი ზღვის სანაპიროზე წავიდი. ეს ბერტრანის პირადი საქმე იყო. როცა დავბრუნდი, ორანგუტანგი უკვე მკვდარი ეგდო, ბერტრანი კი ზედ სულსა დაჟავდა. ოღონდ ჯერ ისევ წყნარად იცინოდა. იგი სრულად კმაყოფილი იერთ კვდებოდა. იცით, რომ ორანგუტანგი ადამიანზე შეიძლება ღონიერია? ბერტრანმა კი იგი იმ იარაღით მოკლა, რაც უფალს მოუცია ჩვენთვის. საკუთარი ხელებით დააბრჩო! აი, ეს იყო სასწაული.

სატანური ხმაური ისევ განახლდა გალიაში.

— აჰა, ჩვენ მეგობარს ველური სული აბოპოქრებს. ეი, აბა, ცოტა წყნარად!

ჰანსმა ხანგრძლივად და გესლიანად წაისისინა. უზარმაზარი მხეცი ისევ აცახცახდა თავის გალიაში.

— კი, მაგრამ, დალახვროს ეშმაკმა... რატომ არ მიეშველეთ ბერტრანს, რად მოაკვლევინეთ ბიძის? — ვკითხე ბოლოს.

— ეჰ, ჩემო კარგო, — მოქნარებით ჩაილაპარაკა ჰანსმა. — რა გითხრათ იცი?... იმ ჭერჩამონგრეული ოთახის ნახვის შემდეგ, კინაღამ მეც რაღაც აფუტებზე ჩემს თავს. ბერტრანი კი... ბერტრანი ხომ, ბოლოს და ბოლოს, იმ ქალის ქმარი იყო. აბა, ღამე მშვიდობისა.



თარგმნა აკოპანელი ბურბანიძე

შეიძლება შეგეფარო?

შაკაკუნებს ქოლგას წვიმა:

— კაკ-კუკ, კაკ-კუკ...

შეიძლება შეგეფარო?

— არა, შენთვის არ მცალია,
დამეხსენი, მეგობარო.

შაკაკუნებს კრამიტს წვიმა:

— კაკ-კუკ, კაკ-კუკ...

შეიძლება შეგეფარო?

— არა, შენთვის არ მცალია,
დამეხსენი, მეგობარო.

შაკაკუნებს ნახნაფს წვიმა:

— კაკ-კუკ, კაკ-კუკ...

შეიძლება შეგეფარო?

— გამარჯობა, როგორა ხარ?
შენ გელოდი, მეგობარო.

დედი, რატომ?

— თმაში რად გაქვს თეთრი?
მიპასუხე, დედი.

— შენზე ფიქრობ, შვილო:
მყავხარ ერთადერთი.

— ბებო მეტად ფიქრობს?
თმა აქვს სულაც თეთრი.

— ეს იმიტომ, კარგო,
შვილები ჰყავს მეტი.

— დეიდას რომ არ ჰყავს,
თმა რატომ აქვს თეთრი.

— მაგან გაათეთრა,
არ ჰქონია ბედი.

ზღვაო, ზღვაო

— ზღვაო, ზღვაო, ზღვაო,
რას მარუქებ, ზღვაო?

— ათას ფერად თევზებს, —
რაღა გინდა სხვაო.

ოდონდ მაღლი ჰქენი,
ჩქარა გაიზარდე,

უფრო მეტი გემი
მოიტანე ზღვამდე.

— ცაო, ცაო, ცაო,
რას მარუქებ, ცაო?

— მზეს, თოვლსა და წვიმას, —
რაღა გინდა სხვაო.

ოდონდ მაღლი ჰქენი
ჩქარა გაიზარდე,
მეტი რაკეტებით
ამოსტყუორცნე ცამდე.

— მამა, მამა, მამა,
რას მარუქებ, მამა?

— დედამიწას ფერადს,
ცოტა არის განა?

სულ შენია, შვილო:
მიწა მოხასხასე,

ზღვა — გემებით სავსე,
ცა — სინათლით სავსე.





მხატვარი ავთანდილ ვერტაგაძე

ტექსტ კალასი

ხელოვნების სიყვარულში

თბილისი
ბიბლიოთეკა

მოთხრობა

ესტონურიდან თარგმნა აპირან კალაქიძე



თანამედროვე ესტონელი მწერალი ტექსტ კალასი დაიბადა 1943 წ. ქ. ტალინში. პროზაული ნაწარმოებების პირველი ნიმუშები გამოაქვეყნა 1958 წ. დღეისათვის მწერალი რამდენიმე წიგნის ავტორია. 1978 წლიდან ფ. ტუგლასის პრემიის ლაურეატია.

ტ. კალასის კალამს ეკუთვნის რამდენიმე რომანი, მოთხრობა, პიესები, კრიტიკული წერილები, თარგმანები. მ. პაუსთან ერთად თარგმნა თ. იოსელიანის პიესა „ჩანამ ურემი გადაბრუნდება“, რომელიც წარმატებით დაიდგა ტარტუს ვახუშინეს სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. 1976 წელს მწერალმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ჩვენს მიერ ესტონურ ენაზე თარგმნილ „ქართული ხალხური იუმორის“ ვალკე წიგნად გამოცემის საქმეში.

ტექსტ კალასის მოთხრობებში ღირსულ იუმორისტული განწყობილებები ჭარბობს, მისი პერსონაჟები უშიშრად ქალაქელი ინტელიგენციის წარმომადგენლებია. ისინი ხშირად ხელმოცარულ და განსხვავებულ ადამიანებად წარმოგვიდგებიან.

ტ. კალასი ქართულ ენაზე იბეჭდება პირველად.

მთარგმნელი ს. ა. ბ. ა. ნ.

ღლით პანი ამღერდა.

ამხანაგს თადარიგი დაეჭირა და სანოვაციის საყიდლად უთენია წახელიყო. დრო გადიოდა. ამხანაგი არ ჩანდა. მალაზია აღზათ შორს არისო, ვაიფიქრა პანმა და მოიწყინა. სევდა მოეძალა, თან თითქოს სინდისის ქენჯნასაც გრძნობდა. ამაოების ხალველს რომ გაქცეოდა (ჩვეულებისამებრ ასეთ წუთებში, სხვაა არაფერს ელოდა), საჩქაროდ წამოდგა, ხელ-პირი დაიბანა, სიგარეტს მოუკიდა და სახელოსნო გულგრილად შეათვალიერა. ამხანაგის არც ერთი ტილო არ მოსწონდა. არც ალღელებდა, არც ახალისებდა, ის კი არადა, აღშფოთებდა და ზიზღსაც კი არ ჰგვრიდა. ფანჯრის რაფაზე სიგარეტი ჩააქრო და ხმას თანდათან აუმაღლა:

„ოცლის ფანტელი
ხელის გულზე
ისე მადნება ააა...“



ხესტიან სახელოსნოში საგრძნობლად ციოდა. კედლებზე უსწორმასწოროდ გაკრული შპალერი ვილაცას აქა-იქ მოეფხრინა. შობა-ახალიწესი მავისტრალზე აგურით, ცემენტითა და ქვიშით დატვირთული მანქანები მიგრუნებდა.

პანი მეორე სართულის ფანჯარასთან იდგა და ადრეული გაზაფხულის მოჭუფრულ დილას დაღონებული გაპყურებდა. ელექტროსადგურთან ოციოდე სატვირთო მანქანა შეჯგუფულიყო, მძღოლებს კაბინის კარი გამოეღოთ და ხელებს იქნევდნენ, ყვიროდნენ, ვილაცას აგინებდნენ... შორს, ფიჭვების მეჩხერი ტყის ფონზე კუბიკებივით მოჩანდა ახალი საცხოვრებელი მასივის ცხრასართულიანი შენობები.

სახელოსნოში საღებავის, ხაში ტილოსი, შხა სუპისა, მტვრისა და ეშმაკ-მა იცის, კიდევ რისი სუნი არ იდგა. კოპებშეკრული პანი კიდევ უფხო ხმამალლა მღეროდა.

როგორც აქნა, ამხანაგი დაბრუნდა. მოშვებული წვერი და გრძელი თმა ქარში ისე გასჩეჩოდა, სასაცილო სახანაგვი იყო.

— გაზეთები ჯერაც არ მოუტანიათ, — თქვა მან.

— ივარეთ რა ამბებია? თოვს, წვიმს თუ დარია? — ჰკითხა პანმა.

— ფანჯარასთან დგახარ და გაიხედე, რას მეკითხები! — უთხრა ცოტა გაღიზიანებულმა ამხანაგმა, მაგრამ როგორც კი პანის გულუბრყვილო მზერა დაიჭირა, ძაშინვე მოლბა, — ქარყინგაა, დასწყევლოს ეშმაკმა!

მერე ჩანთა გახსნა და მორყეულ მაგიდაზე, საღებავებსა და ფუნჯებს შორის პური, ძეხვი, ყველი და თევზის კონსერვი დააღაგა.

— გემღერება და მღერი, ხომ? — გაეცინა ამხანაგს და სუფრის გაწყობას შეუდგა.

— სიმღერა გულს ამხიარულებს! უებარი წამალია! — უპასუხა პანმა და გადაიხარხარა. ამ თითქოს და უბრალო ნათქვამმა მაინც თავისი გაიტანა, სახელოსნოში თითქოს სითბომ და სიმყუდროვემ დაისადგურა. — ახლა ამას ჩანთიდან ამოლაგებული რამდენიმე ბოთლი ლუდიც დავუმატოთ და...

— არა, ღმერთმანი! — წამოიძახა პანმა და საღებავებით გათითხნილ ქიქებში ჩამოსხმულ ლუდს გაბრწყინებული თვალები მიაპყრო. მერე თეთრ ქაფს სული შეუბერა, ქიქა ორი ყლუპით გამოსცალა და ისევ გადაიხარხარა.

ამხანაგს სახეზე დაბნეულობის გარდა ახლადგათენებულ დღეზე ფიქრის კვალი აჩნდა: დაუმთავრებელი სამუშაო, გადაუდებელი საქმეები, ათასი წვრილმანი... ახლა სულაც არ ჰგავდა იმ მთვრალ ქარაფშუტას, წუხელის ფეხებზე რომ ეკიდა ყველაფერი... ძეხვისა და ყველის ბუტერბროდები გაამზადა და მადიანად შეუდგა ჭამას.

— არა, ღმერთმანი! შენისთანა ბედნიერი მეორე არ დადის ამ ქვეყანაზე! გაქვს საკუთარი სახელოსნო, სკამი, მაგიდა... — წამოიწყა პანმა.

— კო? — თითქოს ფიქრებიდან გამოერკვაო, გამოეხმაურა ამხანაგი.

— მომღერალი!.. მომღერალი უნდა გამოვსულიყავი! ბედი უნდა ყველაფერს! რას მიყურებ? ვტყუი? რომ გკითხოს კაცმა, იტყვო, კარუზო გჯობიაო. უბრალოდ, კარუზო ჩემზე უფრო სახელგანთქმულია და მეტი არაფერი!

იცინის ამხანაგი. იცინის პანი და გამობერილი მუცელი ერთიანად უთიმ-
თიმებს, თან ამხანაგს საჩვენებელი თითით მკერდზე უღიჭინებს, რაც იმის
უტყუარი ნიშანია, რომ პანი კარგ გუნებაზეა.

— რას იხამ, — ამბობს ამხანაგი, — რახან გემღერება, ^{ერაყუნული} ~~მოდელი~~ ~~ღეშღე-~~
რე, რამდენიც გუნებოს.

— აბა რა გეგონა?! მომღერალი უნდა გამოვსულიყავი, მომღერალი.
თუმცა რა გესმის ხელოვნებისა. ხელოვნება ისაა, რასაც შენისთანები საერ-
თოდ ვერას უგებენ... დამისხი ლუდი და ჩემგან მადლობას ნუ ელი. რამდენ-
ჯერ უნდა გითხრა, წმინდაწყლის დილექტანტი ხარ-მეტქი, და სხვა არა-
ფერია... მე კი ვიმღერებ! ჩემი ხმის პატრონმა, ერთ მშვენიერ დღეს, მთელი
ხმით რომ შემოვძახო, შენი ქეციანი სახელოსნოს კედლები ფანჯრებიანად
ჩამოინგრევა! მთელი ქალაქის დიასახლისები აქეთ გამოეშურებიან — რა ამ-
ბავია, რა მოხდა, ვინმე ხომ არ მოჰკლეს... ან სადმე ვისიმე სიდედრი ხომ არ
გაგაპასებულაო. თუმცა რას გელაპარაკები! — ამხანაგი უგერგილოდ იცი-
ნის, — ან თითქოს ვინმე ორთქლმაგაღას იპარაუდა, ორთქლმაგალი კი „მი-შვე-
ლეთო!“ აკივლდა... — როგორც იქნა დაასრულა სიცილით ჩაბჭირებულმა
პანმა. — თუმცა, კაცმა რომ თქვას, რას გერჩი, დამე გამათევინე და იგერ,
ლუდითაც მიმასპინძლები, — უცებ საქმიანი სახე მიიღო პანმა, — ღმერთის
წყალობით კიდევ შემოგრჩნენ ძმაკაცები და იმათი დახმარებით გაგაქვს თავი,
თორემ რა გეშველებოდა! ისე, სიმართლე თუ გინდა, ხანდახან მეც მიმართ-
ლებს...

გვიან ღამით უცაბეკოდ დარჩენილი პანი ქალაქის უცნობ რაიონში მთე-
ლი საათი ტაქსით დასეირნობდა. საჭეს ღამაზი ქალი უჯდა... მარჯვენა არა-
თათზე ნიშნობის ორი დიდი ბეჭედი უბრწყინავდა. პანის პატივსაცემად ხან-
დახან მრიცხველსაც გამორთავდა ხოლმე. ბოლოს რომანტიკული მოგზაურობა
ამხანაგის სახელოსნოსთან დასრულდა. პანი დიდი ხანია არ სტუმრობოდა
ამხანაგს. უკანასკნელად მაშინ იყო სახელოსნოში, მოულოდნელად ამხანაგის
ცოლი რომ წამოადგათ თავს და არყით გამომთვრალი კისწისკვრით გარეთ
გამოაგდო. ამჯერად ამხანაგმა ტაქსის ფულიც გადაუხადა და გადამალული
არყითაც გაუმასპინძლდა.

— იცი, რა მითხრა იმ ღამაშემანმა? ისეთი სანდო ვინმე ჩანხარ, თუ
გინდა, დილაძდე გატარებო.

— მართლა?

— რა მართლა? — გაბრაზდა პანი, — დიახ, ასე მითხრა... საშიში კაცი
არ ჩანხარ, შენისთანები ქალებს არაფერს უშავებენ, სხვები კი რას არ კად-
რულობენ, სოგი ისე თავხედია, ნიშნობის ორი ბეჭედიც არ აკავენსო. თურმე
თავხედობის მოსაგერიებლად ატარებდა ორ ბეჭედს. მე კი ღამის ანგელო-
ხად მომნათლა. საშიში კაცი არ ჩანხარო! თურმე ისეთ შთაბეჭდილებას ვტო-
ვებ, მალე ქალების აბანოშიც შემიშვებენ...

ღრო გადიოდა. ამხანაგი თავის გადაუდებელ საქმეებზე ფიქრობდა და
შესამჩნევად დედავდა. აი, წამოდგა კიდევ. ფუნჯებისა და საღებავების მილა-
გებს შეუდგა. დაღონებული პანი ერთხანს მის ყოველ მოძრაობას თვალს
ადევნებდა, ბოლოს დამცინავად ჩაიხითხითა და დასძინა:

— არა, ღმერთმანი, ბედნიერი კაცი ხარ, გაქვს საკუთარი სახელოსნო,
მონჯილრეული შავიდა, სამოვარი და ვინ იცის, კიდევ რა ამ საუნების ფონზე

შენ იქნებ მართლაც გავხარ მხატვარს. მიდი, მიდი, მიიწევი! იქნებ ~~როსწრო~~ კიდევ რამის შექმნა, მით უმეტეს, რომ ჩემზე რვა წლით უმცროსი ხარ...

— შეიდი წლით, — შეუსწორა ამხანაგმა, — მარტში გავხდეთ უმცროსი ერთისა.

პანმა ერთხელაც ნაღვლიანად მოათვალიერა სახელოსნო.

— მოძღვრლის კარიერას უნდა გავყოლოდი... მთელი ცხოვრება კი სულ სხვა საქმეებს შევალდე. თუმცა შენ რა გესმის ხელოვნებისა... ეხ, დროა სახლში წავიდე! სამოცი-სამოცდაათი კაპიკი უნდა მასესხო.

ამხანაგმა პიჯაკის ჯიბეები საჩქაროდ მოიქექა და ხუთმანეთიანი გაუწოდა.

აჰ, ამდენი არ მინდა! ამ ხუთმანეთიანმა თითქოს შეამინაო, ერთ-ბაშად უკან დაიხია.

— აილე, აილე, — შეაძლია ამხანაგმა.

პანი ერთხანს უარზე იდგა, ბოლოს მაინც გამოართვა.

— ახლა კი ჩემი წასვლის დროა, ხომ? — ყოველ შემთხვევისათვის იკითხა.

— არა, რატომ, ოღონდ... სადაცაა ჩემი ცოლი მოვა... ხომ იცი, წუხელის სახლში არ მივსულვარ და...

გასაგებია, — ისევ საქმიანი სახე მიიღო პანმა, — მეუღლეს პატივისცემით უნდა მოეპყრა. აი, მეც როგორ მიხდა ჩემს მეუღლეს რამე მოულოდნელად ვასიამოვნო, გავახარო... პირიქით კი გამომდის! ორი ღამეა შინ არ ვყოფილვარ... ესეც შენი მოულოდნელი სიამოვნება! ფუი!...

პანი წიგნების თაროსთან მივიდა და ერთ ალბომს დაწვდა.

— აი, ეს მესმის! ამ ბიჭზე ცუდს ვერაფერს იტყვი...

— როგორ ბიჭზე?

— ლოტრიეზე გეუბნები, — უბესუხა პანმა და ალბომი შეათვალიერა.

— შენც იტყვი, რა! ისეთი გამოთქმები გაქვს, კაცი უკეთეს ვერ ენატრებას! — უსაყვედურა ამხანაგმა, ტულუს-ლოტრიეს დამახსოვრება მაინც უნდა შეგეძლოს სწორად.

— რა თქმა უნდა, — დაეთანხმა პანი და მოსწავლესავით გაიმეორა.

ტულუს-ლოტრიეა, გულუს-ლოტრიეა... ფუი! არ გამომდის და რა ვქნა.

პანი წასასვლელად მოემზადა. პალტო რომ ჩაიცვა, ისევ ალბომს წაეტანა.

— იცი რა? მოდი, ეს ალბომი ცოტა ხნით მათხოვე! ჩემს მეუღლეს მივუტახ. ეს იქნება ჩვენი საუკუნის ყველაზე საოცარი სანახაობა! წარმოიდგინე: უგზოუკვლად ხეტილის შემდეგ, როგორც იქნა, ვბრუნდები შინ და მიმაჩვენ ძვირფასი ალბომი! თანაც ჩვენი ლოტრიეა ხომ ვიღაცამ აგვწაპნა. ეხ! ცოლს რა უჭირს, მე ვიკითხო... სადილის შემდეგ მოწყენილი რომ წამოვწვები, მხოლოდ ლოტრიეის გამჭვირვალე იისფერი თუ დამამშვიდებს სულაერად, იქნებ თავში საგულისხმო აზრებიც მომივიდეს.

თუ ასეა, წაილე, უხალისოდ დაეთანხმა ამხანაგი. პანმა ჩანთა გახსნა. ეს იყო მოსწავლის ჩვეულებრივი ცარიელი ჩანთა, რომლის გასაფხვრებად ერთი ალბომიც საკმარისი აღმოჩნდა.

ნახვამდის! — პანმა ამხანაგს კართან ხელი ჩამოართვა, — ვინ იცის, იქნებ ოდესმე მეც გამოგადგე: რა არ ხდება ამ ქვეყანაზე. განსაკუთრებით ჩემი ცხოვრებაა სავსე ყოველგვარი მოულოდნელობით. ერთიც გახსოვდეს:

რაკი შენთან ვმუგობრობ, არ იფიქრო, დიდ შესატყვრად მთვლისო! წავედი.

„რა ქხას ამ საცოდინმა, არ გამოუდის ჯადოქრული შტრიხი და რა ქხას!“ გაიფიქრა პახმა კიბეებზე ჩასვლისას. „ჯადოსნური შტრიხი!“ ამ სიტყვების არსი კარგად არც ესმოდა, მაგრამ ისე მოეწონა, გულში რეფლექტურად გაიშეორა. ეს ცნება თითქოს მისი სვედიანი შინაგანი მონოლოგის მძიმე ხანობის დროს და რომელიღაც ძველთაძველ კითხვას ებასუხებოდა... დიახ, სწორედ ჯადოქრული შტრიხია, სურათს რომ იდუმალებით დაამშვენებს... შეგაჩერებს, დაგაფიქრებს, იმ იდუმალის შეცნობის სურვილით აგავსებს... თუ ვერ შეიცან, თუ ვერ ჩაწვდი, სულსა და გულს ერთიანად აგიფორიაქებს... ესეც შენი „ჯადოქრული შტრიხი!“

პანი ქუჩაში მიაბიჯებდა და გულში საზიზღარ ამინდს სწყევლიდა. ამ რაიონს თითქმის არ იცნობდა. ასე რომ, აქედან გასაღწევად მხოლოდ მთავარი მაგისტრალის იმედი ჰქონდა, რომელსაც ეს-ესაა დადგომოდა. მაგისტრალზე გამუდმებით მიქროდა სამშენებლო მასალით დატვირთული მანქანები. ხანდახან მსუბუქი მანქანაც გაიქროლებდა ხოლმე. პანს უცებ თავბრუ დაეხვა, და მაშინვე ხუთმანეთიანი გაახსენდა. ჯიბე მოიქექა და ბედად — იქვე, თითქოს ნატყრისთვალმა გაუჩინაო, თეთრი აგურით მოპირკეთებულ მაღაზიას მოჰკრა თვალი.

მინერალური წყლების სექციის მიმართ მამოსასხმელი ღვინოც იყიდებოდა. პანმა რიგი დაიკავა და თაროზე ჩამოლაგებულ ღვინის ბოთლებს გადახედა. გამყიდველი ქალი სადღაც გასულიყო. რიგში უმთავრესად სამუშაო ტანსაცმელში გამოწყობილი მშენებლები იდგნენ. ლოდინით თავგაბეზრებულებს მოთმინების ფიალა ავსებოდათ და ხმაურობდნენ.

— ამდენ ხანს ტუალეტში ყოფხა არ გამიგონია მე! — წამოიყრანტალა ვიღაცამ.

პანი ერთხანს მშვიდად იდგა, მაგრამ ბოთლების ცქერით ნერწყვი რომ მოადგა, ისიც ალაპარაკდა:

— სულ ვგრე მემართება! ვთქვათ, წავედი რესტორანში. მივუჯექი მაგიდას. ველოდები მომტანს. ველოდები, ველოდები, მაგრამ შენც არ მომიცვდე! სადაა მომტანი! ბოლოს იცით, რა ირკვევა?! — პანი სამი თითის კომპინაციას ოსტატურად აკეთებს და განაგრძობს, — თურმე ნუ იტყვიოთ და, მოულოდნელად გარდაცვლილა მზარეული! დირექტორი კიბითი ყოფილა ავად, ხოლო რესტორნის შენობაში დამლაგებლის დაუდევრობით ეს წუთია ხანძარი გაჩენილა! მე კი მეუბნებიან, დაწყნარდით, ამხანაგო, მოითმინეთ, ახლა თქვენთვის არ გეცალიაო...

ორმა გაოცებულმა მშენებელმა პანს წამით გადმოხედა, დანარჩენებს კი იოტისოდენა ყურადღებაც არ მიუქცევიათ.

ნირწამხდარ პანს კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ სწორედ ამ დროს განყიდველი ქალიც გამოჩნდა. პანი თავის რიგს მოთმინებით დაელოდა, ერთი ჭიქა ღვინო იყიდა და დამნაშავესავეთ წაილულულა:

— აი, ნახეთ, აწი თუ ვინმეს კიდევ გამოველაპარაკო...

მის ნათქვამს ამჯერადაც არავინ მიაქცია ყურადღება. პანმა ერთი ამონებნეშა და ღვინო სწრაფად გადაჰკრა.

ქუჩაში უცნაურ გუნებაზე გამოვიდა. ჯერ იყო და, ძალღვივით ყეფა მოუნდა, მერე იფიქრა, თავს ძალას დავატან და მნიშვნელოვან რასმეს ჩავი-

დენო... მოდი ვინმეს შევაგინებ... გამვლელ გოგონას შევიყვარებ, ~~ან რამეს~~
დაეხატავ! არა, ავღგები და ყველაზე საუკეთესო რომანს დავწერო, — არე-
ულად ფიქრობდა პანი.

სახიზლარი ამინდი იდგა. პანი მაგისტრალს მიუყვებოდა ^{მედიკოსების} ~~მედიკოსების~~
გაჩერებასთან სარეისო „იკაროსი“ მაშინ დაინახა, როცა მძლოლმა კა-
რი დაკეტა და აღგილიდან დაძრა. პანი ხელების ქნევით ავტობუსისა-
კენ გაიქცა. გაუმართლა — მძლოლმა ავტობუსი შეაჩერა და წინა კარი გაუ-
ლო, მაგრამ სწორედ ამ დროს თითქოს რაღაც ძალამ შეაჩერა და ავტობუსში
ასვლა გადაიფიქრა. განცვიფრებული მგზავრებისათვის ყურადღება არც მიუქ-
ცევია, ავტობუსს წინიდან მოუარა და მძლოლის კაბინასთან მიიჭრა. მძლოლი
იმდენად კეთილი აღმოჩნდა, კაბინის კარი თავაზიანად გაუღო და ჰკითხა:

— რა გნებავთ?

— უკაცრავად, ხულიგანი არ გეგონოთ, — მიახალა სირბილისაგან აქლო-
შინებულმა პანმა.

— გისმენთ, ბატონო. რა გნებავთ? — ისევ ჰკითხა მძლოლმა.

— რა და... მადლობა უნდა გადაგიხადოთ... ავტობუსი რომ გამიჩერეთ.
გმადლობთ!

— ამობრძანდით ავტობუსში. გთხოვთ! — მიმართა მძლოლმა და კაბინის
კარი მიიზიდა, მაგრამ პანი სახელურს მოეჭიდა, არ დაახეხა, გულმოსული
მგზავრები ახმაურდნენ.

— იცით, მე... მე მარტოობა შემშლის... ერთი რამე უნდა გთხოვოთ,
გულზე ხელი დაიდეთ და მითხარით, ტულუზ-ლოტრეკი თუ გიყვართ?

— შეე... არ ვიცნობ, — გულახდილად უპასუხა მძლოლმა. ეტყობა, იმ-
დენად ახალგაზრდა იყო, ჯერ კიდევ ყოფნიდა მოთმინება, ძნირებულთა უც-
ნაურობანი ბოლომდე მოესმინა.

— ერთი წუთით, ეხლავე, — პანმა ჩანთიდან ალბომი ამოიღო, — რა
კარგია, რომ თანა მაქვს, ვეთაყუა, ყურადღება მიაქციეთ ამ იისფერს... აი,
„დერიზო დიოს პორტრეტი“! ნუთუ არ მოგწონთ? ამ ნარინჯისფერ ტონზე რას
იტყვით... ეს გამომწვარი ჟანგმიწა... „მულენ რუჟი“ — აი, ესეც! „სალონი დე
მულენის ქუჩაზე“... დიახ, ეს გერმანული ალბომია. ალბათ ისიც შეამჩნიეთ,
თუ რა ფაქიზად გრძნობს მხატვარი კოლორიტს. არადა, თქვენ წარმოიდგი-
ნეთ, ეს წმინდაწყლის კრეტინი, მიუხედავად იმისა, რომ მახინჯი გახლდათ,
ქალებისათვის ჭკუას კარგავდა. გიყვარდეს, მდიდარი კი იყო, მაგრამ ნახევ-
რად. გოჟ ვან გოგთან მონმარტრზე ხეტიალს არაფერი ერჩია! სნობიზმი, ბატო-
ნო, სნობიზმი! — ენას არ აჩერებდა პანი იმის შიშით, ვაითუ მოთმინებიდან
გამოსულმა მძლოლმა ავტობუსი დაძრას და ამ უკაცრიელ მაგისტრალზე გი-
ჟივით მარტო დამტოვოსო. მძლოლი კი ამ დროს მოთმინებით ათვალეირებდა
ალბომს. პანს ახლა ცირკის თემაზე შექმნილი ფერადი რეპროდუქციები გადა-
ეშალა და მძლოლს ცხენებზე ამხედრებულ და სახეგადაღებულ კლოუნ ქალებ-
ზე მიუთითებდა.

— თუ კარგად დააკვირდებით, შეიძლება უცნაურადაც მოგეჩვენოთ,
მაგრამ ქალები მაინცადამაინც არ უყვარდა, იქნებ ეზიზღებოდა კიდევ.

— მართლა? შეუძლებელია... — გაუკვირდა მძლოლს. აღშფოთებული
მგზავრები უკვე ხმამაღლა ყვიროდნენ და მძლოლის საზურგესთან ჩადგმულ
შუშას ხელებს ურახუნებდნენ.

— იცი, რა?... მე თქვენი ავტობუსით არ წამოვალ, ახლა გამახსენდა, რომ ხუთ მანეთამდე კიდევ დამრჩა. პირდაპირ სახლში თუ მივდი, რაღა გამოვიდა! ვერ დამიხარჯავს და ეგ არის... ეს ალბომი თქვენთვის მიჩუქნია! ინებეთ.

ქალაქის ცენტრში

პანმა ალბომი მძლოლს მიაჩუქა, მერე კარიც მოუკეტა და ღმრთობის ხუთიოდე ნაბიჯით უკან დაიხია. მძლოლი დაიბნა, ერთი პირობა ალბომის უკან დაბრუნებაც სცადა, მაგრამ პანმა რომ უარის ნიშნად ხელები მაღლა შემართა, გადაიფიქრა.

— გირჩევთ, დაათვალიეროთ საღამო ხანს, წითელაბაჭურიანი ნათურის შუქზე. — მიაძახა პანმა.

— თქვენ მხატვარი ბრძანდებით, არა? — გულუბრყვილოდ იკითხა მძლოლმა.

პანმა მრავალმნიშვნელოვნად ჩაიღიმა და მოახლოებული სატვირთო მანქანა რომ არ დაჯახებოდა, ქუჩის მეორე მხარეზე გადაიბრინა. უკან რომ მოხედა, ავტობუსი დიდი სიჩქარით მიჭროდა.

ქალაქის ცენტრში აღმართული წვეტებიანი ეკლესიის კონტურები ღრუბლიანი ამინდის გამო ძლივს დაჩანდა. წვიმა რომ წამოსულიყო, პანი იმ კონტურებსაც ვერ დაინახავდა და ორიენტაციას საერთოდ დაკარგავდა.

ერთი ახალგაზრდა მეგობარი, რომელთანაც პანი დროგამოშვებით ჭადრაკს თამაშობდა, ყმაწვილთათვის დამახასიათებელი შეურაცხყოფილი იუმორით დასცინოდა — შენი ქალაქის ათას ორასი ქუჩიდან ხუთზე მეტი არ იციო. ეს ხუმრობა სიმართლეს მოკლებული არ იყო, მაგრამ პანს მაინც სწყინდა.

ტულუზ-ლოტრეკზე ფიქრმა და გულუბრყვილო მძლოლთან საუბარმა მშვენიერ გუნებაზე დააყენა. ახლა ყველაფერი ახარებდა. ფოთოლგაცვენილი ხეებიც კი პოეტურად ეჩვენებოდა.

„ფოთოლგაცვენილი ხეები... მოღრუბლული ზეცა... მალე გაზაფხული მოვა... ღმერთო, რა მშვენიერი სურათია! ახლა ფუნჯი უნდა გეჭიროს ხელში, საღებავებს არჩევდე. ერთი შტრიხი, მეორე, მესამე...“ ფიქრობდა პეიზაჟით შთაგონებული პანი და ატალახებულ ხეივანში ამაყად მიაბიჯებდა. ჩრდილოეთის ქარს სიცივესთან ერთად ზღვის სურნელებაც მოჰქონდა. მერე ჩიტის სტვენსაც მოჰკრა ყური და, შოშია იჭნებო, გაიფიქრა. ხეივნის ორივე მხარეს ძველებური ფიჭვიანი სახლები ჩამწკრივებულიყო... მოყვითალო-მომწვანო კედლები, კოხტად გამოყვანილი ფანჯრები, ეხოებში არყისა და ფიჭვის ხეები... „ყოჩაღ! აი, ეს მესმის! კარგია, რომ ჯერ კიდევ მახვილი თვალი მაქვს. ესეც რომ დაგვარგო, რაღა შეშველება?...“ ფიქრობდა პანი და თვალს არ აცილებდა ნახშირივით შავ შოშიას, რომელიც ხიდან ხეზე სტვენა-სტვენით დაფრინავდა.

პანმა შორს აღმართულ ეკლესიის წვეტს გახედა, ხომ სწორედ მივდივარო, კიდევ ერთხელ გაიფიქრა და ხეივნის დასასრულთან ახალ ქუჩას დაადგა. არც ამ ქუჩაზე გაუვლია ოდესმე... ათიოდე ნაბიჯიც არ ჰქონდა გავლილი, იქვე, ქუჩის მარჯვენა მხარეს, ძველებური პატარა ბარი შენიშნა. ამ მოულოდნელმა აღმოჩენამ ბავშვივით გაახარა და ნაბიჯს აუჩქარა.

ბარში შეიღიოდე მაგიდა, ვიწრო დახლი და უშველებელი, ყვითელი აფურით ნაშენი ღუმელი იდგა. სასიამოვნო სიმყუდროვე სუფევდა. ერთ მაგიდას რამდენიმე ხნიერი ქალი მიჯდომოდა... რა გრაფიკული სურათიდან გად-

მოსულებს ჰგვანანო, გაიფიქრა პანმა და ეღუარდ ვიირალტის * ნამუშევრები გაიხსენა. „არა, ვინა თქვა, ვიირალტი მკაცრი და აუტანელი იყო? თვალი ჰქონდა მახვილი, თვალი!“

პანმა პალტო და ქუდი საკიდზე დაკიდა, ღუმელთან ყველაზე ახლოს მდგარ მაგიდას მიუჯდა და ფიქრს მიეცა... „მშვენიერი გველეხურია! ღმერთო ჩემო, რა დასანანი იქნებოდა, აქ რომ არასოდეს მოვხვედრილიყავი... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ ყვითელ ღუმელს ვერ ვნახავდი! ამ ღუმელს ვერ დახატავ... მასზე მხოლოდ ლექსები უნდა დაწერო... დიახ, ლექსები! რატომაც არა?!“ კალნის ხელში აღებდა პანი სულაც არ გაუბოდა, პირიქით, სხვანაირად არც შეეძლო... ახლაც ქალაღის ქათქათა ხელსახოცს დასწვდა, ავტოკალამი მოიძარჯვა და, როგორც იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით დაწერა:

„ყვითელი ღუმელი
მტრედვით ღუღუნებს
ისე ვით ფიქრება
გარდახულ ზაფხულზე
ანუ იმ ქალებზე
ვინც რომ გყვარებია“.

პანმა ლექსი გადაიკითხა. მოეწონა. ვერც ვერაფერს ჩაამატებ და ვერც ვერაფერს ამოიღებო, გაიფიქრა.

ბოლოს, როგორც იქნა, მიხვდა, რომ ბარში თვითმომსახურებაა, დახლთან მივიდა და ცოტაოდენი მაგარი სასმელი შეუკვეთა.

— რა სასიამოვნო ბარი გქონიათ, — გაუღიმა პანმა ბარმენ ქალს.

ბარმენმა თავის მხრივ მაღლობა გადაუხადა და სტუმართმოყვარე ოჯახის თავაზიანი დიასახლისივით დიმილი შეაგება.

პანი მაგიდას დაუბრუნდა. მშვენიერ გუნებაზე იყო. მაინც რა ცოტა რამ ყოფნის ადაშიანს, კარგ გუნებაზე რომ დადგეს: დიმილი, ასი გრამი, ყვითელი ღუმელი... და აი, უკვე წინათგრძნობა გეჩურჩულება, რომ მტრის ჯიბრზე მალე ყველაფერი კარგად იქნება!

მეზობელ მაგიდას ორნი მიუხსდნენ. ერთი — ხნიერი, გამხდარი, მხიარული. მეორე — ახალგაზრდა, დინჯი, ნათელთვალეა. თვალებზე ეტყობოდა, შორსმჭვრეტელი და ალაღმართალი კაცი უნდა ყოფილიყო. ეტყობა, აბანოში წასასვლელად ემზადებოდნენ — ილლიაში არყის ხის ფოთოლშემხმარი შტოებისაგან შეკრული ცოცხები ამოეჩარათ. ბიჭმა დახლს მიაშურა და დასალევი შეუკვეთა.

— აბანოში წასვლაც ამას ჰქვია, — ჩაილაპარაკა პანმა.

— უკაცრავად, რა ბრძანეთ? — ჰკითხა ხანშიშესულმა.

— არაფერი, — ჩაიბურტყუნა პანმა და ჭიქა სულმოუთქმელად დაცალა.

მერე ფიქრმორეული პანი სიგარეტს აბოლებდა, ხოლო ისინი, ორნი, მუსიკაზე ბაასობდნენ. ნაწყვეტ-ნაწყვეტ ყურმოკრულიდან პანმა შეიტყო, რომ ესენი თვითმოქმედ სიმფონიურ ორკესტრში უკრავენ: ხნიერი ვიოლონჩელოზე, ახალგაზრდა კი — ფლეიტაზე.

„არა, ღმერთმანი, ამ ბოლო ხანებში მართლაც რომ მიმართლებს, — გაიფიქრა პანმა, — კაცი რომ თითქმის არაფრის გამო ამხელა ბედნიერებას იგრ-“

* ვ. ვიირალტი (1898—1954) — ესტონელი მხატვარი.

ძნობ, ბედი გწყალობს, აბა რა?! არა, ჩემმა ძმემ, ვადასარევიას... ვიოლონჩე--
ლო, ფლეიტა, ბარი და ეს ყვეთელი ლუმელი!”

ეს ჩემი სიძეა, — წარმოთქვა რატომღაც ხნიერმა.

— ეს კი ჩემი სიძამირია, — ჩაიციხა ახალგაზრდამ.

პანი წამოდგა, სიძე-სიძამირს თავი მდაბლად დაუკრა, ახლანდელს დაწვენილ
ლექსს ხელი დაავლო და კარისკენ გაემართა.

— მე პანი მქვია. ბავშვობიდანვე ასე მეძახიან. ბატონებო! ნება მომე-
ცით, ჩემი თქვენდამი პატივისცემის ნიშნად ეს ლექსი მოგიძღვნათ. — თქვა და
პასუხს არც დაელოდა, ლექსი მათ მაგიდაზე დადო და გასასვლელისაკენ
ჩქარი ნაბიჯით გააგრძელა გზა.

— მოითინეთ, თქვენ... უკაცრავად, თქვენ პოეტი ბრძანდებით? — გვერ-
დით, კედლის უხარმახარ სარკეში, პანმა ბარძენი ქალის კეთილად მომღიმარ,
სანდომიან სახეს ჰკიდა თვალი და სარკიდანვე შეელაპარაკა:

— ჰმ! სად გაგონილა, მთელი დღე მაგიდასთან იჯდე. ფეხებზე გციოდეს
და ცხელ ყავას სვამდე. ხანდახან არც შე მაწყენდა გასეირნება, ადამიანებთან
ურთიერთობა, საუბარი... — პანმა მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა, ბარძენ
ქალს თვალი ჩაუკრა და გავიდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ, ქუჩაში გამოსულმა, ვერა და იერ გაიხსენა
ბარში დაწერილი ლექსი. „სულ ასე... — შვებისმომგვრელი სინანულით ფიქ-
რობდა. ვინ იცის, იქნებ ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი იყო... იმტვრიე ახ-
ლა თავი! არა უშავს. ხდება ხოლმე, ასეა ცხოვრება“.

...ტრამვაიდან გადმოვიდა. ქალაქის ცენტრში უამრავი ხალხი ირეოდა.
მოულოდნელად კაილოს შეეჩეხა. კაილო ოპერეტის მსახიობი იყო და რატომ-
ღაც სულ ცხვირში ლაპარაკობდა. უცნაური კაცი იყო, ყავისფერ ბერეტს არ
იცილებდა და მუდამ ერთნაირი მისალმება იცოდა.

— პანს გაუმარჯოს! ხომ ხარ მაგრად, შე ძველო! — ჰკითხა და ცერა და
შუა თითი მზიარულად გაუტკლაცუნა.

— ისე, რა, — უხალისოდ მიუგო პანმა.

— მაგრად უნდა იყო, მაგრად! ერთი ეს მითხარი, ფინანსების საქმე რო-
გორაა? ლუდი თუ არ დავლიე, თავი მისკდება, თავი და შერე რა თავი, ბა-
ტონებო!

პანი წამით ჩაფიქრდა, შერე ჯიბეები მოიქექა და ენადგაკრეფილ კაილოს
მანეთიანი მიაჩეხა.

— წუხელის ისეთი დრო გავატარე, ისეთი, რომ... იცი, რა ხალხი
იყო? — ერთმანეთზე უკეთესი ექთნები... ახლა არც ერთის სახელი არ მახ-
სოვს, მაგრამ... იტალიური ღამეები, ბატონებო... სულ მარე ლუჩიაა...

ყოჩაღ შენ!

— წამო, ბარემ ერთად გადავკრათ!

— აჰ არა! საქმეები, ძმობილო, საქმეები... — იცრუა პანმა.

„ფილანტროპი ვარ ახლა მე, აბა რა ვარ? ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაპ-
ქონდაო“, — ღიმილით გაიფიქრა მარტოდ დარჩენილმა პანმა და ძაღლთან ერთ-
თად მოსეირნე ქალს დამკინავე მხერა გააყოლა. უგზოუკვლოდ ბეტიალში
ლუდის ბარს მიადგა. აქ ნაცნობებს გადაეყარა და კარგადაც მოიღვინა.

ნაშუადღევს, დარჩენილი ფულით ყველაზე იაფფასიანი ღვინო იყიდა და
ყასბებთან წავიდა.

საყვასბოში ორნი მუშაობდნენ, აუგუსტი და ვოლდემარი. საკმაოდ ინტელიგენტური ხალხის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. პახი კარგა ხანია შათთან მეგობრობდა და ხანდახან კიდევ შეუვლიდა ხოლმე. აუგუსტი თუ ხალხს ემსახურებოდა, ვოლდემარი ამ დროს უკანა ოთახში ხორცს ჭრდოდა და ფაფა-გადაფარებულ მორგვზე ჩამომჯდარ პანს ებასებოდა.

ახლა შალახიაში შესვენება იყო და პანი სწორედ იმ უკანა ოთახისაკენ გაემართა. რაღაცის ანგარიშში გართულმა ყასბებმა პანი რომ დაინახეს, ხელები გაშალეს და ერთხმად შესძახეს:

— ბიჭოს! ამას ვის ვხედავ! პანს გაუშარჯოს!

პანმა პალტოს ჯიბიდან ღვინის ბოთლი ამოაცოცა და ეშმაკურად გაიღიმა

— აი, ყოჩაღ, პან! სწორედ ეს წუთია, დასაყოლებელს ვეახელით, ასე რომ დასაყოლებელზე ღვინო ზედგამოჭრილია...

ყასბებმა ღვინის ბოთლი დიდის ამბით შეათვალიერეს, ეტიკეტი გულდასმით ჩაიკითხეს და პანი კიდევ ერთხელ შეაქეს იმის გამო, რომ მეგობრობთან, როგორც იქნა, ხელდამშვენებული მოვიდა.

— „რუბინზე“ ამბობენ, კარგი ღვინოაო!

— მაშ! საუკეთესო ღვინოა და ძნელი საშოვარიც! — დაეთანხმა აუგუსტი ვოლდემარს, — ახლა სიმაგრე იკითხე?..

— კარგით რა, ბიჭებო, გეყოფათ... — სიცილი შეწყვიტა პანმა, — ყველაზე ცუდი ღვინო რომ არის, თქვენზე კარგად ვიცი, მაგრამ ფული რაზეც მეყო, ის ვიყიდე...

ყასბები გულიანად ხარხარებდნენ. მერე ვოლდემარმა პანს ძეხვის მოზრდილი ნაჭერი მოუთალა და მეგობრულად დაუყვავა:

— მიდი, შეუბერე. ჯერ ალბათ არც გისადილია.

პანი დაწყნარდა. ღვინოც გადაკრეს და ყველანი მასლაათის გუნებაზე დადგნენ.

— პან, რა ხდება ხელოვნებაში, ამ ბოლო დროს რა დახატე? ახალ გამოფენებში მიიღებდი მონაწილეობას...

— ფუი! რა საზიზღარი ღვინოა!... აბა, რა გითხრათ, ბიჭებო... — წამოიწყა პანმა და თვალი ჭერს გაუშტერა, — მხატვრობას შევეშვი! ამიერიდან ფუნჯს ხელში აღარ ავიღებ. სხვებმა ხატონ, ბატონო! ვისაც უხარია, იმან ხატოს! მე კი... მე თავი დამანებეთ! მორჩა!

— რას ამბობ?! მართლა?!

— ფანქრებს თუ უყიდი, ფერად ნახატებს ბავშვიც კი დახატავს. რაღა შორს წავიდე: ერთ მშვენიერ დღეს ავდექი და ჩემს ქალიშვილს ფერადი ფანქრები ვუყიდე. მორჩა! იმ დღიდან ბავშვი დავლუბე... ბიჭებო, თქვენთან დასამალი რა მაქვს — ეს ერთი ხანია ლექსებზე გადავედი. და იცით, რა?... — ეშმაკურად მომლიმარმა პანმა ვოლდემარსა და აუგუსტს საჩვენებელი თითი მკერდში ატაკა, — გინდ დაიჭერეთ, გინდ არა — ამ რამდენიმე დღის წინ ვერ მოვითმინე და რამდენიმე ლექსი ჟურნალ „ლიომინგშიც“ კი მივიტანე. ვინ იცის, იქნებ სულ მალე კიდევ დამიბეჭდონ, ჰა?!

— ერთი ლექსი ჩვენთვისაც წაგეკითხა.

— თქვენთვისაც? — პანი წამით ჩაფიქრდა, — იცით, რომელ ლექსს წაგიკითხავთ?

პანის თავში შევრად და სრულიად უმიზეზოდ გაჩნდა სიტყვა „გვირილა“. „აი, ესეავე იქნება ლექსი გვირილაზე!“ გაიფიქრა პანმა და მაშინვე დაიწყო:

„გვირილასფერა...
თეთრი გვირილა...
სიზმარეული სურნელებითა...
თეთრი გვირილა!“

გვირილაზე
სიზმარეული

- როგორია?
- ყოჩაღ, პან!

— არა, ასე წერა ნამდვილად არ შეიძლება, ბიჭებო. ასე არავინ არ წერს, მაგრამ რა ვქნა, თუ მე ჩემი საკუთარი სტილი, ხედვა, აღქმა და მსოფლშეგრძნება მაქვს! ერთი სიტყვით, თავისებურად განუმეორებელი სტილი! ახლა თქვენ იფიქრებთ, ბაქიაობსო. არა, ძმებო! გახსოვთ, რომ გიყვებოდით — ახალგაზრდობაში მოკრივე გახლდით და ერთ ისეთ ილეთს ვუღობდით, ყველას ნოკკაუტში ვავდებდით-მეთქი, იმას ხომ არ მითვლიდით ბაქიაობად. კარგი, თუ გინდა ბაქიაობა იყოს, მერე და ბაქიაობა ხომ ადამიანის სისუსტეა და არც ერთ სხვა სისუსტეზე არაფრით უარესი არ არის... ბოლოს და ბოლოს. ყველანი სიკვდილის შეილები ვართ! ასე არ არის? აბა, ერთი ქაღალდი მომაწოდეთ. ნება მომეცით, საკუთარი ლექსები და გამონათქვამები მოგიძღვნათ...

— ეს ჩვენთვის დიდი პატივი იქნებოდა, პან, — თქვენ ყასბებმა და ხორცის გასახვევი დიდი მომწვანო ქაღალდი გაუწოდეს.

პანმა ჭიქაში ჩარჩენილი ღვინო მოსვა, ქაღალდი ჩანთაზე გაშალა და ჭერისაკენ თვალაპყრობილმა თანდათან იგრძნო, რომ რაღაც დიდსა და გამჭვირვალეში იძირებოდა... ერთი სიტყვით, პანი ფილოსოფიური შემეცნების მდინარემ გაიტაცა.

აი, რა დაწერა:

„მე თავვანსა ვცემ უგუნურთ, რამეთუ ისინი უარყოფენ საკუთარ თავს, ხოლო მზერა მათი მიპყრობილია უფსკრულის მოპირდაპირე მზარისაკენ, ზე-ადამიანისაკენ! — ასე მოგახსენათ თქვენ პანმა, ქაქ, საყასბოში“,

დაფიქრდა და განაგრძო:

„იმპერატორს დრო აქვს თავზე საყრელადო, სალდათებში თავისი გზით მიდიანო! ეს მოგახსენათ თქვენ პანმა, ქაქ, საყასბოში“.

ამის შემდეგ ერთხანს გულიანად იცინა და ბოლოს მიაწერა:

„თავმოყვარეთაგან ზოგა საზიზღარი და აუტანელია. მაჩვენეთ თუნდაც ერთი კეთილისმყოფელი და გკუთამყოფელი ადამიანი! — ასე ვითხრათ თქვენ...“

— ეს ხელნაწერი თქვენთვის მიჩუქნია!

ყასბებმა პანის ხელნაწერი გულმოდგინედ ჩაიკითხეს და პირი დაადეს:

— შენ... შენ ნამდვილი მწერალი ყოფილხარ, პან!

— არა! მე მხატვარი ვარ... ამ სიტყვების ყველაზე ფართო გაგებით. გულში ერთ საინტერესო დიალოგს მოვკარი ყური. ერთმა უთხრა მეორეს: ნუ იმრიზები, თუ ჩემისთანა დილექტანტი გახდები, ყოველთვის ერთად ორას მანეთს გაინაღდებო! მე მხატვარი ვარ! მეგობრებო, ნება მომეცით სიმღერით გამოგემშვიდობოთ...

„თოვლის ფანტელი
ხელისგულზე
ისე მადნებია...“



პანი ყასბებს გულითადად გამოემშვიდობა და წავიდა. სახლში რომ დაბრუნდა, კარგა შებინდებული იყო. ლიფტში გუნება შეეცვალა. ისედაც გული აღარ მიუწევდა. უკან გამობრუნება მოუნდა, მაგრამ უკვე გვიან იყო — ლიფტი გაიღო და თავისი უფროსი ქალიშვილი დაინახა.

— როგორც იქნა, სახლს მოაგენი, ხომ?

— ასე გამოდის... — დაშნაშავესავით ჩაილაპარაკა პანმა. — დედაშენმა რაო, გაანჩხლებულია?

— არც ისე, — მხრები აიჩეჩა ევამ.

— როგორ უნდა გავიგო?

— ჩემი აზრით, დედასთვის უკვე სულერთია... — ცივად მიუგო ქალიშვილმა. ევა თეატრალური სასწავლებლის მეორე კურსის სტუდენტია და არა მარტო სხვისი — თავისი თავის წინაშეც სულ მუდამ რომელიღაც საყვარელ როლს ასრულებს. ახლანდელი ეტიუდი დაახლოებით ასე გამოიყურებოდა: თანამედროვე ინტელიგენტი გოგონა დგას ლიფტის კართან და მშვიდად ესაუბრება ხელიდან წასულ მამას. სახეზე ოდნავ შესამჩნევი ირონიული ღიმილი დასთამაშებს, ყველაფერი ეს ხდება ადრეული გაზაფხულის საზინდარი ამინდის ფონზე.

ევა ეტიუდებზე სავარჯიშოდ მიეშურება, პანი კი გრძელ დერეფანში ფეხათრევით მილასლასებს და თანდათან უახლოვდება თავისი ბინის კარს. მოთენთილია და თავი უბრუნის, უგუნებოდაა...

კარი ოდნავ შეაღო და ოთახში შეიხედა. გერდა დივანზე წამოწოლილი იყო. იქვე, ღამის ნათურის გვერდით, პანმა ვალიდოლი შენიშნა და გული შეეკუმშა.

— გერდა, აი...

— გადი აქედან! ისევ ღვინის სუნია გდის?... — სუსტი ხმით წარმოთქვა გერდამ, — გადი, ხმა არ გამაგონო, ისედაც ყელამდე ვარ შენი ლაყბობით.

ბრაზმორეულ პანს ხმა არ ამოუღია. ნაღვლიანად გაბრუნდა და პალტო გაიხადა.

— შენ კი ხარ ყელამდე, მაგრამ შე იქნებ მშია, ბატონო! — წამოიყვირა და მაშინვე ვილაცის დაყინებული მხერა იგრძნო. გვერდზე მიიხედა, სამზარეულოს კართან უმცროსი ქალიშვილი რიინა იდგა და ილიმებოდა. რიინა სამხატვრო ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი იყო. პანს იგი გამორჩეულად უყვარდა და რიინაც ყველაზე უფრო ღმობიერი იყო მის მიმართ.

— დედაშენი გაანჩხლებულია, ხომ? — ჩურჩულით ჰკითხა პანმა.

— როგორც ყოველთვის, ახლაც ამრეზილია. არა, მაინც სად დაეხეტებოდი ეს ორი დღე, შე გამოუსწორებელი დათუნია!

— იყო და არა იყო რა. იყო ერთი დათუნია. ერთხელ... — პანმა ხელი ჩაიქნია და ნაღვლიანად გაიღიმა. — სად ვიქნებოდი? დრო მიდის, ხანში შევდივარ, რამდენი საქმე მრჩება გაუკეთებელი... ჯერ კიდევ რამდენი ადგილია. სადაც ფეხი არ დამიდგამს... ამჯერად მეგობართან ეიყავი, სახელოსნოში...

გერდას ყველაფერი ესმოდა. მართალია, თვალს აკლდა, მაგრამ სამაგიეროდ სმენა ჰქონდა ისეთი, რომ ოჯახში ხუმრობით ბუკიოტს ეძახდნენ. ამ

მეტსახელის ხმარება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუ იქნებოდა მსგავსობა და მხიარულება სუფევდა.

— სახელოსნოში, ბატონო!... მეგობრებთან... დროს ატარებს! აბა, როგორ? გენიოსი მხატვარი დღე და ღამე სახელოსნოში უნდა იჯდეს! მეგობრებთან. აბა, თქვენ რა გეგონათ. შე საცოდავო ფანტაზიორო, ერთი გვეთხარო, ოდესმე რამე თუ დაგიხატავს, ბავშვს მაინც ხუ ასულელებ... აქ რას დაყუდებულხარ, შედი ჩქარა აბაზანაში! ეგ ღვინის სუნი მაინც მოიცილე, შე უბედურო!

— ტულუზ-ლოტრეკის ალბომი მომქონდა... სწორედ ისეთი, ჩვენ რომ დაგვეყარვა... — მორცხვად ჩაილაპარაკა თავსაქინდრულმა პანმა.

— ხმა ჩაიწყვიტე... „ლოტრიაკი“! — გამოაჯავრა ცოლმა.

ჩინამ სიცილი ვერ შეიკავა და საშხარულოში შევარდა.

— თუ დაგხატავს რამეო? — ხმადაბლა ჩაილაპარაკა პანმა და გერდას ოთახისაკენ გაიხედა. — ერთი ამას დამიხედეთ! იქნებ სულაც არ მსიამოვნებს, ასე რომ მელაპარაკებით!... იქ მე ფოთოლგაცვენილი ხეები ვხახე, ღრუბლიანი ცა, ნახშირივით შავი შოშია... ამის დახატვა კი არც ისე ძნელი საქმეა. საკუთარ თავზე ყველა დიდი წარმოდგენისაა. ფერად ნახატებს პატარა ბავშვებზე მშვენივრად ხატავენ! შე იქნებ პოეზია პირჩევნია... რა, არ მაქვს უფლება? ჩინა! მოულოდნელად დაუძახა პანმა ქალიშვილს, — შენს განარებას, ტილოს ნაჭერი გაქნება, ეხლავე დღევანდელი ესკიზი უნდა დავხატო. თავიდან არ გამომდის ის პეიზაჟი... ფოთოლგაცვენილი ხეები, შავი შოშია...

რა ესკიზი, მამიკო! რომელი შოშია? — ჰკითხა ჩინამ და ის იყო ტილოს მოსატანად უნდა წასულიყო, რომ მამამ თვალი ჩაუყრა და შეაჩერა. გოგონა მაშინვე მიუხვდა.

ტილო რომ არა მაქვს, მამიკო? — ხმამაღლა, დედის გასაგონად იკითხა მან, რა ექნათ?

— რას იზამ, რახან ტილო არა გაქვს, ვერ დავხატავ და ის იქნება.

— უსიტყვოდ უგებთ ერთმანეთს, ხომ? კომედიანტები ხართ მამა-შვილი, კომედიანტები! — მოისმა გერდას ხმა.

პანმა ტელევიზორი ჩართო. ეკრანი ისე აინთო, თითქოს ადრეულ გაზაფხულზე უეცრად სარკმელი გამოაღესო.

პელსინკის ტელევიზია თოჯინების თეატრს უჩვენებდა. პაწაწინა ცხოველები ციბრუტივით ტრიალებდნენ და ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ უსაცოცხლო ფიგურები დიქტორის დუნე მეტყველება მხარს ვერ უბამდა ციყვის სისხარტეს. პანს თავი ასტკივდა და მოიწყინა. როგორც კი ტელევიზორი გამორთო, გერდაც შემოვიდა და გამომწვევად გადახედა.

— გუშინ ვიღაც სათვალეებიანი ტიპი მოვიდა. შენ გეძებდა.

პანი შეკრთა. იგი ახლა იმ მოსწავლეს ჰგავდა, გაკვეთილები რომ გააცდინა და მასწავლებელმა სახლში მოაკითხა.

— კოჭლობდა? — იკითხა პანმა.

— დიახ. კოჭლობდა, ბატონო გენიოსო! მე ძალიან კარგად ვიცი, ვინცა ეს სათვალეებიანი ტიპი. უცხაურია, რატომ ამდენ ხანს არ მოგაკითხა.

ოთახში მარტოდ დარჩენილმა პანმა ისე მოიწყინა, რა ექნა, არ იცოდა. ცოტა კიდევ დაიცადა. მერე ჩუმად ჩაიკვი, დერეფანში ფეხაკრეფით გაიარა და ქუჩაში ტყვიასავით გავარდა...

მხატვართა კლუბში, როგორც ყოველთვის, ამ შაბათ საღამოსაც ცოტა ხალხი იყო. ერთ მაგიდასთან პანის ძველი ნაცნობი (ვისთანაც ხანდახან ჯადრავს თამაშობდა) და დამსახურებული არტისტი კაუგე ისხდნენ. კაუგეს პანი პირადად არ იცნობდა.

— ერთი ეს მითხარი, კაუგე შემთხვევით პედერასტი მოულოდნელად და საკმაოდ ხმაშაღლა იკითხა პანმა.

კაუგემ პანის ნათქვამი რომ გაიგონა, დამცინავი მზერა მიაპყრო, ერთხანს უყურა, უყურა და მერე ლუდის სმისაგან ტიკივით გამობერილი მუცელი აუცახცახდა, მუცელმა დილმონწყვეტილი პიჯაკი აიყოლა, ხარხარისაგან მთელი ტანით აძაგძაგებულს შეშუპებული თვალები სულ მთლად დაეხუჭა და სული რომ მოითქვა, ყველას გასაგონად განაცხადა:

— ხალხო, დააკვირდით ამ კაცს, ამ კაცს თურმე პედერასტების ეშინია! პანი სულ სხვა რეაქციას მოელოდა, ამიტომაც ცოტა არ იყოს დაიბნა.

— ყოჩაღ, კაუგე, ყოჩაღ! — შეაქო პანმა არტისტი. — მე, ძმაო, გაცნობის საკუთარი მეთოდები მაქვს. მაგალითად, გაცნობა შეურაცხყოფის მიყენების გზით! რას იტყვი, ხომ საინტერესო მეთოდია?

— ეგ მეთოდი არსად დაგეკარგოს! — ახარხარდა კაუგე, — შენ ერთი სიგარეტი შემომამდიე, ვნახოთ, ავიღებ თუ არა...

— სიგარეტი რამდენიც გენებოს, ფულის იმედი კი ნუ გექნება.

ძველმა ნაცნობმა პანს კონიაკი დაუსხა და მხარზე ხელი მოუთათუნა, პანმა კონიაკი სიამოვნებით მოსვა და ისევ კაუგეს მიუბრუნდა:

— შენ, ძმაო, არავინ მოგატყუოს, არტისტი ხარო, არავითარი მსახიობი შენა არა ხარ! სიმღერა თუ გეხერხება, მობეზარე და სიმღერაში გამეცადინებ! რას მიყურებ?! კარუზო მჯობდა?... თუმცა არა, შენგან მომღერალი არ გამოვა. შუბლი გაქვს რაღაც სხვანაირი. შენგან თუ საერთოდ რამე გამოვიდა, ისიც მხოლოდ რთვითი ბუღალტერი. ჩამოიღებ ყურზე ქიმიურ ფანქარს და იქნები შენთვის! ხა-ხა-ხა! არა, ღმერთმანი, მხოლოდ ბუღალტერი... ყურზე ქიმიური ფანქარი ძალიან დაგმშვენდება...

— რა უნდა ამ კაცს, მკერდზე თითს რატომ მიღიტინებს?! — ამჯერად გაოცება ვერ დამალა კაუგემ.

— ასეთი ჩვევა აქვს, — აუხსნა პანის ნაცნობმა, — ასე იცის, როცა კარგ გუნებაზეა.

ცუდ გუნებაზე რატომ უნდა იყოს, მშვენიერი საღამოა. კონიაკიც ბევრია. პანი ალტაცებით ლაპარაკობს თავის ლექსებზე. მერე პირობას დებს, რომ დაწერს პიესას და მეორეხარისხოვან როლს პირდება კაუგეს. მეორეხარისხოვანი როლით შეურაცხყოფილი კაუგე პროტესტს აცხადებს! იგი არამც და არამც არ ითამაშებს პანის პიესებში! „ითამაშებ!“ „არ ვითამაშებ!“ გაისმის შეძახილები. სანაძლეს ჩამოდიან ხუთი ათას მანეთზე. სიცილით ჩაბყირებულ პანის ნაცნობს მოწმედ ასახელებენ...

ის იყო პანი წასასვლელად მოემზადა, რომ მოულოდნელად მისი ყურადღება კაუგეს ფეხსაცმელებმა მიიქცია: პანმა უკან დაიხია და ისე, რომ ფეხსაცმელებისათვის თვალი არ მოუშორებია, დაჯდა.

— კაუგე, შენ, მგონი, არც იცი, რა ლამაზი და სწორხაზოვანი ფორმა აქვთ შენს ფეხსაცმელებს. ღმერთმანი, არავითარი უსულგულობა და გულქვაობა მაგ ფეხსაცმელებს არ ეტყობა, შენ რა შუაში ხარ, მე მხოლოდ შენს ფეხ-

საცმელებს ვაქვებ, თუ დაშიჯებ, ფეხსაცმელები სულის სარკვე... შენს უარყოფას შევეცადე, თორემ ფეხებს რას ვერჩი! მით უმეტეს ფეხსაცმელებთან რა ხელი მაქვს... ფეხსაცმელი არ გახლავთ პარლამენტის ფეხსაცმელს არც ტალანტის პრეტენზია აქვს, უფრო მეტიც — არ შემეკმარებოდა! არ გამლახავს! არ შემაგინებს! ასეა ეს, ახლა კი წავედი.

პანის ნაცნობმა მეზობელ მაგიდასთან ვიდაცას ავტოკალამი დაუბრუნა, უბის წიგნაკიდან რამდენიმე ფურცელი ამოხია და პანს პიჯაკის ჯიბეში ჩაუდო.

პანი ბნელ ქუჩაში მიეხეტებოდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ბინძური ტბის ფსკერზე იდგა, ხოლო შორს, ქუჩყიანი წყლის ზემოთ ძლივსღა ჩანდა მკრთალად მოციმციმე ვარსკვლავები.

ცივი ქარი ქროდა. დაღონებულ პანს ხელები ჯიბეში ჩაეწყო და მიბანცალბდა, მერე დიდი, ძველებური სახლის წინ შედგა. სივარეტს მოუკიდა, ჯიბიდან გასაღები ამოიღო და ბნელ სადარბაზოში შეაბიჯა. რამდენიმე ხნის შემდეგ პანმა პაწაწინა ოთახის კარი რის ვაი-ვაგლახით გააღო, სინათლე ჩართო, კედელზე გაბლანდულ ობობას ქსელს ხელი ჩამოჰკრა და ოთახის შუაგულში დადგმულ მაგიდას მიუჯდა. ჩემოდნიდან სახატავი ქაღალდი და ფანქრები ამოიღო. ერთხანს ეცადა, რამე დაეხატა, მაგრამ არაფერი რომ არ გამოუვიდა, დაჭმუჭნილი ქაღალდებს იატაკზე დაყარა და ლექსების წერას შეუდგა. შენც არ მომიკვდე! რის ლექსები, რა ლექსების სამაგიეროდ ჯიბეში უბის წიგნაკიდან ამოხეულ ფურცლებსა და მანეთიანს წააწყდა, მაშინვე მიხვდა, ვისი ნახელავიც იქნებოდა და ფურცლები გაშალა:

„ქვეყანაზე რაც ხდება, ჩემი ბრალია. წესით თავს უნდა ვიკლავდე! აი, მაშინ დამყარდება წესრიგი... ხელოვნებაში ლოკია 'არაფრის მაქნისია... დღეს მოვიფიქრე ძლიერის სვლა! განსაკუთრებული! ყველასათვის უცნობი... სინამდვილეში მეც ამსტერდამელი მეეტლესავით ჩვეულებრივი ადამიანი ვარ... კაუბე, ჰკვიანად, თორემ მოვიდა მუშტი. მე თუ ვინმეს ვხეტქე, მტრისას! ორასი წელი რომ მომისაჯონ, მაინც გულნაკლული დარჩებიან — ასეთი დარტყმისათვის მეტი უკუთვნოდაო. მე ვარ ლუი ამსტრონგი! მე ვარ საშუალო წონის მოკრივე... მე ვარ პოეტის რამდენიმე ხნის წინათ ვაბირებდი პრევერისათვის მიმედღვნა ლექსების ციკლი, მქონდა დადებული იდეები, მაგრამ საუბედუროდ დამავიწყდა... პრევერს რომ სცოდნოდა, სადღაც, ესტონეთში არსებობს პიროვნება, რომელიც... ე. ი. მე! მე ვარ საშუალო ხარისხის ფრანგული ხაქონელი... მე ვფიქრობ... ვაკვირდები... ვაზროვნებ... პან! როცა გაიღვიძებ, ეს სტრიქონები მშვიდად გადაიკითხე. რაც მართალია, დიდი პიროვნება ყოფილხარ! თუნდაც ამის გამო უფლება გაქვს განთავისუფლდე სინდისის ქენჯნისაგან და აპატიო საკუთარ თავს ის სამწუხარო სინამდვილე, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე ტილო კი არა, არ დაგიხატავს არაფერი ისეთი, რაც ემგვანებოდა. მაგალითად, ჩვეულებრივ, უბრალო ვაშლს... შემთხვევითი და გულუბრყვილო ლექსები ქუჩა-ქუჩა ხეტიალში დააჩუქე... სიმღერა კი ხერხოდ არ იცი... ჰადრაკის სათამაშოდ მოვალ ზეგ.“

იყავი მაგრად, შენი მეგობარი“.

პანმა თვალები დახუჭა და ამოიოხრა. დერეფნიდან ფეხის ხმა მოისმა. ნაბიჯების ზმა იმდენად არითმული იყო, რომ პანი მაშინვე მიხვდა, ვინც უახლოვდებოდა მის ოთახს.



კარი გაიღო. ოთახში სათვალღიანი კაცი შემოვიდა.

— გამარჯობა! — მიეგება პანი.

— გამარჯობა! უბასუხა სათვალღიანმა და ოთახს თვალღიანმა და რემონტის გაკეთებას საშველი არ დააყენეს. მარტო დაპირება რომ შველოდეს საქმეს...

— მაშინ რა გვიტორდა. — მხარი დაუჭირა პანმა.

— გუშინწინ სად იყავი?

— პანს ხმა არ ამოუღია.

— სახლშიც კი განოგიარე... რა, უკვე იცი? მოიცა, მოიცა, შენ, მგონი, იყვე ნასვამი ხარ!

— არავითარ შემთხვევაში! მთვრალი კი არა... აი, ვმუშაობ, ხომ ხედავთ? — წანოძახა პანმა და სათვალღიანი იატაკზე დაყრილი ქაღალდებისაკენ მიახედა.

— უკანასკნელად გაყრთხილებ!

— გასაგებია, მაშინვე უბასუხა პანმა.

— მოიცა ეურნალი.

პანმა მომცროს რვეული გაუწოდა. სათვალღიანმა გადაშალა და ჩაწერა: „ობიექტი — პროფტექსასწავლებელი. ჩაუტარდა ინსტრუქტაჟი დარაჯს. 22.05. — შემოწმებულია — ხელმოწერა...“ ხელი მოაწერა და რვეული პანს დაუბრუნა.

დარაჯთა ჯგუფის კოჭლი ბრიგადირი ახლა მხოლოდ იმას ფიქრობდა, ამ ეურნალში სიმართლე რომ ჩავწერო, პანიც ხომ უხდა დაითხოვონ სამსახურიდანო. შერე და ამით რა გამოვა?! უკანასკნელ კრებაზე ხომ სწორედ სამუშაო ძალების დეხადობაზე მიუთითებდნენ... წავლენ, აბა რა იქნება! ასეთ ხელფასზე ვინ გაგინერდება! მოდი ახლა და ჩაწერე სიმართლე. ჰმ! პანს კიდევ რა უშავს, დროგამომშვებით მაინც ცხადდება. აგერ უკვე ცხრა წელია უცვლელად მუშაობს. ასეთი დარაჯები ქუჩაში არ ყრია!

— აბა, მე წავედი, გამოაცხადა ბრიგადირმა და კარისაკენ გაემართა. პანმა მორჩილად დაუჭრა თავი. კართან ბრიგადირი მობრუნდა.

— მე წავედი, მაგრამ შენ სამდვილად მთვრალი ხარ!

გრიბორი კოსინკა

კოლოტიკა



მონოგრაფია

უკრაინულიდან თარგმნა ნათელა გავაშელმა

სამი წელია, მდიდრებთან ჭიქა არ ამიწევია, რაც წელსში გავიმართე, აგერ უკვე სამი წელია და მოყვრებთან არ მიქვიფია, დღეს კი, ჩანს, ალილოობაზე უნდა წავიდე?.. რაბან არ მეშვები, მეც ავღგები და ჯიბრზე წამოვალ, ვნახო ერთი, სიმამრი და მისნაირი ჭკუისკოლოფები როგორ პოლიტიკას მიმღერებენ!..

შვაჩკა მექორწილე მაყარივით გაყინულიყო: ქუდი გვერდზე მოქცეოდა, უღვაშზე წყლის წვეთები შერჩენოდა, ხოლო ბრტყელ-ბრტყელი ხელისგულებით ისე ღონივრად დაყრდნობოდა მაგიდას, კრაქის შუქი კედელ-კედელ ფარფატებდა.

ცოლი ეტიკტიკებოდა, ურჩევდა.

— აბა, სულ მამასახლისობას ხომ არ გადაყვები, — ფრთხილი ღიმილით შეაბარა და მაგიდაზე ქალიშვილობისდროინდელი ხილაბანდი გაშალა, — მთელი ცხოვრება ხალხს ხომ არ უნდა უღრინო იმ შენი ღარიბკომელების გულისათვის... — განაგრძობდა ქალი, ღოდნაშოსფერი ხილაბანდის ბოლოებს აუთოებდა და თან შვაჩკას ფიქრიახად უშვებდა, ხომ არ გავაბრაზეო.

მუსია შვაჩკას გაეცინა:

— ო, ისევ მამაშენის მიწა გაგახსენდა! საშვილიშვილოდ დაიკარგა, მარიანა, ექვსი დესეტინა, კბილებით გამოგლიჯეს ჩემმა ღარიბკომელებმა! სამაგიეროდ, კრინტსაც ვერავინ დაძრავს, რომ მუსია შვაჩკა უკანონო პოლიტიკას ატარებს... თქვი ერთი, წამოშაძახებს ვინმე უკანონო პოლიტიკას?!

სიტყვა „პოლიტიკა“ მარიანას გულზე მოხვდა; ამ სიტყვით ახელებდნენ სოფელში მის ქმარს, რადგან „პოლიტიკას“ ხშირად იქ ჩაუერთავდა ხოლმე, სადაც სულ არ იყო საჭირო... ქალმა ხელი ჩაიჭნია:

— ემსახურე მაგათ, ემსახურე, მადლიერი კი დაგირჩა ვინმე? ნახევარი სოფელი გადაიმტვრე — ესეც სიყვითის სანაცვლო; ნუ გეშინია, ცოლ-შვილი

რომ შიმშილით გეხოცებოდა, როცა შენს კომუნასთან ერთად გასაქცვად გაგინდა საქმე, ისევ მამაჩემმა, მის სახელს ვენაცვალე, ხამის ტანსაცმელში სამი ფუთი ხორბალი მომცა...

— ოჰო, — გაეცინა მუსიას, — ამნაირი წყალობისათვის, სიმართლედ ვითხრა, ბოშასაც კი მიუჭდები სუფრასთან, არამცთუ მშობელ მამას! მართალია, შვილო? — ნახევრად ხუმრობით მიმართა უფროს ქალიშვილს, სტეპანიდკას.

— მართალია, — გოგონამ მამას კვერი დაუჭრა, თან დედას გადახედა.

— ჰმ, მართალია, — გაიმეორა მარიანამ, — რაღაც ძალიან გამოიღე თავი.

— მამას ჰგავს და იმიტომ! — მოუჭრა შეაჩკამ. სტეპანიდკამ დაიმორცხვა და დადუმდა.

მარიანა იმის თქმასაც აპირებდა, რომ სოფლის ბობოლები მარტო იმათ კი არ უღრუნდნენ, ვისაც მან მიწა მიუზომა, არამედ აქეთ, მუსია-პოლიტიკასაც ემუქრებიან; ახია, სადღაც პერეკობის მავთულხლართებს ორი თითი რომ შეატოვა და, თუ ჭკუით არ იქნება, თავსაც დაკარგავსო, მაგრამ აღარ თქვა: ისე ძალიან უნდოდა თავისიანებთან წასვლა!

— მამაჩემთან და მის სიძეებთან მაინც მოეშვი მაგ შენს პოლიტიკაზე ლაპარაკს, თორემ, ვინ იცის, საცემრადაც გაგიმეტონ, — გაათრთხილა ქმარი, თავად კი გულისფანცქალით ელოდა, რას იტყვისო.

მუსიამ ჭრაქის შუქზე აათამაშა მარცხენა ხელი, რომელზეც თითების ნაცვლად ხორცის ნაგლეჯებიღა გამოსჩროდა და მტკიცედ წარმოსთქვა:

— დაე, ნურავის დაავიწყდება, რომ პოლიტიკამ პერეკობთან მარცხენა ხელის ორი თითი დატოვა, სამაგიეროდ მარჯვენა მთელი ჩამოჰყვა, ხოლო მარჯვედ სროლაში თვით ნიკოლოზმა მისცა მედალი..

მუსიამ ხელი დაირტყა ჯიბეზე, სადაც მართლა ედო პერეკობიდან ჩამოტანილი ბრაუნინგი, ცოლს მიადახა, ცხენს შევაბამო და ეზოში გავიდა.

— ოი, ფიცხი ხარ, მუსია, ფიცხი და თავშიც გიქრის! — ჩაილაპარაკა მარიანამ და მძიმედ ამოიოხრა.

უხმოდ გადაიცვა შავი კორსეტი, კუბოკრული ქვედა კაბა და წვრილწვრილ ყვავილებდაქარგული ლამაზი კოფთა; ამ კოფთაში გამოწყობილი უნდა გენახათ იგი ოდესღაც...

დაფიქრდა მარიანა, ქალიშვილობა გაიხსენა: „ჰოი, ცხენით ვერ დაეწევი, ოქროთი ვერ იყიდი იმ წლებს...“

მერე სტეპანიდკას გადახედა — ჩუმად ჩაეღიმა: „კი, ბარე ხუთ წელიწადს კიდევ ილუღუნებს შინ, შენ კი, დედოკო, ზანდუკს მიხედე...“

— ნუ წახვალთ მაგ ალილოზე, — უამურად წარმოთქვა სტეპანიდკამ.

— როგორ შეიძლება, შვილო, ბაბუასაც ნახვა უნდა... დაგავიწყდა, პური რომ მოგვცა? — ერთხელ კიდევ გაახსენა მარიანამ.

შვილი დადუმდა. ახსოვდა იმ პურის გემო. როგორც კი ფქვილი მოიტანა (გზადაგზა დაფქვა(ც მოესწრო), არც დაუსვენია, ლავაშები გამოაცხო, მაგიდაზე დააწყო და ზედ ხაშხაშიც მოაყარა. მერე დაჭდა და ატირდა, ცრემლები აფრქვია: „ვთქვით და, უცხოებს გადაეცვალათ ხამის ქსოვილში, მაგრამ ხათესავეებმა ტანსაცმელი გამომართვეს პურის სახაცვლოდ, ვინ დაიჯერებს...“

„მაშინ დედამ დაიფიცა, — გაიხსენა გოგონამ, — მდიდრების ზღურბლზე აღარასოდეს გადაებიჯებინა...“

— თქვენ რა გიშავთ, მაგრამ მამას დაუწყებენ დაცინვას...

— კარგი ერთი, ბებრუხუნასავეით მოიგონებ რაღაცას! — გაუჩაგრდა მარიანა. — ვინ უნდა დაგვცინოს? ქეიფში, შვილო, ესეც გამხარულდები.

ზღურბლზე მუსია იდგა. ინგლისური მაუდით შემოქობილი ქურთუკი ეცვა (პერეკობიდან ჩამოტანილი, ვრანგელისდროინდელი მაზარისაგან გადაკეთებული) და ცოლს აი, რა უთხრა:

— ჩვენი პოლიტიკა ახლა ასეთია — ლარიბებს არ დასცინო, თორემ თვითონაც გალარიბდები, ხომ სწორია, მარიანა? საქმე წინ მიდის, კანტორა წერს, პეი-პოპ!

შვაჩკას უნდოდა მარიანას სიხარული თვითონაც გაეზიარებინა (თუმცა კი ვერ ხვდებოდა, რა უხაროდა ასე ძალიან მის ცოლს), მაგრამ თავი შეიკავა და ისევ სტეპანიდკას მიეფერა აბრეშუმივით მბზინვარე თმაზე: — მდიდრებთან ჩვენ რა გვესაქმება, არა, სტეპანიდკა?

— ლარიბების კანტორა ხომ წერს თქვენისთანებისთვის.

— ლარიბებს თავი დაანებე და ბრიყვულად ნუ ბრანდები! მაგას ჯობია, სწრაფად ჩაიცივა, — მოუთმენლად მიახალა მუსიამ და მარიანაც უსიტყვოდ აჩქარდა.

თავ-პირი სქელი შალით მოიფუთნა, ნამცხვარი ფუთაში გამოკრა, წუთით ბავშვებთან ჩაიმუხლა და რა დარწმუნდა, ყველაფერი გავაკეთეო, შუა ოთახში დადგა:

— დაიძინეთ, ბავშვებო, დაიძინეთ... აბა, ღმერთო, შეგვეწიე!

— უკვე შეგვეწიეთო! — გაიხუმრა შვაჩკამ და ძველი მაზარა მხრებზე მოასხა, მისი უშველებელი ჩრდილი თეთრ ღუმელს დაეცა.

— დაიძინეთ, ბავშვებო, დაიძინეთ, — გაიმეორა მარიანას სიტყვები, მარჯვენა ხელი ჯიბეზე დაიტყაპუნა და ხატადან გავიდა.

შვაჩკები ალაყაფს გასცდნენ და ვარსკვლავებით გაღალანებულ გზაზე გავიდნენ. კავებქვეშ ყინვა მძვინვარებდა და პირიდან ამონასუნთქს უსწრაფესად იტაცებდა; ცხენი ნამქერს მიარღვევდა და ხორხოშელა თოვლი მის ფლოქვთაგან ისე იფრქვეოდა, თოქოს ოქროს ქვიშა ყოფილიყოს.

მარიანა მარხილზე ბედნიერი გატრუნულიყო, იტყოდით, ქალწული უზის მხითვესო; რატომღაც ეგონა — აგერ-აგერ ეღირსებოდა ბედნიერებას, როცა მისი მდიდარი სანათესაო მუსიას უკანასკნელ მათხოვრად აღარ მოიხსენებდა. „პოლიტიკას“ აღარავინ აკადრებდა, ხოლო ბაზრობაზე შეხვედრილი დები, რომელთაც თვალეში სიხარულს შეამჩნევდით — შენ კი არ გგავართ, მდიდრები ვართო, — ოხვრას აღარ მოყვებოდნენ: ვაი, საცოდავო დაოო.

„მოიცა, ერთი-ორი წელიც გავიდეს, — ფიქრობდა მარიანა, — ჩვენც (მუსიას გულისხმობდა) დავდგებით ფეხზე...“ და თავისდაუნებურად სიამაყემ მოიცვა, ასეთი ქმარი რომ ჰყავდა.

ქალი ტკბილმა ოცნებამ წაიღო და ფიქრი ახლა ბორძიკ-ბორძიკით წარსულისაკენ გაექცა...

რა დასამაღია. მუსიას გამო, ჯერ იყო და პოლთნელი ოფიცრები სცემდნენ, მერე ბობოლეშმა დაუპირეს სოფლიდან გაძევება — ყველა უღრენდა და

ამცირებდა, მაგრამ დაბრუნდა კომუნა — ჰოდა, კეთილინებონ და დაუჩოქონ მარიანას! თითქოს აღდგომა გაუთენდა და სამყარო კიდით-კიდებდნე გაგანიერდა... ეშინოდათ კაცის, რომელმაც ღარიბკომელებს ნანატრი შიშა დაურიგა და მარიანასაც ახლა ყველა დაუტკბა — მაგრამ ხურას უკაცრავად.

— ასეთია პოლიტიკა, ძია ანდრიან, — უთხრა მუსიამ, როცა მისი ეზოდან ხარი გაჰყავდა, როცა გააკულაქა.

— შენ თვითონ ხარ პოლიტიკა და შავ ჭირზე უარესი, — ასე უბასუხა მაშინ ანდრიანმა და იმ დღიდან მუსიას სოფელში „პოლიტიკა“ დაერქვა... ანდრიანისა გზაზე გადადგომოდა ხარს, რქებში ხელი ჩაევილო და მოთქვამდა:

— მომკალით, ძაღლიშვილებო, პირუტყვს კი ეზოდან ვერ გადაიყვანთ!

— პოლიტიკაა, — გაიცინეს მუსიამ და მისმა ღარიბკომელებმა და კისერგასიებული ხარი, როგორც ეინმე პატიმარი, წინ გაიგდეს. მას შემდეგ აგერ მეოთხე წელი გავიდა, მარიანას კი არ დაეიწყებია...

„რა უცნაური ფიქრები ამეკვიატა,“ — გაივლო ქალმა გუნებაში.

— ნეტა რამ გაგაჩუმა? — შეეხმიანა მუსია ცოლს და ცხენს აღვირი დაუტლაშუნა.

სადაც ტყისპირას, ბორცვას რომ წასცდა, პირუტყვი წაბორძიკდა და მარხილიც შეატორტმანა. მერე სულ სწორ, მთვარისაგან ლურჯად დაფერილ გზაზე გავიდნენ. კავებქვეშ თოვლი ჭრაჭუნებდა, ხოლო ცხენის ფლოქვთაგან, მარიანას ასე მოეჩვენა, უცნაურზე უცნაური — ყვითელი, ლურჯი, ვერცხლისფერი ჩინჩხლები სცვიოდა. ლალად მიქროდა მუსია შვაჩკას ცხენი!

— ანდრიანზე ვფიქრობდი, — თქვა მარიანამ და ჭმრისკენ გადაიხარა, — ხომ იცი, მაძაჩემს რომ დაუმოყვრდა; ისიც იქნება ალილოობაზე, არა? — რაღაცნაირად, მორიდებულად ჰკითხა.

— ეშმაკსაც წაუღია თრივე მძახალი, — ხუმრობით შესძახა მუსიამ და კარგა ხანს არც ერთს ხმა არ ამოუღია. — სტეპანიდკამაც დაიძინა, — სოფელს რომ გასცდნენ, მაშინლა თქვა შვაჩკამ. მერე დაუმატა: — ეჰ, კი მოვდივარ, მაგრამ, აბა თქვი, როგორ უნდა ეიმხიარულო, როცა ირგვლივ ყველა გველივით ზისინებს: კომუნა ფეხს იდგამს და ღარიბები თვალს ახელენს...

შვაჩკამ თავი ველარ შეიკავა და ნათქვამს ცხრასართულიანი გინება მიაცოლა. მერე ცხენს მათრახი ფიცხად გადაჰკრა და მანაც, მძიმე ფლოქვების თქარათქურით მარხილი უსწრაფესად გააქროლა. მარიანას კრინტი არ დაუძრავს.

უკვე ფეხი შედგეს პანის მიწაზე, სადაც თოვლში ნახევრადჩაჩუმქრული, ჭერაც მოუთავებელი სახლები იდგა. ერთ მათგანს, სხვებზე უფრო იღბლიანს, წობწობა თავზე ისლი წამოეხურა. ოთახში ჭრაქისა თუ ლაშპის შუქი ისე ლიცლიცებდა, ჰა და ჰა, ჩაქრებოდა; მეორე, გზის გადაღმა დაუტნტებულ ხატას შიშველი კედლები წამოეყარა და შუშებჩაუსმელი სარკმლები უძირო ორმოებზე დაეუჩინა.

ცხენმა ანაზდად წაიბორძიკა და შემკრთალმა დაიფრუტუნა. შვაჩკამ აღვირში მოქაჩა და შეაჩერა.

მარიანა შიშით კბილს კბილზე აცემინებდა. მუსიამ დინჯად, აუჩქარებრებლად ამოაცურა ჯიბიდან რევოლვერი. ირგვლივ კი სამარისებური სიჩუმე იდგა.

ხატაში შუქი ააღდა უცებ — ერთხელ, მეორედ და უცბადვე ჩაქრა; ცხენი

ფეხმოუცვლელად იდგა და ფლოქვით თოვლს ჩიჩქნიდა... შვაჩკა ოდნავ და-
წინაღრდა და, რაღაც შავ საგანთან დახრილმა, ხმამაღლა შეჰყვირა:

— კატა იყინება! საცოდავს სახლში ვერ შეუღწევია და ახლი ალი-
ლოზე დადის!..

კაცმა გათოშალი, ოდნავ მფეთქავი, შეშინებული კატა გაყვანა მარ-
ხილთან მივიდა; ასეთი შესვედრით აღშფოთებულმა მარიანამ ჩურჩულით
წარმოთქვა:

— ახლავე გადაავდე, მოაშორე აქედან, ეტყობა, ვილაც ბოროტმა მოგ-
ვიგდო...

— აი, სულელი! — გაეცინა შვაჩკას: — რატომ უნდა გაიყინოს, ამხა-
ნაგო?..

კატა მუხლზე დაისვა, ჩაათბუნა, რევოლვერი ჯიბეში შეინახა და ცოლს
მიუბრუნდა:

— ანდრიანს ვაჩუქებ ხარის სანაცვლოდ... წარმოგიდგენია? აქამდე ვერ
მოუხელებია გაკულაყება!.. აჩუ! — შეუძახა ცხენს და მათრახი მოუქნია.

ხუტორამდე ორი ვერსილა რჩებოდა. ტრამაღზე ვარსკვლავებით მოჭე-
დილი, ფაფუკი და უნაზესი შობის ღამე იდგა.

როგორც კი ხუტორისაკენ შებრუნდნენ და მხიარული შუქით გაბღღვრი-
ალებული სარკმლები გამოჩნდა, ცხენი სწრაფ ჩოროზე გადავიდა, მარხილის
კაფები ახლახან დატოვებულ ნაკვალევზე აჭრიალდა და მხოლოდ შემხვედრი
ქარიდა ზუზუნებდა... შვაჩკა სიმაგრის სახლს უახლოვდებოდა.

უკვე გამოირკვა ნამქერში ჩაბუქული ჩალის ზვინების მუქ-ლურჯი სილღ-
ეტები; დათოვლილი ალვები ზღაპრული დარაჯებივით გარინდულიყვნენ,
ხოლო ჭირხლმოდებული გზისპირა ბაღი იასამნისდარად გადაპენტილიყო...

— ალილოობენ, — თქვა შვაჩკამ და სადავე მოზიდა.

მისმა მკვახე ხმამ მარიანა ისე შეაკრთო, თითქოს მარხილზე შეაბურთა-
ფესო; მთელი გზა ქალი მდიდარ ნათესავებთან შესვედრაზე ფიქრობდა, თან
ჭმრის რაღაცნაირი, დაუკვირვებელი ლაპარაკისა და ფიცხი ბუნების გახსენე-
ბაზეც გული უსკდებოდა...

— მუსია, — ქალმა მამის ეზოსთან შიახლოებისასლა ამოიღო ხმა, —
გვედრები, პოლიტიკაზე ნურაფის დაუწყებ კინკლაობას, აქ მაინც მოითმინე!

— რის გეშინია? — მიუბრუნდა გაცეცხლებული შვაჩკა. — ბაღლი ხომ
არა ვარ, არ ვიცოდე, სად ვილაპარაკო და სად გავჩუმდე?!

— შენ უკვე ბრახობ? — მორჩილად წარმოთქვა მარიანამ და თვალებზე
კურცხლები დაეკიდა. — გადაავდე ეს ავსული! — და უამურად წაეპოტინა მუ-
სიას მუხლზე უკვე კარგა ხნის გათოშულ საცოდავ არსებას, რომელიც კაცმა
უხმოდ მოისროლა ლილისფერ თოვლზე.

— დაგვილოცავ ალილოს? — შესძახა მარიანამ ხატადან გამოსულ მა-
ღალ კაცს.

იმ ვილაცამ მოსულები ხრინწიანი ხმით დალოცა, ჭიშკარი გააღო და რო-
ცა მუსია შვაჩკას მარხილი ჩალის ზვინებთან შედგა, დაუმატა:

— როგორ ყინავს, მუსია სტეპანოვიჩი, არა? ალილოობაზე ჩამომვლელებს
წელს ამინდში არ გაუშართლა... საბჭოთა ხელისუფლება მართლა კრძალავს
ალილოობას?..

მუსიამ უხმოდ გამოხსნა ცხენი და ზურგზე ძველი მაზარა გადაიხარა; მარიანას, ამასობაში, დედა გამოეგება:

— აღარ გვკადრულობ, შვილო, თითქოს ცხრა მთას იქით ცხოვრობდე... მთელი სანათესაო აქაა — ალილოთბენ.

მარიანა ატირდა, მაგრამ გონსმოგებულმა ცრემლი ნაჩქარევად შეიმშრალა — ახალგაზრდა ქალს დაწვები აყირმიზებოდა, თხელი ტუჩები მჭიდროდ მოეკვმა და ჯიშინ მკერდზე ყელსაბამი მძიმედ დაჰფენოდა. იდგა წინკარში და მუსიას ელოდა: ეუხერხულებოდა შინ უქმროდ შესვლა.

წმინდა დამე, დალოცვილი მწუხრი...

იმ მაღალ მთას კრძალვით თავებს ვუხრით...

ხატაში ალილო გაეჩაღებინათ; ჯერაც არ შემთვრალიყვნენ და ქალების ხმა მორცხვად გაისმოდა — ეტყობოდა, მთელი მონდომებით არავე მღეროდა. აგერ, ერთ პანგზე აწყობილი ალილო-სიმღერა „მაღალი მთა“ აუღერდა და, შეაჩვენა ზღურბლზე გადააბიჯეს თუ არა, უმაღვე შეწყდა.

— კარგია, — წარმოთქვა მარიანას მამასთან მჯდარმა ანდრიანმა, — ეს კარგია... მუსია სტეპანოვიჩი საბჭოურ ალილოს გვასწავლის!..

და ეშმაკურად გაღიმებულმა მომღერალ ქალებს თვალი ჩაუკრა; სტუმრებმა თავი კარისკენ მიაბრუნეს: ქალები მარიანას მიაშტერდნენ, ხოლო კაცებმა მუსიას შეაგებეს მკაცრი ხალაში.

— უფალმა გვიბოძა დღესასწაული, ყველას გვიბოძა, — ისე ეუბნებოდა მარიანას დედა, თითქოს ნათესავებთან ამართლებსო; მუსიას ძვირფას სიძეს ვძახდა, რათა წალაპარაკება აეცილებინა, კაბის კალთით სკამი გადაწმინდა და სიძე-ქალიშვილი სუფრასთან მიიწვია.

მაგიდაზე კერძიანი, დიდრონ-დიდრონი, მოხატული თევზები ეწყო. ხაშით მოპიპინებული ორი თევზი ხელუხლებლად იდგა, ხოლო ლიმონით შეზავებულ მოიხსფრო-ყვითელ არაყს მაგიდაზე ყველაზე საპატიო ადგილი ეჭირა.

ხატა სტუმრებით იყო სავსე; თხუთი სიძე და ოთხი ქალიშვილი, მარიანას დები, უკვე სუფრას უხსდნენ; ანდრიან კუშნირი — მამის მძახალი — სტუმართაგან ყველაზე საპატიო კაცი, თავისი ვაჟის გვერდით, კუთხის მხარეს, გამოსაჩენ ადგილას იჯდა; ნათლიები, ახლო და შორეული ნათესავეები მუსიას მაგიდაზე ჩარიგებულებიყვნენ და გაცემას ვერ მალავდნენ, რომ ისეთი თავგადაკლული კომუნისტი, როგორც შვაჩკა იყო, სიმამრს ალილოზე ეწვია!

— ღმერთმა პური ბევრი მოგცეს და შეიღები გაგიზარდოს! — ჭიქა არყით დალოცა მარიანა დედამ. მარიანამ დალია. დედამ მეორე ჭიქა შვაჩკას შეუვსო და ახლა მას მიუბრუნდა:

— თუმცა შენს გამო, შვილო, ნეკნი ჩამიმტვრიეს და სისხლიც გმართებს ჩემი, მაინც ეტყობა, რომ ღვთის წინაშე ყველანი ერთნი ვართ...

ქალმა მზერა მოავლო სტუმრებს — კრინტი არავეს დაუძრავს, მხოლოდ კუშნირმა ჩაიღიმა შავ უღვაშებში, ხოლო როცა სიძე-სიდედრმა თითოც დალიეს და ჭიქაში ჩარჩენილი არყის წვეთები მოხუცმა ჭერს აბკურა, დაიგრგვინა:

— ეპე, ეს რას ჰგავს! სიდედრი სიძეს ელოლიავება, ჩვენ კი ცარიელ ჭიქებს ჩავცქერით!

მამინ, იცოცხლე, ატყდა ერთი ღრიანცელი და ჭიქების წკრიალი, ხოლო

სტუდენტი, მარიანას უფროსი დისწული, ამაყად მიუახლოვდა შვაჩკას და მიესალმა:

— უმაღლესიდან კულაკობისათვის გამომაგდეს — გაგიგონიათ ამგვარი იდიოტობა?! ცხრა წელიწადი გიზნაზიას გადავაყოლე და ახლა კულაკობისათვის გამომაძახეს!

— კომუნისტს გაყევი ცოლად და აღარ გამოგაგდებენ! — შორიდან გადმოსძახა კუშნირმა.

— ერთი გაბედოს, ძონძების ამარა თუ არ ვიფრინო სახლიდან, — ამაყად თქვა სტუდენტის მამამ, ლონიერმა სახეშეშუპებულმა კაცმა.

შვაჩკამ სითამამისთვის კიდევ გადააკრა და ველარ მოითმინა:

— მაგას რა დიდი მიხვედრა უნდა, დისწულო: ბოლშევიკების პოლიტიკა ასეთია: ხომ სწავლობდა ადრე მდიდარი, დაე, ახლა ღარიბმა ისწავლოს ჭკუა!

— ხი-ხი, ნეტა ეს რა პოლიტიკაა?..

კუშნირი: მართალი ხარ, გალინა დმიტროვნა! ადიოტიზმია და არა პოლიტიკა!..

კუშნირის ნათქვამზე ყველამ გაიციინა; ასეთი შეხვედრით გუნებაწამსდარმა შვაჩკამ აღგომა და წასვლა დააპირა, მაგრამ მარიანამ დაამშვიდა, სტუმრების ქილიკსა და გადაკრულ ნათქვამს ყურადღებას ნუ მიაქცევო.

...ოი, კიქო, დეინის კიქო...

წამოიწყო ახალგაზრდა ქალმა წვრილი სობრახოთი, მერე სიმღერა კუშნირმა აიტაცა, მაგრამ მალევე გაჩუმდნენ, რადგან წმინდა საღამოს ამგვარი სიმღერა არ შეშვენილდა.

ყველა სტუდენტს თხოვდა, რამე უკრაინული ემღერა. გოგონა იცინოდა, მაგრამ მოხუცი კუშნირისა ფეხზე წამოდგა და ამაყად მიმართა:

— „უკრაინა“ მიმღერე, ვაჟიშვილა მაინც გავიხსენებ, პეტლურელობისათვის რომ მომიკლა კომუნამ...

სტუდენტი წამოწითლდა, თვალები ძირს დახარა, თან მაგიდასთან ჩუმად მჯდარ, წარბშეკრულ შვაჩკას ირიბად გადახედა, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს.

— ჩემო ძვირფასო საგვარეულო! შძახალო! — გადასძახა მარიანას დედამ კუშნირისას. — ებრძოდნენ კომუნას და კომუნაც იბრძოდა. არ ღირს მოგონებად; ამ წმინდა საღამოს აურზაურის ატეხა რა საჭიროა...


— მე, მძახალო, აურზაურს როდი ვტეხ, თქვენს შვილიშვილს ვთხოვე მხოლოდ „უკრაინა“ ემღერა... — და კუშნირისა ატირდა.

სტუმრებმა აქეთ-იქიდან შეუძახეს, ვაჟიშვილმაც მკაცრად დაუცაცბანა და იქაურობა უცებ ჩაჩუმდა. მერე ქალებმა ალილო შემოსძახეს: აქეს და ადიდეს მასპინძლის სტუმართმოყვარეობა, ქრისტეს — პაწია ბაღს — ხოტბა შეასხეს და მთელი ხატა ამ ბაჟეშვის გახსენებით გამოწვეულმა სიხარულის გუგუნმა აავსო.

მარიანა თითქოს ნემსებზე იჯდა; დები უგულოდ მიესალმნენ, ხოლო უმცროსი, კუშნირის რძალი, მის თავსაფარს ისე დაამტერდა, თითქოს ამბობდა, ვისი გამონაცვალი ახურაესო. გულმოკლულ მარიანას ნერწყვის გადაყლაპვა უჭარდა — ეშინოდა, არ ატირებულყო.

— რას მორცხვობ, სულელო, იმღერე! — შეაგულიანა მამამ სტუდენტი.

მანაც მოკლედ შეკრეჭილი თმა დაბალ შუბლზე გადაიწია, დატყვე ქოშები ააბაკუნა და სტუმრებს მიმართა:

— მოდიო, „სუფრები გაშალეთ“ ვიმღეროთ, იცით? სტუდენტები საღამოებზე სულ ამ ხალხურ ალილოს მღერიან. ძალიან მოსწონთ...


ეგენი „ინტერნაციონალსაც“ ბულებივით ბღავიან! — ხორბოტად დაიძახა კუშნირმა და მძახალს, მარიანას მამას, მიუბრუნდა: — მატარებელში მოვუსმინე სტუდენტებს, სადღესასწაულოდ შინ მიდიოდნენ, — ნახირია, მძახალო, და არა ხალხი! იწერება — სტუდენტი, მაგრამ გამოითქმის — მათხოვარი.

— მართალია, მუსია სტეპანოვიჩ, კომუნამ ვაჭრობა დაუშვაო?

— დაუშვა, — უკმაყოფილოდ მიუგო შვაჩკამ.

— უკვე ისეთი კანონიც გამოსცეს, — ხმამაღლა განაგრძო კუშნირმა, — რომელიც საკუთრების ხელისხლებას ვიკრძალავს, აბა!

კუშნირის ნათქვამმა ახალმა ამბავმა ყველა დააინტერესა და სიმღერა აღარავის უფიქრია; სტუდენტმა ის-ის იყო პირი გააღო და ჩაწიკჩიკებული კბილები გამოაჩინა, მაგრამ ასევე გაიყინა, მერე გონს მოსულმა, ტუჩები მოილოკა და შვაჩკას მიუჭდა.

— ხომ მომცემთ, ბიძია, ღარიბობის მოწმობას, ჰა? — შეეკითხა მუსიას.

— ბიძაშენი კი ციხეში ჩაჯდეს, არა? — უხალისოდ მიუგო შვაჩკამ.

სტუდენტმა ჩაიქირქილა.

— აგერ, მუსია სტეპანოვიჩ, მეოთხე წელია, — მაგიდიდან გადასძახა კუშნირმა შვაჩკას, — რაც თქვენმა კომუნამ, დიდი მადლობა და, ხარი წამართვა, მაგრამ არ დაძვიწყებია. მოვევდები — მაინც არ დავივიწყებ: მძარცველობაა...

— იმ ხარის სანაცვლოდ დღეს თქვენთვის კატის ჩუქებას ვაპირებდი, მაგრამ გზაში მოკვდა! არადა, ლამაზი კატა იყო...

— ახალგაზრდა ხარ, მაგი არ უნდა გეკადრებინა ჩემთვის...

— მამ, რა ვქნა? მოვიდე და მოგილაქუცო, არა?

ჩხუბი, ჰა და ჰა, უნდა გაჩაღებულიყო; შვაჩკას სახეზე მიტკლისფერი დასდებოდა, მარცხენა, თითებზეაგლეჯილი ხელი შესამჩნევად უთრთოდა, ხოლო ამღვრეული თვალები აცა-ბაცა გაუბოდა. მარიანა მის გვერდით აღარ ჩანდა — იგი კუშნირიხას გაეხმო და რაღაცას ამუნათებდა.

შვაჩკა ადგა, ოთახი ბანცალ-ბანცალით გაიარა და ეზოში გავიდა.

სულელური ღამე იყო. მსხვილ-მსხვილი ვარსკვლავები უცნაურად დაბერილიყვნენ, ნახევარმთვარეს კი — ქარზე გაკიდებულს — წითელი ქობა მოვლებოდა და ნამქერწაფენილი მთელი ეზოც შორს-შორს, მიწდვრისაკენ გაწოლილიყო...

„ქარბუქისას უბერავს“, — გაიფიქრა მოთენთილმა შვაჩკამ და თავლას მიადგა. მის ცხენს შვრიით სავსე თოფრაკი ძირს ჩაცურებოდა; დიდხანს ეძებდა სიბნელეში ხელისცეცებით და, ბაგასთან ფეხებით მიჭეკილი რომ იპოვა, ცხენს უსაყვედურა:

— აი, შე სულელო, დარჩი შშიერი?

ცხენმა დაიხვიხვინა და ფლოქვეები ააბაკუნა.

— აჰა, აჰა, — უთხრა შვაჩკამ და თოფრაკი თავზე გადააცვა, — ცოტა მაინც შეჭამე და გზას გავუდგეთ, თორემ ძალიან ასისინდნენ ასპიტები: რას

იხამ, ძამა, ჩვენი პოლიტიკა არ მოსწონთ! როგორ გაიხარეს: ვაჭრობა დაუშვია-
თო და კუშნირმა ხელები ფართედ გაშალა — მიწა მოუნდა, ბატონო ვულზე
დაგვეყაროს ის მიწა, ოხერო!

ცხენმა შერია აახრამუნა; სადღაც, თბილ კუთხეში ღორი ეხვერანდა.
შვაჩკა შედგა და მიაყურადა: ტკბილად ეძინა!

ისევ უკან, სახლისკენ წავიდა; თავი უღაყლაყებდა — უცებ მოეკიდა სას-
მელი, რადგან არაყს იშვიათად სვამდა.

წინკართან მისულს ანახლად სტუდენტი გაახსენდა — გაეცინა და დღეს
აგერ, მეორედ შეიგინა:

— მამაძაღლი!.. „მომცემთ, ბიძია, ღარიბობის მოწმობას?..“ თითქოს მე
აქ ღარიბობის მოწმობებით ვვაჭრობდე!..

...ჩატა მღეროდა. „ალილო“ და მდიდარ საგვარეულოზე, ღვინიან კასრსა
და რქებდაგრეხილ ხარებზე სიმღერები ერთმანეთში არეულიყო — არაყით
შეზარხოშებული ხმები თამამად აწყდებოდა სარკმლის მინებს...

„გაიხარე, შვაჩკა, — გაიფიქრა მუსიამ, — იზეიმე წმინდა საღამო! ვილა-
ცამ სოფელში ღორიანი ბორშჩით ამოიხხორა მუცელი, აქ კი ხორცის ზვინები
აწყვია! თან ეს კუშნირიც რომ ასპიტავით ასავსავებს ენას!..“

ღილი გაიხსნა ლურჯ პერანგზე, რომლის ქვეშიდანაც მოწითალო-ყვითე-
ლი ძაფებით დაქარგული გულისპირი გამოუჩნდა და ხატაში მტკიცე, გა-
ბედული ნაბიჯით შევიდა.

— არ უნდა ძაღლს კუდის მოხრა და ძალით მოვახრევენებთ, — ზღურ-
ბლზე შეეფეთა შვაჩკას ვიღაცის სიტყვები და სტუმრებმა ერთხმად გადაიხარ-
ხარეს.

— ახლა სულ სხვა პოლიტიკაა...

— რაც ტიტველი დადიოდა, ის ტიტველი დარჩა...

— არ აპყვე კუშნირებს, შვილო, — კარებშივე მიეგება სიღებრი შვაჩ-
კას, — წყალსაც წაუღია მტრობა; ნუ იჩხუბებთ, ნუ...

— მე არაგის ვედაეგბი, დედი, — ხმამაღლა, ყველას ვასაგონად მიუგო
შვაჩკამ... — მე თუ ლატაკი ვარ, ჩემს შვილებს პურს ეგ არ აჭმევს! იცოდეს...

შვაჩკამ კუშნირს მკაცრად დაუბრიალა თვალები.

— მე არ ვაჭმევ, — დაიგრგვინა კუშნირმა, — ხალხი ხომ აჭმევს, ძამია!

— ის თუ იცი, გაზაფხულზე ვინ მისცა მარიანას ქარხალი? — ჰკითხა
სკამზე ნებიერად გადათხლაშულმა სტუდენტის მამამ.


წმინდა დამე, დალოცვილი მწუხრი...

გულიანად შემოსძახეს ქალებმა სიმღერა.

კუშნირმა ხელი დაიქნია და სიმღერა ისე უცებ შეწყდა, თითქოს ქალებს
პირები დაუხშესო. მარიანა ოთახის შუაგულში გამოვარდა და თვალცრემ-
ლიანმა შეპყვირა:

— მე, ჩემო დმიტრი, იმ ქარხლისათვის თვალები ამოვიღამე, როცა შენს
ქალიშვილს (ხელი სტუდენტისაკენ გაიშვირა) უკრაინული კოფთის გულისპირს
ვუქარგავდი, შენ კი მომდექი და ნათესავეებთან მარცხვენ. რისთვის დავიმსა-
ხურე ასეთი პატივისცემა?!

— ფული რომ წაიღე, დეიდაჩემო, გადახდა ხომ უნდოდა... — ჩამოვარ-
დნილი სიჩუმე სტუდენტმა დაარღვია.



სტყუი, მამიკოს შეილო, კოფთა ჭარხალში დაგიქარგე და არა ფულში. ფული დედაშენმა არ გამოძართვა... ხომ მართალს ეამბობ?!
უჩინებელი

— სადაა აქ სიმართლე?.. — მხრები აიჩერეს სტუმრებმა და უჩინებლად აქირჩილდნენ. შვაჩკა სიღედრის გვერდით, კართან იდგა და ფერდაკარგულს მარცხენა, კონტუზირებული ხელი უთრთოდა.

კუშნირი სუფრიდან აღგა და მუსიას მიუბრუნდა:

— შენ, იმ მტარვალ-მეფესავით, სადღაც ხალხს ხოცავდი. ცოლ-შვილი სიმამრს მიუტოვე სარჩენად, თავად კი კომუნის გადასარჩენად გავარდი!..

— მერე, მერე, თქვი ყველაფერი! — ყრუდ წარმოთქვა შვაჩკამ.

— ყველაფერი? შენ არ იყავი, ვრანგელთან ომის შემდეგ რომ მიწების დანაწილება დაიწყო? განა შენ არ წაართვი სიმამრს ექვსი დესეტინა და იმ ჯოჯოხეთის მაშხალებს დაურიგე?

— მე ვიყავი.

— ჰოდა, მადლობა უთხარით, ხალხნო, თაყვანი ეციოთ...

კუშნირს სისხლი მოაწვა თვალებში და საუბრის ტაქტს აყოლებულ დანას თეფშზე არაკუნებდა. სტუმრები გატრუნული, დაბღვერილები ისხდნენ.

— მძახალო, ვის სჭირდება ახლა მაგის გახსენება? — შეწინაღმდეგება სცადა სიღედრმა, მაგრამ კუშნირის ვაჟმა სიტყვა უდიერად გააწყვეტინა:

— შენი საქმე არ არის, დედაჩემო, დაჯექი და ჩუმად იყავი...

უცებ მაგიდებთან ფუსფუსი ატყდა და ვიღაცამ იყვირა: „რას სჩადიხართ?!“

შვაჩკამ მარჯვენა ხელი ჯიბეში ჩაიყო, ხოლო კუშნირის ვაჟმა, რომელიც შუა ხატაში დაკიდებული უზარმაზარი ჭრაქის ქვეშ იდგა, შუქი ჩააქრო.

ხატა მარიანას განწირულმა, უღვთო კივილმა შესძრა:

— საყვარელო მშობლებო, ნუ დამაობლებთ, ნუ მოკლავთ...

მაგრამ მისი სიტყვა კარის წირთხლზე ბოთლის მიხეთქებამ, წინკარში ატეხილმა ბათქა-ბუთქმა და ვიღაცის ხრიალმა ჩაახშო...

— ისროლა მაგ ქეციანმა! — გაისმა სიბნელეში მოხუცი კუშნირის ხმა და დამფრთხალი ქალები მაგიდებქვეშ შეიჭუჭყნენ. მხოლოდ სტუდენტილა ყვიროდა:

— მიწაზე დაწექით, მიწაზე!.. — მაგრამ სროლა აღარ განმეორებულა.

...თავდაღმა დამხობილი შვაჩკა წინკარში იწვა; ღორისდასაკლავ უშველებელ, წითელტარიან დანას ბეჭებშუა გაველო — იგი ჯერაც ხრილებდა და კიდევ დიდხანს აწრიალებდა მარჯვენა ხელის თითებს.

აფუსფუსებული, შემკრთალი სიჩუმე იდგა. ვიღაცამ ასანთი გაჰკრა.

მარიანა უგონოდ ეგდო; ღოღნაშოსფერი ხილაბანდი თვალებზე დაჰფენოდა, მთელი სხეული უთრთოდა, აქვითინებული, მიწას ეხეთქებოდა.

კუშნირმა შიშით გაიხედა მარიანასკენ, თვალები ირგვლივ მიატარ-მოატარა და დაიჩურჩულა:

— არაფერია. მთვრალებმა იჩხუბეს-თქო და მორჩა. ასე უნდა ვთქვათ.



თარგმნა ანსტორ აბჟანდაძემ

კ ა ვ კ ა ს ი ა

გამყარა შენგან ბუდისწერამ თუმცაღა ჩქარა,
ო, კავკასიაჲ, კვლავაც თან მსდევს სატება შენი;
ვითარცა ჰანგი მშობლიური, ის მავსებს შუებით...
გულში რომ დარჩე — შენი ხილვა ერთხელაც კმარა!
ო, კავკასიაჲ, შენ გეტრფი მარად!

მე სიყრშითგანვე უდუღობა დამეცა ზარად...
და როცა ბინდში ვარდისფერი გმოსაუდა ნისლი, —
მე შენს სიურცეში მეღანდვოდა ჩურჩული მისი;
მიტომ მიყვარდა გაჩინდება შენს მთებთან წყნარად!..
ო, კავკასიაჲ, შენ გეტრფი მარად!

მე ბედნიური ვიყავ მაშინ, — შენს მთად და ბარად!..
ნალველით მდაგვენ გარდასრულნი ის ტკბილნი წელნი;
იქ შემეფუთნენ ღვთაებრივნი თვალები მწუელნი...
მათ ვიგონებ და — აღმომხდება ლოცვისა დარად:
ო, კავკასიაჲ, შენ გეტრფი მარად!

კ ო რ ტ რ ე ტ ს

როგორც ხუჭუჭა ბიჭი, — ანცია,
ჰეპლის სადარი კაბა აცვია,
თუმც უაზროა ხანდახან სიტყვა,
მის ბაგეებზე გრძნობით სავსეა.

დიდხანს უყვარდეს — მისთვის ძნელია,
უშიძის, ვითარცა ჯაჭვის ტარება;
გაილალება, როგორც მელია,
და თვალს ჩიტვივით მიუფარება.



ვინ უწყის, შუბლზე რა აწერია,
ბედკრულია თუ ბედნიერია,
თვალეებში ზეცის უკრთის ნათელი,
სული უძირო ღამის ფერი აქვს.

ხან გულწრფელი და მიმნდობელია,
ხან თვალთმაქცი და ცრუმეტყველია;
ძალზე ძნელია მისი შეცნობა,
არ შეგიყვარდეს — უფრო ძნელია!

ეპიტაფია

ის შვილი იყო თავისუფლების
ის ფუჭ განცხრომას არ სთვლიდა არად!
უკვდავი აზრი დედაბუნების
გულში ემარხა საუნჯის დარად.

სწამდა მომავლის ჭვრეტა მისნური,
გრძნება მოგუური, ტრფიალი მყარი...
უცხო სურვილთა იყო მიჯნური!
სძულდა სიცოცხლე დუნე და წყნარი!

ალალ გრძნობათა იყო საუანე,
წამებაც მიჰყვა თვით ბოლო დღემდის...
ის მოკვდა, — აჰა მისი სამარე!
ის მოვლენილი არ იყო თქვენთვის!..

გლახა

ეყუდა გლახა ტაძრის კარებთან
და მოწყალებას ითხოვდა წყნარად,
სუსტი სხეული უკანკალებდა,
სულმთლად მიეხრწნა შიმშილს და ვარაშს.

პურის ნაჭური სურდა მარტოდუნ,
თვალეებში კრთოდა ცხოველი ტანჯვა;
მერე ვილაცამ ქვა მიაწოდა,
აიგდო მასხრად ბედკრულის აჯა...

ოჰ, მეც ასევე გთხოვდი სიყვარულს!
სიცოცხლეს ჩემი ასე გამწარდა!
მეც, შენგან ასე გაწბილებული,
გრძნობების ჩემის დავშთი ტაძართან!



გერმანულიდან თარგმნა ვლადიმერ ზარმაკვი

სამების წინაღობეს მესიზმრა, ვითომ სარკის წინ ვიდექი და იმ ახალ საზაფხულო ტანსაცმელს ვიზმანებდი, მშობლებმა სადღესასწაულოდ რომ შეუკვეთეს ჩემთვის: ვერცხლის აბზინდებით დამშვენებულ ტყავის ფეხსაცმელს, ლამაზ ბამბის წინდებს, შავი სარკის შარვალი და ოქროსფერ დილებიან მწვანე ბერკანის სერთუკს. ოქროსფერივე სტავრის ყილეტი მამაჩემის საქორწილო ყილეტიდან გამოეჭრათ. ლამაზად დავარცხნილი და შეპუდრული ვიყავი, ხვეული თმა უხვად მეფინა მხრებზე. ეს კია, ჩაცმა გამიჭირდა, აღარ ვიცოდი, რისთვის დამეგლო ხელი. ესეც არ იყოს, რაწამს ერთის ჩაცმას დავაპირებდი, მეორე მაშინვე მძვრებოდა. ამ გასაჭირში ვიყავი, როცა ერთი მშვენიერი ჭაბუკი შემოვიდა და ალერსიანად მომესალმა.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! — ვუთხარი მე, — ძალზე მახარებს თქვენი ხილვა.

— კი მაგრამ, მიცნობთ განა? — მკითხა მან სიცილით.

— რატომაც არა? — ღიმილითვე შევაგებე, — თქვენ მერკური ხართ და არაერთხელ მინახიხართ.

— დიახ, მე ვარ, — მითხრა ჭაბუკმა, — ღმერთებმა მომავლინეს შენთან საგანგებო დავალებით. ამ ვაშლებს ხომ ხედავ? — სტუმარმა ხელი გამოშალა

1 ნაწყვეტი ავტობიოგრაფიული თხზულებიდან „პოეზია და სიმართლე“. ეს ზღაპარი გოეთეს შემოქმედების ვაიმარულ პერიოდს განეკუთვნება. იქ მშვენივრადაა შერწყმული გოეთეს გვიანდელი პროზის დიდებული ენა გულუბრყვილო ბავშვურ ფანტაზიასთან. ზღაპარი არაფრით არ უკავშირდება თხზულების მეორე წიგნის შინაარსს, მაგრამ საგანგებოდაა ჩართული მასში. ამით გოეთე ხაზს უსვამს, რომ ავტობიოგრაფიის გმირი — გულუბრყვილო ბავშვი — პოეტადაა დაბადებული, რომ მას მდიდარი ფანტაზიის უნარი აქვს მოვადლებული, რაც არ ვააჩნიათ მის თანატოლებს (მთარგმნ.).

და სამი სხვადასხვა ფერის ვაშლი მიჩვენა, ძლიერ რომ ეტეოდა ხელისგულზე. საოცრად ლამაზი და დიდრონი ვაშლები იყო — წითელი, ყვითელი და მწვანე. გეგონება, ძვირფასი ქვებიაო, ხილის მსგავსად ჩამოქნილი. ხელს წაეჭატა ვაშლებს, მაგრამ სტუმარმა შემაჩერა და მითხრა:

— პირველ ყოვლისა, დაიმახსოვრე: ეს ვაშლები შენ არ გეკუთვნის. ვაშლები ქალაქის სამ ულამაზეს ჭაბუკს უნდა გადასცე, რომ სასურველი საცოლეები მონახონ და ბედს ეწიონ. აჰა, გამომართვი, შენ იცი, საქმეს როგორ გაუძღვები. — ეს რომ მითხრა, ვაშლები ხელისგულზე დამიწყო და გაუჩინარდა. მაგრამ დახეთ საოცრებას! ვაშლები დაგრძელდნენ და უმშვენიერეს, თოჯინისოდენა ასულებად იქცნენ. ტანთ იმ ვაშლისფერი კაბები ეცვათ... მზეთუნახავები ნელა მოსხლტნენ თითებს და როცა გამოვედევნე, იქნებ ერთი მაინც დავიჭირო-მეთქი, ისინი უკვე ძალიან მალლა მიფარფარებდნენ და მხერგადა გავაყოლე. გაცეცხულს ხელი ჰაერში გამიშეშდა, საკუთარ თითებს ისე შევაჩერდი, თითქოს კიდევ ყოფილიყოს რაიმე სანახავი. უცებ თვალი ვკიდე თითის წვერზე მოცეკვავე ყველაზე ტურფა გოგონას, იმათთან შედარებით უფრო პატარას, მაგრამ ძალზე კონტასა და მხიარულს. ის სხვებივით არ გაფრენილიყო, პირიქით, სულაც არ ჩქარობდა და თითიდან თითზე ცეკვა-ცეკვით გადადიოდა. მოჯადოებულებით შევცქეროდი. ძლიერ მომეწონა და ვიფიქრე, თუ ცოტა მარჯვედ მოვიქცევი, ამას მაინც დავიჭერ-მეთქი, მაგრამ იმწამსვე თავში ისე მაგრად ჩამართყვეს რაღაც, რომ რეტდასხმული ჩავიკეცე. ბურანიდან რომ გამოვერკვიე, უკვე ჩაცმისა და ეკლესიაში წასვლის დროც მოსულიყო.

წირვისას სულ ის ფერიები მელანდებოდა, ბებიასთან და პაპასთან რომ ვსადილობდი, მაშინაც. ნაშუადღევს მეგობრების ნახვა მოვისურვე. ახალი ტანსაცმლით, იღლიაში ამოჩრილი ქუდითა და გვერდზე დაკიდებული დაშნით მიხდოდა თავი მომეწონებინა. ესეც რომ არა, ვალდებული ვიყავი მენახა ისინი, მაგრამ შინ არავინ დამხვედრია. როგორც შევიტყვე, ყველა ბაღში გაკრეფილიყო. გადავწყვიტე მათ კვალს დავდგომოდი და საღამო სასიამოვნოდ გამეტარებინა. გზა ცვინგერზე გადიოდა და იმ ადგილს ჩავუარე, სამართლიანად რომ უწოდებენ „თარს კედელს“. არ შეიძლება გამვლელი აქ რაიმე ხიფათს არ გადაეყაროს. ნელა მივაბიჯებდი და იმ სამ ქალღმერთზე ვფიქრობდი, მეტადრე კი პატარა ნიშნაზე. დროდადრო ხელებს ვიწუდიდი, იქნებ თავაზიანობა გამოიჩინოს და კვლავ ჩემს თითებზე დაფრინდეს-მეთქი საცეკვაოდ. ამ ფიქრებში გართულმა, უცებ, მარცხნივ, კედელში კარი შევამჩნიე, რომელიც, როგორც მახსოვს, მანამდე არასოდეს მინახავს. კარი პატარა ჩანდა, მაგრამ მის გოთურ თაღქვეშ გოლიათიც გაეტეოდა. თაღი და კედლები ტურფად მოეჩუქურთმებინათ, მაგრამ კარი მაინც ერთ რამედ ღირდა. სადა, ძველი წაბლისფერი ხის კარი შეჭედილი იყო ფართო, ალაგ ამოზნექილი, ალაგ ჩაზნექილი სპილენძის ფირფიტებით, რომელთა ფოთლოვან ჩუქურთმაში ცოცხლად გამოკვეთილი ჩიტები ისხდნენ. თვალს ვეღარ ვაცილებდი. ყველაზე ძალიან იმან გამაოცა, რომ არ ჩანდა არც გასაღების ქუჭრუტანა, არც სახელური და არც კარზე დასაკაკუნებელი. ალბათ, კარი მხოლოდ შიგნიდან თუ იღება-მეთქი, გავიფიქრე და არც შევმცდარვარ, რადგან ჩუქურთმების მოსინჯვა რომ დავაპირე, კარი თავისით გაიღო და რაღაც გრძელ, ფართო, უცნაურ ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი გამოჩნდა. დარბაისლური წვერი უფარავდა ნიკაძს და

მზად ვიყავი დამეფიცა, ებრაელია-მეთქი. მაგრამ მაშინვე, თითქოს ფიქრს მი-
მიხვდაო, პირველი გადაისახა, რითაც მანიშნა, წმინდაწყლის კათოლიკე ქრის-
ტიანი ვარო.

— ახალგაზრდა ბატონო, აქეთ რა ქარმა გადმოგაგდოთ, აქ რას აკეთ-
ებთ? — მკითხა მეგობრულად, თავაზიანად.

— ამ კარის სრულქმნილებამ ისე განმაცვიფრა, ფეხი ვეღარ მომიცვლია
აქედან, — მივუგე, — მსგავსი არაფერი მინახავს.

— მიხარია, რომ მოგწონთ ეს ოსტატური ნახელავი. კარი შიგნიდან უფრო
ლამაზია, შემობრძანდით, თუკი ინებებთ.

ცოტა არ იყოს შევეკრთი: შემაფიქრიანა მოხუცის უცნაურმა ტანსაცმელ-
მა და ამ მივარდნილმა ადგილმა, ის კი არადა, თითქოს ჰაერიც რაღაც ხიფა-
თით იყო გაუღენთილი. კარს გარედან განგებ დიდხანს ვათვალიერებდი, რა
არის, ცოტა შევეკონებულყავი. ამასობაში მალულად შევიჭვრიტე ბაღში;
დიან, ახლა ბაღი გადამეშალა თვალწინ, კარს უკან დიდი, დაჩრდილული მო-
ედანი დავინახე. ერთმანეთში გადახლართული, ერთმანეთისაგან თანაბარ მან-
თილზე დაცილებული ბებერი ცაცხვების ტოტები მთლიანად ფარავდნენ
მოედანს. მიღეთის ხალხი გაგრილდებოდა აქ პაპანაქება სიცხეში. ზღურბლს
გადავაბიჯე თუ არა, მოხუცმა ნაბიჯ-ნაბიჯ გამიტყუა. კაცმა რომ თქვას, წი-
ნაალმდევგობა არ გამიწევია, რადგან ბევრჯერ მსმენია, პრინცმა ან სულთანმა,
მსგავს შემთხვევაში, არ უნდა იკითხოს, საშიშროება ხომ არ მელისო. სხვა
რომ არა იყოს, დაშნა მეკიდა გვერდზე და მოხუცს მაშინვე გავცემდი საკად-
რის პასუხს, თუკი რაიმე ვერაგულს განიზრახავდა. ამ რწმენით შევდგი ბაღში
ფეხი. მეკარემ ჩუმად მიხურა კარი და მართლაც, შიგნიდან უფრო მდიდრული
აღმოჩნდა იგი, უფრო ნატიფი ხელოვნებით შესრულებული. მოხუცი დიდი

გულისხმიერებათ მიხსნიდა ყველაფერს. ახლა უკვე მთლად დამშვიდებული,
ცაცხვებით დაჩრდილულ მოედანზე მივაბიჯებდი. მოედანს ირგვლივ ერთყა გა-
ლავანი, რომელმაც ესოდენ განმაცვიფრა. კედლებში დაეტანებინათ ნიჟარე-
ბითა და მარჯნით ოსტატურად შემკული, ლითონის საფეხურებით დამშვენე-
ბული ნიშები. საფეხურები მარმარილოს აუზებში ეშვებოდა, სადაც ტრ-
ტონების ხაზიდან უხვად ჩქეფდა წყალი. ნიშებს შორის ჩიტის გალიები იყო.
უფრო მოზრდილ გალიებში ციყვები მალაყებს გადადიოდნენ, ზღვის გოჭე-
ბი დაკუნტრუშობდნენ. ერთი სიტყვით, რა ჯურის მხეცი გნებავთ, აქ არ
ყოფილიყო. ჩიტები ჟღერტულით იკლებდნენ იქაურობას და რაწამს მივუ-
ახლოვდებოდით, შემოგვჭიკჭიკებდნენ. მოშიებს ყურთასმენა მიჰქონდათ. ერ-
თი სულ ყვიროდა: „პარისი, პარისი“, მეორე კი ნარცისი. ნარცისიო, თა-
ნაც ისე მკაფიოდ, როგორც სკოლის მოწაფეებს სჩვევიათ. ჩიტები რომ აუღ-
ლდებოდნენ, მოხუცი ფიქრიანად გადმომხედავდა. მე ვითომც არ ვიჩინევი.
არადა, სად მქონდა მართლაც იმის დრო, ამ ბერიკაცისათვის მიმეჭვია ყურა-
დლება? შევამჩნიე, რომ ერთსა და იმავე ადგილს ვუვლიდით გარშემო...
მართლაც, მალე ისევ კარს მივადექით, ეტყობა, მოხუცს ჩემი გაშვება ეწადა.
უფროდ თვალი ვკიდე ოქროს გისოსებს, ამ საოცარი ბალის შუაგულს რომ
შემოვლდებოდა. ეს ჯერ კიდევ სერიზობისას შევამჩნიე, თუმცა მოხუცს სულ
კედელ-კედელ მივყავდი. და აი, როცა კარს მივადექით, მოკრძალებით მივმარ-
თე მასპინძელს:

— თქვენ ისე თავაზიანად მოძვეტებით, რომ წასვლამდე ერთ სათხოვარს გაგიბედავთ. ნება მოძვეტით, ახლოდან ვნახო მესერი, ბაღის შუაგულს რომ არტყია.

კეთილი და პატიოსანი, — მიპასუხა მოხუცმა. — ~~უფლებს~~ ^{უფლებს} ~~უფლებს~~ ^{უფლებს} პირობას უნდა დამორჩილდეთ.

— განა ისეთი რა პირობებია? — ვკითხე სწრაფად.

— ქუდი და დაშნა აქ უნდა დატოვოთ და როცა მესერისკენ წავალთ, ხელი არ შემიშვათ.

— ძალიან კარგი, — მივუგე და ჩემი ავლადილება იქვე, საუცხოოდ გამოთლილ ქვის სკამზე დავაწყვე. მოხუცმა მაგრად ჩამავლო ხელი, თითქოს ძალით უნდა წამიყვანოსო. მესერს რომ მივუახლოვდით, გაკვირვება უსაზღვრო განცვიფრებად შექცა. მსგავსი რამ არასოდეს მენახა. მაღალ მარმარილოს კვარცხლბეკზე უთვალავი შუბი და ხელცული შემართულიყო. უცნაურად წაწვეტილი ბოლოებით ერთმანეთს ეხებოდნენ და წრეს კრავდნენ. სანათურებში გავიჭვრიტე და მაშინვე თვალი ვკიდე ლალად მოჩუხჩუხე წყალს, აქეთ-იქიდან მარმარილო რომ წებოვლებოდა. მის კამკამა ტალღებში ურიცხვი ოქროსა და ვერცხლის თევზი დგაფუნობდა. დაცურავდნენ ხან ნელა, ხან ჩქარა, ხან ეულად, ხანაც ჭგუფ-ჭგუფად.

არხს გადაღმაც სიამოვნებით გადავიბედავდი, რათა შეშეტყო, რა ხდებოდა ბაღის შუაგულში, მაგრამ ძალიან დაელონდი: წყალგალმა მხარეც ისეთივე მესერით შემოვზღუდათ და თანაც ისე ოსტატურად, რომ გამოღმა თვითეულ სანათურას გაღმით შუბი ან ხელცული ეყარებოდა, თუ აღარაფერს ვიტყვით მესერის მორთულობა-სამკაულზე. პოდა, როგორც არ უნდა დამდგარიყავი, ვერასგზით ვერ გაიჭვრიტებოდი. ესეც რომ არა, მოხუცი არ მაძლევდა ამის საშუალებას, სულ უფრო ღონივრად მიჭერდა ხელს, ისე რომ გვერდზე მიხედვაც აღარ შემიძლო. აქამდე ნანახმაც უფრო მეტად გამიღიზიანა ცნობის-მოყვარეობა. ძალ-ღონე მოვიკრიბე და ბერიკაცს ვკითხე, შემოღობილში შესვლა არ შეიძლება-მეთქი?

— რატომაც არა? — მომიგო. — ოღონდ ერთი პირობით.

ეს ახალი პირობა რაღაა-მეთქი, ვკითხე. სხვაგვარად უნდა გამოეწყოო, მითხრა. ენით გამოუთქმელი კმაყოფილება ვიგრძენი. მოხუცი ისევ გალაგნისაკენ გამიძღვა და პატარა, სუფთა დარბაზში შემიყვანა. კედლებზე ათასნაირი ტანსაცმელი ეკიდა, უფრო აღმოსავლური ყაიდისა. თვალის დახამხამებაში გამოვეწყვე. მოხუცმა შებუდრულ თმაზე ჭრელი ბადე გადამაცვა, მანამ კი ისეთი ძალით ჩამომიბერტყა პუდრი, ლამის სული გავაცხე. დიდ სარკეში რომ ჩავიხედე, მომეწონა ჩემი თავი. ახალ სამოსში უფრო მშვენიერი გამოეჩნდი, ვიდრე იმ მკაცრსა და სადა სადღესასწაულო ტანსაცმელში. ერთი-ორჯერ კიდევაც შევიკუნტრუშე, როგორც ბაზრობაზე გამართულ წარმოდგენებში იციან ხალხე მსახიობებმა, თან სარკეს თვალს არ ვაცილებდი. უცბად ჩემს უკან კედელში გამოჭრილი ნიშა დავლანდე. ნიშაში სამი მწვანე, პატარა თოკი ეკიდა, თვითეული ისე იყო დახვანჯული, შორიდან ვერაფერს გაუგებდი. სწრაფად შემოვბრუნდი და ბერიკაცს ვკითხე, ეს რა ნიშაა ან ეს რა თოკებია-

მეთქი. მან ხალხით ჩამოხსნა ერთი თოკი და მიჩვენა. ეს იყო საკმაოდ მსხვილი მწვანე აბრეშუმის ზონარი, რომლის ორივე ბოლო მწვანე ტყავის ორმაგ განაჭერში გაეტარებინათ. ეტყობოდა, ეს თოკი არცთუ სასიამოვნო დანიშნულებისა იყო. ამან, ცოტა არ იყოს, შემაფიქრია და მოხუცს ვკითხე, ეს თოკები რისთვის არის-მეთქი.

— აქ ყველას ნდობით ექცევია, ეს თოკი კი იმათთვის არის, ვინც ამ ნდობის ბოროტად გამოყენებას მოისურვებს, — მშვიდად და უწყინრად მიპასუხა. მერე თოკი თავის ადგილას დაკიდა და მიბრძანა გავჯოლოდი. ამჯერად ხელი აღარ ჩაუკიდა, თავისუფლად მივაბიჯებდი მის გვერდით.

ახლა იმისი გაგება მეწადა, სად ჰქონდა მესერს კარი დატანებული და სად იყო ხიდი, რომ არჩხე გადავსულიყავი, რადგან აქამდე ამის მსგავსი არაფერი შემიძინებია. ამიტომაც გულმოდგინედ ვათვალიერებდი ოქროს ლობეს, რომელსაც ის-ის იყო მივადექით. მაგრამ უცებ გავფითრდი "შიშისაგან, შუბები, ზუფანები, ოროლები, ხელცულები მოულოდნელად ატორტმანდნენ, აძაგძაგდნენ და ეს საოცრება იმით დაგვირგვინდა, რომ უკლებლივ ყველა წვეტი ერთმანეთისკენ გადაიხარა, თითქოს ორი უძველესი, თავით ფეხამდე იარაღში ჩამჯდარი ურდო აპირებდა შებმას. ეს აღიქმითი და ჟღარუნი თვალ-ყურისთვის ძნელი ასატანი იყო, მაგრამ ყველაზე საოცარი ის გახლდათ, რომ ბოლოს მთელი ეს საჭურველი ძირს დაეფინა, არხი გადაფარა და სწორედ რომ ზღაპრული ხიდი შექმნა. თვალწინ გადამეშალა ყვავილნარი, მიხვეულ-მოხვეულ კვლებად დაყოფილი, ძვირფასი ქვების მოზაიკას რომ ჰგავდა, თანაც თვითთვეულ კვალს დაბალი, ფუშფუშა მცენარეები შემოვლებოდა მწვანე არშიად, როგორც მე თვალით არ მენახა მანამდე. ყოველ კვალში სხვადასხვანაირი ყვავილი დაერგოთ, ფერის მიხედვით შეერჩიათ. როგორც ხელისგულზე ისე ჩანდა მთელი ყვავილნარი. მზის ნათელში გახვეულმა არაჩვეულებრივმა სანახაობამ თვალი მომჭრა. აღარ ვიცოდი, სად დამებოძებინა ფეხი, რადგან დაკლაკნილი ბილიკები ცისფერი წმინდა ქვიშით იყო მოფენილი, რაც აქ, მიწაზე, მეორე, უფრო მუქ ცას ჰქმნიდა. იფიქრებდი, ცა არეკლილია წყალში. ასე მივეყვებოდი ბერიკაცს, თან მიწას თვალს არ ვაცილებდი, სანამ, ბოლოს, არ შევამჩნიე, რომ ამ ძრგვალი ბადის შუაგულში კეიპაროსებს თუ ალვის ხეებს წრე შეეკრათ, რომლის გამჭოლ ვერაფერს დაინახავდით, რადგან ქვედა ტოტები ლამის მიწას შეზრდოდნენ. ჩემი მეგზური, თუმცა გზა არ შეუმოკლებია, პირდაპირ იქითკენ გაიძღვა, და რაოდენ დიდი იყო ჩემი განცვიფრება, როცა ტანკენარი ხეების რკალში შესულმა კობტა, მომჩიბვლელ შენობას მოვკარი თვალი. შენობას, ეტყობა, ყოველი მხრიდან ერთნაირი შესასვლელი ჰქონდა და ხედიც ერთნაირი იშლებოდა ყოველ მხარეს. ხეროთმოძღვრული ხელოვნების ამ იშვიათ ქმნილებაზე მეტად კი იმ ციურმა მუსიკამ გამოცა, რომელიც შენობიდან მოისმოდა. ხან ბარბითის, ხან ქნარისა და ხანაც ციტრას პანგები ატკბობდნენ სმენას. ზოგჯერ რაღაც ჟღარუნიც ჩამესმოდა, რაც არც ერთ ამ საკრავთაგანს არ შეეძლო გამოეცა.

კარს რომ მივუახლოვდით, მოხუცმა ოდნავ შეახო ხელი და ისიც გაიღო. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ჩვენს შესახვედრად მომავალი მეკარე იმ ტურფა გოგონას მივამსგავსე, ჩემს თითებზე რომ დაცქრილებდა. ძველი ნაცნობივით მომესალმა და მთხოვა, შიგნით შევსულიყავი. მოხუცი

გარეთ დარჩა, მე კი გოგონას მივყევი, ლამაზად მორთული თაღოვანი დერეფანი გაუიარეთ და დარბაზში შევედი. დარბაზის მაღალმა გუმბათის განსაცვიფრა, ასე ნეგონა, ტაძარში მოვხვდი-მეთქი, მაგრამ ჩემი ყურადღება სხვა სანახაობამ მიიპყრო უშალვე: ხალიჩაზე, სუსტად გუმბათის ქვეშ, სხვა დერეფანის კაბაში გამოწყობილი სამი ქალი იჯდა. ერთს წითელი ჯეკეტისა, მეორეს — ყვითელი, მესამეს კი — მწვანე. სავარძლები მოოქროვილი იყო, ხალიჩა კი ნაძვილი ყვავილნარი გახლდათ. ქალებს ხელთ საკრავები ებყრათ, რომელთა ხმაც აქ შემოსვლამდე მოსწვდა ჩემს ყურთასმენას. დამინახეს თუ არა, დაკვრა შეწყვიტეს.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! — მითხრა წითელკაბიანმა, პირით კარისკენ რომ იჯდა და ქხარი ეჭირა, — ალერტას მიუჯექით და მოუსმინეთ თუ მუსიკა გიყვართ.

ახლავ შევამჩნიე, რომ ცოტა მოშორებით საკმაოდ გრძელი სკამი იდგა, რომელზეც მანდოლინა იდო. ტურფა გოგონამ საკრავი აიღო, დაჯდა და მეც გვერდით მომისვა. ახლა მეორე ქალს დავუწყე თვალთვალა, ჩემგან მარჯვნივ რომ იჯდა. მას ყვითელი კაბა ემოსა და ციტრა ეჭირა. თუ ქნარის დამკვრელი ქალი წარმოსადეგი იყო, სახის მსხვილი ნაკვთები და დიდებული მიხრა-მოხრა ჰქონდა, ციტრაზე დამკვრელი ჰაეროვანი, მშვენიერი და ლალი არსება ჩანდა, ლერწამტანა და ქერათმიანი იყო, მაშინ როცა პირველ ქალს წაბლისფერი თმა ამშვენებდა. მათი ჰანგის მრავალფეროვნება და კეთილმოვანება ხელს არ მიშლიდა შემეტვალეებინა მესამეც, მწვანეკაბიანი მზეთუნახავი. მისი ბარბათი სულშიჩამწვდომ ჰანგებს გამოსცემდა და განსაკუთრებით მაჯადოვებდა. სხეებზე მეტ ყურადღებას სწორედ ის იჩენდა ჩემდამი და მეჩვენებოდა, რომ ჩემთვის უკრავდა. ვერაფრით ჩავწვდი მის არსებას: ხან ნაზი და იდუმალი, ხან გულლია, ხანაც ცოტა არ იყოს ჯიუტი მეჩვენებოდა, მის თვალებსა და ჰანგის ცვალებადობას რომ ვაკვირდებოდი. აი, თითქოს გული უნდა ამიჩუყოსო, ორიოდ წამის შემდეგ კი ვფიქრობდი, ჩემს გაღიზიანებას ცდილობს-მეთქი. მაგრამ როგორც არ უნდა ცდილიყო, ჩემს გულს ვეღარ მოიგებდა, რადგან ჩემმა პაწია მეზობელმა, იდაყვით რომ ვეხებოდი, მთლად დამიმონა.

რაკი ამ სამ ქალში აშკარად ვხედავდი იმ ვაშლისფერ კაბებში გამოწყობილ ჩემი სიზმრის სილფიდებს, საკუთარ თავს ვუთხარი, ტყუილად რუ გაირჩები-მეთქი მათი გულისთვის. პატარა ანგელოზს კი სიამოვნებით დავაბრუნებდი, მაგრამ კარგად მახსოვდა, სიზმარში რა მწარედ მითავაზა თავში. იგი აქამდე წყნარად იჯდა, მაგრამ ქალებმა დაკვრა შეწყვიტეს და უბრძანეს რამდენიმე მხიარული პიესა დაუკარიო. მანდოლინას სიმეებს ჩამოკრა თუ არა ხელი და ცოცხალი საცეკვაო ჰანგი ააყდურა, უშალზე წამოიჭრა. არც მე ჩამოვრჩი. ის უკრავდა და ცეკვავდა, მეც თავდავიწყებით მივყვებოდი, ერთად შევასრულეთ რაღაც პატარა ბალეტის მსგავსი, რითაც, ჩანს, ქალები კმაყოფილები დარჩნენ. რა წამს დავამთავრეთ, პატარას უბრძანეს ვახშმობამდე ტკბილეული მოერთნია ჩემთვის. მე, რა თქმა უნდა, სულ გადამავიწყდა, ამ სამოთხის გარდა ქვეყნად სხვა რამ თუ არსებობდა. ალერტამ იმავე დერეფანში გავიყვანა, საიდანაც მოვედი. გვერდით ორი ლამაზად მორთული ოთახი აღმოჩნდა. ერთში, სადაც თვითონ ცხოვრობდა, ფორთოხლით, ლეღვით, ატმითა და ყურძნით გა-

მიმასახლებლა. მაღიანად შევექმეცო უცხო ქვეყნების ხილს, არც იმ ხილზე მიაქვამს უარი, ჯერ რომ არ მწიფდა ჩვენში. ტკბილეული უხვად იყო. გოგონამ ბროლის თასი შეუშხუნა ღვინით შემივსო, მაგრამ არ შეგსვეს, რადგანაც ხილმა მომიკლა წყურვილი.

— მოდი, ახლა ვითამაშოთ, — შემომთავაზა ალერტამ და მეორე ოთახში გამიყვანა. საშობაო ბაზარი გეგონებოდათ აქაურობა, თუნცა არც ერთ საშობაო დუქანში არ მიჩანავს მსგავსი ძვირფასი და ნატიფი საქონელი. რას არ ნახავდით აქ: ნაირნაირ თოჯინებს, მათ მზითევს, ავეჯსა თუ ჭურჭლეულს, სათამაშო სამზარეულოს, სახლებს, დუქნებსა და ვინ მოსთვლის, კიდევ რას. გოგონა მინის ყველა კარადა დამათვალიერებინა, სადაც ინახებოდა ეს საუცხოო ნაკეთობანი. პირველი კარადა მალევე მიხურა და მითხრა:

— კარგად ვიცი, აქ სათქვენო არაფერია. იმ აქცი იმდენ რამეს ნახავთ, ნათელი ქალაქი აშენდება — კედლებს, კოშკებს, სახლებს, დარბაზებსა და ეკლესიებს. მაგრამ მე ქალაქის აშენება სულაც არ მუხალისება, მოდი, ისეთი რამ ავირჩიოთ, ორივეს რომ გვესიამოვნება.

შემდეგ რანდენიმე ყუთი გადმოიღო, რომლებშიც ერთმანეთზე დაწყობილი ჯარისკაცები ჩანდა. უხდა გამოგიტყდეთ, ამაზე ლამაზი არაფერი მიჩანავს. ალერტამ არ მაცალა სათითაოდ დამეთვალიერებინა ეს საოცარი ჯარისკაცები. ერთ ყუთს თვითონ დაუპატრონა, მეორე მე ამოვიღლიავე.

— ოქროს ხიდზე წავიდეთ, — მითხრა მან, — იმაზე უკეთეს ადგილს ვერსად ვნახავთ ომობანას სათამაშოდ — შუბები თვითონ გვანაშნებენ, როგორ განვაღვით ჯარები ერთმანეთის პირისპირ.

როცა მოტორტმანე ხიდზე ჩავიმუხლე, რათა ჩემი ჯარისკაცები განმეღებინა, ქვემოდან წყლის რაკრაკი და ოეზების დგაფუნი შემომესმა. ახლად მვეცამხნე, რომ ორთავეს ცხენოსანი ლაშქარი გვეყავდა მოლიანად. ალერტამ დაიქაღნა, ჩემს ამორძალებს დედოფალი გაუძღვებო. მე კი აქილევსი ჩაეუყენე სათავეში ჩემს დიდებულ ბერძენ ცხენოსანთა ლაშქარს. ჯარები ერთმანეთს პირდაპირ იღგნენ, უკეთეს სანახავს თვალი ვერ ინატრებდა. ჩვენებურ, ტყვიას ბრტყელ ჯარისკაცებს კი არ ჰგავდნენ, ამ ფაქიზად ნაკეთებ სათამაშო მხედრებსა და ცხენებს მომრგვალებული ნაკეთები ჰქონდათ. ძნელი მისახედურია, წონააწორობას როგორ ინარჩუნებდნენ, რადგან სადგამები არ გააჩნდათ. ის იყო კმაყოფილი მხერა მოვავლეთ ჩვენს ლეგიონებს, რომ ალერტამ შეტყვის დაწყება მაუწყა. ყუთებში იარაღსაც მივაგვრით — ეს იყო პატარა, კარგად გაპრიალებული აქტის ბურთულები. ამ ბურთულებით ბროლისას გარკვეული მანძილი უხდა დაგვეცვა, ამასთან მტკიცედ დავაქვით, რომ იმაზე ძლიერად არ ვისროდით, რაც ამ ფიგურების წაქცევას დასჭირდებოდა. არც ერთი მათგანი არ უხდა დაჩიანებულიყო. რიგრიგობით ეტყორცნიდით „ყუმბარებს“. თავიდან ორთავე კმაყოფილი ვიყავით. მაგრამ შეამჩნია თუ არა ჩემმა მოწინააღმდეგემ, რომ მასზე უფრო მარჯვე მსროლელი გამოვდექი და ბოლოს გამარჯვებაც მე დამრჩებოდა, — ეს კი ფეხზე დარჩენილ ჯარისკაცთა რაოდენობაზე იყო დამოკიდებული, — ახლოს მოვიდა. იმ ახლა კი მართლა მიჩანში ახედრებდა მოხდენილად ნასროლ ყოველ ყუმბარას. მან ჩემი საუკეთესო რაზმები მოცელა. და რაც უფრო ეცხარობდი, ასე არ შეიძლება-მეთქი, მით უფრო გულმოდგინედ ისროდა. ბოლოს გავწაწმატდი და ეუთხარი, თხა

თხაზე ნაკლები შველსაც შეუჭამია-მეთქი. პოდა, მართლაც, მართლ ახლოს მივედი კი არა, გაბრაზებულმა უფრო ძლიერად დავიწყე სროლა და რამდენაე მხედარი ქალი ნამსხვრევებად ვაქციე. ალერტა თამაშს ისე გაეტაცა, რომ მაშინვე ვერ შეამჩნია ჩემი ნამოქმედარი. მაგრამ აღვიღზე გავქვედღე და ვინახე, როგორ გაბთელდნენ დამტვრეული ამორძალები და ცხენები, სროლად გაცოცხლდნენ და შეერთდნენ კვლავ. ამორძალებმა ოთხით გააჭენეს ხილიდან ცხენები, ძველ ცაცხვებს ჩაუქროლეს, ბოლოს კედელს მიაშურეს და გაუჩინარდნენ. ცამ ჩაულაბა თუ მიწამ, ველარ გავიგე. ჩემმა მშვენიერმა მოწინააღმდეგემ მხედრები რომ მოისაკლისა, ხმაძალა ტირილი და გოდება მორთო, ენით აუწერელი ზარალი მომაყენეო. მაგრამ რაკი ერთხელ გავშმაგდი, მის მწუხარებას აღარ დავიდევდიო, პირიქით, სიხარულით ცას ვეწიე, რომ გული ეტკინა, უკანასკნელ აქატის ბურთულეებსაც დავავლე ხელი და მთელი ძალით ბრმად გავსტყორცნე მის ჯარში. საუბედუროდ, დედოფალს მოვარტყი, ვინც, თამაშის წესას მიხედვით, ბრძოლაში არ მონაწილეობდა. ამორძალი დაიმსხვრა, მის მხლებლებსაც ასეთივე ბედი ეწიათ. მაგრამ მალევე შეერთდნენ და თავიანთი წინამორბედების მსგავსად გაქუსლეს, ცაცხვებში ოთხით გააჭენ-გამოაჭენეს ცხენები და კედელთან გაუჩინარდნენ.

დავამხობდი ფარაონს,
ავაგებდი პირამიდას,
უფრო მაღალს, ვინემ ხეოპსისას,
და ვიქნებოდი
ყველაზე სახელოვანი ეგვიპტელი.

რომ ვყოფილიყავ ხელმრუდე, მაშინ
სარკოფაგს გაუქურდავდი მენკაურისას,
ალექსანდრიელ უბრაულებს მივყიდდი ნადავლს,
შევიძენდი მიწებს და წისქვილს,
და ვიქნებოდი
ყველაზე მდიდარი ეგვიპტელი.

რომ ვყოფილიყავ მე ანტინოე —
წმინდა ნილოსში რომ დაიხრჩო, —
მშვენიერებით გადაურევდი გარშემო ყველას,
სიცოცხლეშივე აღმიგებდნენ დიდებულ ტაძრებს,
და ვიქნებოდი
ყველაზე ძლიერი ეგვიპტელი.

რომ ვყოფილიყავ მე გონიერი —
ქარს გავატანდი ქონებას ჩემსას,
უარს ვეტყოდი ჩინს და დიდებას,
სხვის ბაღია-ბოსტანს მოვუვლიდი
და ვიქნებოდი
ყველაზე თავისუფალი ეგვიპტელი.

რომ ვყოფილიყავ მონა შენი და ფეხის მტვერი —
სადმე მიწურში ვიცხოვრებდი უჩინარი,
ორ-სამ წელიწადში ვნახვდი ერთხელ
ოქროსფერ ქარგას შენი ქოშებისას,
როცა შემთხვევით გაივლიდი მიწურის ახლო,
და ვიქნებოდი
ყველაზე ბედნიერი ეგვიპტელი.

□



ქართული
ბიბლიოთეკა

— იბეგნათნობაჲდუმს გაცხოფიფთოფ მობ
ქთაქობანამ აფ ამინთითოფ იფრთობეზიფაფ
ქმობაბაფ იფრთამზაფაფ
ქაფიფზობინ იფრეგა-გა
ქამაქნოფ მფიფ ქთაფონ თობფ
იფრთბეჭიფ აფ
იფრეგაფ იფრთოფქამა გზაფაფ

თარგმნა ლადო სულაბერიძეა

შინან გფრბზაფ გაცხოფიფთოფ მობ
ქამაქნოფქმს იფრეგაფეგაფ მფაფოქობა
ქთაფაფამ იფრთოფინ მბეფაფაფე ფეფთაფაქნაფ
ქაფიფქამიფ აფ მბეჭინ იფრეგაფენ
იფრთბეჭიფ აფ
იფრეგაფ იფრთოფქამა გზაფაფ

მთიანი კონტი ქალები

ჩემს ბალყარეთში, სად სდუმან მარად
თოვლი და მთები მშვიდი ოცნებით,
ლექსებს რომ თხზაუდნენ, არ ახსოვთ, არა,
ჩემ გაჩენამდე, მანდილოსნები.

ასე ამბობენ, მე კი არ მჯერა,
ვიცი, უცნობი იყვნენ ქალები,
რომ ვერ ბედაუდნენ ლექსების წერას
და საფლავეებში ჩაჰყვათ პწკარები.

პოეტ ქალს მრავალს, — (ეს ნუ გაოცებთ), —
მიწა აყრია გულზე უმხიანთ.
ვით ახლა სდუმან სასაფლაოზე,
ამგვარად სდუმდნენ სიცოცხლეშიაც.

მათ ამუნჯებდათ მკაცრი ადამთი,
ვერ უმღეროდნენ აულის ფერებს,
განთიადიდან განთიადამდი
სდუმდნენ და უხმოდ კვდებოდნენ მერე.

მე ვხუდავ იმათ, ჩემს შორეულ დებს,
უხმო ძახილით მიხმობენ ზეცით.
იმ პოეტ ქალებს, ღმერთო, შეუნდე,
სწვაყს იმათ ცრემლებს სტრიქონთა ცეცხლი.



თქვენ, წინაპარხო, მე სიტყვებს მგზნებართ
გულიდან ალბათ, ამიტომ ვანთებ,
რომ თქვენ არ გქონდათ სიმღერის ნება,
მე კი დღეს მგოსნის ჭაპანი მანდეს.

და ამიტომაც სიმკაცრე შეტად
ჩემი ლექსების შიშართ მწვევია.
ფფიქრობ: ლექსებში ჩავატეე ნეტა
ჩემ წინაპართა დუმილს ცრუმლიანს?

კეთილ ძაღლზე

დღეს წაიყვანეს უხოს ძაღლი მოსაკვდინებლად,
რადგან არ იყო ავი, კბენა არვის ინება.

რადგან ეგონა, — ყველა კაცი მეგობარია,
რომ ეცემათ და რომ დაკბინო, არ ხამს, ბრალთა.

ხალხი კი — მუქთამჭამელია — რისხვით გასძახის
და აი, პატრონს ძაღლი მისდევს შიშით, ცანცანით.

ელაქუცება, კოტრილობს იმის ფეხებთან,
ესახუნება, ხამ ჩექმებზე ლიქნით ესება.

შეშტერებია მას კეთილ და წყლიან თვალებით...
ამ სიკეთისთვის ახლა კლავენ შეუბრალებლივ.

გაშმაგდი ერთხელ, ერთხელ მაინც, საწყალო ძაღლო!
მაგრამ მე ვხედავ, სიკეთის მზე ცრემლებად ალღობს.

და, როგორც უფალს, კაცს შესცქერის კეთილ თვალებით.
ის კი უმიზნებს ტყვიას შუბლში შეუბრალებლივ.

• •

თუ მიხარია, შევლიმებ მუხებს, —
ფრუქნი მოხუცებს, ანდა ყმაწვილებს.
მწუხარებას კი არავის ვუმხელ, —
ვინ გაგიგებს და გაინაწილებს?

ზღვა სიხარული არა მაქვს, არა,
მაინც ვარიგებ კართთ კარამდი.
სევდა კი ძლიერ მამძიმებს, მარა
არ ვუნაწილებ სევდას არავის.

რა დაღევს, აბა, სიხარულს ნამდვილს,
თუ ხალხის გულზე გაქვს შენაღვარი.
არ მსუბუქდება სევდა და დარდი,
თუნდ ას ნაწილად იგი გაყავი.

დარდს არც ქარს ვანდობ, ქარს დაუცხრომელს,
რომ არ ფაახმოს გლურტა, დანდური.
ცოტას ნაკადულს მივანდობ ხოლმე,
რათა არ დაშრეს მთლად ნაკადული.

ასე ვარ, დავას არვისთან ვბედავ.
მიყვარს ხარების ყველგან მოფენა.
სევდას კი ჩემსას, უმძიმეს სევდას
ვინახავ გულში გაუყოფელად.



ადამიანისა და ხალხის სახელით

მე ვარ ხალხი..

პ. ტიჩინა

ეს მე ვარ ხალხი,
ჩემი ნების სიმართლის ძალა.
ჩემივე კანონის სიტყვებში მოსჩქეფს.
გაკაეებულა დიდ ბრძოლებში
სუყველა ძალა,
შემოქმედების გრიგალებში
მივაფრენთ დროშებს.
ეს მე ვარ, ხალხი,
ძლიერი და ძლევა მოსილი.
ეს მე შევძელი გამეკვალა
გზა დიდებული,
გზა იყო ძნელი,
სისხლით იყო იგი მოსვრილი,
მე გავიარე ღირსეულად
ხშალით ქებულთ.
ვერც მტრის სიავემ,
მაუზერმა, ვერცა ტყუილმა
ვერ ამაცდინეს არჩეულ გზას,
არჩეულ მიზანს.
პარტიის აზრით,
მისი სიტყვის რწმენით ვიარე,
მე მისით ვუხიზლობ,



ქართული
საქართველოს

ჩვენი კანონის სადიდებლად
 ხმამაღლა ვყვიროთ,
 ვართ მილიონნი
 ერთი აზრით შედუღებულნი.
 ჩვენა ვართ ერთნი, გვექვია ხალხი,
 რაინდი, გმირი
 და ვრჩებით ერთად
 სამომავლო საქმეს შებმულნი.
 კაცებს ვუბრუნებთ
 კაცისვე შექმნილს,
 ეს მე ვარ ხალხი,
 გმირზე გმირი, შრომით და ბრძოლით.
 თავისუფლება? კი, ბატონო,
 ეს ჩვენს ხალხს ეთქმის,
 მოსულა დღემდე აღზევებით,
 ხმლითა და თორით.
 ადამიანო, ჩაუკვირდი
 კონსტიტუციას,
 იგი გულისხმობს
 ყველა ერის განვითარებას,
 წარსულში ჩემს ტომს
 რა ტანჯვა არ გამოუცდია,
 რა დამცირება, რა კვნესა და
 შკაცრი წაშება.
 შენ გახსოვს კაცი, როგორც მგელი
 მგლებლის ხროვაში,
 ვითარცა მხეცი
 გალიაში ღაფაუდა სულსა,
 იმ კანიბალურს, რაიც ჩაშრა
 ამ ჩემს ხსოვნაში.
 დღევანდელი დღე ვაჟაკურად
 ღაფავს და მუსრავს,
 მე შევაჩვენე წარსულ დროის
 არაკაცობა,
 უნდა დაიცვას სიყვარული
 მკურდით ერებმა.
 დღეის კანონით საბჭოეთმა
 ხალხებს აღწობა
 კაცობრიობის მისკუთვ და
 ბედნიერება.

თარგმანი: ჯანსუღ ნარკვიასვი

ივან კუკალას წინადადით

(ლ. გრაბოვსკის სიმფონიის მოსმენის შემდეგ) ნუსხი



საქართველოს მწიგნობართა კავშირი

ციკლიდან „ღამის კონცერტები“

ტირიფნი გვანან ჩაკიდებულს წყალში ანკესებს,
ჩამოწვა ღამე იდუმალი და ჯადოსნური,
ხაფსიან მუხის ფულუროდან თვალებს აკვესებს
და ღავდაუებს ბუ მარტოსული.
ძაღლების ყუფას ბაყაყების აჭყვა ყიყინი
და ბურქნარებზე ისე ჰყრია ციცინათელები,
მდელო და კორდი

გუგონება ოქროს გვირგვინი,
გაბრწყინებული უხვი ფერებით.
აქა-იქ ბურქში გაივლებს ბასრი ნაჯახი,
ხელი დასტაცე,
დაჭკარი ივასს.
ისმის ხარხარი

და ჭათბიც დულს და თახთახებს,
ფოსფორის შუქით მუხის კუნძი ანათებს ცივად.
აქა-იქ ზოგჯერ
დაიკივლებს ბასავრიუკი,
ოქროს სკივრს უძებს,
უცახცახებს ხელი გაწვდილი.
შიდი.

მისდით,
ჩაეკიდე ხრამებს, ჭიუხებს
და ბელტიანად დაუშინე მწიფე ასკილი.
შიდი და სკივრი გადააბე, როგორც გრანიტი
და ამოხაბე ოქრო-ვერცხლი, თვალ-მარგალიტი,
მათი წკრიალი გველებივით გასრილდება
და მათი შუქი

იფარფატებს ოქროს ლანდებად.
გვიმრის ფოთლები მოჩვენებებს წამორეკავენ,
იკივლებს ბუ და
გაუდგება ღამეს წელკავი,
ვარსკვლავთა შუქით.
სიმღერების გადაძახილით
მიხრიგინებს და მიჭრიალებს ღამის მარხილი.
გვიმრის ყვავილი აცრიატდა ეშმას თვალვიით,
წყევლა-მუქარას ხომ არ ნიშნავს გვიმრის ყვავილი?



მე ნურას მკითხაე...
ჩაუკვირდი და შეიცანი.
ვდუმე ვარ და ველი წინათგორძნობას,
როგორც მისანი.
ვარ მონუსხული ღამის ხმებით,
ფლეიტის ხმებით
და რაც მეტს ვუსმენ —
მათი ტყვე ვხდები.
დაე, გათუნდეს,
დაე, მალე მზის სიმფონიაში
გაფანტოს ღამის ხილვები და მელანქოლია.
და იქნებ აფხსნა, ბუს კივილო,
ხავსო და მუმლო,
ლევენდის სიბრძნე და საიდუმლო.

თარგმნა ურთა ნიუნია ნიკაძე





მხატვარი ტარიელ პარტაგაძე

ქელენა ბობინსკა

ქაბუნაურთა შთამომავლის შურისძიება*

ქართული
ლიტერატურა

რომანი პოლონურიდან თარგმნეს:

ვიქტორ კანნიკოვიჩმა და სტანისლავ რაპინმა

მთარგმნელების აზარი

რომანი იმე წლის წინათ საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა პოლონურეთში გამგზავრება. დასმარებისათვის აღსთვინით მიმართა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების ხელმძღვანელობას. ამ საზოგადოების შაშინდელმა თანამშრომლებმა გულის წადილი შევესრულეთ და მეორე დღესვე ბარისახოსკენ გაეწიეთ. ცოტა ხანს დუშეთში შევიხვეს. დავათვალიერეთ იქაურთა. ვაჭყობდით, ქალბატონი მონიკა იმედგაცრუებული, უკმაყოფილო და გაკვირვებული იყო. სამწუხაროდ, ამინდმა ხელი არ შეგვიწყო, წამოვიდა კოვასპირული წვიმა. გზის გაგრძელება შეუძლებელი შეიქნა და ბარისახოდან თბილისში გამობრუნება მოვიხდა.

შემდეგ თიანეთს მივაშურეთ. „ხევსურთა უმრავლესობა კახეთის ბარაქიან მიწაზე და სამგორის ნოყიერ ველებზე დასახლდაო“. — გვითხრეს. მწერალი ქალის გაკვირვებას საზღვარი არა აქონდა. როცა გაიგო, რაიკომის პირველი მდივანი ფშაველია, მეორე მდივანი კი ხევსურთა. აქ ყველაფერი სრულიად შეცვლილა და გარდაქმნილია. — თქვა ტუნაბრუბულმა მონიკა ვარინსკამ. თითქმის გაწბილებული გამობრუნდა უკან.

ბოლოს გამოგვიტყდა, მას იურზე სურდა, პოლონელი მკითხველისათვის ხევსურთა ადათ-წესებსა და ზნე-ჩვეულებებზე მოეთხროთ და სენსაციური რამ მიეწოდებინა მათთვის. მაგრამ იქ ამენებულმა სკოლებმა, კლუბებმა, საავადმყოფოებმა, სამკითხველოებმა და სასტუმროებმა გუნება „წაუსდინეს“. იმედგაცრუების მთავარი მიზეზიც ეს ყოფილა. მას უნდოდა საკუთარი თვალთ ენახა ცნობილი პოლონელი მწერალი ქალის პელება ბობინსკას მიერ აღწერილი ხევსურთა ცხოვრება და გაუკვირდა. ჩვენ რომ არაფერი ვიცოდით ამ წიგნის არსებობაზე.

ქელენა ბობინსკას „ქაბუნაურთა შთამომავლის შურისძიება“ დაიწერა და გამოვიდა პოლონურ ენაზე 1930 წლის მიწურულს. იმავე წელს გამოცემილია „ვიხლ“-მა („გოსპოდარსტვენთე იზდატელსტეო ხუდოქესტვენთი ლიტერატური“) ეს ნაწარმოები გამოაქვეყნა რუსულ ენაზე, ხოლო 1931 წელს „მოლოდაია გვარდიამ“ ხელმოკრულ გამოხდა იგი. ბერლინის ორმა გამოცემლობამ „უნივერსუმბიუხერაიმ“ და „იუვენდინტერნაციონალემ“ 1931 წელს თითქმის ერთდროულად დასტამბა ეს წიგნი გერმანულ ენაზე. ორი წლის შემდეგ კ. ბობინსკას აღნიშნული რომანი გამოდის ინგლისურ და ნორვეგიულ ენებზე.

განსაკუთრებული პოპულარობა ამ წიგნმა მოიპოვა გერმანიაში, სადაც ის რამდენჯერმე გამოიცა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ბიტლერი ხელისუფლებას ჩაუთოვა სათავეში, ფაშისტებმა სხვა პროგრესულ ნაწარმოებებთან ერთად ეს რომანიც ციცხლში გადაუძახეს...

* იბეჭდება შენიკლებით.

1949 წელს, ბერლინის გამომცემლობა „ნოვის ლებენმა“, ხელახლა გამოიცა გერმანული ახალგაზრდობის საევაოელი ეს საწარმოები.

„როდესაც მივიღე ახალი გერმანული გამოცემის ერთი ეგზემპლარი, წერს ავტორი, — იუვანე, რომ ისინი, ვინც ახლა „შურისძიება“ გამოიცა, იმ დროს, როდესაც წიგნი ცეცხლს მისცეს ფაშისტებმა, მხოლოდ 12 წლის ბიჭუნები იყვნენ. ალტაიკის წიგნი, მათთვის ძვირფასი იყო, რომ პიტლერული რეჟიმის მკაცრ პირობებში მთახერხეს მისი დამალვა, არ შეუშინდნენ საპრობილესა და ტერორს, რათა მას სინათლე ეხილა 17 წლის შემდეგ“.

ახალ გამოცემას შემდეგი წარწერა ამშვენებს: „ეს წიგნი ნამდვილად რომ „ძველია“. ის უკვე გამოიცა ჩვენში 1931 წელს. იმ დროიდან მოყოლებული გერმანულ ლიტერატურაში თითქოს რაღაცა აკლდა ახალგაზრდობის თაროს“.

„მე ვფიქრობ, — დაასკვნის პ. ბობინსკა, — ეს გულწრფელი სიტყვები ყველაზე დიდი საწუქარია მწერლისათვის“.

1947 წელს ვენაში გამომცემლობა „გლობუს-ფერლაგმა“, ბერლინის გამოცემისაგან დამოუკიდებლად, დასტავა „ქაბუნაურთა შთამომავლის შურისძიება“, 1948 წელს ბრატისლავას გამომცემლობა „პრავდამ“ სლოვაკურ ენაზე გამოაქვეყნა ეს ნაწარმოები (თარგმანი შესრულებულია გერმანულიდან), 1952 წელს ეს წიგნი ბუდაპეშტშიც გამოდის უნგრულ ენაზე.

პოლონეთის განთავისუფლების შემდეგ ეს რომანი რამდენჯერმე გამოიცა პოლონურ ენაზე. მანამდე მისი გავრცელება აკრძალული იყო...

პ. ბობინსკამ შესანიშნავად ასახა მაშინდელი საქართველოს ერთ-ერთი ჩამორჩენილი კუთხის — ხევსურეთის ცხოვრება. მწერალმა გვიჩვენა, თუ რა დამღუპველ გავლენას ახდენდა და როგორ აჩანაგებდა სისხლის აღების შავნე წესი ისედაც მცირერიცხოვან ხალხს. მწერალი კარგად გვიხატავს ძველი თბილისის უბნებს, მუშათა ცხოვრებას, რევოლუციის შემოჭრას საქართველოში, ხევსურეთის პეიზაჟებს, ზნე-ჩვეულებებს და სხვა.

რატომ დაინტერესდა პოლონელი მწერალი ქალი საქართველოს, კერძოდ ხევსურეთის თემით? პ. ბობინსკა რევოლუციონერთა ოჯახიდანაა გამოსული. დაიბადა იგი 1887 წელს. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდად, 1905 წლის რევოლუციის დროს, აქტიური მონაწილეობა მიიღო პოლონეთში მწავრელთა წინააღმდეგ ბრძოლაში და შემდგომშიც მის ხელმძღვანელ მოღვაწეებთან ერთად გაბეჯულად დადგა პოლონეთის სოციალისტური პარტიის მემარცხენთა მხარეზე. თუ რას წარმოადგენდა ეს პარტია, ამაზე მეტიველებს შემდეგი ფაქტი: 1918 წელს, როდესაც რუსეთში მიმავალ პ. ბობინსკას აცილებდა ცნობილი პოლონელი რევოლუციონერი ვერა კოსტშევა, მან დაავალა ბობინსკას, ეცნობებინა პოლონეთის სოციალისტური პარტიის მემარცხენთა სრული მხარდაჭერა და სოლიდარობა ბოლშევიკებთან და მათ პოლიტიკურ პრინციპებთან.

ჯერ პეტროგრადში, ხოლო საბჭოთა მთავრობის მოსკოვში გადასვლის შემდეგ, დედაქალაქში პ. ბობინსკა მუშაობდა პოლონურ ენაზე გამოშვებულ გაზეთ „ტრიბუნას“ რედაქციაში, რომელიც ყოველკვირულად გამოდიოდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ. 1918 წლის თებერვლიდან კი იგი ყოველდღიური ორგანო გახდა.

პ. ბობინსკა ხშირად შეხვედრიდა გამოჩენილ რევოლუციონერებს: ფელიქს ძერჟინსკის, იულიან მარხლევსკის, სტანისლავ ბუძინსკის, სტანისლავ ბობინსკის და სხვებს. ამ უკანასკნელს იგი ცოლად გაჰყვა და მასთან ერთად მონაწილეობდა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ქალბატონი მონიკა ვარენსკა ჩვენი თხოვნით სპეციალურად ეწვია პულენა ბობინსკას. პ. ბობინსკა მხოლოდ ურთხელ ყოფილა საქართველოში, მწერალი ერთი თვე ისვენებდა აფხაზეთში, საქართველოსა და ქართველებზე მას ბევრი რამ წაუვიტა და გავგონა. რევოლუციურად განწყობილ მწერალს მოსწონებია ამბავი, რომელიც მას მოუთხრო რუსეთში მყოფმა პოლონელმა კინორეჟისორმა კაზიმერ პერტელმა. იგი 1928 წელს პირველი კინოექსპედიციის მონაწილე ყოფილა კავკასიაში. კ. პერტელი გაცივრებული, აღფრთოვანებული და საინტერესო მასალით დატვირთული დაბრუნებულია მოსკოვში. პ. ბობინსკასათვის, როგორც თვითონ აღნიშნავს, პერტელის მონათხრობი ყოფილა სწორედ შთაგონების წყარო.

იმ დღიდან მწერალმა მოსვენება დაკარგა. ბიბლიოთეკებში შეაგროვა უამრავი ეთნოგრაფიული მასალა და წერას შეუდგა. ბევრ დაბრკოლებას წააწყდა, რამდენჯერმე კიდევ

ვაც გადაიფიქრა, მაგრამ მონდომებამ თავისი გაიტახა. ყოველი წვრილმანის, რაკმულთ-ის, ზუსტი ადგილმდებარეობის, ზნე-ჩვეულებებისა და ადათ-წესების არცოდნის გამო იგი ხშირად მისდგომია დახმარებისათვის მოსკოვში მყოფ ქართულ სტუდენტებს. „ცხრა თვე თავდაუზოგავად ვმუშაობდი, — გაუნდვია პ. ბობინსკას მ. ვარნენსკისგან, — უკვე თავის დროზე ვერ მოვახერხე და ნეტა ასლა მაინც მანასა განახლებული ტექსტის შესაქარა ქაბუნაურთა შთამომავლის ნაკვალევზეო“. — უთქვამს გულარეილებულს.

სამწუხაროდ, ოთხმოც წელს გადაცილებულმა პელენა ბობინსკამ, მოხუცებულობის გამო, ვერ შეისრულა გულის წადილი. გარდაიცვალა იგი 1968 წელს.

ამ წიგნზე გერმანელ მკითხველს თავიანთი ასრის გაუზიარეს ცნობილმა ჩესმა მწუ-რალმა და ჟურნალისტმა ეგონ ერვინ კიშიმა (1885—1948) და გდრ-ის პოეტმა და დრამატურგმა კუბამ (1914—1967).

1966 წელს ნიკო ქაბუნაურის კვალს გამოაყვინ გერმანიის დემოკრატიული რესპუბ-ლიკის ჟურნალ „ფრაიე ველტის“ თანამშრომლები პანს ფროში და პაინც კრიუგერი. მათ იმთავითვე სვესურეთში და წიგნში აღწერილი ამბების ნაცვლად იხილეს განახლებული კუთხე, რომელსაც შემდეგ შესანიშნავი რეპორტაჟი უძღვნეს სათაურით — „ქაბუნაურის ქვეყანაში“. როგორც რეპორტაჟის ავტორები წერენ, ნიკოს გულადობა და ვშირული საქ-მეები შთააგონებდათ ოცდაათიანი წლების ახალგაზრდებს ჰიტლერიზმისა და ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამჟამად რომანის ნაწყვეტები შეტანილია გერმანიის დე-მოკრატიული რესპუბლიკის VIII კლასის სასწავლო პროგრამებში.

პელენა ბობინსკას რომანი მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი, მაგრამ „ქაბუნა-ურთა შთამომავლის შურისძიებამ“ განსაკუთრებული პოპულარობა და აღიარება გერმა-ნიაში პპოვა. ქართული კულტურის წინაშე მწერლის დამსახურება ისაა, რომ პ. ბობინსკამ საქართველოს ერთ-ერთი პოეტური კუთხის, სვესურეთის შეილი, შეუპოვარი და უკეთესი მომავლისათვის მუბრძოლი ნიკო ქაბუნაური მთელ ქვეყანას გააცნო და მის თანატოლებს დაუმეგობრა.

ნ ა წ ი ლ ი I

ნ ი კ ო

ტ ანანაძის ცოლი ვასასი დილიდანვე შესდგომოდა საქმეს. მის ქმარს რუს-თეთრეულს ჰყენდა თოკზე და ბუზღუნებდა, ეს ოხერი ქარი რაღა მაინცდამაინც დღეს ამო-ვარდა, სარეცხი ვერ გამიფენიაო. ძლიერმა ქარმა ხელიდან გამოსტაცა რამდენიმე პერანგი და შუაგულ ბაღისაკენ გააქროლა. ქალი იძულებული იყო ქარის გატაცებული სარეცხი ყვი-თელ ფოთოლთა ორომტრიალში ექებნა.

ბოლოს, როგორც იქნა, გაფინა. სარეცხი თეთრად ქათქათებდა შემოღობის მზეზე.

ვასასიმ გაწეწილი თმა დაივარცხნა, თავშალი გაისწორა და ღია ტიშქარში სულის მო-სათქმელად შედგა.

ხევივით ციცაბო და ქვიანი, უკაცრიელი და წყნარი ქუჩა გაწოლილიყო შუადღის მზეზე. უცბად, ქუჩის ბოლოში, სადაც პატარა სახლების თეთრ კედლებს ლაქვარდოვანი ცა წა-მოსდგომოდა, წითელ ლაქასავით რაღაც გამოჩნდა. მოჰკრა თუ არა თავალი, ვასასი მაშინვე მიხვდა, ის მარინკა ტოლკაჩოვა იქნებო.

„აღბათ, თავის ნიკოს ეძებს“.

წითელი ლაქა ნელ-ნელა დიდდებოდა. უკვე გარკვეულად ჩანდა მოწისფერ ქვედატანში გამოწყობილი პატარა ჩამრგვალებული გოგო. მზემოკიდებული ტიტველი ფეხები ჩუსტებში წაეყო. მზეზე გახუნებული შავი თმა თვალეებში სცემდა. როდესაც ვასასის სახლს გაუსწორ-და, გოგონა შეჩერდა, ეორონცოვის ქუჩაზე გადმომხობილ ლურჯ ცახავით მოკიაფე თვალთა-გან თმა უკან გადაიწია და შეეებით ამოისუნთქა.

— ნიკო ხომ არ გინახავთ? — ჩახლენილი ხმით პკითხა მარინკამ, — დილიდანვე სადღაც გაქრა.

— ალბათ, წყალზე ჩაირბინა, — მხრები აიხეჩა ვასასიმ, — თი წასავ, თუ არ დაეხრჩოს! ბავშვი რომ ვინდოდა, მოვლა-პატრონობაც უნდა შეგედლოს!

გოგონამ მოთრიალად მოისმინა საყვედური, ან რა უნდა ეპასუხა? მარტო ვორცოვის ქუჩაზე მცხოვრებლებმა კი არა, მთელმა ტფილისმა იცოდა, რომ ბავშვი მან იპოვა და მას ეკუთვნებოდა.

მარინკას პატარაობიდანვე ჩვეულებად ქონდა გადაყრილი ძველძეულების, ნიჟარებისა და კენჭების შეგროვება. ის ყველაფერს სახლში მიათრევდა და თვალის ჩინივით უფროთხილდებოდა. მამა ტყუილად კი არ ეძახდა „მენაგვეს“.

ერთ მშვენიერ დღეს, მოუსვენარმა მარინკამ, ძველი დიდი, ან ქოთნის ყური კი არა, თავიანთ კბეზე ცოცხალი ბავშვი იპოვა.

აი, რა უამბო მარინკას დედამ ვასასის:

„გავიხედე, ჩემო კარგო და რას ეხედავ, ჩემს გოგონას რაღაც შეხვეული მოაქვს, თინ განარებული ყვირის: დედა, პატარა ბაია ვიპოვე! დავაშტერდი: მართლაც ცოცხალი ბავშვი, ასე ექვსი თვისა, გულმისაფალი ყმაწვილი, ძველმანებში გახვეული და დაგლეჯილ ხურჯინში ჩაჭედული. გადაეწყვიტეთ ბავშვთა სახლში მიგვეყვანა, მაგრამ ჩემმა მარინკამ ამის გაგონებაზე ღრიალი შორით: ჩემი ნაბოვნი ბაია! არაფის დაუთმობ ჩემს ფუნჩულასათ! რაღას ვიზამდით?“

ასე შეინარჩუნა მარინკამ ბავშვი, მერე კი ვაჭგობული დაიარებოდა ვორცოვის ქუჩაზე „თავისი ფუნჩულით“, — როგორც ის ამაყად ეძახდა ნიკოს.

ბავშვს ყველა აქებდა: რა წყნარი ბიჭია, სულ არ ტირისო. მარინკას კი სწორედ ეს აწუხებდა, ერთს არ წამოიტირებსო.

თრ წლამდე ნიკოს ხმა არ ამოუღია. აზრს იკრებსო, — ამბობდა ტოლკაჩოვა. შემდეგ კი ერთბაშად ალაპარაკდა. ბიჭმა ბევრი მეგობარი გაიჩინა ვორცოვის ქუჩაზე, ბებერი მეკლანე არჩილით დაწყებული, რომლის ქოხიც მთაზე შეყუნტულიყო, და რუსთაველის პროსპექტზე მდგარ ფარდულში მოფუსფუსე ტაბანაძით დამთავრებული. ამიტომ იყო, რომ საწყალი მარინკა დიდიდან საღამომდე „თავის შვილს“ დაეძებდა.

— ალბათ პარკში დახვთილობს, — ტაში შემოაჭრა მარინკამ და ისე მოჭურცხლა, ვასასიმ თვალის დახამსამებაც ვერ მოასწრო.

მარინკა ძელყოფისთან შეჩერდა, ცქვიტად აძერა, მავთულის ბაღეში თავი გაპყო და იქაურობა მიათვალაიერ-მოათვალაიერა. რამდენიმე ნაბიჯზე ნიკო შენიშნა. ბიჭი უღარდელად მოკალათებულაყო დიდი კაკლის ძირში და რაღაცას ჩხირვედელაობდა.

— ნიკო, — დაუძახა მარინკამ.

პატარამ თავი ასწია, მარინკას შეხედა და წყნარად განაგრძო თავისი საქმე.

— ნიკო, ახლავე შოდი აქ!

ნიკომ გაკროლილი კაკალი გატეხა და ნიკოზი შეაკნაწუნა.

— მოხვალ თუ არა?! — გაბრაზებულმა გოგონამ ფეხები დააბაკუნა.

ნიკომ უარის ნიშნად თავი გააქნია.

— საძაგელო, გაუგონარო! ნეტაეი ერთი ძალღებო დაგკბენდნენ, — ასლუკუნდა გაცეცხლებული მარინკა.

ნიკო ოხვრით წამოდგა, კაკალი უბეში შაიყარა და აცრემლებულ მარინკასთან მივიდა: — აბა, გამომალთეი.

მარინკამ ნაბტირალევი სახე ხელის გულით მოიწმინდა და კალთა მიუშვირა. ნიკომ კაკალი კალთაში ჩაუყარა და დოინჯშემოყრილი დადგა.

— აბა, ჩქარა გამოძქერი! — ბრძანების კილოთი მიმართა გოგონამ.

ბიჭი აუჩქარებლად გამობვრა მავთულხლართიდან, ყორედან ჩამობობლდა და მარინკასთან ერთად გაუდგა გზას.

მარინკამ გამოცდილებით იცოდა, თუ ახლა ხელს დააკარებდა ბიჭს, მერე მთელი დღე სახლში ვეღარ შეიკარებდა.

— ასე რომ დარბინარ ბაღში მარტოდმარტო, ნაბავ რა დაგემართება, — სცადა დაშინება მარინკამ.

— ლა დამეშალთება? — ჰკითხა ნიკომ.

— რა და... აქ ერთი მათხოვარი დადის ტომრით, ჩავსვამს და გავაქროლებს.

— ლა მეღე? — კვლავ შეეკითხა ნიკო.

— რა და... — მარინკამ თვალეზი დაპრაწა, — მტკვარში გადავისვრის.



- მელე ლა? — მიუგო ნიკომ.
- მერე ის, რომ დაიხრჩობი, მოკვდები, გაიგე?
- გავიგე.

ნიკო ჩაფიქრდა. აღმათ, ცდილობდა წარმოედგინა, როგორ იხრჩობიან ბავშვები მდინარეში.



ქაჯანაურთა
შთამომავლის
უპრისიება

- მელე ლა? — შეეკითხა ცოტა ხნის შემდეგ მარინკას მოთმინების ფიალა ავესო.
- მერე ის, რომ... აღარაფერს მოგაყვები, შე დოკლაპია, შე ჩერჩეტო!

ნიკო ჯიუტად ცდილობს გაიგოს, რა მოსდით ბავშვებს მდინარეში დახრჩობისას. დაეინებოთ ითხოვს:

- მო-მი-კევი!..

უცხად გაყურდა. შორიდან ცხენის ფლოქვების თქარათქური მოისმა.

მალე ქუჩის მოსახვევში დიდუფახიანი მხედარიც გამოჩნდა. ნიკო ჯერ უზანგს მივარდა, მერე ფეხებზე დაებლაუჭა მხედარს და შესთხოვა:

- ჩალხია, წამიკვანე ლა სენთანს გთხოვ, წამიკვანე!

მხედარმა ბიჭი ხელში აიყვანა. სიხარულით აღტაცებულმა ნიკომ ცხენს „აჩუო“ შესძახა და შიშველი ფეხები კისერში დაუშინა. მარინკა გვერდით მიჰყვებოდა ცხენს, თან ცდილობდა კაკალი არ დასცვენოდა. გაკვირვებული მიშტერებოდა უზანგში გაყოფილ ვეებერთელა ჩუსტს და ბეჭებში მოხრილ უშველებელ მხედარს, რომელიც მუზობლის სახლებს კი არა, ცასაც ფარავდა. მასზე ვეება კაცი მარინკას ვერც წარმოედგინა. ჩალხიას წელს უმშვენებდა გრძელი ხანჯალი. შავ სქელ წარბებს ქვემოდან გამომზირალი ლურჯი თვალები სიყვარულით შესცქეროდნენ ატიტინებულ მარინკას.

— ჩალხია, ჩამოიტანე კარაქი? აქამდე სად იყავი, რატომ არ ჩანდი? დედა რამდენი ხანსა გელოდება. ბაზარში ისეთი უგემური კარაქი იყიდება, პირს ვერ დააკარებ. შენ კი არა და არ გამოჩნდი!

ცხენის ფლოქვების თქარათქურმა ვიწრო ქუჩაშიც შეაღწია და ჩალხს ძილი დაუფრთხო. აივანებზე და ფანჯრებში ქალები გამოჩნდნენ:

- გამარჯობა, ჩალხია! ჩამოიტანე კარაქი, ჩალხია?
- გვესტუმრე, ჩალხია, მობრძანდი, ჩალხია!

ჩალხია ყველას გაღიმებული ესალმებოდა, მაგრამ არაფისთან გაჩერებას და შესვლას არ აპირებდა. ჩვეულებად ჰქონდა, პირველად ტოლკაჩოვებს სწვეოდა. ახლაც ასე მოიქცა. ჩამოქვეითებას და ცხენის ბოძზე მიბმას ვერც ასწრებდა, რომ ტოლკაჩოვას სამოვარი უკვე გამზადებული ჰქონდა და მაგიდას გაქათქათებულ სუფრას აყარებდა.

— როგორ გიკითხოთ, ჩალხია? — დიმილით ეკითხებოდა ტოლკაჩოვა და წინსაფრით ხელებს იმშრალებდა, — პირდაპირ თავი მოგვანატრეთ. ამდენ ხანს რომ არ გამოჩნდით, ისიც კი ვიფიქრე, რაიძე უბედურება ხომ არ შეემთხვა-მეთქი. დაბრძანდით, დაღლილი იქნებით.

ჩალხიამ მაღლობა გადაუხადა და მაგიდას მიუჭდა. ტოლკაჩოვა ბევრს ემუღარებოდა და ებუზღუნებოდა ნიკოს, მაგრამ ბიჭი მოიხელთებდა თუ არა, მაშინვე მუხლზე ააცოცლებოდა ჩალხიას.

— ნიკო, ეხლავე ძირს ჩამოდი, მოსვენე სტუმარი, შე აბუზარო, შე საძაგელო, შენა! „საძაგელი ბავშვი“ თავისას არ იშლიდა. ერთი სული ჰქონდა ხანჯალი ქარქაშიდან ამოღებოდა და შეემოწმებინა, მართლა მჭრელი თუ იყო, ან ვერცხლის ქამარსა და გულმკერდზე გაწყობილ სირმებს შეხებოდა. ამჯერად ნიკოს იმედი გაუცრუვდა. ჩალხიას გულმკერდს უბრალო შავი ჩიტი ფარავდა.

- ჩალხია, სად აღის შენი სიღმები?
- ნიკო, გაკმინდე ხმა ბოლოს და ბოლოს! — გაუბრაზდა დედა.

ნიკო ცოტა ხანს დაღუძდა, მაგრამ კვლავ აბუტბუტდა:

- ჩალხია, სად აღის სენი სიღმები? ლა უკავი ლამაზი ჯვალი?

ჩალხიამ პირთან მიტანილი ჭიკა მაგიდაზე დადგა და ბავშვს გაუღიმა.

- სადა გაქვს დამალული ჯვალი? — დაეინებოთ იმეორებდა ნიკო.

ჩალხია მიხვდა, ბავშვს რაც აწუხებდა და გულმკერდზე დაიხედა.

- სირმები ამის ქვეშ არის დამალული.
- სენც მოიხსენი ლა ეს კონკი! — გაჭირვებულდა ბიჭი.

— არ შეიძლება, ეს გლოვის ნიშანია, — თავი გააქნია მოხუცმა, — ჩვენში ასეთი ადამიანთა: თუ ვინმე მოკვდა ჩვენი გვარეულობიდან, გლოვის ნიშნად დაბა უნდა ვატაროთ.

— ვინ დაგიზარალებდათ? — შეიცხადა ტოლკაჩოვამ.

ჩალხიამ ჩაიშოსე და ღრმად ამოიოხრა:

— ჩვენი გვარისა გარდაიცვალა ერთი, მართალია, ას ოცს იყო გვარეულებული მაგრამ ჯერ კიდევ ყოჩაღად გამოიყურებოდა.

ნიკოს ეს ამბავი ნაკლებად აინტერესებდა, სირმების ნახვა ყველაფერს ერჩია. ლაპარაკში გართულ ჩალხიას არც კი შეუშინებია, როგორ არღვევდა ნიკო ძაფს, ხანდახან ეშმაკურად შეათვალიერებდა ხოლმე დედასა და ჩალხიას.

ჩალხია დიდი ხანია ქალაქში არ ყოფილიყო და ახალი ამბები აინტერესებდა, ტოლკაჩოვა კი იმით იყო ნასიამოვნები, რომ მსმენელი იბოვა. უცებ მარინკამ შეპკვილა:

— დედა, ნახე, ნიკომ რა ქნა?! სულმთლად შემოარღვია ძაძა!

მართლაც, გლოვის ნიშანი სულ შემოერღვია ნიკოს; ჩალხიას მკერდზე გაიბრწყინეს სირმებმა და ნაირფერი ძაფით ამოქარგულმა ჯვრებმა. სიხარულისაგან წამოწითლებული და შემკრთალი ბავშვი მივედრებელი თვალებით შესცქეროდა ხევსურს.

მოხუცმა ერთი პირობა წარბები შეკრა, მაგრამ თავი შეიკავა და უწყინარი სახით თქვა: — ბავშვია, ადამ-წესებისა, აბა, რა ესმის.

ტოლკაჩოვა კარს იქით გაუჩინარდა და მალევე გამოჩნდა; ნემსი, ძაფი და სათითოე მოპქონდა. ნიკოს მორჩილად დაეხარა თავი და ისე უთვალთვალედა, როგორ აკერებდა დედა იმ რაღაც კონკს ჩალხიას მკერდზე. ბოღმისაგან ღრმად ამოიოხრა, როდესაც მისი საყვარელი სირმები და ჯვრები კვლავ ძაძამ დაფარა.

ნიკო აღარ მიეკარა ჩალხიას. მოხუცის მოღუშულმა სახემ და ნაღვლიანმა თვალებმა ჩააფიქრა ბავშვი. ნუთუ მართლა აწყენინა ჩალხიას?

კარგად ნაცხოები ნაბიჯის ხმამ ბიჭს წყენა გადაავიწყა.

— მამიკო!

ნიკოს დღეს აშკარად არ სწყალობდა ბედი. მამამისიც მოღუშული და გაბრაზებული ჩანდა. ბავშვს ჩვეულებრივ არ გაეხუმრა და არ მიესაყვარლა. ხევსურსაც უგემურად მიესალმა და მაგიდას მიუჯდა.

— რა არის ახალი ქვეყანაზე? — შეეკითხა ჩალხია, იქნებ განგებაც, რომ ჩამოვარდნილი სიხუმე დაერღვია.

ტოლკაჩოვმა ჭამა შეწყვიტა და თავი ასწია:

— ახალი? — ცოტა არ იყოს ბრაზიანად წარმოთქვა მან, — ჩვენში ახალი, აბა, რა უნდა იყოს? ძველებურად სულს ხდიან ადამიანს და მითრახსაც არ აკლებენ. შენ კი ან ქედი უნდა მოიხარო უფროსების წინაშე ან კიდევ შიმშილით მოკვდე. ასეა, დიას! ახალი? — გაიმეორა მან გესლიანად. — ახალი ბევრი რამ ხდება ქვეყანაზე, მაგრამ, მხოლოდ ცხრა მთას იქით, რუსეთში, იქაურ მუშებს მოსწყინდათ ასეთი ყოფა და მოახდინეს რევოლუცია. იქ ახლა ძალაუფლება მუშებს ეკუთვნით. აი, ეს მესმის, მაგრამ ჩვენში როდისღა ჩამოადწევს?!

— რაჯი ომი დაიწყო, ხალხი ცოტას ამოისუნთქავს, — თქვა ჩალხიამ, — მაგრამ... ცოტაც უნდა მოვითმინოთ.

ტოლკაჩოვმა ხევსურს შეხედა და წვნიანში პური ჩაიდშვნა:

— სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძრესო, ნათქვამია.

— ამდენს ტყუილად წუწუნებ. — ლაპარაკში ჩაერია ტოლკაჩოვის შეუღლე, — სხვებთან შედარებით რკინიგზელებს მაინც არა გვიშავს რა.

— როგორ არა! — გაცხარდა ტოლკაჩოვი. — რკინიგზელებს, შეიძლება მართლაც არა გვიშავდეს რა, მაგრამ ახლა სახელოსნოს მუშების ამბავიც იკითხე!

— ნიკო, ჩამოხვალ მანდედან თუ არა? — უკივლა დედამ.

ნიკო ჩალხიას ცხენზე გამოჭიმულიყო. ამაყობდა, რომ თავის სიცოცხლეში პირველად, სხვის დაუხმარებლად მოახერხა ცხენზე შეჯდომა. სიხარულით ხელებს უთათუნებდა უნავირს.

— შეხე ერთი ამ უალთაბანდს! — გაიცინა ტოლკაჩოვმა, — როგორ მოახერხა ცხენზე შესკუბება?

ნიკოს დაცდილი ჰქონდა, თუ მამა იცინოდა, დედა ხელსაც არ ახლებდა. ცხენიდან ჩამოხტომის ნაცვლად ხევსურს შეეხვეწა:

— ჩალხია, აუშვი ლა ცხენი მინდა გავაწენო!

ხევსური ცხენთან მივიდა.

— გინდა ბავშვი შემოიკლა? — ეცა ტოლკანოვა ჩაღხიას.
 — არა უშავს, — ჩაიციხა ჩაღხიან, — დე, აქედანვე მიეჩვიოს ყველაფერს.
 — მაგანაც თქვენსავეით მოებში ხომ არ უიდა იხეტიალღს?! — ცოტა ნაწყენი კულოთი
 შიმართა ქალმა.
 — მალაღმა ღმერთმა იცის, ვის რა უწერია ცხოვრებაში, — წყნარად უპასუხებდა
 წარბეზადილი ჩაღხია ამაყად შეცქეროდა ნიკოს.

„KAMERADE“

— უველა ახალგაზრდა თავქარიანია, როცა შეხხელა ვიყავი... რამდენისა ხარ? ექვსია? —
 სათვალის ზემოდან გაღმობედა არჩილმა ბიქს.
 — შვიდის, — ამაყად შეუსწორა ნიკომ.
 — აჰა, შვიდის! — არჩილმა რამდენიმე ლურსმანი ჩაარტო ჩექმის ქუსლში და განაგრძო: —
 როცა შვიდისა ვიყავი... — თავი ასწია, — ქვეყანა ერთი ბეწო შეგონა, გაჭირვების მეტი არა
 მინახავს რა. ახლა ცოტათი მაინც არა მიშავს: საკუთარი ჭერი მაქვს და სკამი მიდგას სახლში.
 ნიკო ღუმლა და თვალს არ აცილებდა მარჯვენდ მომუშავე არჩილს.
 — შემანქანე გამოვალ, — ცოტა ხნის შემდეგ თქვა ნიკომ.
 — შემანქანე? ჰო, არც ისე ადვილია მთელი დღე ორთქლმავლის ღუმელთან ტრიალი.
 — ერთხელ მამახეშმა ორთქლმავლით გამასეირნა, — შეაწყვეტიხა ნიკომ, — იცი, რა კარგი
 იყო? თანაც მამიკომ მასწავლა სიჩქარის მომკატება, გაჩერება...
 — ძნელი ხელობაა შემანქანობა, — ამოიოხრა არჩილმა.
 — როცა გავიზრდები, ღონიერი ვიქნები! — დაამშვიდა ნიკომ არჩილი, — უურადლებითაც
 ვიქნები, რომ მატარებელი ლიანდაგიდან არ გადავიდეს, ჰოდა, მთელ ქვეყანას მოვივლი. ლი-
 ანდაგი ხომ მთელი დედაშიწის ზურგზეა გაყვანილი?
 ხარაზმა ჩექმა მუხლებში მოიქცია. «ეს რა ბავშვები იზრდებიან ახლა, ამ თითისტოლას
 ვერ უყურებ?»
 — მაშ, შემანქანე უნდა გამოხვიდე, ჰა? — წაიბურტყუნა ბოხუცმა.
 — ჯერ რაღაც სასწავლებელი უნდა დავამთავრო, — თქვა ნიკომ, — მერე კი ისეთი სკო-
 ლა, სადაც შემანქანობას ასწავლიან.
 — სწავლა კარგი საქმეა, — დაეთანხმა არჩილი, — მაგრამ შენ მიგიღებენ?
 — მარინკამ მითხრა, მიგიღებენო. ის სწორედ იმ სკოლაში სწავლობს და მეც მასწავლის.
 ჩვენ უკვე მოვილაპარაკეთ: მარინკა კონდუქტორი იქნება, მე კი შემანქანე გამოვალ. ერთად
 მოვივლით მთელ ქვეყნიერებას. მამიკო ამბობს...
 უცებ ნიკოს სიტყვა ყელში გაეჩხირა.
 ქოხში ვიღაცა ნელ-ნელა შემოდრიოდა. ჯერ ხის ყავარჯენი გამოჩნდა, შემდეგ პატარა
 მრგვალქუდიანი თავი, ბოლოს გაცვეთილმუნდირიანი უშველებელი ტანი. ჩექმაგავარდნილი
 ცალფეხა კაცი ქოხში ძლივს შემოეჭია.
 — საღამო მშვიდობისა!
 არჩილი თავაზიანად მიესალმა, შეკეთებული ჩექმა თაროზე შემოდო და ახლა მეორეს
 მისწვდა, თან ჩუმჩუმად სტუმარსაც ათვალაიერებდა: «ტყვე... აესტრიელი... ხეიბარი... მეჯღანეს
 რა ხეირი უნდა ჰქონდეს მისგან», — ფიქრი და თვალაიერება ერთად შეწყვიტა არჩილმა.
 ნიკო მიხედა, სტუმარს დაჯდომა უნდოდა, სწრაფად წამოხტა ტყავგადაკრულ სკამიდან
 და ფანჯარისთან დადგა. სტუმარი მძიმედ დაეშვა სკამზე და ყავარჯენი კედელზე მიაყუდა.
 მერე უურადლებით მიათვალაიერ-მოათვალაიერა თაროებზე დალაგებული ჩექმები და დამტკ-
 რული რუსულით თქვა:
 — თქვენ მხოლოდ ძველების შეკეთება შეგიძლიათ, თუ ახლებსაც კერავთ?
 — ვითომ რატომაც არა? ახლებიც შეიძლება, — უპასუხა არჩილმა, ჩექმას ლანჩა მოარ-
 გო და თან თვალი სტუმრის ერთადერთი ფეხისაკენ გააპარა. სტუმარს არ გამოეპარა მასპინძ-
 ლის მზერა, გაწითლდა და ნაღვლიანად გაიღიმა:
 — ალბათ ფიქრობთ, ხეიბარისგან რა ხეირი მექნებაო, არა?
 — ვითომ რატომო? — შეიშმუნა არჩილი, — ეს-ესაა...

¹ ამხანაგი (გერმ.).

— ღმერთმა ხომ იცის, — სიმწრით წარმოთქვა დასახიზრებულმა, — ორივე მკონდა. ორივე ფეხი მება, როცა თქმი წამიყვანეს. ფეხები და მერე რა ფეხები... — ისე ლოქად ამო-
იბრა, მისმა ფართო გულ-მკერდმა თითქოს სუნთქვა შეწყვიტაო. — რას იზამ, რამერატორს
ჩემი ფეხი დასჭირდა და სამშობლოს ვანაცუაღე. — ხმას აუმაღლა სტუმარმა. — მაგრამ, —
მუშტი შემართა მან, — ძვირად დაფუხვამ იმპერატორს ამ ფეხს...

— ავსტრიელი ხართ? — შეეკითხა არჩილი.

— არა, ბავარიელი, ბავარიიდან გახლავართ, aus bayern¹. ხმა გაფარდა, დღეს-ხვალ ეშე-
ლონი გერმანიაში წავაო, — ცოტა გამოცოცხლდა ტყვე. — არ მინდა შინ ცოლ-შვილს მათხო-
ვაროვით დაეუბრუნდე. ერთი ფეხი საღდაც დავტოვე და მეორეზე მაინც მეცვას. როგორც
წესი და რიგია, nicht war?²

— აბა, რა, — კვერი დაუკრა არჩილმა. მერე თავისი კლიენტის საკმაოდ გაცვეთილ, მიბ-
რეცილ-მობრეცილ ჩექმას შეხედა და კეფა მოიფხანა. — შეკერვა შეძლება... ვითომ რატო-
მაც არა? განა რა უნდა ვაანგარიშო რთ, ნახევარი? ნახევარი ტყავი ქი ღარჩება, მაგრამ
რამილა გამოვიყენო? — არჩილმა თართდან ტყავი ჩამოაღო და დაფიქრებულმა ვალატრიულ-
ვადნოატრიულა.

— არჩილ, მაგისგან ორი პატარა ჩექმა ნაღდად შეიკერება, — სწრაფად მიანალა ნიკომ.

— ჰო, ჰო, ჰო! — აღფრთოვანდა გერმანელი. — ხედავ რა ბიჭი ყოფილა, ein braver
Junge Ganz recht³ ორი პატარა! Ganz recht! — როცა იცინოდა, უფრო ახალგაზრდულად
გამოიყურებოდა. მას ქერა თმა და ღია ცისფერი თვალები ჰქონდა.

ნიკომ მიუახლოვდა არჩილს და ტყავის ფეშტამალზე მოქაჩა:

— ჰა, არჩილ, რას იზამ? შეუკერავ ამ ძიას ჩექმას?

თვითონაც არ იცოდა არჩილმა, ასე გულით რად ეწადა გერმანელისთვის ჩექმა შე-
კერა. ისე დღლაკდა, ყელში ბურთოვით რაღაც მოსწოლოდა.

— თუ შეკრავა, შეკერვა იყოს! — თქვა არჩილმა და ტყავი გვერდზე გადადო.

— Jawohl!⁴ — ვუღიანად გადაიხარხარა გერმანელმა, უბის ჯიბიდან საკმაოდ სქელი ტყა-
ვის საფულე ამოიღო და მაგიდაზე დადო გაზინთული ფული. — საკმარისია? Genug?⁵

ხარაზმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. შემდეგ ჩაიმუხლა და გერმანელს ერთადერთი
ზორბა ფეხის ზომა აუღო. ნიკო ცმუჟავდა, ეტყობოდა რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ ვერ
გაებედა. ბოლოს მაინც ვერ შეიკავა თავი და მოჭრილ ფეხზე ანიშნა და თავისდაუნებურად
წამოროშა:

— იმპერატორი? იმპერატორი გიზღავთ ახლა ამ ფეხისათვის?

ტყვემ გაოცებით შეხედა ბიჭს და სახეწამოტარხლებულმა წამოიყვირა:

— O, du Junge! Donnerwetter!⁶ იმპერატორი ზღავსო? დიას, ჩვენ ახლა უნდა ეზღათ
ჩვენს სისხლი! ჩვენს ჭრილობებისათვის! — ღონიერად დასცხო მაგიდას მუშტი, ისე მაგრად
დასცხო, რომ ზედ დაყრილი წვრილი ლურსმნები და გასანთლული ძაფებიც აცეკვდნენ. —
გენერლები საქობელივით მიგვერეყებოდნენ იმპერატორისა და სამშობლოს სახელით, ახლა
ჩვენ მაგათ ვაჩვენებთ სეირს, ჯერ დაგბრუნდეთ იმასვე ვიზამთ, რაც ბოლშევიკებმა Sowjet
Russland⁷-ში ქნეს. Jawohl! იმასვე!

არჩილს გაუჭირდა ზომის აღება, ისე ხერვიულად უხტოდა ფეხი გერმანელს, ისე ცხა-
რობდა, არჩილსაც ლოყები შეეფაკლა და თვალები გაუბრწყინდა. ნელ-ნელა წამოდგა, მაგი-
დაზე დადებულ ფულს მისწვდა და გერმანელს უკან დაუბრუნა:

— ისედაც შეიკერება, უფასოდ... Ohne Geld⁸ — ჩაუბრთო არჩილმა, როცა მიხვდა, გერ-
მანელს ვერაფერი გააგებინა. — ამით ბავშვებს საჩუქრები უყიდეთ, Ka-me-ra-ile — დიპლით
დაასრულა სიტყვა.

1 ბავარიიდან (გერმ.).

2 ხომ მართალია? (გერმ.).

3 ყოჩაღი ყმაწვილია. ნამღვილად! (გერმ.).

4 რა თქმა უნდა (გერმ.).

5 საკმარისია? (გერმ.).

6 ო, ყმაწვილო! ეშმაკმა დაღახვროს (გერმ.).

7 საბჭოთა რუსეთი (გერმ.).

8 უფასოდ (გერმ.).

ახლა გერმანელი ყველაფერს მიხვდა. სახეგაბრწყინებულს არჩილს ძარღვებანი ხელი თავს ზორბა ხელისგულში მოექცია და იმეორებდა:

— Ja, ja, Kamerade!

ფართო გულ-მკერდზე ხელი მიიღო.

— მე ბოლშევიკი ვარ, ბოლშევიკი!

ჯიბიდან აჩქარებით რაღაც ბეჭედდასმული ფურცელი ამოიღო და არჩილს გაუწოდა.

— წაიკითხეთ.

არჩილი ნაწერს თითს აყოლებდა და ბავშვური სიხალისით კითხულობდა:

— კო-მუ-ნის-ტუ-რი პარ-ტია.

არჩილი ნიკოს მიუბრუნდა.

— ნიკო, გაიქეცი ერთი, შენს გაზრდას, ი თხას მიხედე, კიდევ არსად გადაიკარგოს.

როცა აქომიხებულნი ნიკო ქოხში შევიდა, მათ უკვე დაემთავრებინათ საიდუმლო ქაღალდის კითხვა. არჩილს კვლავ გაბრწყინებული სახე ჰქონდა.

— ალექსანდროვის ბაღში დღეს ჩვენები მიტინგს მართავენ. მენშევიკები, ალბათ, შეეცდებიან მიტინგის ჩაშლას, მოიწადინებენ ხალხის გასულელებას და ახალი ომისათვის წააჭებენ.

— საომრად?! ბოლშევიკების წინააღმდეგ? პა, პა, პა! — გადაიხარხარა გერმანელმა — ხალხი სულელი როდია, საკმაოდ იბრძოლა მეფისათვის! ახლა მხოლოდ თავისთვის იბრძობენ.

არჩილმა ნიკო დალახდა და ფურცელი სწრაფად ჩაიღო ჯიბეში.

— უსროლელად არ გადაარჩება, — წუნარად უთხრა გერმანელს. — კედია! თავისი რაზმით გამოჩნდება თუ არა, მაშინვე სროლა ატყდება.

— ტყვია ჩვენთვის ახალი ხელი არ არის, nicht war? — თვალეშში მრისხანება ჩაუდგა გერმანელს. — ვნაზით. უკვე წასვლის დროა. საცაა დაიწყება, მე კი სიარული მიჭირს. პარკამდის საკმაო მანძილია. — იგი სკამზე აცმუკდა და ყავარჯენს მისწვდა.

ნიკო მიხვდა, ყოველ წუთს შეიძლება სროლა ატეხილიყო.

იგი შეუმჩნეველად გამოვიდა ქოხიდან, ქუჩა გადაიარბინა და მტკვრის ნაპირს მიბჟეა.

წითელი უუკი

პარკში მიტინგი დაწყებულიყო. ამდენ ხალხში ნიკო ძლიერს მიიკვლევდა გზას. ცდილობდა იკითვენ გამძვრალიყო, საიდანაც ორატორის გამოვიდნენ ხმა მოისმოდა.

— სამი წლის განმავლობაში, — ამბობდა ორატორი, — 1917 წლის თებერვლიდან, მეფის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ, საქართველო თავისუფალი და დამოუკიდებელია. მაგრამ განა ასეთ თავისუფლებაზე ვოცნებობდით, როცა 1905 წელს მეფის ხიშტებს მკერდს ვაგებებდით? ნუთუ ასეთ დამოუკიდებლობაზე ვოცნებობდით?

— მართალს ამბობს! — გაისმა ხმები.

— მენშევიკურმა მთავრობამ არც ერთი დაპირება არ შეასრულა! — ბობოქრობდა ორატორი, — მიწა წინანდებურად შემამულეების ხელშია, ფაბრიკებს კი კაპიტალისტები დაპატრონებინან.

• ძირს მენშევიკები! ძირს გამყიდველები!

— ამხანაგებო, მენშევიკური მთავრობა ნაწილ-ნაწილად ჰყიდის საქართველოს. ინგლისელებს რომ ბათუმის ნავსაყუდელი და ნავთობის ბაზა მიჰყიდა, ეს ხომ ცნობილია. აშკარად მოგვატყუეს, ამხანაგებო! ინგლისელები ნავთის ნაცვლად პურს შეგვპირდნენ, მათ გვმებს კი თოფები და ზარბაზნები მოაქვთ, რათა ჩვენს მიწაზე საბჭოების წინააღმდეგ თეთრების ახალი ბანდა ჩამოაყალიბოთ.

მოედანზე ხალხი შეჩოჩქოლდა.

— ძირს მენშევიკები! გაუმარჯოს საბჭოებს!

1 დედანშია კოლია.

2 ხომ მართალია? (ვერს.).



ქართული
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
საბჭოთაო
საბჭოთაო

— მომეციო სიტყვა! — წამოიძახა ახალგაზრდა შლაიანმა კაცმა ხალხი აყაყანდა.

— სუ აებედებთ! ძირს მენშევიკები

პენსნეანმა კაცმა რის ვაი-ვაგლახით მიაღწია მერხამდე. ზედ შეხტო და ჩვენი მთელი კასრია რალაცას გაჰყვიროდა. პენსნე უბრწყინავდა, ხოლო მოშვებული წვერი სხვათადად უცანცარებდა.

ნიკომ გაიგონა შეძახილები: „ძირს!“ „საკმარისია!“ და გაბმული სიტყვა. იმ კაცს ვიღაც სწვდა ინგლისურ პალტოში და მერხიდან ძირს ჩამოათრია.

ახლა სხვა ორატორი გამოვიდა. სიჩუმე ჩამოვარდა. ამ მომხსენებლის პირველ სიტყვებზევე ნიკო გახევდა: „მამიკო!“

მართლაც, ნიკომ მერხზე ასულ თავშიშველა მამაკაცში მამამისი შეიცნო, რომელსაც სამუშაო ხალათი ეცვა. მამის ხმა, პარკში რომ გაისმოდა, ნიკოს სულ სხვანაირი მოეჩვენა: ძლიერი, არაჩვეულებრივი, დამაჯერებელი.

— ყურადღება, ამხანაგებო! ეს ვაგბატონები, ახლა სამშობლოს თავისუფლებაზე რომ ლამაზ სიტყვებს წარმოთქვამენ, მამინ საღ იყვენენ, როცა ტფილისელი მუშები და მთებში გაჩინული პარტიზანები 1905 წელს მეფის ჯარს ებრძოდნენ?

— პეტერბურგში გაიქცნენ, გამყიდველები! — წამოიძახა ვიღაცამ.

— მართალია! პეტერბურგისაკენ მოუსვენს, მეფეს რომ დახმარებას შევედრებოდნენ აჯანყებული მუშების წინააღმდეგ.

— სირცხვილი მათ! ძირს მოლაღატენი!

— ... იცით, რატომ სიტყვაუხვობენ, სამშობლოს დავიცავთო? იმიტომ, რომ წითელმა არმიამ საბოლოოდ გაანადგურა ვრანგელი და ერთ მშვენიერ დღეს ყირიმზე გათავისუფლდება.

— გაუმარჯოს ლენინს! გაუმარჯოს საბჭოებს!

— ...ახლა სურთ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გვიბიძგონ, ახალი რომ წამოიწყონ.

ხალხი აყაყანდა: „არ წავალთ!“

— ბოლშევიკების ჯამუშია! — წამოიკიელა პენსნეანმა კაცმა, მაგრამ მუშებმა ხმა ჩააკმენდინეს. პენსნეანი ახალგაზრდა ნელ-ნელა ტიშკრისაკენ მიიწევდა. მას კიდევ რამდენიმე კაცი მიჰყვა.

ახლა ტრიბუნაზე ერთი ქართველი ქაბუკი ავიდა, თვალებანთებულს სახე მთლად გაფითრებოდა.

— ამხანაგებო! — დაიბუხუნა მან, — გაუმარჯოს ამიერკავკასიის ხალხთა ძმობას! გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს! გაუმარჯოს ლენინს!

— გაუმარჯოს!

ძლიერმა შეძახილმა ისე შეარხია პაერი, რომ ყვითელი ფოთლები მიწაზე ჩამოცვივდა. უეცრად წითელი დროშა აფრიალდა.

ყოველივე ეს ძალიან სწრაფად მოხდა. ნიკო უკვე ხიდან ჩამოდიოდა და მამამისისაკენ აპირებდა გაქცევას, როცა მოესმა:

— გვარდიელები!

ბიჭს საკუთარი გულის ფეთქვა ესმოდა. სული განაბა. ხალხი შედრკა; ზოგმა უკან დაიხია. ამ დროს მამამისის ხმა გაიგონა:

— შესდექით! ფეხი არ მოიცვალათ!

გვარდიელებმა ორივე მხრიდან დაუარეს და შეკრებილთა შუაგულში შეიჭრნენ.

— შესდექით! არ დაიშალოთ! — ბობოქრობდა ტოლკაჩოვი. — ჩვენ ხომ გვაქვს სიტყვის თავისუფლება! ხომ გვაქვს კრების უფლება!

ხალხი აქეთ-იქით მიაწყდა, მაგრამ არ გაქცეულა. მუშტებისა და ფეხების ცემით გაცოფებული ცხენები ყალყზე დგებოდნენ. წითელი ბაი-

რალი ხელიდან ხელში გადადიოდა და ალივით გიზგიზებდა. გვარდიელმა ხელი წაატანა დროშას, მაგრამ ერთი ქალიშვილი მოხერხებულად სწვდა ბაირალის ტარს. გვარდიელმა ხმალი დაჰკრა მხარზე. ქალიშვილი მიწაზე დაეცა. ხალხი მიცვივდა, აბობოქრდა, დაიძრა. რამდენიმე ხელა გვარდიელს მისწვდა; დაეჭაჭვურნენ და ცხენიდან ჩამოაგდეს. წითელი ბაირალი კვლავ აფრიალდა. საერთო არეულობაში ტოლკაჩოვმა დაიგრგვინა:

— ტიშკრისაკენ! მარცხნივ! მარცხნივ დაიხიეთ!

უცბად პირველი რიგები აირია:

— კედია! კედია!

ვორონცოვის ქუჩიდან ქვეითთა რაზმი მოაბიჯებდა: ხელში შემხანები უფროდით. მათ წინ რაზმის უფროსი კედია წაბლა ცხენს მოანაეარდებდა.

კედის რაზმმა მუშებს გზა გადაუჭრა.

ნიკო კანკალებდა, ხეს ეკვროდა და უთავბოლოდ იმეორებდა: „მამიკო, მამიკო! რაზმი სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა. მაშინებმა გაიბრწყინეს, გაისმა სიროლა დაჭრილებს კენესა და გმინეა აღმოხდათ. ხალხი უგზოუკვლოდ გარბოდა. კედია იმ ხის ძირში აღმოჩნდა, რომელზედაც ნიკო ამხერალიყო. ბიჭი ხედავდა კედის ფართო მხარბეჭზე დაკერებულ ვერცხლისფერ ეპოლეტებს. ნაცრისფერ ფაფახს და ცხენის ლაპლაპა ვაეას.

უცბად მამა შენიშნა. იგი სულ რამდენიმე ნაბიჯზე იდგა და რევოლვერშემართულს მიზანში კედის თავი ამოელთ.

როცა კედამ ხმალი იშიშვლა და ბრძანების ვაცემა დააპირა, უცებ ვაკარდა თოფი. კედია უნაგირზე გადაქანდ-გაღმოქანდა, მაგრამ არ გადმოვარდნილა, მხოლოდ ხმალი გაუვარდა ხელდან. რამდენიმე წარისკაცი კედის მივარდა, დანარჩენი კი ტოლკაბოვს დაედევნა. მაგრამ იგი წყალში ჩაეარდნილი კენჭივით თვალსა და ხელს შუა გაქრა.

ნიკოს აღარც კი ახსოვს, რა მოხდა მერე, რამდენ ხანს იჯდა კიდე ხეზე, როცა გამოერკვა, ირგვლივ სიჩუმე იდგა. სადღაც შორიდახ გვარდიელთა ცხენების ფლოქვების თქარათქური მოისმოდა. პარკში ბნელოდა. მიწაზე აქა-იქ ადამიანები ეყარნენ.

დაჭრილები? იქნება მკვდრებიც არიან?

ბიჭი ხიდახ ჩამოცოცდა და უკაცრიელ ხეივანს მიჰყვა. შორიასლო უძრავად მდგომი წარისკაცი შენიშნა, რომელსაც მხარზე შაშხანა ეყიდა. ნიკომ მას გვერდი აუარა. ცოტა რომ გაიბრბინა, ფეხებში რალაცა წამოვლი. დააკვირდა და ყავარჯენი შენიშნა. იქვე ვიდაც კაცი გაშოტილიყო. მრგვალი ქუდი მოხლოდა, ქერა თმა შუბლზე ჩამოშლოდა. ცალფეხა იყო. ნიკომ მაშინვე იცნო ის გერმანელი, ვინც არჩილს ჩექმა შეუყვებოდა.

განა ახლახან არ იყო მხიარულია რომ ლაპარაკობდა და იცინოდა, ბოლშევიკი ვარო? ახლა კი... ნეტავ დაჭრილია?

ბიჭმა დაიხოქა, პატარა ხელით მისი ზორბა მარჯვენა აიღო და არჩილივით დამარცვლით წარმოთქვა: „Ka-me-ra-de“. მაგრამ გერმანელი არ ინძრეოდა, იწვა ვეებერთელა კაცი ღიად დარჩენილი თვალები ცისთვის მიეპყრო.

ნიკო შიშმა აიტანა. წამოხტა და უკანმოუხედავად მოკურცხლა.

ტიშკრამდე რამდენიმე ნაბიჯიდა დარჩა. კარს იქით ქუჩია, ხალხი და სახლი, დედა, მარისკა და მამიკო. ოღონდ დროზე გავიდეს ქუჩაში.

ბიჭი უცბად შედგა. კარი დაკეტილი დახვდა.

რატომ? ვერ ხომ აღრუა? ნიკო თვალებს არ უჯერებდა. რამდენჯერმე დაეჯაჯებოდა რკინის სახელურს, მაგრამ კარი კარგა მაგრად იყო ჩარახული.

რა ქნის? იქნებ მესერში გაძრომა მოახერხოა, როგორც აღრე შერებოდა, როცა მარინკას პარკში გაეპარებოდა ხოლმე?

აქვე ახლოს ხომ შეორე კარიც არის, — ნიკო მესერს მიჰყვა, პარკისკენ აღარც გაუხედავს. უფრო ამაღლდნენ და ჩამუქდნენ კვიპაროსები, ფოთლები ისე შრიალებდნენ, თითქოს პარკის შუაგულში ვინმე ჩურჩულებსო. მესერს იქით კი ქუჩია, სახლი და შუქი. მთავარია როგორმე კარამდე მიადწიოს!

ნიკო კარს ეცა — დაკეტილია... ვინ გაულებს? ქუჩა უკაცრიელი იყო. ხალხი სახლებში შეუხუთლიყო. როცა კედის რაზმი ქალაქში დათარეშობს, სახლში ჯდონა სჯობს. არავის ესმოდა სასოწარკვეთილი ნიკოს ძახილი. ბიჭს მთლად გამოვლია ძალ-ღონე. უღონოდ დაეშვა მიწაზე და მწარედ აქვითინდა. უცბად გაახსენდა, რომ იქვე ახლოს, კართან, პატარა თლის ქვეშ, წყალი გაედინებოდა. ხშირად ბიჭები პარკში იქიდან ძვრებოდნენ ხოლმე.

ნიკოს კვლავ იმედა მიეცა. თალი უფრო ახლოს ყოფილა, ვიდრე ეგონა. წყალი მუხლამდე სწვდებოდა, მაგრამ ამას არა უშავდა რა. ერთი სული ჰქონდა, აქედან როგორმე გაეღწია. ყველაზე უფრო თლის ქვეშ გაძრომა გაუჭირდა, სულ ზოხეა-ზოხევით გავიდა. გალუმბული გავარდა ქუჩაში, გბილს კბილზე აცემინებდა; მაშინვე შინისაკენ მოკურცხლა, თუმცა სირბილი უჭირდა, სველი შარვალი ფეხებზე ეკვროდა.

„ესეც შენი ვორონცოვის ქუჩია! — შვებით ამოისუნთქა ნიკომ. — აი ვახსის სახლიც გამოჩნდა, ჩვენიც მალე იქნება! ნეტავ მამიკო თუ დაბრუნდა? იქნებ დაიჭირეს?“ — გაპკრა უცბად გულში.

რამდენიმე ნაბიჯიდა დარჩა. უკვე გამოჩნდა სახლის სახურავი და მეორე სართულის

დაწყნარებულ-დაყვავებულნი ნიკო უკან ბრუნდებოდა, მაგრამ ჩაღხიას დანახვისთანავე გუნება შეეცვალა. მუშტებშეშართული ეცა ხევსურს.

— ყველაფერი შენი ბრალია! მეზიხლები! ჩემმა თვალებმა აღარ გნახოს!

შვიცი და გულწაბრობილი ხევსური უჩუშრად შეჰყურებდა მას.

ბიჭი ბოლოს მოეშვა ჯიჟინს და ატირებული გაეარდა ქუჩაში. მანამდე ყველაფერს ვიწყებდა.

ნ ა წ ი ლ ი II

გ ა ნ ე ბ ი ვ რ ე ბ უ ლ ი

ვაჭარ ტაპანაძის ფარდული შემოღგომის მრუზე ბარაქიანად და მრავალფეროვნად გამოიყურება. გამგლეღის თვალს შორიდანვე ახარებს: ლალისფერი ბროწეული, თქროსფერი კომში, ლოყებწითელა ვაშლი და დამკრახული ყურძნით ავსებული კალათები.

ტანდაბალი და ღიბიანი ტაპანაძე ჯარასავით ტრიალებს ფარდულში. მისი კორფლიანი ხელები ზომავენ და წონიან. მკლავმოუღღელი ტაპანაძე კალათებში აწყობს ვაშლს, ყურძენს, კეკელს...

ნიკოს ვაჭრობისა არა გაეგება რა. მან არაფერი უწყის იმ დიდ გზაზე, რომელიც ამ გვერდელმა ხილმა უნდა გამოიაროს, სანამ ტაპანაძის კალათებში აღმოჩნდება. სამაგიეროდ, ნიკოს გასინჯული აქვს აქ მოტანილი თითქმის ყველა ხილის გემო. ყურძნისა და მსხლის წვენიდან თითები ერთმანეთზე ეწყებება. ნიკო ფარდულში ერთ ცარიელ ყუთზე მოკალათებულა და ციცივით ღრღინს რაც ხელში მოხუდება.

ნიკო ყველა მუშტარს ზედმეტ სიროთს უახამს, შეზავებისას კი წყალს ყოველთვის ღვრის. ნიკოს ასეთი უყიარათობით ტაპანაძეს გული უსიამოდ ეკუმშება. ლამის დაუღრიალოს ბიჭს, მაგრამ საქმარისია ნიკომ თავისი ნათელი თვალებით ერთი შეხედოს და გაუღიზოს, რომ ტაპანაძეს მაშინვე გული მოუღებება.

ხანდახან კი ტაპანაძის გულში ნამდვილი ვაჭარი იღვიძებს. მაშინ ის დაწვრილებით ანგარიშობს, რომელმა ხილმა რამდენი მოგება უნდა მოუტანოს. ანგარიშის შემდეგ ტაპანაძე უკან აღარ იხვევს. მისი შემოსავალი ხომ ამაზეა დამოკიდებული. საქონელს ასე იოლად ხომ არ გაანიავენს! ტაპანაძეს ამიტომაც არ უყვარს ღარიბები, ისინი მთელ დავთარს ურევენ, ყველაფერი უფასოდ უნდათ.

— შვიერები არიან? იმუშაონ! — ეუბნება ტაპანაძე ნიკოს და სიბრანით წყრილი თვალები ექლავს, — ხომ ხედავ, მთელი დღე ვმუშაობ; ვინც ეძებს, ყოველთვის იპოვის სამუშაოს...

უკვე ჩამობნელდა, როცა ნიკო სახლისაკენ გაეშურა. ვორონცოვის ქუჩაზე მიხა შეხვდა. ზედმეტ სახელად „შავი“.

— საით გაგიწევია, ტაპანაძის თვალისჩინო? არაფერი გაქვს სასუსნავი? შიმშილისაგან კუჭი მეწვის.

ჩოფურა მიხა ცხვირში ისე დუღუღუნებს, თითქოს ნიკოს დასციხისო. ნიკოს იგი სულაც არ ეპიტნავენა, მაგრამ ცოტა ეშინია მისი. მიხა ზორბა და ჯანიანია. თუ შონდომია, ერთი ღარტყმით გააგორებს მიწაზე. დაკონკილ-ჩამოძონძილი მიხა სიცივისაგან კანკალებს.

ნიკო სამ მსხალსა და ერთ ნატერ რახათლუხუმს აწვდის.

— მოკითხვა გათავი ტაპანაძეს, — ეუბნება გახარებული მიხა.

ნიკომ ნაბიჯს აუჩქარა, მერე უკან მიიხედა, მიხა ხომ არ მომდევსო, რაღაცას ფეხი წამოსდო და მიწაზე გაიშხლართა. კალათს ხელი არ გაუშვა, სამაგიეროდ მუხლი სულ გადაიტყავა.

ნიკო შინ კოჭლობით მივიდა. ვასასიმ გულში ჩაიხუტა და დასისხლიანებული მუხლი წყლით მობანა, ცრემლიანი თვალები შეუმშრალა და ლოგინში ჩააწვინა. ნიკოს ახლა უკვე თავისი საწოლი აქვს. რამდენი ხანია ვასასის ოცნებად ჰქონდა, ბიჭის საწოლი თავისი საწოლის გვერდით დაედგა. და აი, როგორც იქნა, აუსრულდა ნატერა.

ვასასი გულაჩვილებული დასცქეროდა მძინარე ბიჭს.

როცა ტაპანაძე დაბრუნდა, ვასასიმ საყვედურით აავსო ქმარი. რად უნდა, ბიჭი ფარდულში რომ ჰყავს მთელი დღე? ბავშვი შებინდებისას დაბრუნდა და მუხლი გადაუტყავებია, კიდევ კარგი, უარესი არ მოუვიდა.

ტანანაძე უგუნებოდა.

— ნიკო ფარდულიდან რომ წამოვიდა, ჯერ კიდევ დღე იყო, მაგრამ, აღბრუნ, ქუჩაში იხეტიალა უშიშნოდ და შემოაღამდა.

— ჩუმიად ილაპარაკე ბავშვს გააღვიძებ! — გაუწყრა ვასასი.

ლამით ნიკო სიზმარში ტიროდა.

— მა-რინ-კა დამეკარგაა, — მოთქვამს ნიკო და ძილისაგან დაღმარებული იფ-
შენუტს — იქ... ქუჩაში გარბოდა!

ვასასის გულში რაღაცამ გაპყრა.

— დაიძინე, დაიძინე, ჩემო ბიჭო! სიზმარში ხარ...

ვასასიმ ახერხებულ კმარს გადახედა. რაღაც ეშმაკად სწორედ დღეს ამბობდა: „დროა ბიჭმა გულიდან ამოგდოს ტოლკაჩოვები. ის ხომ ჩუხბთან ბევრად უკეთეს პირობებშია, ვიდრე მათთან იყო“.

ვასასიმ სიბრაღულით გადააქნ-გადმოაქნია თავი.

„სულელი ტანანაძე, ნიკო მათ არახლოდეს დაიფიწყებს. ასეთი ბავშვები ასე აღვიღად არ იფიწყებენ!“

სამოვარი უკვე გაცივდა, ნიკოს კი კვლავ ტკბილად ეძინა.

ვასასი მის გასაღვიძებლად წავიდა:

— ადექი, ნიკო! ჩაღხია ჩამოვიდა, ადექი! — კისერზე ხელს უთათუნებდა ვასასი, — შეხედე, რა მოგიყვანა!

ნიკო საბნის ქვეშ გაიტრუნა.

მას უკვე გაღვიძებოდა, მაგრამ თავს იშინებდა. ჩაღხია? რაში სჭირდება ჩაღხია! სდაგს ჩაღხია! ნიკოს მარინკა ენატრება, მისი ნახვა სწადია. მომწყდეს აქედან თავისი ტკბი-
ლულით, ხომ ვიცი, ჩამოიტანდა.

საბნის ქვეშ დამალულ ნიკოს კარგად ესმის ჩაღხიას ცხენის ფრუტუნი (ბოლოს დროს ჩაღხია პირველად ტანანაძესთან შეივლიდა ხოლმე). ცოტა ხნის შემდეგ ბიჭს მძიმე ნაბიჯების
ჭმა ესმის.

ნაბიჯები მის საწოლთან წყდება.

ნიკო გაუტობს. სძულს ჩაღხია, მორჩა და გათავდა!

უცბად საბანზე რაღაცა ეცემა.

შერე ის რაღაცა სირბილს იწყებს.

გაოცებული ბიჭი თავს ჰყოფს საბნიდან დასასხეზე თბილად რაღაც ეხება.

— ლეკვი ლეკვი! — გაიძახის გახარებული ნიკო. — ჩაღხია, რა კეთილი ხარ! მე მომიყ-
ვანე?

გახარებული ნიკო ფეხფულა ლეკვს გულში იხუტებს.

„სახალხო ზეიში“

ვასასიმ თავისი გაიტანა. ტანანაძეს აღარ მიჰყავდა ნიკო ფარდულში. ესეც არ იყო, ბიჭი და ძალი იხე აურდაურედნენ ხოლმე იქაურობას, რომ ტანანაძემ სიბრაზისაგან აღარ იცო-
და რა ექნა.

ქალაქში არაჩვეულებრივი გამოცოცხლება იგრძნობოდა. აივნებზე ფერიდი დროშები ფრიალებდა. მუსიკა უკრავდა. გვარდიელები ქუჩებში მიმოდიოდნენ. რუსთაველის გამზირი ჩაღხით ისე გაჭვდილიყო, რომ ნიკოს გავლა უჭირდა. პიკი რამდენჯერმე მიეფარა თავს, ქუჩაში სიარულს შეჩვეული არ იყო, ხან ვის აედევნებოდა და ხან ვის, ან კიდევ ყუფით იკლებდა იქაურობას და ცხენებს ფეხებში უვარდებოდა. ნიკომ პიკი ამოიილღიავა. გაბრაზე-
ბულმა ძაღლმა კინაღამ ცხვირზე უკბინა ნიკოს.

ნიკო ფუნსაცმელების საწმენდ სკამზე ჩამოჯდა. პიკი მუხლებზე დაისვა და მოციმციმე თვალვებით გახედა მოზვიმე ქუჩას. ერაზმმა გაანდო:

— დღეს დიდი დღესასწაულია, გვრობის სახელმწიფოებმა საქართველოს დამოუკიდებ-
ლობა აღიარეს.

— შენ რატომ არ ზეიმობ? — ჰკითხა ნიკომ.

ერაზმს სამუშაო ტანსაცმელი ეცვა. გრძელი წამწამებით დაშინებული შავი თვალები დღეს ჩვეულებრივზე ნალღიანი ჰქონდა.

— რა მაქვს სამხიარულო? — მხრები აიჩეჩა ერაზშმა, — ეგვიპტის ხალხებისაგან რომ გამოგვეყვეს და საზღვრები ჩავვიკეტო? ახლა ყველაფერი საზღვარგარეთია! პური — წრდილოეთ კავკასიაში, ხაეთი — ბაქოში. დედამიცი კი, რომელიც სომხეთში ცხოვრობს, საზღვარგარეთ აღმოჩნდა. დედის ნახვა რომ მომინდება, „საზღვარგარეთულ კასპორტზე“ უნდა ვიზრუნო! დედა რომ კარაქს გამომიგზავნის, იმაშიც საბაგო გადასახადი უნდა დამეციხელოს. შიმშილობაა და ეგ არის! ჩვენი მინისტრი გვეგეტყობს კი ბეჭდავს და ბეჭდავს ასმანეთიანებს. მაგაში მალე პურის ნაჭერსაც არაგინ მოგვემს!

ნიკომ ერაზშის მონაყოლიდან ბევრი ვერაფერი გაიგო, მაგრამ ზეიმმა კი ნამდვილად მოხიბლა. როდესაც ჩამობნელდა და რუსთაველის გამზირი გაჩახახებულ სინათლისა და ფერადი ტრანსპარანტებისაგან გაბრწყინდა, ნიკოს მაშინდა გაახსენდა სახლი. გვარიანადაც მომივბოდა.

ვასასი გაუწყრა ნიკოს. ლოდინისაგან გული გადაელა. უნდოდა ჭიუტი ბიჭისათვის ახალი ტანსაცმელი ჩაეცმია, ავი მთელი ღამე მის კერვაში გაათენა. ვასასის დღეს მაგარი თავსატეხი გაუჩნდა. ტაპანაძე ფარდულს ერთი წუთითაც ვერ ტოვებს, ვასასის კი დაღლილობისაგან ხელები აღარ ემორჩილება. დღეს ხომ წვეულება აქვთ, სტუმრები უნდა მოვიდნენ და თანაც ვინა — გვარდიის ოფიცრები.

სტუმრიანობა რომ იქნებოდა, ნიკო მაშინვე მიხვდა.

აივანზე გაშლილ გრძელ მაგიდაზე ვასასის თეთრი სუფრა გადაეფარებინა. თათში ფერადი ნათურები ენთო, ხოლო მაგიდას წითელი ვარდების დიდი თაიგული ამშვენებდა.

ნიკომ ყველაფრის დათვალეობა ვერც მოასწრო. ვასასიმ სასწრაფოდ განოაწყო იგი ტაპანაძის მოძველებული ტანსაცმლისაგან გადაკეთებულ ხავერდის შარვალ-ხალათში. ბიჭს კარგად მოერგო ახალი ტანსაცმელი. ვასასიმ ნიკოს ლოყაზე აკოცა და ხელში ხაჭაპურის ნაჭერი მიაჩეჩა.

ახოვანმა ტაპანაძემ ძლიერ მოასწრო შავი სერთუკის ჩაცმა და გახამებული თეთრი პერანგის სახელოებზე სამაგრების გაცეცება, რომ აივანზე გაისმა დეზების ღღარღნი და მამაკაცთა ხმა.

— მოდიან! უკვე მოდიან!

ტაპანაძეს წითური და ხუტუტი თმის დავარცხნა არ დააცადა ვასასიმ, ქმარი აიძულა სტუმრებს შეგებებოდა.

ვასასი მზნინავ მწვანე კაბაში გამოწყობილიყო და ოქროს გულსაბნევი მივბნია, თმა დავარცხნა და სახეზე ბუდრი წაესვა. ვასასი ამ წუთში სულ არ ჰგავდა იმ დიასახლისს, ახლან ხან სახელოთაგანმომცემი სამხარეულოში რომ ტრიალებდა.

ტაპანაძე სულ გამოცვლილიყო. აბა, ვინ იტყვოდა, ვაჭარიყო. მასპინძელი მომეტებული თაყნობითა და ღიმილით მალიმალ აფსებდა ჭიქებს და სტუმრებს სთავაზობდა.

ნიკოსაც ერგო ცოტაოდენი ტკბილეული. პატარა ჭიქით ღვინოც კი გადაულურწა. ბიჭი ისე იყო გაოგნებული, ჭამაც გადაავიწყდა.

მხარბეჭიანი, სახენაიარვეი ოფიცერი ფეხზე ამდგარო წარმოთქვამდა სადღეგრძელოებს. ის სუფრის თამადად აერჩიათ.

აი, თამადა ღვინით სავსე ჭიქას მალლა სწევს (თავით ლამის ჭერს სწედება) და დიდხანს და მოხდენილად ლაპარაკობს, თუმცა ნიკოს მისი სიტყვებისა ბევრი არაფერი გაეგება. თამადამ შესვა გაპარტახებული საჭარბველოს სადღეგრძელო, ას წელზე მეტ ხანს მეფის ხელისუფლების უღელქვეშ რომ გმიხავდა. ახლა, საბოლოოდ თავისუფალი და დამოუკიდებელია, დაე მარად ჰყვაოდეს და იფურჩქნებოდეს. ყველანი ფეხზე დგებთან, ჭიქებს მალლა სწევენ და „ვაშას“ გაიძახიან! შემდეგ სვამენ ღვინოს. თამადა თვალყურს აღევნებს, რომ ყველამ ბოლომდე დაცალოს. თამადა ბრძანებს, გვლავ შეავსონ სასმისები. ცარიელი ბოთლები მატულობს, მაგრამ ტაპანაძეს ღვინოს რა გამოუღვებს. არც თამადას ეღვევა სადღეგრძელოები. ახლა ქართულ სტუმართმოყვარეობაზე ჩამოაგდო სიტყვა. „სად შეიძლება კიდევ ასეთნაირად შეხავებული საცივი და ჭყინტი ყველი იგემო, თუ არა ტაპანაძის ოჯახში. მაშ, შევსვათ, ბატონებო, ჩვენი დიასახლისის სადღეგრძელო!“ გაწითლებული ვასასი მადლობას იხდის, მისთვის დიდი პატივია, რომ ამნაირი ღირსეული სტუმრები ჰყავს.

მოტვიფენი ფეხზე დგებიან. „გაუმარჯოს!“ — ხმაშეწყობილად გაიძახიან ისინი და სვამენ. წითელ-მწვანე ნათურები ირხვევა და სტუმრებს სახეზე ეფინებათ ხან წითელი და ხანაც მწვანე შუქი.

ერთმა ოფიცერმა სიმღერა წამოიწყა:

ღველით ღვინო, ღვინო ანაგის,
სანამ ცხოვრება ყველას არ აღგვეგვის



ჭუჩიდან მუსიკის სმა ისმის.
— მრავალჯამიერ! — წამოიწყო თამადა.
სტუმრები და მასპინძლები ფეხზე დგანან და მღერიან:
— მრავალჯამიერ! მრავალჯამიერ!..
— ამ ყანწით გვეგეტკორის სადღეგრძელო იყოს! — არ ცხრება თამადა.
ბნელი ჭუჩიდან სიშლერა ტაპანაძის ბინამდე აღწევს:

გვეგეტკორო, გვეგეტკორო, დიღო ბატონო!
გვედრები ასიანი დამიხურდავო!..

თამადამ შავი წარბები შეიკმუნხა და უჩინარ მომღერალს ერთი მაგრად შეუკურთხა.
რამდენიმე ახალგაზრდა მიყრუებულ კუთხეში ისევ გაჰკვივის:

გვეგეტკორმა ითამაშა ბანქო
და ბოლუმი ინგლისელთან დათმო,
ჩხენკელი კი უნამუსოდ
კვლავაც ყარსით ვაჭრობს...

ახალგაზრდა ოფიცერმა მაგიდას მუშტი დასცხო. ცარიელი ბოთლები ერთმანეთს მი-
ეჯახა.

- საზოგადოებრივი, ასეთ დღესასწაულსაც კი არ სცემენ პატივს!
- ეს სულ ბოლშევიკების საქმეა! — თქვა მეორემ.
- შეზარხოშებულმა ტაპანაძემ კვერი დაუკრა:
- ჩამოვახრჩობდი მაგ არამზადებს!
- ჰმ, ჯერ დაიჭირე, ძმობილო, და მერე ჩამოახრჩე! — სხეულეწიღ თამადას ჭიჭიდან ღვინო ეღვრებოდა.
- ეს უშმაკი ბოლშევიკებია ოინებია! თხუნელებივით ძვრებიან მიწაში!
- ისიც არ იცი, როდის ჩამოგენგრევა ქერო თავზე!
- გავუხსწორდებით! ერთსაც არ დავტოვებთ ცოცხალს! ყველას დავხვრეტთ! — იმუქრებოდა ახალგაზრდა ოფიცერი. — სიკვდილი ბოლშევიკებს!
- თამადამ ზიზლით გადახედა:
- დახვრეტათო? სად არის ტოლკაჩოვი? კედლის ესროლა და თვალსა და ბელს შუა გაგქრათ. უძებ ახლა ქარი მიხდორში.
- ეიპოვით, ჩამოუკიდებო იმ მამაძილ ბოლშევიკს! — რატრატებდა გალესილი ტაპანაძე, — ძმებო, ჩვენს მამაც არმიას გაუმარჯოს!
- საერთო არეულობასა და ჩმაურში ვერაეინ ამჩნევდა მავილის ერთ კუთხეში მიყუცულ ნიკოს. მან გაიგონა სიტყვა „ბოლშევიკი“, მაშინისი გვარი და მიხვდა ტაპანაძის მუჭარას, „ჩამოგვიდებთო“. ნიკოს პირთან მიტახილი კიტრი ხელში გაუშეშდა, ტუჩები აუკანკალდა და გულმა ბაგაბუვი დაუწყო. ადგა და ოთახიდან შეუმჩნევლად გაიპარა.

დაგვიანებული სტუმარი

ქალაქის განაპირას, მუქი მთების ფონზე, არჩილის დაბალი, ერთფანჯრიანი ქოხიდან სი-
ნათლედ გამოდიოდა.

არჩილმა თავი ასწია და უფრო მიუგლო. ქალაქის განაპირამდეც აღწევდა ერთენული
პიპნის მელოდია და გამარჯვების შექახილები.

— იზეიმეთ, იზეიმეთ! — ბურტყუნებდა მოხუცი. — ხალხს მუსიკით ვერ მოატყუებთ და
მშიერებს მაშხალეებით ვერ დაახაყრებთ! არა, არც ისე სულელია ხალხი! აი, თუნდაც ის
ღედაკაცი უბირი ქალია, მაგრამ როგორ მსჯელობდა: „ეს ზემი ხალხად რომ ოფიცრების-
თვისაა ზედგამოჭრილი! რა უჭირთ, რა? ბრკვევიალებენ და ინდაურებივით იფხორებიან, მათ-

თან შეხვედრისას სუნამოს სუნი შორიდანვე გეცემა. ბრალი საწყალი ჯარისკაცებისა, რომ აღარაფერი ვაქვით ღარიბებზე. თორემ! ეს რაღა „სახალწლო დღესასწაულია“, როცა ქვალი-სათვის საჭმელი არა გვაქვს?”

არჩილმა გამოჭრილი საძირე ფეხსაცმელს დააზომა.

ერქუნული

— მენშევიკები იტყვიან: „ბოლშევიკების აგიტაციიაო“, — ჩაიქირქვეფე არჩილმა და მან — რამ რა შუაშია აგიტაცია? საუკეთესო აგიტატორი შიმშილია!

ლურსმანივით ჩაიჭედა ეს ბრძული აზრი.

არჩილმა ერთი ფეხსაცმელი შეაკეთა და მუხლის გასაშლელად გარეთ გავიდა.

ქალაქის თავზე აქა-იქ იღვებდა ხოლმე ფერადი შუშხუხები.

— ყვევჩები! — გადააპურტყა არჩილმა. — რამდენი ფული გაატანეს დღეს ქარს, ვის რაში სჭირდება ეს ზარ-ზეიმი!

ქუჩის მოსახვევში ვიღაც თავქუდმოგლეჯილი შორბოდა.

სახლების კედლებიდან სიმღერის ექო გაისმოდა:

— უორდანი კარტს თამაშობს,
რამიშვილი ნარდს,
საქართველოს ოჭრო-გერცხლი
ბიაქეს ნიაქარს.

არჩილმა ჩაახიბინა, ქოხში შებრუნდა და კარი მაგრად მიხურა.

ლამპა უკვე ბეჭუტავდა, როცა არჩილი პატარა მარგოს ფეხსაცმელების შეკეთებას მორჩადირები გააპრიალა (თუმცა ნისიად შეაკეთა, მაგრამ არჩილს გულიანი მუშაობა უყვარდა). ფეხსაცმელი თაროზე დადო და ისე ცხადად წარმოიდგინა ნამცეცა მარგოს სიხარული (აღბანთ, ალიონხევე მოიბრუნს), რომ თვითონაც გული გაუხალისდა.

ის იყო ხელსაწყო-იარაღები შეაჭურა, რომ კარის ჭრიალიც მოესმა.

— ვინ შეიღვება იყოს ამ შუალამისას?

ქურდებისა სულაც არ ეშინოდა, რაც არა პქონდა, რა უნდა მოეპარათ, მაგრამ მაინც ვინ უნდა ყოფილიყო ასე გვიან?

— ვინ არის? — გასძაბა მკვახედ.

კარი გაიღო. შემოსასვლელში ნიკო ატეხულიყო, ბიკი გულში ჩაეხუტებინა.

ნიკო. — ელდა ეცა მოხუცს. — რას დანიანცალებ ამ ღამეში?

ნიკომ ლეკვი მიწაზე დასვა. გახარებულმა პიკმა წამსვე შემოიბრინა ქოხის ყველა კუთხე-კუნჭული. ბიკი გახევებული იღვა და ხმას არ იღებდა.

— არჩილ, — გაბედა ნიკომ (თან, ეტყობოდა, თვალცრემლიანი არ უნდოდა ჩვენებოდა), — შემიკედლებ?.. დამტოვებ შენთან?

დაბნულმა და გაოგნებულმა მეწადემ სიყვარულით მოუთათუნა ხელი.

— დამტოვებო? რა მოხდა? მიგტყიპეს?

ნიკო მკერდზე მიეყრდნო და აფშრუტუნდა.

— არჩილ, იქ აღარასოდეს დაუბრუნდები! მამანემს ჩამოხრჩობაც მოუხდომეს.

— რაეზსა ბოდეგ, ჰა?

მოხუცს ვერაფერი ვაეგო. ათრთოლებული ნიკო არეულ-ღარეულად დაბარაკობდა, მოხუცის ტანსაცმელს ებღაუჭებოდა. პიკი წკმუტუნით დახტოდა.

არჩილი მიუხვდა ნიკოს. გულზე ცვეხლი შემოენთო. არამზადები! ბავშვთანაც არ მალავენ გულისნადებს!

— იმათ აღარ დაუბრუნდები, არა? — არჩილმა თვალი შეავლო ხვერდის ტანსაცმელს. — ბატონიშვილივით გამოუწეგბითა და ჰგონიათ, მოვისყიდეთო.

არჩილმა ბიკი სელის ფარდის იქით ერთ დანჯღრეულ ტახტზე დააწვინა. პიკმა მაშინვე მის გვერდით მოიკალიათა.

— უაინდისოები! — ფიქრობდა მოხუცი და ქრიალა ტახტზე მალიმალ გვერდს იცვლიდა. — ვერ ვიდეგ საკითხავია, ვინ ვის ჩამოახრჩობს.

ლამპა ჩაქრა.

სიბნელეში ბიკის ნამძინარევი ხმა გაისმა:

— არჩილ, თავდაუზოგავად ვიმუშავებ! ერახთან ერთად მეც ვივარგებ ფეხსაცმლის მწმენდავად!

ნაწილი III
უკვე მოდიან



თოვლხარევი წვიმა მოდიოდა. ზამთრის ბურუსიანი დილა დღისა და ღამის ქვიშაში იყო, როცა ჩალხიამ ცხენი არჩილის ქოხთან შეიხერა. მკვირცხლად ჩამოხტა; ცხენი ერთ ნორჩ აკაციას მიაბა; დიდი ხნის ნამგზავრი წელში გასწორდა. ხევსურმა ხურჩინიდან ერთი თავი ყველი ამოიღო და ქოხისაკენ გააბიჯა. უცებ გახევებული შედგა. კარს რკინის დიდი ბოქლოში ედო.

ჩალხიას არ ესაიბოვნა. ამ დილაადრიან არჩილი განა სად უნდა წასულიყო? ყველა-ყველა, მაგრამ ნიკო სადღაა? დაუჭერებელი ამბავია, მეწაღეს დილიდანვე სახლის კარი გამოთქეტილი ჰქონოდა, თუ რამე არ შეემთხვა. ჩალხიამ მიმოიხედა, ჩაფიქრდა, მერე ყველი ხურჩინში ჩადო, ცხენი აუშვა და დალონებულნი გაუყვა გზას.

ირიერაჟა თუ არა, არჩილი უკვე რუსთაველის გამზირზე დაეიძვებდა. ყველი ხომ არ იყო, ასეთ დღეს სახლში მჯდარიყო! ჰა-ჰა-ჰა.

არჩილს ჩიბუხი კბილებში გაეჩარა და ხელები გატრეცილი ქურთუკის ჯიბეებში ჩაეწყო. ნიშნმკვებულნი, დამცინავი თვალებით აკვირდებოდა ე-ვა-კუ-ი-რე-ბულთ.

ტფილისის ვაკუატიანზე მითქმა-მოთქმა ელვის სისწრაფით მოედო ქალაქს და ხალხი სახლებიდან ვარეთ გამოვიდა. დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი ქუჩებში შეჭკუფულიყო და გაოცებული შეჰყურებდა მიმავალი ჯარის უსასრულო ნაკადს. ჯერ კოხტად შეკაზმულ ცხენებზე ამხედრებულმა სახალხო გვარდიელებმა ჩაიარეს, რომლებსაც მხრებზე ვერცხლისფერი ვპოლკეტები უბრწყინავდათ. მათ გაცვეთილფეხსაცმლიანი და ფორმაჩამოძობილი, სიცივისაგან მობუხული ქვეითი ჯარი მიჰყვებოდა. ქლარუნებდა იარაღი, უერთამუნა მიჰქონდა საველე სამზარეულოსა და საბარგულების დგანდგარს. ჩაიარეს ნაცრისფერ ქუდებსა და შვინდისფერ ბუშლატებში გამოწყობილმა რამიშვილის ნაწილებმაც. ნეომრების წინ მეთაური მიდიოდა. არჩილსად მიათამაშებდა მშვენიერ ჯაბლა ცხენს.

— ჰო-ჰო-ჰო! როგორ მიათხარეებს ეს მამაძაღლი! — ჩაიქიჩკილა არჩილმა. — სანამ ხალხი უყურებს, კიდევ ყოყლოჩინობს, ვითომ მზიარული სახე აქვს, მაგრამ, როგორც კი თვალს მიუფარება, ისე გაქუსლავს, დედამიწას ბღღვირს აადენს.

არჩილმა მიმოიხედა. ირგვლივ მასავით გაქირვებისა და შრომისაგან ქანცვატესილი ხალხი იდგა. დანისლული თვალებით მიაცილებდნენ ჯარისკაცებს.

— მოჰკურცხლეს! — თვალი ჩაუკრა არჩილმა გვერდით მდგომ კაცს, ის უხალისოდ დაეთანხმა.

— გარბიან არამზადები! რაც მისაყიდი იყო, მოასწრეს და მიჰყიდეს ინგლისელებს. ბოლოს, ფორნებში შებმული ცხენები და კამჩები გამოჩნდნენ.

— მოელი ღამე ასე ეზიდებოდნენ, მოელი ღამე! — მოთქვამდა ვიღაც დედააკაცი. — ხალხნო, ახლა რა გვეწველება? ამბობენ, ბოლშევიკებს ჩინელებივით დანები კბილებში აქვთ ვარქობილით.

— სადაური ჩინელებივით, ზანგებივით არიან, დედილო, ზანგებივით! — მზიარულად მიუღო არჩილმა. — შავი ეშმაკებივით არიან და პირიდან ცეცხლს აფრქვევენ!

— ღმერთო, შენ დაგვიფარე! — პირჯვარი გადაიწერა ქალმა. — სულის გაძრობას ისევ გაქირვება სჯობს.

— აბა, რად ამინებ ქალსა? — ეცა გვერდით მდგომი მუშა არჩილს. — ისედაც ეშმაკმა იცის, რას აღარ ბოდავენ ქალაქში ბოლშევიკებზე.

— გაიქეციოთ, ბურქუებო! ბოლშევიკები მოდიან! — ვიღაც ჭაბუკმა ერთი მაგრად დაუსტვინა და სირბილით ქუჩას ჩაუყვა.

არჩილს მოხებრდა ერთ ადგილას დგომა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მაგრამ პირველსავე მოსახვევეში შეჩერდა — გაუთავებლად მოდიოდნენ ტყვია-წამლით დატვირთული ფორნები. არჩილი ცხენებს ქვეშ გაუძვრა და მოპირდაპირე ქუჩაზე ამოჰყო თავი. მოულოდნელად ნიკოს შეეჩება. თვალებგაბრწყინებულ ბიჭს სიცივისა და სიხარულისაგან ლოყები გასწითლებოდა. მოხუცს გულიანად მოეხვია.

— არჩილ, — პირი ზედ ყურზე მიაღო მოხუცს, — მართალია, რასაც ამბობენ, ბოლშევიკები მოდიანო? თეთრები დაამარცხეს და ახლა აქეთკენ მოემართებიანო?

— მართალია!

— არჩილ, მამაც მათთან ერთად მოვა? მარინკაც დაბრუნდება?
 — ალბათ, მამაც ჩამოვა, ალბათ...
 არჩილი ახლავა მიუხედა ბიქს სიხარულის მიზეზს.



* *

დროდადრო ქუჩა გადაიხერგებოდა ხოლმე; მანქანები, იარაღით დატვირთული ფორნები და საბარგულები ისე ავსებდნენ ქუჩას, ნემსი არსად ჩაეარდებოდა. გაპკიოდნენ მანქანების სირენები, ილანძლებოდნენ ოფიცრები და მეეტლეები. ბოლოს, როგორც იქნა, დაიძრა მანქანებისა და ხალხის დაუსრულებელი ნაკადი.

ნიკოს მოეჩვენა, ქალაქი მთლიანად აიყარა, სადღაც გადადის და მხოლოდ გამოცარიელებული სახლებიღა რჩებაო. პიკი მუხლებზე დაესვა და თვითონ ერაზმის კლიენტებისათვის განკუთვნილ სკამზე მოკალათებულიყო, ძალიან შიოდა, მაგრამ ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა.

ერთიც ვნახოთ, ბოლშევიკები მოვიდნენ და ნიკო არ დახვდეს? ისიც მოთმინებით იჯდა და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, თუმცა ყველაფერი ერთმანეთში ერეოდა.

— ნიკო, ძლივს მოგაგენი! — მის წინ თავშალწამოსხმული, დაღლილ-დაქანცული ვასასი იდგა; ბიქს ხელი მოხვია.

— დილიდახ გეძებ. — დაღლილობისაგან ხმა გაბზაროდა, — აქ ორჯერ მაინც მოვირბინებ აბა, ჩქარას! დრო ილარაა! ჩემთან წამოდი! — თან სახელოში ჩაფრენოდა და ექაჩებოდა.

— არსადაც არ წამოვალ! — ნიკომ ხელი გამოსტაცა. — მე აქ დავვლოდები.

— ჩვენთან ერთად წამოდი, ბიკო, გავიქვეთ, ბოლშევიკები სადაცაა აქ გაჩნდებიან. ნიკომ ლეკვი გულში ჩაიხუტა და სკამიდან ფეხიც არ მოიცივალა.

— თუ გინდა, შენ გაიქეცი! მე მამიკოს ვეღარ დებ!

— მამიკოს ელოდები? — ტუჩები აუკახგალდა და ხელები ძირს ჩამოუცვივდა ვასასის. —

შე უბედურო, გერჩივნა წამოსულიყავი, სასიკეთოს ნურაფერს ელი! — ბიქს ხელი გადახვია, თავზე აკოცა, ხელში ხატაპურის ნაჭერი ჩაუღო და იქაურობას გაეცალა.

ნიკო მალეხად შეექცეოდა ხატაპურს (დამშეული პიკიც გულმოდგინედ ეზმარებოდა), სიბრაზისაგან გული ეელში მოხვეწოდა, ბოლშა აბრჩობდა. წამოდისო?! სადაცაა მამამისი უნდა ჩამოვიდეს, უცბად მანქანებისა და ფორნების ზედახორაში ცხენზე ამხედრებულა ჩალხია გამოჩნდა. ბიქს ხელი დაუქნია.

ჩალხია ბიქსსკენ გადაიხარა.

— ნიკო, არსად წახვიდე, გესმის? არჩილთან ყოფნა გერჩიოს!

ნიკო გაგვირვებული შეჭყურებდა ხევსურს.

— ვასასიმ თუ დაგლანდა სადმე?

ნიკოს პირი ხატაპურით ჰქონდა გამოტენილი და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— უნდოდა მათთან ერთად გაექცეულიყავი, მაგრამ ვერ მიართვეს, — როგორც იქნა გადაულაბა ლუკმა.

— გასაქცევი შენ არაფერი გპირს, გეუურება? — ხევსურმა თვალს თვალში გაუყარა ყმაწვილს.

— მამას ევლოდები, არსადაც არ მივდივარ!

— მაშ, მამას ელოდები, ჰა?!
 ჩალხიამ ერთხელ კიდევ გამომცდელად შეხედა ბიქს, ხურჩინში ხელი მიაფათურ-მოაფათურა და ყველის ნაჭერი ამოიღო.

— ალბათ გეშიება?
 ვასასიმ რად ისურვა, ნიკო ქალაქიდან აბარგებულიყო, ჩალხიას კი ამაზე სიტყვაც არ დაუძრავს? ვერაუერი გაუფია. კაცმა რომ თქვას, არც ჰქონდა ფიქრის დრო.

ქალაქი თანდათან ცარიელდებოდა.

იარაღით დატვირთული უკანასკნელი საბარგულები დიდი ხანია თვალს მიეფარხენ ქუჩის მოსახვევში, მაგრამ მათი რახრახი კვლავ მოისმოდა. ურემში შებმული ხარები ზანტად მიიზღაზნებოდნენ ქვაფენილზე.

ქუჩაში აქა-იქ თუ გამოჩნდებოდა ვინმე. უცებ, თითქოს მიწიდან ამოძვრათ, საიდანღაც გაჩნდა შავი მიხა.

— ჰეი, ნიკო! — შორიდანვე შესძახა მიხამ. — შენი მამინაცვალი ტაპანადე რომ ასე სულ-
მოუთქმელად გარბის, შენ არ გეშინია ბოლშევიკებისა? ასე გემრიელად რომ ილუქები, ერთი
პატარა ნაჭერი მეც მიწილადე, თორემ ჩემი მუცელი ტაპანადის ფარდულივითაა დაცარიელე-
ბული!

სიცივისაგან გაფიჩხებული ხელებით მიხამ ყველს ფხენიდა და პირში ფტენიდა. უკრძნუნული

— ერაზში სადღაა? დღეს ხომ თქვენი ზეიძია? — თვალით ანიშნა დაკეტილ კარაღზე. —
რაკი ბურთუები გაიქცნენ, დავიჯერო, ქალაქში აღარაფერს დარჩა, ფეხსაცმლის გაწმენდა სურ-
დეს?

მიხამ რომ წავიდა, ნიკომ შვეებით ამოისუნთქა. დღეს თითქოს ყველამ პირი შეკვრაო
ნიკოს წინააღმდეგ, იძასაც უშლიან, იჭდეს და ელოდოს. როგორც იქნა, მარტო დარჩა. ილაჭ-
გამოღეული იცდის და იცდის. პიკმა დიდი ხანია მოხერხებულად მოიკალათა ბიჭის მუხლებზე
და ძილს მისცა თავი. ნიკოსაც თვალეები ებლიტებოდა. ის ხომ უთენია ადგა დღეს. ჩაცუც-
ქული ნიკო უცებ ზეზე წამოიჭრა და მძინარე პიკმა მიწაზე მოაღინა ზღართან. შორიდან
სამხედრო მუსიკის ხმა მოისმა. ეს რაღაა?

რუსთაველის გამზირზე კაციშვილი აღარ ჰკაჭანებდა, მაგრამ თვალის დახამხამებაში ხალ-
ხით გაიქედა. ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული ქუჩებიდან შეუქჩნევლად მოზღვავდა მუშათა
ტალღა.

მოდან დიდუბის რკინიგზის სახელოსნოების, ამიერკავკასიის რკინიგზის დებოს და კარა-
პეტოვის ფაბრიკის მუშები... ნაძალადევის, ავლაბრის, ორთაქალის მცხოვრებლები. დღეს თითქ-
მის ყველა რუსთაველის პროსპექტზეა. გამურულ და გამზდარ სახეებზე სიხარული აწერიათ,
თვალეები უბრწყინავთ. დღეს მათი ზეიძია! მათი გამარჯვების დღესააწაულია! უკვე გარკვე-
ვით ისმის ინტერნაციონალი. აი, ისინი, გამოჩნდნენ კიდევაც!

— უკვე მოდიან! ახლა ძალიან ფხიზლად უნდა ვიყო, რომ მამა არსად გამეპაროს.

მუშათა ნაკადი ბიჭს ხახ აქეთ მიადგებს და ხან იქით.

— ვაშა! ვაშა! გაუმარჯოს საბჭოებს!

სასოწარკვეთილი ნიკო ხალხის ტალღაში იკარგება. ცდილობს მუჭლუგუნებით გაარღვიოს
პრბო და მხედრებს მიუახლოვდეს, რადგანაც მათ შორის ფგულება მამა.

რუსთაველის გამზირზე მოთოხარიკობს ქართველ ცხენოსან პარტიზანთა ჯგუფი. ისინი
1905 წლის რევოლუციის დროს ტფილისელი მუშების მხარდამხარ ებრძოდნენ მეფის ხე-
ლისუფლებას.

გულამივარდნილი და აქოშინებული ნიკო მოულოდნელად წითელარმიელთა გვერდით
გაჩნდა. ახლა კი ნამდვილად შეეჩეხება მამას.

რაზმელებს ბუღიონურები ეხურათ, ყმაწვილს აკვირდებოდნენ და კეთილად უღიმოდნენ.
ერთი მათგანი ბიჭს გამოელაპარაკა კიდევ, მაგრამ ნიკომ არა უპასუხა რა, მამას და-
ეძებდა.

— აგერ, ისიც! ნამდვილად ის არის! მამა! — ნიკო ლამის ფეხებში შეუვარდა ერთი
ზორბა წითელარმიელის ცხენს.

— მამა არ ყოფილ! — ცრემლი დაბადებით წამოფვიდა ბოლმით გულშეკუმშულ ბიჭს.

— ვის ეძებ, ყმაწვილო? — შეეკითხა ის ზორბა წითელარმიელი. — მამას? სადაა შერე
მამაშენი? — წითელარმიელი გაღმთიხარა, ბიჭს ხელი დასტაცა და უნაგირზე შემთიხვა. — აბა,
ახლა კი წვრილად მიაგებ, რა გინდა.

ჯარისკაცს ჩოფურა სახე და ცისფერი თვალეები აქვს. თითქოს მკაცრი ჩანს, მაგრამ თვა-
ლეები ისე კეთილად უციმციმებს, ნიკოს სულაც არ ეშინია მისი.

— ტოლკაჩოვიო? დიმიტრი ძვანეს ძე? — წითელარმიელმა წარბები შეკყარა და ცოტა
ბანს ჩაფიქრდა. — იქნებ არის კიდევ ასეთი ვინმე ჩვენს რაზმში, აბა, ამდენ ხალხში ვის დაიძინ-
სოვრებ? ჰეი, ბიჭებო! — მიუბრუნდა თავის ამხანაგებს. — ეს ყოჩალი ბიჭი მამას ეძებს.
დიმიტრი ტოლკაჩოვს, ხომ არ გაგივიათ?

„ბიჭი მამას ეძებს“, — ერთიმეორეს უხსნიან რაზმელები.

— ეი, ნამცეცაე, სად იპოვე ბიჭი?

— ნამცეცა შეილებს უწკალებლად ქუჩაში პოულობს, — ხუმრობს ერთი.
სხვებიც მასხრობენ: „რა ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული ეს ჩვენი ნამცეცა. ჯერ
ქალაქში არ შემოსულა და უკვე შეიღს გადააწყდა“.

— სულელი ბიჭები! — იღუშება „ნამცეცა“. რა უყოს ახლა ამ ბიჭუნას?

იქნებ მეთაურმა იცოდეს იმ ტოლკაჩოვის ამბავი?

— პატარავ, ნუ ტირი. — ნამცეცა ვეება ხელისგულით ცრემლებს წმენდს ბიჭს. — წამოდი ჩვენთან. მეთაურს ნაღდად ეცოდინება მამაშენის ასავალ-დასავალი. თუ კაცი ხარ, უშნოდ ნუ იწირპლები.

მარტოვანი
ბიჭუნოსე

ბიჭი არც ისეთი დოყლაპია ყოყილა, როგორც ნიკოს ეგონა. პატარა ძალდა გამვლელ-გამომვლელს ქუდის ქიციინით ეთამაშებოდა, ყველას ლაქუცა და ჩერჩეტი ეგონა, სინამდვილეში კი...

როცა ნიკო მოულოდნელად თვალსა და ხელს შუა გაქრა, ბიჭს ბევრი აღარ უფიქრია, მხედრებს დაედევნა, სწრაფად გარბოდა, რათა იმ ცხენს არ ჩამორჩენოდა. ენაგადმოვლებული, მოელვარე თვლებს არ აცილებდა ცხენს, მაგრამ თანდათან იღლებოდა.

ბიჭს რკინის ჭიშკარი კინალამ ცხვირწინ მიუკეტეს. მან ხერხი იხმარა: ცხენებს ფეხებში გაუძვრა და შემორაგულ ეზოში ამოყო თავი. ბიჭს ერთი ხანობა შიშისაგან კინალამ სული გასძვრა: ამდენი წითელარმიელისა და ცხენების შემყურე იმ ცხენის კვალი დაკარგა. აქეთ ეცა, იქით ეცა, რამდენჯერმე ცხენის ფლოქვებს ძლივს გადაურჩა და ერთ შენობასთან შეჩერდა. იქ შეკვრულ წითელარმიელებს ნიკო ხელების ქნევით უყუებოდა, მამამისმა კედლის რომ ესროლა, როგორ დაბრუნდა შინ და ბინა დაცარიელებული დაუხვდა; როგორ წაიყვანა ჩაღნიამ სადგურზე, მაგრამ პატარებელმა გაასწრო.

— სადგურზე ერთმა მხიარულმა მიტხრა, მამა წითელ არმიასთან ერთად დაბრუნდებაო, — ცრემლი მოიწმინდა, — მაგრამ... დღემდე არ ჩანს...

— ნუ გეშინია ვიპოვით მამაშენს! ნამდვილად დაბრუნდება! — დაამშვიდეს ნიკო ჯარისკაცებმა. — აი, ჩვენი მეთაურიც მოდის! რაიმე ეცოდინება მამაშენზე! ნუ სტირი, პატარავ! გარშემოხვეულთა რკალი გაიპო თუ არა, ბიჭმა დრო იხელთა და ნიკოს მსიარული წყმუტუნით ხელებში ჩაუვარდა.

მეთაურმა ჯარისკაცების აყალმაყალში პირველად ვერც კი შენიშნა პატარა ბიჭი, რომელიც ლეკვს გულში იხუტებდა. მერე აღერსით გადაუსვა თავზე ხელი და ნამტირალევ თვლებში ჩახედა:

— ტოლკაჩოვი დიმიტრი? თითქოს გამიგონია. მოდი, რამდენიმე დღეში გამოგვიარე, იქნებ გაგიგოთ, სადაა ამჟამად მამაშენი.

წითელ ცხენოსანთა არმიის მეთაური

ათი წლის ლოყებდაეღაჟა, ბუთხუზა მანანა და ცხრა წლის ცაცა სწრაფად არბოდნენ კიბეზე. ცაცას გაცნაჭული სახე, წაწვეტილი ცხვირი და მოკლედ შეჭრილი შავი თმა ჰქონდა. ორივენი ცრემლად იღრებოდნენ და სლუკუნ-სლუკუნით ადიოდნენ. ხისძირიანი ფეხსაცმელები გასძვრათ. დაუთქუნებლად შეადეს კარი და აღმზრდელის ოთახში შეცვივდნენ.

— ქეთო მასწავლებელო!

ქეთო დიდი ხანია მიეჩვია ასეთ უფიქროს „თავდასხმებს“, მაგრამ ამჯერად გოგონებს ისეთი შეშფოთებული სახეები ჰქონდათ, რომ აღმზრდელს გული გადაუქანდა.

— რა მოხდა?

— ვაიმე, ქეთო მასწავლებელო! — მოთქვამდა ცაცა. — რას სჩადიან, რომ იცოდეთ! ერთმანეთს გამეტებით კაწრავენ და მუშტებს ურტყამენ.

— დავთქვით, ერთმანეთს ნუ დაგკაწრავთ-თქო, ისინი კი მაინც იკაწრებიან! — ზღუპუნებდა მანანა.

— ვინ გცემთ, ვინ გკაწრავთ, გამაგებინეთ აღამიანურად! — გაბრაზდა აღმზრდელი.

— ცხენ-ნო-სან-თა რაზ-მი დაგვერია! — ჩაიბუტბუტა ცაცამ.

ქეთოს ბოლომდე ყური აღარ უგდია, კიბეზე ჩაირბინა და ეზოში გაჩნდა. შორიდანვე შეამჩნია, ცუდად იყო საქმე. ბავშვები თავ-ფეხიანად ქვიშაში ამოგანგლულიყვნენ. ველურბივით გაპყვიროდნენ. ქეთო გასაშველებლად გაეშურა, გამშველებელს ერთი-ორი მუშტიც უთავაზეს. აღმზრდელმა დიდი დაეიდარაბის შემდეგ ძლივს დააშოშმინა მებრძოლები. ნაცემ-

ნაგვემი და დარცხვენილი ბიჭები აღმზრდელს თვალეში ველარ უყურებდნენ. გრიშკას ცხვირიდან სისხლი სდიოდა, ხელით იწმენდდა, მაგრამ მოწმენდის მიგვიერ სახეს მოლონაჲ ითხუპნიდა. ვანოს ლოყებზე ნაკაწრი დასტყობოდა, ხოლო თინა ჩალურჯებულ თვალსე ხელს იფარებდა. დანარჩენები დასისხლიანებულ ცხვირ-პირს იწმენდდნენ და გაჭუჭყიანებულ ტანსაცმელს იბერტყავდნენ.

— ღმერთო ჩემო, ეს ვინ მოიგონა? გამაგებინეთ, რა ხდება? — შეატრად იკითხა აღმზრდელმა. — რა ცემა-ტყეპა გაგიმართათ?

— ვთამაშობდით, — ამოიკნავლა გრიშკამ.

— კარგი თამაში კი მოგიგონიათ! კინალამ ერთმანეთი დახოცეთ.

— ყველაფერი ნიკოს ბრალია! — ჩაიბუზღუნა თინამ.

— დიახ, ნიკოს ბრალია!

— ნიკოს უნდოდა მაინცდამაინც წითლებს გაემარჯვათ, — ლულულუღებდა ლადო და დაბევილ მუხლს დაჰყურებდა.

— წითლები რას გაიმარჯვებდნენ, თეთრები უფრო მეტი იყვნენ.

— ჩვენ გვინდოდა, თეთრებს წითლები დაეტყვევებინათ.

— ნიკოს ტყვედ ჩავარდნა არ უნდოდა.

— პოდა, მაშინ ნამდვილ ჩხუბში ჩაგვიტრიეს...

ქეთომ ყურებზე ხელები მიიფარა.

— ჩუმად, ვერაფერი გავიგე! ერთმა ილაპარაკოს! აბა, გრიშკა, შენ მიაშბე.

— თმობანას ვთამაშობდით, — დაიწყო გრიშკამ. — თეთრები თავს ესხმიან წითელ ცხენოსანთა რაზმს და ატყვევებენ. ნიკოს ეს არ ეპიტნავა: ქვეითი ჯარი ცხენოსანთა რაზმს ვერ დაატყვევებსო...

— სად არის ნიკო? — შეაწყვეტინა ქეთომ. — ნიკო, მოდი აქ!

ნიკოს მარცხენა თვალის უბე დალილავებული ჰქონდა. პერანგის სახელო შემოხეოდა. აბდღვრიალებულ თვალეში ჯერ კიდევ ეხთო ბრძოლის უინი.

— ნიკო, ტესმის, რას ამბობენ შენზე?

— ტესმის.

— რად გადააქციე თამაში ჩხუბად?

— იმიტომ, რომ სისულელეა! — ფნთო ნიკო. — ვის გაუგია, ქვეითი ჯარი ცხენოსანთა რაზმს ატყვევებდეს?!

— საიდან იცი?

— საიდან ვიცი? მე ხომ წითელ ჯარში ვმზაბრობდი. პოდა, ხამცეცა ამტკიცებდა: ცხენოსანთა რაზმს ქვეითი ჯარი ვერაფერს დააკლებსო.

— კი მაგრამ, ბრძოლის დაწყებამდე ვერ აუხსენი ამხანაგებს, რომ წითელ ჯარში ნამსახური ხარ? — დიმილს ძლივს იკავებდა ქეთო მასწავლებელი.

— მე კი აუუხსენი და თითქოს დამეთანხმნენ კიდევ, მაგრამ მერე პირი შეცრეს, რადგან თეთრები ორჯერ მეტი არიან, მათ უნდა გაიმარჯვონო.

— მართალი უთქვამთ! — დაემოწმა აღმზრდელი.

— რას ჰქვია მართალი უთქვამთ! — გაცხარდა ნიკო. — ორჯერ ნაკლები ვიყავით წითლები და მაინც დაეჯახნეთ თეთრები. წითლებმა ყოველთვის უნდა დაამარცხონ თეთრები!

ქეთოს ველარაფერი მოეხერხებინა. მიბვდა, ნიკო დამნაშავე იყო, თამაში ჩხუბად აქცია, მაგრამ ქალი გუნებაში წითელ ცხენოსანთა რაზმს ემხრობოდა და აღარ იცოდა, როგორ დაეწყნარებინა მოჩხუბრები.

— კარგი, — ცოტა ხნის ღუმილის შემდეგ დაიწყო ქეთომ. — ამ საქმეში, როგორც ვატყობ, მართო ნიკოს არ უნდა მიუძღოდეს ბრალი; დამნაშავე წითელ ცხენოსანთა რაზმიცაა, რომელიც მოლაპარაკების მიუხედავად მტერს ტყვედ არ დანებდა.

ბიჭები კვლავ ახორხოცდნენ.

— ნიკო მეთაური იყო. ყველაფერი მისი ბრალია! მან შეაგულიანა თავისი რაზმელები, არ დანებდეთო.

— იკბინებოდნენ და იფხაჭნებოდნენ! — თავისას არ იშლიდა თინა. — არადა, მოვილაპარაკეთ, კბენა და ფხაჭნა არ იყოსო.

— გრცხვენოდეს, ნიკო! რასა ჰგავს ეს, თამაშის დროს ამხანაგის დაკბენა ვის გაუგონია?

— კაცმა რომ თქვას, თმობანას კი არ ვთამაშობდით, — ტუჩები აუთრთოლდა ნიკოს. — სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოდით, რათა წითელ ცხენოსანთა რაზმს გაემარჯვა.

— მე კი იმით ვიბრძობდი, უფლება არა მქონდა შეთაურს არ დაემორჩილებოდი, მაგრამ ნიკო მტყუანია, როგორც მოვილაპარაკეთ, ისე უნდა მოვქცეულიყავით, — თქვა მთელი დღის განმავლობაში გრიშკამ.

ნიკო შებრუნდა, ეზო გადაქრა და ბაღს მიაშურა. ეწყინა გრიშკის ლაღი.

„ნამცვეცამ“ ბიჭი ბავშვთა სახლში რომ მიიყვანა, ნიკო და გრიშკა გაქცობის დასაწყისში და მეგობრდნენ. „ყმაწვილმა“ აუცილებლად უნდა ისწავლოს, — თქვა მთელი დღის განმავლობაში გრიშკამ, — ძნელი სათქმელია, როდის მივაგნებთ მამამისს; კარგა ბიჭია და ცოდოა, უსწავლელი დარჩეს“. არჩილიც თანახმა იყო და ჩაღბიაც. პიკიც იძულებული იყო დათანხმებოდა, თუმცა გრძობდა, უნიკოდ არჩილთან მალე მოსწყინდებოდა. ნიკო ქვის სკამზე ჩამოჯდა და ჩაფიქრდა. ამ სახლში, სადაც უზრუნველი ცხოვრება ელოდა, მარტოობა და მიუსაფრობა იგრძნო. გვერდით აღარა ჰყავდა კეთილი, აღერსიანი ბუმბერაზი „ნამცვეცა“, ახალგაზრდა შეთაური ივანოვიც შორს ეგულებოდა. დამშვიდობებისას შეთაურმა უთხრა: „გამბნევი, ნიკო, ჩვენს წერილს ელოდე!“

— ეჰ, მას შემდეგ რამდენი ხანი გავიდა! — ამოიოხრა ბიჭმა.

მაშინ ზამთარი იყო, ახლა კი... ნიკომ თვალი მოავლო მიდამოს, იასამნის ბუჩქებსა და ნაირფერ ყვავილებს. ნეტავ სად არიან ახლა მისი მეგობრები? რა ჩერჩეტი უოფილა გრიშკა. განა წითლებს უღალატებდა და თეთრების ქვეით ჯარს ტყვედ ჩაბარდებოდა? არასოდეს! მერე, როგორღა შეხედავდა თვალებში შეთაურ ივანოვს.

წერილი

ბიჭები პიკონათა რაზმეულის შეკრებიდან დაბრუნდნენ. ნიკო და გრიშკა საძინებელი ოთახისაკენ გაემშურნენ. ვახშობამდე ხელ-პირი უნდა დაეხანათ.

ნიკო საწოლზე გადაკიდებულ პირსაბოცს დასწუდა. საძინებელ ოთახში უკვე ბნელოდა. მხოლოდ სარკლიდან შემოდინდა მკრთალი სინათლე. ნიკომ ლოგინზე ამანათი შენიშნა, აიღო და გადაატრიალ-გადმოატრიალა, უცებ ყუთიდან საწოლზე ერთი თავი ყველი გადმოვარდა. „აღმათ ჩაღბია იყო“, — გაიფიქრა ნიკომ. მხოლოდ ახლა შენიშნა, იქვე წერილიც იდო.

წერილი? ნიკოს ასეთი რამ ჯერ არ განეცადა. ვის უნდა გამოეგზავნა მისთვის წერილი? შუქი ანთო და მისამართი წაიკითხა:

„ნიკო ტოლკაჩოვს...“ კონვერტი ფრთხილად გახსნა. ორი ფურცელი იდო. ნიკო საწოლზე ჩამოჯდა, ერთი ფურცელი გაშალა:

„მვირფასო ამხანაგო!“

თქვენნი წერილი, რომელიც 1921 წლის თებერვალში გამომიგზავნეთ, წელიწადზე მეტ ხანს დამეძებდა. პოლტავიდან პერმში გამგზავნეს, იქიდან კვლავ ვორონეჟში დავბრუნდი. ხომ იცით, ჩემი რკინიგზა სულ შესაკეთებელია; ვორონეჟიდან...“

— ჩემი წერილი არ უნდა იყოს, — მოიღუშა ბიჭი, მერე ხელმოწერას დაამტერდა და საწოლიდან გახარებული წამოიჭრა:

„დიმიტრი ივანეს ძე ტოლკაჩოვი!“

— მამაჩემის წერილია, ნეტავ ვისა სწერს? რაო? „მვირფასო ამხანაგო“ ჩემზე არც ერთი სიტყვა არ წერია.

ნიკომ სხაპასხუბით განაგრძო კითხვა:

„...ვორონეჟიდან სმოლენსკში მოვხვდი. იქ, როგორც იქნა, მომაგნო თქვენმა ბარათმა. გიგზავნით თქვენს მიერ აღნიშნულ მისამართზე. შევიტყვე, ჩემს ბიჭს პატრონობთ...“

— ეს კი ნამდვილად მე ვარ, — ჩაიჩურჩულა ნიკომ და კითხვა განაგრძო. — „...ამ ბარათმა განუზომელი სიხარული მომანიჭა და შეება მომგვარა, ღღემდე ჩემს ბიჭზე არაფერი ვიცოდი, თუმცა რამდენჯერმე მივწერე...“

— მე კი არც ერთი წერილი არ მიმიღია, — შეწუხდა ბიჭი.

„მიხარია, რომ ჩემი ვაჟკაცი ამხანაგების წყალობით ცოცხალი და ჯანმრთელია... მხოლოდ ერთი სადარდებელი მაქვს: დროა სწავლას მოჰკიდოს ხელი, სკოლაში იართოს...“

— მე უკვე ოთხი წელია სკოლაში დავდივარ! — ნიკოს კითხვა თანდათან უჭირდა, თვალელები ცრემლით ევსებოდა.



„... მხოლოდ ერთი რამ მინდა გთხოვოთ. წერილი გზაზე დამეწია. მალე დაბრუნდები. ბიჭი შეიძლება წაგიყვანო კიდევაც. პასუხი ამ მისამართზე გამომიგზავნეთ...“

ამ დროს საძინებელ ოთახში გრიშკა შემოვიარდა.

— ნიკო, სად ჩაიყლაპე? წამოდი ვივარდებო!

ნიკომ აცრემლებული თვალები სწრაფად მოიწმინდა.

— გრიშკა, შეხე ერთი, რა შივიდე!

— დიდი რანე, ყველია. ალბათ, შენმა შობუცმა ხევსურმა ჩამოგიტანა... გემრიელია. ასე რამ წამოგაწითლა? ყველი გაგებარდა? ჯიბის დანა სადა გაქვს. კაი დიდ ნაჭერს მოვიტრიდი...

— რა გადამაყოლე, ბიჭო, ამ ყველს, — სიხარულისაგან ცახცახებდა ნიკო, — წერილია, წერილი! იცო ვისგან? მამაჩემისგან!

— რაო? — თვალები დაჭყიტა გრიშკამ. — იმისგან, ოთხი წლის წინათ რომ მივატოვა?

— ვერ გამოვიდა, ვის სწერს. ჩემზე წერს და მე თვითონ კი არაფერს ვწერს...

— მაჩვენე! — თითქმის ბრძანებით უთხრა გრიშკამ.

ნიკომ წერილი გაუწოდა. ახლავა შენიშნა მეორე ფურცელი.

— მოიცა გრიშკა, აქ კიდევ რაღაც ყოფილა.

ორივემ თითქმის ერთდროულად დაიწყეს კითხვა:

„გამარჯობა, პატარა ამხანაგო ნიკო...“

— ეს კი პირადად ჩემია! — სიხარულისაგან ხტოდა ნიკო. „... გიგზავნი კონვერტს, რათა ნათელი გაბდეს შენთვის, თუ რა გრძელი გზა გამოიარა მამაშენის წერილმა, სანამ სამხრეთ ურალში ჩემამდე მოაღწევდა. მამას აუცილებლად მისწერე პასუხი. გილოცავ. გისურვებ წარმატებას სწავლაში.“

ივანოვი.

— ახლა ყველაფერი ნათელია. იმ ვიღაც ივანოვს მისწერა მამაშენმა.

— ივანოვი, ივანოვი... — რაღაცას იხსენებდა ნიკო. — ვიცი! გამახსენდა! ივანოვი ის მაღალი მეთაურია, მამას ვიპოვიო, რომ დამპირდა.

გრიშკა ყურადღებით აკვირდებოდა ივანოვის ბარათს.

— შეხე, რამდენი მისამართია...

— წაიკითხვა ჭირს, სულ გადაახაზულია.

— პირველი მისი იქნება, — თითი გაყოლა გრიშკამ.

— „სამარა, ცხენოსანთა მეორე პოლკი, ბრიგადის მეთაური ივანოვი“.

— მივხვდი... ცხენოსანთა მეორე პოლკში „ნამცეცა“ ირიცხებოდა... ბრიგადის მეთაური ივანოვი ხომ ტფილისში იყო. ისინი მამაჩემს ეძებდნენ. მამას წერილმა კი მათ აღვილსამყოფელს მიაღწია. მაჩვენე! — სულს ძლიერს ითქვამდა ნიკო.

— დამაცადე, ახლა ვნახოთ, ქალაქ სამარადან სად წავიდნენ. აი, აქვე მეორე მისამართია: „უფა, ცხენოსანთა მეორე პოლკი, ბრიგადის მეთაური ივანოვი“. ესეც წაშლილია. უყურე: „ხაბაროვსკი“... ეს უფრო გვიანდელი ჩანს. ბოლოს კი, ხედავ, ამჩნევ: „ურალი, ზლატოუსტი, რაიონული კომიტეტის მდივანი ივანოვი“. მამაშენის წერილი ივანოვს იქ მიუღია, ისიც იქიდან გწერს. აბა, ერთი თარიღებიც შევადაროთ: მამაშენს წერილი მიუწერია 1922 წლის ივლისში, ხოლო ივანოვის ბარათი დათარიღებულია 1925 წლის აგვისტოთი.

— სამი წელი, წარმოვიდგენია! — წამოიძახა ნიკომ. — მამაჩემის წერილი სამი წლის განმავლობაში დაეხეტებოდა გზებზე.

წითელი ფანქრით გადაახაზული და აჭრელებული ბარათი უბრალო კონვერტი როდი იყო. ნიკო ზედ გარკვევით ხედავდა ბილიკებსა და გზებს, მდინარეებსა და ხიდეებს, რკინიგზებს, რომლებზედაც სამი წლის მანძილზე წერილი მიდი-მოდიოდა თოვლიან ღამეებსა და მზიან დღეებში, სანამ სამხრეთ ურალს არ მიაღწია და ივანოვს არ ჩაუვარდა ხელში. ნიკო გრიშკას ხმაზე გამოერკვა ფიქრებიდან:

— ახლა კი შეგიძლია მამას მისწერო. აი, მისი მისამართი.

— მაჩვენე! — ბიჭმა ხელიდან გამოსტაცა ბარათი. წაიკითხა: „პოლტავა, 1922 წლის ივლისი“.

ეჰ, ეს ბარათი სამი წლის წინათ არის დაწერილი.

ნეტავ სად არის ამჟამად მამამისი? ნიკოს წერილმაც ასე უნდა სდოს ტოლკაჩოვს ამ უსარმაზარ ქვეყანაში?

— რა თვე-პირი ჩამოგტირას, ბიჭო! „ბიონერი ყოველთვის მტკიცე და მხიარული უნდა იყოს და სულიერად არასოდეს დაეცეს!“ — ცოტა არ იყოს პათეტიკურად გამოთქვიდა გრიშკას. — წამოიღე ყველი და გავიქცეთ ვახშამზე! პოლტაეაში მისწერე, მორჩა და გათავდა!

ეროვნული
შინაარსული

ს ი მ ა მ ა ც ე

გრიშა სსხადილო ოთახში გრძელ მაგიდას უჯდა და ელოდა, როდის მოართმევდნენ მეორე ულუფა ღომს (ერთი ულუფა არასოდეს ყოფნიდა), რომ ოთახში შურდულივით შემოეარდა ნიკო და ხელით რაღაცა ანიშნა.

გრიშა ზღაზენით აღვა.

„ამ ნიკოსაც რომ არასოდეს ელევა საქმე, საჭმელსაც არ შეგარგებს კაცს“.

— ახალს რას იტყვი, კიდევ ხანძარიც?

ნიკომ არაფერი უპასუხა, მხრებზე ხელი მოხვია გრიშას და თვალით კიბისაკენ ანიშნა (სამზარეულო სარდაფში იყო). ბიჭებმა ფანჯარასთან შეჩერდნენ, ნიკომ ყურში რაღაც ჩასჩურჩულა.

გრიშამ ქერა წარბები აძვიბა.

— რა?

— საჭირთა ახლავე მოვიწვიოთ რაზმეულის საბჭოს საგანგებო სხდომა, — ჩურჩულებდა აღელვებული ნიკო, — რა თქმა უნდა, ახლავე!

— დღეს? — უარის ნიშნად თავი გააქნია გრიშამ. — არაფერი გამოვა, უკვე შვიდი საათია. ვერ მოვასწრებთ.

— უნდა მოვასწროთ! მფრინავი ფოსტით, რაღაც არ უნდა დაგვიჯღეს, დღესვე უნდა მოვასწროთ, თორემ ყველაფერი წყალში ჩაიყრება, ხომ შეიძლება ის ამალამვე... — მართალია! მომეცი ერთი ფანჯარი და ქაღალდი.

გრიშა უმაღ შეუდგა საქმეს. ქაღალდი ფანჯრის რაფაზე დაღო და რაღაცა დაწერა. შემდეგ ოთხად მოკეცა.

— თამარი აქ ახლოს ცხოვრობს. იმასთან გადავირბენ.

ნიკომ ხელი გაიშვირა წერილის გამოსართმევად. გრიშამ ბარათი ჯიბეში ჩაიკმუჭნა.

— ახლავე გავრბივარ. შენ წადი, ივანშვი.

მ ფ რ ი ნ ა ვ ი ფ ო ს ტ ა

ღედის კაბაში ჩაკარგული თამარი თავისი კოფტის გაუთოებას აპირებდა. უთო ისე იყო გახურებული, თითები დაიწვა და გაზეთიც შეტრუსა. ბევრი წვალეების შემდეგ საყულო და სახელოები დააუთოვა. უცებ კარზე კაკუნი შემოესმა. უთოობა იმწამსვე მიატოვა და კარისკენ გაეშურა. ღედის აჩლართულ კაბას უხერხულად ისწორებდა. კარი გააღო. სირბილისაგან გულამოვარდნილი გრიშკა დაინახა. გრიშკამ ჯიბიდან ბარათი ამოიღო.

— თამარ, ამწუთში ყველაფერი მიატოვე და მფრინავი ფოსტით მოკუტრუბლე.

— რა დროს ფოსტაა? — გაიკვირვა თამარმა. — არ შემიძლია, ძლივს უთო გამიხურებია.

— ჯანდაბას შენი უთო! — სწრაფად მოუჭრა გრიშამ. — აბა, ეს წაიკითხე! — ბარათი ხელში მიაჩენა.

თამარმა წერილი გადაიკითხა თუ არა, მაშინვე კოფტის სახელოში ხელი გაუყარა.

— აი, ეს კი მესმის! მივჭრივარ... უთოს მიმიხედე...

— შე გავაუთოებ, — დაამხელა გრიშამ. — უთოობა ჩემთვის ახალი ხილი არ არის.

თამარი უმაღ თვალს მიეფარა. ქუჩაში რომ გავიდა, ცოტა ხანს შედგა, მისამართი დააფიწყდა, მაგრამ მალე მოაგონდა. ვორონცოვის 161.

სანამ თამარი ვორონცოვის ქუჩამდე მიაღწევდა, წვიმამ მთლად დაასველა.

საბედნიეროდ, მანანა შან დახვდა. ასეთ თავსებაში რამ მოგიყვანათ, გაოცდა მანანა.

— აბა, წაიკითხე სწრაფად! — თამარმა წერილი გაუწოდა.

მანანას ცრემლი მოადგა თვალეებზე.

— საბრალო ფატმა. უნდა ვუშველოთ რამე!

— ცუდადაა ჩვენი საქმე! — ამოიხრა ლადომ. — რა გვეშველება?

— გადამწყვეტა თამარმა. მოხუცს (ალბათ ნინოს მამას) სულაც არ ეჭამ-
ნიკა ამის გაგონება.

— ხვალ დილით შემოიარეთ.

— ხვალ დილით უკვე გვიან იქნება. საქმე ადამიანის სიცოცხლეს ეხება, არაა ალა-
პარაკდა თამარი.

მახანამ ტირილი შორთო. გრიშამ მილიცია ახსენა. შეშინებულმა მოხუცმა ნინოს საძინებ-
ლისაკენ გაიშვირა ხელი.

— ბიჭებმა აქ მოიცადონ. მე და მახანაც ვეყოფით ამ საქმეს — ბრძანა თამარმა.

ნინომ კარი გაიღო, ღამის პერანგზე შალა წამოესხა:

— რა მოხდა?

მერე სანთელი აანთო; მოსულებს დააკვირდა; მაშინვე მიხვდა, რომ გოგონებს რაღაც
უჭირდათ. სასწრაფოდ გადაიცვა კაბა.

— დრო ცოტადაა დაგვრჩენია, ყველაფერი მილიციას უნდა ვაცნობოთ, — ამბობდა და
ხშირ, გაშლილ შავ თმაში ხარკებს იმაგრებდა.

— ბიჭებიც აქ არიან? ახლავე ეტლი დაიჭიროონ!

საბედნიეროდ, ქუჩაში ეტლი გამოჩნდა.

— ეტლში ყველანი ვერ დავეტევიოთ. გოგონები და ერთი ბიჭი ჩემთან წამოდიოთ. იქნებ
ქუჩაში მილიციელსაც მოგვკრათ თვალი.

— ნიკო წამოვიდეს, მან იცის, ფატმა სადაც ცხოვრობს, — თქვა თამარმა.

— წადით. ჩვენ რამეს მოვახერხებთ, — დაახუფემა გრიშამ. — თლონდ გახსოვდეთ: მატა-
რებელი პირველ საათზე გადის.

ბედად მილიციელიც მონახეს და დაიყოლიეს. თორმეტის ნახევარი იყო, როცა ეტლი
ფატმას სახლთან შეჩერდა.

ნიკო პირველი გადმოხტა.

— ფანჯრები ჩაბნელებულია... ხუთუ გაგვასწრებს სადგურზე?

სახლის ირგვლივ გუბებში დააბოტებდნენ, კაკუნითა და ბრახუნით იქაურობა აიკლეს,
მაგრამ ამოღ.

— ნუღარ ვაგვიანებო, სადგურზე წავიდეოთ! — გადაწყვიტა ნინო შერშერაშვილმა, — დრო
კიდევ გვაქვს, იქნებ მივუსწროთ.

ეტლმა, როგორც იქნა, მიადწია სადგურს. ღამის პირველის ნახევარი იყო.

— შეძლება ვაგონში არიან უკვე მოკალათებული, — ნერვიულობდა ნიკო. ნახევარ
საათში არ გიხდა ყველა ვაგონის დათვალიერება? მილიციელი კი ახლავთ, მაგრამ შეუშვებენ
ვაგონებში?

საბედნიეროდ, მატარებელი ჯერ არ ჩამომდგარიყო და ბაქანზე არავის უშვებდნენ.

— აბა, ახლა თქვენ იცით, ასე თვალი გამოისხით, — წასჩურჩულა ნიკომ თამარს, — ხომ
ყველანი იცნობთ ფატმას?

პიონერებმა იქაურობა სწრაფად მიჩხრიკ-მოჩხრიკეს, მობრბინეს მეორე და მესამე კლასის
მოსაცდელი დარბაზები, მოათვალიერეს სასადილო, ქალთა ოთახშიც შეიხედეს, მაგრამ ფატმა
არსად ჩანდა.

— თათრები ეშმაკები არიან, — თქვა ნინო შერშერაშვილმა. იქნებ განგებ უთხრეს, ფატ-
მას მატარებელი ღამის პირველ საათზე გადისო, ადრე კი გააპარეს.

უკვე მერამდენედ ათვალიერებდნენ მესამე კლასის მოსაცდელ დარბაზს. ნიკო აღვილზე
ვერ ჩერდებოდა. რამდენჯერმე გადაახტა იქ დალაგებულ ბარგს. დედებსა და ბავშვებს ისე
გამომწვევად აკვირდებოდა, რომ ბევრის წყევლა-კრულვა და ლანძღვა-გინება დაიმსახურა.
როდესაც ბოლოს და ბოლოს იმედი გადაუწყდა, ამდენი მონდომება და გარჯა წყალში გადა-
იყარაო, უცებ თვალი მოჰკრა დაბალ, ღიბიან მამაკაცს, რომელიც კედელზე გაკრულ მატა-
რებლების განრიგს მისჩერებოდა და თავს აქნევდა.

ნიკომ დაკვირვებით შეათვალიერა ეს კაცი და პირკაბა ეცა. ჯერ ერთი მხრიდან შემო-
უარა, მერე მეორედან, ზურგიდანაც დააკვირდა. დაღაბვროს ეშმაკმა! საიდან ეცნობა? სად
უნახავს? სად შეხვედრია? უცებ მოაგონდა, ყველაფერი თვალწინ წარმოუდგა. გაახსენდა, ამ
ჯუჯამ ცხვირწინ როგორ მიუჯახუნა კარი.

— ის არის! ვიპოვე! მომყვით!

საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
საქართველოს



მხატვარი ტარიელ ვარტაგავა

ნიკომ მილიციელს თათარზე ანიშნა:
 — ესაა მამამისი!
 — გოგონა სადღაა? — იკითხა ნინომ.
 — იმასაც მალე ვიპოვით.



წერს ნინო

გახარებული ნიკო გამარჯვებას ზეიმობდა. თათარი მილიციელს არწმუნებდა, რომ მას გოგო არა ჰყავს, ყველაფერი იმ ვიღაც ლაწირაკის ნოსტორია, ნამდვილად ვიღაცაში აერია, ვიღაცაში შეეშალა და ცილსა სწამებს. ამ დროს ნიკომ სკამზე ხელი წაატანა ძონძებში გამოხვეულ ფატმას და ხმამაღლა დაიყვირა:

— აი, ფატმა!

ძონძებიდან გამოხსნილი, გაოფლიანებული და აქვითინებული ფატმა ნინო შერშერაშვილს მკერდზე აკვროდა და ჩურჩულით ემუდარებოდა:

— თუ ღმერთი გწამთ, არ მიმატოვოთ, წამიყვანეთ, სადმე დამმაღეთ! არ მინდა ჰარამხანაში, სწავლა მწყურია!

ფატმას მამა გაპარვას აპირებდა, მაგრამ მილიციელმა ხელი ჩააგლო.

— გთხოვთ, წამობრძანდეთ მილიციის განყოფილებაში. საბჭოთა კანონი სასტიკად კრძალავს არასრულწლოვან გოგონათა გათხოვებას.

— ფატმას ჩემთან წავიყვან, — თქვა ნინო შერშერაშვილმა, შუბლზე ჩამოყრილი შავი თმა გადაუწია, მიუღალერსა და ღიმილით დაუმატა: — ჩემთან იცხოვრებ, ისწავლი...

— თუ ოდესმე მამაშენი შენს მოტაცებას შეეცდება, არ შეგეშინდეს, შენთან გვიგულე, როგორმე დაგიხსნი! — არწმუნებდა ნიკო ფატმას.

ბ ა ს ა უ რ ე ნ ა დ

იენისის შუა რიცხეებში გამოცდები დამთავრდა.

დერეფნებში ხმამაღალი საუბარი და მხიარული სიცხილ-კისკისი ისმოდა. თამარის ხმას მაშინვე გამოთარჩევდით, ხოლო ცაცამ ისეთი გადამღები კუჩქუქი იყო, იმის შემხედვარეს ყველას ეღიმებოდა. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გოგო-ბიჭებს უჩვეულო მოგზაურობა ჰქონდათ ჩაფიქრებული. ზოგნი კიბეზე ჩამომსხდარიყვნენ, ზოგნი კი კუთხეებში მიუხუფულიყვნენ და ჩურჩულებდნენ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს შეიდი წლის მანძილზე სათქმელი ვერ უთქვამთ და ახლა ცდილობენ ერთმანეთთან უთქმელი არაფერი ღარჩეთო. ტფილისში მაგარი სიცხეები დაიჭირა და ახალგაზრდებს ქვის ცივ კიბეზე ჯდომა და მასლაათი ერჩივნათ, ვინც გაგანია სტუდენტში უმიზნო ხეტიალი. თუ კლასის ხელმძღვანელს სადმე თვალს მოჰკრავდნენ, ერთბაშად იმდენ კითხვას მიაყრიდნენ, ტანჩია დამრიგებელი სათვალის მინებს დაუწყებდა წმენდას და მოთმინებით ელოდა, როდის დაშოშმინდებოდნენ ბავშვები, რომ მათი ცნობისმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა.

ზოგიერთი ბიჭი მასზე მაღალი იყო. როდესაც მასწავლებელი რომელიმე მათგანს ელაპარაკებოდა, ქვემოდან შეჰყურებდა თვალბში. ისინი ხომ მის თვალწინ გაიზარდნენ და დავაჟაცდნენ. ლადოს ხმა დაბობებოდა და ბეჭები გაგანიერებოდა. მასწავლებელს გუშინდელ დღესავეთ ახსოვს რვა წლის ლადო. როცა რამეს შეეკითხებოდნენ, დაირცხვენდა, გაწითლდებოდა და პირს იბრუნებდა. ანდა ნიკო. ამ ზამთარში ძალიან გამოიცვალა ბიჭი: გამაღლდა, გახდა, თვალის უბეები ჩაუღურჯდა. მასწავლებელი საუბრობდა და თან იმაზე ფიქრობდა, ნიკოს რა მოვუხერხოთ. თქმა არ უნდა, ამდენი გაწამაწიის მერე ბიჭს დასვენება სჭირდებოდა. პიონერთა ბანაკში ხომ არ გაგვეგზავნა? უსაქმოდაც არ იქნება. რაზმის ხელმძღვანელის თანაშემწედ გამოდგება. გაფიქრება და თქმა ერთი იყო. ნიკომ რაღაც გაურკვეველად წაიღულულა. სახეზე სიწითლემ გადაჰკრა, ყოველ წვრილმანზე ასე წითლდებოდა, რაც სასოწარკვეთილებას ჰგვრიდა; ისიც აწუხებდა, გრძელ ხელებს რა ვუყო, სულაც არ ებიტნაებოდა ბანაკი. იყო, არ წავიდოდა, მაგრამ მაინც ზრდილობიანად უპასუბა, მოვიფიქრებო...

ამასობაში თითქმის ყველა შემოეფანტა. მერვე კლასში სწავლის გაგრძელებას სხვებთან ერთად თამარი და ფატმაც აპირებდნენ. ლადოსა და ვანოს ქარხანაში მუშაობა სურდათ; გრიშა ტექნიკუმში გამოცდების ჩასაბარებლად გულმოდგინედ ემზადებოდა; წიგნებს საათობით ჩაჰკირკიტებდა; ნებისყოფა არ დალატობდა. ერთადერთი ნიკო დაყბუტებოდა უსაქმოდ, ან ლოგინში ჩაწვებოდა, თვალბს ქერს მიაპყრობდა და დროს მხოლოდ თუ-

ნებაში ატარებდა, რამდენი ხანია არჩილიც აღარ მოუწახულებია. სულ იმას აბრალებდა, ქალაქის განაპირას, სადღაც გადაკარგულში ცხოვრობსო, მაგრამ ჩამდვილად ხარაზის ნახვას იმატომაც გაუბოდა, რომ იცოდა, არჩილი მაშინვე შეეკითხებოდა, რას აზრობს მამანაურთა შთამომავლი და... ნიკო ისე იყო გამწარებული, ხანდახან თავისი გაჩენის დღეს წყევლიდა.

ერთ დღეს ეზოში ჩაღვია შენიშნა.

ერქენულში

მზე შუბისტარზე იდგა. ნიკო გაათვა ხევსურის კუნთმეგარმა სხეულში და მამანაურთა ხანობამ. გულის კუნტულში დარჩენილი სიყვარული გაუღვივდა. წამოხტა და ხტუხტა-ხტუხტით კიბეზე ჩაირბინა. მაშინვე ცხენთან მიიჭრა. ჩაღვია ჩიბუხს აბოლებდა და უურადლებით აკვირდებოდა ბიჭს. ზამთარი იაე გავიდა, ჩაღვიას თვალი არ მოუტკრავს ნიკოსთვის.

— რამხელა გაზრდილხარ, ბიჭო, კაცი დამდგარხარ.

ნიკო სიხარულითაგან წამოწითლდა.

როცა ჩაღვიამ ჩიბუხის მოწვევა დაამთავრა და ნიკოს ხევსურეთში წასვლა შესთავაზა, მის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. ამ ზაფხულს ბანაკში ყოფნას მთებში ხეტიალი არ ურჩევნია? ამაზე უკეთეს რამეს ჩაღვია თავის სიცოცხლეში ვერც მოიფიქრებდა.

სიასლე

ბოლოს და ბოლოს ადამიანის მოთმინებასაც საზღვარი აქვს, თუნდაც იგი ფოსტალიონი იყოს, რომელიც მიჩვეულია და გულდაგულ დაეძებს ადრესატს. ტანდაბალი და ძველმსხვილი ფოსტალიონი შუბლზე ჭირის ოფლს იწმენდდა, ურცხვად იგინებოდა და უკვე შესამეჯერ უღლიდა შენობას გარშემო. როცა დერეფნები გასწავლად მიათვალაფერ-მოათვალაფერა, საკლასო ოთახებსა და კაბინეტებშიც შეიჭყიტა. ზოოლოგიის კაბინეტში ჩონჩხები და თაბაშირის ნიღბები მაგიდის ირგვლივ შემოწყობილ სკამებს ცარიელი თვალის ფოსტებით შესცქეროდნენ. სასადილო და სარდაფშიც შეიხედა. არსად კაციშვილის ქაჭახება არ იყო. მუშამბაგადაფარებულ მაგიდაზე ბუხები დაცოცავდნენ, ბზუილით აწუდებოდნენ ფანჯრის ქუჩყიან მინებსაც.

— ამოწყდნენ ეს ოჯახტორები, თუ რა მოხდა? — ბუზღუნებდა ფოსტალიონი და უნუგე-შოდ ატრიალებდა ხელში ერთ ბარათს. მისი დატოვება არ შეეძლო, რადგან საფოსტო ნიშანი არ ჰქონდა და აბაზი რატომ უნდა ეხარალა? გაბრაზებულმა ფოსტალიონმა წერილი ჩანთაში ჩაავდო და მიხვეულ-მოხვეულ კიბეს აუყვა. უცებ გრიშას მოჰკრა თვალი და გული რომ მოეფხანა, დაუდრიალა:

— სად ეშმაკებში გარბიხარ? მე, რა, ე ფეხები ლატარიაში კი არ მომიგია, დილიდან სადამომდე თქვენ რო გლიოთ!

— ახლა ხომ არდადეგებია? პოდა, უველა გაემგზავრა.

— არდადეგები, არდადეგები. მე კი ჩემი დამეძარითა და! — ბუზღუნებდა ფოსტალიონი. — თქვენთვის სულ არდადეგები არ არის?.. ნეტავ რამეს მაინც აკეთებდეთ. აბაზი გაქვს?

— აბაზი?

გრიშამ შარავლის კიბეები მოიჭექა, მაგრამ სამკაპივიანის მეტი ვერ აღმოაჩინა. კეფა მოიფხანა. სად ვიშოვო ახლა ეს ოხერი აბაზი? მოიკა, ებლაფე! ოთახში შეირბინა. იქ ჰქონდა გადანახული ხერდა ფული. გრიშამ იცნო ნიკოს ხელი და ერთი სული ჰქონდა, როდის წაიკითხავდა წერილს. ფოსტალიონი თვალს მიეფარა თუ არა, გრიშა იქვე ჩამოჯდა კიბეზე და ბარათის კითხვას შეუდგა. წერილი რვეულიდან ამოსასხეე რამდენიმე ფურცელზე ფანქრით იყო ნაწერი. ძნელად გაარჩევდი, სად იწყებოდა და სად თავდებოდა ბარათი. არც თვე იყო აღნიშნული და არც რიცხვი.

— აჰა, მივაგენი, აქედან უნდა იწყებოდეს.

შეუდგა კითხვას:

„გრიშა, ტყილისიდან განგზავრების შემდეგ, რაც მე თავს გადამხდა, ისე უცხატრი და დაუჭერებელია, ხანდახან თავი სიხმარში მგონია, თითქოს სიცაა უნდა გამოვიღვიძო. დღვის ამას იცით იცოდეთ, „ტოლკანოვი“ არა ვარ. ჩემი ჩამდვილი გვარია „ჭაბუნაური“ და ხევსურთა ჩამომავალი ვყოფილვარ...“

— რაო, რაო?! — ხმამაღლა წამოთყვირა გრიშამ და ირგვლივ მიმოიხედა, მაგრამ ეზოში კაციშვილი არ ქაჭახებდა. უურებში თითები დაიკო, იდაყვებით ფურცლებს დაეყრდნო და ხარბად გააავრძო კითხვა:

„...ეს ამბავი ვხაში ბოლო დამისსათეფში გავიგე. დნერთო ჩემო, რა გზაა, რომ იცოდეთ,

გრიშა დადიხარ უფსკრულის პირას ვიწრო ბილიკებზე, უყურებ და გიკვირს, როგორ ღვას ცხენი ოთხ ფეხზე, ჩაღბიამ ამიკრძალა, ხევში ნუ იცქირებოთ. ღრმა უფსკრულიდან ამის არაგვის ღრიალი, გაღმა კი ციციბო კლდე დაყუდებულა. საქმარისია ცხენს ფეხი აერის და სიკვდილის მეტს აღარაფერს უნდა ელოდე. მშვიდობიანად გაეიარეთ თორივე ხეობა, ასე გგონია, სადაცაა ღრუბლებს შეუერთდები. ახლა „ემშაკის ბილიკს“ აღარ იკითხავ?!

— ეს ბრიყვი! — გამოსცრა გრიშამ კბილებში, — თავის თავზე ორ სრულად დაწვეს კდე არ გააჭრელა ამ გზის აღწერით!

რამდენიმე სტრიქონს სწრაფად გადაავლო თვალი: „...როცა პირველ საღამოს ცხენიდან ჩამოვბტი, მეგონა მუხლს ვეღარ გავმართავდი...“

— ძალიან მაინტერესებს შენი მუხლების ამბავი! — ჩაიბუზღუნა გრიშამ, რამდენიმე სტრიქონი გამოტოვა და კვლავ განაგრძო წერილის კითხვა.

„იმ ბოლო ღამისსათვეში, როცა ცეცხლს ვეფიცებოდი, ჩაღბიამ გამაიღო დიდი ხნის საიდუმლო. ახლა ჩემთვის ყველაფერი ნათელია: ვარ ქაბუნაურთა მოღვმთა უკანასკნელი შთამომავალი.“

მარინკამ თავისი სახლის კიბეზე მიბოვა, როცა იმ პაწაწკინტელა გოგო იყო თურმე ჩაღბიას დაეუტოვებივარ ხურჯინში ჩასმული. თვითონ კი შორიანლოს მიმოდიოდა და დაუნახავს, როგორ შეარბენინა მარინკამ ნაბოვნი ბავშვი სახლში. საღამომდე დარაჯობდა იჭაურობას და სანამ არ დარწმუნდა, ტოლკაჩოვებმა ბავშვი შეიფარესო, ეზოს არ მოსცილებია. იმიტომ იყო წლების განმავლობაში თვალიდან რომ არ მიცილებდა.

მიმტკიცებს, სხვა გზა არა მქონდაო, ვიგაურთა სისხლი ემართა ჩვენს გვარს და მოგვლავდნებო. ვიგაურები და ქაბუნაურები ბარე ას ოცი წელია, ერთმანეთს ემტრობთო. გრიშამ, მეგონა, საოცარ ზღაპარს ვისმენ-მეთქი, ნამდვილად კი მისი მთავარი მოქმედი გმირი ვარ...“

„...ჩაღბია მხოლოდ ახლა შევიცანი. იგი ბოვბსა და უღელტეხილებზე უნდა ნახო და არა ტფილისის ქუჩებში. მან ჩემს თვალწინ ღამის ღრუბლებიდან ჩამოაგდო არწივი. შემპირდა, ისეთ სროლას გასწავლი, ქაბუნაურთა გვარი რომ არ შეარცხვინოთ.“

— ეჰ, ნიკო! — წამოიძახა გაბრაზებულმა გრიშამ, — ერთი შენი თავი ხელში ჩამაგდებინა და მერე ვაჩვენებდი ქაბუნაურთა გვარს.

გრიშამ გაფანტული ფურცლები გადაარჩია, დიდხანს ეძებდა გაგრძელება, და მერე დინჯად განაგრძო კითხვა:

„...რამდენიმე დღეა ახივლაში ვიმყოფები, ხალიც დავიბადე, ვისაც ასეთი სოფელი არ უნახავს, ძნელია აღწერო მისი სიღამაზე. წარმოიდგინე კლდიან თყობაზე ამოკვეთილი გრძელი, უსწორბასწორი კიბე. ასეთი სოფელი კიბესაგეთ იმიტომ გამოიყურება, რომ ითიკული ფერდობი რამდენიმე საფეხურისაგან შედგება, ერთი მეორეს მისდევს და ქვედა სართულის სახურავი ზედა სართულის ბანია. აქ ბუხრები არ არიან. ცეცხლი კერაში ანთია და ბოლი ჭერია ჭუჭრუტებიდან გადის. ძროხები და ხბორები საცხოვრისში გეერდით ჰეავთ, ჩვენს პიონერულ სახიტარულ კომისიას აქ მართლაც ბევრი სამუშაო ექნებოდა. აუტანელი სიბინძურეა! ეს ერთადერთია, რაც აქ არ მომწონს. სხვაფრივ ვერაფერს ვიტყვი: რაც გარს მარტყია, ჩემთვის სრული საიხლე და საოცრებაა. თავი სიზმარში მგონია, უპირველეს ყოვლისა, ხევსურთა თვალში წადადასრულებული მამაკაცი და გვაჩუქლებია თავი ვარ, როგორ მოგწონს?“

— მე სულაც არ მგებტნაყვება, მაგრამ შენ, როგორც გატყობ, თავში აგვარდნია! — თითქოს ნიკოს გაესაუბრაო გრიშა.

„...ერთი წუთით წარმოიდგინე: ხანში შესულლებიც კი ფეხზე წამოდგებიან ხოლმე, როცა საუბინოში გამოვჩნდები (აქ ასე უწოდებენ მიმდევრთა თავშესაქა) აღვილს). ასეთი საოცარი წესი აქვთ: მოხუცები ფეხზე დგებიან, როცა ახალგაზრდას ესალმებიან, თუ ეს ჭეული გვარის თავია.“

უკვე გავიცახი რამდენიმე ჭაბუკი. განსაკუთრებით ერთზე შემიკარდა გული. ეს კაცი ყმა კვირიკე კატაშაგრია, თექვსმეტი წლისაა, მაგრამ ისეთი მაროლული და მოფარიკაყეა, რომ... გრიშა აქ ისეთი ნამდვილი რაინდებია, ვალტერ სკოტის რომანებსა და შუა საუკუნეების ლეგენდებში რომ წაგვიკითხავს. ხევსური აროდეს ცრუობს, მტერს არ გაურბის და მახვილს ზურგში არ ჩასცემს. სულთ და გულით შეგიყვარე ეს ხალხი...“

გრიშამ კითხვა შეწყვიტა. წარბშეკრული შეჭურებდა ეზოში მოქოთქოთე ჭათმებს.

„...მაგრამ ისეთი ზრე-ხვეულებებიც აქვთ, რისთვისაც გული მტყივა და მრცხვენია. სულ გადამაფიწყდა მეთქვა, რომ აქ მყავს დედა, დიდი და სამი დისშვილი. დედაჩემს ამეკაუ ჰქვია.“

ჭერ ორმოცი წლისაც არ არის, მაგრამ დიდიდან საღამომდე იმდენს შრომობს, ვაჟით წელ-
 მოწყვეტილი, ღრმა მოხუცივით გამოიყურება. ასევე არიან ჩემი დიდი ნანა და მისი ბატონი
 გოგონა მზექალა. მზექალა ჯერ თორმეტისაც არაა, მაგრამ მოზრდილებს არ იამოყვარდება
 შრომაში. საერთოდ, აჭაური ქალები საშინელ დღეში არიან. თენი ხუთი დღე ქალი „უწმინ-
 დურია“ და მოთავსებულია „სამრელოში“ (ეს რაღაც სარდაფს ან, უფრო სწორად, მაღლობს
 ჰგავს). ქალები ასეთ სამრელოებში მშობიარობენ (ზამთარშიაც კი!) და თანამდებობა
 მავლობაში ბავშვებთან ერთად იქ იმყოფებიან. მამაკაცი იქაურობას ვერ გაეყარება, თუნდაც
 ქალს გაჭირვებისაგან სული ამოხდეს. უდიდესი ბარბაროსობაა! ბევრიც რომ მოინდომო, უო-
 ველივე ამას ვერ შეცვლი, რადგან ეს „ადათია“. შენთვის, რა თქმა უნდა, გაუგებარია ამ
 სიტყვის ძალა. მე კი აქ ყოველ ნაბიჯზე ვაწყდები ასეთ ადათებს. მამაკაცმა არ უნდა შე-
 იცოდოს არც დედა, არც და, შედავათიც არ უნდა გაუწიოს, რადგან ადათი ამის უფლებას
 არ აძლევს. მე, მაგალითად, ყოველდღე გულგრილად უნდა ვუცქირო, რძის კასრების თრევით
 როგორ წყდება წელში პაწია მზექალა, მაგრამ მახმარება არ შემიძლია, რადგანაც ეს კაცის-
 თვის სამარცხვინოა. აი, ეს არის ძნელი!..“

— აჰა! გამოუხიზლდა ხომ?! — შევებით ამოისუნთქა გრიშამ.

„...ყველაზე უარესი ის არის, რომ მარტოველი ვარ. მხოლოდ ახლა მივხვდი ძირფესვი-
 ანად ამ სიტყვის მნიშვნელობას — „მარტო“ ეს ვამწიკობას ნიშნავს. ამიტომ მოგმართავ რჩე-
 ვისათვის: როგორ მოვიქცე, რა მოვიმოწყმედა. ერთი მხრივ, არ მინდა ხალხი ავიმხედრო,
 ვისაც დიდ პატივს ვცემ... მეორე მხრივ კი, არ ძალმიძს მშვიდად ვუცქირო ასეთ ჩამორჩენი-
 ლობას.“

რა ვქნა? რა ვიღებო? მომწერე შენი აზრი. დმერთმა იცის, როდის შეგხვდებით ერთ-
 მანეთს.“

გრიშა კოტა ხახს ჩაუქრდა. მიმოუხანტული ფურცლები შეაგროვა, მაგრამ ჩაბღუჯა და
 საბლისაგან მოკურცხლა.

ნაწილი IV

მუოგლიურ სოფელში

...და დალოცა დმერთმა აბრაჰამის შთამომავლობა. გამრავლებოდათ ფარები ისე
 ძაღლებს! გასჭირვებოდათ თავმოყრა მათი. ტიკტორები გასკდომაზე უოფილიყოს არაყისაგან
 და ზანდუქნი ნაქარგი ჩოხებით საესე.

ღვთის სადიდებლად აბრაჰამს ურიცხვი ბატკანი მიურომეცია ზეარაკად ხატისათვის, მაკ-
 რამ მაინც ეცოტავებოდა ბოძებული. მაშინ თქვა გულში: „კიდევ რა შემოგთაფაზო, უფა-
 ლო?“ არაფერს დაეიშურენ, ყველაფერს შემოგწირავ, რაც ჩემი სოფლისაგან მიმაეალ ვზაზე
 შემხვდება“. და წავიდა თავისი დაპირებით კმაყოფილი. და ხედავს აბრაჰამი: მთის კალთაზე
 მისეგნ გამორბის დადგთებული ჯიხვი. უკან აბრაჰამის ერთადერთი ვაჟი მოსდევს. ისააკს
 მშვილდ-ისარი მოუხიდავს, და გაივლო გულში აბრაჰამმა: „შვილო ჩემო, ერთხელ მაინც
 აგეცდინოს მიხნისათვის!“ მაგრამ დაჭრილი ჯიხვი მიწაზე ეცემა. ისააკი თამამად გაღასტება
 მაშისაგან: „ამაოდ არ დამშვრალხარ, მამასეშო. ტყუილად არ გისწავლება სროლა ჩემთვის
 და ვაგეყარჯიშებია თვალი ჩემი!“

ტუჩა კატაშაურის მონათხრობი ნაკადულის ჩუჩჩუხის ხმისებრ ირეგლებოდა საფინგნოს
 ქვის ვეღლებიდან. ტუჩა კატაშაური ღრმა მოხუცია. დიდი ხანია ეშლება შვილთაშვილების
 სათვალავი. მთებში ბილიკი არ მოიძებნება, ტუჩას არ დაეტყებნოს ჯიხვის, დათვის, ან თა-
 ვისი ვეარის მტრების დევნაში. მთის ბილიკებზე ნაკლებ როდი იცის მამა-პაპათაგან ვაგო-
 ნილი სიმღერები და ლეგენდები. ტუჩას მყინვარზე დადებული თოვლივით თეთრი თმა აქვს
 და ჩინარის ფესვებივით დონიერი და ძარღვიანი ხელები. ვიწრო ტუჩები ჩვეულნო არიან
 თვითველი სიტყვის დიდხანს აწონ-დაწონას.

„და დამწუხრებული წარმოთქვამს აბრაჰამი: ჯობდა ისარი შენი მოხვედრულა მუხას, ანდა
 ღრმად ჩარჭობილიყო მიწაში.“

ტუჩამ თბრობა შეწყვიტა და თავი მალდა ასწია.

უცბად გაბრაზებულთა და აღელვებულთა ხმა მისწვდა მის ყურს: ტუჩამ იცნო, ერთი
 მათგანს მისი უმცროსი შვილიშვილი კვირიკე უნდა ყოფილიყო. მეორეს ისეთი კილო

ქონდა, ნამდვილად ნიკო ქაბუნაური ქირვეულობდა, რომელიც ახლახან ჩამოვიდა ახიელაში.

ჩველებს შორის შეკამათება, შესაძლოა, ხშირად ცუდად დამთავრდეს, როცა ჭამარზე ხანჯალი გვიდია და ძარღვებში ახალგაზრდული სისხლი გიჩქეფს.

ტუჩამ თეთრი წარბები შეპყარა, ქალამხები მოისროლა და წელში მოკაკული მოხუცი ლარივით გასწორდა.

სხვებმაც თავთავიანთი საქმე მიატოვეს და ფეხზე წამოდგომა იკადრეს. საფინჯნოდან გარეთ გამოცევიდნენ. ვიწრო, საცალფეხო ბილივის იქით, პატარა მოედანი იყო მოედნის შეაგულში კვირიკე და ნიკო პირისპირ იდგხენ და ერთმანეთს ანთებული თვალებით ზომავდნენ.

— შენ, დუდაკაცავით თითოსტარი უნდა გეჭიროს ხელში და მატყლს ართავდე, — დასცინოდა კვირიკე ნიკოს. — რა ღირსი ხარ იარაღის ტარებისა. კაცი რომ გაქალიჩუნდება და ქალის საქმეს მოპკიდებს ხელს, იმაა რალა უნდა ელაპარაკო.

ნიკო ცდილობდა წყნარად ელაპარაკა, მაგრამ აღელვებისაგან ხმა უთრთოდა და ეხლიჩებოდა:

— რას ეოყობ, რა ეოყობ! სულაც არ მეთაილება, ხანდახან მზექალას საქმეში შევეშველო. სწორედ მაშინ შეპრცხებოდა, მთელი დღე მხარ თეძოზე ვწოლილიყავ და უნამუსოდ მეტყირა მისი წვალებისათვის.

— ქალად იმისათვის გააჩინა ღმერთმა, რომ იწრომოს...

ნიკომ ველარ მოითქინა და მკეახედ მიუგო: — ის ისეთივე ადამიანია, როგორიც შენ. რით არის შენზე ნაკლები? ამ სიტყვების გაგონებაზე კვირიკემ ხანჯალი იძრო ქარქაშიდან და ფოცხვერივით ისკუპა ნიკოსკენ. მზემოკიდებულ სახეზე სიბრაზისაგან მკედრისფერი დაედო.

- სისხლით გაზღვევინებ მაგ შეურაცხყოფას!
- ჩხუბი გინდა? არც მე გეგონო ლაჩარი!
- ნიკომაც ფიცხლად იშიშვლა ხანჯალი.
- გააშველეთ!
- ჩააგეთ ხანჯლები!

ვაი-ვიშითა და წივილ-კივილით მოირბინეს ქალებმა. პირველი ამეკაუ ჩაუყარდა მორკინალო შუაში და ნიკო გვერდზე გაათრია. კვირიკეს დედა ისე გამწარებული გაპკიოდა, „გააშველეთო“, რომ მთელი სოფელი შესძრა. შვილთან სწორედ მაშინ გაჩნდა, როცა მოქურუხებულნი ტუჩა მკაცრი და მბრძანებლური კილოთი კვირიკეს კიცხავდა და ხანჯალს ქარქაში აგებინებდა. შუქია კისერზე ჩამოეკიდა ბიჭს. კვირიკე ცდილობდა ხელიდან გასხლტომოდა დედას, მაგრამ ვერ ახერხებდა. შუქია სოფლისაკენ ეწეოდა შვილს და ერთთავად იმეორებდა:

- ჩვენს გვარებს რაი აქვთ სამტრო ერთმანეთში. ნიადაგ ტკბილად ვცხოვრობდით. საღაპო ეამს, როცა ცაზე ვარდისფერი ნათება გაჰქრა და მათთა მწვერვალები ჩამუქდა, კატამაურებია სახლში დიდი წვეულება მზადდებოდა. ამეკაუმ ერთი ტიკი არაყი მოიტანა, თუმცა სასმელი არც მასპინძლებს აკლდათ. შუქია ხიხკალს ამზადებდა. ყველას სურვილი იყო, რაც შეიძლება მალე ჩაეცხროთ დავა ორ გვარს შორის, რადგან დავას ჩხუბი მოსდევს, ჩხუბს — შერკინება, იღვრება სისხლი, რაც ხშირად უბედურებად დაატყდება ხოლმე ორივე გვარს, ხანდახან კი მთელი სოფელსაც. უთანხმოება რომ დაეცხროთ, კატამაურთა სახლში ბევრმა ხეგსურმა მოიყარა თავი. ისინი თავად უნდა დარწმუნებულიყვნენ, რომ მოწინააღმდეგენი დაშოშმინდნენ და შერიგებისაც დალიეს.

სტუმრები სიამოვნებით სვამდნენ ორი უძველესი მოდგმის — ქაბუნაურთა და კატაშაურთა ჭილაგის მომავლისა და მეგობრობის სადღეგრძელოს.

ნიკო წითლდებოდა და უარს ამბობდა არაყის დაღვევაზე; მარტო სუნიც ათრობდა და გულს ურევდა. საერთოდ, ვერ გარკვეულიყო, რა ზღებოდა. სოფლის ქალს თუ კაცს მათი წაკინკლავება ასე რად აღფლავებდა? რა ქონდა ნიკოს კვირიკესთან გასაყოფი? ეგ არის, რომ კვირიკემ პირველმა იძრო ხანჯალი. ისე, ყველაფერში კარგი ბიჭია და რას ერჩის. ნიკომ შერიგებისას თავი იმართლა:

— უნდა იცოდეს, კვირიკე, მე სხვაგან ვავიზარდე. ჩვენს სკოლაში გოგონების მუშაობი-

სათვის რომ ასე გულხელდაკრეფილი გეცეპრა, მაშინვე წელმოწყვეტილსა და უქნარს შეგარქმევდნენ.

ნიკომ შეამჩნია, კვირიკეს წყენისაგან სახე გადაუფითრდა და საუბარი შეწყვეტა. ილიკომ დრო იხელთა და არაყით სავსე ყანწი მიიჩეჩა ნიკოს.

— დალიე, ნიკო! ეინც მეგობართან არ დალევს, ის რა ხევსურია! ალბათ ქალაქში ტბილ ღვინოებსა ხარ მიჩვეული და ჩვენებური არაყი არ გეპიტნავენა. არა უშავს, აქ მალე მიეჩვევი.

ნიკომ ჩაღხიას შეწუხებულ სახეს შეავლო მზერა; თითქოს თვალებითა და პირს მომდგარი ღიმილით ატეხებდა; დალიეო!

ნიკომ ვედარაფერი აწამა, ყანწი ტუჩებთან მიიტანა და ცოტა მოწრუბა.

„ნეტავ გრიშა როგორ მოიქცეოდა? — ფიქრობდა ნიკო, — ისიც ჩემსავით დალევდა?“

მოლაკარაკება

მზექალას ცალ ხელში ტაგანი ეჭირა, მეორეში — სამფეხა სკამი და უჭირდა ჩამწყვრივებულ ძროხებს შორის გავლა. წითელი, თეთრი და ჭრელი მომცრო ძროხები მკერდამდე ძლივს წუდებოდნენ მზექალას. ნაირფერი, ნაგაზისოდენა ხბოები ფეხებში ებლანდებოდნენ. გოგონამ ძლივს მოახერხა სამფეხა სკამის დადგმა. ერთს ქედზე მოუთათუნა ხელი, მეორეს თავზე და ჩქებზე წაუჯაჯურა, სხვები, თბილ პაერს რომ ასუნთქებდნენ სახეში, მისწი-მოსწია და გაჭრაჭიმებული თითებით წველას შეუღვა. ჯიქნებიდან თეთრად მოჩხრიალებდა რძე.

აქაფებული რძით სავსე ტაგნით მზექალა კარისაკენ გაემართა, თან ხბორებს იკვრივებდა. ვასასვლელში ჩაღხიას შეეჩეხა.

— ნიკო გაადვიძე და ასე გადაეცე, ახლაც წაბლა აქ მომგვაროს, — უთხრა ჩაღხიამ და ბილიკს გაუყვა.

მზექალას ტაგანი ხელში გაუშეშდა. ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ თავი ჭერხოსაკენ შეაბრუნა, სადაც ჩვეულებრივ ბიჭს ეძიხა და რაც ძალი და ღონეს მქონდა, გასძახა:

— ნიკო!

ჭერხოდან არაეინ გამოპასუხებია.

— მეგდარივით სძინავს, — გაელიმა გოგონას. ტაგანი ოთახში შეიტანა და კიბეს აუყვა. ფეხის წვერებზე შემდგარმა მზექალამ საბანს ხელი დასტაცა. მაგრამ საწოლში არაეინ აღმოჩნდა.

იმედგაცრუებულმა მზექალამ აღარ იცოდა რა ექნა.

— ამ დილაადრიან სად გაქრა, ნეტა?

თვალი მოავლო სთვლის ვიწრო გზებს, ზანებს, სადაც ბავშვები თამაშობდნენ და მოხუცი ქალები ფუსფუსებდნენ.

ნიკო არსად ჩანდა.

მერე მწვანე საძოვრებს ჰკიდა თვალი. მთებში ჩამოწოლილი ნისლი ხელ-ხელა მწვერვალებზე აღიოდა.

— ცხენებთან იქნება! — ხელი ხელს შემოჰკრა ქურციკივით სწრაფმა და მოქნილმა მზექალამ და იქითკენ მოჰკურცხლა.

საძოვარზე ორი ცხენი მშვიდად ბალახობდა. არც ნიკო ჩანდა სადმე და არც წაბლა ჩაღხიას ერთი ცხენი ცოტას კოჭლობდა, რადგანაც რამდენიმე დღის წინ მთიდან წამოსულმა ლოდებმა ფეხი დაუზიანა.

„ნეტავ რად უხდა ჩაღხიას წაბლა? — გაიფიქრა მზექალამ, — მე საიდან გავაჩინო? ძროხები მოსაწველი დამჩნია, ნიკოს კი მიწამ უყო პირი თუ ცამ, ვერაფერს ვაიგებს. სადა ვეძებო ახლა!“

ამის გაფიქრება კი მოასწრო და უცბად ნიკოს მოჰკრა თვალი. ცხენს ისე გაჰკვროდა, ძლივს შეამჩნევდი. ფერდობზე წაბლა ცოტა ხნით თვალს მიეფარა, შემდეგ კვლავ გამოჩნდა. ნიკომ ცხენი ძლივს შეაჩერა მზექალას ახლოს. ბიჭი და ცხენი დაღლილობისაგან ძლივს სუნთქავდნენ. წაბლას მბრწყინავი ბალახი ოფლს ჩაემუჭებინა.

— ნიკო! ეგ რა გიქნია, — ეცა მზექალა. — ჩაღხიას წაბლა სჭირდება, შენ კი როგორ გაგიოფლიანებია?

— ჩაღბიას? — გუნება წაუხდა ხიკოს. — რაღაც უნდა ვიღონოთ, მზექალა, მომეხმარები?

თანხმობის ნიშნად მზექალამ თავი დაუქნია. ჩაღბია რომ მზექალას მადლობას არ ეტყობდა, ეს ნათელი იყო. იქნებ კარგადაც გაეგორა. მაგრამ, მერე წაქნისთვის შეტსაც აიტანდა, რადგან ის სხვებს არა ჰგავდა. თვალდახრილი ნეტეს მზექალას სხვები კი მხოლოდ მბრძანებლობენ პატარა მზექალას. ახივლადაც დაწყებულ ბარისახომდე ამნაირ ბიჭს ვერ შეხვდები. ბევრი-ბევრი, დაუყვიროს ჩაღბიამ, მეტს რას უზამს? ის კი, მოკუმიავს პატარა, წითელ ტუჩებს და არაფერს უპასუხებს.

ჩაღბიას არც გაუგორავეს და არც დაუყვირია; ისე კი დიდხანს ელოდა ეზოში. მზექალა ცხენიდან ჩამოხტა. ჩაღბიამ ცხენი შეათვალღერა.

— წაბლა სად არის?

— ალბათ, ნიკო სადღაც დააჭენებს. ყველა კუთხე-კუნჭული მოვიარე და ვერსად მივაგენი. — ხელები უმწეოდ გაშალა მზექალამ.

ჩაღბია მიიღუშა. გოგონას მკაცრად ჩაბედა თვალგებში.

მზექალამ აღარ დაუცადა, ჩაღბია როდის გაუსინჯავდა ცხენს რიგრიგობით ოთხივე ფეხს. ჩაღბიას მოტყუებით გახარებულმა გოგონამ ეშმაკურად ჩაიღიმა და კვლავ ძროხებს მიაშურა. ეზოდან ცხენის ფლოტებშია თქარა-თქური შემოესმა. აჰა! ეს ალბათ ჩაღბია გაუდგა ბარისახოს ვზას, შვებით ამოისუნთქა მზექალამ. კვლავ ფიქრებმა წაიღო. ნეტავ ნიკომ კარგად გაამშრალა ცხენი? ხომ არაფერი დაუზიანა? ეს რომ წარმოიდგინა, შიშისაგან ჩიქილ-ჭვეშ თმა ყალყზე დაუდგა. ახლავე მოტყუარებლავდა მინდვრისაკენ, მაგრამ საქმეს ვერ უღალატებდა. ამ ფიქრში იყო გართული, როცა ნიკოს ფეხის ხმა შემოესმა. ალბათ, კერბოში აღიოღა. მზექალამ ძროხების წველა დაამთაერა, რძე ოთახში შეიტანა, ხელები კაბის კალთაზე შეიმშრალა და ხიკოს ფეხდაფეხ მიჰყვა.

ნიკოს ხელები თავქვეშ ამოედო და ლოგინზე გულაღმა იწეა. ეტყობოდა, გვარიანად დაღლილიყო.

— მზექალა, შენა ხარ? რაო, ჩაღბიამ, რა თქვა? ძაან ვაბრაზდა? — მოუსვენრობდა ნიკო. მზექალამ შავი, წვრილი წარბები შეიკრა და ქვემოთკენ გაიშვირა თითი, სადაც ამეკაე ეგულებოდა. დედამ არაფერი უნდა იცოდეს, შეთქმულებით ჩურჩულებდნენ.

ნიკომ წაბლა გაამშრალა და თავის ადგილას დააბა. ისიც იცოდა როგორ უნდა მოველო ცხენისათვის.

— ამ დღეებში ცხენი ცოტა უნდა დაასვენოს, რაღა ღარჩა?

მზექალამ დასათვლელად თითები მოიშველია.

— დღეს ხო არშაბათია, ორმოცი შაბათსაა დანიშნული. ერთი, ორი, სამი... ოთხი დღეა. ოთხშაბათიდან ქერი უნდა ვაჭამოთ...

— თვითონ ჩაღბიამ რომ მოინდომოს დოღში წასვლა? — წუხდა ბიჭი.

გოგონამ უარის ნიშნად თავი გააქნია.

— ნამდვილად ვიცი, თვითონ ჩაღბია არ გამოვა და ცხენსაც არ ათხოვებს სხვას. ეიცონომ ჩაღბიას. ახლა, მთავარია, ცხენს კარგად მოუარო, ცივი წყალი არ დააღვინო. ქერით შე მოგამარაგებ. წითელ ბაფთებსა და აბრეშუმის სარტყელზეც შე ვიზრუნებ.

ნიკო შეტყუარებდა მისკენ ვადახრილ პატარა გოგონას მოცქნაფულ სახეზე ჩამოყრილ შავ თმას, წაიჩურჩულა:

— მადლობთ, მზექალავ!

გოგონას სიბარულისაგან სახე გაეზადრა, ტავში შემოტკრა და ჩურჩულითვე თქვა:

— ძალიან ვღვლავ და მეშინია კიდევაც, ნიკო! ძალიან მეშინია! დოღის დროს ბევრი გადაიხეხილა უფსკრულში!

ნიკომ გაიღიმა, მხრები აიჩეჩა და თავდაჯერებულმა თქვა:

— დარდი ნუ ვაქვს, მზექალავ, კვირიკეზე ნაკლები მხედარი მაინც არ ვიქნები; აი, ხახავ!

დოღი

წაბლა თავს აქნევდა, მიწაზე ტორებს სცემდა და ერთ ადგილას ვერ ისვენებდა. იქნებ გუმანით გრძნობდა, რომ ასე მშვენიერად გამოწყობილი და სახეიბოდ ნორთული რომელიღაც ვორას კი არ უნდა ყოფილიყო ამოფარებული, არამედ სხვა ცხენების გვერდით ამაყად მდგა-

რყო და ნიშნის მიცემასთანავე იმართებით მოწყვეტილიყო ადგილიდან. ნაწინავედ დაგორცნილ ფაფარში წითელი ბაბთები პტონდა ჩაწხული. წითელივე აბრეშუმის სარტყელი სუტგა და მუცელს უმშვევებდა. ცხენი ხომ ვერა და ვერ ისვენებდა. მაგრამ ნიკო უფრო დღღავდა. ხან უბელო ცხენის სარტყელს ამოწმებდა, მაგრად პტონდა თუ არა შემოტყერიერ, ~~შენსკადე~~ მალულად იხედებოდა სერს გადაღმა, სადაც ხალხი შეკრებილიყო. მაგრამ ~~ქვეყანა~~ ~~ცხენს~~ თვალი ვერ გაარჩევდა, რას შერებოდნენ ისინი. ნიკოს მზექალას იმედი პტონდა. მარჯვე გოგონას ნიკოსთვის დროზე უნდა ეცნობებინა დოღის დაწყება. მზექალა კი არსად ჩანდა! უცებ, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, სირბილისაგან გაწითლებული და სუნთქვაშეკრული მზექალა გამოჩნდა.

მის დანახვისთანავე ნიკო ცხენს მოახტა.

— იწყება, მზექალავ?

გოგონამ ცხენს ფაფარში წაავლო ხელი.

— მოიცა ნიკო, ნუ ჩქარობ. ჭერ აღრეა. ისე დავიღალე, სულს ძლივსღა ვითქვამ. რომ არავის დავენახე, ამხელა მთას ირგვლივ შემოვუარე.

— იქ რა ხდება? — ველარ ითმენდა ნიკო.

— ნუ გეშინია, ეს მოხერხებული ადგილია. აქედან ხელისგულივით ჩანს ყველაფერი. ამ გზას მაინც ვერ ასცდებიან. ცხენიდან ჩამოხტი, თრივემ ერთად ვუთვალთვალთ. ხედავ, — თითი გაიშვირა მზექალამ, — იქ მარტო მამაკაცები სხედან და ერთმანეთს უმასპინძლდებიან. რა საჭმელებია, სულო და გულო! ლუდი და არაყი რამდენიც გინდა! შუქიამ თქვა, ხაეიწში სამი ფუთი ერბო ჩადეს, გემრიელი გამოვიდესო. ახლა პურებს აღარ იკითხავ?

— ჩალხისას კარგად ვხედავ! — წანოიძახა ნიკომ.

— მის გვერდით როა, ტუჩაა. არჩევ? ქალები ცალკე არიან მოკალათებულნი. აგე, ჭურხას ცხენიც მოჰყავთ, ჭურხას ცოლს კოკორას შტვირში წაუფლია ხელი, მეორეში კი ლუდით საესე ყანწი უჭირავს. ცხენზე ჭურხას აბჯარ-აბჯარია. რა ლამაზი საჭურველია! — ამოიოხრა მზექალამ. — ახლა დეკანოზი აკურთხებს ცხენს, მერე კი ტალავრის ირგვლივ შემოატარებენ. — ნიკო! შეგეჭი ცხენზე, — უთხრა მზექალამ. — ნიშანს მე მოგცემ. არ დაიძრა, სანამ არ გეტყვი, — აღელვებისაგან ბიჭს სახე გაფერმკრთალებოდა. — მოჯირითეები უკვე შესხდნენ თავიანთ ცხენებზე: ერთი, ორი, სამი, ოთხი... ცამეტამდე იქნებიან... წრეს უფლიან... აი, დაიპრნენ! აბა, მარღად, ნიკო, შენც მოემზადე. უკვე ფხს აუჩქარეს, მოაქენებენ. ნიკო! ეს რა გქენი! — მწუხარესავით ამოიკვნესა. — აჯობებდა ჯილდოზე ხელი აგეღო და შენთვის ყოფილიყავი, ბიჭო!

ნიკო წაბლაზე გაწოლილიყო და ყურს უგდებდა მოახლოებული ცხენების თქარათქურს.

— მზექალა, — ძლივსღა მოასწრო ორიოდ სიტყვის თქმა, — მე ჯილდოსათვის კი არ... მაგრამ, მაინც პირველი მოვალ, აი, ნახავ!

ამ დროს საგულდაგულოდ წითელფაფარმოწული ცხენებიც გამოჩნდა. ნიკომ ფეხები მაგრად მოუჭირა წაბლას მუცელზე, ცხენი ხევისაკენ გააქროლა და თვალის დაბამბამებაში მოტრიამულე მხედრებს შეუერთდა.

მზექალა გულხელდაკრეფილი იდგა ერთ ადგილას და მანამ გასცქეროდა მოჯირითეებს, სანამ ისინი რომელიღაც ხევში თვალს არ მიეფარნენ. გოგონა შიშის ზარმა აიტანა. ვაითუ ნიკო უფსკრულში გადაიხეხოს? ხომ არ გგონია, ვინმე მოეხმარება, ზედაც არ შეხედავენ, ეს კარგად იცოდა მზექალამ.

ნიკო ხომ მან შეაგულიანა. უცებ გონებაში გაჰკრა, ჩალხისთან გაქცეულიყო და ეთქვა: „ნიკო მათთან ერთად მონაწილეობს დოდშიო“, მაგრამ მოხუცის მკაცრი შემოხედვის შიშით წინასწარ გული ეკუმშებოდა. მზექალას თვალებზე ცრემლი მოადგა. არავის რომ არ დაენახა, სწრაფად ჩაირბინა მდინარესთან. მდინარეში ჩამავალი წყაროს წყლით ცოტა გული გაიგრილა, თვალებიც მოიბანა. ცივმა წყალმა გუხება ოდნავ გამოუყეთა და მხნეობა შემატა. რაღა მაინცდამაინც ნიკო დაიღუპება? იქნებ პირველობა მოიპოვოს და ჯილდოც მიიღოს? მდინარის პირას მარწყვი მოწყვიტა და პირი ჩაიტკბარუნა. ანკარა წყლიდან მას მეორე — შავთვალა და დაეღაჟა მზექალა შემოჰყურებდა.

მზექალამ გაიღიმა; ლანდმაც შესცინა. არაფერიც არ მოხდება. მზექალამ შეებით ამოისუნთქა, ჩიქილა გაისწორა და დაბალ ხმაზე აღიღინდა. ნელი ნაბიჯით პატარა მწვანე მინდორს შემოუარა და მოქეიფებდა შეუერთდა.

დედაკაცები ერთ წრედ შეკრულიყვნენ ჭურხას ტანსაცმლისა და საჭურველის გარშემო და გულსაკლავად მოსთქვამდნენ. მათმა საზარელმა ხმებმა მზექალას კვლავ გაულევიეს შიში. ჭურ-

ხას ტანსაცმლისა და საჭურვლის ადგილას მან ცხადოდ წარმოიდგინა თვალმომავალი, მკვდარი ნიკო და მისი დამტირებელი — ამეკაუ, ნანა და მზექალა. არა, მას ცოცხლად დაბრუნება არ უწერია! საღ-სალამათს ველარ ვიხილავ! თანაც ყველაზე ძნელი გზა არჩია — ამლიდან ახილამდე!

მზექალას შიშისაგან სული ეღვევა. ველარ უძლებს მოწოლილ დარდს. შეტის ატანა აღარ შეუძლია. უნდა გაენდოს ჩაღხიას. რაც იქნება, იქნება.

ჩაღხია რამდენიმე მამაკაცთან ერთად მოქარგულ ხალიჩაზე ზის და დროდადრო ლუდს შეეჭყვავა. მზექალა ხალიჩაზე მიყრილ-მოყრილ ჯამებსა და ყანწებს ახტება და აცრემლებული ჩაღხიას მიეჭრება.

— ჩაღხია, ნიკო ნამდვილად ხელიდან გამოგვეცლება!

გაკვირვებულმა ჩაღხიამ თასს ტუჩები მოაცილა და მზექალას შეუბღვირა.

— რამ გავაგიჟა, გოგო?! ნიკო დაიღუპებაო? ახლახან აქ არ იყო?

— ისიც წაბლათი დოღში წავიდა. ცოცხალი აღარ დაბრუნდება! აღარ დაბრუნდება!

თვალმომავალმა მზექალამ ყველაფერი დაწვრილებით უამბო ჩაღხიას: ნიკოს ეშინოდა, მოხუცი გულის წადილს არ შემისრულებსო და ამიტომ გადაწყვიტა, როგორც კი წაბლას მოიხელთებდა, დილაობით ევარჯიშა. მზექალაც ხელს უწყობდა ჩანაფიქრის განხორციელებაში. ამა არ დახმარებოდა?! ნიკო ისეთი ჯიუტია, მაინც თავისას გაიტანდა. მზექალამ კი მისი დაბეზღება არ მოინდომა.

— ვაი, უბედურო ჩემო თავო! — ქვითინებდა გოგონა.

მზექალამ თავზე ჩაღხიას მძიმე ხელი იგრძნო.

— იდექი, მზექალა! უშნოდ ნუ იწირპლები! ნიკო ვაჟეაცია და რაც უნდა, იმას იზამს.

შენი ვალი იყო მისთვის დაგეჟერებინა. უნდა დახმარებოდი, მაში!

— რომ დაიღუპოს? — თვალები შეიმშრალა მზექალამ.

ჩაღხიამ თასს წამოაგლო ხელი.

— რად უნდა დაიღუპოს? რახან ამდენი ივარჯიშა, უქმად არ ჩაუვლის.

— ჩემზე ნაკლებად როდი აქვხებს, — გაიღიმა აცრემლებულმა.

მოხუცს სახე გაეზადრა:

— ბოლოს და ბოლოს, ხევსური არ არის? ქაბუნაურის ნაშიერი არ არის?

— კვიცი გვარზე ხტისო, — კვიცი დაუკრეს სტუმრებმა.

— ეგ ბიჭი არ შეგარცხვენს, ჩაღხია. ვინ იფიქრებდა, ხევსურობა ძვალსა და რბილში ასე ექნებოდა გამჭდარი? ნამდვილი ხევსურის სისხლი უღუღს ძარღვებში, — ესა თქვა ტუჩამ და თასს დასწვდა. — არ იჯავრო, მზექალა, ნიკო ჯილდოსაც მოიპოვებს!

მზექალა ჯილდოების სახანავად გაიქცა. ნეტა რომელი შეხვდება ნიკოს: ფარა თუ ბექთარი? ორივე კარგია, მაგრამ, ალბათ, თოფი უკეთესია, მეწინავესთვისაა დათქმული.

— ოღონდ ცოცხალი დაბრუნდებოდეს და თუნდაც ფარა ერგოს, — ამოიოხრა მზექალამ.

ცმუკავდა, ერთ ადგილას ველარ ჩერდებოდა. ბოლოს, პატარა ბიჭებში შეერია და მათთან ერთად მოხერხებული ადგილი ამოირჩია მოჭირბოვების თვალყურის სადევნებლად.



რაც დრო გადიოდა, ჩაღხია უფრო მეტს სვამდა და ცოტას ლაპარაკობდა. შეკრულ წარბებსქვემოდას გამომზირალი არწივისებური თვალები ხშირ-ხშირად გაპყურებდნენ გზას, საიდახაც ცხენ-მხედარნი უნდა გამოჩენილიყვნენ. როგორც ყოველთვის, ამოუცნობი და მკაცრი სახე ჰქონდა. კაციშვილი ვერ მიხვდებოდა რას იბრუნებდა გულში: უძირო სევდას თუ ფარულ სიამაყეს.

ბიჭებმა ხტუნვა-ხტუნვით და ჭივილ-ხივილით აიკლეს იქაურობა: „მოდიან!“

მთის გადაღმა გამოჩნდა ცხენის კისერზე გაკრული მხედარი. უმაღლესი და ხშირადალი შეჩახილებით შეეგებნენ. ეს ჯიშლედი მათია გოგოლაური იყო. მას უკან მოპყვებოდა თომა ბაბიახი. მესამე კვირიკე იყო. სიხარულს ვერ ფარავდა მოხუცი ტუჩა. მეოთხე... მეოთხე ვინდაა ნეტავ? ვინ დაისაკუთრებს ჯერბას ლამაზად ნაქსოვ ჯაჭვის პერანგს?

— მოჭრის! მოჭრის!

მთიდან კანთიელად ჩანდა ცხენის თავი და ნიშა შუბლი. ჩაღხიამ მაშინვე იცნო თავისი წაბლა. მოხუცს სიამოვნებისა და სიამაყისაგან სახე გაუბრწყინდა.

მზექალამაც იცნო წაბლა. სიხარულისაგან გულჩქროლებული ნიკოს შესახვედრად გაემზადა, მაგრამ მოულოდნელობისაგან ერთ აღვილას გახევდა: ხელები მკერდზე შეეკინო, სახე გაუფრთხილდა და თვალებში შიში ჩაუდგა: წაბლა უმხედროდ მოქროდა!

უკონსენსო
გონსონონთუკა

ნ ა წ ი ლ ი V

მ ა რ ი ნ კ ა

ჩქარი მატარებელი მოსკოვი-ბაქო-ტფილისი-ბათუმი ნელ-ნელა მიუახლოვდა ტფილისის სადგურს და ბაქანზე შეჩერდა.

ბავშვობისდროინდელი წარმოდგენით, მზისგან მარად ოქროსფერად გააშკაშებული ტფილისის ცა ცხრა წლის შემდეგ მოქუფრული და წვიმიანი დაუხვდა მარინკას. ერთ ხელში ჩემოდანი ეჭირა, მეორეთი კი ჭრელ თავშალს მიაფრიალებდა. სიცივისაგან გათოშილი და წელში მოხრილი, ძლივს მიაბიჯებდა ამდენ ხალხში და ამაოდ ეძებდა თუნდაც ერთ ნაცნობ სახეს, თუმცა დარწმუნებული იყო არაფერს შეხვდებოდა. წელიწადზე მეტია ნიკოსგან აღარაფერი ისმოდა. ვინ იცის, სად არის ახლა?

ვასასი? არჩილი? ცხრა წლის შემდეგ სად ეძებოს? ცოტა ჩაფიქრდა, მიმართავს ერთსულ კიდევ გადაავლო თვალი და გადაწყვიტა, ბარგი შემნახველ საკანში ჩაებარებინა, რომ დაუყოვნებლივ გამოცხადებულიყო პრობაგანდის განყოფილებაში. გადავიწყებოდა, რომელი ნომერი ტრამვაი საით მიდიოდა. თითქოს პირველად იყო ამ ქალაქში. ბოლოს, როგორც იქნა, ტრამვაის ნომერიც გაიხსენა და ცენტრალური კომიტეტის შენობაც მოძებნა. პრობაგანდის განყოფილებას ოცდამეათმეტე ოთახი ეჭირა. იქიდან ისევ რუსთაველის პროსპექტზე გაგზავნეს.

„გიორგი ორბელი, მეთხუთმეტე ოთახი“, — არ დამავიწყდესო, ხშირად იმეორებდა მარინკა და გულის განაწვრილებელ წვიმაში მიაბიჯებდა.

მარინკამ შეგებით ამოისუნთქა, როცა მეთხუთმეტე ოთახს მიაღწა. ამხანაგმა ორბელმა ისე მიიღო, თითქოს დიდი ხანია ელოდებოდაო. ორბელი დამტვრეული რუსულით უხსნიდა და ცდილობდა დაერწმუნებინა მარინკა, რომ კადრების ხაკლებობაა, რომ თვითიველი ადამიანი ეს არის... ეს არის...

— ქართულად ილაპარაკეთ, ამხანაგო, — ღიმილით მიმართა მარინკამ, — მე ქართველად ვთვლი თავს, რადგან ამ მიწაზე, აქ დაეიბადე.

ამხანაგი ორბელი ქართულად უფრო ენაწყლიანად ილაპარაკდა. ცოტა აღელვებული კი ჩანდა. პატარა ოთახში სიარულის დროს ხშირად ეჯახებოდა სკამებს.

თავის თბილ და ძლიერ მარჯვენას ამხანაგი ორბელი უკვე შესაძენდ ართმევდა სიცივისაგან გაყინულ და გაწითლებულ მარინკას და არწმუნებდა, აქედან აღარსად გაგიშვებთ, მორჩა და გათავდაო.

— ვერც წარმოიდგენთ, როგორ გეჭირდება კარგი სპეციალისტი, ამ დღეებში სვანეთსა და ხევსურეთში ორ სახიტარულ ექსპედიციას ვაგზავნით... მაგრამ, ცოტა ხანს მოითმინეთ... ახლავე გაგაცნობთ ჩვენს მდივანს — ძალიან საქმიანი ქალია...

ამ დროს მეთრე ოთახიდან შურდულივით შემოვარდა ლურჯ ქვედაკაბისა და თეთრ პერანგში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი.

— აი, ამხანაგი მარგოც გამოჩნდა! გაიცანით ერთმანეთი. ამხანაგი ტოლკაჩოვა მოსკოვიდან... ამხანაგმა ტოლკაჩოვამ ქართული იცის, — აუხსნა სახეგაბადრულმა ორბელმა, — ეს ჩვენთვის პირდაპირ მისწრებაა. როგორ გგონია, მარგო, იქნებ ხევსურეთის ექსპედიციაში გაგვგზავნა, პა?

მარგომ წარბები შეიკმუხნა, ცოტა ხანს დააყოვნა, ეტყობოდა, თავისთვის რაღაც აწონდაწონა.

— ხევსურეთში ნინა მიემგზავრება, სვანეთისაკენ კი ხალხი გვაკლია. ერთ პაპიროსს ვერ მომაწვევინებ, გიორგი?

პაპიროსს რომ უკიდებდა, უცბად რაღაც ვაახსენდა; პაპიროსი საფერფლეზე ჩააქრო, მარინკას თავი დაუქნია და ოთახიდან გავარდა.

— ოქრო გოგოა, — თქვა ორბელმა, — თღონდ, ძალზე ჩქარია. თქვენ როდის შეგიძლიათ მუშაობის დაწყება?



— თუნდაც ახლავ, მაგრამ სადგურიდან ბარგი მაქვს წამოსაღები.

— ბარგს ჩვენც მოვიტანთ, სად ცხოვრობთ?

— ჯერჯერობით არსად, — მარინკა ფანჯრის მინებზე მოწანწკარე წვიმის წვეთებს უბუნებოდ შეაჯერდა და წინასწარ კანკალმა აიტანა, რამდენიმე წუთში ისევ ქუჩაში უნდა ვიხეტიალო და ღამია გასათევი ადგილი ვეძებოთ. ორბელმა წითურ თმაზე ხელი გადაისვია.

— არსად? როგორმე ერთ ოთახს გამოგიძებნით. ისედაც გაგვიგრძელდა საუბარი. მმ... ამხელა ქალაქში ნათესავი მაინც არა გყავთ?

— მყავს უძეცროსი ძმა... მაგრამ, ტფილისში ცხოვრობს თუ არა, ვე არ ვიცი. აგერ ერთ წელზე მეტი იქნება, ცოცხალია თუ მკვდარი, მისი აღარა გამიგია რა.

ორბელი ოთახში ბოლთას სცემდა.

— მომიხმინეთ, ამხანაგო ტოლკაჩოვა. მოდიოთ, ასე შევთანხმდეთ. ჯერჯერობით ჩემს ოთახში დაბინავდით...

— თქვენს ოთახში? მერე თქვენ? — დაიბნა მარინკა.

— მე? ვინმეს შევეჩიხნები... ძმის მოსაძებნად ორ დღეს გაძლევთ.

— სამსახური? — გაუბეღავად ჰკითხა მარინკამ.

— სამსახურში მშვიდად უნდა იყო კაცი და კარგი გუნება-განწყობილება გქონდეს. ასე აჯობებს, შევთანხმდით?

— შევთანხმდით... მაგრამ...

— არავითარი „მაგრამ“. სადა გაქვთ ბარგის ქვითარი?

მარინკამ ჩანთა ამოატრიალა და ქვითარი მოძებნა.

— ძალიან კარგი, მომეცით. სამსახურს თხუთმეტ წუთში ვამთავრებ. მაშინვე ჩემს ბინაში წაგიყვანთ, ბარგის მოსატანად კი ცოტა მოგვიანებით წავალ.

მარინკა არ დაეთანხმა.

— ბარგის გამოტანა არც მე გამიჭირდება.

ბოლთს, როგორც იქნა ორბელმა დაიყოლია გაჯიუტებული ქალიშვილი. ვაჟს ისეთი შეუვალი კილო და კეთილი თვალები ჰქონდა, რომ მარინკამ სიტყვა ვეღარ შეჰბედა. კიბეზე ხადიოდნენ, როცა ორბელმა რაღაცა გაიხსენა და ცოტა არ იყოს, აფორიაქებულმა მიმართა:

— თქვენ... ძაღლები გიყვართ?

— ძაღლები? — გაუკვირდა მარინკას.

— სულ დამავეიწყდა მეოქვია, რომ ოთახში მონადირე ძუენა მყავს, ხერა ქვია, ახლახან ლეკვები დაყარა და...

— ნუ სწუხართ! — შეაწყვეტინა მარინკამ. — ძაღლები ძალიან მიყვარს, განსაკუთრებით კი ლეკვები.

დაკარგული კვალი

მარინკას ჰქონდა სკოლის მისამართი.

— შეუძლებელია, სასწავლო ნაწილის გამგემ არ იცოდეს, სად არის ამჟამად ნიკო, ვხაში თავს იმშვიდებდა მარინკა. ის კი აღარ იცოდა, მისეღისთანავე დარჩებოდა იმდღივ რომ გაუცრუდებოდა. ადრინდელი სასწავლო ხაწილის გამგე სოსო ექვსი თვის წინათ ბაქოში გამგზავრებულიყო. ახლაც დახმუნულმა გამგემ, რა თქმა უნდა, ხიკოსი არაფერი იცოდა. წინანდელი „კომუნის სკოლა“, სადაც მოსწავლეებმა სწავლობდნენ და ცხოვრობდნენ კიდევაც, ჩვეულებრივ სკოლად გადაკეთებულა. იმდროინდელი მოსწავლეებიდან აბა ახლა ვიღა იქნებოდა.

სად ექებოს ნიკო? ვის ჰკითხოვს? ვინ დაეხმარება? თავჩაქინდრული და დაფიქრებული მიდიოდა მარინკა და აკაციის გამხმარ ფოთლებს ღებით აქეთ-იქით ფანტავდა. უცებ არჩილი გაახსენდა.

ქალაქის განაპირას ისევ იდგა პატარა ქოხი. მარინკას გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა, ქვის პატარა საფეხურებზე რომ აღიოდა. წუთით წარმოიდგინა განცვიფრებული არჩილის დანაოჭებული სახე, კეთილი თვალები, სათვალის ზემოდან რომ შეაშტერდებოდნენ მას. ხეტავ თუ იცნობს მარინკას?

ტაბურეტზე კაფანდარა კაცი იჯდა. კარის ჭრიალზე თავი მალდა ასწია. მარინკა პირდაღებული შედგა. ის კაცი არჩილი არ იყო.

— არჩილი... არჩილი აქ აღარ ცხოვრობს? — შეეკითხა აკანკალებული ხმით.

— ის მოხუცი ხუთი წელია აქ აღარ ცხოვრობს. თუ ფეხსაცმლის შეკეთება განდათ, მეც შემიძლია, აბა, აქ რითვინა ვარ?

— ეჰ, ნეტავ მართლა ფეხსაცმლის შეკეთება მინდოდეს, — თქვა დაღონებულმა მარინკამ, — არ იცით, ახლა სად ცხოვრობს?

— მგონი, უსახლკარო ბავშვთა კოლონიაში იშოვია სამუშაო.

— სადაა მერე ის კოლონია?

— ვინ იცის, აბა? — მოკლედ მოუჭრა მეგდანემ და მეორე ფეხსაცმელს დასწვდა.

მარინკა გარეთ გავიდა.

მიპყვებოდა ბარიატინსკის ქუჩას და თვითონაც არ იცოდა, საით მიდიოდა. თითოეულა სახლი, თითოეული ქვაც კი იმ შორეულ და ამავე დროს ახლობელ ქაშს აგონებდა, რომელსაც ბავშვობა ჰქვია. ესეც მათი ძველი სახლი: აი, კიბე, სადაც ნიკო იშოვია. ვიღაც ქალი თეთრულს ტენს. შავთმიანი ბიჭი კი კიბის მოაჯირზე შემოიჭდარა, თითქოს ცხენს მიაქროლებდნენ და გაშმაგებით „აჩუნს“ გაპყვირის. მარინკას გულით სურს კიბის საფეხურზე ჩამოჯდეს და გარდასული დრო გაიხსენოს, მაგრამ დარწმუნებულია, ის ქალი არც ამოასუნთქებს, მაშინვე შეეკითხება, ვინ არის და საიდანაა მოსული. ისედაც რაღაც აღმაცეროდ ათვალეურებს.

ფიქრებში გართული მარინკა დაბალ ყორეს დააკვირდა და ქიშკართან შეჩერდა. აქ არ ცხოვრობდა ვასასი? იქნებ ისევ აქ ცხოვრობს? როგორ უყვარდა ვასასის ხიკო! შეალო ქიშკარი. ორი ძალი მისკენ ყეფით გამოექანა. შინიდან მოხუცმა ქალმა გამოიხედა. ალბათ, უურთ აკლდა, რადგანაც ვერ გაიგო, მარინკა ვისაც კითხულობდა. ბოლოს, როგორც იქნა, მიხედა.

— ტაბანაძე? ვაქარი? არა. აქ ასეთი არაა ცხოვრობს.

სასოწარკვეთილმა მარინკამ შადლობა გადაუხადა და გზა განაგრძო.

ნიკოს გზა-კვალი დაკარგულია. სადღა მოძებნოს?!

ალექსანდროვის ბაღს მიადგა. ღობესთან ჩამოჯდა. თავი რკინის ძელს მიაყრდნო და ბაღს გახედა. მზებზე წითლად და ოქროსფრად ბრწყინავდა ნაირფერი ფოთლები. მარინკას ეჩვენებოდა, ამ ოქროსფერი ფოთლების ქვეშ, ზის ძირში, გახუნებულ მაისურიანი პაწაწინა ნიკო იჯდა და ძველებურად კაკალს კროლავდა. ნეტავ აცოდინა, სად არის ამჟამად მისი ხიკო?

იქნებ რამე უჭირს, ან შია? იქნებ ცოცხალიც აღარ არის?

ტფილისში ჩამოსვლის დღიდან მარინკა პირველად ტირიდა ასე მწარედ.

ორბელის ბასაჭირი

ორბელს პირზე ღიმი დასთამაშებდა. ყოველთვის ასე იყო, ვინმეთი აღტაცებულსა და აღფრთოვანებულს, სულ იმას ეუბნებოდნენ, კაცის ცნობა არ იცით და აი, ახლა ძლივს გაუშვართლდა. მარინკა თავიდანვე კარგ თვალზე დაინახა. სრულუბითაც არ აჭარბებდა, როცა ამბობდა, მარინკას სახით ქალთა კომიტეტს შესანიშნავი მუშაკი შეემატათ. ამ სიტყვების სიმართლე ორ კვირაში ყველამ თვალნათლივ დაინახა.

უპირველეს ყოვლისა, მარინკას გულმოდგინეობამ სამსახურში რაღაცნაირი ურთიერთგაგება დაამყარა თანამშრომელთა შორის. ისეთმა სიწყინარემ დაისადგურა, კარსაც კი მორიდებით აღებდნენ და ხურავდნენ. რაც მოეგონებოდა, უსაქმურნიც გამოცოცხლდნენ და საქმეც წინ წაიწია.

ექსპედიცია სვანეთში ერთ კვირაში უნდა გამგზავრებულიყო. მარინკას წასვლა ხელმძღვანელობას ვერ კიდევ არ ჰქონდა გადაწყვეტილი. გამოირკვა, რომ ტფილისში მისი ყოფნა აუცილებელი იყო. ორბელს სხვანაირად ვერ წარმოედგინა. ყოველ დღით, როცა ორბელი ლაბადას ჰკიდებდა, თვალები იქითკენ გაჟრბოდა, სადაც მარინკა იჯდა.

— მესტიისში წამლები დღემდე არ გაგვიგზავნია, თუმცა მოთხოვნა 5 აგვისტოთია დათარიღებული, — საქალაქდებზე მოხდენილად აკაკუნებდა თითს მარინკა. — პასუხის ასლიც არსად ჩანს. იქნებ არც უპასუხიათ? სამარცხვინო!

ორბელი სხვა დროს სიბრაზით თვალთვან ნაპერწკლებს გადმოყრიდა. მაგრამ ახლა ხმა არ ამოუღია. დაეთანხმა, დაუდევრობაა და საქირთა შეცდომის გამოსწორებაო.

— მარგოს დადანაშაულებაც არ შეიძლება. იმდენი სამუშაო გვექონდა, რომ... ბევრი ღამე თეთრადაც გაუთენებია, მაგრამ ძნელი იყო მარტოდ-მარტო ყველაფერს გასწვდომოდა.

მარინკა არაფის ამტყუნებდა, იტყოდა მხოლოდ, გამოიკვლევდა ჩამორჩენილობის მიზეზს და მისთვის ჩვეული მონდომებით შეუდგებოდა საქმის გამოსწორებას. სამსახურის დამთავრების შემდეგ, ორბელს ხშირად შეუნიშნავს საწერ მაგიდასთან თავჩარგული და ქალაქლებში ჩაფლული მარინკა. რამდენიმეჯერ სიტყვაც კი ჩამოუგდო, თავს გატყუებლობდა, ჯანმრთელობაზე ეფიქრა...

მარინკამ უბრალოდ უპასუხა:

— ამხანაგო ორბელო, გთხოვთ საშუალება მომცეთ, რამდენიც მინდა იმდენი ვიმუშაო. მხოლოდ მუშაობა მანიჭებს სიამოვნებას.

ამ საუბრის შემდეგ, ამაზე ლაპარაკი აღარც ყოფილა.

ორბელი გრძნობდა, მარინკას რაღაც ნაღველი შემოსწოლოდა გულს. ერთხელ ჰკითხა, მმა თუ იპოვეო, მაგრამ მარინკამ ისე ცივად უპასუხა, არაო, ამის შემდეგ ვეღარც შეძებდა კიდევ რაიმე ეკითხა. გოგონა დღითიღღ ფერმკრთალდებოდა (იქნებ ბევრი მუშაობა არაფერ შუაში იყო?). რამდენი ხანია არაფის გაუგია მისი მსიარული კისკისი, თუნდაც იმნაირი, პირველ დღეს წყალი რომ დაედგარა იატაკზე და ვეღარავინ აჩერებდა სიცილისაგან ჩაბუჩრებულს.

ორბელი თავს იმტვრევდა, მარინკას გულისნაღებს ჩასწვდომოდა, მაგრამ ამაოდ. ისღა მოიფიქრა: გულიდან ჯავრის გაღასაყრელად მარინკასთვის ყველაზე კარგი სვანეთში გამგზავრება იქნებოდა. მოგზაურობა, ბუნების წიაღი, მრავალფეროვნება გაართობდა, ექსპედიციის მონაწილენი კი კარგ თანამგზავრს შეიმატებდნენ. მაგრამ... ექსპედიცია სვანეთში რამდენიმე თვე დაუოვნდებოდა. ასე რომ, ორბელი მთელი ზამთარი უნდა შეელოდა მარინკასთან კარგ თანამშრომელს.

ამიტომ ეძინებოდა დათანხმება.

თვით მარინკამ აღვილად გადაჭრა ეს საკითხი.

ერთ მშვენიერ დღეს, მან თავი მოუყარა სვანეთიდან მოსულ წერილებს, ოქმის ასლებს, ამონაწერებს, ერთ საქალაქო მითავესა და აუღელგებლად თქვა:

— უსათუოდ უნდა წავიდე! ადგილზე პირობების გაცნობისა და ხალხთან ახლო ურთიერთობის გარეშე, ჩვენი აქაური მუშაობა ჩალის ფასადაც არ ღირს.

ორბელმა ვეღარაფერი უთხრა. არ უნდოდა მარინკას მტკიცე გადაწყვეტილებას წინ გადალობებოდა. ჯერ გაუუჩებული იჯდა და საშრობზე რაღაც კვადრატებს ხატავდა, ვეღარ მოითმინა და რამდენიმე ხნის შემდეგ მაინც ამოდგარა:

— ჩემი აზრით, აქ უფრო საჭირო ხართ.

— თქვენ და მარგო უჩემოდაც იოლად გაუხლებით საქმეს; პირადად თქვენ კი, ამხანაგო ორბელო, — გავდიმა მარინკას, — ორმაგად მოიგებთ და ჩემი გულისთვის სხვის ბინაში აღარ გაათევთ ღამეს.

— თუ თქვენ ასე მიგაჩნიათ, — ოდნავ გამოცოცხლდა ორბელი, — მაშინ, რაღა გავწყობა...

— ნუ დეღავთ. რა თქმა უნდა, ეს ისე, სხვათა შორის მოგახსენეთ. მაგრამ, თვითონ რას ფიქრობთ, არ წავიდე? — მარინკამ თვალი თვალში გაუყარა ორბელს.

— აბა, რა შეთქმის. გაემგზავრეთ.

ნ ა კ ო ვ ე ო

მარინკა გასამგზავრებლად მზადებას შეუდგა. უპირველეს ყოვლისა, გადაწყვიტა ორბელის ოთახი დაეწკრიანლებინა. ვილიდანვე შეუდგა დალაგებას. დასვენების დღე იყო და არსად ეჩქარებოდა.

ნერას ოთხი შთამომავლიდან ბინაში ორიღა ღარჩენილიყო, მაგრამ ისინიც კმაროდნენ იატაკის გასაბინძურებლად. მარინკამ სათლი და ჯავრისი მეზობლისაგან ითხოვა, წყალი წამოაღულა, კვედაკაბა აიწია და იატაკის რეცხვას შეუდგა. კალათი დერეფანში ვადგა, მაგრამ ლეკვები ვერ ურიგდებოდნენ ოთახიდან. გასახლებას. მარინკას ფეხდაფეხ დასდევდნენ. ხან ჯავრისს მივარდებოდნენ, ჰოჭები უცურდებოდათ, ვარდებოდნენ და სასაცილოდ კოტრილებდნენ. დაღლილ-დაქანცული მარინკა შესასვენებლად ლოგინზე ჩამოჯდა. კმაყოფილი შესცქეროდა გაკრიანლებულ იატაკს და შვიი ლეკვების ცელქობას. ნეტავი ნიკოც აქ იყოს! როგორ გაიხარებდა მათთან თამაშით! მარინკა კვლავ გამოუტყდა საკუთარ თავს, რომ ნიკო

ისევ პატარა ბიჭად წარმოედგინა. ის ხომ ამჟამად თექვსმეტი წლისაა... თუკი ცოცხალია, ალბათ მასზე მაღალიც იქნება.

მარინკა ფიქრებიდან გამოიყვანა ლექვების ღრენამ. ისინი რაღაც ფუტოს ვენჯულენ, თან ერთმანეთს უღრენდნენ. მარინკა ჯერ უაზროდ შეაცქერდა მათ, მერე მიხვდა, ფუტა ნამდვილად კალათიდან ამოათრისო, სადაც ორბელის ძველძველები დამკვიდრდნენ. მარინკა და წასართმევად წამოიღვა.

ძიძგილაობაში ლექვებს ფუტა უარგა მაგრად დაეძიძგნათ. მარინკამ თვალი მოჰკრა ბარათს, რომელზედაც ლურჯი ფანქრით ეწერა მისამართი... სიხარულისა და გაოცებისაგან ერთი ისეთი შეჰკვივლა...

ეს სწორედ ის ბარათია, რომელსაც სამი კვირაა დაეძებდა. როცა დარწმუნდა, წერილი ვხაში დაიკარგებოდათ, სულ გადავიწყდა და აი, ახლა ლექვებმა არ აღმოაჩინეს? მაშინვე თვალწინ დაუდგა წარბებგადაკალმული ახალგაზრდა ქართველი, პარტიული სკოლის ამხანაგი, რომელმაც მოსკოვის სადგურზე მისცა ეს წერილი ჩემს დას გადაეციო. მარინკამ დაკარგულად ჩათვალა ბარათი და სულ იმას დარდობდა, ადრესატს რომ ვერაფერს შეატყობინებდა, რადგანაც მისამართთა ზეპირად არ ახსოვდა.

ნეტავ საიდან მოხვდა ეს ბარათი ორბელის წიგნებში? მაგრამ ახლა ფიქრის დრო აღარ იყო. ისიც კმარა, რომ ბარათი იპოვა. სასწრაფოდ უნდა წაუღოს.

მისამართი წაიკითხა:

— ტფილისი, ძერჯინსკის ქუჩა, ნომერი ნ. ნინო...

გვარი, ალბათ, ლექვმა „შექამა“.

— არა უშავს, ისეც მივაგნებ, — დაიძმედა თავი მარინკამ, — ახლაც წავალ.

სამი ნინო

მარინკა ძერჯინსკის ქუჩას აუყვა და ექვს ნომერთან შეჩერდა. უშნოდ წაგრძელებულ ორსართულიან სახლში, რომელსაც რამდენიმე აივანი და უამრავი კარი ჰქონდა, რა თქმა უნდა, ხელი იქნებოდა ნინოს პოვნა.

როცა არც გვარი ვიცი და არც ოთახის ნომერი, ვიარო ახლა ასე კარდაკარ და კვილის ვკითხო, ცხოვრობს თუ არა აქ ვიღაც ნინო?

მარინკამ თვალი გადაავლო მცხოვრებთა გვარებს. ახალ სიძნელეს წააწყდა. თურმე ამ ბინაში სამი ნინო ცხოვრობს. გულთმისანი ხომ არა არის, გამოიცნოს, რომელ ნინოს ეკუთვნის ეს ბარათი? „სამივე უნდა ვნახო“, — გაიფიქრა მარინკამ. ჯერ პირველ სართულს მიადგა. ნინო ვარნაძე, მომღერალი, ამოიკითხა მარინკამ. კარი ახალგაზრდა ქალმა გაუღო, რომელსაც გამჭვირვალე კაბა ეცვა და შიშველი ფეხები წითელ ფეხსაცმელებში წაეყო. მარინკამ ამ ქალბატონის ვარცხნილობას, შავად შეღებილ წარბ-წამწამებს და წითლად შეფერადებულ ტუჩებს რომ შეავლო თვალი, ცოტა არ იყოს, შეკრთა და არ იცოდა როგორ მიემართა. როგორც იქნა, მოახერხა და ჰკითხა, შემთხვევით თქვენი ძმა მოსკოვის პარტიული სკოლის მოსწავლე ხომ არ არისო. ქალმა შავად მოხატული წარბები აძგინა, მარინკა თავიდან ფეხებამდე აათვალიერა-ჩაათვალიერა და უკმეხად უბასუხა: ძმა საერთოდ არა მყავს, მაგრამ რომ მყოლოდა, ნამდვილად დიდ ადგილზე იქნებოდა გამთქიმულიო... ეს უთხრა და კარი ცხვირწინ მიუხურა.

მეორევი ნინო მეორე სართულზე ცხოვრობდა. „იქნებ ეს იყოს“, — იმედოვნებდა მარინკა. დიდი ხნის რეკვის შემდეგ, როცა გარეთ ძლივს გამოლასლასდა სათვალთან მოხუცი და მას უკან მოჰყვა ორი თეთრი კატა, მარინკას აღარაფერი უკითხავს, ის უფრო ბებიად შეეფერებოდა იმ ლამაზ კომკავშირულ ბიჭს, რომელიც მოსკოვის პარტიულ სკოლაში სწავლობდა. მარინკამ რაღაც საბოლოოში სიტყვები ჩაიბურტყუნა და „მესამე“ ნინოს მიაშურა.

უკანასკნელი იმედი, „ნინო შერშერაშვილი“, იმავე სართულზე ცხოვრობდა. ნამდვილად ის იქნება. ზარი გაბედულად დარეკა. თავაზიანად მისწავლეს ხინოს ოთახი.

წიგნებით სავსე მაგიდას ქალიშვილი მისჯდომოდა.

— თქვენ ბრძანდებით ნინო შერშერაშვილი? — ჰკითხა მარინკამ.

გოგონამ თავი ასწია, დაბნეულმა შეხვდა და უთხრა, ნინო შერშერაშვილი ეს-ესაა ვიღაც და გვიანობამდე არ დაბრუნდებო.

— ბარათი ჰქონდა მისთვის გადასაცემა და... — უთხრა მარინკამ.

მაგრამ გრიშა არსად ჩანდა. მარინკა ძალიან ნერვიულობდა. რამდენიმე დღეში ხომ სვანეთში უხდა გამგზავრებულიყო. ის რომ გაემგზავროს და გრიშამ მერე მოაკითხოს? მაშინ, რამდენიმე თვე მაინც ვერაფერს შეიტყობს. შეიძლება საერთოდაც ვერაფერი გაიგოს? ახლა კი ნახობდა სვანეთში გამგზავრებას. ნაადრევად ხომ არ ჩაიქნია ხელი ნიკოს პოქნაზე? იქნებ ვერაფერად იხილოს იგი!

ამ ფიქრებში გართულა მარინკა მუშაობას გულს ვეღარ უღებდა. რამდენიმე უკიდურესობას არ აკლებდა, მაგრამ სასუვეშო სიტუაციის თქმას ვერ ახერხებდა. ერთხელ, ვეღარ მოითმინა, სულმა წასილია და ჰკითხა, შეუძლოდ ხომ არ გრძნობო თავს. მარინკა გაოჟუტყდა, მარადაც კარგად ვერა ეყო.

ერთ საღამოს, თითქოს ციებ-ციხელება სჭირსო, კანკალმა აიტანა თავშალი წაიკრა და მაგიდას მიუჭდა. მარინკას სამუშაო წინ მოჰქონდა და საღამოობით წყრდა. უნდოდა უკვლავური მოეწესრიგებინა და სვანეთში ისე წასულიყო. ჯგუფი სამ დღეში მიემგზავრებოდა.

უცებ მის ფეხებთან მწოლარე ნერამ თავი წამოჰყო და ყრუდ დაიწმუტუნა. დერეფანში ვიღაც მოაბიჯებდა.

— ალბათ შეზობელია.

მარინკამ გადაწყვიტა უურადლება არ მიექცია, მაგრამ ნაბიჯების ხმა სწორედ მის კართან შეწყდა. ვიღაცამ სამჯერ ზედიზედ დააკაუნა. ნერა ზეზე წამოიჭრა და აყუფდა.

სანამ მარინკა რამის თქმას მოახწრებდა, კარი გაიღო და ოთახში ქერასმიანი, ჩაფსკვნილი და მხარბეჭიანი, ასე ჩვიდმეტი წლის ჯაბუკი შემოვიდა. ომა შუბლზე ჰქონდა ჩამოშლილი. რატომღაც დაბლვერილი იყო და ჯიქურ ჰკითხა:

— ტოლკაჩოვა თქვენა ხართ?

მარინკამ თავშალი უმაღლ მოიძრო.

— თქვენ, ალბათ, გრიშა იქნებით.

გრიშამ არაფერი უბასუხა. ცნობისმოყვარედ შეაცქერდა.

— ფატმას დაგპირდი მივალ-მეტეი და მოვედი კიდევ, მაგრამ, — ხელი ჩაიქნია, — რად გინდა რა?

მარინკამ ადღეგებისაგან მოურიდებლად მკლავზე სტაცა ხელი.

— ნიკოს ცუდი ხომ არაფერი შეეძინა? თქვია, ხუ მომერიდებით!

მარინკა ისე გადაფითრდა, ტლანქ და მოუხეშავ გრიშასაც კი თავგზა აებნა.

— დამშვიდდით, ცოცხალია, სალ-სალამათი და უგებელი, — ხელები გაითავისუფლა და დაბლვერილმა ჩაიბურღუნა: — სულერთია, ჩვენთვის მკვდარია.

მარინკას იმედი მიეცა.

— მაინც რას ნიშნავს „ჩვენთვის მკვდარია“? შიშხარი გარკვეულად!

გრიშამ აუჩქარებლად ჯიბიდან კონვერტი ამოიღო.

— დიდხანს მომიხდებოდა ლაპარაკი... თვითონ წაიკითხეთ და დარწმუნდებით. ნიკოსაგანა. წაიკითხეთ და ნახეთ.

— ნიკოსაგან? თვითონ სად არის? გრიშა, თქვენ რაღაც იცით და მამალავთ! ყელში ბოლმა მოაწვა და თვალებიდან ცრემლები წასკდა.

თავჩაღუნულმა გრიშამ (რომელიც საერთოდ ვერ იტანდა ქალის ცრემლებს) ჩაიბურტბუტა:

— ხევსურეთშია.

— ხევსურეთში? — შევებით ამოასუნარა მარინკამ, — კარგი ადგილსათვის მიუგანა! გრიშამ გამოსანშვიდობებელის მსგავსი რაღაც წაიბურტყუნა, კარი გამოიღო და წავიდა. მარინკას სურდა გაჰკიდებოდა, შეეჩერებინა ეს ველური ბიჭი და ყველაფერი დაწვრილებით გამოეკითხა, მაგრამ, ამავე დროს, ერთი სული ჰქონდა, როდის წაიკითხავდა ნიკოს წერილს. ფატმა დახმარებით მარინკას გრიშას პოვნა არ გაუჭირდებოდა, მაგრამ თუ ნიკო მართლაც ხევსურეთშია...

ისევე შეამცანა.

ღამის საწოლთან დაჰკიდა, ფეხსაცმელები გაიხადა, თავშალი წაიკრა და ლოგინში ჩაწვა. გრიშას მოტანილი კონვერტი სულმოუთქმელად გახსნა. არეულ-დარეული ფურცლები დაიწყო (ლიკრტმა იცის, ნიკოს თუ გრიშას მიერ უანჭრით დანობრილი) და კითხვას შეუდგა.

აღათის მარშუხეზი



„ახიელა (ორშაბათი).

გრიშა, სანამ მაგრად მოთოვს და ახიელას ქვეყანას მოსწყვეტს, გწერ ამ ბარათს, ალბათ გიკვირს, უკვე ოქტომბერია და აქამდე ატარებ შევრო. იქნებ ბრაზობ კიდევ ჩემზე. გგონია, დღემდე რომ ვერ დავბრუნდი, დამნაშავე ვარ? ჭირითის დროს ცხეხილან ჩამოვვარდი და ფეხი მოვიტეხე. ჩაღბიას სიტყვით, კეთილი სულები მმფარველობდნენ, საერთოდ ცოცხალი რომ გადავრჩი. სამწუხარო მხოლოდ ის არის, კეთილი სულები ძალზე დიდხანს მკურნალობენ ჩემს ფეხს; მეორე თევა ვწევარ და ეს ოხერი ჯერაც არ შეხორცებულა. ჭკუის დარიგებას თავი დაანებე, ოღონდ რასაც გთხოვ ის შემისრულე. სოსოს ჩემგან გადაეცი, ზამთრამდე ალბათ ვერ გამოჯანსაღდება, ხოლო ვინაიდან ზამთარში გზები ჩაკეტილია, გაზაფხულამდე ვერ ჩამოვა-თქო. ძალზე მოწყენილი ვარ, არც გაზეთები მაქვს და არც წიგნები. კიდევ ვარ-გი, რამდენიმე რეგული გამომიყვა, თორემ საწერი ფურცლებიც არ მექმებოდა. ალბათ, ტექნიკუმში უკვე ჩააბარე. ბედნიერი ბიჭი ხარ. მომიკითხე სოსო, აუნსენი, ჩემი ბრალი არ არის, ჩვენს ბიჭებია და გოგონებს, თუ შეხედებო, მოკითხვა გადაეცი. ნეტავ როგორმე დამანახა ახლა შენი მოღუშული სახე, თუ სკოლაში აღარ ცხოვრობ, იმედია, გიპოვიან. გწერ სოსოს მისამართზე. ნიკო.

გჩქარობ წერილის დამთავრებას, რადგან მწიქალამ ახლაც უნდა მიუბრუნინოს ბაღია კატაშაურს, რომელიც დღეს ბარისახოში მიდის.

„სამშაბათი. მზექალა წერილიდან უკან დაბრუნდა. დააკვირდა. კატაშაური განთიადისას უკვე გზას გასდგომია. ახლა იქამდე უნდა ვიცადო, სანამ ვინმე წავა ბარისახოში. რახან საშუალება მომეცა, კიდევ მოგწერ ამ მთისა და იმ ბარისას, რადგან, კაცმა რომ თქვას, სხვა საქმე არც მაქვს. ალბათ, გაინტერესებს ჭირითის ამბები. აქ ასეთი ჩვეულებაა: გარდაცვლილის ორმოცზე მართავენ დოდს. ამჯერად ჯურხა წიკლაურის ორმოცი იყო. შეჯიბრში გამარჯვებულს მისი რჩეული იარაღი ხვდება ჯილდოდ. სულითა და გულით მეწადა მისი თაფის ან ხმლის ხელში ჩაგდება, მაგრამ... ვარდა ამისა, კვირიკესათვის მსურდა დამემტკიცებინა, რომ არც ისეთი უგერგილო ვიყავი. მართალია, ხმალი მერგო, რადგან წაბლა მეოთხე მივიდა, მაგრამ ბედისწერას მაინც ვერ გადაეურჩა. უფსკრულს პირას ცხენს ფეხი დაუტყურდა, თუმცა რადიციანიარად შეიკაფა თავი, მე კი პირს დავენარცხე. ჩანს, რომელიღაც ავმა სულმა ჩემთვის ხმალი დაინანა. ჩაღბია მეუბნება, როგორც კი გამოჯანმრთელდები, კეთილ სულს, რომელმაც კლდის ქიმზე შევანერა, უცილობლად რაღაც უნდა შესწირო. აქ უამრავი კეთილი და ავი სულებია, მაგრამ დღემდე საკუთარი თვალით არც ერთი მინახავს. როგორც საერთოდ რომანებში წერენ, ამჟამად „ლოგინზე ვარ მიჯაჭვული“.

ღარწმუნებული ვარ, ამ წერილის პასუხს კარგა ხანს ვერ მივიღებ, რადგან მალე თოვლი ისე გადახერგავს გზებს (თუკი შეიძლება საცალფეხო ბილიკებს გზები ვუწოდო), რომ მამასვან და მარინკასგან გამოგზავნილ ბარათებსაც, ალბათ, გაზაფხულამდე მოსვლა არ უწერია“.

მარინკამ ფურცლებს თვალი მოაკვილა და ახლა იმას იხსენებდა, ნიკოს უკანასკნელი ბარათი როდის გავუგზავნეო. ალბათ, წელიწადზე მეტი იქნება გასული. მგონია შემოდგომაზე იყო, როცა ათვლმა გზები ვადანამქრა. ნიკო წერილს გაზაფხულზე მაინც ხომ მიიღებდა? მაგრამ განა გაზაფხულზე არ უნდა ჩამოსულიყო? თუ ვა შარშან გაზაფხულს მოხდა? მარინკას უკვე გაზაფხული და შემოდგომა ერთმანეთში აერთია. კვლავ განკალმა აიტანა... ალბათ, სიცხემ აუწია... ამიტომ უჭირდა აზრის მოკრება.

თავშალი მაგრად მოიჭირა და კითხვა განაგრძო:

„(10 დღის შემდეგ). ნაიდრეკმა თოვლმა მთები გადაათეთრა და ტყილისისაკენ მიმავალი გზები დაუარა. ჩემი წერილი უკან დამიბრუნდა. აგვისტოში გამოგზავნილმა შენმა ბარათმა ახლად მოაღწია ჩემამდე. ეპეი, გრიშა! შენ, ჩემო უაი-დამბრიგებელს! ისე გამაცოფა შენმა წერილმა, აქ ახლოს რომ მომეხელთებინე სადმე, ერთი გვარიანად მიგბეგვავდი. შეხთვის ადვილია შავით თეთრზე წერა, „შენ მანდ აუცილებლად უნდა ჩამოაყალიბო პიონერთა რაზმიო“, ან „თუნდაც ორი ან სამი ბიჭისაგან იქნებ როგორმე მოახერხო კომკავშირული უკრედის შექმნაო“.

თითქოს ეხედავდი, როგორ გებურცებოდა ტუჩები ამ აიბრძნის წერისას. ხან სიცილია

ვიგულებოდი, ხან კი ებრაზობდი. ეჭვ, გრიშა, სიამოვნებით გავაცნობდი ამ კომიტეტურებს! თუნდაც მარტო კვირიკე რაღა ღირს! აბა, გაბყლუ და შეეცადე რაიმეს თქმა, რაც მის ხე-სურულ სიამაყეს ეწინააღმდეგება, ან მოინდომე ერთ-ერთი აღათის დაბრუნება.

ყოჩაღ, ასეთ რჩევა-ღარიგებას რომ იძლევი: „სისტემატურად უნდა უბრუნდეთ რელიგიურ გადმონათებას“. შენ, ჩემო ძმაო, როგორც ვატყობ, ამ საქმეში ბევრი არაფერი გაგეგება. უპირველეს ყოვლისა, დაიმახსოვრე, ხევესურები უქმობენ არა მარტო კვირა დღეს, არამედ შაბათსაც და პარასკევსაც. რატომ? თვითონაც ძალიან დამაინტერესა ამ ამბავმა, მაგრამ კაცი არ მოიძებნა, ამისხას ეს უცნაური სვეულება. ვფიქრობ, იმიტომ, რომ აქ თავმოყრილია მრავალ ტომთა ნარევი, რომლებიც უხსოვარი დროიდან დასახლებულან ამ ადგილებში. ამჟამად ამაზე ფიქრის დიდი დრო და ხაშუალება მაქვს, შემძლია საათობით ვუცქირო ჩემს საწოლთან ჩამოკიდებულ იარაღს; ასეთი იარაღი შეიძლება მხოლოდ მუზეუმში ხახო. საიდან გაჩნდა ხევესურეთში ჭაჭვის პერანგები, ხელთათმანები, პირბადეები და რკინის სამხრეები? ჩაღიბა ამბობს, უძველესი ხალხიაო, და მეც კერა ვეძრავ. როცა ტფილისში დაებრუნდები, ვეცდები უფრო მეტი რამ ვაგიგო ხევესურებზე, ბოლოს და ბოლოს მე თვითონაც ხომ ხევესური ვარ...“

მარინკამ თავი ასწია. იტონებდა ჩაღიბას წარმოსადგე აღნაგობას. მაშ, ასეა საქმე, არა? აღბათ ამიტომაც იყო მოხუცი ჩვენი სახლის ხშირი სტუმარი. როგორც ვატყობა, ყველაფერი იცოდა...

...და ჩემი წინაპრები უფრო უნდა მიახტერესებდეს. მათი რელიგიაც საოცარი ნარევია და გამოგატყდები, დღემდე ვერ მიმიგნია, საიდან მოდის, ერთდროულად ქრისტიანებიც რომ არიან (პერანგებსა და ჩოხებზე ჭვრები აქვთ ამოქარგული) და წარმართებიც. აქ შრავალი ეკლესიაა, რომელსაც „ხატს“ ეძახიან. ყველა ხატში არის სალუდე, სადაც ლუდს ადუღებენ. ლუდს მხოლოდ დღესასწაულისა და წირვა-ლოცვის დროს სვამენ, როცა ღმერთს ან ღმერთებს ცხვრები და თხები უნდა შესწირონ, რადგანაც მთავარი ღვთაების გარდა თავიანთ სცემენ უამრავ კეთილ სულს. ხატების შესასვლელში ბევრი დიდი და პატარა ხარი ჰკვიდია, აგრეთვე ჭიხვების, ცხვრების, თხებისა და სხვა შეწირული პირუტყვის რქები. რაც უფრო ძველია ხატი, მით უფრო ბევრი რქა ჰკვიდია მის კედლებზე. მღვდლებს „ხატის მსახურებს“ ახე „დეკანოზებს“ ეძახიან; კიდევ იმდენი წვრილდება მსახურთა, ყველას რა დაიმახსოვრებს. აქ შრავლად არიან ქაღალქრები, მეთხაეები და წინასწარმეტყველნი. ერთნი მკვდრების სულებს იძახებენ საიკოდან, მეორენი მარხელობებს და ვითომ მომავალს ჰპრეტენ. ზოგნი წირავენ. მაგანი და მავანი ჯადოსნობს, ისინი ხელმოკლედ როდი ცხოვრობენ, რადგან მათთვის შესაწირავი არ ვნანებათ. ნეტავი მაცოდინა, როგორ მოექცეოდი შენ ამ ვაჟბატონებს, რომლებსაც ხელში აქვთ ჩაგდებული ძალაუფლება. ხატის მსახურის კურთხევის გარეშე არც ნათლობა ჩაივლის და არც დაკრძალვა.

(მეორე დღეს). ჩამობნელდა და იძულებული ვარ წერა შევწყვიტო. მხოლოდ დღისით შემიძლია ვწერო, საღამოს ბინდი ჩემს ქოხში უფრო ადრე ჩამოწვება ხოლმე, ვიდრე გარეთ. მაშინ ბილიონამდე უნდა ვთვალო, ან სკოლისდროინდელი ყველა ჩუხი თინბაზობა მოვიგონო, ან ქალთა ერთფეროვან სიძღვრებს ვუგლო უფრი, რომ მოწესილობიანაგახ ტკუიდან არ შევიშალო.

ამჟამად იმით ვერთობი, რომ სანამ ღუფა, კიდევ ერთხელ გვითხულობ შენს ბრძულ წერილს. ისეთ ჰქვიანურ რჩევას მაძლევ, ლამის გაგცოფდე. „შენს იდგილას მანდაურ ქალებს ჩავაგონებდი, თვითონვე დაენგრიათ ის საზარელი „სამრელო“, თუ როცა ჰქვიაო“. ასეთი რჩევისათვის შენგან ფიტული უნდა გააგეთოს კაცმა და ყველას საზგეებლოდ შექმნას კარადაში შედგას. ქალები საუკუნეთა მანძილზე ასე რომ არ იყვნენ შეჩვეულნი სამრელოს, მას შენი რჩევის გარეშეც დაანგრევდნენ. როგორც ამბობენ, ზამთრობითი სამრელოში ყინვასა და სიცივეში არაერთი ჩვილი მომკვდარა. ზოგჯერ დედაც თან მიჰყვება ხოლმე, მაგრამ კოველივე ეს თურმე ავი სულებს ნამოქმედარი ყოფილა. თვითონ ქალებს მიაჩნიათ, ასეა საქართო. ამის თაობაზე ერთხელ ჩემს დაიკოს ვესაუბრე. ხახამ ასეთი პესუხი გამცა: „ასე ცხოვრობდნენ ჩვენი დიდებები და ღვდები, მაგრამ არაფერი დაშავებულა“. გვეუბრება? შეაყირე ვეღელს ცერციე. ერთადერთი მზექალაა, რომელიც ღრმად ანოიობრებს ხოლმე. როცა ტფილისის ამბებს ვუყვები, ჩვენთან ერთად გოგონები რომ სწავლობდნენ და „უწმინდურებად“ არ ითვლებოდნენ, გვეც ვუთხარი. ხნიერ დედაკაცებთან ვერაფერს გააწყობ,

თორემ მზექალასნაირი გოგონების გადმობრება კიდევ შეიძლება, სკოლა ან კლუბში რომ იყოს. მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთია და არც მეორე. გზებიც კი არ არის გზისა, დიდი ხანია მფრინავობაზე ოცნებას თავი დავანებე. ინჟინერი გამოვალ და ხევისჭრეში გზებს გავიყვან.

სკოლა ან კლუბში რომ იყოს. მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთია და არც მეორე.

(ორი დღის შემდეგ). დღეს ჩემს სანახავედ ქირურგი იყო, ამათებურად — „აქიმი“. უბრალო ვინმე კი არ გვეგონოს. მგელიცა ლიქოკელი საქვეყნოდ განთქმული ექიმას, ბადიას ვაფი ვახლავს. მგელიცა აქ ჩემს გასასინჯად კი არა, მიხა წიკლაურის ქრილობის მოსარჩენად ჩამოვიდა, რომელიც „მოსისხლე მტერმა“ ხმლით თავში დაჭრა. ჩაღხია შეხვეწნია მგელი-კას, გზად ჩემთანაც შემოიარეო. ექიმი ჩემს ფეხს აკვირდებოდა, მე კი თვალმოუცილებლად შევცურებდი მას. კარგი ვინმე კია ეს მგელიცა. ისე ყოჩაღად გამოიყურება და თვალში ისე უელავს, ძნელი დასაფერებელია, ოთხმოცდაჩვიდმეტი წლისა რომ არის. დიდებულა შესახედავი მოხუცია. ფეხი გამისინჯა, არტაშანის შოხსხის უფლება მომცა, მაგრამ ასე მითხრა, ორიოდე კვირა კიდევ უნდა იწვეო. ჩაღხიამ მიაშბო, ლიქოკელმა ოთხასზე მეტი მძიმედ დაჭრილი კაცი მოარჩინაო. ბარისახოელმა საბჭოთა ქირურგმა გიორგი ტენაუშვილმა, რომელმაც მოტეხილი ფეხი გამიმრთელა, მგელიცა ლიქოკელი ქებით ცაში აიყვანა. ახლა ამ მოხუცი ექიმის ქირურგიულ იარაღებს არ იკითხავ! დმერთმანი, როცა მისი უბრალო ჩაქუჩები, მახათები და დანები ვნახე, მეწაღედ უფრო ვიწამე, ვინემ ექიმად ვინდა დამიჭრე და ვინდა არა, ამ იარაღებით მგელიცას თავის ქალის ტრეპანაცია გაუკეთებია. თავის ქალა იმ წიკლაურს გატეხილი ჰქონია, მაგრამ რადგან ლიქოკელმა ხელი დაადო, ალბათ იცოცხლებს. ძალიან ნიჭიერი ხალხია ხევისჭრეები. მგელიცას თურმე არასოდეს უსწავლია. სახელგანთქმულ მამამისს ეხმარებოდა ექიმობაში და შემდეგ თვითონაც ექიმობა ირჩია. ხომ გითხარი, ოთხმოცდაჩვიდმეტი წლისაა, მაგრამ უველაფერი აინტერესებს. შემეკითხა, რას ვგასწავლიდნენ ტფილისის სკოლებში და ვფიქრობ, ძალიან ნასწავლ კაცად მივაჩნეო. როცა სიტყვა ანატომიაზე ჩამოვარდა და დაწვრილებით მოგუყვავი, როგორ ვსწავლობდით ჩონჩხებს, მან გამოჯანმრთელების შემდეგ თავისი თანაშემწეობა შემომთავაზა, თან იმასაც შემპირდა, ისეთ განთქმულ ექიმს გამოგიყვან. როგორც მამაჩემი იყო და მე ვარო, მაგრამ რა ექნა, თუკი შუბლგაჩეხილი და თავგატეხილი ხალხი არ მიზიდავს? ინჟინერი მინდა გამოვიდე. თვითონ მგელიცამაც კვერი დამიკრა, ხევისჭრეთს ექიმზე მეტად გზა სჭირდებაო.

(კვირა, ოქტომბრის ბოლო). წერილები ერთხელ კიდევ ვადავიკითხე თავიდან ბოლომდე. ეს წერილები კი არა, უკვე შემუარებია. სისულელე ჩავიდიხე. „ორი დღის შემდეგ“ „მეორე დღეს“ და ა. შ. ნაცვლად თარიღი რომ აღმენიშნა, ნამდვილი დღიური იქნებოდა. ახლა კი აღარც მახსოვს, როდის შევუღდე ამ ბარათების წერას. უკვე ოქტომბრის მიწურულია, მაგრამ ოცია თუ ოცდახუთი, ზუსტად არ ვიცი. აქ გვარიაჩი ჩამთარია. სამი დღეა ბანზე ქერს ბეგვავენ და ასე მგონია, შიგ თავში მიბრაზუნებენ-შეთქი. დიდიდან საღამომდე გაუთავებლად მემამის ცხვრების ბღავილი და თხების კიკინი. მწყემსები სძიოვრებიდან ფარებს გამოსაზამთრებლად სოფელში მოერეკებიან. კარგი იქნებოდა. ბოლოს და ბოლოს, ამ საფარიდან გამოსვლა მღირსებოდა, რომ მეტი სიხათლე მეხილა.

(ოთხშაბათი). როგორც იქნა, მელირსა მზის სინათლეზე გაავლა. დღეს დილით ჩაღხიამ ყავარჯნები მომიტანა. ასე მგონია, დავრდომილი მოხუცი ვარ-მეთქი, მაგრამ ცხვრის ტყაბუქზე წოლის ავრე მიჩევენია. ჩაღხიას დახმარებით ბანზე გამოვჩანჩალდი. თითქმის ყველა ბანზე ქერა ბეგვავენ. ალბათ, აქ ასე ბეგვავენ მარცვლეულს შედე ერეკლესა და იქნებ თამარ მეფის დროსაც.

ქერის თავთავს ფიცრებზე ყრიან და კომბლებს უტყაბუნებენ. ასე ბეგვავენ სხვა ბანებზეც და მთელ სოფელში კომბლების რახარუნი გაისმის. ბანიდან ჩამოსვლა აღარ მინდოდა, თვალს ისე ესიაშოვნა. გული ვერ ვიჭერე მზისა და ცის, მთებისა და სოფლის ცქერით. მაშინვე მიცნეს ბანზე მომუშავეო. მეზობლები კეთილად მომესალმნენ. ტუჩამ და კვირიკემ შინ მომაკითხეს და გამოჯანმრთელება მომილოცეს. ტუჩამ არაყით სავსე ტიკიც კი მოიტანა. ამ ხევისჭრულ სასმელს ვერა და ვერ მივეჩვიე, არადა, ჩემდა საუბედუროდ, არც მზიარულება და არც გლოვა უარაყოლ არ იციან. იძულებული ხარ დალიო, თუ არ გინდა აწყენინო ამ მამაც ეაყკაცებს. ყველანი თავისიანად მოვლიან. არაფერ შეკითხება, როდის დაგბრუნდები ტფილისში. ჩაღხიას ამ ხნის მანძილზე ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია ამის თაობაზე. გულ-

წრფელად შევიყვარე ჩაღხია და ტუჩა, კვირიკე და მზექალა, ამეკაჟე და სხვები, მაგრამ თუ
ვეგნი ფიქრობეს, რომ სამუდამოდ აქ დავსახლდები, ძალიან ცდებიან ჯერჯერობით მეც
კლიტე მადევს პირზე, რაზე ვილაპარაკო წინასწარ ზედმეტი, რაკი დარწმუნებული ვარ,
განათებულია მდე ფეხს ვერსად მოვიცვლი!

ქვირიკე

(ხუთშაბათი). მე და კვირიკემ გუშინ დიდხანს ვისაუბრეთ... ყველაზე უფრო მეტად ჩვენ,
ჩვენ კი ჯერჯერობით დავრჩით. ცხვრის ტყაპუჭებზე ვიწვექით და ვლაპარაკობდით. დავრწმუნდი,
ჯერ ვიდრე კარგად არ ვიცნობ ხეხურობას, თუმცა ნათზე ამდენი რამე მოგწერე. მათ ცხოვ-
გონებისათვის ბუნებაზე ყოველი დაკვირვება და ბუნების ყოველი გაგება უშუალო გრძნობადი შთაბეჭდილებით იწყება. მაშასადამე, არა აპარატებში უკანონო და ბუნებას ერთგვარად თავსმოხვეული ცალკეული მოვლენებით, არამედ [რეალური] მთელი სათუის დიალექტული ბუნების მოვლენებით... მაგრამ ცოცხელი უშუალო დაკვირვებასთან არ ღვრდება. მან ძალიან კარგად იცის, რომ, ჯერ მართლმოდენ მინიშნებული, ხოლო შემდეგ ცხადად გამოკვეთილი კავშირის მეშვეობით შეიძლება უშუალო შთაბეჭდილება შემეცნებად გადაიქცეს. მაგალითად, მე დაუბრუნებ ერთ ადგილს ფურთა მეტყველების წინასიტყვაობიდან: „რადგან რაიმესათვის მხოლოდ თვალის შევლება ბევრს ვერაფერს მოგვცემს, ყოველი შეხედვა გადადის დაკვირვებაში, ყოველი დაკვირვება — გააზრებაში, ყოველი გააზრება — დაკავშირებაში, ასე რომ შეიძლება ითქვას: ყოველი დაკვირვებული ხედვა სინამდვილისა უკვე თეორიულ მსჯელობას ნიშნავს. მაგრამ ეს უნდა ვაყოფიერებ ცნობიერად, თვითშემეცნებით, თავისუფლებითა და, უფრო გაბეჯული სიტყვა რომ ვიხმართ, იბრუნის ამოქმედებით. ასეთი მოქმედება საჭიროა, თუ გვსურს აბსტრაქციამ, რომელიც გვაფრთხილებს, ჩიანთ არ მოგვიტანოს და ცუდის შედეგით, როგორც ვიმედოვნებთ, მართლა ქმედითი და სასარგებლო გამოდგეს“.

„აბსტრაქცია, რომელიც გვაფრთხილებს“ — აქ უკვე საკმაოდ შუსტად არის მინიშნებული, თუ სად უნდა დასცილდეს გონივრული ბუნებისმეტყველების გზას. გონივრული იცის, რომ ყოველი შემეცნება საჭიროებს წარმოდგენებს, დაკავშირებას, აზრის მიმნიჭებულ სტრუქტურებს. მათ გარეშე შეუძლებელი იქნებოდა შემეცნება. მაგრამ გზა ამ სტრუქტურებისაკენ შემდგომში უცილობლად მიგვიყვანს აბსტრაქციასთან. ეს გონივრული უკვე მცენარეთა მორფოლოგიის კვლევის დროს იგრძნო, იგი უიქრობდა, რომ მცენარეთა განსხვავებულ აგებულებაში (რასაც იგი განსაკუთრებით იტალიაში მოგვაფრთხილებს დროს აკვირდებოდა), ღრმა შესწავლის შედეგად, სულ უფრო ნათლად გამოიკვეთებოდა ის ერთიანი პრინციპი, რომელიც ყველა მცენარეს უდევს საფუძვლად: იგი წერდა „არსებით ფორმაზე, რომელიც ბუნება თითქოსდა მუდამ თამაშობს და ამ თამაშით მრავალფეროვან სიცოცხლეს წარმოქმნის“. აქედან მიემართება იგი თაურფენომენის, თაურმცენარის წარმოდგენისაკენ. „ამ მოდელით, — ამბობს გონივრული, — თუ მას გასაღები მიუწყებთ, შეიძლება დაუარულდეს გამოვივიანოთ მცენარეები, რომლებიც თუნდაც არ არსებობდნენ, შესაძლებელია არსებულებიყვნენ. მათ შინაგანი ჭეშმარიტება და აუცილებლობა გააჩნიათ“. გონივრული აქ იმ აბსტრაქციის მიჯნაზე დგას, რომელსაც ასე ვაუბრობდა თავად.

გონივრული თვითონვე აუკრძალა საკუთარ თავს ამ საზღვრის გადალახვა, იგი აფრთხილებდა ფიზიკოსებსა და ფილოსოფოსებს, მათაც არ გადაულახათ ეს საზღვარი. „მაგრამ ასეთი თაურფენომენი კიდევაც რომ გვეპოვა, მაინც დარჩებოდა საშიშროება იმისა, იგი ასეთად არ გვეცნო, მის მიღმა და მის შემთ კიდევ რაღაცის ძებნა დაგვეწყო. მაშინ, როდესაც სწორედ აქ უნდა გველიარებინა ჭკრეტის საზღვრები. უმჯობესია, ბუნების მკვლევარებმა არ დაურღვიონ თაურფენომენებს მათი მარადიული სიმშვიდე და სიდიადე“. ამგვარად, აბსტრაქციის საზღვარს არ უნდა გადავაბიჯოთ იქ, სადაც ჭკრეტის საზღვარს მივადწვთ, უნდა შევჩერდეთ და ჭკრეტა აბსტრაქტული აზროვნებით აღარ შევცვალოთ. გონივრული დარწმუნებული იყო, რომ გრძნობად-რეალური სინამდვილიდან მოწყვეტა და აბსტრაქციის უნაპირთ სფეროში შესვლა ცუდის მომტანი უფრო იქნებოდა, ვიდრე კარგისა.

მაგრამ ბუნებისმეტყველება, ნიუტონიდან მოყოლებული, სხვა გზით წავიდა. იგი იმ თავითვე არ შეშინებია აბსტრაქციას და მას წარმატებით იყენებდა პლანეტათა სისტემის ახსნაში, მექანიკის პრაქტიკულ გამოყენებაში, თბიერების ხელსაწყოების აგებასა და ბევრ სხვა რამეში. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ გონივრული გაფრთხილება სულ ძალიან დაიწყებას მიიღო. ეს ბუნებისმეტყველება, სახელდობრ, ნიუტონის დიდი ქმნილებადან — Philosophic naturalis principia mathematica — დღემდე სავსებით სწორსაზღვრად და თანამიმდევრულად განვიითარდა. მისმა შედეგებმა ტექნიკაში დედაშიწის სურათი გარდაქმნა.

ამ საყოველთაოდ აღიარებულ ბუნებისმეტყველებაში აბსტრაქციას ორ რამდენიმე განსხვავებულ ადგილას უხედებით. ამიტანა სომ ისაა, რომ მოვლენათა ჭრულ მრავალ-

ფეროვნებაში მარტვი შევსებული. მაშასადამე, ფიზიკოსთა მისწრაფებაც ის უნდა ყოფილიყო, რომ მოვლენათა რთულ ხლართში მარტვი პროცესები გამოეყო. მაგრამ რა არის მარტვი? გალილეისა და ნიუტონის დროიდან ამაზე ერთი კანონია: მარტვი ისეთი პროცესი, რომლის კანონზომიერა მიმდინარეობაც შეიძლება გამოვსახოთ კვანტიტატიურად, დეტალურად, მათემატიკურად. მაშასადამე, მარტვი პროცესია, რასაც ბუნება უშუალოდ გვაწვდის; არამედ ფიზიკოსმა ჯერ მართლაც მარტვი აპარატებით უნდა დაშალოს მოვლენათა ხლართი და მნიშვნელოვანი ზედმეტი დანართისაგან გაწმინდოს, სანამ „მარტვი“ პროცესი თავისთავად და ნაილად, ყოველგვარი თანამოვლენებისაგან განყენებულად არ წარმოსდგება ჩვენს წინაშე. ეს აბსტრაქციის ერთ-ერთი ფორმაა და გოეთე ფიქრობს, რომ აქ ბუნება უკვე გავაძვევთ. იგი ამბობს: „ჩვენ გვსმენია ვაბუდული მტკიცება, რომ ესეც ჯერ კიდევ ბუნებაა — თუნდაც შვიდი ღიმილით, თუნდაც თავის წყარო დაქნევით; მაგრამ ხუროთმოძღვარს რომ აზრადაც არ მოუვა თავისი სასახლეები ტყეებად და მთებად გაასაღოს“. აბსტრაქციის მეორე ფორმა მათემატიკის გამოყენება მოვლენათა გამოსახატავად. ნიუტონის მექანიკაში პირველად იქნა მიზნებული — და სწორედ ეს იყო მისი უდიდესი წარმატების მიზეზი, — რომ მათემატიკური აღწერა თავს უყრის უზარმაზარი ცდის სფეროებს და ამით მარტვის, გასაგებს ხდის მათ, გალილეის ვარდნის კანონები, მოვარის მოძრაობა დუდამიწის ვარშემო, პლანეტათა მოძრაობა მზის ირგვლივ, ქანქარის რხევა, ვატიფორცნილი ქვის ტრაექტორია — ყველა ეს მოვლენა, გრავიტაციის კანონთან ერთად, შეიძლებოდა მათემატიკურად ყოფილიყო გამოყვანილი ნიუტონის მექანიკის ამოსავალი დებულებიდან, განტოლებიდან: მასა \times სიჩქარე = ძალა. ასეთი მათემატიკური განტოლება, მაშასადამე, იყო აბსტრაქტული გასაღები ბუნების სფეროთა წრის ერთიანი წედომისათვის და გოეთე ამით ებრძოდა ამ გასაღების ძალის რწმენას. ცელტურისადმი მიწერილ წერილში კვითხულობთ: „უახლესი ფიზიკის უდიდესი ბოროტება სწორედ ისაა, რომ მან ექსპერიმენტი თითქოსდა გამოყო ადამიანისაგან და ბუნების შემეცნებას მხოლოდ ხელისუფრი აპარატების მეშვეობით ცდილობს, ამით კი ბუნების შესაძლებლობებს ზღუდავს. ზუსტად ასევეა გაანგარიშების დროსაც. ბევრა რამ არის ქვეშაობილად ისეთი, რისი გაანგარიშებაც შეუძლებელია, ასევე, ბევრი რამ არის, რასაც ვერ მივიყვანთ ვადაშწყვეტ ექსპერიმენტამდე“.

ნუთუ მართლა ვერ დაინახა გოეთემ ბუნებისმეცნიერული შეთოდების, ექსპერიმენტისა და მათემატიკის მოშფერებელი ძალა და შემეცნებითი მალწევები? ნუთუ მართლა ვერ შეაფასა ჯეროვნად მოწინააღმდეგე, რომელსაც ასე დაუღალავად ებრძოდა „ფერთა მეტყველებასა“ და ბევრ სხვა ნაშრომში? ან იქნებ არ სურდა ეს ძალა დაენახა, ვინაიდან მაშინ ისეთი ღირებულებები ვარდებოდნენ საფრთხეში, რომელთაც იგი ვერ გასწირავდა? როგორც ჩანს, გოეთეს არ სურდა დასდგომოდა ერთიანი ვაგების ამ აბსტრაქტულ გზას, რადგან იგი მეტისმეტად საშიშ გზად მიაჩნდა.

საშიშროება, რასაც გოეთე უფრთხოდა, მას არსად არ აღუნიშნავს გარკვევით. მაგრამ მასზე მიგვანიშნებს გოეთეს ფაუსტი. ფაუსტი, ყველაფერთან ერთად, იმედგაცრუებული ფიზიკოსიცაა. იგი თავის კაბინეტში აპარატებითაა გარშემორტყმული.

Ihr Instrumente freilich spottet mein
Mit Rad und Kämmen, Walz und Bügel;
Ich stand am Tor, ihr solltet schlüssel sein;
Zwar euer Bart ist kraus, doch hebt ihr nicht die Riegel.¹

ვგების საიდუმლო ნიშნები, რომლებსაც იგი ნოსტრადამუსის წიგნში დაეძებს, როგორღაც ენათესავება მათემატიკის შიფრებს? და შიფრებისა და ინსტრუმენტების მთელი ეს სამყარო, დაუთქვებელი სწრაფვა უფრო ფართო, უფრო ღრმა, უფრო აბსტრაქტული შემეცნებისაკენ აიძულებს მას, იმედგაცრუებულს, ეშმაკთან დადოს კავშირი? ამრიგად, გზამ ბუნებასთან შეთანხმებული ცხოვრებიდან აბსტრაქტული შემეცნებისაკენ შე-

¹ „თქვენ, ხელსაწყოებო, რასაკვირველია, დამცინით თქვენი ბორბლებით, ჭანჭიკებითა და ხრახნებით: მე კიდევტი კარიბჭესთან, თქვენ უნდა ყოფილიყავით გასაღები; თუმცე ხუჭოტია თქვენი თმა-წვერი, მაინც ვერ გადასწევთ ურდულებს“.

სამდებელია უმთავრესი მიზნებისა. ეს იყო სწორედ ის სამშობლო, რომელმაც განსაზღვრა გოეთეს აზროვნება ბუნებისმეტყველებით-ტექნიკურად სამართალი გოეთეს გრძობა და დემონურ ძალებს, რომლებიც ამ განვითარებაში ამოქმედდებოდა და ფიქრობდა, თავი აერიდებინა მათთვის. მაგრამ ამაზე აღმათ ასეთი პასუხია მოსალოდნელი: — უმთავრესი ასე იოლად ვერ წაუხვალ.

გოეთეს, ჯერ კიდევ ადრე, თავადაც მოუხდა კომპრომისზე წასვლა — ყველაზე უფროსად ვხელოვანი აღმათ მაინც სამართლის კომპრომისული ხატის აღიარება იყო, რომლის დამაჯერებელ ძალას ვერც იგი აღუდგა წინ. მაგრამ გოეთემ აქაც კარგად იცოდა, თუ რა მსხვერპლის ფასად დაუჯდებოდა იგი კაცობრიობას. კიდევ ერთ ადგილს დაეიმოწმებ „უერთა მეტყველებიდან“.

„...ყველა აღმოჩენათა და მრწამსთა შორის ადამიანის გონზე არაფერს მოუხდენია კომპრომისის მოძღვრებაზე უფრო დიდი ზეგავლენა. ცნეს თუ არა, რომ დედამიწა მრგვალია და თავისთავში წაქეცილი, მან მაშინვე დაკარგა თავისი უდიდესი უპირატესობა — ყოფილიყო სამართლის ცენტრი. იქნებ კაცობრიობისათვის არასოდეს წაუყენებიათ ამაზე უფრო დიდი მოთხოვნა, ვინაიდან რა არ დაინთქა და განქარდა ამის აღიარებით: მეორე სამოთხე, უბიწოების სამართალი, პოეზია და ღვთისმოსაობა, შეგრძნებათა ძალა, პოეტურ-რელიგიური რწმენის დამაჯერებლობა, რა გასაკვირია, რომ ყოველივე ამას ადვილად ვერ შეუღებდნენ, რომ ყველა საშუალებით დაუპირისპირდებოდნენ ასეთ მოძღვრებას. მაგრამ ვინც ამას აღიარებდა, აზროვნების მანამდე არსებული თავისუფლება და შეხედულებათა სიდიადე ვნებდებოდა“. ეს ადვილი გამომდგება იმათ წინააღმდეგაც, ვინც გოეთეს მიერ მინიშნებული საფრთხისათვის თავის დასაღწევად დღესაც ცდილობს გვიცი შეიტანოს ახალი დროის ბუნებისმეტყველების სისწორესა და აუცილებლობაში. ისინი იმაზე მოუხიბებენ, რომ ეს ბუნებისმეტყველებაც დროთა განვითარებაში იცვლის შეხედულებებს; დღეს, მაგალითად, აღარ ცნობენ ნიუტონის მექანიკის სისწორეს და იგი უარდობითობისა და კვანტურმა თეორიებმა შეცვალა. მაშასადამე, ყველა საუბრეული გვაქვს ასეთი ბუნებისმეტყველების პრეტენზიებს სკეპტიკურად შევხედოთ. მაგრამ ეს არგუმენტი ერთ გაუგებრობას ემყარება, რაც მოჩანს სწორედ პლანეტათა სისტემაში დედამიწის ადგილის შესახებ — მოძღვრებაში. მართალია, აინშტაინის უარდობითობის თეორია დიად ტოვებს იმას შესაძლებლობას, რომ დედამიწა უძრავად, ხოლო მზე — დედამიწის გარშემო მოძრავად მივიჩნიოთ, მაგრამ ამით სრულიად არაფერი იცვლება ნიუტონის თეორიის გადამწყვეტ მტკიცებაში, რომ მზე თავისი ძლიერი მიზიდულობით პლანეტათა გზას განსაზღვრავს. მაშასადამე, პლანეტათა სისტემასაც მხოლოდ მაშინ ჩავწევებით მართებულად, თუ ამოსავლად გავიხდით მზეს, როგორც ცენტრსა და მიზიდულობის ძალთა შუა წერტილს. შეუძლებელია, — და ეს განსაკუთრებით მინდა გავხაზო, — თანამედროვე ბუნებისმეტყველების შედეგებს გავექცეთ, თუ მის მეთოდისას ვაღიარებთ. მისი მეთოდისა კი გვეუბნება: მთავარია დაკვირვება, რომელიც დაიხვეწება ექსპერიმენტში და რაციონალური ანალიზი, მათემატიკურ გამოსახულებაში რომ იქნეს თავის ზუსტ სახეს. შედეგების სისწორეში ვერ შევიტანთ რამდენადმე სერიოზულ ეჭვს, თუ ექსპერიმენტსა და რაციონალურ ანალიზს დაუშვებთ. მაგრამ იქნება ამას დაფუძირისპირით ღირებულების საკითხი: აქვს თუ არა ამგვარად შექმნილ ცოდნას ღირებულება?

თუ შევხედვებით ამ კითხვაზე პასუხი გავცეთ არა გოეთეს პოზიციიდან, არამედ ჩვენი დროის სულიერების შესაბამისად და თანაც, ბევრი ორჭოფობის გარეშე, სარგებლიანობის არგუმენტს დაუშვებთ, მაშინ აქ შეიძლება გავგვეხსენებინა თანამედროვე მეტყველებისა და ტექნიკის მიღწევები: მაგალითად, ტრანსპორტის მოხერხებულობა, თანამედროვე მედიცინის წარმატებები ავადმყოფის მკურნალობაში და ბევრი სხვა. გოეთეს, რაკი თავადაც სურდა ცხოვრებაში ქმედითი ყოფილიყო, ამ არგუმენტებს, რა თქმა უნდა, შესანიშნავად გაიგებდა. სწორედ, თუ ამოვალთ ადამიანის ცხოვრებისეული სიტუაციიდან, იმ სიძნელეებიდან, მას რომ ვარს არტყია, იმ მოთხოვნებიდან, სხვები რომ უფლებენ მას, მაშინ ძალზე მაღალი შეფასება უნდა მიეცეს ქმედითი, პრაქტიკული საქმიანობის, სხვებისათვის დახმარების გაწევისა და ცხოვრების პირობების საერთო გაუმჯობესების შესაძლებლობას. საკმარისია გადავხედოთ გოეთეს „ვილჰელმ მაისტერის მოგზაურობის წლების“ დიდ ნაწილს, ან კიდევ „უაუსტის“ ბოლო თავებს, რათა დავინახოთ, თუ რა სერიოზულად უყურებდა პოეტი ჩვენი პრობლემის სწორედ ამ მხარეს. ბუნებისმეტყველებით-ტექნიკური სამართლის სხვადასხვა ასპექტს შორის პრაგმატული მხარე მართლაც ყველაზე

უფრო ვასაგები იყო მისთვის. მაგრამ გოეთეს აქაც ეზმავს ხელი ამხივდა. „ფაუსტის“ ბოლო მოქმედებაში. ქმედითი ცხოვრების მთელი მოზაიკის და მოზაიკის ფიგურებისა და ბაგვიდეს სიკვდილმა აბსურდად აქცია. მაგრამ იქაც, სადაც ეზმავს ხელი ანუ უმუ- ალოდ არ მოხანს, მისი ჩარევისაგან ძაინც არა ვართ დაზღვეული. გოეთეს სვიცნი, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის შეკავშირებით გამოწვეული სამყაროს მზარდი განვითარების შეჩერება შეუძლებელი იყო. მან ეს შესწავლა გამოთქვა „ვილჰელმ შტრუტესის“ მოგზა- ურობის წლებში“. „მექანიკურის მოძალევა მანუშერებს და მამხივებს. იგი მოიწვევს ნელ- ნელა, ავდარიით. მაგრამ მას უკვე აქვს გეზი, იგი მოვა და მიზანს მიაღწევს“. მაშასა- დამე, გოეთემ იცოდა, თუ რა მოგველოდა და რა უკუსწოქმედებას მოახდენდა ეს მოე- ლენა ადამიანთა ქცევაზე. ცელტურისადმი მიწერილ ერთ წერილში კვითხულობთ: „სიმ- დიდრე და სისწრაფე არის ის, რასაც ქვეყანა აღტაცებაში მოჰყავს და რასაც ყოველი ადამიანი ესწრაფვის. რკინიგზა, სასწრაფო ფოსტა, თბომავალი და კომუნიკაციის ყველა სხვა უპირატესობანი არის ის, რასაც მიელტვის განათლებული კაცობრიობა — გადაამე- ტოს საკუთარ თავს, ინფორმაციით თავი გამოიტყოს, სულიერად უზადრუკ მდგომარე-ობაში გაიყინოს არსებითად, ეს არის საუკუნე უნარიანი, პრაქტიკული ადამიანებისა, ერთგვარი მოქნილობით რომ არიან დაჯილდოებულნი და თავს სხვებზე მაღლა აყენებენ, თუმცა სრულებითაც არ ბრწყინავენ რაიმე განსაკუთრებული ნიჭით“. ან კიდევ „ვილჰელმ მაისტერის მოგზაურობის წლებში“: „ახლა ცალმხრივობათა დროა; ნეტავი იმას, ვინც ამას მიხვდა, ვინც თავისთვის და სხვებისთვის ამ შეგნებით მოქმედებს“ ამგვარად, გოეთემ შეძლო ბევრი რამ დაენახა წინასწარ და დიდი შესწოთებით დაკვარებოდა იმას, რასაც მომავალი უქადა კაცობრიობას.

ამასობაში თითქმის საუკუნე-ნახევარმა განვლო და ჩვენ უკვე ვიცით, თუ სადამდე მოგვიყვანა განვითარების ამ გზამ დღემდე. რეაქტური თვითმფრინავები, ელექტრული გამომთვლელი მანქანები, მყარის რაკეტები, ატომური ბომბები ყოველად ეს გზის პირას აღმართული უკანასკნელი ნიშანსვეტებია. ნიუტონის ბუნებისმეცნიერებით განსა-ზღვრული სამყარო, რისი თავიდან აცილების იმედაც გოეთეს ჰქონდა, ამკვარად ჩვენს სინამდვილედ იქცა და ვერაფერს გვიშველის იმის გაფიქრება, რომ მასში ფაუსტის პარტნიორის ხელიც ურევია, ამას გარდა, ჩვენ ვერ კიდევ არ მივვადწვევთ ამ გზის და-სასრულამდე, აღბათ შორს აღარ არის ის დრო, როდესაც ბიოლოგიაც მოლიანად ჩაერ-თება ტექნიკის განვითარების ამ პროცესში. მაშინ კიდევ უფრო მოიმატებს საშისროება და იგი თვით ატომური ბომბის მუქარასაც გადაამეტებს; ამის შესახებ უკვე არაერთხელ ითქვა და ყველაზე უფრო მკაცრად აღბათ მომავალი სამყაროს დაუხდომელ კარიკატუ-რაში, რომელიც ჰაქსლიმ Brave new world („დიდებული ახალი სამყარო“) სახელ-წოდებით დაგვიხატა. შესაძლებლობა იმისა, რომ ადამიანები მათთვის შერჩეული მიზნე-ბისათვის გაიწვრთნან, მთელი ცხოვრება დედამიწაზე რაციონალურად, ე. ი. მიზანშეწონი-ლობისაკენ სწრაფის ნიშნით მოწესრიგდეს და ამით ყოველგვარი ანტი-საგან დაი-ლოს — ყოველივე ეს აქ შემზარავი თანამიმდევრობითაა აბსურდამდე დაყვანილი, მაგ-რამ აღბათ ასე შორს წასვლაც არ არის საჭირო იმის მისახვედრად, რომ მიზანშეწონილობა სავრთოდ არ წარმოადგენს ღირებულებას. იგი მხოლოდ ადგილს უნაცვლებს ღირებულე-ბის საკითხს, სახელდობრ, მას სხვა კითხვით გარდაქმნის: აქვს თუ არა ღირებულება მიზანს, რომელსაც ის სათანადო ცოდნა და შესაძლებლობანი შეესაბამება, მას რომ ემსა-ხურება?..

თანამედროვე ბუნებისმეცნიერება, მაშასადამე, ვაწუდის ცოდნას, რომლის სისწორეც მოლიანობაში ექვს არ იწვევს; ტექნიკა კი საშუალებას გვაძლევს ეს ცოდნა შორსმომავალი მიზნებისთვისაც გამოვიყენოთ. მაგრამ მიღწეული წინსვლა ღირებულების შემცველია თუ არა, ამით ვერ გადაწყდება. ამას გადაწყვეტს ის წარმადგენები ღირებულების შესახებ, რითაც ხელმძღვანელობენ ადამიანები მიზნის დასახვის დროს. ხოლო ეს წარმადგენები ღირებულების შესახებ არ მომდინარეობს თვით მეცნიერებიდან ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ისინი აქედან არ იღებენ სათავეს. გოეთეს გადაწყვეტი არგუმენტი ბუნე-ბისმეცნიერების იმ შეთოდის საპირისპიროდ, რომელსაც ნიუტონის დროიდან აყენებენ, მიმართულია ამ შეთოდის იხეთ ცნებათა გათიშულობის წინააღმდეგ, რაცორიცაა „სწორი“ და „ჭეშმარიტი“. ჭეშმარიტება გოეთესათვის განუყოფელი იყო ღირებულების ცნებისაგან. „ერთი, კეთილი, ჭეშმარიტი“, მისთვის, ისევე როგორც ბერძენი ფილოსოფო-სებისათვის, იყო ერთადერთი კომპასი, რომელსაც უნდა გაკეთლოდა კაცობრიობა საუკუ-

ნათა მანძილზე. მაგრამ ძალზე სახიფათოა ისეთი შეცნობა, რომელიც მხოლოდ სწორია, სადაც უნებები „სწორი“ და „ჭეშმარიტი“ გათიშულია და, მაშინაც, უნებები წესრიგი თავად აღარ გამსახდლებს მინსათულებას. იგი, თუ გავიხსენებთ „ფაუსტს“, შეიძლება ეშმაკის კერძი გახდეს. ამიტომაც არ სურდა გოგონას უნებობა. მხელით მოცულ სამყაროში, რომელსაც აღარ ანათებს „unum, certum, perpetuum“-ის განთავსება სინათლე, როგორც ეს ერთხელ ერთს კვლევმა თქვა, ტექნიკური წინსვლა სხვა არაფერია, თუ არა უინფო ცდა — ჯოჯოხეთი სასიამოვნო ადგილსამყოფელად აქციონ. ეს განსაკუთრებით იმათ საყურადღებოდ უნდა ითქვას, ვისაც სჯერა, რომ ტექნიკურ-ბუნებისმეტყველო ცივილიზაციის გაყრცელებით დედამიწის ყველაზე მივარდნილ კუთხეშიაც კი ყველა მნიშვნელოვანი პირობა შეიქმნება ოქროს ხანისათვის. ესეც ასე ითვლება რომელიმე დავუძღვრებით ხელიდან.

ვიღებუ გავარკვევდეთ, მართლაც ასე საკლებით არის გათიშული თუ არა „სწორი“ და „ჭეშმარიტი“ თანამედროვე ბუნებისმეტყველებაში. საჭიროა დაესვათ კონტრშეკითხვა: უპირისპირებს თუ არა გოეთე, თავისი ბუნების ხედვით, რაიმე ქმედითს ნიუტონის შემდგომ აღმოცენებულ ტექნიკურ-ბუნებისმეტყველო სამყაროს? ჩვენ ვიცით, რომ იმ უდიდესი ზეგავლენის მიუხედავად, რაც გოეთეს პოეზიამ მოუღ XIX საუკუნეზე მოახდინა, მის აზრებს ბუნებისმეტყველების სფეროში მხოლოდ შედარებით მცირე წილ იცნობდა და იზიარებდა. მაგრამ იქნებ მათში არის ჩახასხი, რომელიც განვიტარდება, თუ ხსრუნველობას არ მოვაკლებთ, მით უმეტეს, რომ მე-19 საუკუნის რამდენიმე გულუბრყვილთ რწმენამ პროგრესზე ადგილი დაუთმო ფიზიკურ დაკვირვებას? აქ საჭიროა კიდევ ერთხელ ვთვალოთ, რა არის, სასულდობრ, დაზახასიოთებელი ბუნების გოეთესებური ხედვისათვის, რით განსხვავდება ბუნების მასული დაკვირვება ნიუტონისა და მისი მომდევრების დაკვირვებისაგან? აქ უპირველესად ის უნდა აღვნიშნოთ, რომ გოეთეს დაკვირვება ბუნებაზე სწორედ ადამიანიდან მომდინარეობს, ამ დაკვირვებაში ცენტრს ქმნის ადამიანი და მის მიერ ბუნების უშუალო განცდა, საიდანაც მოვლენები აზრიან წესრიგში განლაგდება. თუმცა ასეთი ფორმულირება სწორია და იგი ნათლად გვიჩვენებს უდიდეს განსხვავებას ბუნების განხილვაში გოეთესა და ნიუტონს შორის. მაგრამ იგი არ ითვალისწინებს ერთ ფრიად მნიშვნელოვან ბუნქტს, კერძოდ იმას, რომ გოეთეს რწმენით ადამიანს ბუნებაში ღვთაებრივი წესრიგი ხილულად წარმოუდგება. ხანშეშესული გოეთესათვის ბუნების ინდივიდუალური განცდა კი აღარ იყო მნიშვნელოვანი, მას რომ ყმაწვილკაცობაში მსჭვალავდა, არამედ — ღვთაებრივი წესრიგი, რომელიც ამ განცდაში ცნაურდება. გოეთესთვის მარტო პოეტური მეტაფორა როდია, რომელსაც „გულსპარსული რწმენის ანდერძში“ — მთაზე ამოხავალი მზე მორწმუნეს შთაგონებს „ღმერთი თავის ტახტზე იხილოს, მას სიცოცხლის წყაროს უფალი უწოდოს. ამ დიადი ხალვის საკადრისად იმოქმედოს და მის შუქში გზა განაგრძოს“. ბუნების განცდის ამ შინაარსს, გოეთეს რწმენით, მეცნიერული მეთოდის უნდა შეესაბამებოდეს; თაურფენომენის ძიებაც ისე უნდა გავიგოთ, როგორც მოვლენის საფუძველში მდებარე, ღმერთის მიერ დადგენილი სტრუქტურების კვლევა, რომლებსაც მხოლოდ გონება კი არ აგებს, არამედ უშუალოდ დაუინახავთ, განვიცდით, აღვიქვამთ. „თაურფენომენი — განმარტავს გოეთე, ვერ გაუთანაბრდება იმ პრინციპს, საიდანაც მრავალფეროვანი შედეგები გამოიმდინარეობს, არამედ იგი უნდა შევიჩნიოთ ფუძე-მოვლენად, რომლის წიაღშიც მრავალფეროვნებას ვხედავთ. ჭკრეტა, ცოდნა, ინტუიცია, რწმენა, თუ რაც არ უნდა ერქვას იმ საცუცებს, რითაც ადამიანი უნებერსუმს მოსინჯავს, შეწვობილად უნდა მოქმედებდეს, თუ გვსურს შევასრულოთ ჩვენი უმთავრესი, თუმცა კი მხელი მოწოდება“. გოეთე ძალიან ნათლად გრძნობს, ძირითადი სტრუქტურები ისეთი უნდა იყოს, რომ შეუძლებელი გახდეს იმის გადაწვევა, თბიერებურად ნავარაუდევ სამყაროს განვუთვინებოთ იხიბი, თუ ადამიანის სულს, რადგან ისინი ერთავეს წინაპირობას ქმნიან. მას იმედი აქვს, რომ ისინი ამოქმედდება „ჭკრეტის, ცოდნის, ინტუიციის, რწმენის“ მეშვეობით. მაგრამ აქ უნდა იკითხოთ: საიდან ვიცით ჩვენ, ან საიდან იცის გოეთემ, რომ ნამდვილი, უღრმისი კავშირები შეიძლება ასე უშუალოდ ხილული გახდეს, რომ ისინი ასე აშკარად გაღაიშალოს ჩვენს თვალში? იქნებ სწორედ ის, რაც გოეთეს ბუნების მოვლენის ღვთაებრივ წესრიგად მიაჩნია, მხოლოდ აბსტრაქციის უფრო მაღალ სათესურზე მოგვეუღინება მთელი სიზახით? იქნებ ამაზე თანამედროვე ბუნებისმეტყველებამ გავიცავს ისეთი პასუხი, რაც გოეთეს ღვთადადღებულების მოთხოვნებს თვალს გაუსწორებს?

ვიდრე ეგზოს ძველი საკითხების განხილვაზე გადავიდეთ, საჭიროა ორივე სიტყვა ერთად გვეთქვას უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ რომანტიზმის მიმართ, წერილებში, გამოკვლევებსა თუ საუბრებში გოეთე ხშირად მკვეთრად უპირისპირდება რომანტიზმს, ხელთახვის იმდროინდელ ძირითად მიზნობრივობას. აქ მუდამ ერთი და იგივე საფუძვლიანი გაიხსენს: სუბიექტივიზმი, ემოციურობა, უკიდურესობა, სუბიექტივიზმი, ავადმყოფური გრძობიერება, ძველით გატაცება, უნიკალური სილამაზეობა, ბოდოს — პირმთაწილობა და არაკეთილსინდისიერება. გოეთეს უარყოფითი დამოკიდებულება მოჩვენებითი ავადმყოფურობის მიმართ რომანტიზმში, მისა წინათგონობა, რომ გაიზრდებოდა ინტერესი ცოდვის მიმართ იმდენად ძლიერი იყო, რომ იგი მხოლოდ იშვიათად თუ სძლევდა საკუთარ თავს დაენახა რომანტიზმის შემოქმედებითი წარმატებები ან სულაც უღიარებინა ისინი. ყოველი ხელთახვა, რომელიც, რომანტიზმის მსგავსად, სინამდვილეს შორდება, ცდილობს რა ასახოს არა რეალური სინამდვილე, არამედ მხოლოდ მისი ანარეკლი შემოქმედის სულში, გოეთეს ისევე მიუღებლად მიიჩნედა, როგორც მეცნიერება, რომელიც თავის საკნად უშუალოდ ბუნებას ვი არ ასახავს, არამედ — აბრატივების მეშვეობით გამოცალკევებულსა და ერთგვარად შემზადებულ ცალკეულ მოვლენას. რომანტიზმი, ნაწილობრივ მაინც, შეიძლება გაეგოს, როგორც რეაქცია ისეთი სინამდვილის მიმართ, რომელიც რაციონალიზმის, ბუნებისმეცნიერებისა და ტექნიკის მეშვეობით აპირებდა გარეგანი ცხოვრების ფიზიკურ პრაქტიკულ წინაპირობად გადმოქცევას, ასე რომ იგი პიროვნებას, მის სურვილებს, მის იმედებსა და ტიპიურებს ადგილს აღარ უტოვებდა, ამიტომ პიროვნება თავის შინაგან სამყაროში უკვირდა, თუმცა რეალური სამყაროდან გატყვევდა, სადაც ჩვენს საქმიანობაზე და იმ შედეგებზე, რომლებიც ამ საქმიანობას მოსდევს, ჩვენვე უნდა ვაგოთ პასუხი, დანაკარგად აღიქვას, გოეთე მაინც შიშობდა, რომ ასეთი გატყვევა როგორღაც აიოლებდა, უფრო მეტიც — ხელს უწყობდა ოცნებაში გადაჯაჭვებას, ვნებათა მორეჟისი წაშორებას, მოვსის და სხვისა პასუხისმგებლობის აცილებას და გრძობათა უკიდურესი სიერეში თავდავიწყებით ნაკარდს, ამ ნაბიჯს, გადადგმულს იმ ხელთახვიდან, რომელიც ცდილობს სამყარო მის უშუალო რეალობაში ასახოს, აღამიანის სულის უფსკრულთა მხატვრული ასახვისა და გაზვიადებისაკენ, გოეთე ისევე ვერ მიესალმებოდა, როგორც ნაბიჯს აბსტრაქციისკენ, საბოლოოდ ბუნებისმეცნიერებას აუცილებლობამ უბიძგა.

გოეთეს უარყოფითი დამოკიდებულება მოტივთა ნათესაობის მხრივ ორივე შემთხვევაში უფრო შორსაც ვი მიდის, თუ ბუნებისმეცნიერებაში გოეთეს აბსტრაქცია აფრთხილებდა, თუ მისი უსაზღვრობის წინაშე შიშით ძვნიდა, ეს იმიტომ, რომ გოეთე მასში დემონურ ძალებს გრძობდა, რომელთა მოქმედების არეში მოხედრასაც იგი გაურბოდა. ეს ძალები მან მეფისტოფელში გახასხიერა, რომანტიზმში მან ამგვარი ძალების მოქმედება დაინახა: იგივე უსაზღვროება, რეალური სამყაროდან, მისი ჯანსაღი, მყარი მასშტაბებიდან მოწყვეტა, ავადმყოფური გადაგვარების საშიშროება, გოეთეს ასეთ დამოკიდებულებაში აღბათ იმანაც ითამაშა როლი, რომ ამ შემდგომი ახალი საფეხურის უმაღლესი მხატვრული ფორმა მისთვის შედარებით უცხო დარჩა... ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ რომანტიზმის დირებულების შეფასებისას შემდგომმა ურომ ყური არ ათხოვა უდიდესი გერმანელი პოეტის რჩევას, პირიქით — ხელთახვამ მთელი ყურადღება იმ საკნებისა და ამოცანებისაკენ წარმართა, რაც პირველად რომანტიზმმა გამოკვეთა. XIX საუკუნის მუსიკის, მხატვრობისა და ლიტერატურის ისტორია ვეჩვენებს, თუ რაოდენ ნაყოფიერი აღმოჩნდა რომანტიზმის მიერ შემზადებული ნიადაგი, რასაკვირველია, ეს ისტორია იმაზეც მეტყველებს, განსაკუთრებით თუ მას თვალს მივადევნებთ ჩვენს საუკუნეშივე. — რაოდენ სამართლიანი იყო გოეთეს შემოთქმა და საპირისპირო არგუმენტები, სწორედ ისევე, როგორც ბუნებისმეცნიერებისა და ტექნიკის მიმართ, უროგვარი დევრადაციის მოვლენება, რომლებსაც ხშირად უჩივიან როგორც ხელთახვაში, ასევე ტექნიკაში (მაგალითად, ატომური იარაღის გამოყენება), უნდა განვიხილოთ, როგორც იმ ცენტრის დაკარგვის შედეგი, რომლის შენარჩუნებისთვისაც გოეთე მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე იბრძოდა.

მაგრამ დავუბრუნდეთ საკითხს: მართლა ასე მთლიანად გაქრა თუ არა უპირველეს ყოვლისა მხოლოდ „სწორი“ თანამედროვე ბუნებისმეცნიერებიდან ის ცოდნა, რასაც გოეთე თავის ბუნებისმეცნიერებაში ეძიებდა, სახელდობრ, ცოდნა საბოლოოდ მის მიერ დეფაქტოვად მიჩნეული ბუნების მეფორმებელი ძალებისა? „რომ შევიშვენიო, თუ რა

ამთლიანებს სამყაროს შინაგანად, ვაკვირდები ყველა ქმედით ძალასა და რანასახს, აღარ ვუძებო სიტყვების ხსრეკას". ასე უღერდა მისი მოთხოვნა ამ გზით გადღწივა გოეთემ ბუნებაზე დაკვირვებაში თაურფენოშენს, ხოლო თავის მცენარეთა შორეოლოგიაში — თაურმცენარეს. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ეს თაურფენოშენი სიტყვებითა კი არ წარმოადგენდა, საიდანაც გამოვიყვანდით სხვადასხვაგვარ ნიშნულს, ამ ფუძე-მოვლენას, რომლის წიაღშიც მრავალსახოვანება მოჩანს, შილერმა, გოეთესთან თავისი პირველი შეხვედრის დროს (რაც იუნაში მოხდა 1704 წელს და სათავედ დაუდო მათ მეგობრობას), პოეტს განუბარტა, რომ მისი თაურფენოშენი საკუთრივ მოვლენა კი არ იყო, არამედ იდეა; იდეა პლატონის ფილოსოფიის გაგებით — დაფუძნებდით სვენ, და რადგან ამჟამად სიტყვა „იდეა“ რამდენადმე სუბიექტური შეფერილობა შიიღო, ჩვენ ალბათ აქ „იდეის“ ნაცვლად სიტყვა „სტრუქტურას“ ჩავსვამდით, თაურმცენარე თაურფორმაა, ძირითადი სტრუქტურა, მცენარეთა მაფორმებელი პრინციპია, რომელსაც, რასაკვირველია, მხოლოდ გონებით კი არ ავაგებთ, არამედ უშუალო ჭკრეკით ვწვდებით, განსხვავებას უშუალო ჭკრეკასა და ოდენ რაციონალურ დასკვნას შორის, რასაც გოეთე აქ ვგზობ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. რაკმაოდ უსუსტად შეესატყვისება განსხვავება შემეცნების ორ სახეობას შორის: „ეპისტემესა“ და „დიანოიას“ შორის პლატონის ფილოსოფიაში. „ეპისტემე“ არის სწორედ ეს უშუალო სიტყვად, რომელსაც შეგვიძლია დავვერდნით და რის მიღმაც აღარაფერია საძიებელი. „დიანოია“ არის გაანალიზების უნარი, ლოგიკური დასკვნის შედეგი. პლატონისთვისაც სათელია, რომ შემეცნების მხოლოდ პირველი სახეობა, „ეპისტემე“ გვაკავშირებს ნამდვილთან, მნიშვნელოვანთან, ღირებულეზათა სამყაროსთან, ხოლო „დიანოია“ თურცა ცოდნას იძლევა, მაგრამ — მხოლოდ ღირებულეზას მოკლებულ ცოდნას. ის, რის აქსნასაც შილერი გოეთესათვის ცდილობდა, როცა ისინი შინ ბრუნდებოდნენ ბუნებისმეცნიერული მოხსენების შემდეგ, რასაკვირველია, იყო არა პლატონის, არამედ კანტის ფილოსოფია. აქ სიტყვას „იდეა“ რამდენადმე სხვაგვარი, უფრო სუბიექტური მნიშვნელობა ეძლევა. ყოველ შემთხვევაში — იდეა სწორედ მოვლენისაგან არის მვეთრად გათმული, ასე რომ შილერის მტკიცებამ, თაურმცენარე იდეა არისო, გოეთე ძლიერ ააღელვა. მან უპასუხა: „ძალზე სასიამოვნია, რომ იდეები მაქვს და არაფერი მცოდნია მათ შესახებ და თურმე მათ თვალებითაც კი ვხედავ“. ამას მოჰყვა დისკუსია, რომელშიაც, როგორც გოეთე გვატყობინებს, ბევრი იდავეს. შილერმა არ დაუთმო: „როგორ შეიძლება არსებობდეს ცდა, რომელსაც იდეას მიუხადავებდით: ვინაიდან იდეას თავისებურება სწორედ ის არის, რომ მას არასოდეს არ თანხუდება ცდა“. მაგრამ თუ ამ პაექრობას ფილოსოფიიდან შევხუდავთ, კამათი იმდენად იდეის რაობის გარკვევას არ ეხება, რამდენადაც შემეცნების იმ ორგანოს, რომლითაც იდეა მოგვეცემა. თუ გოეთეს ძალუძს ეს იდეები თვალთ დაინახოს, მაშინ ეს სწორედ სხვა თვალთა და არა ის, რის შესახებაც დღეს ჩვეულებრივ ვლაპარაკობთ. ყოველ შემთხვევაში, თვალს აქ ვერ შევცვლით მიკროსკოპით ან ფოტოფირით. მაგრამ როგორც არ უნდა გადავჭრათ ეს კამათი, თაურმცენარე, მაშასადამე, იდეა და გამოსადეგი იდეაცაა, რადგან მისი მიწვეობით ამ ძირითადი სტრუქტურის, როგორც გასაღების მეშვეობით, გოეთეს სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, შეგვიძლია მცენარეები დაუსრულებლივ გამოვიკონოთ, მაშასადამე, იგი ვაგებული იქნა, როგორც მცენარეთა აგებულეზა: „ვაგება“ კი ნიშნავს მარტივ, ერთიან პრინციპზე დაყვანას. როგორ გამოიყურება ყოველივე ეს თანამედროვე ბიოლოგიაში? აქაც მოგვეპოვება ფუძე-სტრუქტურა, რომელიც არა მარტო ყველა მცენარის, არამედ საერთოდ ყველა ცოცხალი არსების აგებულეზას განსაზღვრავს. ეს არის შუშინეულად მჭირე ობიექტი, ხაზოვანი მოლეკულა, სახელდობრ, ნუკლეინის მჟაეას საყოველთაოდ ცნობილი ორმაგი ჯაჭვი, რისი სტრუქტურაც ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ ამოიცნეს ინგლისელმა უოტსონმა და კრიკმა და რაც შესაბამისი ცოცხალი არსების მთელ შემეცნებულეზას შეიცავს. თანამედროვე ბიოლოგიის მდიდარი გამოცდილების საფუძველზე დღეს აღარავითარ ჯგებს არ იწვევს, რომ სწორედ ეს ხაზოვანი მოლეკულა განსაზღვრავს ცოცხალ არსების სტრუქტურას, რომ ერთგვარად მისგან მომდინარეობს მთელი მაფორმებელი ძალა, ორგანიზმის აგებულეზას რომ განსაზღვრავს...

შესაძლებელია თუ არა ეს ახლახან აღწერილი ძირითადი სტრუქტურა, ნუკლეინის მჟაეას ორმაგი ჯაჭვი, როგორღაც შევადართო გოეთეს თაურმცენარეს? ამ ობიექტის უხილავი სიმცირე არსებითად გამორიცხავს ასეთ შედარებას. მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ ეს მოლეკულა ბიოლოგიაში იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც გოეთეს თაურმცენარე —

ბოტანიკაში. ორივე შემთხვევაში საქმე ეხება მაფორმებელი ძალების გავლენას ცოცხალ ბუნებაში, მათ დაევაება რაღაც მარტივზე. ყველა ცოცხალი ორგანიზმის საერთოზე. დღევანდელ მოლეკულურ ბიოლოგიაში სწორედ ამათგანია თაურწარმოქმნი, რომელიც ჯერჯერობით ძალზე პრიმატიულია მშისათვის, რომ მას ცოცხალი თაურარსება ვუწოდოთ. მას ჯერ სრულებითაც არ გააჩნევა ცოცხალი არსების ყველა ფუნქცია; მაგრამ, ვფიქრობ, ამას არ უნდა უწოდებოდეთ იგი ამდაგვარად ან ამის შესავსად ნაინც მივიჩნიოთ. ამ თაურწარმოქმნს გოეთეს თაურწინცნარესთან იაიც აქვს საერთო, რომ იგი არა მარტო ძირითადი სტრუქტურაა, იდეაა, წარმოდგენაა, მაფორმებელი ძალაა, არამედ ამასთან ობიექტია, ძოვლენაა, თუმცა მას ჩვენი ჩვეულებრივი თვალთ ვერ დავინახავთ, და მხოლოდ არაპირდაპირი გზით თუ შევწვდებით. მას მძლავრი მიკროსკოპებისა და რაციონალური ანალიზით შევიშვეცნებთ, მაშასადამე, იგი რეალურად არსებობს კიდეც და არ წარმოადგენს მარტოდენ ამრით წარმოქმნს. ამდენად იგი ავსაყოფილებს გოეთეს თითქმის ყველა მოთხოვნას თაურწინცნარესთან მიმართ. რაც შეეხება იმას, შევკამდია თუ არა იგი „დავინახოთ, ვიგრძნოთ, შევწვდეთ“ გოეთესული გაგებით, ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეიძლება თუ არა იგი პლატონის „ეპისტემეს“, წმინდა შემეცნების საგანი გახდეს — ეს კი საუბრო მოჩანს. ჩვეულებრივ ბიოლოგიურ წარმოქმნებს ამგვარად არ განიხილავენ, იგი ალბათ აღმოჩინებებს პირველად ასე მოეჩვენათ.

მაშასადამე, როცა თანამედროვე ბუნებისმეცნიერებაში სისწორისა და ჭეშმარიტების ურთიერთობა გვაინტერესებს, მაშინ მის პრაგმატულ მხარეზე ორივე ცნების მხოლოდ სრული გათიშულობის კონსტატაცია მოგვიხდება. მაგრამ იქ, სადაც ისევე, როგორც ბიოლოგიაში, საქმე დიდ კავშირებს ეხება, რომლებიც ბუნებაში იმთავითვე არსებობენ და, მაშასადამე, ადამიანს არ შეუქმნია, შესაძლებელია ვაჩვენოთ სიახლოვის დანახვა, რადგან სრულიად დიდი კავშირები ფუნქ-სტრუქტურებში, ამგვარად გამოვლენილ პლატონურ იდეებში მოჩანს და ეს იდეები, რაკი ისინი მათ მიღმა მდებარე მოლიანი წესრიგის შესახებ ვეამცნობენ, შესაძლებელია, რაციონს გარდა, ადამიანის ფსიქიკის სხვა სფეროებთანაც აღვიქვათ, რადგან ეს სფეროები თვითონვე უშუალო მიმართებაში იმყოფებიან ამ მოლიან წესრიგთან და ამდენად ღირებულებათა სამყაროსთანაც.

ეს განსაკუთრებით ნათლად მოჩანს, თუ იმ სრულიად — ზოგად კანონზომიერებებზე გადავალთ, ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის სფეროებს რომ მოივაც და რომლებიც მხოლოდ უკანასკნელ ათეულ წლებში შეიშვეცნეს ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკასთან კავშირში. აქ, მაშასადამე, საქმე ეხება ბუნებაში ან მოლიანად სამყაროს ფუნქ-სტრუქტურებს, რომლებიც უფრო ღრმად მდებარეობენ, ვიდრე ბიოლოგიის სტრუქტურები, და რომლებიც ამის გამო უფრო აბსტრაქტულია და ჩვენი შეგრძნებისათვის უშუალოდ უფრო ნაკლებ მოსაწვდომი, მაგრამ ეს სტრუქტურები ამდენადვე უფრო მარტივია, რადგან ისინი კერძოს კი აღარ გამოსახავენ, არამედ მხოლოდ ზოგადს. ხოლო თუ ბიოლოგიის თაურწარმოქმნა ცოცხალი ორგანიზმი უნდა განასახოვნოს და ამასთან ერთად უნდა განასხვავოს ზოგიერთი, რამდენიმე მცირე ქიმიური ჯგუფთა ჯაჭვში მათი სხვადასხვა შესაძლო განლაგების მეშვეობით. მან უთვალავი ორგანიზმაც უნდა განასხვავოს. მათი ბუნების ძირითად სტრუქტურებს სწორედ ამ ბუნების არსებობის გამოსახვაც ვვალებათ. თანამედროვე ფიზიკაში ეს აზრი შემადგენაირად განხორციელდა: მათემატიკის ფაქტე ვალიბდება ბუნების ის ძირითადი კანონი, „სამყაროს ფორმულა“, როგორც მას ზოგჯერ უწოდებენ, რომელიც უნდა გასწვდეს ბუნების ყველა მოვლენას და, მაშასადამე, ერთგვარად მხოლოდ ბუნების შესაძლებლობას, მის არსებობას გამოსატყვევს სიმბოლურად. ამ მათემატიკური განტოლების უმარტივესი ამონახსნები განასახოვნებენ სხვადასხვა ელემენტარულ ნაწილაკებს, რომლებიც ბუნების ძირითადი ფორმებია სწორედ იმავე გაგებით, როგორც პლატონს ესახებოდა მათემატიკის წესიერი სხეულები — კუბი, ოთხკუთხედი, და ა. შ. — ბუნების ძირითად ფორმებად, ისინიც, გოეთესა და შილერის კამათს რომ მივუბრუნდეთ, გოეთეს თაურწინცნარის შესავსად, „იდეებია“, თუნდაც ჩვეულებრივი თვალისათვის მიუწვდომელი იყვნენ. შეიძლება თუ არა მათი დანახვა გოეთეს გაგებით — ეს უბრალოდ იმაზეა დამოკიდებული, თუ შევცნების რომელი ორგანიზმი მივუდგებით ბუნებას. ეს ფუნქ-სტრუქტურები რომ უშუალო კავშირშია სამყაროს დიდ წესრიგთან, ძნელად რომ საკამათო გახდეს. მაგრამ ჩვენი

ზეა დამოკიდებული, გესურს თუ არა ამ დიდი კავშირიდან მხოლოდ ვიწრო სპეციალიზურად მისაწოდებლად მონაკვეთს ჩაეჭიდოს ხელი.

კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი ისტორიულ განვითარებას. ბუნებრივ-სწავლებლობაში, ისევე, როგორც სელოვნებაში, კაცობრიობა გოეთეს შემდეგ იმის საშიშროებაზედაც გოეთე მიუთითებდა, სელოვნებამ უშუალო სინამდვილიდან ადამიანის სულის სიღრმეში გადაინაცვლა, ბუნებისმეცნიერებამ გადადგა ნაბიჯი აბსტრაქციისაკენ, თანამედროვე ტექნიკის უზარმაზარი სივრცეები დაიპყრო და ბიოლოგიის იმ თაურწარმონაქმნებამდე, თაურფორშებამდე წაიწია, თანამედროვე მეცნიერებაში პლატონის სხეულებს რომ შეესატყვისება. ამავე დროს საშიშროებაც სწორედ ისე მომძლავრდა, როგორც ეს გოეთემ გვიწინასწარმეტყველა. მხედველობაში გვაქვს თვით გაუცხოება, თანამედროვე იარაღის აბსურდულობა, სივრცე, რამაც პოლიტიკური მოძრაობის ხასიათი მიიღო. უშბაკი ძლევა მოხსილი უფალია. მაგრამ ნათელი სფერო, რის შემცვენებაც გოეთეს ბუნებაში ყველგან შევძლო, სიღრული გახდა თანამედროვე ბუნებისმეცნიერებაშიაც, კერძოდ იქ, სადაც იგი ცნობებს გვაწვდის სამყაროს დიდი ერთიანი წესრიგის შესახებ. გოეთესაგან დღესაც შეგვიძლია ვისწავლოთ, რომ რაციონალური ანალიზის სასარგებლოდ არ უნდა მოვაშოთ შემცვენების ყველა დანაბრენი ორგანო; რომ, პირიქით, საჭიროა სინამდვილეს მივწვდეთ ჩვენს ხელთ არსებული ყველა ორგანოთი და გვჯეროდეს, რომ ეს სინამდვილე მაშინაც უმთავრესს — „ერთს, კეთილს, ჭეშმარიტს“ — გამოსახავს, იმედია, რომ მობავალი ამას ჩვენს დროსა და ჩვენს თაობაზე უკეთ განსჯორციელებს.





ვანჩუანელი განდებელი

ჩინური ენა გახლავთ სიტყვარი მორალისა, თავაზიანობისა და ზრდი-

ლობიანი ყოფატყვისაო, — წერდა იოჰან გოტფრიდ პერდერი. ამ ენაზე შეიქმნა ბევრი ნატიფი ლირიკული შედევრი. ჩინური ლიტერატურის უძველესი და უბარველესი პოეტური ძეგლიდან „შიძინიდან“ („სიმღერების წიგნი“) მოყოლებული უახლოეს დრომდე ჩინური პოეზია მითოლოგიისა და რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრებების (დაოსური, კონფუციანური, ბუდაური) გავლენით ვითარდებოდა და მათ პლასტიკურ იერსახეს წარმოადგენდა. თავად ეს ფილოსოფიური მოძღვრებანიც მეტნაკლებად პოეზიის წიაღს განუკუთვნებოდნენ...

ბუნებისაკენ მიდრეკა, „სამყაროს პარმონიასთან“ ზიარება, რასაც ბუნებასთან შერწყმისა და თანაზიარობის გზით უნდა მიაღწიოს მოკვდავმა, მას აამაღლებს წუთისოფლის წვრილმანებზე და, რაც მთავარია, დააყენებს „მჩაგვრელ-ჩაგრულთა“ სამყაროზე მაღლა. ესაა დაოს გზა, ბუნების ჭეშმარიტებათა შემეცნების გზაზე უნდა უარყოფიერი ცოდნა. ჭეშმარიტებას ეზიარები მხოლოდ დანთქმისა და ჭვრეტის გზით. „ეზოდან გაუსვლელად შეიმეცნებს ბრძენი სამყაროს. ფანჯრიდან გაუხედავდაც ჭვრეტს იგი ბუნებითს დაოს. რაც შორს მიდის, მით უფრო მცირეს შეიმეცნებს. ამიტომაც ბრძენი არ დაიარება, იგი საგნებს უნახავად გამოიხშობს“ (ლაო-ძი).

დაოსურმა მოძღვრებამ გააერთიანა უძველესი ჩინეთის პრიმიტიულ სარწმუნოებათა ელემენტები, შამანებისა და მჩხიბაგების ჩვეულებანი, მან დიდი გავლენით აღბეჭდა ძველი ჩინეთის პოეზია, საერთოდ ჩინეთის ყოფიერება, ათასობით ჩინელი იხიზნებოდა ტყეებსა და მთებში; განდებელი განმხოლოება აუცილებელი პირობა გახლდათ „სამყაროს პარმონიის“ შემეცნების გზაზე.

ვან ვეის ჩინოვნიკური ცხოვრება კონფუციანური მოძღვრების მორჩილებასა და აღსრულებასაც გულისხმობდა. იგი თვითონ იდგა კონფუციანური მკაცრი სახელმწიფო იერარქიული კიბის ერთ-ერთ უმაღლეს საფეხურზე. ამ მოძღვრების მიხედვით ადამიანთა ბუდს ცა განაგებდა, იერარქიის კიბეც ცისგან დადგენილად ითვლებოდა და მისი შეცვლა მოკვდავთა სურვილით შეუძლებელი იყო.

სამი მოძღვრების — დაოსურის, კონფუციანურისა და ბუდაურის — აჯრეთვე უძველესი ჩინური მითოების — ფესვებია ვან ვეის პოეზიის საფუძველი, მისი მასაზრდოებელი წყარო.

„ჩემი საყუდელი მდინარე ვანის ხეობაშია. ამ ხეობას როცა მიპყვები, შენერთა წამით და თვალი მოაველე გარეშემოს: მინჩენის მღვიმე, მთა ხუანძიგანი, ზეკარი, სადაც ბამბუკს ჭრიან, ჟანჩატური ენსინი, ირმისა და მულანის ჭალაგნი გაიშლებიან შენს წინ... აქ ვიშვებდით მე და პეი დი, აქ ვპაექრობდით და ვეჯობებოდით ერთ-ერთს ლექსთა თქმაში“... სწორედ ვანჩუანის გარეშემოთა ფერწერული სურათები გაიღვებენ ვან ვეის ლექსებში... მთა ხუანძიგანი, მენჩენის მღვიმე, ზეკარი, სადაც ბამბუკს ჭრიან — ამ აღგილებს ნატიფი ფირებით შესრულებული ლექსები უძღვნა პოეტმა. ვან ვეიმ დაამკვიდრა ეს სახელები ჩინურ პოეზიაში.

დედაქალაქ ჩანჩანიდან საკმაოდ შორს, ლანტიანში, მდინარე ვანჩუანის ნაპირას პოეტმა ააშენა სახლაკი, სადაც, ძველი ჩინური ჩვეულების თანახმად, ქვეყნიურ საქმეთა-

გან დაღლილი და გულგახუნილი განმხილველებოდა ხოლმე და, სიბრძნისა და მდუნა-
რების წაად დათქმული, ჭკუტას ეძლეოდა. ვანიუანის სახლაკში შეეშინა მან ლექსების
დიდი ციკლი „მდინარე ვანიუანი“, სიბრძნისა და განდევნილი ყოფის საგალობელი.

„ვცხოვრობ და ვიძვებ მდინარესთან ეულად, წყნარად, უართოდ... მდუნა მდინარეს აკაშკა-
არ ჩახან მთანი. ხეობის მიღმა მზე ეშვება. მივუჩნდა ჭალა, მდუნა მდინარეს აკაშკა-
შებს დაისის ალი. ველს მისდევს მწყემსი, მიიქცევა შორეთს მზირველი, აადვენებია
მწყემსს ძაღლების წალიკი... ველით ბრუნდება შინ და ჭიშკარს კეტავს განდგომის ხიზ-
ნად, იგი — ვისც უკვე დაიურგა წუხილი ძველი“.

ვანიუანის ციკლის ლექსებში, რომელშიც განდევნილი ყოფის სურათებია მოცე-
მული და იკვეთება პოეტის სწრაფვა ქვეყნიურ საქმეთაგან განდგომისა და განმხილ-
ებისაკენ, წარმოაჩინეს ვან ვეის დაოსური და ბუდაური მსოფლადქმის ხაერთო ხიშნები.
განდგომა და განდევნილი ყოფიერება არის გზა თავისუფალი და უზრუნველი, ბუნე-
ბითი ყოფნისა, ცხა თავისთავში დანთქმით ღვთაებრივთან მიახლოებისა, რომელიც ჩა-
ნის წყდომად არის სახელდებული.

„შე შემაჩვია მდუნარებას მთების საეანემ, ვმარხულობ ხოლმე ფიჭვთა შორის შვე-
ბის მხილველი, არ ვითხოვ ჩინს და წარჩინებას, ვინმე მავანი ამ ქვეყანაზე ვცხოვრობ
ისე, როგორც უჩინველი“.

ვან ვეის პოეტურ სურათებში ბუნებისა და ადამიანის ღვთაებრივი ერთიანობაა
გაცხადებული.

ვანიუანის ციკლის გამო თანამედროვეებმა მას „განდევნილი პოეტი“ უწოდეს,
მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ მისი პოეზიის ხასიათზე მიანიშნებდა და არა პოეტის
ცხოვრების წესზე.

ვან ვეის ლექსი მეგობართან განშორების სევდასაც ითავსებს და ღვინით სვეკე-
თილი მოლხინარის ფაქრსაც. განშორებისა და შეხვედრის მოტივებს თანაჰყვება ბაბუ-
სისეული ნეტარების ხმა, რასაც თავის მხრივ მეტ სინატიფესა და სინედლეს ანიტებს
ბუნების შუქჩრდილოვანი ფონი.

„აქ სტუმარს ვხვდები ისევე — გზაზე მოცურავს იგი, პატარა ხავით მოცურავს,
ჩემკენ... მოცურა უკვე, ტერასზე ვსხედვართ, ებაასობთ, თან შევექცევით ღვინოს, ვხე-
დაუთ: ლოტოსი კამკამებს ტბაზე — ოთხივე მხარეს“ („ქოხი ტბასთან“).

ანდა კიდევ:
„ტბას მივაშურეთ, საღამურის ჰანგით ყურემდე შე მიგაყილე, მეგობარო ჩემო...
მაღალი ქედები მახსოვს, განშორების ვამს რომ ვუმშერდით, იმოსებოდნენ შორეული
ღრუბლის ჭალარით“ („ტბა ი“).

სოფლური ცხოვრების სიხარული და ნეტარება, რაც ბუნების წიაღში დანთქმულია
სულის თანამყოლია, ბუნებისა და ბუნებითი ცხოვრების სარუქარია, ვან ვეის პოეზიაში
მკვიდრდება, მის მახასიათებელ ნიშნად გვევლინება.

„მჭვირვალ წყაროსთან ღვინოს შესვამ, თასი და თასი გულს ეამების ღვინო რჩე-
ული, ბარბითს აქდურებ, ახშიანებ სიბურის ჭირხლით შეთრთვილულ ფიჭვზე გადახვეული,
ანდა დილისხანს მტილოვანში მხესუმშირათი ერთობი ხოლმე, ბადის წვეული, თითქოს
სიზმრად ხარ — მიღმეთიდან აღწევს შენამდე ფილთაქვის ცემის ხმა შორეული“ („სოფ-
ლური ცხოვრების სიხარული“).

განდევნილი ყოფიერება და „სიბურის ჭირხლი“, რაც ცხოვრების ავან-ჩაჰანით
დაღლილი ხორციელის ხვედრია, განუშორებლად თან სდევენ ერთიმეორეს მთელ ჩი-
ნურ პოეზიაში, ამ მხრივ არც ვან ვეის პოეზიაა გამონაკლისი...

კონფუციანური მოძღვრება იდეალად სახავდა ჭკვიანსა და შორჭმულ გამგებელს,
ვისაც გულზე ეწერა ხალხის ვარამი. ვან ვეიც გაბრძნობილ და ჭკვიან გამგებლად
იგულაებდა ქვეყნის მხსნელსა და მწყემსს, ეს ფიქრია გამჩელილი ლექსში „ხუაიჯოუ-
ში ჩახული გავფურებ მდინარის გაღმა ქალაქ ლიანს და ვიგონებ დინ იუს“.

„...მოგადით, მეგობარო, ვიხილეთ მზიანი ქალაქი და წავალთ დილით, შენ კი ვერა
გნახე, შუაზე ღრიალით ჩავვიდის მდინარე გრილი, მაგრამ მიმყოფა იმედი — სიბრძნით
რომ შორჭმით განაგებ ქალაქს, რომ შენზე მოვისმენ აშბებს სანაქებოს ვრძელ გზაზე,
მარად თა მარად“...

ჭანის იმპერიის სარულის ან ლუ შანის ამბოხებამ, რისხვით რომ გადაუარა მთელ
ჩინეთს, ვან ვეის ცხოვრების ჩვეული დინებაც შეცვალა, შეამბოხებმა პოეტი დაატყა-

ვეს და, როგორც იმპერიის ჩინოვნიკი, პუტის ტაძარში გამოამწყვდიეს. ამბავი მტკიცეულად აირყლა ვან ვეის იმდროინდელ ლექსებში. „ოდეს პუტის ტაძარში გამოამწყვდიეს მორინახულა ბეი დინ და მომიყუა, რომ მეამბოხენი „შაღალი ღაყვანდის“ ტბის საპირებზე ხადიმოებო ფლეიტის პანზე, მაშინ ხე მწარედ აუტირდეს“

ჩინოვნიკურ სამსახურს შებშული, ქვეყნიურ საქმეთაგან დაღლილ ფულუჭყლუჭყლში კვლავ ბუნების წიაღში გადახვეწის სურვილი ინაკვება. „მუღღხვალე სოფლის საქმითა და საზრუნავით“ ხელფენშეკრული პოეტი მთებისაკენ იყურება.

„მიბობრებას, მიდის ლელქაბის შიღმა მდინაიუ ხელი, მუც-ვეშურები, ვშებმა ტიაღმა წელში გაწვიტა ცხენი. ვნა-გზა კამკამა წყლების ჩქვრალი მშვიდი შრიალით მხუდება. თან ჩრდილოეთის მხარეს სზირალი მონღევს ფრინველთა გუნდი, გადასასულელთ მოჩანს ქალაქის ბჭეთა ნაშალი ძველი, და კიდევ მთები მოღწროვილი დამაკალი მზის მზერით. ვჩქართბ, მშობელი მთების ახლორე იქსებ მივიდე შალე, მინ მიბრუნვილი ქვეყნიებებას მიუუჯახუხებ კარებს“.

ცხოვრება სნებისა და ჭაობის ბუდეა, იგი სიზმარივით წამიერად ეუფლება ხორციელის გულისთვალს, რათა თავის ნაწილად აქციოს. ამიტომაც წამიეთის გადავიწყებისა და განდგომის სურვილი პოეტს სიმარტოვისაკენ უბიძგებს.

„გადავივიწყო უნდა ყოველი — სენიც, სიბერეც — ჭირხლით ნაფერი, ხომ ჩამჩინებს საღვთო კრებული, რომ სიზმარია სუფველაფერი“.

ვან ვეი თუქსმეტი წლისა იყო, გამოცდები რომ ჩააბარა სახელმწიფო მოხელის (ჩინოვნიკის) თანამდებობის მისაღებად, ამ გამოცდებს შორის ძველ ჩინეთში ერთი უპირველესი გამოცდა გახლდათ ლექსის თხზვა, რაც სავალდებულოდ მიიჩნეოდა სალექსო ტექნიკის პრაქტიკულ ფლობას. პოეტური ნიჭი განსაზღვრავდა მომავალი მოხელის ბედს, როგორც ჩანს, ძველ ჩინეთში პოეტების სიმრავლე ამ მიზეზითაც იყო პირობადებული. ჩვენამდე ორი ათას სამასამდე პოეტის ლექსებმა მოაღწია მარტო ტანის ეპოქიდან, უამრავი პოეტი მოღვაწეობდა სხვა ეპოქებშიც.

ვან ვეიმ თიოქმის მთელი ცხოვრება ჩინოვნიკურ სამსახურს შეაღია, მაგრამ ეს ფაქტი ხალხებ ჩანს მის შემოქმედებაში. იქ უფრო თავის დაღწევის სურვილია საჩინო, ქვეყნიურ საქმეთაგან თავის დაღწევისა და განმარტოების სურვილი, რასაც მოაღწია კიდევ პოეტმა სიცოცხლის მიწურულს. იგი საფუძველმორყეული იმპერიის დედატალაქიდან იბარგა და სამუდამოდ დაეპყვიდრა ვანჩუანის სახლაკში. იქ, ბუნების წარმტაც სურათებს შორის გაატარა ცხოვრების ჭკანასკნელი წლები, აქვე აღესრულა მერვე საუკუნის სამოციანი წლების დასაწყისში.

„ვან ვეი გახლდათ არა მარტო სახელოვანი პოეტი, არამედ სახელოვანი მხატვარი-პეიზაჟისტიც. იგი ითულება პეიზაჟური მხატვრობის ერთ-ერთი სკოლის ფუძემდებლად. ამის გამოთა, რომ ვან ვეი, როგორც მხატვარი და პოეტი, განუწილელია, მთავრომეტე საუკუნის დიდი პოეტი სუ დუნ-პო წერდა: „როცა კითხულობ ვან ვეის ლექსს, იქ ხედავ სურათს: ხოლო როცა მის სურათებს ათვალიერებ — იქ ლექსი წარმოგიდგებათ“

„სურათის გასაცხსივებლად ჩინურ პეიზაჟურ მხატვრობაში დიანშინის სურხი იყო გაბატონებული, თუ მთას სატავ, მთიანი პეიზაჟის წიაღ უნდა წამოაჩინოთ ადამიანის ფიგურა, თუ ფიჭვს სატავ, მაშინ გამოსახულებას კლდეებისა და ქვების ფიგურებით გაასრულებ, ნიშნულია, რომ ეს სურხი სურათს აბთლასებს, ვან ვეიმ იგი თავის პეიზაჟურ ლირიკაში გამოიფენა. განუწილველად წარმოგიდგინა ბუნება და ადამიანი“ (ნ. კონრადი).

ვან ვეის ლირიკის მდუმარეული სამყაროს ფონზე შევსედებით გახდვილს, შორულ გზებზე გამდვარ მოგზაურს, გულგახენილ სატრფოს, მორჭმულ მოხელეს, ბრინჯის ყანაში დახრილ გლეხს... ამ ლირიკაში მდუმარებაც კი ადამიანის ფოფნითაა ცხოველი.

„უსიერ ტყეში გაიფონა, მზე მიწურვილი, ხავსიან ტოტზე დაკვიდა სსივი ვანკალთ, უკატრიელი მთები სთელუმენ... სუფავს ღუმილი, და მაინც შორით ყრულ ნოისმის ხმა კაცთაგანის“ („ირმის საჩიხეში“) 1.

„კაცთაგანის ხმა“ უკვლავი და სვიანი ხმა, რითაც ვან ვეის ჩანგი ვეხბიტყვება საუკუნეთა უსიერი წიაღიდან.

1 ლექსი „ირმის საჩიხეში“ თარგმნა თ. ჩხენკელმა. წერილში მოხმობილი დანარჩენი ლექსების თარგმანები ჩემს მიერაა შესრულებული — ჯ. ფ.






 ეროვნული
 ბიბლიოთეკა

რამაზ ლაბაძე. „ბუფი“. 11 წლ., ხაზბერე, ქორეთის ხაზ. ხკ.



ნინო ფარაძე. „სახლი“. 6 წ.



ხათუნა ხოშტროძე. „ცხვები“. 8 წ., 57-ე ხაზ. ხკ.

ბ. 26/
/112

76132



ირაკლი გავაშვიანი. „გაბაშა“
11 წ., 29-ე საშ. სკ. შიშ-იქორთუა



თაინა მამუკია. „გოგონა“ 8 წ., 3-ე ექსპერიმენტული სკ.



თაბა დუღუჩავა. „მეტიკობლა და უფიფი გნოლი“ 13 წ., 33-ე საშ. სკ.